**საქართველოს კულტურის სამინისტრო**
**საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის**
**ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი**

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა

**„ლიტერატურის მატიანე“**

შემდგენელი და რედაქტორი
**იზა ორჯონიკიძე**

წიგნი გამოსაცემად მოამზადა და
შენიშვნები დაურთო
**ეკა გრიგოლიამ**

მხატვარი
**ცოტნე მამულაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი
**ჯაბა ახათიანი**

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის
კომპიუტერულ ცენტრში წიგნი ააწყო
**ირინე ამირიძემ**

დააკაბადონა
**ხათუნა ჩიკაშუამ**

კორექტორი
**კახი ორჯონიკიძე**

ფოტოასლები
**მირიან კილაძისა**

პოლიგრაფიული უზრუნველყოფა
**ასოციაცია „ქართული წიგნი“-ხა**

ნიკო სამადაშვილი

# ფერისცვალება

saarqivo gamocema

თბილისი
2003

# რედაქტორისაგან

1967 წლის შემოდგომას თამაზ ჩხენკელმა „ლიტერატურულ საქართველოში“ (რედაქტორი – რევაზ თვარაძე) უცნობი პოეტის ხუთი საუკეთესო ლექსი გამოაქვეყნა. იმ დღიდან ნიკო სამადაშვილს მკითხველი და გულშემატკივარი აღარ მოჰკლებია. როგორც ყველა ჭეშმარიტ და მნიშვნელოვან შემოქმედს, მასაც გამოუჩნდნენ ოპონენტებიც და აშკარად უარმყოფელნიც. ესეც იმისი დასტური გახლავთ, რომ მეოცე საუკუნის ქართული პოეზია, უდავოდ, ერთი მნიშვნელოვანი, სხვათაგან ძალზედ განსხვავებული შემოქმედებით გამდიდრდა.

ნიკო სამადაშვილის ლექსთა პირველი წიგნიც (სულ 27 ლექსი) თამაზ ჩხენკელმა შეადგინა და („ბეთანია“ – „მერანი“, 1973 წ.), 1982 წელს ჩვენს ალმანახში („ლიტერატურის მატიანე“, №7-8) დაბეჭდილი 21 ლექსისა და 13 მოთხრობის გამოსაცემად მომზადებაც მან ითავა (იმ წელს შევიძინეთ ნ. სამადაშვილის არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი და აღვადგინეთ გ. ლეონიძის დაარსებული „ლიტერატურის მატიანე“). ამას მოჰყვა ლექსების მეორე წიგნი („ნაკადული – 1989, რედაქტორები თ. ჩხენკელი და რ. ჩხეიძე) და პროზაული ნაწერების პირველი სრული პუბლიკაციაც („მერანი“ „შეხვედრები და სინანული“, 1995 წ. რედაქტორები თ. ჩხენკელი და რ. ჩხეიძე). ნიკო სამადაშვილის სამოცდაერთი ლექსი არჩილ სულაკაურის რედაქციით გამოცემული ქართული ჩვიდმეტტომეულის მე-15 ტომშიც შეიტანეს ამ ტომის რედაქტორებმა ტ. ჭანტურიამ, გ. გეგჭკორმა და ემ. კვიტაიშვილმა („ნაკადული“, 1984).

1990 წელს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ გამოსცა მისი ლექსების მესამე კრებული (რედაქტორი ლია ნადარეიშვილი).

„ფერისცვალება“ საარქივო გამოცემა გახლავთ და ამიტომაც ნიკო სამადაშვილის დღემდე დასტამბულ წიგნებს შორის ყველაზე სრულია.

პოეტის არქივი 1977 წლიდან ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ეს ფონდი დღემდე ივსება და მდიდრდება მოძიებული ხელნაწერებით, ფოტოსურათებით, თანამედროვეთა მოგონებებითა და ა. შ.

ამ წიგნში თავმოყრილია ყველაფერი ის, რასაც ნ. სამადაშვილის მემკვიდრეობას ვუწოდებთ, მოპოვებულია და პირველად ქვეყნდება რამდენიმე ფოტოსურათი პოეტისა და მისი ოჯახის წევრების, მეგობრებისა, მასწავლებლებისა და იმ მშვენიერი ქალბატონებისაც, რომელთაც ეტრფოდა პოეტი.

საარქივო გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შენარჩუნებულია დედნის ყველა თავისებურება, ხელუხლებელია მწერლისეული ორთოგრაფია, პუნქტუაცია, სტილი.

ვითვალისწინებთ რა მკითხველი საზოგადოებისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის დიდ ინტერესს ნ. სამადაშვილის მემკვიდრეობისადმი, წიგნის დასკვნით ნაწილში ვაქვეყნებთ თამაზ ჩხენკელის და არჩილ სულაკაურის, ზურაბ კიკნაძისა და ზაზა აბზიანიძის, ამ სტრიქონების ავტორისა და მხატვარ თემო ჯაფარიძის ნიკო სამადაშვილისადმი მიძღვნილ წერილებს.

დასასრულს, მკითხველ საზოგადოებას პოეტის მოკლე ბიოგრაფიასაც ვთავაზობთ.

*10. 07. 2002*



# პოეზია

ძვირფასებო.

ჩემი სამშობლო ამბებზე ცოცხალია მოუყვებით,
რაკვალი, მოგზაური, ვერცხლის ვალზეთ მიფრინავენ ზეცაში.
სულიერ ან ვერცხლის, ალბეთ ხანაში ჩამაყოლებენ,
სანამ ლეგენდაში შეკვეთილი ვილაცა ჯადოსნებ.

ვინმე, თუ ვმეკინ ზნელი ლიტერ ვინმეკვლევლამაზ-
ლოლ,
იმისად ვხვდებ ეს ლიტერატურა თუ ფიქრობ,
ვინ ლამაზებ, ვინ ალეგ ზელში სიცოცხლეებ,
ე ვინ ჩამაყენა ამ ლიტერატურ ავლოლებ
მანან.

ეს ეს ოცნებ სიტყვებლ, ალბად მოუკიდეთ,
თუ ვინ ვიცოცხალ შენ ნაწილიან ვინ ბებ,
ყვიალებ,
შენ ეს ძალლიდან ეს, რაზე ამოკიდეთ,
ნეტავ ოცნებ ან მიხედ ჩემ შეიტანებ?

წიგნი საამბაშვილოვ

# ძ

შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი,
შენა ხარ ჩემი ნუგეშის დარი,
სულ კარგად მახსოვს შენ რომ გამიჩნდი
გარეთ ძაღლივით ყმუოდა ქარი.

ვერ გიპატრონე მე ლაზღანდარამ,
შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა.
ზეცა სივრცეებს აზანზარებდა
და მზე ყვიროდა ქვეყნის ბოლოდან.

შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს,
თუმცა სულ მუდამ ტოტს გცემდა ქარი,
ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები ტანზედ გამონაყარი!

ჩემი ძაგძაგი, თრთოლვა და სუსხი,
ძვლების მერქანში თითქოს ქვებსა ხრავს,
ღვინო მორეულს, ოშხივარ ასხმულს,
ბინაში ბევრჯელ დამიკოცნიხარ.

იქამდე, სანამ დათეთქვილ ტუჩებს
არ გალხობიათ ბუერა სევდა,
შენ ძუძუს სწოვდი გაშლილ ალუჩებს
და ღვთისმშობელი აკვანს გირწევდა.

ლექსების ჯღაბნა წამებათ გექცა,
სჯობდა ვენახის კვალი გებარა,
ვის რათ უნდოდა ეს თავლთმაქცობა,
ნეტავი ქარში გადაგეყარა.

ქარები უფრო წაიკითხავდნენ,
ჩაბჟირდებოდნენ სადმე სიცილით,
ჩემი ცრემლებით ღამეს ხატავდი
და ბეთანიას მაისის დილით.

ვერ გაოკებდი, დაგდევდი კეტით,
ხან მელეოდა მუხლებში ძალა,
ზარივით გასკდა ამდენი რეკით,
ზედ რომ მამხია ეს თავის ქალა.

ვერ მოგიარე, რა გიყო, ძმაო,
ორივე შემკრთალ ბუჩქის ჩრდილს ვგამდით,
შენ კიდევ მაინც ფიქრში მძუნაობ,
მე კი ბუწუწიც გამცვინდა დარდით.

## ე !

*(ძღვნად გოგის)*[1]

საქართველოდან მიემგზავრები, ძვირფასო ძმაო, პარიზისაკენ.
შენ იქ დაზვერამ მქუხარე ქალაქს, შენ იქ დაგხვდება მსოფლიოს სარკე,
აურზაური შენ განგაცვიფრებს, გუმბათის სვეტი, თეთრი თაღები,
ისე დაგბურავს ბრბოს ხელოვნება, დაგავიწყდება სოფლის ბაღები.

ტლანქი ცხოვრება, ჯერ ახალგაზრდას, ჭრელი გველივით შემოგეხვევა,
მთვარის ჩრდილებში ვიწრო ქუჩებით მოვა მეძავი, მუხლზედ გემოხვევა,
კოცნას დაგადნობს სიყრმის ტუჩებზედ, კოცნას ვერაგულს შენ შეგაყვარებს,
შენ შეგასწავლის მოქნილ მკლავებით წითელ ოთახის მოღუშულ კარებს.

და შენ შეგაჩვევს კაფე-შანტანებს, სადაც ცეკვავენ ღვინის ჭიქები,
დაღალულ თვალებს მზე დაგისრისავს, ლამაზი ბიჭი სულ გარდიქმნები,
მაგრამ ოჰ, არა, ამას არ იზამ, ვერ დაგიმონებს მძიმე პარიზი,
მარგალიტების საგარაკოზედ გაიფურჩქნები, როგორც ნარგიზი.

წმინდა ცხოვრების სიღრმეში შეხვალ, ჩირაღდნით დასწვავ ვისაც კი სძინავს
და იმედია, შენს მაღალ ფიქრებს აღმოსავლეთშიც რომ გადმოსწიდნავ,
შენ შეგიყვარებს მსოფლიოს ბურთი, მსოფლიოს გულზედ შაქრად დადნები,
და ისტორიის ლამაზ ფურცლებზედ ჩვენ საამაყო შვილად იქნები.

---

[1] *გოგი – ნიკო სამადაშვილის მეგობარი. გვარი უცნობია.*

და როცა, კარგო, იქ ევროპაში, ფერად ოცნებით ფიქრი დაიწყო,
პარიზთან ერთად გახსოვდეს მუდამ, ძველი ტფილისი არ დაივიწყო,
და მეგობარო, მეც მომიგონე, როს გაგეფურჩქნოს დიადი ნიჭი,
სთქვი: მეც მიყვარდა საქართველოში სოფლის ბოგანო მელექსე ბიჭი.

*1924*

* * *

როცა ჭალაში ვუდექი ხარებს,
ვისმენდი დაღლილ მტკვრის მძიმე ქლოშინს,
ყველა ცეკვამდა და ხარხარებდა,
მე კი ვსტიროდი საქართველოში.
ბებერი თელა გულში მიკრავდა,
გათხრილ საფლავში მიგებდა ფოთლებს,
გვრიტები წნორზე ფანდურს უკრავდნენ,
ბინდი ფარავდა საყდარს და სოფლებს.
შორს, მონასტრიდან ზარი გოდებდა,
მოლოზნებს კუბო მიჰქონდათ მთაში,
მამა წვალობდა სამსე გოდრებთან
და ყურძნის ხვავი იდგა მარანში.
ძველ მარგილებზე გაფენილ სარეცხს,
ვიღაც მხატვარი ხარბად ხატავდა,
ეს გული იყო სხეულის სარცხი,
და ყველაფერი როგორ გათავდა,
წისქვილის წინა დიდი ხართუთა,
ხვალ აპირებდა წასვლას კალოში,
ხალხი ცეკვამდა და ხარხარებდა,
მე კი ვკვნესოდი საქართველოში.

*18. III. [1931]*

*ციალა თოფურიძეს*[1]

ნუ დამაყვედრი დაუსტამბავ ლექსების ნაყარს,
ნუ დამაყვედრი.
ხომ იცი, რიდი იყო ჩემი გუდამაყარი.
ალალი ხვედრი.
შენც ხომ გქონდა ყაჭის ბანდივით,
რაღაც ელდა შემონახული?
და ზედ ეფარა, შეხერეზადას ხილაბანდივით,
მძლე სიხარული.
დაშლილი ტივი.
ხომ გინახავს ტალღების ქერზე.
ორთაყვირების თავჩაქინდვრა და სინანული,
მოწყენილ მზეზე,
როგორც ტირიფი?
აი, ის მიყვარდა...
და მერე როგორ!
კეთილო გოგო.
მოწყვეტილი ქარების ტაში.
საკია-მუნის შეშლილი სტვენა.
ხნიერ ღრუბლების დიდი ნახირი... ელვის ტაატში.
ჭანდრების ჭავლზე ქარის გაფრენა.
ჭალის ძახილი.
და, იცი კიდევ რა მხიბლავდა?
სიზმრების ნიშზე ანთებული მგზავრის ფარანი...
წარმავლობის ოხერ მარანთან,
ნაირ ფიქრების მწველი ჭრიჭინი,
დარდების ჭილი,
განცდების ზვარი...
ეს იყო, ესა, ჩემი ბალადა,
ჩემი გულის ხუროთმოძღვარი.
ზამთრის პირზე, შუაღამისას,

---

[1] *ციალა თოფურიძე – ნიკო სამადაშვილის მეგობარი, დღევანდელი თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.*

ბუხრის ჩიჩინი:
„სიცოცხლეს ნეტავ რასა ბლანდავ ნაფეხურებით...“
ლექსები ტანში ფართხალებდნენ, ვით ბედურები.
პოეზია იყო ვერაგი ჭირი,
რო შემეყარა მე ბალღობისას.
ჩემი ფუტურო ძვლების მერქანში
სუსხიან ავდრებს შეთქმულივით უთენებიათ.
იმ დროს, ვიდაც ხრჩოლავდა ქარში.
იქ ცრემლისფერი ამინდებია.
ხო და, იმას გიყვებოდი:
ნუ დამაყვედრი სტრიქონების უიღბლო ნაყარს...
ნუგეშის ქირდვა, მეგობარო, ცოდოა, ცოდო.
დღეთა ჭერებზე ყრმობა მაინც
მარად ყვაოდა.
ჩემი საყდარი თვით ალიონზეც
ზარს არ რეკდა, იცოდე, გოგო!
სახეს ჩააკვდა უნდობლობა ყველა უნდობის...
მკერდის ქვეშ ვცხოვრობ განაბული, ჯანყი მერევა.
ჩემში ფასკუნჯის ცხედარი ბუდობს,
არ ნახული ბედნიერება.
ის იყო, ისა, მარადისობის ყელმოღერება,
ლაჟვარდების უსურვაზებში
მივარდნილი ქვეყნიერება;
დაუსაბამო, ულეველ გზებზე
ატეხილი მშვენიერება...
მარტო არ უნდა გაგვეშვა, გოგო,
ცოდოა, ცოდო,
ერთად ერთი ბედნიერება.

*მკათათვე, 1947*

## ე

ვიწრო შედმართებს, დუდაბისფერ უბნების ნაკრძალს,
კაცი შეჰყვება – ასურეთელ მოგვების დარი.
შეიშრიალებს მაღალ ცაცხვზე კვირაძალივით
ხატის მიხეზით დაცემული ალგეთის ქარი.
აჰყვება ზევით საკმეველზე გამურულ ღმერთებს,
ბედის შუქს უცბად გააბრუებს მთაწმინდის ლოცვა.
ის სველ უბეში შეინახამს დედის სიმღერებს,
სადაც ჰყვაოდა სიყმაწვილის [მძლე] გარემოცვა.
შედგება უცბად და გზას ჰკითხამს ხანშესულ ზარებს,
დააშტერდება ცოდვილ მგზავრის თხელ ნაფეხურებს.
ის უწინ სიზმრებს უგრილებდა შეხერეზადას,
იქ ნისკარტებით რო მოჰქონდათ დილა ბეღურებს.
კვიმატი სიო უსარვაზთან დაიგებს ჩრდილებს,
მკერდს გაუკაწრავს, შეჩერდება ფიქრების თოში.
შენზე იტყვიან, ქადაგივით ჰკრეფდა გვირილებს
და რტო ლაჟვარდებს უცინოდა საქართველოში.
დაბრეცილ ქუჩებს შედმართებზე ჩამოფენილებს,
აჰყვება კაცი ბურუსივით – ვით მატიანე.
ის შემთვრალ ანდერძს დაუტოვებს ფერად ფრინველებს
ცხედარს კი, ქვევით ნიადვრები ჩამოიტანენ.

*23. X. 1949*

* * *

ნეტავი ერთი წამოგახედა ჩემო მეუფევ
და სიხარულო,
ეს, ეს
ოხერი ლექსიც წყდება
ხოლმე, აბა რა იქნება
საბუღალტრო ჩოთქის გვერდზე.

*წალენჯიხა*
*16 იანვარი, 1952*

## ძ

აგერ, ნუგზარი[1] ეზოში ცელქობს,
მაისის დღეა – მერცხლების ზარი.
გზას რო გასცქერის, ზოგჯერ სიცილით,
მამას მიელის ჩემი ნუგზარი.

მკერდს ჩაეკვრება ყიჟინა ბიჭი,
წამო, მამილო, ტაკსი მიყიდე...
შენი ჭირიმე, სათნო ჭიკჭიკში,
ჩემო სიმღერავ, ჩემო სიმდიდრევ!

*შენი მამა*
*ბოგდანოვკა, 22 მაისი, 1952*

*ნუკრის*[2]

ნარიყალას ბოკრო ფერდობს აყვება კაცი,
ზევით ბუდე აქვს განდეგილთა სავანის დარი,
იქ შეფრენილან ღრუბლის თეთრი აკაციები,
იქა ყვაოდა ჩვენი ზურნა და საზანდარი.
იქ ნისკარტებით მზე მოჰქონდათ ლამაზ ბედურებს,
და ჭორფლიანი ქონგურები სიზმრებს ხედავდნენ,
ნუკრი აივლის, შახაბაზის აჩრდილს შეუბღვერს,
ძველ მაგიდაზე კვლავ დააწყობს ქართულ ხელადებს.
დალიეთ ძმებო, თუ გინდ ჩემი შესანდობარი,
ეს ნარიყალა ქართლის ძვლებმა ააყირავეს.
ციხეს კიდევ აქვს ჩვენთან დიდი გასანდობარი,
სამშობლოს ზეცას მაინც არსად დააგირავებს.

---

[1] *ნუგზარ სამადაშვილი – ნიკო სამადაშვილის უმცროსი ვაჟი.*

[2] *გივი (ნუკრი) ერეკლეს ძე ფერაძე (ტატიშვილი) (1919–1995) – ფილოლოგი, იურისტი, ნიკო სამადაშვილის უახლოესი მეგობარი. ერეკლე ტატიშვილის დის – ქეთევანის ვაჟი, იგი ერეკლე ტატიშვილმა იშვილა და გაზარდა.*

ო, ნარიყალავ, მაგ დალეწილ კედლებს გაფიცებ,
ერეკლეს ბიჭი შეინახე – მაცხოვრის მზვარა,
მოვალ ზედაშით, დამწვარ კალთებს გაგილიცლიცებ,
შენი ნუკრია, შენზე ფიქრით ბევრჯელ დამწვარა.
აბა უყურე, როცა ასდევს შენს მწველ აღმართებს,
შენი ლოცვებით შეპყრობილი როგორ ჩუმდება,
რატომღაც მჯერა, რომ გააჩნდეს ლუკმა, ღმერთმანი,
ის მოედანზე, ქვევით, უკან არ დაბრუნდება.
შენთან ვედრებით ადავლენდა გაკმენდილ ზარებს,
და თავის სისხლით შენ მოგბანდა შახის ნაფეხურს,
გადასძახებდა წარსულ დროთა მძინვარე ქარებს,
გააღვიძებდა ჩვენ წინაპრებს გულმკერდდახეულს.
დღეს ნარიყალას თალხი მტკვარში გადაუყრია,
ის ამართულა ვით დიდების სვეტი, მისნობა.
შენ შეინახე ნარიყალავ! ჩემი ნუკრია,
რომ შენ კალთებზე სწიწკნოს ხოლმე მარადისობა.

*2. X. 1953*

## ძ

*ჩემ საშას*[1]

ის კამკამებდა
ვით ცრემლის გუბე,
ალალი გულის
ფიქრებით სავსე,
და დაიღუპა,
იქნებ დაღუპეს,
ნეტავი რისთვის,
ნეტავი რაზე?!
ისმოდა წყევლა
შეშლილ ქოშებით,

[1] *ალექსანდრე (საშა) გამყრელიძე (1918–1971) – მკვლევარი და მთარგმნელი.*

და თავგანწირვა
უიღბლო ცისთვის,
ზარი გოდებდა:
ხანგამოშვებით
ნეტავი რაზე?..
ნეტავი რისთვის?!

*16. X. 1953*

* * *

იცი რა იყო ჩემი სიზმარი?
შენ კლავიშებთან როკავდა მტკვარი.
ჰანგების ლივლივს, დაშლილ კულულებს,
ღამე მწყემსავდა თეთრ ნაკადულებს.
ვერხვები სწოვდნენ შენს ზღაპრებს ძუძუს.
ეგ თითები კი სიმების დუდუნს.

ფანჯრებთან ატმის ტოტი ყვაოდა
და ღვთისმშობელი ყრმას დაყვებოდა.
ხსოვნების ნარი დარეკილ ზარებს,
მიჰქონდათ როგორც უიღბლო მგზავრებს,
მუხლებს მოიყრის იმის გუნება,
ვინც არასოდეს არ დაბრუნდება.
ვინც შეშლილ დმერთის ბნელ ნაფეხურებს
ჰკრეფდა ვით გზაზე მოკლულ ბეღურებს.
ვინც მარტო იყო, ფიქრით მდიდარი,
და ცრემლზე შერჩა შენი სიზმარი.

*ს. კასპი*
*17. IV. 1954*

## ![1]

აქ არის თრთოლვა და მოლოდინი,
შეშლილ თვალების ჩუმი დინება,
შენ კულულებში ჩაღვრილი ჟინი
და ლაჟვარდების ყრუ მდუმარება.

ჩამქრალ ხსოვნებთან ფრთების ფარფატი,
დღის ნაწვერალთან კიაფი მთების,
საღამო ტყისკენ ღამის ნაბადი,
აკვნის უღელზე სიმღერა დედის.
მბჟუტავ სიზმრებთან ლოცვა წმინდანის
და ამღვრეული ნათელი ირგვლივ.
იქვე წარწერა სისხლიან დანით:
„ჩემ ნაკვალევზე ნუღარ გაივლით“.

ბოხი შრიალი ხნიერ ჭადრების,
ჩრდილების როკვა ქარების სტვენით.
მიწყნარდებიან ბედის ავდრები
და მე კი შენში გადავიმტვრევი.

*27. IV. 1954*

---

[1] *მარიამ ამანათაშვილი – ნიკო სამადაშვილის მეუღლე.*

შუადამის ფანჯრებშია
ვარსკვლავების თოვლი ბარდნის,
ჭანდარს ქარი აჯაჯია
და ეზოში ისე დადის.
დადის მძიმედ, თან ბურტყუნებს,
ემდურება ხნიერ მუხას,
როცა გუშინ გაამტყუნეს,
მუხას თურმე ავი უთქვამს.
ჭანდარს ყური მოუკვრია,
მყის მუხლებზე დაცემულა,
ძირს ფოთლები რაც რომ ყრია
ჭანდრის მსხვილი ცრემლებია.
ბრგე მუხა კი, ეს დიდგულა,
იღრიჭება, როგორც მთვრალი...
ქარმა მაინც აითრია
და ეწევა თმებით სადღაც,
ჩუმათ ვისმენ ჭანდრის შრიალს,
ვატყობ, უნდა ჩემი ნახვაც.
ღეროს წვერზე კვდება ჭია.
დე, ეს იყვეს ჩემი დარდიც,
მუხას ქარი აჯაჯია
და ეზოში ისე დადის.

*25. XI. 1954*

## ჯ

ასე დავძრწივარ ბავშვობის ხნიდან,
ვერ გავიკაფე გზა სინათლისკენ!
ღმერთო! რა სევდა გადამეკიდა,
ნეტა, სად მივდევ ამ ქარაფ ქვესკნელს.

ჩემი გაჩენა ცოდვის კითხვაა,
ვინ იტყვის ჩემზე, ის იყო კაცი!
ჩემს ბნელ სამარეს თვითონ გავითხრი
და შიგ ჩავწვები ფეხის ბარბაცით.

ნისლები მოვლენ მთიდან ბუზღუნით,
დაიჩოქებენ და დამწყევლიან,
ჩემი ლექსები მწველი ზუზუნით,
სადღაც ქარბუქში ამოწყდებიან.

ახია ჩემზე, ვისი ბრალია,
რათ ავიბნიე ქვეყნად გზა-კვალი...
აგერ, თვალს როგორ მიბრიალებენ
წუწკი ყასაბი და დიაკვანი.

*კავთისხევი, 1954*

## ს ჯ

აი, გათენდა. ეს ოხერი უნდა წამოვდგე,
გარეთ გავიდე, ჩემს ბალღებს ვუშოვნო პური,
უნდა ვიარო, ვიწანწალო, თითქმის მთელი დღე,
სიცოცხლის გზაზე არ დავინდო არც გარეშე,
არც შინაური.

აბა რას იზამ, როცა უკან ქარი გაწვება.
წინ კი რიყეა — საშინელი ცხოვრება ჩემი.
რომელი ჯვარცმა შეედრება ამ ჩემს წამებას:

ხელები მტკივა მოხურული კარების ცემით.
მესმის ყაყანი, მაგრამ კარებს როდი
მიღებენ.

დაიკარგეო, ქვებზე ელამს ცუდი წარწერა,
ღამეებს გავცდი, მაგრამ მაინც შემომაღამდა.
ნისლი მწყემსამდა სარქალივით ჩემ
ნორჩ პატარებს.
მამა! მამილო! მიძახოდნენ ჩემი ბავშვები,
ამ შუაღამის ტიალ გზებზე სად ითესები,
წყეულიც იყვეს შენი ჯიში და წარმოშობა,
წყალმა წაიღოს შენი თრთოლვა, შენი ლექსები.
მოხედე შვილებს, გადაყარე მძიმე ლოცვები,
ნუ აჭრიალებ უმიზეზოთ ჩვენ ქოხის კარებს,
აი გათენდა, პირქუშ სიზმრებს გარეთ ვაცილებ
და ლუკმაპურის საშოვნელათ გავდივარ გარეთ.

*თოვს*
*თბილისი [1955]*

* * *

ჩემი მზია[1] ლექსში კოჭლობს,
ვერ ააწყო რითმა, სტროფი...
ლექსი უნდა ცეცხლებს ყრიდეს,
ვით ერეკლეს მკვიდრი თოფი.

პოეზიას მოვლა უნდა,
ისე, როგორც შენს ყვავილებს,
ისე, როგორც ნამყენ ვარდებს,
როგორც ბაღის თეთრ გვირილებს!

*მამა*
*10 აპრილი, 1955*

---

[1] *მზია სამადაშვილი – ნიკო სამადაშვილის ქალიშვილი.*

* * *

ქარია გზებზე, მივდივარ, მიჭირს,
მივალ და კიდევ რატომღაც ვღელამ,
ჩემო სამშობლოვ, ჭირიმე შენი,
ჩემო სამშობლოვ, ხუჭუჭ ფოთლებავ!

*1955*

## ე ხ

...ჰო, იჭიკჭიკე ჩემო ბედურავ,
თელას ფოთლები რას დაგიშლიან,
მე ყველამ კარი გამომიხურა,
იცი, ნუგეში როგორა მშიან?..

ბედი გქონია, რომ ჩიტად გაჩნდი.
ალიონს უსწრებ, თეთრად ინთები,
მე კი ცხოვრებით გაჩანაგებულს
ქარის ყვირილზე მტკივა ფილტვები.

რო აფრინდები ტანატოლს ეძებ,
ეძებ და გიცემს გული ალალი,
მე კი სიცოცხლე ჩაძმარებული
ბნელ ფიქრებს ვწყემსამ ჭმუნვის სარქალი.

ჟღურტულებ, მდერი, ამოყრილ რტოებს
ეხვევი, როგორც ჩუქურთმებს, სიზმარს,
მე მყუდროებაც დამანატრულეს,
ბოლო მომიღეს ჰანგებით მდიდარს.

ნეტავ, იცოდე კითხვა ჩიტუნავ,
წაიკითხავდი სისხლებით ნაწერს,

ყურს მიაპყრობდი ვარდების ტუტუნს,
შემაბრალებდი სახრე გადაწნულს.
მე ლექსებს ვწერდი ქართა ყაყანზედ,
ეს იყო ჩემი ძუძუ და ხსენი,
მაგრამ ამ პირქუშ კაცთ სამყაროდან
თავი ვერაფრით ვერ დავიხსენი.

ჯერ კიდევ, თითქმის დედიშობილას,
ტყის ქარიშხლები მაცვამდნენ შავებს,
ეხლაც არ ვიცი, ჩემი სამშობლო,
რას მერჩის, ნეტავ რა დაუშავე?!.

ნეტავ შენს ფრთებქვეშ გავჩენილიყავ,
მეც მასწავლიდი ცის გასწვრივ ფრენას,
ხან შემზარავდა მამლის ყივილი,
ხან შენს მკერდიდან მოვწოვდი ლხენას.

იღბალი იქაც მიღალატებდა,
მომეწეოდა ჯანღი ტიალი,
გადამისვრიდნენ ქარაფ ფლატედან,
დამეცემოდა ღრუბლის წინწკალი.

ასე მეწერა, ალბად, მე ცოდვილს –
მარადისობის კოშკების პატრონს,
და როცა, ჩემო, ერთ სისხამ დილით
გულ-ღვიძლი ხანჯლით ამომიფატრონ.

მოდი, იქ სადაც ჩამფლავენ, ჩიტო,
არ შეკრთე, ძეგლი დაკრიჭავს კბილებს,
მიუალერსე, ნუკი იტირებ,
შენი ნისკარტით დარგულ ყვავილებს.

*15 თებათვე, 1957*

როგორ პირქუშად მიდიოდნენ დღეები ჩემი,
როგორ როკავდა ჩემს ლოგინზე დუშმანის ჩრდილი,
რაღაც სიცილი, უნახავი შიში დამჩემდა,
ქრისტეს ჯვარივით ჩემ ლექსებზედ გადაზნექილი.
ცოდვის კითხვაა... სივრცეებიც დაკეტილია,
გარედან მთვარის შუქი ადევს როგორც ურდული.
როგორ მომბეზრდა უთავბოლო ეს ხეტიალი,
ქუჩებში ძილი და ძაღლივით ყველგან ძუნძული.
როგორ მომწყინდა ეს სიცოცხლე, როგორ შემძულდა,
ყვავის ცხოვრება არ სჯობიან ამ ჩემ მწარე ხვედრს.
უნდა ავლესო ყასბის დანა, ანდა წალდულა,
თითქმის ყოველდამ ბნელ სიზმრებში სიკვდილსა ვხედავ.
ო, ღმერთო, როგორ დავიქანცე, მივწყდი, მოვეშვი,
პირქვე დაცემულს ქარიშხალიც ვერ ამაყენებს,
ჩემო ნუგზარ, მამა უნდა დაგემშვიდობოს,
უკანასკნელად დაგიკოცნი საყვარელ ხელებს.

*დეკემბერი, 1958*

* * *

წავლენ დღეები და გადაღმა ძველი ჭანდარი
შაშვის ფრთებზე შეიშრიალებს,
წადი, იარე, შარა გზებზე ჯანდაბამდისაც,
კარგად იცოდე, რომ არავინ არ შეგიბრალებს,
თუ დაეცი, თავს დაგადგება სულთამხუთავი,
იქნებ ქარებმა მოგაკითხონ საპანაშვიდოთ,
შენ ხომ სიცოცხლე, შენი ბედი გძულდა მუხთალი,
წადი, იარე, დღე დაიმალე,
ღამე განვლე გზებზე მშვიდობით.

*5. I. 1959*

# , ჯ

სადა ხარ, სადა? ჩემო კეთილო,
ჩემი შრიალა ბადების ფხირო,
ჩემო ცხოვრებავ, მხარ მოკვეთილო,
ჩემი ლექსების ბრძენო ვეზირო.
სადა ხარ, ღამეს იცვამს ქარბუქი,
და სოფლის თავში ღმუიან მგლები.
გეძებ და გასწვრივ კლდე მემუქრები,
წადი, მომშორდი, ნუღარ იღლები.
ის დაიკარგა გველის სისინით,
ის გაიტაცეს ღამე, ჩანჩქრებთან
სულ უცაბედათ, როცა კისკისით
ნაკადულებთან გვირილებს ჰკრეფდა.
ყვავილებს ჰკრეფდა და თითქოს გული,
უფართხალებდა სველ ლექსებს შორის,
ამბობენ, სივრცეს გადაკარგული,
მიჰყავდა ქარებს ქრისტესა შობის.
ის დაიკარგა. უ, დაიღუპა,
რა საჭიროა კითხვა და ძებნა,
ამბობენ, თურმე იმის საფლავიც
ქარის ფეხებით რომ დაიტკეპნა.

*25. V. 1960*

გამოვედი გარეთ, გათენდა,
მწვანე ჭანდრებმა დააჭყიტეს ლურჯი თვალები,
მარტო ვიყავი, ქუჩის ბოლოს ვინ ამედევნა,
რა ღვთის წყრომაა, ნუთუ კაცი არ ვებრალები.
გამოვედი სახლიდან და უცბად გათენდა,
უცბად იკივლეს გრიგალებმა და დაიკარგნენ,
ასე მგონია, მსოფლიოში მე დავითენთე,
და ქართველები ჩემ ლექსების წალკოტში ჩადგნენ.
რა ვუწოდო ჩემ ლექსების გულწასულ დუმილს,
ხმას არ იღებენ, დაიკარგა ბედის მშვენება.
უბედურ პოეტს
რა ეშველება, რა ეშველება.

*2. VI. 1960*

## ე კ

ცოცხლობდა კაცი, თრთოდა, იწოდა,
ხელის გულის ქვეშ უმზერდა სივრცეს.
სამშობლოსაგან გული სწყდებოდა,
საქართველოში გრძნობდა სიცივეს,
ისე აწამეს, ისე ჩაწიხლეს,
და იცი ვინა, ძმათ მეგობრებმა,
იმას პარავდნენ კარწინ ხეხილებს,
ო, ერთხელ ხელიც კი სტაცეს მკვდრებმა.
ვერ მოისვენა იმ უბედურმა,
სადღაც ეძებდა ტაძარს, სამშვილდეს,
სახეზე მუდამ ნისლი ებურა
და წმინდანებმაც ვერ დაამშვიდეს.
შევიდა ცრემლით, დაგვით მოცული,
გულამოსკვნილი ტიროდა კაცი,
ემდუღრებოდა მთელი გულღვიძლი,
საყდრის წინ იდგა ყრუ აკაცია,
ქრისტეს ბავშობის ვხა და მანძილი.

ის დადიოდა მწირი, დევნილი,
კარსაც არავის უკაკუნებდა,
ის მთების იქით გადახვეწილი,
რაღაც გაურკვეველ ლექსს დუდუნებდა.
ბოდე, ჩემო ნიკო, ბოდე,
იქნებ ამ ბოდვაში ამოგძვრეს სული.

*30. X. 1960*

* * *

წუხელის შეგხვდი, სადაც ბნელ წნორებს
ამოეხეთქათ გული ტირილით,
მტკვარ გაღმით ჭალა ფრთებს ისწორებდა,
და სწვიმდა წვიმა ოდნავ, ჟინჟღილით.
გადაგფენოდა მთებზე ჭაღარა,
შორს ეშვებოდა ფანჯრებზე ფარდა,
მე მიცქეროდა ძველი ჭანდარი,
და ის თვალები მე რო მიყვარდა,
სოფლის ბოლოში ჭოტი კიოდა,
წისქვილის რუზე ვიბანდი ხელებს,
საყდრის მტრედები ლოცვებს კიკნიდნენ,
ალი დასდევდა ციცინათელებს.
და ხარხარებდნენ ნაძვების ძირში
ის წარმართები მე რომ მლანძღავდნენ,
მე გავატარე ბედი ტირილში,
და ჩემი ტანჯვით მაინც ვერ გაძღნენ.
დავალ მარტოკა, ოჯახის მწირი,
ჩემი ლოთობა ბავშვებს აწუხებთ,
ო, ღმერთო ჩემო, რას მოვესწარი,
ვინ მომაცილებს ამდენ მარწუხებს.
გაივლის დრო და ჩემო კეთილო,
იტყვი, ვიცნობდი უბედურ პოეტს,
ამ წყალწაღებულს მარიამ ქალი,
რათ შეიშალნენ, რათ მიათხოვეს.

*30. X. 1960*

## ᲣᲣᲣ

აქ მონასტერი ზარს აღავლენდა,
ღობის ქათიბზე ეძინათ იებს,
ღამეს დავშორდი ქარიშხლებს გაღმით
და განთიადებს ვერ დავეწიე.
ვერ შევაფარე თავი აკლდამებს,
იქ წყვდიადები ღმუოდნენ გაბმით,
მე მივდიოდი, სადღაც კანდელი,
იწოდა ჩუმად, წვითა და დაგვით.
საკუთარ კუბოს მხარზე ვიდებდი,
შიგ კი ესვენა ეს ჩემი გული,
მარადისობა ცის ქვეშ ყბედობდა,
სამრეკლო ლოცვით გადაბუგული.
ხან გრიგალები მართმევდნენ ცხედარს,
ყრუ აღმართები ყალყზე დგებოდნენ
მუხლი მწყდებოდა ქარების მხედარს,
სადღაც ღვთისმშობელს ვეცოდებოდი.
დარდი მკორტნიდა უკურნებელი,
თითქოს სხეული დაეხრათ ჭიებს,
ღამეს დავცილდი – ტიალ უკუნეთს
და განთიადებს ვერ დავეწიე.

*2. XI. 1960*

## Ე ,Ე Ჯ Ე

ქარიშხალია და ტლუ ბერმუხა
მძლავრად შრიალებს, ფოთოლთ მტვერია,
როცა უყურებ ხეების ფერხულს
განა სიკვდილი სანატრელია?..
წაიღეთ კუბო, ჩაფალით სადმე,
შიგ ჩემი გვამი ვერ იბოგინებს,
ქარიშხალია ცათა კიდემდე,

და სივრცეს უშლის ღრუბელთ ლოგინებს.
წაიღეთ კუბო, მომწყვიტეთ ცხედარს,
მინდა ვეწამო, ვიწოდე ცოცხლად,
ასწიეთ კუბო, უთხარით დედას,
შიგ ჩავდეთ შენი ყვავის ბახალა.
მაგრამ იქაც კი ვერ მოისვენა,
წამოიჭრა და გასწია სადღაც,
ვერ დაუძახეთ, დაგვება ენა,
ის გაჰყვა ზევით ქარების ბღლაძუნს,
და დაიღუპა ქარში ქვითინით,
აქ ცარიელი კუბო ტიროდა,
ენთო სანთლების ქათინაური,
და ღვთისმშობლის წინ ბალღი დარბოდა.
იმას სწყუროდა სიცოცხლე კიდევ,
სძულდა უკუნი, ბნელი, ვერაგი,
ჩვენ დავინახეთ ქარი დაბრუნდა
და ტანზე ეცვა იმის პერანგი.

*21. XI. 1960*

## ✓ ✓

გათენდა, ქარმა გადასწია ღამის ფარდები,
ხეებს მოედო ფრინველების ხმების გვირისტი,
ბავშვებსა შიათ, ალბად წყალში გადავვარდები,
როგორ მიყვარდა ჩემი მტკვარი, ჩემი თბილისი.
ჩემმა თბილისმა მაშიმშილა, ბოლო მომიღო,
არ შემიბრალა, არ დამინდო, არ შემიფარა,
სულ ღრუბლების ქვეშ მივდიოდი დაღონებული,
ავდრების თავსხმამ ამიტაცა და შემიყვარა.
წყეული იყავ, შე ოხერო მარადისობავ,
ჩაგიწყდეს ეგ ხმა, ეგ ზარების მძიმე გრიალი,
შენს გზებზე უშნო ხეტიალით რო დამაოსე,
რაზე დამჭიდე (ტიალა) ეს უდაბნო და ეს გრიგალი,
ბავშვი შიმშილობს, მეხვეწება — პური მიშოვე,

რა წყალს მივეცე, ვალში ჩაფლულს რა მეშველება,
ეს გულის წყლული პოეზიით ვერ მოვიშუშე,
ჩემი სხეული სამარეშიც ვერ ჩაიშლება.
არავინ მოდის, ყველამ პირი მიბრუნა, ძმაო,
სულ ადარავის არ უნდივარ, არც მიკარებენ.
მთელი გულღვიძლი ქარიშხლებმა ამომიძოვეს,
სასაფლაოზეც მომიხურეს მკვდრებმა კარები,
ბავშვებსა შიათ და კაპასი ცოლი მაგინებს,
რა ოხრათ მინდა შენი ლექსი და ნაჯღაბნები,
წადი, ქუჩებში იმათხოვრე, შე ვიგინდარავ,
პურის ნატეხით გამოკვებე მაინც ბავშვები.

*9. XII. 1960*

* * *

რას დაეძებდი, შე უბედურო,
ქარები სპობდნენ მისავალ ბილიკს,
იყავი ცივი და უმადური,
და დაძვრებოდი ყველგან ხვლიკივით.
ზურგით დაგქონდა შენ პოეზია,
დაატარებდი კარიდან კარზე,
დედაც ტირილით წამოგეწია,
და საცოდავათ დაგეყრდნო მხარზე.
შენ არ მიხედე დავრდომილ დედას,
და გაუშვირე ხელი საყდრისკენ.
შენ ღვთისმშობელი სიზმარში გხედავს,
და ხან გასცქერის ცას ავდრებისკენ.
ის საცოდავი ლოცვებს აღავლენს,
ღმერთო, განკურნე შვილის წამება,
რა საცოდავათ ატარებს ნაღველს,
სად უთენდება და სად მიწვება.
ტიალ სარდაფებს ასკდება, ტყვრება,
ბოლო არ უჩანს იმის გოდებას,

ვის რადათ უნდა, ლექსებსა ყვება,
ბოლო არ უჩანს მის გაოგნებას.
ღმერთო, მიხედე, ცოდოა, ცოდო,
ასე გაშინჯე, სულ დასცინის მკვდრებს,
სულ ცეცხლზე იწვის, თითქოს ამ ცეცხლში
თავის საკუთარ ძვლებს უკეთებდეს.

*XII. 1960*

* * *

ქართა სიჩუმე, ბუჩქების ჩრდილი,
მთვარე კარტსა შლის ვარსკვლავებს შორის,
გამოვიღვიძებ და ალბათ დილით,
ვიდაცა ჩემსკენ ტირილით მოდის.
ის სამშობლოდან გამოუგდიათ,
მოდის მარტოკა, კრულვით დევნილი,
ღმერთო! რამდენი რამ განუცდია,
ჯოჯოხეთიდან გადმოფრენილი.
სახე ალეწილს სადღაც მღვიმეში უთენებია,
მოშვებულ წვერით, აჩეჩილ თმებით,
ის საუკუნეს შეუნგრევია
და დაქანცულან ღრიალით მთები.
ქართა სიჩუმე, ცუდი ჟამია,
რადაც ქარბუქებს აბირობს ბედი,
მგზავრს რა ღიმილი გზაზე შეჰყრია,
ვაჰ, ბეწვის ხიდზედ ვეღარ გახვედი.

*1960*

ის ჩუმად სწერდა, თითქმის მალულად,
უყვარდა ნისლით ნალექი გზები,
რომ მიიცვალა, უცფად, ქურდულად,
თან გაიტაცა თავის ლექსები.

და მეგობრებმა გადააქოთეს,
მთელი ოჯახი, წალო, კარადა,
ვერ მოისაზრეს, ვერც მოიფიქრეს,
თუ მკვდარი ნაწერს მოიპარავდა.

*თებერვალი, 1961*

## ძ ტ

გეყოფა ბოდვა ბედის ურგებო,
ბუხარს ფუტურო ძვლებს ნუ უკეთებ...
აღზევანს კიდევ წავლენ ურმები
და, მოიტანენ ნადავლს უკეთესს.

რა ჭირათ უნდათ ლექსის ბაჯაღლო,
ან მღვიმეების სანთლების მწუხრი,
რა კარგს ჩაიდენ, თუ შენს ნაჯღაბნებს
მშიერ ქარბუქებს გზათ გადაუყრი.

ამოესვრებათ სისხლში დინგები —
ნადირებივით შეჭამენ ლექსებს.
ზეცაზე ზეცა გადაფრინდება,
თურმე ამისთვის ჩამოგათესლეს.

უჯიშო ხიდან გამოთლილი ხარ,
აღთქმასთან მისვლა როგორ გაჭირდა,
მე გავიგონე ღმერთის ღრიალი
არმაზის კერპი ყელს როცა სჭრიდა.

ეს დედამიწა ხვნეშის სივრცეში,
ანგელოზები ოშკში ბოზობენ...
მგზავრი სულს დაფავს დიდ სიცივეში
და ჯალათები სადღაც ბრაზობენ.

მეც მიყვებოდნენ უხილავ ამბებს,
ზოგი ჩამოწვა, ზოგიც ამაღლდა –
რამდენი გიჟი ბოძზე დააბეს
და ბაირონიც სადღაც ჩაძაღლდა.

ხედავ, სამშობლომ დედა გიტირა –
თავი გიტკიცა სამიკიტნოში,
ვიღაც ტინგიცა გაგატრიზავებს
და, დაგფლეთავენ საქართველოში.

კმარა, შესდექი, მოეშვი წერას!..
ხმაც შეიცვალე, სახის იერიც,
რა მიქარვაა ეს ბედისწერა,
იქნები ვირი, თუ მეცნიერი?!

*მაისი, 1961*

## , ᲣᲣᲣ

მკერდს მიხუტებდი ბავშობიდან დაკარგულ პოეტს,
თუმცა რა იყო ჩემში, გარდა ნანგრევის მეტი,
მეუბნეოდი, ჩემთან დარჩი, ნუ გეშინიან...
ყომარს თამაშობს, ვიცი, ეხლა ჩემი პოეტი.

რა ვუყოთ მერე, ასეც მოხდა, რაღას გავაწყობ,
შენი ბრალია, რათ მირჩევდი ქალაქათ წასვლას?!
ნუთუ ვერ გრძნობდი, გვერდს მიხვევდა ტიალი აწმყო,
ჩავაფლავებდი უმაღლესში ყოველგვარ სწავლას.

ნეტავ სოფელში ვგდებულიყავ, შენ შეგირთავდი,
მე გუთნის დედა ვიქნებოდი, შენ კი მებაღე,
ვახშმობის შემდეგ თითისტარზე ძაფს დაართავდი,
და ადუღებულ რძეს მოხდიდი ტუჩისქე ნაღებს.

ჩვენი ბავშვები მერცხლებივით დაიზრდებოდნენ,
ცრუ ექიმებთან ასე ხშირად აღარ ვივლიდით,
ბოსლის კარიდან გამოყოფდნენ თავებს მოზვრები,
ღამე მამალი იყივლებდა თავის ჯინჯილით...

ის იყო უნდა გზებზე ბინდი დარხეულიყო,
რომ წამოგაწყდი მეგობარო და მოგეხვიე,
მერე ჩაძმარდი... მიყურებდი გახევებული,
თითქოს თეთრ თმებში, თეთრი გული წასვლოდათ იებს.

*მკათათვე, 1961*

მთვრალ საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა,
რაც დაყიალებ ჩემო ძმაო ამ ქვეყანაზე,
ბევრი დაგცილდა, ზოგიც ხვნეშით ისე გავირდა,
რომ ლამის ცოცხლად გადაემტვრეს დუქნის ყაფაზებს.

მთელი სამყარო ტორტმანობდა, კორიკაობდა,
სხეულში ჭირათ გასჩენოდა ჭია და სრსვილი,
დანიის პრინცი ჭორაობდა, ხან კინკლაობდა,
ჩვენი პლანეტა ღრიალებდა სისხლში გასვრილი.

ყარიბი იყავ, პოეზიამ დაგღუპა კიდეც,
რა ძალა გადგა, რას ჯდაბნიდი, რას ლუღლუღებდი,
ან ქადაგივით საყდრის გვერდით რაზე დაეცი,
რა, არ იცოდი, რომ სიცოცხლეს აღებინებდი?..

თავი მოგქონდა, რომ ლექსებით ბერავდი გუდას,
გლახა მესტვირევ, დადიოდი მუდამ კარდაკარ,
კაცობრიობა კი ცეკვამდა ძველ უზანდარას,
ზოგჯერ წინაპრებს მისტიროდა: „ნეტავ სადა ხართ?..“

თავქვას ახლიდი, შენ გეგონა ბრბო შეგივრდომებს,
რაკი ნაწერებს გადააწვდი გულის ღობედან,
სულელი იყავ, უბედურო, შე ვიგინდარავ!..
შენ რომ დარდობდი, ამ შენს ლეშზე ხალხი ღრეობდა.

მარადისობის მღვიმეებმა რათ შეგიტყუეს,
აქ გდებულიყავ, არ გერჩივნა? შე შობელძაღლო,
ბაზარზე მაინც გაყიდიდი ჩიტებს და ბუებს,
და იქნებოდი თავ მომწონე კაცი – ბაჯაღლო.

აბა რა გიყო, შემომაცვდი ხელში, დაბერდი,
ადარც სამშობლო, მომცრო ბინაც არ გაქვავია,
კაცი რომელიც იბადება ლექსათ ამღერდეს,
ის აკვანშივე უსათუოდ მოსაკლავია.

*მარიამობისთვე, 1961*

მე მივდიოდი და გრიგალები
მეღობებოდნენ მუდამ ქარდაღმა,
ბუ ჩამცქეროდა მდვრიე თვალებში,
სამშობლო იყო ჩემი ქარაგმა.

რას მოხოვდა ნეტავ უბედურ პოეტს,
მე რა მექვავა ლექსების გარდა,
რა ვქნა, მშობლებმაც რომ მიმატოვეს,
რა ვქნა, რომ უცბად დაეშვა ფარდა.

არ შეინახოთ ჩემი სახელი,
დასწვით რაც რომ მე შემიქნია.
ერთი რამ დამრჩა გადასახდელი,
რაც იღლიაში ამომიჩრია.

და ეს ნადავლი იცით რა არის?
ძველი ხალათი, ქუდი და კუბო,
ამით ვეწვევი მარადისობას
დე იქ ნისლებში, რომ დავიღუპო.

რა ჭირათ მინდა თქვენი ხსენება,
ან რომ ძეგლები ამიგოთ სოფლად,
ან გვირგვინებით გამოსვენება,
თქვენი ჯლოყინი, ხმა მოთაფლული.

რათ მინდა ჩემი გვარი, ფიქრები
დარჩეს და ჯიჯგნონ ფილოლოგებმა.
ამით ხომ უკან არ მოვფრინდები,
რომ კვლავ შემყეფონ შავმა ლოდებმა.

აბა რათ მინდა წიგნის ფურცლებზე
თავი ამოჰყონ ჩემმა ლექსებმა,
იმატაოცონ თავის ცრემლებით,
და შარაგზაზე შეღრინონ მგლებმა.

რომ ვიღაც, სადღაც ჭკუათმყოფელმა,
ჩემზე დასწეროს: ის დიდი იყო,
ხან მეორემ, თუ გინდ სოფოკლემ,
სთქვას, წყალწაღებულს სიკვდილიც ეყო.

ამას როდი ვწერთ, თითქოს,
ბრბოს, მილეთს თავს ვაბრალებდი
და განგებ ვბოდავ,
დე, ყველაფერი წყალმა წაიღოს.

მე ისეც ჩემ თავს ო, რამდენს ვცოდავ.
მე რომ დავდივარ, ვტკეპნი ბნელ ქუჩებს,
ხან როსკიპებზე მიჭირავს თვალი,
სიკვდილის მერეც არ გავჩუმდები.

ვიტყვი, რომ მძულდა მთელი ქვეყანა.
ქვეყანას ლექსებს რას დავუტოვებ,
ანდა საქებრად, ან საგინებლად,
ჩემი ცხოვრება მუდამ ბნელოდა.

ჩემი სიცოცხლე იყო ქარაგმა.
და ეს ქარაგმა ვერ ამოვხსენი,
ისე წავედი თვალდახუჭული,
კუბოდან კარგად ვუმზერდი ყველას,
როგორ მომდევდნენ თვალდახუჭული.

*11. X. 1961*

* * *

მივდივარ, ჩუმად გავცქერი ველებს,
ჩემო ნუგეშო, შენ შემოგევლე.
ნისლი შიგ მკერდში ჩაჰკვრიათ ხევებს,
შენი ლეჩაქი, შენი მანდილი ამ ადგილებმა გადაინახეს.
ჩემ სიყრმის ხანზედ გიწერდი ლექსებს,
და ვამღერებდი თოვლს და ნამქერებს,
შენს ნაკვალევზე, როგორც ფუტკარი
ვწუწნიდი ლექსებს, ცრემლების ღვარი
ისევ მდიოდა, ჩემო კეთილო.
ჩემ ბედკრულ გულში გამოკეტილო,
თურმე რა არის ბედის ჩივილი,
ეს არის გულის მწარე ტკივილი,
არ შემიფარეს, განუკითხავი
მარტო მოვკვდები, მარტო ვიყავი.
საკუთარ კუბოს მე გავასვენებ.
წადი, იხარე, ნუ გამიხსენებ,
ნუ მოიგონებ წამებულ პოეტს,
ვინც გრიგალებმა დაანაფოტეს.
ვის სიმღერებზე ნარი დაამყნეს,
ლექსის მეუფე დასცეს და გარყვნეს.
ნუ მომაკითხავ, დამწყევლეს მგონი,
ჩემ სამარესაც ვეღარ იპოვნი.
რა საჭიროა, სიკვდილის მერე
უკვდავება და სიბედნიერე.

*3. XII. 1961*

კარგა ხანია დავშორდი სოფელს,
შენ კი მანდ დარჩი ჭაღარა ბიძავ,
შუბლზე რომ მუდამ გეყარა ოფლი,
სარჩოთ გებადა ურწყავი მიწა.

მახსოვს ძილის წინ ზღაპრებს ჰყვებოდი,
წისქვილის გვერდით, თელას ჩეროში.
აპრილის ღამე და ყველიერი
ერთად ბუქნიდნენ საქართველოში.
ზოგჯერ წარსულსაც მოიგონებდი,
როცა ავდარში უდექი ნახირს,
ძირნაყარ თუთას რომ აგროვებდი
და გასცქეროდი მადალ დანახვისს.
ფაშარი პურის ნატეხი, კუტი,
ჯამზე დასხმული ცივი მახოხი –
ეს იყო შენი კერძი კუთვნილი
და ფშნის გადასწვრივ წოწოლა ქოხი.

მომწერე ბიძავ, ეხლა როგორ ხარ,
თუ ალიონზე კიდევა დგები,
კაკლის ხეები კვლავ ხარხარებენ,
თუ შრიალებენ სანდროს ჭანდრები?..
მე რომ მიყვარდა ამბრიანთ გოგო,
ნეტავ ვის უხდის ღიმილის ნაღებს?..
ის ჩემში ჩუმად დაგოგმანობდა,
მე მის სიზმრებში ვათევდი ღამეს.
ვინ იცის, იქნებ ცოლად ჰყავს იმას,
ვისაც ლექსების მოსმენა უმძიმს,
დილით ლერწკალას საპონს წაუსვამს
და კიტრის ზიდვას ვეღარ აუდის.

ჭირიმე შენი, ბიძავ კეთილო,
შენს სათნო სახეს რა დამავიწყებს,
როგორ მიყვარდა ჩაშლილი კალო,
ხან რომ ჭალაში დავდევდით ციყვებს.

ალბად, იკითხავ, ბიჭო რასა იქ!..
ბიძავ, დავკარგე შარა და კვალი,
და თვალებიდან, თითქოს არაკი,
უთქმელ ლექსების ამომდის კვამლი.

*1961*

* * *

ის ღამეებმა დიდხანს არწიეს,
ერიდებოდა ხრამსა და ფლატეს,
რა ჰქნას, რიჟრაჟებს ვერ დაეწია,
განთიადებმაც რომ უღალატეს.

*1961*

* * *

მივალ, კარებზე უდევთ ურდული,
დავაკაკუნებ, ხმას არავინ მცემს,
და რომ ვაცხოვრო ჯალაბი კრული,
გარეთ, ქუჩაში ვეძებ ნამცეცებს.

დავაბრახუნებ კარს კიდევ მძლავრად,
ჩამეთუთქება გულღვიძლი პოეტს,
ყველამ გაძრიყა... ვიღაც მტარვალი,
ალბად, ყვირილზე ხალხს მომიგროვებს.

*1961*

* * *

რა საოცარი ყოფილა ყოფა,
როგორ მფარავდა სიყალბის რიდე,
მე კი მეგონა, ზეცას გავყოფდი,
როცა თვალები გამოვაჭყიტე.
როცა მირწევდნენ აკვანს ნანინით,
ვფიქრობდი, მოვხვდი ადთქმის მხარეში,
შემომიტყუეს, თურმე ნიანგებს
შეუტბორიათ ქვეყნის ბარდებში.
წადი და ეხლა გაძვერი სადმე,
არც ღუღრუტანა და არც ხვრელია,
კარებს ურთხელის ურდული ადევს,
ვხედავ საფლავიც გაუთხრელია.
ანდა საფლავიც ნეტა რათ მინდა,
ილაზღანდარონ მომაკვდავებმა,
ზედ დამაყარონ წუწკი შენდობა,
გადამიარონ ღამე დათვებმა.
ან ჯიბგირებმა მომინახულონ,
ყომარი გახსნან იქვე მწვანეზე.
ან დედაჩემმა რომ იმარხულოს,
ცრემლი დაჭიდოს სხვილ წამწამებზე.
მივალ, მივდივარ მოკლული დარდით,
შეკუმშულ გულში ათევს ზამთარი,
იტყვიან, მოკვდა შავი სახადით,
მოვიდა, იყო, ეხლა არ არის!

*მე-17 ATK*[1]
*15. II. 1962*

[1] *ATK – fdnjnhfycgjhnyfz rfynjhf – ავტოსატრანსპორტო კანტორა.*

* * *

*(ჩემს ნუკრიას)*

გადაიღლება გული დარდებით,
გულმა დამიწყო ცემა და წნევა,
მე ქვეყნად რაღას გამოვიდარებ,
ბედნიერება რას დამეწევა.
მე ქვეყნად გავჩნდი მწუხარებისთვის,
გავწყვიტე ლხენა მთებთან და ბართან,
რათ დავიბადე, ნეტავი რისთვის,
არ ვიცი, ღმერთო, რა დამემართა,
მე მიძახიან ბუღალტერს, პოეტს,
გულს კი ოხერი რაღაც სხვა უნდა,
ჩემი ფიქრებიც, ჩემი ცხოვრებაც
ვეღარ აგიწერთ როგორ შემძულდა.
გადავაბიჯე სიცოცხლის ზღურბლს და,
აღარც კი ვიცი, საით წავიდე.
იყო დრო, როცა შუბლს უგრილებდა
ბარათაშვილსაც დიდი მთაწმინდა.
მე არაფერი აღარ მიზიდავს,
შეანჩხლებული ბედის ურგები,
ის დრო მერჩივნა საზანდარივით,
როცა მღეროდნენ საძნე ურმები.
როცა გერისთავს მლოცველთ ნაკადი,
როგორც ღვართქაფი ისე უვლიდა,
როცა ბრმა მიხა თავის არაკით
დაყრილ ხარ-კამეჩს ლაგლათი ღლიდა.
სოფლელ ბიჭს მეცვა თეთრი ხალათი,
ასე შეუთქვეს გერს ხომ ჩვენებმა.
ეხლა კი ვცოცხლობ ძალის-ძალათი,
ვით პანაშვიდი და გასვენება.

*ATK. 17, რევიზიაზე*
*16. II. 1962*

* * *

იმ ხეხილებზე ჰყვაოდა ბედი,
ბედი, რომელიც ჩაწიხლეს გზებზე.
ვიყავი მუდამ მგოსანი-ყბედი,
და ვაწყდებოდი სულ მუდამ ძეძვებს.
მთებს ისე ვუმზერ, როგორც ყოველთვის,
კაცობრიობის ჩონჩხების გროვას.
მტკვრის პირზედ ჩუმად აზიდულ ხერთვისს,
როგორც სამშობლოს ტანჯვას და გლოვას,
მე კი სამშობლო მექცა კატორდათ,
ხელფეხზე მადევს სხვილი ბორკილი,
ეს პოეზია დე დარჩეს ოხრათ,
თუ ჩამასვენეს მე გათოკილი.
თუ არ მაღირსეს, მემღერა ჩარად,
პირი ამიკრეს, სული შეხუთეს,
და კუბოს ფული რომ არ გაგვაჩნდა,
დედა ეძებდა გადაყრილ ყუთებს.
მე მათხოვრებმა დამასაფლავეს,
და შილაფლავით გასკდნენ ორმოსთან,
შენი ბრალია, შენ ჩააფლავე,
შენი ცხოვრება შენ ბედურგებო.
ასე იტყვიან, დაფლეთილ ძონძებს,
ზედ დამაყრიან, როგორც ყვავილებს,
გავა ხანი და ვიღაც მოძებნის,
აქა მარხია! ძლივს დაიყვირებს.
რაღას მიშველის მზრუნველთა ჯღანი,
გვამი იქნება უშნოდ დაშლილი,
რა ბედენაა, ლექსს ვინ ჯღაბნიდა,
თუ სწერდა ნიკო სამადაშვილი.

*რევიზიის დროს*
*26. III. 1962*

* * *

*ჩემ გივი ერეკლეს-ძე ტატიშვილს*[1]

შენი ნუკრია მხვდება ხოლმე ხანგამოშვებით,
ჩავყირავდებით ძველ სარდაფში და შენ გახსენებთ.
აქვე ზმუიან ლამაზთვალა ნიშა მოზვრები,
ბალდახინიდან ჩამოგიღეს ხელის ციმციმით.

რატომღაც, ჩემო, როდი მჯერა, რომ აქ მარხიხარ,
შენ ხომ აკლდამებს, პანთეონებს უმზერდი მტრულად.
რომ შეღამდება, დედამიწის გასწვრივ დარბიხარ,
ზოგჯერ შენს საკანს ეპარები რაღაც ქურდულად.

როგორა გტანჯეს, ღმერთო ჩემო, რა უმოწყალოდ,
რათ გიყვარდაო — გაგინებდნენ — საკია-მუნი!
რა ვერაგია ეს ტიალი წუთისოფელი,
რა ნადირია, რა მშიშარა, რა მაიმუნი!

შენი ცხოვრება ზარატუსტრას ფერხული იყო,
მუხლმოყრილ ცეცხლთან განწირული კაცის ვედრება.
კარზე გეწერა: ილოცებს დიდხანს, მაგრამ მაინც დაიღუპება,
აქ დაიბადა, საიქიოში ძლივს დაბერდება.

ვინ იცის, როგორ შემოგაცვდა ტანზე სამოსი,
არ მოერიდო, თუ გიბოძონ მკვდრებმა ძონძები,
მადლობა გამჩენს, თუნდაც იქით, მარადისობას,
ვიღასაც[2] ძმაო, ერთხელ მაინც, შეეცოდები!

*ქ. თბილისი*
*5. XII. 1962*

---

[1] *ლექსი ეძღვნება ერეკლე ტატიშვილს. ავტოგრაფზე მინაწერი „ჩემ ერეკლე ტატიშვილს“ კი იმას ნიშნავს, რომ ეს ავტოგრაფი აჩუქა გივი (ნუკრი) ტატიშვილს.*

[2] *ვიღასაც — **sic!***

მე მივქროლავდი როგორც უდაბნო,
ცხედარზე უფრო დაუზარებლივ...
და მსოფლიოდან ისევ მიძახდნენ
ცადაკარგული ხშირი ზარები.

სიტყვებს ვუგდებდი შეხვედრილ შარას,
ტერფებს ფოთლებით ვერ დამიამებ.
მონასტრებს ზევით ვხედავდი შავად
სივრცეში გაკრულ ადამიანებს...

ნისლის სვეტები იდგნენ გარშემო,
ნისლებს შუადღეც ვერ ათენებდა.
გული იწვოდა და ლურჯი კვამლი
მსხვილად მდიოდა ბნელ თვალებიდან.

მე ხმა მესმოდა, როცა ქვეშ მკვდრები
მძიმე ურდულით კეტავდნენ კარებს,
ქარში ლოდები ზედ მაფურთხებდნენ:
„არ მიგიკარებთ, არ მიგიკარებთ!..“

წასვლა მიწისკენ მეზარებოდა.
ხავსივით მედო სახეზე ცრემლი,
თუმცა ზარები კიდევ მიძახდნენ
და ანათებდნენ ზღვა სივრცეები.

მთვარე ქვასავით ედო სამყაროს,
სიბნელე წყლებთან ერთად ჰკიოდა,
მხოლოდ სინათლე ამ წუთისოფლის
თხელ კამარებში გამოდიოდა...

ვიხედებოდი დასაბამისკენ,
ღრუბლებს სანთლები სადღაც აენთოთ,
უნდა წახვიდე! — მისტვენდნენ გზები,
— უნდა მსოფლიოს კიდევ გაენდო.

ვეხვეწებოდი შერყეულ ხელებს,
პლანეტებს უკან ნუ იყურებით.
ბინდში ელავდნენ გრიგალებივით
ღიმმორეული ნაფეხურები.

შეხვედრილ ქარებს ვწერდი პირიჯვარს,
რომ დამშვიდება მაინც მეხილა.
ნაბიჯს ვადგამდი ფილტვებშემკრთალი
და ვახველებდი სივრცეში ფრთხილად.

კუბო მიჰქონდათ ვერხვების ტოტებს
და შემოდგომის დღეები გრილი,
გამომცქეროდნენ მკვდრები ჯგუფ-ჯგუფად,
გრიგალის შუქი ეფინათ ირგვლივ.

აქ, მსოფლიოში, მზე ჩადიოდა,
მე იქ, კამარებს თვალს ვაფარებდი.
სადღაც ქარბუქი ლექსებს ამბობდა
და ყურს უგდებდნენ სველი მტრედები...

ვიღუპებოდი უვარსკვლავებოდ,
ვიწევდი მაღლა ფეხის ცერებით,
უკან ზარები კიდევ ტიროდნენ
და გუგუნებდნენ ზღვა სივრცეები...

*ქრისტეშობისთვე*

# ძ

გამოხვალ გარეთ, გახედავ შარას,
ქარში ეგდება ღრუბლების ღერი.
შენს წამწამებთან შეიშრიალებს
ჩემი ცრემლები, შენი გიშერი.

მკერდის უბეში ჩაიკრავ ჩუმად,
თალხი სიზმრების დაყრილ ბარათებს.
ფერად ხსოვნებით გაავსებ უცბად,
ნაის იებით დაწნულ კალათებს.

განცდების ფიფქი და გაოგნება
დაღუპულ დღეებს სადღაც ასხია.
შენი გიშერი საფლავს მაგონებს,
მანდ კულულების სითბო მარხია.

შენ ხომ უთევდი ღამეებს თეთრად,
ღია ფანჯრების დაკარგულ ალერსს,
ეზოში შენზე მდეროდა თელა,
ჩაძირულ ჩრდილებს და სივალალეს.

თვალებმა ალბად დიდხანს ილოცეს,
რადგან სახეზე კრთის კანდლის შუქი,
ამაღამ ალბად ნიკოც ილოთებს,
კარს შემოაღებს, როგორც ქარბუქი.

გამოხვალ გარეთ, გაყვები შარას,
დაღუპულ პოეტს რაღას მიშველი,
ქარებთან თუმცა ხომ იშრიალებს
ჩემი ცრემლები, შენი გიშერი.

*28 იანვარი*

# ე

❖

გავხედეთ ალგეთს, ბოკრო ფერდობებს
ქეცად შეჰყროდათ გაჭრილი ახო,
მთები ხრჩოლავდნენ ნაირფერებით,
ცხვრის ფარა იდგა კვარცხლბეკის ახლო.

ლორწო ფლატეებს სწოვდნენ კლდეები,
ფილტვებს ფურჩქნიდა სუნთქვის ყუათი,
მიწა გაირღვა, თითქოს ქვესკნელმა
ამოისროლა ტაძრის გუმბათი.

დავეშვით ქვევით და ბეთანიამ
ზურგი გვაქცია, ტყეს შეეფარა.
ცოდო არ გვქონდა, იცოდეს ღმერთმა,
ღობის სიწმინდეც რომ შეგვებღალა.

ხევში მდინარე შემოგვეფეთა —
შეწირულ ბავშვთა ცრემლები იყო.
ჩვენ მივდიოდით ადმართზე ერთად,
რატომღაც ჩუმად, რაღაც უიღბლოდ...

❖

აქ დანდობილა გლეხი სახრეზე,
აქ შესწრებია ორშაბათ დილას.
ეხლაც კი ვამჩნევ ლაშას სახეზე
ჯელალ-ედინის შემოკრულ სილას.

აქ გაუხსნია გული დედოფალს,
თმაში ჩაუწნავს ბაფთის შაირი,
აქ თავის თათით ითხრიდა საფლავს
მწყემსდაღუპული სოფლის ნახირი.

ჟამს ტაძრის კანი ისე დაუხრავს,
რომ გარეთ ჟონავს ჭრაქის ნათელი.
ძლივს ვამშვიდებდით შემკრთალ მაცხოვარს
რჯულდაწყვეტილი ექვსი ქართველი.

❖

აქ შეგეწირე ნეტავი დედავ,
თავი დამედო და დაგეკალი,
ალბათ, ოდესმე წესს ამიგებდა
შავი ღრუბლების ცივი წინწკალი.

რომ ეთქვათ ქარებს — მადლი დედაშენს...
თან ღმერთს შესჭროდი საყდრების გლახა,
რომ ჩემი სისხლი, როგორც ზედაშე
ქვევრში ჩაგესხა, დაგეტალახა.

❖

კედელზე სანთლის შუქი იჭრება,
ჩანს, წმინდანებმა როდი მიგვიღეს,
რა გვეშველება წყეულ ნაბიჭვრებს,
თუ გზაც ავდრებმა გადაგვიტიხრეს.

დაუსუსხია ბზის ბუჩქი ჭინჭარს,
ქანდაკება დგას აღთქმული მგზავრის.
ტაძრის ფუტურო ქერქში ჭრიჭინებს
ვიღაც უძეგლო ხუროთმოძღვარი.

მათხოვარი ზის, როგორც ობობა —
მყარ ჯოჯოხეთის მოხდილი ბკეა,
არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა,
ის თითქოს ჩიტებს აუკენკიათ.

❖

აქ წარმართებიც მუხლებს იყრიდნენ,
როგორც ამბობენ – დიდ გიორგობას,
თურმე ამ ჯვარცმას რომ უყურებდნენ,
გვჭორავდნენ: „ხედავთ კაცობრიობას?!“

სამრეკლო იდგა მუდამ პირქუშად,
თუ დარეკავდი, გაყრიდა ნაგავს,
სვეტიცხოველი ზურგით ზიდავდა
თუნგში ჩამოსხმულ ქოთქოთა არაგვს.

აკლდამის ჭოჭში დახოცილთ ძვლები
ეყარა, როგორც მოჭრილი ფიჩხი.
გაღმა ბუდობდა ძველი საბძელი
და ალაგ-ალაგ ღვია და კვრინჩხი.

❖

ვზა ჩანდა ოდნავ, ხან ბექობს ზევით
ქრებოდა განცდა ვზნების მომგვრელი,
უკან ყმუოდა – ხატის მიზეზით –
სახადშეყრილი ვარაზის მგელი.

ძნელია მუდამ გულდაძმარება,
კაცის შელოცვა ტლანქი მთქნარებით...
უსინანულოდ ვტოვებდით ტაძარს
უკანასკნელი ქრისტიანები.

# ძ , ძ ძ

ქვეყნიერებას უცქეროდი ათასნაირად,
წარმართ თვალებზედ ქრისტეს წყევლა გქონდა აკრული,
მთვარე დაისით გაგითბია, როგორც დაირა,
და ანგელოზებს ულანძღიხარ მუხლებ-დაზრული.

ბნელ გეთსიმანის ბაღში დიდხანს ტრუბადურობდი,
ღმერთების ჯოგი გოლგოთაზედ გელანდებოდა.
დასწყევლოს ჭირმა, რადა ნისლებს დაუმეგობრდი,
თუ არ იცოდი, სად ინათლა, სად ბნელდებოდა!

რა საოცარი იყო შენი მარადისობაც:
დევნილ სიცოცხლეს, ბნელ სიზმრების ჯანდი მალამდა.
დრო საუკუნის ჯახა-ჯუხში ჩაისრისება,
და ეგ ცხოვრებაც მოთავდება როგორც ბალადა.

ძლივს დარწმუნდები, რომ შენ ჯვარცმაც კი არ გწყალობდა,
ბედს ნუღარ ერჩი, თუ ლოდებმა ამოიოხრეს,
იტყვიან: ნეტავ დაგენახათ, როგორ წვალობდა,
სანამ დარდებმა საცოდავი სულ არ გამოხრეს.

ეხლა დადიხარ და ხეებსაც კი ერიდები,
ხან არც კი გინდა, რომ ბინაში შემოგყვეს ჩრდილი,
ცოტა ხანს კიდევ... იმის მერე, რო დაბერდები,
ეგ თავის ქალა კლდეს ექნება პირში გაჩრილი.

და შენს ხერხემალს სალამურად გამოიყენებს,
არმაზის კერპი, ან ქარების ტიალი დოღი,
სანამ გრიგალებს, შენს ძვლებს კვერთხით დააყრევინებს,
გოლგოთის მთიდან მორეკილი ღმერთების ჯოგი.

# ს

ბაღებს გაზიდამს ყრუ შემოდგომა,
ტყე ჟინჟღლს მოიმცვრევს დილა ადრიან.
ქართულ წისქვილის კარს მოადგება,
წვერგაჯენჯილი დინჯი ანდრია.

ხვიმირებიდან დროჟამს ჩამოფქვამს,
გახედავს: ოჩხებს, ჯაგვნარებს, ჭიუხს.
წაიბუტბუტებს ათასჯერ ნათქვამს
და, ხელის გულზე დაბერტყამს ჩიბუხს.

ყბედი მეურმე გააბამს ზღაპარს,
დაუსრულებელს როგორც მდინარეს.
ძაღლი შეყეფამს ვიღაც წინაპარს
და, თვალს გაახელს ხარი მძინარე.

და ისევ ღამე კუნელის ფერი,
შავი ბუღრია ვით ჯოჯოხეთი.
შეხვალ, გეტყვიან: სად დაითვერი,
მადლობა გამჩენს, რახან მოხვედი.

ვიღაცა ჭრაქით დახედამს საფქვავს.
წნორი ალაზანს შესვამს ფესვებით.
მთვარის სინათლე გაგიჭრის საფლავს,
მოჩარდახებულს თეთრი ფრესკებით.

ნუთუ ბოსელშიც არ გვქონდა წილი,
ლოცვებს ვთვლით, მაინც ვუბედურდებით.
კაცივით ოხრავს ჩარხის წისქვილი,
ჭერი სავსეა აბლაბუდებით.

ქვეყნიერებას რომ არ ვუმზიროთ
თვალებს დავხუჭამთ, რა ვუყოთ ყურებს!
ჩამორეკილნი ბოლნისის მზვარათ,
ვგევართ დაღრეცილ მინიატურებს.

შემოიტანენ ღვინოს ერთ კოკას.
ანდრიას სახეს შეამდვრევს ბინდი,
შენს სიმს ყურთმაჯში ფრთხილად გამოჭრამს
და ეს იქნება ჰანგების მინდი.

ფაფუკ ნაწერებს დასწვავს ბუხარი,
შენც დაიღლები, მარად რო სძგერდი.
დაუკრავ ჩონგურს და ეს ოხერი,
დიდხანს იცეკვებს შეშლილი ღმერთი!

ყოველ ღამე სიზმრებში ვარ,
გულს ლოცვებით ვატიალებ.
საყდარი სჩანს, ზარებია...
და მეც ლანდებს დავტრიალებ.

ზედაშესთან მზვარა ბდავის,
სარეცელზედ ხვნეშის გვამი,
ქარის კვალზე დადის ბადი,
ასე ხდება ყოველ ღამით.

მაგიდაზე ძევს ლარნაკი,
ყვავილებით გაწეწილი.
ვიღაც კვდება ლაპარაკით
სახე ოდნავ ალეწილი.

სადღაც მნათე ზეცის თაღს რეკს,
წუთისოფლის კარგა გაღმით...
ქაოსები გზებს კენკავენ,
ასე ხდება ყოველ ღამით.

# ე

ცივა, ნაღველი მედება გულზედ.
თოვლია გარეთ, აღარც ვზებია.
ენთე ბუხარო და იგუზგუზე,
მე მაინც სითბო არ მღირსებია.

კვამლო არ შეწყდე, გასწიე ზევით,
გაჭვარტლე ზეცა, ღმერთმაც ვერ გვძლიოს,
უსაზღვროება ისე შესუდრე,
რომ ჩემ პლანეტას ვზა აერიოს.

წარმავალობა მიზიდამს უღრანს,
იქ არც შუქია, არც ლაჟვარდები,
არარაობა დაიწყებს ღრენას,
და იკივლებენ ეს საფლავებიც.

ჩამხვრჩალი სივრცე ყრუთ იშიშინებს,
ხმას გაიკმინდამს ზღვა და გრიგალი.
ვინ იცის, რამდენ მზეს შეაშინებს...
ჩემო პლანეტავ, შენი ღრიალი.

ზეცა ათასგან დაიღრიცება.
კვამლს მოედება დროთა ისარი.
სამყაროს გაღმა ჩაივლის ვიღაც
ჩაფიქრებული, როგორც მისანი.

ღამეა, ბუხრის ცეცხლი გუზგუზებს,
გარეთ ხირია ცივი მინდვრები.
ვზივარ, სიცოცხლე გაბეზრებული,
სისხლი მიშრება, ვატყობ ვფითრდები.

## , ჰ

დამეა წყნარი, არც ისე ბნელა,
შორს ჭრიჭინების ბაასი მეფობს.
თოვლის ქვეშ ზღაპარს იტყვის ენძელა
და შენ შეჰყვირებ კაცივით ბექობს.

დაჩეხილ სხეულს, ამღვრეულ თვალებს,
ვინ დააბრალებს ხელდახელ მტრობას?
ბუხრის კვამლს აჰყვა ის სიყმაწვილე,
თავ ქვეშ დაეგო დიდ მარტოობას?..

თოკით დავკოჭამთ ადრენილ ზარებს,
მოვლენ და წავლენ ნაცნობი მკვდრები...
კაცში კაცს ეძებთ, არ გეზარებათ?
იწამეთ დამე და ნანგრევები.

შენი არ ვიცი, მე დავითენთე,
სად არის, სადა... ქვეყნიერება?
როგორ არ მინდა, რომ ხვალ გათენდეს,
როგორ არ მინდა ბედნიერება.

გოცქერის ძველი სახლის კედელი.
გკოცნის სიზმარი, გერევა რული.
სავარძლის უკან გადაყრილ ხელებს
უჭირავთ ტანი შიშ დარეული.

ფხიზლობ, დადიხარ, ძილში ირწევი,
ვკვირობ, ეგ ცეცხლი სად დაგეტია!
რამდენი კაციც სცხოვრობს მიწაზედ,
ქვეყნად იმდენი საგიჟეთია.

ჭოტი დასცინის ბნელ არემარეს.
მწყრის ქვითქვითია, ბიბინი ყანის,
გაუსხვეპავი ღამეა გარეთ
და პოეტების ნახირი ბღავის.

დაიტანს მგზავრებს ზვავი, მეწყერი.
ფეხს იღრძობს კაცი, მერე ბუნება.
შთამომავლობა — ლექსების მტერი
ჩვენ ნაწერებზედ აბუზღუნდება.

დიდხანს ასდევდი უღრან აღმართებს,
გჯეროდა დედა და ბედისწერა.
არ მოგეწონა, რო შეხვდი ღმერთებს,
და გაუხვიე სივრცეებს ცერად.

## ე-

სადამო ხანი ზარებსა რეკდა,
ჟრუანტელს ჰგვრიდა ცას ხმის სიამე,
ის კი საკუთარ ცრემლებს კრეფამდა,
რომ არ ენახათ ადამიანებს.

მინდვრებს, გორაკებს, ნისლი სცემდა ფრთებს,
რომ პირქუშ მგზავრებს გზა არეოდათ.
ის უძახოდა დაღლილ ფრინველებს,
და ბანს სამყაროს კლდე იძლეოდა.

გაჩერდი, კარგი, დროა გატვრინდე,
გზების სიმუნჯე მაინც იკმარე!
ის ბნელ გრიგალებს კიდევ უსტვენდა:
„უთხარით მიწას, თუ მიმიკარებს?“

ეს შარა, ეს დღე სად შემოკლდება,
რა დალევს მგზავრის მდორე ოცნებას...
ჩემი სიმღერა და უკვდავება,
ალბად ჟამს შემდეგ ეცოდინებათ.

თუ მოგერიოს ოდესმე ცრემლი,
წყევლის ფრად სავსე უსაზღვროებავ,
გადამირჩინე, თუ გინდ ის მრევლი,
ვინც აღავლენდა ჩემს მყუდროებას.

ვიცი, იტყვიან: რომ ბნელ ღამეებს,
ის რიჟრაჟებმაც ვერ გამოჰგლიჯეს,
ბედნიერებას სთხოვდა ნაპრალებს,
და სულელივით სთვლიდა ნაბიჯებს.

ის ერთხელ, ნათელს გამოჰყვა ზიზღით,
სოფელს წააწყდა, ავდარი იყო,
წინ დაეხედა, თურმე ნუ იტყვით,
ეს დედამიწა გამომდგარიყო!

და შერეოდა ისევ ღამეებს...
დღე და გამჩენი წყევლით აეკლო.
აქ კი ყმუოდნენ თეთრი ძაღლები,
და მოწყენილი იდგა სამრეკლო.

## ე ე

*ილია ჭავჭავაძეს*

დიდო მგოსანო, ქალაქს გაჰყურებ,
თბილისი შენთვის რომზედ დიდია,
ფხიზლობ მეუფევ და გულისყური
სულ საქართველოს გულზე გიდვია.

გინდა, რომ ოფლი სულ არ შეგაშრეს,
გაჰყვე ეპოქებს, ვით ძლევის სფინქსი,
თბილისი — შენი ფიქრთა ზედაშე,
შენი შუბლი და შენი სინდისი.

## ე ჭ

მძლე ქარიშხალი შავორშაბათს დარეკამს ზარებს.
მნათე საცეცხლურს გააღვივებს გარეთ ბურტყუნით.
მეგობრებს ჩემი გასვენება დაეზარებათ,
გვამი დაშლილი ნაცარივით, როგორც ბურნუთი.

მოვლენ ქარები, მოიტანენ ელამ გვირგვინებს,
ზედ არაფერი წარწერები, სულ არ იქნება!
ღრძო უკვდავება აშარივით მეც შემაგინებს
და გული მაინც დიდხანს როდი დაიფერფლება.

გული, რომელიც დარდებშიაც მუდამ ყვაოდა,
გულის ღუღუნი რო უყვარდათ ფუტურო ფილტვებს.
რა არ გინახამთ, ცხედარს წასვლა რომ უხაროდა,
და თავის ხელით რომ იბნევდა საკინძის ღილებს?..

გამასვენებენ მათხოვრები გასვრილ ხელებით.
მთვრალი ყორანი გრძელ ბრჭყალებზედ დაითვლის წამებს.
გათხრილ საფლავში ჩაძვრებიან საყდრის გველები.
დაგავიწყდებით, და, მაისი ველს აამწვანებს.

გრიგალი ღამე ააოხრებს იმის აკლდამას,
ვინც ზურგშექცეულ მეგობრების ცქერით დაოსდა.
წიქვილის ალი დაგინახამს და თავს მოიკლამს,
ალი რომ ერთხელ გვიცინოდა სასაფლაოსთან.

ბავშვები ქვებით დაღრეცამენ ძეგლზე წარწერებს,
შენ საყვედურებს აქ დარჩებათ ჩემი რვეული.
ალალი იყვეს ახლობლებმა რაც მაწყენინეს,
და სიყმაწვილე შემოტევით გადარეული.

მთვრალი ვარ ღვინით, მივალ, ვტორტმანებ.
ჩემ გულში მდვრიე სიცოცხლე ღმუის.
ბინდი ჩაუდით ციურ ტატნობებს
და, მონასტრის ხმა რაღასაც სტყუის.

ხალხი დაღდაღებს, მარტო მივდივარ.
ბედის სიუხვე რას დამამშვიდებს...
ვინ დამაოკებს ფიქრებით მდიდარს,
სად, ვინ იხილამს ჩემს პანაშვიდებს?!

ქუჩებს ვაწყდები... რაღასაც ვდარდობ.
მეძავი დამდევს, ვით ძუკნა ძაღლი,
ორივე გზიდან გადავვარდნილვართ:
სარდაფი, ღამე აყალ-მაყალი...

## ე ე

ის გასცქეროდა მომავალ შარას,
ელოდა მზრუნველს, მეგობარს, ალერსს...
კვირაძლის მწუხრზედ ჰგავდა ორშაბათს
და გულის კვამლი უწვამდა თვალებს.

სწყევლიდა გამჩენს, სტუქსავდა დედას,
ახსომდა: რაც რომ მიუზღო ბრბომა.
დილით მიდამოს რო გახედავდა,
ჯანღივით იდგა უმეგობრობა.

დაოსდა, მოსწყდა უაზრო ცქერით,
იფიქრა, იქნებ წვიმათ მოვიდეს,
ან, იქნებ სადმე ატყდა ნამქერი
და ღრძო ქარებმა ტევით მომიკლეს.

მარტოკამ... ქეშათ უმზირა ზეცას,
იდგა: სიჩუმე, ქაოსთა გროვა.
უცბად მთრთოლვარე მუხლებს დაეცა
და იგრძნო დიდი უმეგობრობა.

წინ ფერს იცვლიდა სიცარიელე,
თერხვს ამოჰქონდა ქვესკნელის ხიდი.
ყელში ხრჩოლავდნენ მღვრიე ცრემლები,
უკან შავ-ბნელი დღეების რიგი.

სინათლეს ხელით ძლივსღა სინჯავდა,
მაინც ვაგლახით გახედა შარას...
ზევით კი ქარი ასისინებდა
ცის ნანგრევებში — ღრუბლების ჩალას.

უსაფარობას სწუხდა, დარდობდა,
უკუნეთს შერჩა ჭმუნვის სარქალი.
ჯერ ხომ ჩაძმარდა, მერე დაობდა,
ღმერთმანი, კაცი ცამდე მართალი.

# ც

*ლექსო ივანიშვილს*[1]

შენ არ დაეძებ დროთა მწვერვალებს,
ყელამდე შფოთამ, რაღასაც ნანობ!
წვიმის გუბეში ბედი გაწვალებს
და ნაფოტივით შიგვე ქანაობ.
ის ეკლესია, შენ რო გიყვარდა,
დილის საკენკით ართობს ბედურებს.
ვინც განდიდების კვერით დანაყრდა,
რა ეშველებათ იმ უბედურებს.
დანგრეულ სხეულს, გულის სიწმინდე
როგორღა შეგრჩა, ვით მერცხლის ბუდე?
ხალხთა უდაბნო დედამიწაზე,
ერთი შეხედე, რა უშნოთ უდევს.
რა შემზარავად ყმუიან წლები.
რა დანდობილა მოგვინარიკლეს!
და სათითაოდ ჩვენც რო გავსწყდებით
ნისლი დაფარავს აპყრობილ ხელებს.
არც წარწერები, არც საკმეველი,
იტყვიან, გულის ჭერ-ქვეშ გალობდნენ
და სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ,
მკვდარ ფოთლებივით მიქანაობდნენ.
თვალების ხვრელში გველი სისინით
შევა, ინათლებს გულის კანდელი.
და კვირაძალზე თალხით მოსილი
ილოცებს ვიღაც კათაკმეველი.
წამოვიხუროთ ერთი ფარაჯა,
ისიც შევინდოთ, ვისაც ვაგინეთ.
შენ ეყოლები ქრისტეს ფარეშად
და მე კი ბუდას მოჯამაგირედ.

---

[1] *ლექსო ივანიშვილი – ნიკო სამადაშვილის მეგობარი. თბილისის ალპური კლუბის დირექტორი.*

ის ისვენებდა ხშირად ამ სახლთან,
ეგდო ნოტიო გზის ანაბარა,
ის გამვლელების ლანძღვით ჩაძაღლდა,
როგორც ნამქერში ჩიტი-პატარა...

ის აღავლენდა ლოცვებს ბინდისას,
ო, ისე როგორც იცის განგებამ.
რა ექნა, მოსწყდა, ვეღარ ირბინა,
ჩაჰკლა აბუჩად ბედის აგდებამ.

და დაიღუპა თებერვლის ღამეს,
მოუსვენარი ყოფის მძენძავი.
დილით ლოთებმა ღრეჭით დამარხეს,
როგორც პირუტყვი, როგორც მეძავი.

ის მარტო იყო, ვიდოდა კენტათ,
ის აღარავის დაათენდება,
იმას ჭკუაზედ შერყევა ქვეყნად
მიაჩნდა რაღაც ბედნიერებათ.

ღრუბლის ნაწოლი სივრცე უყვარდა,
და დაქექილი ბაღების თმები.
გული ტირილით ამოუვარდა,
როცა მიწაში ჩაფლეს ნიჩბებით.

1

შენი სიდინჯე, მთვრალია ოდნავ,
შუბლი ხან ჟინჟღლამს, ხან ავდარია,
დახრილ რაინდის ქარაგმებს ბოდამ,
გული ხომ ჯვარცმა და საყდარია.

წისქვილის ღამე, შენს ჩარხზედ ქშუის,
და სადღაც ელამს ზღაპრების დისკო.
თითქოს ატილას სამიწე შუბი
შენს მკერდში დარჩა სამარადისოთ.

ხან ქარიშხლების ჯილაგი მოგდგამს,
ირგვლივ ფიქრების ჯანყი გერევა.
თან ძვლებს უკეთებ სევდის ზედადგარს
და გებურება ქვეყნიერება.

შენს ბნელ თვალებში ჭრიჭინებს ბინდი,
ბინდი ორგანი – დარდის საფარი,
შენი სიდინჯე და გარინდება
ზურგ შექცეული გიჟის ხმა არის.

[1] *გია (გიი) ძიმისგარაშვილი – ნიკო სამადაშვილის მეგობარი. დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში.*

მარტო უზიხარ საწერ მაგიდას,
გული არ გერჩის, რამე დაწერო,
გარეთ ბინდია – ქარის მაგივრად
და ზარი კივის საბედისწეროთ.

ზიხარ მარტოკა, უცქერი კედლებს,
გარეთ ცა ელამს, თან წვიმებია –
მაღლა ვეღარ სწევ ჩაქნეულ ხელებს,
ტირილიც ვეღარ გიწამებია.

გატეხილ სარკეს, დამსხვრეულ საათს,
დრო არ დაგიდევს, დრო მაინც მიდის,
რა ეშველება დაღუბულ ადათს,
ან ასე მწარეთ გარეცხილ სვინდისს.

შენი თვალები ლაჟვარდებს ნთქამდა,
სადღაც მისდევდი სივრცეთა მზვარეს,
ხან მთის კონცხიდან ოდნავ ხედამდი
სამყაროს იქით მიმავალ მგზავრებს.

ეხლა, იმ თვალებს ფხიზელი ხუჭამ,
შენი გაჩენა, ღმერთო, რა იყო?!
რა სიყმაწვილე წავიდა ფუჭად,
წყალმა რამდენი თრთოლვა წაიღო!

ჩუმად იცლები აჭრილ სისხლისგან,
გადასჩვევიხარ ლანდებთან ბაასს.
სუყველას გზებზედ ჩაუწიხლიხარ,
უმზერი კედლებს, უცქერი საათს.

გარინდებაღა დაგრჩა წვალებათ,
თითქოს ანდერძიც გიდნება ხელში.
ასე თავდება ცის ელვარება,
ასე ღამდება ერთ სიცოცხლეში.

# კ

მე გავიწურე, მთვარე ზღვაში რო ჩადიოდა.
ზღვის სიყვარული დამასხურეს მეზღვაურებმა,
მგზავრი ავდრების გაოგნებას შემომჩიოდა,
მე კი მძრწოლამდა შიშნარევი უსაზღვროება.

ზღვა დაღმუოდა აჭრელებულ რიყე ნაპირებს,
ტალღები მყეფდნენ — ეს ფარეხის შავი ძაღლები,
მიწა ზღვებს იქით ჩადიოდა და, ვით ნაპრალებს,
ისე სცვივოდა ზღვაში თეთრი სასახლეები.

იბორგე ზღვაო, ხან დაწყნარდი, ხან ივაგლახე,
ვის შეუძლიან გადასწეროს წარმავალობა,
ჩვენ ქვეყნად მხოლოდ დიდი შფოთვა დაგვაახლოვებს,
და ნანგრევებში შეხუთული გზათ-ვალალობა.

ათასი წიგნი, ტომი-ტომზედ დაიჯღაბნება,
შუბლის კანს გასხლამს ფიქრის ბუღი და ნაოჭები.
მაგრამ, ვერავინ ვერ მიხვდება რათ გვეჯავრება
წარმავალობა და, სიცოცხლეს ვებღაუჭებით.

ვიბურებოდი ჩამოცვენილ მთვარის ფოთლებით.
ზღვამ წაიმღერა თავის დიდი ამაოება.
ტალღები ისევ წკავწავებდენ, როგორც ძაღლები
და, მაღონებდა ყრუ და მდორე უსაზღვროება.

## ე

დაისს ელოდნენ ქართლის სოფლები.
ელავდა სივრცე დაგვილი სუფთათ.
ფილტვებს მირხევდა ტყის ფოთლებივით,
შენი სხეულის მოღლილი სუნთქვა.

მიწას სინათლე ხავსივით ეკრა.
ტიროდნენ გზებზედ თალხი ქალები.
ჩვენ გვეშინოდა ღია კარებთან,
აქ წუთისოფლის, იქ გრიგალების.

მე დაკარგული მქონდა გონება,
როცა ქარებმა გვიან იყივლეს.
შენ უცქეროდი გაოგნებული
ჩემი ფილტვების ჩამქრალ სიყვითლეს.

ბედი წაეღოთ სადღაც, ჯანდაბას...
მსურდა მომეკლა თავი უდანოთ.
ბინდების გაღმით წყალივით სჩანდა —
მარადისობის ჩუმი უდაბნო.

სადღაც ილტვოდი სულგამწარებით,
ცისარტყელებში ისმოდა ცეკვა.
მე კი, მოვრბოდი დედამიწისკენ,
რომ შემეწყვიტა ზარების რეკა.

შენ ჩაფიქრდები საყდრის ნანგრევთან,
სტვენით გადივლის ქალაქს ღრუბელი.
თმებში თეთრი თმა გამოგერევა
და თვალში სევდა ჩაუქრობელი.

ჩუმად ჩაუვლი ნაცნობ ბადებსაც,
დაგეკვებება შფოთვა და დარდი.
დილით ჩიორებს ეტყვი რადასაც,
ბადი სასახლეს განიშნებს ვარდით.

მტრედის ნისკარტით დასწერ ბარათებს,
შეიშრიალებს შორს ხეივანი.
დააშტერდები უცნობ აღმართებს,
როგორც წარმართი და კეთროვანი.

ოცნება წმინდა, გზა მიუვალი,
სფინქსის ზუზუნში იდგება ქეშად.
მკვდარს დაგეყრება თებერვლის ნავლი,
და ქარბუქისგან მოყრილი ქვიშა.

ქორი საფლავში ჩაგიგებს ბუმბულს,
სიმსივნით გული გაიბერება.
შენს თავის ქალას, ჯირკთან მიგდებულს,
მინდვრის ბალახი გამოერევა.

მიყვარდა სითბო შენი თმების, სიზმრათ ჩვენება,
ბადის ბილიკთან მოლოდინი და მიჩერება.

ერთხელ დავკარგე ბალახებში ყმაწვილი გული,
ისეთი კარგი, როგორც სევდა და სინანული.

სწუხდი, გახსოვდი, როცა მკერდი დამინაფოტეს,
თუმცა მოსთქვამდნენ, ასე გინდათ ფერმკრთალ პოეტებს.

არ იყო, არა, ჩემზედ უფრო უბინადარი,
რამდენი დაგრჩათ მომაკვდავნო გასაცინარი.

# ე

ღრუბლის ნაკვეთი სადღაც უშნოდ დაბღლაძუნობდა,
უკაცო ქვეყნის გარიჟრაჟთან შეანჩხლებული,
გაღებულ ფანჯრებს წამლათ ერთი მგზავრი უნდოდათ,
ქარი კიოდა ტატნობებზედ გაფიჩხებული.

არ ვიცი, რა ვქნა, რომელ გზებზედ მიუშვა ბედი,
იქნებ ქარბუქში შემერიოს სიცოცხლის აზრი.
მარადისობავ, საუკუნოთ გაგიხმეს ქედი,
რომ ასე უღვთოთ დამაბნიე ტიალი მგზავრი.

გინახავთ კაცი, საუკუნეს ხმითაც არ ჰგავდეს,
და ყოველ დილით სისხლის ჭოჭი ღვაროს სახლიდან?
ან, სინათლეში მოიწყინოს, მერე გათავდეს...
ასეთი ყოფა ცხენზედ შემჯდარ ეშმაკს დაღლიდა.

რა თავში ეცა, ვინც ვარდების ალერსს სწუნობდა!
ვისაც ხელებით გაუთბია თოვლივით გული,
სიჩუმე იდგა. შორს ღრუბელი დაბღლაძუნობდა,
უსულდგმულო ცის რიჟრაჟებთან შეანჩხლებული.

შენ ელვარებდი ნაღვერდალივით,
შუქს სცემდი დამეს და სასოებას.
რამდენი შვება მოჰქონდათ, ღმერთო!
შენს გულს, შენს ფიქრებს, შენს მყუდროებას.

სად მიგვლალამდი? ავდრების ცოდვით
კივილი ედგათ უდაბურ ველებს!
ჰო, რა ნუგეშით შემოვცქეროდით,
ქაოსებს იქით გაშვერილ ხელებს.

ტყის ყვავილების სუნთქვით დაგვზარდე,
თან დედასავით გვაყრიდი ნათელს,
ისეთი გზნებით რეკდი დიდ ზარებს,
როგორც ხატისგან შეშლილი მნათე!

დავიხოცებით... დაგვსუნავს ლოდი,
გარემოც ყვითლად დაიფერება,
შორს გამოჩნდება ჭროდა სამრეკლო
და შენი ჩუმი ქვეყნიერება.

## ჯ

მე არავის არ ვუნდივარ,
არც არავის ვებრალები.
თან მომდევენ, რო დავდივარ,
ჩემი ბაღის ფრინველები.
დანარჩენი ყველა სტყუის
კაცია თუ ქალის დარი.
ვინ მიცქერის პირუტყვივით,
ან რას ღნავის საზანდარი.
დავიბადე ძალზედ გვიან,
აღარ მცნობენ ეს ველები,
დღედაღამე დამტირიან
გეთსიმანის ფრინველები.

...ეგრეა, ეგრე, როცა კვდება ეგ სიყმაწვილე.
სამხართან თითქმის ყველაფერი იწვის და ტყდება.
უცქერი მინდვრებს, ბაღში შეხვალ — ნაირ ყვავილებს
და ეს ოხერი არაფერი არ გენატრება.

რა შეგიძლიან, განა მუდამ გიშველის ტვინი,
ან და ანთებულ კანდლების წინ წუწკი მისნობა?
ეხლა დადიხარ უბან-უბან და ხალხს შესჩივი:
რა ვქნა, მიყვარდა: ლექსი, ცა და მარადისობა.

რა ოხრად გინდა ყველამ შენზედ ილაპარაკოს,
გაქონ, გადიდონ, ყველა ბრიყვი მტლადაც დაგედოს.
არ გირჩევნიან, ისე ჩუმად გადაიკარგო,
რომ შენი ბინა მეეზოვემ ლანძღვით დაკეტოს?

ასეა მარად, როცა ქარი ჩადგება ხოლმე,
დარწეულ ხეებს ფერი დიდხანს არ ემატებათ.
დადიხარ მარტო, იცი ღამეც აღარ გაბრკოლებს
და ხედამ, მაინც არაფერი არ გენატრება.

## ე კ

ცრემლივით ქალი. ჰანგების დაფნა,
ბედ-გაცრეცილი ძმათა ბანაკი.
ცისქვეშ უცნობი ქვეყნის გაფრენა,
და შთაგონების ყრუ აგარაკი.
კიბეზედ ვიღაც ნისლივით მგზავრი,
თუ ბეთხოვენის ფრთხილი ნაბიჯი!
ბაღს ზევით კოშკი სვეტ გაბზარული,
ნაქალაქევთან მთვარის ნარინჯი.
ელდა შეწნული კლავიშთა მწუხრი,

წინ ყვავილებით სავსე კალათა.
ზამთრის ღამეში ხრჩოლვა ძველ ბუხრის,
პანაშვიდებთან ქარის ბალადა.
ძილგაფრთხობილი სიზმრების ნახვა,
და ალიონზე ხეების ძილი.
დაღლილ ხელების ყელთან შეკრუნჩხვა,
და გუბე-გუბე განგების ჩრდილი.
მონასტრის ეზო, ლოცვა კედელთან.
შორს წიწვ ნარევი ბილიკთა ფენა.
გული შეშლილი, მკვდარი კანდელი,
და ფრინველების დიდი გაფრენა.

ოჰ, ეს სიცოცხლე ნეტა როდის გამომნელდება.
რა კარგი ჰქენი უკვდავებავ, რომ არ მიკისრე.
„წადი, იარე“ – მიყვირიან, ხრჩოლავს სიბნელე, –
„გასწი, ირბინე და იცხოვრე სივრცეებისკენ“.

დაიღუპები, ხომ იტყვიან, უცნაურობდა,
ვინ იცის, ქარმა შფოთვა უფრო გააძლიეროს.
დე, დედის მწარე და ღიმ შეშლილ საცოდაობამ
ზეციდან-ზეცა ყოველ ღამე ათვარიელოს.

ხან ქაოსებში დამინახოს, ხან მთვარის გასწვრივ,
ძაძების წვერით მოიწმინდოს სხვილი ცრემლები.
მე გამოვყვირებ, გეყო, დედა, გულს ნუ იწვრილებ,
ხომ ხედამ, შიშით პირქვე ყრიან ღამის მცველები!

## ჯ

*გინახავთ, ყმაწვილი კაცის სახე, დარდებისაგან დაკორგნილი?*
*– ო, როგორ არა! – ფათფათებდნენ ცის კაბადონები.*

გაიჯახუნებ შუადამეს ფეხის ბარბაცით,
ნაძვზე კოდალა ამოგიჭრის კუბოს თხელ ფიცარს,
დაჭრილ მტრედივით დაეცემა სველი ბარათი,
თქვენი ჭირიმეთ! გარდაეცით ბედის ნაბიჭვარს.
ჭოტის კივილზე, ნანგრევები მორთავენ ლოცვას,
შორს გაჭრილ ზარებს, ბნელი ქედი ძლივს დაამშვიდებს.
ჩაგეწიდნება ძვლებში დარდი, როგორც ლენცოფა.
და ვიღაც მკვდარი, ჩაიცინებს შენს პანაშვიდებს.
ბედქვეშ ეყრება ძირნაყარი ახალგაზრდობა,
ქარების ტევით, სიყმაწვილით გაწამებული.
ყვითელ სფინქსებთან ყრუთ იალებს უსაზღვროება,
მარადისობის სვეტებამდე ადიდებული.
ქვეყნიერება ჩვენ დაგვიგეს კაკანათივით,
ქაოსებს იქით... კრიჭა-შეკრულ სამრეკლოებთან.
აღთქმულ ბილიკებს მოვყვებოდით გაბმულ დაღადით
და წმინდანები მოგვყვებოდნენ საქართველოდან.
ტანში სიცოცხლე დაგვერია ღვინოზე მეტად,
ოქროს ქოჩრება, ერთი შეხე, როგორ დავვერცხლდით?!
ვეება შარა მოვილიეთ... ჰო, რა ტყუილად –
როგორ დავკნინდით, გაგონილა?! როგორ ჯვარს ვეცვით!
გადავშენდებით... ჩვენ ნაბიჯებს ვინ გამოიკვლევს.
რამდენი ღამე ალიონებს იქითა ვჭიმეთ!
ხვრელში ქარბუქი კიდევ დაჰყრის ონავარ ლეკვებს,
და ეს ლეკვები ჩვენ ვიქნებით! შენი ჭირიმე!
და ისევ ყეფა წუთისოფლის ღია ჭიშკართან,
რომ ლაჟვარდებმა, როგორც წუმპე კიდევ აგვიშრონ.
ბახის კონცერტი, მილეწილი ღვინის ჭიქებთან
და ღამეებში ხეტიალი უანგარიშოთ.
ბინდი სამყაროს შიშით რაღას მიეკარება.
დასაბამს იქით მთვარე დაჰყრის სინათლის მორებს.
ბურუსის იქით ჩიტებივით დავიკარგებით!
და ბრუციანი დედამიწა შუქს იმათხოვრებს.

ვინ დაგვინანებს... მხოლოდ ნისლი დაგვაყრის ნადველს,
მერე ჭრიალით შეეყრება უღრან ტყის ფიჭვნარს.
როგორ ვუყვარდით, მეგობარო, ღრუბლნარა ღამეს!
როგორა გრგძნობდა ჩემი გული ბედის ნაბიჭვარს!!!

*ჩემს ტასოს*[1]

საყდრის გადასწვრივ ჟრიალა ლხინი,
ცეკვა – დავლური, ლეჩაქის ქროლა,
ვაღმა კლდეებთან მტკვარის ჭიხვინი,
ღამე ჭალაში ჭინკას ქოქოლა.
მთა მედიდური – მთა დანახვისი,
მაღალი, როგორც ჩემი სამშობლო.
ძია ყაყიტას ღვთისნიერება
და სინანული სიცოცხლის ბოლოს.
ჭოტის კივილი ჩვენ კაკლის თავზე,
ჭრაქის კიაფი, საქონლის ფშვინვა.
კერძით გასვრილი ჯამი თაროზე
და ძველი სახლი წისქვილის წინა.
დედის ვედრება ღვთისმშობლის ხატთან,
ლოდინი სადმე შეხვდება მისანს.
ჩამქრალ ბუხართან მძინარე კატა
და აკვნის რწევა შუაღამისას.
სალამურის ხმა ქვევით – საყარზე,
ალუბლის წვენით გათუთხნულ ტუჩებს.
გოგონას სახელს ჩემს წიგნის ყდაზედ.
კაკას ფერდაზედ მაღალ ალუჩებს.
ლამზე ბღლაძუნი, ცურვა – კლაური.
უზრუნველობა ნატკენ ლავიწებს.
იქნება ხსოვნამ იგემოს წყლული,
მაგრამ იმ დღეებს რა დამავიწყებს...

[1] *ტასო ოქუაშვილი – ნიკო სამადაშვილის ნათესავი.*

სიცოცხლე ტანზედ დაიკლაკნება,
ამოვა ქარი და დაბინდდება.
ღამე კაკლიდან ჭოტის კივილი
ჩემს მიწურ ბანზე გადმოფრინდება.

და დასრულდება უცნაურობით,
პოეტის ღელვა და სიყვარული,
ბაღები, კალო, საძნე ურმები
ჩვილ მოგონებას მძიმეთ ჩაუვლის.

ცაცხვების შრიალს, ჩვენ ხშირ სამყოფელს,
მივლენ ყვავები და დასცინებენ.
მე საქართველოს წყნარი სოფლები
ძაღლების ყეფით გამაცილებენ.

შორს, მგზავრს ტირილიც კი მობეზრდება,
ჩრდილს წაიხურამს, ჯირკთან მიწვება,
როცა მორთავენ ჭმუნვას ზარები,
იმღერებს კიდევ და, ჩაიწვება...

დაგიკაკუნებ თხელ კედლის ფიცარს
და შენ გველივით წაისისინებ,
შემეშინდება, სიყრმესა ვფიცამ,
რომ ნიადაგ დღე სულ არ იძინებ!

შენ ვერასოდეს ვერ მოისვენებ,
ან როცა გძინამს, ეგ რა ძილია?!
იცოდე, ვინმემ თუ გაგიხსენა,
ის ჯადოქრების მოგზავნილია.

ვეკამათები კენჭებს გზადაგზა,
სიცოცხლეს მაინც რა არ სჯობიან!
რომ ამ დასაქცევ დედამიწაზედ
ბედნიერებაც დასაგმობია.

გაცრეცილ სახეს, გადამქრალ თვალებს,
შეხედავს ღამე, დასწყევლოს დილა,
ჩვენ ვაფარებდით ფანჯრებს ძველ ალერსს
და საგიჟეთმა დაგვაძმობილა.

დე, ყველაფერი წყალმა წაიღოს,
ჩვენ ბედი მაინც არ გვიძებნია.
რამდენჯერ ქარში ქარს გავყოლივარ,
რამდენგან უცბად ჩამცინებია.

შენ ყურს უგდებდი ტალღების ქშუილს,
მებადურენი ისხდნენ და ბჭობდნენ.
უსაზღვროების დაბლობებს შუა,
სჩანდა ბინდების გრძელი ორღობე.

ზღვა დაგაოსებთ, კვიმატი არი –
ნაფეხურები კიოდნენ მინდვრათ.
შენთან სულ ყოფნა და ხეტიალი,
როგორ მიყვარდა, როგორ მინდოდა.

შთამომავლობა ჩაივლის ღამე,
და ცალი თვალით გადმოგვხედამენ,
შეზარავთ ჩვენი აჭრილი სახე
და შესანდობარს ვერ გაბედავენ.

# კ ე

დაღუპულ დღეებს ისევ ვიგონებ.
ხრჩოლავს სოფელი, ბნელა, თოვლია,
თვალი დაუდგეთ ცისფერ გოგონებს,
თუ კაცი ქვეყნად ვერ გიპოვნია.

შენ იბადები ბინდების რწევით,
კვდები, როდესაც რიჟრაჟი არი.
ლარწკაზედ გრჩება გული ნაწყენი,
გულზედ ხავსივით — მწვანე სიზმარი.

შენი სხეულის უდაბურ ნანგრევს
ქუხილის შუქი ეცემა ღამე.
ქარი ნავიდან აგლეჯილ აფრებს
მოაქვს და ტანზედ ნელა გაფარებს.

როგორ არ ვიცი, რომ გებრალები,
იცი, ახლობლებს როგორა ვძულვარ.
რო ამრევია უცფად თვალები
და ღამეებით ჩავბჟირებულვარ.

დარდის ხვითქებში გაწურულ პერანგს
თონესთან მიშრობს შეშლილი დედა.
დაგხსომებია კაცი ვერაგი,
ვინც შეწყნარებაც ვერ გაგიბედა.

ვინც ამ ხრიოკებს ყნოსავდა მარად,
ვით ტყის ნადირი, ვით საყდრის გლახა,
ვინც მთებს ზევიდან მოსდევდა ბარად,
რომ გზებს შეყროდა და ევაგლახა.

რა გენაღვლება, შენს კარმიდამოს
რთვილივით ეცოს პოეტის ნიჭი.
თუ უკვდავებამ სადმე მიკითხოს:
„ნეტა სად არის ეხლა ის ბიჭი?“

მოუყევ: ქარებს გადაჰყვა ღამე,
რაღაც საოცრად წაიმხედრულა,
ორჯერ იკივლა სამყაროს გაღმა,
და უკან აღარ დაბრუნებულა.

ყვავებს შეუტევ, მიაყრი რისხვას.
ყმუილს მორთავენ გარშემო მგლები.
ფოთლებს დამაყრი შემოდგომის ხანს
და ეს იქნება შენი ცრემლები.

თუ ზამთრის ღამეს ოდესმე წამლად
მთვარე კრიალით გამოჰყვეს ქაოსს,
უთხარი: დიდხანს ნუღარსად წავა
და შენს ტოტების გარს იტრიალოს.

ჟამი ჩვენს ახლო რას იყურყუტებს,
რა ჭირად უნდა დარდების თხრილი.
ქარში რაღასაც წაიბუტბუტებ
და საცოდავათ დაიწყებს ტირილს.

შენი ფესვები ჩემ გულს გამოხრამს.
თხუნელა კუბოს მიარტყამს კვინიხს.
შეეშინდება მოხუც მაცხოვარს
და ფაშარ ლოცვებს კუნჭულში იტყვის.

„ცაცხვი ფერს შესცდა? რა ამბავია!“
იტყვის სოფელი, ერთ სისხამ დილით –
„აქ ხე მარხია, პოეტის გვამით
სახად შეყრილი და მოთენთილი“.

...ხან გუგულის ხმაც დაგიძლევია
და მომხვევიხარ ყელზე – სიბრალულს.
ღმერთო! რამდენი რამ შესძლებია,
პირველ ჟრუანტელს, პირველ სიყვარულს!

როგორ მიწყნარდა ჟუჟუნი ბედის,
როგორ გადახმნენ ეზოს თელები!
ხედამ კუკურში როგორ დავბერდით
და გამოწვდილი დაგვრჩა ხელები...

## ძ

შენ გეკუთვნოდა ტბა, სასახლე, ხშირი ბაღები,
თეთრ მარმარილოს კიბეებზე ყვაოდა დილა,
ზოგჯერ ბინდისას ჩაიფრენდნენ ტყის ღამურები
და ბილიკებზე კენჭაობდნენ ხე და გვირილა.

ასწლოვან ცაცხვზე ჟრიამული ენთოთ ჩიორებს,
სადღაც ენახათ კაცის დარად გამოქვაბული.
მაშინ გრილოში, სოფლის ფშანთან, მწყემსამდით ხბორებს,
ხალათი გეცვა მტრედის ფრთებით ამოქარგული.

იქ, მკერდის წალდით როდი ხდიდი დარდების ყავარს,
წარმავალობის მძლე ქოქოლა არ გაღონებდა.
ზეცის ქვეშ ნელა მიიწევდა მთების ყევარი
და ხან კაკლები ჭრიალებდნენ ორღობეებთან.

ბებერი ლოდი მიწას ჩასცქერის,
ხივის მდინარე, საღამოვდება.
კაცივით მღერის გამსკდარი ქვევრი
და თან ყვავილებს გააქვთ გოდება.

ურთხელას ჯოხით ხევში დავძრწივარ,
გეზათ ვუყურებ შვლის ხალა იებს.
შეაღებ კარებს, დაგავიწყდები
და ჟრუანტელი ბოლოს მომიღებს.

მუხლი არ მერჩის, გულიც იღლება,
რათ შევეშალე ნეტა ჩემს სწორებს?!
ალბად, ავდრებიც თან წაიღებენ,
საუკუნეთა ხშირ კენწეროებს.

ჩემი ცხედარი, მე რო მენახა,
მყის შესწყდებოდა: გლოვა, დიდება!
როცა უკუნი დააღებს ხახას,
ის ღმერთებს იქით გადაფრინდება.

ციცინათელა დასდევს ტყის ჭინკას,
ნაკადულს ფერამს სიოს არაკი.
ჭოტის კივილზედ ვერხვი კანკალებს,
და მისცემია ძილს აგარაკი.

# ძ

მე ვნახე ორეული,
ოდნავ გადარეული,
დატკბა ჩემი ნახვითა,
რაღაც ჩაიხითხითა.

მოიგონა წარსული:
გული გადაბასრული.
უბნის გუბე, ჭოჭები,
ყველიერის კოჭები.

ყაჩაღების ბუდობა,
ღამე ყურძნის ქურდობა.
ფშანში ფაცრის დაგება,
გადარჩენა, განგება.

სახრის ზურგზე გადაწნა.
კვერცხზედ ვაშლის გადაცვლა.
ღვინო ახალ ნახადი,
ბოსლის ღვდელის ღაღადი.

ხონჩა, ბედის ქადები.
მუზმუზელა ქალები.
ლხინი ხელებ ჩართული
და სიმღერა ქართული.

ეზო, ქორის გართობა.
წიწილების დაფრთხობა.
გუგულის ხმა, ნახირი
და „დაგძლიეს“ ძახილი.

ქაშანურას ძაგება,
ფეხის დაკარწახება.
სოფლის აბიბინება
და თაყინას გინება.

ცული და სატევარი.
საძნე ურმის ყევარი.
ღამე, გრიგალის შობა.
ვენახი და ბავშვობა.

მე ვნახე ორეული
ნიშან გამორეული.
წარსულ დღეთა მეზარე
და ჭოტივით მკვნესარე.

## ძ

შენ ზენა ქარი სახლშიც გიბერამს,
ხშირად გაღვიძებს გულის ტირილი,
ღამე ნაკადულს ესაუბრები,
და დილით მიხვალ ხმა ჩაწყვეტილი.

სულ სიფხიზლეში თავსა გრძნობ ცუდათ,
დედაც გაშინებს, იწერ პირიჯვარს!
გახსომს, საწუთროს ქარმა რომ უცბად
განათლებული ცა გადაგლიჯა!

საკინძ გახსნილმა შუბლის ფიცარზედ
ვის არ უყურებ, ვის არ ეხვეწე,
ბოლოს კი დარდი: დედამიწაზე
ნეტავი რისთვის შემოვეხეტე?!

# ე ძ

კვირაძლის ბინდი შენთვის მიყვარდა,
შენთვის ვანთებდი წინაპართ კანდელს,
შენში ვცხოვრობდი როგორც ბალადა,
შენ გიყვებოდი ჩემს გულის ნადებს.

კვირაძლის მწუხრზე შენთვის ვლოთობდი,
შენს სადღეგრძელოს ვსვამდი ფათფათით.
ხსოვნა ანთებულ მკერდში გალობდა,
ხსოვნა — დაღლილი სამიწე დარდით.

სამრეკლოს ჩრდილი შენს ვერანდაზედ —
ლანდების როკვა, წისქვილის ალი,
შორს... წმინდანების სიმღერა გზაზე
და ბოროტების ჩუმი ნავალი.

წინ მიძევს შენი ის სტრიქონები,
ზოგი მკვდარია, ზოგი ძლივს ფეთქამს.
ოდესმე, სადმე მოგაგონდები,
როცა ლექსები დალევენ თეძაფს.

რა ვუყოთ მერე, ჭირიმე შენი,
ასე სჩვევიათ სიცოცხლის მდგმურებს.
ვინც ქვესკნელიდან ამოგაშენა,
სწორედ ის ღმერთი გაგანადგურებს.

## ე

შხუოდა გემი,
სივრცეების ტრიალო ზღვაზე.
ლაჟვარდის ველი ვერ იტევდა ნაქარევ ფოთლებს.
მღეროდა გემი,
ყრუ ქვითინი ესმოდათ ზარებს
და ვიღაც მგზავრი შორდებოდა ამ წუთისოფელს...

## ჯ

მეცხვარე მღერის და ცა თეთრია.
გაღმა სჩანს ციხე, კლდე – ხავსის ფერი.
ჯიხვებს რომ ელის, გასწვრივ, თერგიდან,
მონადირეა ჯმუხი ხევსური.

მთის ორწოხებში ჩაჭრილა ხრამი.
დოქით ქალები მიდიან ხევ-ხევ.
თქვენ რა გაშფოთებთ, ან რაზე ოხრავთ,
ჩემ ისტორიას მევე გადავხევ.

ძმაო, მეცხვარევ, მოკლულს ვედრებით,
მიმღერე, გული ალბად დაცხრება.
ჭვალივით მივლის სხეულში ბედი
და საძაგელი ჩემი ცხოვრება.

# ✱ ᲔᲡ

შადრევნის ახლო ბუჩქი ყვავის თუ მარმარილო...
შრიალებს ბედი, ბედი მწარე და სასაცილო.

უახლოვდება თეთრი ნავი მივარდნილ ყურეს,
მოგონებები დაფრინავენ და გზა უყურებს.

ზვირთივით თვალებს გარეთ მოაქვთ დარდის კენჭები.
ინძრევა მიწა ღამეების ჩქარი ჭენებით.

შიშველ ფეხებზედ ჩუმად მკოცნის უცნობი ლანდი.
ქარებს წუხელის აუყრიათ მზის ლიანდაგი.

სიკვდილზე ასჯერ მაღალია ბინდის ძახილი.
ადის და ჩადის ცაში მთების უღელტეხილი.

ბავშურ სიყვარულს გული რაღას გაიმეორებს.
საღამო ჰქრება და, ხეებზედ სძინამთ ჩიორებს.

საოცარ ღამეს, უცნაურ პოეტს
მიყვარდა მუდამ სითბო დარდების,
ყველა ნაცნობთა გამოტოვება,
და ბედის ჭირხლში ცქერა ფარდების.

დაღუპულ სახეს, ძველ ვენახიდან,
შენ ამტერებდი ელამ დაისებს.
გენატრებოდა კიდევ გენახა
სხივებს კამარა როგორ ჩაისრესს.

დგეხარ, წარსული შენზედ პაექრობს,
გულზედ ამოგდის ჭმუნვის ბებერა.
შენ, ის კაცი ხარ, ვისაც არ ეყო
გზებ მიუვალი ქვეყნიერება.

მწუხრის ტრაპეზთან შუბლი გიელამს,
ღვთისმშობლის მხრებზედ შავი ჩადრია.
ბერი მონასტრის ბალახსა სცელამს
და დაისები მწკრივად ჩადიან.

## ხ ე

თვალებს ტირილიც არ გაუმხილა,
გულს უღონებდა დარდების ლაქა.
ის დადიოდა ქუჩებში ფრთხილად,
ფოთლებთან დიდხანს ილაპარაკა.

მას არ ექვავა ღარიბი ოდაც,
ან რა ჯანდაბად უნდოდა ნეტა,
კიდევ კარგი რომ ბინა არ ჰქონდა
და კვდარმა შიგნით ვერ ჩაიკეტა!

თორემ, რა ექნათ მის ერთგულ ნაძვებს,
ვინ გაუღებდა კარს ერთი წამით.
ეხლა, შორს ქარში კიდევ ძაგძაგებს
დაუმარხავი პოეტის გვამი!

# ე კ

ტუჩს ვერ გაგიხსნის ორპირი დანა,
სახე მიგიგამს კლდემიწნულ ღობეს,
თითქოს ასკილის გული დაგადეს,
უცბად მხრებს ისე შეირხევ ხოლმე.

ხშირად გამვლელებს ზვერავ ირიბად,
გაუშლელ ღიმილს ისრეს ქუდ ქვევით,
და რომ გეხუროს შავი პირბადე
დაოსდებოდი ცრემლების ფრქვევით.

საუკუნეთა გამხმარი ტევრი,
შენს ძვლების ოჩხზე მოყვება ზუზუნს.
დაეკიდება ძეგლს ვით მტევანი,
ბავშვის თითებში გამშრალი ძუძუ.

ღრუბლის ნანგრევი შენს ლანდს ჩაიწნამს,
ძაღლები ქარის წინ გაწვებიან.
მიცვალებულნი წავლენ მიწიდან
და შორს ზარები მიწყნარდებიან.

გაცრეცილ სახეს, გადამქრალ თვალებს,
სიცოცხლის მწუხრზე თრთვილივით სტოვებ,
ღვინო მორეულ კაცს შემიბრალებ
და საგიჟეთში გაცნობილ პოეტს.

დაბუხულ წონებს ბედისწერის რუქა ეჭირათ,
სიცოცხლე სჩანდა, როგორც მკვდარი ნაქალაქევი,
იქ სიყმაწვილე ბნელ დარდებში კვლავ ჭრიალებდა
და შენს ცხედართან გაცრეცილი იდგნენ ქარები.

შეკუმშულ გულში სისხლის დენა კვანძამდა ძარღვებს,
ბეც თვალებიდან შავი კვამლი ამოგდიოდა.
ცის გასწვრივ კაცი შეემჩნიათ შავგვრემან ძაღლებს,
ყეფავდნენ სივრცეს და მამალი ღამე ყიოდა.

ბნელი ოთახის სიჩუმე გიყვარს,
ურდულ დადებულ კარების ცქერა.
ფანჯრის ფარდებთან ჩრდილის ყურყუტი
და ქარში ბაღის მწველი სიმღერა.

ფურცლამ რვეულებს — ხატია სევდა,
თან გიხარია რომ აღარ მელი.
შენ იცი გზნების სერენადები,
სულ მუდამ წმინდა და საყვარელი.

## კ

შენ სეირნობდი მთაწმინდის გასწვრივ,
ფიქრებს სკათ ჰქონდათ ეგ თავის ქალა.
შორს მცხეთა სჩანდა ზარჩაწყვეტილი,
ქვევით კი მტკვარი და ნარიყალა.

თითქოს გინდოდა, რომ მეც გამცლოდი,
სიტყვა აგეგდო ბანზე როგორმე.
ასე იციან, შენ გენაცვალე,
ასე იციან დარდებმა ხოლმე.

## ე

დავიღუპები, ჩაყოლილ ხსოვნებს
ოდესმე, სადმე გაეღვიძებათ.
ჩვენ ვისაუბრებთ იმაზედ დიდხანს,
რაც სიცოცხლეში არ შეიძლება.

ჩემი ლექსები შენს მწველ უბეში
ბეღურებივით იფართხალებენ.
და ერთხელ მაინც, ჩემო ნუგეშო,
იქ სამარეში გამახარებენ.

დამედებიან მკერდზედ ღუღუნით,
ამოკენკამენ ჩემს გულს, შენს თვალებს,
შეესევიან მერე უკუნეთს
და უკუნეთიც კი ივალალებს.

— რა კარგია რომ მეახელით!
ჩემი ნადველი,
ჰო, რა თქმა უნდა გადაიდარებს,
და ამ იარებს
გაუჩინარებს.
— რა დაგემართა, სულ შფოთამ მარად,
განა ბავშვი ხარ, თოთო, ბატარა?
— ჰკითხე ჩემ გამჩენს, ამ ქვეყანას ვინ დამატანა?
— ჩემო მგოსანო, ათასწლებს მერეც
ასე იქნება.
მიწაში კიდევ ბევრი მოდგმა ჩაიფინება.
ნუკიდა კვნესი, იმღერე რამე.
— მაინც რომელი სიმღერები მოგეწონება?
— რაც გაამდიდრებს კაცის გონებას.
— მერმისათვის გადავდოთ, მოდი,
გულითა გთხოვდი.
— შენც მართალს ამბობ,
შუადამეა,
მეზობლები გაიღვიძებენ.
რა ღვთის წყრომაა, ვეღარ მოსპე სახლში ობობა!
მომსვლელები როგორ გიძლებენ?!
ჩემო ძამია.
— დავიშალოთ, თორემ იცოდე,
შენი მეუღლე კარებიდან წაგეჩხუბება,
არ შეგიცოდებს.
— ასეთია ქალის ბუნება.
— ყურში ეშმაკიც შენზედ აუგს
თუ ეუბნება...
როგორ დაგიქსევს!
— მშვიდობით... კინაღამ დამრჩა თუთუნის ქისა.
— კარგათ იყავით, ძილინებისა — ძილინებისა.

# ე

...ძვლები მინდოდა შეშათ მეხმარა,
მოგვიყვა ბერი, მაგრამ ბუხარმა,
რომ შეუკეთე კაცის ჩინჩხვარი,
რაღაც საოცრად წაიმწუხარა.

გარეთ, ჭიშკართან ატყდა კაკუნი,
რომ გავიხედე, არავინ სჩანდა?
ეზოში ეგდო ურთხელას კუნძი
და საქონელი ბალახსა სჭამდა.

ზარებს შეეტყოთ რყევა, ჩოჩქოლი,
ოდნავ აინთო მტრედების ბუდე,
ძლივს მოვაღწიე სახლს, მუხლის ჩოქით
და პირქვემ რაღაც წავიბუტბუტე.

ო, მოჩვენებავ! გათანგულ ბუხარს
შემოსხდომოდნენ ქრისტე და ბუდა!
მხრებზე ფარაჯა წამოეხურათ,
გვერდზე მიეგდოთ საგზალი გუდა.

მას აქეთია, ცეცხლს აღარ ვანთებ,
ვსაზრდოობ რძით და ნაქარევ ხილით.
სასუფეველი მყეფამს, თუ დამთრევს,
ელდას მგვრის ღამეც პატარა თხრილი.

რა დაემართათ ცეცხლში შეყრილ ძვლებს?
შევეკითხენით ბერს და გავჩუმდით.
ვერ გეტყვით, რა ვქნა, ნუ დამაძალებთ,
ელდა ჩამიდგა, შიშით დავჩლუნგდი.

მოხუცო, ნეტავ, სად სჭრიდნენ ამ ქვებს?..
მატიანები ხომ არ სცრუობდნენ?
ღამის გადასწვრივ სწნავდნენ ჩუქურთმებს
და მთვარის ირიბ შუქს უცურებდნენ.

ვინმე მლოცველი, თუნდ ბიწიერი,
კიდევდა მოდის, თავ-გამეტებით?
აქ დადის ერთი ყრუ მეცნიერი
და ფრესკებს ზომავს სანტიმეტრებით.

მაინც რას ამბობს მელოტი, ჩაჩით,
იქნებ წმინდანებს ქუნთრუშას უცრის?
კიბით კედელზე ძლივს იჩაჩება
და უბის წიგნში რაღასაც ფურცლის.

ვერ გაგვიგია... რაც იწრიტება,
რათ უნდა შერჩეს ხსოვნის ალიონს?
იმ დროს ორთქლდება ჭეშმარიტება,
როცა ხალხს უნდა გამოიკვლიოს.

აქ ბერმა ზიზღით შეგვხედა ყველას,
წირპლი მოისვა ანაფორაზედ.
მთებში საღამოს დაეყვავილა
და ღამეები იდგნენ ბორანზედ.

ათასი წლების უტეხ ტყეში დახვალ შველივით,
მარადისობის შუქი დაგსდევს ლექსთა ნათლიას,
შამბში ნადირობ, გიშრის ტბაზედ კარავებს იშლი,
სადაც ნესტანმა ღმერთს ბეჭდების თვლები აძლია.

ამბობენ: როცა მონღოლები თარზე უკრამდნენ,
ზედ თემურლენგი დამღეროდა „ვეფხვის ტყაოსანს“,
ქართლის ქალები თავს ქაჯეთის ძირში იკლავდნენ
და დედასავით იხუტებდნენ „ვეფხვის ტყაოსანს“.

მახსოვს ძახილი, გზების ყვირილი,
სად მიხვალ, სადა, შეინთე კვარი.
მე მივდიოდი გულშემოყრილი
და ქადაგივით ყვიროდა ქარი.

ცის გუმბათებზედ ქარებს სციოდათ,
და დასაბამი ღრუბლებს ეფარა.
სად ჰქონდა იმას ნეტა ცრემლები,
ვინც თვალებს ძილში გამოეპარა...

რა იქნებოდა ვზა რომ გამეგნო,
მიწაზე მაინც აენთოთ კვარი.
მე ვიყავ ბედით გაოგნებული
და ძვლებში მწარედ მივლიდა ქარი.

ა , ამ მინდვრებში, ამ ხრიოკ მთებში,
ჩვენ ხომ ერთმანეთს ვჭამდით მგლებივით.
იქ სურათია: სდგას მხედარი, უჭირავს თეფში
და ზედ ამხია კაცის თავი გველის ხვრელივით.

მეც, მარტო ყოფნა ათასწლობით მომეწყინება.
თავის ქალაში მწვანე ხვლიკი შეძვრება ღამე,
ძვლებზე შემხმარი დაფიქრება მოეწონება,
და მატლებ დახრულ თვალებიდან გახედამს ბაღებს.

იცოდეს ღმერთმა, იცოდეს ზეცამ,
სულ არ ვნატრობდი ხალხის ფერებას.
მჯერა და ვიცი, კუბოს ფიცრამდე,
მე შორს დავრჩები ბედნიერებას.

და, როცა სადმე ჩაფიქრდე ჩუმად,
იქ, სადაც ხშირად ვისხედით ორნი,
მწამს, რომ ფანჯრებთან იელვებს უცბად
ჩემი ოცნება, ვით ბახტრიონი.

ეს ბედი ჰგავდა გზად მოკლულ ქედანს,
გზა გულის ქოხში მითენებია,
მე წავალ, მხოლოდ, ო, ვუთხრათ დედას,
მიკითხოს, სადაც ფრინველებია.

* * *

გარეთ ძლიერ ციოდა, ზეცას ფიფქი სცვიოდა,
ყველა შინ იჩქაროდა, ყველას ძლიერ სციოდა,
ვიდექ ქუჩის კუთხეში, შენი ბინის მახლობლად,
არ მციოდა, მე შენი სიხლოვე მათბობდა.
დიდხანს ვიდექ გლახაკად, დიდხანს გჭვრეტდი მცინარეს,
სანამ თქვენთან უეცრად არ ჩააქრეს სინათლე,
დავრჩი მარტოთ ბნელაში, სიცივეში, თოვლშია
და ბარბაცით წავედი სახლში, როგორც გოშია[1].

[1] *ეს ლექსი ნიკო სამადაშვილმა ქალბატონ თამარ ლომიძე-კლიმიაშვილს ჩააწერინა 1926 წელს, მატარებელში.*

# ს ე

ჩემო თბილისო, მიყვარს შენი ქოთქოთა ბინდი,
შენი მთაწმინდა – ეგ ყურყუტა ჭმუნვის დღეობა,
როგორა ღვივის შენი ზეცის ლურჯი მინდორი,
როგორ ქათქათებს შენი დიდი მოსახლეობა.

რა წარმტაცია კამარების ელამი ჭერი,
ხან ჭორფლიანი რიჟრაჟების ბოყვი ხითხითი,
ღუღუნა მთები მოდებული, როგორც ჭერეხი
და ჭარბ ფერებით ალეწილი გვალვების ხვითქი.

შენს წყაროებში მეც დავიწვი იმ ხოხობივით,
ამ ფერად წყლებით გორგასლანი სამოთხეს რწყავდა.
ქვეყნიერებას ცხელ გოგირდით შენ მოუთხრობდი,
ქართლოსის ტომებს ზოგჯერ ბედი როგორ წყალობდათ.

შმაგი სიცოცხლით, ეს ოხერი, გამოვჩერჩეტდი,
მინდა ლოთობით რომ როგორმე გავისაძლისო,
ტვინი შემერყეს, თან ლოყებზე დავიწყო ჩქმეტა,
და ღრეჭით დიდხანს გარს გირბინო, ჩემო თბილისო.

შენმა ღრუბელმა ცრემლზე სხვილი წინწკლები იცის
და ზენაქარმა სიმღერები აურაცხელი,
ჩემო გულისთქმავ, მუხლმორთხმული სიონს გაფიცებ,
ბინათ მომეცი შენი კალთა და საწნახელი.

ხევის ქალაქო, ასე ეშხით ვინ დაგამშვენა,
ვინ გიწყალობა ეგ სიუხვე ხელებგაშლილი?!
შენთან მღეროდა ბედნიერი ვაჟა-ფშაველა,
შენში დარდობდა ჩემი ტატო ბარათაშვილი.

აქ თამადობდა ჯიხვის ყანწით თურმე მხარგრძელი,
თან აქლემების ქარავანი იდგა გირაოთ.
სადღაც მღვიმეში დაღმუოდა ბედს მთაწმინდელი:
„და... უფროისი მარტოს ღამე მიწერიაო!“

რა საჭიროა ჯავარიკით ვწერდე მუხამბაზს,
მზეთუნახავნი ბროლის კოშკში მესხდნენ ხიზნებათ.
წყეულიც იყვეს სამუდამოთ ამ ქვეყანაზე,
თბილისო ჩემო, შენ შუქს იქით გამოფხიზლება.

ო, როგორ მიყვარს შენი ოღრო-ჩოღრო ქუჩები,
ეგ მიწის ხაო, საოცარი ჯანღების ბური.
ღამის აკვანში გრილ ნიავის თოთო ფაჩუნი
და ვერის ხიდთან ქარის სტვენა მამაპაპური.

ჩემ საქართველოს მკერდის თრთოლვას რა შეედრება,
ღვთისმშობლის დარად რო უჭირავს ხელში თბილისი!
აქ გაისმოდა ქურუმების მწველი ვედრება,
ზარების ლხინი... ღმერთო ჩემო, რა სიხალისით.

ეს მინარეთი შენ ზეცის ქვეშ რას აფხორილა,
იქნებ თაკილობს ნარიყალა რომ ემდურება?!
დიდხანს დარჩებათ ნაცარივით ქართლის ხეხილებს,
რაც მაჰმადებმა დაგვატეხეს უბედურება.

ჩემო თბილისო, ისტორიას მე რას დაგიწერ,
ჩემი ცხოვრებაც კი არ ვიცი როგორ იწყობა,
დიდება იმას! იმ განგებას მრავალჟამიერ,
ვინც დასაბამის სალოცავთან ძუძუ გაწოვა.

* * *

სახე ემდუღვრის, სიღარიბით უკვდება გული,
თითქოს მომავალს მოაქვს თავის ეშხი და სიო,
ფიქრობს, რა ვუყო, თუ ცხოვრებამ გადამიყოლა,
და განთიადებს, ერთიც ვნახოთ, ვერ დავეწიო.
ძველი ხალათი და ბაზარზე ნაყიდ ჩუსტებით,
დედამ უყიდა დაზოგილი წვითა და დაგვით,
მეფურნე ისევ ნაგაზივით დაუტატანებს,
თუ სისხამ დილით ვერა ფურნეს კარგად ვერ დაგვის.

# ძ ე

*შეშლილი ბინდების ჭიშკრებთან*

მტკვარო, გავარდი, მიატოვე ეს დედამიწა.
საწუთრო ლოდებს ეფარება, ნუღარ უცქერი.
ქვიშით შეღებე ცის მინდვრები და დამიძახე,
როცა გარიყო ზღვის სინათლე და სივრცეები.

სტვენით მოთხარე ლაჟვარდების უძირო ქარი,
აღარ დაბრუნდე... მე თუ გინდა შიშით ვკითდე.
წყლის რიჟრაჟები სივრცის იქით ისე მინამქრე,
რომ ღამე ჩუმად ვარსკვლავებშიც ვერ მოდიოდეს...

შორეულ გზაზე დასველდება ის მოგზაური,
მსოფლიოს უკან შეშლილივით რომ ჩაიარა.
წაიღო ძვლები თოვლისაგან მთლად გაბზარული
და მზის წერტილებს გრიგალივით გადაეფარა...

ამომიძოვენ მდორე თვალებს ბნელი ქარები.
წვიმები ზევით მიანგრევენ მაღალ ყიჟინას.
უღრან ბინდებში შეაჩერებს იმას ნამქერი,
ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამოირბინა.

კვალდაკარგული მთების ჯოგი იხეტიალებს
და მწვანე ტალღა სადმე ქვებთან ყრუდ მომიგონებს.
მტკვარო, გავარდი და ცა ისე გაატიალე,
რომ დედამიწა მსოფლიოშიც ვერ მოდიოდეს.

## ე

ქარს ეფარები, ვერავინ გხედავს,
სივრცეებს ნუღარ მიაცივდები.
აჰყე მაგ მთების ვიწრო ხერხემალს
და წუთისოფელს გადასცილდები.

წადი, ნისლებმაც თუ გავიტყუონ,
საკუთარ თვალებს ნუღარ ენდობი.
არ შეგაყვაროს თავი საწუთრომ,
ან არ იმღერო გალეშილ გრძნობით.

გზა რომ უფრო შორს გადაგინათონ,
ქარები თვალებს მაღლა ასწევენ,
გარშემო სულ სხვა ზეცა იქნება
და პანაშვიდი ჩადგება მწვანედ.

ო, აჰყე! აჰყე, მაგ მთის ხერხემალს,
კმარა, კამარებს ნუ აცივდები,
აჰყე, არ დასძრა არსად კრინტი ხმა
და წუთისოფელს გადასცილდები.

1

სიფრიფანა ქადალდის ნაგლეჯს ეწერა: ბიჭო,
როგორა ცხოვრობ, ხმა გამეცი, გამაგებინე?
ვინ იცის, კიდევ წუთისოფლის გადმა ჭორაობ,
და ბნელ სარდაფში იხსნი ხოლმე საკინძის ღილებს.

ძმაო, ეგ დარდი ჩაგიწყალებს თვალების გუგებს,
ნუღარ იხრუკავ ისეც დამწვარ სახის ზედაპირს,
თორემ იცოდე, ხალხს დარჩები გაუგებარი,
ჩამორჩენილი საუკუნის თვალუწვდენ ნახირს.

საყდრის ნანგრევთან იბდავლებენ შენი ლოცვები,
შენ შესანდობარს მათხოვრები ღრეჭით დალევენ,
ჩაგაძაღლებენ ალბად, სადმე, ხრიოკ ბორცვებთან,
ლექსის ფარაონს ჯიბგირობას დაგაბრალებენ.

რა ღვთის წყრომაა, ბალდახინებს წინ რო მიუძღვი,
სულ წირპლიანი დიაცივით რო იცრემლები.
ხმა ჩაიწყვიტე, ნუთუ დარდით ვეღარ გაძეხი,
თორემ იცოდე, საცოდავათ დაიფერფლები.

[1] *ლეო ხარაგიშვილი – ნიკო სამადაშვილის ბავშვობის მეგობარი.*

ნაძვები ცხედარს მიასვენებდნენ
და ყვავილები მიჰქონდათ ქარებს.
მიწიდან მთები იმას უსტვენდნენ,
პირქვე რომ ეგდო მსოფლიოს გარეთ.
ის სივრცეს გაჰყვა ხელ აპყრობილი,
თვალებს სინათლეც არ მიაკარა!
ოცნება, ფიქრი – ტალღების ჩრდილი,
გულქვა ავდრები წინ გადაყარა.
თითქოს სიკვდილიც რჩებოდა ოხრად,
მან მოგონებაც დასწყევლა, დაჰგმო.
ღამე ტირილით გამოიხურა
და გათენებას ვეღარ მიაგნო.
ვერ შეუცვალეს გზებმა ბუნება,
თუმცა ბავშვივით უჭერდნენ ხელებს.
ნაფეხურს ეთქვა: არ დაბრუნდება!..
ქარი ამაოდ ეძებდა მკვლელებს.
გვარი რა არის, არც კი ახსენა!
არც მიაჭედა ლურსმანი კარებს...
კუბოს ნაძვები მიასვენებდნენ,
წინ გვირგვინები მიჰქონდათ ქარებს.

ის ყოველ ღამე დაეძებდა ღვინის სარდაფებს,
და რო გეკითხათ, პოეზიით იფუფქებოდა!
შთამომავლობა მის ცხოვრებას რას დაიჯერებს,
კაცი, რომელიც ხალხს მოსდევდა მუდამ ქვემოდან.

რა ვუყოთ მერე, თუ ექვავა უმანკოება,
რისთვის მოსისხა უგვანობით ლექსების რთველი?!
რათ უჯდა კახპებს, როცა სწუხდა ჩვენი დროება?
როცა სივრცეებს გაყმუოდა წუთისოფელი?

რაზე ფიცრავდა სხივნათელ სარკმელს?
ან რათ დარდობდა უძეგლო ცხედარს?
ვისაც სიცოცხლე სიკვდილისაკენ
მიჰქონდა როგორც უგრძნობელ მხედარს.

ვინც სულ არაფერს არ დაგიდევდა,
არც რიჟრაჟს, არც ბინდს, არც შუადამეს,
რო ჩამოგეგდოთ: ვინ იყო დედა?
შეეკითხეთო – იტყოდა – ქარებს!

ის შთაგონებით არასოდეს ჩაბჟირებულა.
წარმოიდგინეთ: რო უფრთხოდა მაღალ მთების ქედს!
სახე უგავდა სიმწიფისგან კანდაშლილ ჟოლოს,
ყელყელაობით აქლემს ჰგავდა, ვიდრე შემომქმედს.

თმებს განგებ როდი იბარცხნიდა! საწყალს ეგონა,
თუ მომაკვდავებს დაემზგავსა და ხრავს ნისლობა!
ბოლოს სარდაფის ზღურბლზე შეხმა იმის გონება
და ახითხითდა ჭორიკანა მარადისობა.

# კ ე

რა ექნა, იყო ქვა თუ ზეკაცი,
ვისთვისაც ზეცა დაპატარავდა,
ვისაც არ ჰქონდა სარკმელი მზისკენ
და რიჟრაჟებში შუქს იპარავდა.

რა ექნა იმას, მგზავრო, მითხარი,
ვინც ძვლების ცეცხლი ვერ დაიყოვნა?
ვინც იწანწალა მიწაზე დიდხანს
და თავის ჩრდილიც ვეღარ იპოვნა?!

ვინც ამ ხრიოკებს ყნოსავდა მარად,
ვით ტყის ნადირი, ვით საყდრის გლახა.
ვინც მთებს ზევიდან მოსდევდა ბარად,
რომ გზებს შეჰყროდა და ევაგლახა.

ვისაც გაუწყდა ლოცვით ილაჯა,
ჩასწვა ბავშვობა, ყრმობა, კრებული,
ვისაც გრიგალმა ვერ მოაგლიჯა
წყვდიადი მკერდზე დამაგრებული?!

რა ექნა იმას, ვინც ქვესკნელშიაც
სივრცეებს თვალი ვერ მოარიდა!
ვინც პირქვე ეგდო, ან სიცოცხლიდან
თუ გინდ ვარსკვლავებს გაღმა გაფრინდა.

ვინც დადიოდა ცრემლგაწუწული,
და კრიჭაშეკრულს სძულდა სუყველა...
ხედავ, რას სჩადის გულქვა საწუთრო
და ყინულივით ცივი ქვეყანა!

* * *

ეკალი ირწევა,
ეხება ყვავილნარს,
სადამო იწყება,
უკრავენ დაირას.
დაისი მთებს იქით
მერცხლებით ივსება.
ჩუმი ქვითინი
დაიწყეს იებმა.
ღობეში ციმციმებს
ციცინათელა,
თან ალი ლოცულობს —
წისქვილის ბეპელა.
ზმუიან ბაგაში
მოზვრები ჭრელ-ჭრელი
და იავნანაში
მშვიდდება ტყე-ველი.
ღამურებს საბძელთან
ძაღლები აფრთხობენ.
დიდები სარეცელთან
ბევრ ზღაპრებს ამბობენ.
იძინებს სოფელი,
ძაღლები ყეფავენ,
ხან სახლს, ხან ბოსელს
ურდულით კეტავენ
და მოსულ ვარსკვლავებს
ქარები კრეფავენ.

* * *

გადამხათ დღეებს უტევს ქარბუქი,
დაბლა ღამეა, ზევით წყვდიადი,
ქარმა შეჭამა მთვარე-ნაზუქი,
სადღაცა გდია ღრუბლის ხმიადი.
რას გათენდება, ციურ ნაკვალევს
მოსდევს შეშლილი ღმერთი ბუტბუტით.
გამეხარდება, თმებს რომ ჩამოშლი,
მოგეფერები მინდვრების ასულს...

## ე ძ უუუ

ის მიდიოდა ფერშეცვლილ გზებით,
წყალგაღმით ჩრდილებს აენთოთ კვარი,
იწოდა კაცი ჩუმი, მგზნებარე,
თან სიცოცხლეზედ რჩებოდა თვალი.

წყევლა ესმოდათ ფეხმძიმე ნისლებს,
სადღაც ყეფავდნენ ქუში ქედები,
მდვიმეში იდგა ჟამთა სისველე,
დაოსებული შემოქმედებით.

ცისკრის ამოსვლა ბეწვზედ ეკიდა,
ნანგრევს დაეხრა სამრეკლოს თარი,
ის მიდიოდა და მაინც კიდევ,
სულ სიცოცხლისკენ ეჭირა თვალი.

* * *

გზათ დაგასვენეს სამრეკლოს ჩრდილში,
ზარების ზარი ძლივდა გაგიშვებს,
ლაფებზე ვიდაც გაივლის დილით
და წაიკითხავს ჩვენზედ აფიშებს.

იქ როდი ვიცი რა ეწერება,
მაგრამ ზეჰანი სტრიქონს დაასწრებს
ორი შეშლილი ხვალ დაიწვება,
საწყლები თურმე მიწას გადასცდნენ.

მარტოს სწევს კუბოს გიჟი პოეტი,
უკან ქარბუქი მიყვება ნელა,
მოდი, მივხედოთ თუნდა დროებით,
სხვა არა იყვეს გზებზედაც ბნელა.

მე კი არავინ არ მიპატრონებს,
შენ შემიბრალებ ძმაო ქარბუქო,
ძვლებს ძირს გადაყრი, გულს დაიტოვებ
რომ სვლა როგორმე შემიმსუბუქო.

ასე ვატარებ შენს ცხედარს დიდხანს,
რა ვქნა პოეტმა ამოგიჩემა.
იქ სად შევხვდებით მიწას ან თიხნარს,
სამყაროები შორს, შორს დაგვრჩება.

ჩვენი თვალები აქ ღრუბლის ზევით
ჩვენ დაგვიწყებენ ძებნას სივრცეში,
მიწიდან ვიდაც აჭყვირებს გზნებით,
ისინი მოჭყვნენ დიდ განსაცდელში.

# ე ძ

ღამე სდგა თოვლში, აწვება კედლებს.
სუსხია გარეთ, ყმუიან მგლები.
მთებთან ნამქერი მალე იკივლებს
და მე შემრჩება ცისკენ ხელები.

სიჩუმე რქებით მაწვება გულზე,
გარეთ გავიდე, აღარც გზებია.
ენთე ბუხარო და იგუზგუზე,
მე ხომ მზის სითბო არ მღირსებია.

კვამლო ავარდი, ცა შეაგუბე,
ბოლო მოუღე სამყარო კანონს.
ზღვა კამარები ისე შესუდრე,
რომ ჩემ პლანეტას გზა დაეკარგოს.

ცას ვერ იპოვის, შეხვდება უღრანს,
იქ არც მთვარეა, არც ლაჟვარდები,
უსაზღვროება დაუწყებს ღრენას
და იკივლებენ მთლად საფლავები.

ძაღლების ყეფაც გადაშენდება
მარადისობა თუ ღია არის:
ვინ იცის რამდენ მზეს შეაშინებს
ჩემი პლანეტის ცოდო ღრიალი.

ღამეა... ბუხრის შუქი გუზგუზებს.
გარეთ ხირია, თოვლის მინდვრები.
ვზივარ სიცოცხლე გაბეზრებული,
კვამლს ვეხვეწები და ღმერთს ვპირდები.

## ძ

გახსოვს ბაღები, სიმღერა, ჟრჟოლა,
ყვავილნარევი ძეძვის ორღობე,
ერთხელ რომ ლექსი გითხრა ტოროლამ
და შენ ბავშვივით რომ მოიღრუბლე?

ტოლებთან ერთად მარწყვზე შეხვედრა,
ცივცივი წყარო, ჭალა, მინდორი,
ბინდში ნახირის მუნჯი ვედრება,
მდინარის გაღმა ვეება ქორი.

შექვავებული მთებზედ ცხვრის ფარა,
ჩვენი ზედა რუ და ეზო თქვენი,
კაკლის რტოებში გაჭრილი შარა
და დუესელი მესაფლავენი.

იმ ეკლესიას თხელ ქონგურებით
ვიგონებ, თითქოს გული ველდება...
ნეტავ თუ კიდევ ხატი, ურმები,
ოდესმე სადმე გამახსენდება.

* * *

სასუფეველში რეკდნენ ბნელ ზარებს,
აქ, სიცოცხლისკენ ბჟუტავდა კვარი.
საშინელ ფიქრებს მოეცვა ზარზმი,
საზარელ ამბებს ყვიროდა ქარი.
ბეთანიის ცას სჭვრეტდნენ ბერები,
ჩრდილი-ღა იდგა წუთისოფელის.
კაცი სტოვებდა ქვეყნიერებას,
მისტერიების ჟამთა მფლობელი.
ის როდი ჰგავდა გარდაცვალებას,
ის სიმღერების შეწყვეტა იყო.
მგონია ბინა გამოეცვალა
და ჩემი სუნთქვაც კი თან წაიღო.

* * *

ხე შრიალებდა, ხე მოსთქვამდა, ხე ქვითინებდა,
ფანჯრის მინებზედ ირყეოდნენ ფოთოლთ ჩრდილები.
ღამე ძირს ემხო, არსაიდან არ თენდებოდა,
და შორს ფეხის ხმა მოისმოდა ბნელ გრიგალების.

ხე ფანჯარაში სარანგივით იხედებოდა,
სად დაიკარგა, ღმერთო ჩემო, კაცი ალალი,
ცრემლი სდიოდა ხეს ქერქიდან, ყველა ღეროდან.
იქნებ შორს იყო, ვერ დაბრუნდა კაცი საწყალი.

ხე შრიალებდა, ხე ტიროდა, სუფთა ჩრდილები
ეხეოქებოდნენ ხან ფანჯარას,
ხან წყლის გუბეს, ხან მაღალ კედელს.

* * *

ჩემო ბედურავ მოდი, დაფრინდი,
ჩემ ფანჯარასთან, ახლო ჩემ გვერდით,
ყური დამიგდე, ოდნავ გატვრინდი,
ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ამ ქვეყნად დედით.
შენ დამიკორტნე ნატიფი გული,
სისხლით გაგისვრი უმანკო ნისკარტს,
ეს სიყმაწვილე გადაბუგული,
ლოცვით შერჩება სიონის ცისკარს.
მოუხმე ჩემი სოფლის ბედურებს,
იქ ხომ წალკოტთა ნიაღვრებია;
სადაც დაუკრავს თარი მოლაღურს,
სადაც ბავშვობა მიტარებია.

# ძ ე

გამიშვი, ქარო, იწამე ღმერთი,
მე შუაღამის მძევალი მქვია,
ხედავ, მკვდარ პოეტს რა დამემართა
და შუადამემ სად დამითრია.
დღეს ჩემს სხეულში სუნთქვა გაქვავდა...
ძვლებზე ლექსების სარეცხი მოჩანს,
თან აფრიალებს ჩემ ლექსებს ქარი,
განთიადამდე, ნეტავ, ვინ მომკლავს.
გუნდის ხეები მომდევენ უკან,
ანთებულ სანთლებს აქრობენ გზებზე.
ბინაში კარებს აკაკუნებენ,
ღმერთო, სიცოცხლე რად მომაბეზრე.
რად დავიღუპე საქართველოში,
წყეული იყავ, დედავ ცოდვილო,
რად გამაჩინე ამ სამრევლოში,
რა მქონდა ქვეყნად სამოციქულო.
მეყასბედ სჯობდა, რომ ვგდებულიყავ,
ანდა მეარღნედ ოჩას დუქანში.
მე გრიგალების მძევლად ვიყავი
და ლექსს მაჭრიდნენ ტანზე დუქარით.
კარს ნუ აწვები, ქარო ტიალო.
გამიშვი გარეთ, ნუ დამატყვევებ,
ქარიშხალია, გზებზე ტრიალებს
და ღრიანცელი გაუდით ტყეებს.

* * *

იტყვიან, კაცი რაზე ლოთობდა,
რა შვებას გრძნობდა სარდაფის შმორში,
მკლავზე ლექსების ჩიტი გალობდა
და ვიღაც დუმდა ზეცის ბოლოში.
რა ძალა ადგა, გასცლოდა ღამეს
და ბილწ სიცოცხლეს მოშორებოდა,
ის ქარიშხლებმა რწევით დაღალეს,
გიჟს კი როსკიპი აშოშმინებდა.
ცნობდა მეძავებს, ელამ ჯიბგირებს,
ხან ბანდიტებთან ათევდა ღამეს,
ბოლოს ლოთობით ისე გაჯიქდა,
რომ წყლის ტალღებმა სადღაც დალამეს.
ის მოკვდა ჩუმად და უხმაუროდ,
თუმც ხმაურობდნენ მტკვართან ლექსები,
იქ მებადურებს ეგოთ ფაცერი,
(და მზე მოსჩანდა სადღაც ცეცხლივით).
ერთი კარგი რამ დამრჩება ქვეყნად,
რომ განდიდებას ვერ შევეყარე,
ბოლოს, ტიალი ჩემი სამყარო,
ვერ დავითრგუნე, ვერ შევიყვარე,
რომ დავდიოდი მუდამ ბუტია
და მიხაროდა ბედი ბუტია.
ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე,
იქ, ეკლესიის ძირში კუნტია,
იქ, საუბრობენ სხვადასხვა ამბებს,
ხან დედაჩემსაც გადასწვდებიან.

* * *

ათასი ღამე დაიწყებს კვნესას.
შორს გაიშლება მთვარის ბულული,
ლექსზე აძვრება ფიქრების კვერნა,
კუდიგორის გზა, ღამე ურმული.
სანთლების შუქზე კი მწყემსი ქალის,
სიხმრების მწველი ბურუსი მივა.
როცა წიწამურს ვიგონებ ქარში,
ვტირი და მთელი სახსრები მტკივა.
რაზე აწამეს – ჰკითხეთ გვირილებს,
სისხლის წვეთები ბალახზე კრთოდნენ.
თურმე ხეებმა არაგვს შესწივლეს
და ფრინველები ცაში კოდნენ.

## ე

ვიცი, სულ მალე დავიღუპები,
ღმერთი ამ ამბავს რას გაიკვირვებს,
კუბოში ავდრით გავიწუწები
და სულ არავინ არ დამიტირებს.

მიწას ნიჩბებით გადმომაყრიან,
ხალხი წუწუნით წავა შინისკენ,
ქრისტე ჩემს ახლო დაიწყებს ყიალს
და ზარს დარეკენ სივრცეებისკენ.

ზეცა ზედიზედ ჩამობნელდება
და დაანთებენ სანთლებს საყდართან.
ყურებს სიმღერა გამონელდება,
გულიც ჩაქრება ქარში თანდათან.

ლოდზედ იხარებს ავდრების წუმპე,
ჩემი წარწერა ბილწი, უგონო,
მგზავრო, თუ გწამდეს ღმერთი მეუფე,
წადი, შენდობა არ გამაგონო.

მტკვრის მარჯვენა პირს მოყვებოდა მტერი ვერაგი,
ირგვლივ სიბნელე ნოქამდა თითქმის უსაზღვროებას.
გარეჯის თეთრი მონასტერი ძველი პერანგით
უდგას ჩუმათ, ალმაცერად მწველ სასოებას.
ექვსი ათასი კელაპტრები უვლიდნენ ღამეს,
ექვსი ათასი ბერის სახე ელავდა შუქზე.
ექვსი ათასი მთვარე ციდან თუ გადაღვარეს.
ასე იტყოდი რო გენახა აღდგომის უქმე.
ღაღადი, ლოცვა, ზვავდებოდა ზარების რეკა,
მტკვრის გაღმა თურმე დაეხადათ ვერაგ სპარსელებს,
რომ ქართველები ქვესკნელისკენ გადაერეკათ.
ასავსავებდნენ ზეადმართულ სამიწე ხელებს.
და გაიელვა სატევარმა, დაშნამ და რვალმა.
ხედამთ სინათლე როგორ მოსჩანს გაღმა მტკვრის მხრიდან,
ალბათ ურჯულო ქართველები შთააგონა ლოცვების ძალამ.
„სულ ამოსწყვიტეთ, რომ დაკლულთა საამურ ხრიალს
მე აქ ვუსმენდე! გესმით! სწრაფვათ!“ ბრძანა მტარვალმა.
ექვსი ათასი ბერი დაკლეს ბასრი ბებუთით,
თვით მონადირეც არ დახოცამდა ექვსი ათას მწერს.
ამ მწუხარებას ათას წლებში რა დააბერებს,
ამ სისხლის მორევს ჩემს გარეჯში ვინ დაივიწყებს.
ნეტა გენახათ წმინდანები როგორ ტიროდნენ,
რა გამწარებით აწყვეტავდნენ თავს სისხლიან კედლებს.
რო მოგესმინათ ის სამრეკლო როგორ ყვიროდა,
როცა ურდონი ჩოხის კალთაზე იწმენდამდნენ
ბერის სამოსზე სისხლით გასვრილ ტურტლიან ხელებს.
კვესოდა მთელი მონასტერი გულამოსკვნილი,
განუკითხავი, უსაშველო და უბედური.
ცაზე წამლათაც არ მოსჩანდა ერთი ვარსკვლავი,
მხოლოთ შაჰ-აბასს, ვაზირს წამოეწყო მხნე ბაღდადური.
— რა დაგიშავეთ? — ექვსი ათასი ბერის გოდება, აპყრობილ ხელებს,
ცის ქარაშოტშიც არ დაიხრება.
— რა დაგიშავეს ვერაგ სპარსელებს?
ექვსი ათასი საუკუნე შეეკითხება
ქვეყნიერების დასასრულთან, ერთხელ კიდევ.

# ’
# ჯ ე ძ

სადამო მოდის, ტაძრის კარი ჩუმათ იღება,
სანთლების შუქი მეგებება დაღვრემილ პოეტს,
სამრეკლოს ზევით – დასაქცევი ცა იღრუბლება,
ქრისტე იცინის, გარეთ გადის და მარტოს მტოვებს.

ვლოცულობ ჩემთვის და ანთებული ლექსები მომაქვს,
ბრმა წმინდანებთან, როგორც ჩემი გულის ნაჯერი,
ჩემ სამშობლოში დანდობილა რათ ჩამაქვავეს,
რა იქნებოდა მეც მქონოდა ერთი საყდარი?!.

ძველთაგან ძველი დანგრეული კედლების სუნთქვა,
რომ წინაპრების მწუხარება ამომეწია,
რომ გორიჯვრისთვის ჩემი თავი მზვარად შემეთქვა,
რომ ჩემი სისხლი სვეტიცხოველს ამოერწყია.

რა მოხდებოდა საქართველოს ეთქვა ნუგეში,
იცით როგორი? რომ ცაცხვის ქვეშ მეც დამესვენა,
რომ ეფართხალათ ყაყაჩოებს გულის უბეში,
რომ სამარისკენ მეც წამედო მწყემსების სტვენა.

კაცთმდინარება როდი მძულდა, იცოდეს ღმერთმა,
ჩემ ცხოვრებაზე მგზავრსაც კი არ დავმდურებივარ,
მე გული მტკივა პოეზიას რაზე წამართვეს,
იქნებ ის სჯობდა, რომ ასეთი უბედური ვარ.

გარეთ ღამეა, შიგ ტაძარში ღვიძავს ღვთისმშობელს,
აკვნის რწევა კი განუწყვეტლივ ისმის და ისმის,
მიუვალ გზებზე მგზავრებს ბინდი ემშვიდობება,
ცაზე ჰკიდია გაწყვეტილი მერცხლების სიმი.

გინახავთ კაცი, ტაძრის ზღურბლთან ლოცვებით მთვრალი
ყრმა მაცხოვარის ნაფეხურებს რო გაჰყოლია?..
როცა დაღლილი გზიდან ქარებს აუთრევიათ,
ზარს კი ზეცისკენ უყეფია, როგორც თოლიას.

დიდი ხეები შრიალებენ, შორს იღრუბლება,
კარგა ხანია ფრინველებმაც ცა მიატოვეს,
სადამოს ველი. ტაძრის კარი ჩუმათ იღება,
სანთლების შუქი წინ მეფრქვევა დადვრემილ პოეტს.

წმინდანებს ღვიძავთ. ანთებული ლოცვები დამაქვს,
ვით ნაწვიმარი მთების ზვავი, გულის ნაქარი,
ზედმეტსახელად პოეზიის გერი დამარქვეს,
თითქოს ჩემს მრწამსში არ ღვიოდა გუდამაყარი.

მეც მათრთოლებდა წინაპართა ძეგლების სუნთქვა,
მეც რომ მინდოდა, რომ იმათი ხვედრი მეწვნია,
რომ ეს სიცოცხლე თრიალეთში მზვარათ შემეთქვა
და ჩემი სისხლი სვეტიცხოველს ამოერწყია;

რომ თვალხუჭუნას თან წამეღო მწყემსების სტვენა,
ბნელ ორღობეში ეფარფატათ ციცინათელებს,
რომ ჩემი გვამი ჩემი ხელით გადამეტანა
იქ, სადაც ძველი აკლდამები მიქნევდნენ ხელებს.

ლოცვებს ადვავლენ, ფეხაკრეფით ღამეც მობრძანდა,
ღვთისმშობლის ქოხში აკვნის რწევა ისმის და ისმის,
ვარეთ ცაცხვები წყაროს სვამენ თეთრი ბარძიმით,
სივრცეში მოსჩანს გაწყვეტილი მერცხლების სიმი.

ქართულ აგურის იატაკზე დამხობილ პოეტს,
ორტოტა ცეცხლი მეკიდება, ვატყობ ვრინდდები.
ჩემო სამშობლოვ, ნეტა რაზე გადამემტერე?
იცოდეს ღმერთმა, რომ ცრემლებსაც კი გარიდებდი.

* * *

ისევ მარტო ვარ და შენზე ვნაღვლობ,
ჰქრიან ქარები გარეთ ბნელ გზებზე,
მე მახსოვს სოფლად მყუდრო საღამო,
ციცინათელა ჩემს კვალს დაეძებს.
გახსოვს, გიწერდი ბალღურ ნოველებს,
ჭანდრების იქით გიკრეფდი იებს,
ეს უხაროდათ მოხუც სოფლელებს;
თმებში ალუჩა გიყრიდა თითებს.
წისქვილთან იჯდა ბრმა მეფანდურე,
მღეროდა რაღაც დრომოჭმულ ზღაპარს,
მე ძია კოლა მემდურებოდა,
და იმარჯვებდა ჩარხებთან ლამპარს,
მას არ მოსწონდა ჩემი ცხოვრება,
გადაბუგული ცრემლების დენით,
ეს სიყმაწვილე აოხრებული,
ფანჯრებთან ვერხვის ტირილი დილით.
ნეტა რათ სჩადი უგვანო საქმეს,
რათა სჩრი ყველას შენ შავ ნაჯღაბნებს,
რათ გაექეცი ჩვენ ლამაზ სოფელს,
რა შეედრება ამ ყურძნის ჯაგნებს.
რათ აიკელი ქალაქის გზები,
რათ გაუდექი იმ წუნკალ ქუჩებს,
იცოდე, ყველას შენც მობეზრდები,
და შენს ძვლებს ქარი ძლივს მოაქუჩებს.
ხო, ფუტურო ძვლებს ჩაყრიან სადმე,
და პანაშვიდებს აგიგებს თელა.

# ძ

ზოზრო ბერძენმა ჩაუკიდა ცეცხლი თონეში,
ხმელი ფიჩხი კი ტკაცატკუცით წივის, სისინებს,
გორიჯვრის ძირში ლოცულობენ განთიადები,
და ღვთისმშობელი მტკვარს უყურებს და თან იცინის.
ფურნეში ბნელა, ძუნწი ჭრაქის შუქი კიაფობს,
მოჯამაგირე ცოცხით ხვეტავს ქატოს და ნაგავს,
ქოჩორა ბიჭი შეჩერდება, დანტეზე ფიქრობს,
შავი ნაგახი ჩუმად უსმენს ხაბახის ლაქლაქს.
მიწურ იატაკს ჰგვის პატარა მამით ობოლი,
განუკითხავი ბედი ისევ თვალ წინ უდგია,
გული კი უცემს, გული წმინდა ჩაუქრობელი,
იცის ერეკლემ დამეები ერს რომ უთია.
ყიდის შეგირდი ცხელ ლავაშებს თავის მახანდით,
ეჰ, დახლიდარის რანგს მეფურნე როგორ უბოძებს,
სადა სცალია, ის ქეიფობს დღეს სახანდარით,
და არამ ფულებს უჩხრიალებს ავგაროზ ბოზებს.
მოგროვილ ნავაჭრს ჩააბარებს ზუსტად, მთლიანად,
მწითურ მეფურნეს ჯანდაცლილი მოჯამაგირე,
— შეშა შეიტა, ეს გუდურა იქით გადადე!
ცერათ შეხედავს ოფლის ხვითქში გაწურულ ვირებს.
მოდის დაღლილი შინისაკენ მოჯამაგირე,
თან იღლიაში ამოჩრილი პური უჭირავს,
ახლოა სახლი, ელოდება დედა და დირე,
სადილად ლუკმას შეატანენ ძირნაყარ ჭერამს.
შუადამეა, შავგვრემანი ბიჭი კი ფხიზლობს,
ფურცლავს ბლეხანოვს და ილიას უკვდავ სტრიქონებს,
მამლის ყივილზე ისევ ფიქრებს შეეხიზნება,
და ნაგიჟარის შავი ეტლი შორს ჩაიქროლებს.

*

ბალღი ვიყავი, ვკითხულობდი „მერის“ ფრაგმენტებს.
ურმით მოგქონდა პოეზიით გავსილი ჭური,
ხან კი გხედავდი, ამორძალთა სისხლიან ტუჩებს
ეწაფებოდი რაინდივით თვალდახუჭული.

მათრახგადაკრულ ცხენებს სადღაც მიაქროლებდი,
ტანზე გეხურა წამებული ქრისტეს ჩარსავი,
ბაღს იქით მძიმედ ხმაურობდა შენი ლექსები,
ქვეყანა იდგა და გწყევლიდა უდაბნოსავით.

ეგ გული წუხდა ვით სამრეკლო ცის უდაბნოში.
რას გააწყობდი, ირგვლივ იდგა სიბნელის თქეში,
საშველი არ არს! — მსხვილ ცრემლებით იმდუღრებოდი
და „არტისტული ყვავილები“ გეჭირა ხელში.

შენ „არტისტული ყვავილები“ გეჭირა ხელში,
მე კი სოფელში ტლუ ბიჭივით ვუდექი ხბორებს.
ეზიდებოდი ლექსის მტევნებს პოეზიის დიდ საწნახელში.

* * *

მაისის დილა ჩამოივლის სანაპირობზედ,
ატეხილ ჭალას და ხეივნებს გამოადვიძებს,
თბილისი არის საქართველოს კვართი, მირონი,
აქ იქცეოდა მტერთან შეხლით ქართლის გულღვიძლი.
აქ, ამ მიწაზედ.

* * *

გარეთ თოვლია და თეთრ კლავიშებს,
ოთახში მწველი გოდება გიპყრობთ.
ჰანგები ფანჯრის წინ შრიალებენ
და ვიღაც ჩემზე ჩრდილივით ფიქრობს.

და კლავიშები როგორც მერცხლები,
დაფარფატებენ... გინდა უყურო.
ის მღერის ჩუმად... ედება ცეცხლი,
იტირე გულო შე უბედურო.

იქვე ცრემლები თეთრად ჰყვავიან,
იქვე შრიალებს კლავიშთა ჭალა.
ის კი ზუზუნებს დარდ შემოყრილი.
იტირე სანამ გექნება ძალა,

ბუხარი ბჟუტავს, ქარი კი კარში,
ყეფავს ძაღლივით ჭანდრების ჩრდილში...
ხატებთან ელავს ჰანგთა პარპაში
გული ვერ იტანს ვერაგ სიგრილეს.

იტირე გულო, შე უბედურო...

* * *

მომენატრება სიცოცხლე ძვირი,
და განთიადებს დაუწყებ მზერას,
შემომეხვევა დედის ტირილი
და ხმაჩახლეჩილ ქარის სიმღერა.

* * *

ის ყურს უგდებდა გუგულის ძახილს,
სანამ დარდებმა ხელი დარიეს,
ღამეს თუ ოდნავ სწყალობდა გულით,
განთიადებმა სულ გადარიეს.
ის დადიოდა ბედის სამხარზე,
ბინდში მისდევდა ორღობის ძახილს,
რა ეშველება, აბა მითხარით,
განთიადებთან ვედრებით დაღლილს.
გუშინ მთებს ზევით გაფრინდა წერო
და მიაშურა კამარებს დათქმულს.
რა მოევლება ცაო ძლიერო,
ყრუ რიჟრაჟებთან ლოცვით მოქანცულს.
ის მოწამლული ვიდოდა ჩუმად,
აშტერდებოდა მდვიმეთა ღრმა ღრუს,
ვეღარ შესწევდა ლტოლვა და ცურვა
ალიონებთან ცქერით დადაღულს.
ის მოინელეს ზარებმა ლოცვით,
იდგა წარმართი და დაანგრიეს,
ის დაიღალა ღამეში ცოცვით,
განთიადებმა კი გადარიეს.

* * *

ასე ტიროდა უბედური ქარბუქი გუშინ,
ხევის ლოდებთან ღრიალებდა, და იცი გულში
უტრიალებდა შავი ბოღმა, როგორც ელენთა.

არ გაიარა დიდმა ხანმა ღამე ეკვეთა,
და ბოროტების სხვილი მუშტი მაღლა აღმართა,
ძვლივს მოვასწარი ესდა მეთქვა:
რა დაგემართათ?!.

* * *

*ილია ჭავჭავაძეს*

ამოვალ, როცა დაბინდდება თბილისის ზეცა,
ამოვალ, როცა მამადავითს ღამე შებურავს.
როცა ლაჟვარდებს ვარსკვლავს იქით გადააქცევენ,
და მთაწმინდაზე დაიჩოქებს მშიერი ტურა.

მოვალ, მოვიყრი მუხლებს შენ წინ დიდო მგოსანო,
ნოტიო კლდეზე ქართვლის დედის ცრემლი იელვებს.
ღამე გაჯდება სივრცეებში უდაბნოსავით,
შენი ცხედარი ქართლის შუქზე გაახელს თვალებს.

შემოფრინდება ალვის ხეზე ლექსების გუნდი,
მათი ჟივჟივი დააბუჟბუჟებს ყამირ მიწას, პოეტის გლოვას.
ათასი წლების მდუმარება დაგვიბრუნდება,
გულის უბეში შენ დარჩები შთამომავლობას.

როგორ შერისხავს სათნოებას თუნდ საუკუნე,
რომ მოინდომოს შენი ბედის უმადურება,
რას აყვავდება შენს მიწაზე ძეძვი, კუნელი,
ან რას მიგწვდება ცის პირქუში უდაბურება.

ვის შეუძლია წიწამურზე დაქცეულ სისხლთან,
არ აღავლინოს შენი ლოცვა და მწუხარება.
ო, ეხლაც ახსოვთ შენი სუნთქვა ყვარლის ხეხილებს,
ლექსების ლოკვა რო იცოდნენ ნიშა ხარებმა.

* * *

რა საყვარელი სიცოცხლე მორჩა,
სიცოცხლე ჰგამდა ზარების ყაყანს,
შენ თითქოს ღმერთებს თვლაში გამორჩი,
შენ ვარსკვლავივით მოსწყდი ქვეყანას.
შენი გაჩენით დაიწყო გლოვა,
მარადისობის უდაბნოებში,
ქრისტეს უყვარდი, შენ მოგელოდა,
თან ქრისტეს რისხვა გედგა თვალებში...
რა მარტო დავრჩი, ჩემო ნუგეშო,
ვიდა აანთებს ჩემს გულს ჭაღებით.
ვინ მეტყვის — წამო, ნუ გეშინიან,
ქარმა წაიღო გუშინ ბაღები.
მეწვება გული და გულის კვამლი
მიბურავს თვალებს და ასე ალბად,
ბედი ტიალი, ბედი საწყალი,
მწუხრის ზეწრებში გაიბლანდება.
მე ვნახე შენი დამშრალი სახე,
შენი თვალები ვეღარ ვიპოვე,
გავედი გარეთ, პირქვე დავემხე,
მე ჩემი ბედი გამოვიგლოვე.
მიგასვენებდნენ, უკან მოგდევდი,
მძულდა სამყარო, ხირი ბუნება,
გულში ვფიქრობდი, ნეტავ როდემდის,
ნუთუ ერეკლე არ დაბრუნდება.
ნუთუ თბილ გულში ადარ ჩამიკრავს,
გული, რომელიც სცემდა ზარივით.
გული, რომელიც ნანას უკრავდა,
გული მღელვარე ნიავ ქარივით.
როგორ ჩაგაქრეს, რა უცაბედათ,
როგორ შეჩერდა ზარის ზუზუნი.
ნუთუ სიკვდილი ჩვენთან აყბედდა,
ნუთუ შენს ცხედარს აუვა სუნი.
ჩემო სიცოცხლევ, რა ვუყო ეხლა,
რა მარტო დავრჩი, ჰო, რა უგონოთ,

თითქოს კლდეების ჯოგი მეხლება
და მე ვტირივარ კვლავ უბატრონოთ.
მიცვალებულებს ალბად უყვები,
რა ნახე ქვეყნად, თან მწარედ ტირი,
დავდივარ, შენი ლანდი დამყვება,
შენი ფიქრები ტყეებზედ ხშირი.
არ ვიცი რა ვქნა, ჩემო ოცნებავ,
როგორ მოვიკლა გული ალალი.
ეს არის ბედის უცნაურება.
სად არის, ღმერთო, აქ სამართალი.
გადივლის ქარი და შენს სამარეს
დაესევიან ანგელოზები
და სიჩუმეში, ბეთანიისკენ
იყურყუტებენ ნავალი გზები.

* * *

ტყე აშრიალდა, აშრიალდნენ ჩემი ფიქრებიც,
ასე ტყვექმნილი ნეტავ კიდევ დიდხანს ვიქნები?
ჩემი სამშობლო ჩემ ნახვაზეც იჭმუხნის წარბებს,
კაცი არ არის რომ მომხედოს როგორ მაწამეს.

მე რომ მოვკვდები ძვლები მინდა შორს გადაყარონ,
სასაფლაოა ეს ვერაგი მთელი სამყარო.
ოხრათ დასარჩენ ლექსებს დიდხანს კიდევ ვუთიო,
ათიათასჯერ რომ მოვიდე, თუნდ მოვეთრიო, მაინც არასდროს.

## ჯ

გავცდით ხეობებს ეშხით, ყურებით
და მინდვრებისკენ ძლივს წაგიყვანე.
ნიავის თეთრი ნაფეხურები
სროლით მიჰქონდათ თვალუწვდენ ყანებს.

სადაც სილურჯე თვალს უსწორდება
და ბურუსია ბავშვივით წრფელი,
იქ თავდებოდა უსაზღვროება,
იქ ქვებს ეფარა წუთისოფელი.

შორს, ონავარი ქარის ბარტყები,
კენჭებს ესროდნენ მზეს დასამხრებულს.
მაღლით ქედნები დაფარფატებდნენ
სულს დიმამოყრილ და გახარებულს.

შენ საუბრობდი, რაღაც ანაზდათ,
მე მოგყვებოდი თვალებ დახრილი.
ცის ეზოებში სასახლე სჩანდა,
როგორც წარსული და ბალდახინი.

* * *

მიყრუებული ქუჩებით მიხვალ,
გაურკვეველი ფიქრები გფლობენ.
რატომღაც იწვი და გიხარიან,
რომ მეგობრებიც არ გკითხულობენ.

შენ სწერდი წიგნებს და სტრიქონები
გულის გეჯიდან იყო ნახადი.
შენ გიზიდავდა ტირიფონაზე
ბალახზე მწყემსი ჩრდილის ნახატი.

ჩემო მდინარევ, დამხვდი ბალღივით,
მე კი გესტუმრე გზების ავყია,
ჩემი მკლაურით შლილი ტალღები,
შენს მდიდარ ჭავლზე ეხლაც აწყვია.

ეს ნაპირები როდისღა მცნობენ,
მეც ვეღარ ვამჩნევ სიყრმის ალაგებს,
შევყურებ ზვირთებს გაოცებული,
ვით ბრუტსაბძელას შეშლილ სარანგებს.

ლოდებს ხავსის ქვეშ შექვავებიან:
ნეტარ ბავშვობის ტანტარა წლები,
ჩემი ლექსებიც აქ ჩაქრებიან,
როგორც გარეჯის ხელთნაწერები.

შურთხის ფრთებს ჰგევხარ ჩემო ლიახვო,
ნეტავ ამ ფრთებზე მომეკლა თავი,
რომ შენ ჩანჩქერებს ჩემს ძვლების ოჩხში
ემღერათ სევდა დაუღალავი.

ან აელოკა გული ნაკადულს...
სანთლების შუქზე ეფიქრა ცხედარს,
რომ ჩემი გვამი, ხელის კანკალით,
გორიჯვრის ძირში ჩაეფლა დედას.

საღამო მოდის, ნისლის ზედაშეს
სვამენ და დაისს მთები კენკავენ,
ჩემო ლიახვო, ალბათ მე და შენ
საქართველოდან გამოგვრეკავენ.

რა ვუყოთ მერე, ვიღაცა მგზავრი
გაყვება სტვენით გზნების მოლაღურს,
და შეადარებს გაკმენდილ ზარებს
მწყემსის უბეში მოკლულ სალამურს...

* * *

პირქვედამხობილ ღამეებს უმზერ,
გესმის ქარების ჭორი, ძახილი,
ღმერთებმა ქოხში გამოიზამთრეს,
შემოელიათ წიქვილის ხრილიც.
თან დაიბღავლეს სივრცეებს გაღმით,
შორს მონასტერმა ჩამოჰკრა ზარი
და ღვთისმშობელმა შუაღამისას,
თითქოს ტირილით შეაღო კარი.
ამ წუთისოფელს ვის დასტიროდა,
ვის ჩარჩა გულში გზა და ვარამი,
მითხარით, ხალხი ვის დასცინოდა,
ვის გაუვარდა ქარში კალამი.
ვისაც მოსწყინდა ჯდაბნა ლექსების,
ოინბაზობა, ბოდვა, ბღლარძუნი,
ბედშემზარავი ეს ქლესაობა,
ბრბოს შემოტევა და ხოდაბუნი.
ღორმუცელობა ლექსების ჭამით
და ხრაშახრუში ლექსის მტევნების,
სარდაფებს შორის ტრიალი ღამით,
კოცნა, არღანი და კინტოები.
დედის სიკეთე, ბიჭო დაწყნარდი,
ჩაწიდნე დარდი, სკოლაში შედი,
შენ ამ ეპოქას გაუჩინარდი,
ხელიდან წახველ, სულ გადაშენდი.

* * *

მოვკვდები, წავალ, ვინ მომიგონებს,
გულშემატკივრნი აღარსად ყრიან,
შერყეულივით მიმაქვს გონება,
სოფლის მამლები ღამე ყივიან.
მივდივარ გზებზე, მიყურებს ქარი,
ჩიფჩიფებს რაღაც დაბურულ ზღაბარს,
წისქვილთან ჩუმად მიწვება ქარი,
და შემინახავს ბედის ანაბარს.
მივდივარ, ვფიქრობ, რაზე მოვედი,
ნუთუ იმიტომ, ასე მეწვალა?
ქუჩებში თითქმის თრევით მოვდავდი,
თან მე ამ ხალხის წყევლამ დამღალა.
რა ვუყო ეხლა, მივდივარ მარტო,
ძაღლივით მომდევს ჩემი ცხოვრება,
ვიცი, სუყველამ რომ მიმატოვა,
ლექსებიც სადმე გამიოხრდება.
სუნი აუვათ, როგორც რომ მძორებს.
მკვდრებიც კი ხელებს მიიფარებენ,
დედა ბოსელში შერეკავს ძროხებს,
ჩრდილებს ძაღლები კიდევ შეყეფენ.
მეც ავყროლდები, მეც დავიშლები,
და ნიაღვარი დაუსტვენს ქარში.
გაიშლებიან ბარში ვაშლები,
ივალობებენ ლოცვებს საყდარში.

მე გამოვრბოდი. ცრემლი გალობდა.
ხან ქარიშხლების სვეტებს ვეყუდე...
ხატებთან ენთო უბინაობა
და კამარებში მტრედების ბუდე.

მიწები ჩანდნენ, ოდნავ ეძინათ.
ღამე ლოკავდა ყვითელ სამრეკლოს.
მინდოდა ზეცა გადამერბინა
და საფლავები სტვენით ამეკლო.

ჩრდილწამოსხმული იჯდა ცხედარი,
იცქირებოდა ირგვლივ ნაკლებად...
ისმოდა წყევლა შორეულ ხმების
და სივრცეებში ძაღლების ყეფა.

ქარებს ბურავდა მსუბუქი მტვერი,
მიტოვებული ვიწრო ღრუბლებთან.
მე ვანათებდი მეტეორივით
მარადისობის ხშირ მარგილებთან.

სადღაც, სანთლებთან ტიროდნენ ტბები
და მე მლოცავდა გზებზე ყორანი.
თვალებში იდგა განმარტოებით
სქელი სიბნელე, როგორც ბორანი.

ნაძვები ბაღში ვარდებს უკრავდნენ...
გუმბათებს ნოქავდა თოვლივით წირვა.
ქარს მთვარის ელვა მსოფლიოს უკან
წყლების შუქივით გადაეწია.

შიში მეფინა მხრების ზემოდან.
შორს იყო კიდევ დისკოთა მზვარე,
კუბო წვიმების წინ ეცემოდა
და გრიგალები რეკავდნენ ზარებს...

ჩემს ნაფეხურებს სუნავდა ქარი
და მარმარილოს ჰყრიდნენ დილები.
სამყარო არის – ფრთხილად ვფიქრობდი,
სამყარო არის! დანამდვილებით.

პლანეტებს გაღმა ვიღაც ნანობდა,
ვინ იცის ქარში ვეღარც დაბრუნდეს...
ლოდებთან ენთო უბინაობა
და კამარებში მტრედების ბუდე.

* * *

მე წაგასვენებ, სხვა პატრონი არ გეყოლება,
ჩვენ შესანდობარს მათხოვრები ღრეჭით დალევენ,
მარადისობა მრე ზარების ხმით ახრჩოლდება,
ჩემი ლექსები შენს კუბოში იფართხალებენ.
ლექსებს ჩაგატან, აბა მე სხვა რა მაქვავია,
მეპყრა ლოცვებიც და ისინიც დავკარგე გზაზე.
ასე მგონია, რომ სამყაროც ყრუ საფქვავია,
და ჩემ სიმღერას შენი გული თუ დააფასებს.
ფუტურო ლექსებს, ჩემო კარგო, ნუღარ გამოხრავ,
ისეთაც დაო დიდხანს ღრნიდნენ მწველი ქარები,
ერთი პოეტი შენ დაგრჩება ამ ქვეყნის ოხრათ,
მიწაზე ვგდივარ, დუქან-დუქან დავიპარები.
თითქმის ცისმარე დღე ვიღუდებ შენს სადღეგრძელოს,
თითქმის ნიადაგ მეკიდება ცეცხლი სხეულში,
გული იწვება, თვალებიდან გულის [კვამლი] კი
ამომდის მარად და
ოჰ, რას ჩაგატან, აკი გითხარ წამებულ ლექსებს,
იფართხალებენ, მხოლოდ მაშინ გაგაღვიძებენ
და რომ შეხედო ჩემ ცხოვრებას ტიალს და ვერაგს,
იცი, მიწის პირს ზოგჯერ ჩუმად გადაგიწევენ.

* * *

*ერეკლე ტატიშვილს*[1]

ის კამკამებდა ვით ქრისტეს ლოცვა,
ბნელ, გრიგალების კოშკების იქით,
ტანზედ კვირაძლის სიმღერა ეცვა,
თან შრიალებდა, როგორც ტირიფი.

ისმოდა ცეკვა შეშლილ ქოშებით,
ცას გასცქეროდა საკია-მუნი.
ხალხი ვიდოდა შავი დროშებით,
და ლაჟვარდების იდგა გუგუნი.

საყვარელ ცხედარს მიასვენებდნენ,
კუბო ღუნავდა დარჩენილ სხივებს.
მოხუცი ბერი ვზათ სველდებოდა,
და ბეთანია ანთებდა იებს.

ჰქრებოდა ბედი ნაკურთხი სევდით,
მარადისობის ყელმოღერება.
თითქოს დასაბამს ხანჯლით სერავდნენ,
თითქოს იწვოდა ქვეყნიერება.

ისმოდა ცეკვა შეშლილ ქოშებით
და კოშკებიდან ისროდნენ ვარდებს.
ზარი კიოდა ხანგამოშვებით
თრიალეთიდან აღთქმის კარამდე.

ისმოდა ცეკვა, საკია-მუნი
მღეროდა ლოცვებს. იქ ბუდას მეკვლეს
მზვარა მოჰყავდა უკუნეთიდან
და უხაროდა ბატონ ერეკლეს.

---

[1] *ერეკლე (ირაკლი) ტატიშვილი (1884–1946) – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი.*

## ეძ  ᲧᲧᲧ

ის დადიოდა ფერშეცვლილ გზებით,
სადღაც მწირ ქოხში ბჟუტავდა კვარი,
დაღლილს, ნაწამებს და გაბეზრებულს
სულ თბილისისკენ ეჭირა თვალი.

ის სახრჩობელას თოკზედ ეკიდა,
ძირს ეგდო ლარებდამწყდარი თარი,
ის უცხოეთში ჩუმად კვდებოდა,
თან თბილისისკენ წყდებოდა თვალი.

## Ძ

გაუხარელი დღეები არი,
გაუხარელი ამინდები სდგას,
ბავშვი ობოლი, თოთო, საწყალი,
გუშინ კარდაკარ ეძებდა დედას.

გზების წუხილი, ფანჯრებზედ ჟინჟღლი,
ზევით ღრუბელი, ძირს ნოემბერი,
ხევის სიყვითლე, შარა დაღლილი,
მონასტრის ზღურბლთან შეშლილი ბერი.

გაუხარელი ამინდებია,
წვიმები ბუხარს კიდევ აქრობენ.
წისქვილთან ბევრი საფქვავებია,
და სოფლად ჩუმად ლაპარაკობენ.

* * *

მუხლდაქანცული მივყვებოდი ყაყანა ქუჩებს,
ილაჯგაწყვეტილს, ჩემი ბინა სადღაც მელოდა.
მე მივდიოდი, გარიყული, ბედის აბუჩი.
სახე გამშრალი ჩავდიოდი საქართველოდან.
ის იყო უნდა გზებზე ბინდი დარხეულიყო,
რო წამოგვაწყდი მეგობარო და მოგვეხვიე,
თალხები გეცვა, თმები თრთვილში ამოხვეული,
თითქოს თეთრ თმებში თეთრი გული წასვლოდათ იებს.
რა დაგემართა? თვალებს როგორ ჩაღამებიათ?!.
ორი ნაწნავი მხრებზე რატომ აღარ გაყრია?..
ის ეკლესია ერთათ დამე რო გვითევია,
თუ კიდევ ბუდობს, ან ზარები თუ გაჭყვირიან?..
შენ მიხუტებდი ბავშობიდან დაკარგულ ნუგეშს,
თუმცა რა იყო ჩემში გარდა ნანგრევის მეტი,
გეუბნებოდი, ჩემთან დარჩი, ნუ გეშინიან,
ყომარს ვთამაშობ, იცი ეხლა შენი პოეტი?!.
რა ვუყო ჩემო, ასე მოხდა, რაღას გავაწყობ,
შენი ბრალია, რათ მირჩევდი ქალაქათ წასვლას,
ნუთუ ვერ გრძნობდი, არ ვუყვარდი ჩემ ნათელ აწმყოს,
ჩავაფლავებდი უმაღლესში ყოველგვარ სწავლას.
ნეტავ სოფელში ვგდებულიყავ, შენ შეგირთავდი,
მე გუთნის დედა ვიქნებოდი, შენ კი მებაღე.
ვახშმობის შემდეგ თითისტარზე ძაფს დაართავდი,
და მოდუღებულ რძეს მოხდიდი ტუჩსისქე ნაღებს.
ჩვენი ბავშვები მერცხლებივით დაიზრდებოდნენ,
ამ ექიმებთან ასე ხშირათ აღარ ვივლიდით,
ბოსლის კარიდან გამოყოფდნენ თავებს მოზვრები,
კუნძზე მამალი შეხტებოდა თავის ჯინჯილით.
ზამთრის სარჩოზე ვიფიქრებდით როგორც ფუტკრები,
ახალწლის მეკვლეს გოზინაყით დავანაყრებდით,
სასაფლაოზე თოვლის პაპას დასდგავდნენ მკვდრები,
და შუაღამეს დააფრთხობდნენ ძაღლები ყეფით.

როგორ სიამით მოვილხენდით შერჩენილ დღეებს,
ერთ ბღუჯა სვინდისს წავიღებდით ბედის ლელოდან,
შენ მაინც ნირზე შეგრჩებოდა ჩვენი დღეობა,
მე კი ქვითინით წავიდოდი საქართველოდან.
განა იმიტომ რომ სიცოცხლე მძულდა ოდესმე,
რა სათქმელია, ეს არასდროს არ მიფიქრია,
მე მხოლოდ მუდამ მაწუხებდა უსვინდისობა,
რომ დანდობილი სადღაც ლაფში გადამათრია,
თორემ რა არის, როგორც უნდა მეცხოვრა კარგო,
მძიმე სახადის დარად მღრნიდა ეს პოეზია,
თითქოს რაღასაც მოველოდი, ბედის დამთრგუნველს,
სიბერე მაინც სვავის ფრთებით წამომეწია.

ალბათ ჩაიწვის ჩემი ძვლები, ცეცხლიც ჩაქრება,
ნაცრის გადაყრას ალბათ დედა არ დამზარდება.
ნაძვები ტოტებს აღაპყრობენ და დე ქარებმა,
იტორღიალონ, როგორც ქუჩის არამზადებმა.

ჩემს შესანდობარს გადაჭკრავენ ხარის ყანწებით,
რამდენს ბოდავდა, უმიწაწყლო, ზარების გიჟი,
სუდრის ეზოში დაეძებდა იებს, და წლები
ეჩხუბებოდნენ და ღმერთებთან მიჰყავდათ შიშით.

ჩემ დანაცრებულ სხეულს ვიღაც მოხვეტავს ხელით,
და როგორც პატივს ყვავილნარში შეიტანს კრძალვით,
გვირილებს უცებ წამწამები აეხილებათ,
და დიდ სარკეში ჩაიხედავს ყრუ პატარძალი.

სულს როცა ლევდა, უკანასკნელად
ბოროტ თვალებით გახედა ველებს,
გაღმით უკუღმა ეგდო ქვესკნელი
და შიგ სისინი გაჰქონდათ გველებს.

დაუმარხავი გვამივით ყარდა,
ქარი სუნავდა ხან-გამოშვებით.
წარმავალობის ტიალ ყორესთან
ისმოდა ცეკვა შეშლილ ქოშებით.

## ძ

შენ კითხულობდი უიღბლო ლექსებს
და თხელ მკერდის ქვეშ გტკიოდა გული,
ხან გასცქეროდი მთვარიან ქედებს,
როგორც ფრინველი გზადაკარგული.

შუქი ბაღს რწყავდა. ცის მყუდროება,
თითქოს მოჰქონდათ ღამურებს, ბუებს,
შორს, ჭრიჭინები ორღობეებთან
უძახდნენ ხნიერ გამოქვაბულებს.

შემოხვალ მარტოდ, დაჯდები ჩუმად,
გამონელდებათ სიმღერა ყურებს,
აფრინდებიან ლანდები ჯგუფად,
„რად დამივიწყე?!“ – მისაყვედურებ.

თვალებს მიაპყრობ ბნელ სიყმაწვილეს,
ეხლაც კედელზედ რომ იდვენთება.
კლდე შეიბუდებს გველის წიწილებს
და სქელ ღრუბლების ქვეშ გათენდება.

## ც ე

მელოდებოდი ფოთლებთან ერთად,
თხელ სივრცეებში ხედავდი ბილიკს,
თან ყურს უგდებდი ქარის სიმღერას
და წუთისოფელს სულ ხმაგაკმენდილს.

„ის ადარ მოვა, რადგან სისხამზედ
ჩვენ ვნახეთ ღამეს რომ გაეტირა“ –
ძლივს დაგარწმუნეს ამხანაგებმა,
და დალალებზედ ჰყვაოდა კვირა.

## ე

ის დაიბადა მუნჯი, გზნება, ბედუწყინარი,
ამ ქვეყანაზედ ჩაიარა ხმაჩახვეულმა,
სოფლად ვერხვები კითხულობდნენ: ნეტავ ვინ არის,
რომ დაჩვეულა ბედის წყევლას თითის კბენაზედ,
იქნებ მიჯნურის გამოწვდილმა ხელმა უმუხთლა?!.
ნისლებში სჩანდა ცეცხლი როგორ ეკიდა საბძელს.
დახედეთ, მაინც თვალი სცეს საწყალს,
ენა აუდგეს, მუჯლუგუნით ჩაუქრეს გული,
გადააჩვიეს ყოველ ღამე ქუჩებში წანწალს
და, ზარებივით ააყბედეს ის უბედური.

ხელების სითბო და გულის ცემა,
კარგო, რამდენი მქონდა სათქმელი...
სად გაჰქრა ნეტავ ის აღტაცება,
ანდა, ვინ გვეძებს ღამე სანთელით.

რა წყალს მივეცე, როგორ მარტო ვარ,
რა უგვანია სიცოცხლე გრილი.
იმ დღეს ღვინის ფულს ვთხოვდი მათხოვარს,
თან ვუკითხავდი ლექსებს ტირილით.

# ე
# კ ხ

მე დავიღალე ამდენ წანწალით,
გული საგულეს აღარ ეტევა,
წავალ, იტყვიან: კაცი საწყალი,
ის კუბოებზე გადაიმტვრევა.

დავიღუპები სულ მარტოდ, მარტო,
მიწასაც არც კი გაიმეტებენ,
სიკვდილის შემდეგ კიდევ ვიდარდო
ნუთუ სიკვდილსაც ჩამაცეცხლებენ.

გადამაჩვევენ მკვდრები ლაპარაკს,
და მასწავლიან ცეკვას სანთლებთან,
დედას დარჩება ჩემი არაკი,
და ყრუ ბუტბუტი ხნიერ ცაცხვებთან.

ბნელ სარდაფებში ანთებულ კვარზე,
ჰყიდდა ძველ ლექსებს ერთ ხელადაზე,
გამოდიოდა და მთელი კვირა
გულამოსკვნილი ტიროდა გზაზე.

არ სწამდა, არა, არც სათნოება,
ირგვლივ ბუდობდნენ ჭორი და ქვები,
მისი სხეული იყო სათონე,
და ძვლებზე ჩუმად ისხდნენ ლექსები.

ის იქ ცხოვრებას ვერ მოახერხებს,
ო, ისე როგორც აქ ირწეოდა,
იმას ნიადვრებს ქვეშ გატიხრავენ,
რომ ჯოჯოხეთი ვერ დასწეოდა.

ზედ დამაყრიან ჩემს ტიალ ლექსებს,
დავემზგავსები მაღალ სუდარას,
სადღაც ღრუბლები დაიჭექებენ,
და ვიღაც ესვრის ბავშვებს ყუმბარას.

წლისთავზედ მნათე ჩახსნის ურდულებს,
ძველ ეკლესიას კარზე რომ ედო,
ღვთისმშობელს ქრისტე კვლავ უჩურჩულებს,
ცოდოა, ცოდო, არ გაიმეტო.

## ე

ჩემი ცხოვრება ძანძახი იყო,
ნოემბრის ჟინჟღლი, დეკემბრის თოში,
გავჩნდი განგებ, რომ დავდუპულიყავ
ჩემს დედინაცვალ საქართველოში.

სად ჩავძაღლდები, აბა, ვინ იცის.
რა თავში ვიხლი სამოთხის კარებს,
ქარიშხლებს სადღაც ჩაეცინებათ —
უდაბნოს ხვითქში გაზრდილ მასხარებს.

ჟამთა სიავეს მგზავრი ასცდება,
მოვა, დახედავს მკერდის ნიჟარებს,
მიცნობს, შეკრთება, შევეცოდები
და ტანში ცივად შეაჟრიალებს.

წავა და საყდრის წინ დაეცემა,
ყველა გამვლელის ნაფიც ჯავარად,
და საცოდავი ჩემს ცხოვრებაზედ
მოჰყვება ტიტინს, როგორც ჯაფარა.

წუხელის შენთან ვათიე ღამე,
სასახლეს აკვანს ურწევდა ბაღი,
და გაფრენილი მუსიკის ღალღა,
სადღაც უსტვენდა მდინარის გაღმით.

შენ კი ვერხვები შემოგტიროდნენ:
ნუგეში, ხსოვნა, ბედი გვიანი!..
იდგა ყვავილთა ჩუმი ვედრება
და შენს ფანჯრებთან ტაშის გრიალი.

იცით ჩემს გულში ბედურებს სძინავთ,
თურმე ჩიტები მეგუებიან.
ვდგევარ ჭიშკართან, ჩემი ნაძვები
მიქნევენ ტოტებს და ბრუნდებიან.

სადღაც სივრცეში ვიღაცას ღვიძამს,
სჩანს შემკრთალია უსაზღვროებით,
სამყაროს უკან ქარი მძვინვარებს
დასაბამიდან — სულ გამუდმებით.

შეეხვდებით ბაღთან, რიდებით, დარდით,
სად შაშვის ხმაზე შეგშინებია,
მე მოგიყვები, როგორ მიყვარდი...
შენ კი, მთვრალს, როგორ ჩამძინებია.

## ძ

*თამაზ ჩხენკელს*

მეც დამელოდე გაზაფხულამდე,
სანამ შესცურავს ტბებში ნიავი,
ირემი წყალში შევა მუხლამდე –
ლამაზი, სახე გაუქირდავი.

სანამ ხასხასა ჭავლთა თაიგულს
გედის სველ ფრთებში ჩაეძინება.
მოვალ და მეტყვი, წმინდა თაგორი
ინდოეთიდან მოედინება.

და ამ ზვირთებში სულ კარგად მოსჩანს
რაბინდრანატის ზარების გლოვა,
ბუდას ლოცვებით ვინც გადარჩება,
მისტერიებით ის დაითრობა.

მოქუხს პოეტის დიდი მდინარე,
გვრიტების სტვენა მოსწყდება ჭალას,
მე წაგიკითხავ ვარდებს, ბენარესს,
შენ კი მიმღერებ შენს გიტანჯალას.

* * *

როგორ გიხდება ხშირი მთები
ნისლებ ნათიბი,
როგორა გშვენის კამარების
რუხი ქათიბი.

ენთე ნიადაგ საკუთარ გულში,
თან ყავარივით ხადე ვარამი,
სული აგმოხდეს სულთათანაში,
და უდაბნოში დასცენ კარავი.

შიგ შეიბუდოს უდაბნოს გველმა,
შემოეხვიოს ქადაგს ზედ წელზედ.
დიდხანს იტირო ბედით გვემულმა,
წუპაკი მღვდელი აგიგებს წესებს.

ეს შენი გული არყის ქვაბია
და ქვეშ უნთია შენი ლექსები,
ამაზე მეტი რა გაქვავია,
აგერ მთის იქით ყვირიან გზები.

ალბათ შენს ცხედარს მიასვენებენ
და ჭირისუფლად ყმუიან მგლები,
შენ არასოდეს გაგიხსენებენ,
სისხლით დასვრილი ვერაგი წლები.

რუხ ხალიჩაზე ილოცებს ჩრდილი,
შენ რომ დატოვე ლანდების დარი,
და შენი ლექსით პირში გაჩრილი,
იცეკვებს დიდხანს ნოემბრის ქარი.

იცეკვებს სანამ სულმოუთქმელად,
ღონემიხდილი არ დაეცემა,
ვიღაცა დასწერს შენზე თქმულებას,
და დაგუბდება გარეთ ლექსებად.

უკეთებ ძვლებს და ქვაბი თუხთუხებს,
შიგ შენი სისხლის ზედაშე დუღს და,
ის კაცი მოვა, მოიყრის მუხლებს,
რა ვუყოთ მერე, ის როდი ქუხდა.

ის დაიბადა მივარდნილ მხარეს,
იცხოვრა, მაგრამ არ სწამდა ბედი,
ის ღრუბელივით გადაიყარეს,
ის, პოეზიის უშრეტი ყბედი.

* * *

გადამეყრები, ერთად წამოვალთ
ჩემ ყრუ ბინაში ორივე მთვრალი,
წუპაკი კოცნით სხეულს მოწამლავ,
ჩუმათ ჩაქრება გარეთ მაყალი.
ხელადა ღვინოს წააქცევ ფეხით,
ღვინით დასვრილი იცეკვებ გოგო,
პერანგი მკერდზე გადაგეხევა,
ჩემი წარსული რომ მოვიგონო.
გრძნობა დაკარგულს მოგწყდება მუხლი,
გაიშლართები ტახტზე უგვანოთ,
შემოგეხვევა ფიქრების მუმლი,
სხვა კაცის ნუგბარს ღრეჭით გამანდობ.
„მე დავდიოდი ერთ მწირ ოჯახში,
მიყვარდა იმის ხმა და ლოდინი,
არავინ ყავდა ჩემს გარდა სახლში,
ის იყო, მე და იმის ლოგინი.
ჩვენ ვათენებდით ხშირათ შიშვლები,
ყვავილებს კათხით ვაყირავებდით,
ჩვენ არ გვინდოდა ძე და შვილები,
ცხოვრებას კოცნით ვივარაყებდით.
ერთ დღეს მიფრინა ზღურბლიდან გარეთ,
მითხრა: — მომწყდი და წადი შავქვაში!
მას აქეთია სულ დავეთრევი,
ვიღა არ მიცნობს ტიალ ქალაქში“.

* * *

თებერვლის ამინდს ჩუმად ეღვიძა,
შენ ქუჩის პირზედ, შენ ფანჯარასთან,
დარდით მეწოდა ძმაო გულ-ღვიძლი,
რომ ადარ იყავ ერთგულ ჭადართან.
ნაძვის წიწვები ეყარა ირგვლივ,
თელა ბღაოდა ვით გერის მზვარა.
სადღაც შენ სცენებს სდგამდა გრიგალი
და გვირგვინები ქარში ეყარა.
მიგასვენებდნენ შავბნელ გოდებით,
ჩვენ წინ ცეკვავდა ჯანღი უკუნი,
ხალხს კი ფეხდაფეხ ჩუმად მისდევდა
ცრემლმორეული საკია-მუნი.
გემდურებოდნენ დაღუპულ ნუგეშს,
სანთლების ალზედ გადამწვარ მეკვლეს,
ღმერთს ჩუმად ვსთხოვდი, ნუ შემიშინებთ,
ნუ დამიტანჯავთ ბატონ ერეკლეს.
რამდენ ღამეებს ვძოვდით ცხვრებივით,
მე ვიყავ შენი გზნების მაყარი,
ნისლეთი იყო ჩვენი ცხოვრება
და შთაგონების გუდამაყარი.

* * *

ვერ იშორებდი სევდის კრაზანებს,
მშვიდათ ჯერ არსად დაგიბუდნია,
ხშირად ფრთებგაშლილ ფერად ზამბახებს
შენზედ ბაასი ჩამოუგდიათ.

ხან დიდხნობამდე გადაკარგულხარ,
ნეტავი რაზე, ნეტავი რისთვის?!
როცა დიდებას უმზერდი მტრულად,
როცა არ სწუხდი უკვდავებისთვის.

* * *

მონასტერი სჩანს მთაზე ნისლივით,
ორთაყვირებით სჩანს განთიადი.
ლექსი ჩამექცა ტვინში სისხლივით,
და ჩაიჩოქა მუხლმა ვარამით.
დაჭრილი გული ხარივით ბღავის,
საცოდაობა ჩემი ხვედრია,
დედა რა არის ისიც კი, დმერთო,
ჩემ სივალალეს ვერ მიხვედრია.
რო გავიხურავ სახლის კარს დილით,
ასე მგონია სამყაროს ვტოვებ,
თითქოს ვეხები ნინოს დალალებს,
და მსხვერპლად ვწირავ ჩემს სიმარტოვეს.
უკან სიცოცხლე ძაღლივით მომდევს.
სად შევაფარო თავი, საძაღლეთს.
თვალებში ჩანდა ქრისტეს ვედრებაც,
რა მეშველება დარდებით ნაღლეტს.
დამბლა დაცემულს ლექსების ჭამით,
სისხლში ლექსები ხშირად ბორგავენ.
ასე მგონია ჩემ თავის ქალას
თითქოს ქარები აგორავებენ.
ფეხებს არტყავენ, წივიან, ჰქრიან,
პირდაღებული ხეები დგანან,
ქედებს ღრუბლები ჩაუკირიათ,
ეს მლოცველები ნეტავ რას ჰგვანან!
ლექსი ჩამექცა ტვინში სისხლივით,
ტვინი გამოხრეს ტიალ ლექსებმა,
თავის ქალაში შეძვრება ხვლიკი
და მოუნდება ლექსების ქება.

* * *

დაშვებულ ფარდებს გააშტერებს შენი ალვის ხე.
ვინ დაგინახავს, რომ ყვავილებს ეტიტინები,
ეხლახან იყო რომ გაიძრეს თეთრი წინდები,
და რო შეტოპეს და მოიგდეს ფეხქვეშ ლიახვი.
ეხლახან იყო კაკლის ჩრდილთან რომ შემეფეთე,
დაღლილ თვალებმა უზრუნველად დამიწყეს ცქერა.
სხვილ კულულებში ჩაიშალა შენი სიმღერა,
ქუჩის ბოგანო, თითქოს ღმერთად გადამაკეთე,
მეც ვწერდი ლექსებს, იცი გოგო, მეც ვწერდი ლექსებს.
მეც ვერეოდი მარაქაში, მე სისხლ ნარწყევი.
მე სამშობლოზე რათ ვიყავი მუდამ ნაწყენი,
აბა რა ვიცი, რათ შემრისხეს, ან რათ ჩამქოლეს?
ეს იცის ღმერთმა, თუ კი სადმე ჯერ კიდევ ბორგავს,
და თუ ჯერ კიდევ ყრუთ უნთია თეთრი სანთელი.
რამდენი ტანჯვა დამრჩა გოგო ჩამოსათვლელი.
შენი ბავშვია, ხედავ გოგო, როგორ დაგოგავს.

* * *

ქარმა შეხეთქა ჩემი ცხოვრება,
და მღვიმეებში ხშირმა ვედრებამ,
ჩემი წანწალიც დაიხურება,
ულექსო კაცი რას ემგვანება.
საკინძგადახსნილს მეხვევა ბერი,
ილოცე, მოდი! კაცი არა ხარ?..
ქალი ჩონგურზე ლექსებს დამღერის,
მე ქვეყანაზე ხომ აღარა ვარ.

სიცოცხლეც ხელში შემომელია,
ცრემლებიც დაშრნენ გულის ჭაობში,
ჩემო ნუგეშო, შენ შემოგევლე,
თუმცა სიცოცხლემ დაიკლო ჯანში.

მინდა დავეცე შენ საფლავთან საკინძგახსნილი,
ტუჩებით ვწოვო შენი ლექსის ფესვი და ძირი.
წიწამურს წავალ სალოცავათ, ჩემო ილიავ,
და დავბრუნდები შეშლილივით ვით შენი მწირი.

შენი სიმღერა ჩვენი მთების სალამურია,
შენი ფიქრები საქართველოს ჩუქურთმებია,
ჩვენი გოლგოთა ეგ ტიალი წიწამურია,
ჩემო სამშობლოვ, რა ბაჯაღლო წაურთმევიათ!

უმანკო სისხლი მადალ ხეებს აუწოვიათ,
და მყის შეყრიათ შენი სევდა, ჩემო ილიავ,
რო შეგსწრებოდი, ო, პოეტო, ალბად ჩემს ნაწერს,
დამიბეჭდავდი და მეტყოდი, — ბიჭო, მადლია...

ეხლა კი მარტო, მომაქვს შენთან ჩემი ცრემლები,
შენმა სამარემ შემიფაროს, ესდა მწყურიან.
ჩემო მგოსანო, რომ ცოცხლობდე შეგებრალები,
ჩემი ცხოვრებაც წამებული წიწამურია.

სამყაროს უსასრულო თონეზე, ცაში
ვინ მიაკრა ეს პლანეტები?
ეს დედამიწა კუტია ჩავარდნილი სივრცეების ნაცარში,
რადაც უცნაურად, თავგამეტებით.

# ხ ე

*მარადისობის ნაკამარევი*

უსაზღვროებას გავცქერივარ, მივეხეტები.
ღამე ზრიალებს, ქარიშხლები ემატებიან.
რა ამბავია? – ქვებზე დამჯდარ ქარს ვეკითხები,
რომ გუგუნებენ? – მიმავალი პლანეტებია...

მთვარე კი ბჟუტავს ცის ეზოში როგორც ფანარი.
მიწა სიბნელეს და გაუვალ ქარს ეფარება.
იქ გუმბათები კივილს ყრიან და მიფრინავენ,
თურმე ნისლებში გზა დაკარგეს ზღვა საფლავებმა...

იქ პრტყელ ვარსკვლავებს ცის გარედან ასკდებათ ელვა.
წვიმა თუ უშენს და ტირიან სამრეკლოები.
მთვარისკენ მივალ, შუქს ცრემლების ტალღა იძლევა
და მიწებს იქით მე მისტვენენ ცის მეკობრები.

„წადი, ირბინე, სანამ ყვითლად ჩამობნელდება,
წადი, იმღერე და დაოსდი სივრცეებისკენ“.
ოხ, ეს სიცოცხლე ნეტავ როდის გამომნელდება,
ო, უკვდავებავ, კარგი ჰქენი, რომ არ მიკისრე.

მთვარეზე დავალ ჭანდარივით ქარწამოსხმული,
სადღაც ძაღლები სინათლისკენ იყეფებიან.
ბოლოს მომიღებს, კამარებო, თქვენი ხმაური
და ქარში თვალებს ხმა წაუვათ და ჩაქრებიან.

დავიღუპები, ქარი იტყვის: უცნაურობა.
არ დამიფარო გრიგალებში გზაო ძლიერო...
დე, დედის მწარე და ღიმშეცვლილ საცოდაობამ
ზეციდან ზეცა ყოველ ღამე ათვალიეროს.

კიდევ გონებადაკარგული მივეხეტები.
მეხის ხმა ესმით, ქარიშხლები მემატებიან.
რა ამბავია? – ჩემს საკუთარ ჩრდილს ვეკითხები,
რომ გეძახიან? – შებინდული პლანეტებია.

ძველ მარგილებზე გაფენილ სარეცხს
ვიღაც მხატვარი ხარბად ხატავდა...
ეს გული იყო სხეულის სარცხი
და ყველაფერი როგორ გათავდა.

წისქვილის ახლოს დიდი ხართუთა
ხარებს აბამდა ჩაშლილ კალოში,
ხალხი ოხრობდა და ხარხარებდა,
მე კი ვდარდობდი საქართველოში.

მონასტრის კართან შეშლილ მოლოზანს
ღვინოს ასმევდა მოხუცი ბერი,
უღრან მთებს იქით გლოვობდა ზარი,
გამოქვაბულთან სთვლემდა ნამქერი.

გვრიტები წნორზე უკრავდნენ ფანდურს,
მოხუცი თელა სალამურს თლიდა,
ვერხვი იცვამდა ფეხზე ფანდულებს,
ალი დალალებს ისროდა წყლიდან.

ბინდი ჰკეცავდა ლურჯ პანაშვიდებს,
ისმოდა მტკვარის მძიმე ქლოშინი,
ქარი მართმევდა გზების სიმშვიდეს
და კვლავ ვგოდებდი საქართველოში.

მწირი მხატვარი ხატავდა პოეტს,
ოდნავ ნაღვლიანს, ფიქრებში ჩაფლულს,
ვისაც სიცოცხლე მოენატრება,
და შეერევა მთებს და გაზაფხულს.

## ხ

ნაძვის ხემ თითქოს მგზავრს დაუძახა,
მგზავრი დაიბნა და მოიხედა:
ის იყო საყდრის მოხუცი გლახა,
ადარ ახსოვდა მამა და დედა.
იმას არავინ არ კითხულობდა,
ის იყო მწირი განუკითხავი,
ღამით პატარა მიწასა ფლობდა,
დღისით ბოდავდა, როგორც მკითხავი.
ჩიტებს უყრიდა ზოგჯერ ნამცეცებს,
ხშირად ჩიტები იმას ეძებდნენ,
და ნაძვის ხეზე რომ იძინებდნენ.

* * *

გუშინ ვენახში შემომხვდა ბიძა,
ვაზსა ყელავდა კვირტ-გაუფურჩქნავს,
იქვე ალუჩის ხეებს ეღვიძათ,
და აკვანიდან ამოხსნილ ნიავს.

ბიძა დაეყრდნო ბარის ტარზე და
მომიყვა როგორ დაბარა კვალი.
როგორ წამოდგა განთიადზედა,
როგორ გალანძღა თავის მძახალი.

წყალს არ მაძლევდა მომერწყო ეტი,
ჯიბრში ჩამიდგა, ძვლები დამიხრა,
ჰო, რა ძაღლია, უფრო მეტს გეტყვი,
მთელი ურმის გზა გადამიტიხრა.

ჩემსკენ ფანჯარას ნუ დაატანო,
ჩემი სინათლე შენს სახლს რათ უნდა.
ერთი ისეთი დამიტატანა,
რომ გული ორჯელ გადამიბრუნდა.

# ჯ ე ძ

როცა სადამოს რუხ ნაწვერალზედ
იძინებ მშვიდათ მტრედი, ბატკანი,
ასე მგონია აკვანს გირწევენ
და საგოგავებს გააქვთ კაკანი.

უმანკო მიწავ, წინაპართ მოდგმავ,
იქნები სანამ მტკვარი გცემს ტალღებს,
სანამ ქართველებს სული უდგიათ
და ნიავქარი შენს იალაღებს.

შენც დაეცემი, არმაზის კერპი
კოდმანის კლდეზე დაიწყებს ცეკვას,
ბრგე დარიალთან შედგება თერგი
და შეიტყუებს ძარღვებში ძელქვას.

ტლუ მათხოვარი სასაფლაოზე
შეცეცხლავს ცივი კერძის ნარჩენებს,
ძროხა იბღავლებს სასაკლაოზე,
ყასაბს დასწყევლის და შეაჩვენებს.

არმაზის კერპზე ბავშვს მიაკრავენ,
ასე სწირავდნენ წარსული დრონი,
იქ დარიალთან ჩონგურს უკრავენ,
თუ ვიღაც ცეკვავს რუსულ გარმონით?

აქ პიტიახში ჩამოხსნის მთვარეს,
დაჰკიდებს ზარზმის პიტალო კლდეზედ.
და დარიალთან თერგი მშფოთვარე
შეაჟღარუნებს ელვარე დეზებს.

* * *

*ერეკლე ტატიშვილს*

საუკუნენი წავლენ ბღავილით,
ათასი წლების უდაბურ გზებით,
პირში შეგვრჩება ბედის აღვირი
და ნისლებს შორის დავიძენძებით.

შენ ნაფეხურებს იპოვნის ქარი,
შორს პანაშვიდი თვალებს აანთებს,
როგორა ჰგავდი მწუხრის მდევარი,
ქართლის მიწებში დამწვარ მკათათვეს.

მარადისობის პაპანაქება,
შენ მიგიხმობდა, უცნაურ მეკვლეს,
წუთისოფელი როცა გაქრება
ვიღაც გიპოვნის ბატონ ერეკლეს.

* * *

მე ვიცი დიდი დარდების თოში,
შენი წამება ო, ამ დარდთან მაინც რა არის,
უნდა წავიდე შეთქმულივით საგურამოში,
იქნება ვნახო შენ კაკლის ქვეშ შენი სიზმარი.
რა იქნებოდა შენც გეცოცხლა, ჭირიმე შენი,
შენი ნუგეში საქართველოს ხეებს ასხიათ.
ნეტავ გეცოცხლა, სიყმაწვილეს შენ შეგწირავდი,
არ დამრჩენოდა ო, ამ ქვეყნად ბედის ნასახი.
ეხლა დავდივარ უპატრონო, მწირი, ყაყანა,
თან ჩემ ნაწერებს ჯიბით ვათრევ, როგორც ბოგანო.
გადამემტერა ეს ტიალა მთელი ქვეყანა,
კაცი არ არის, რომ ხმა გავცე, შინ წავიყვანო.

* * *

*ნიკოლოზ ბარათაშვილს*

დიდო პოეტო, ივერიის ღვიძლო გენიავ!
როგორ გსუსხავდა წარსულ დროთა ყინვა და თოში,
როცა მთაწმინდას ვუმზერ ხოლმე, ასე მგონია:
შენი ძეგლია აღმართული საქართველოში.

როცა გავცქერი მტკვრის ტალღების შეწყობილ დენას,
ვფიქრობ, ჟამს მოაქვს შენი მწველი ხელთნაწერები.
ასი წლის წინათ რა იცოდა მოხუცმა დედამ,
თუ სამშობლოში იხარებდნენ შთენილი ძვლები.

ალბათ, მერანმა ფრთები გაჰკრა მარადისობას,
რომ ვარსკვლავები ცაში გაჩნდნენ ნაპერწკლებივით,
ირმის ნახტომი გაბნეული ღამის ნისლებზე,
თითქოს ბუღია ავარდნილი ღამის ჭენებით.

შენი ხსენება ყველა კაცის გულს დაერევა,
უკვდავებისკენ გაფრენილო ბედნიერებავ!

* * *

მე ვიცი ფიქრი და გარინდება,
ეს ჭმუნვის რთველი სიცოცხლეს დასდევს,
ხანდისხან მოდი, რო დაბინდდება
და მესაუბრე შენს ცხოვრებაზე.

შენს მუსიკაში ჩემი გული წევს,
ეგ ჩემი გული ბაასი არის.

# ჯ

შენთან ყოველთვის იმ დროს მოვდივარ,
როცა ბინდებში ხალხი ილევა,
ჩემი ცხოვრება შენი დარდია,
შენ კი ხარ ჩემი განწყობილება.
როცა შენს აღმართს შევყვები ხოლმე,
ხმა მესმის – რეკავ იდუმალ ზარებს,
ამ დროს ქვეყანა თითქოს ხომლია,
და ყველაფერი პირქვე ზანზარებს.
შენ რომ მრევლი გყავს, ისე ამოდის,
როგორც შერისხულ მლოცველთა ხროვა,
იწყება ჭმუნვა მორთხმულ მოგვების,
და შორიახლო ავდრების გლოვა.
შენი ხე გარეთ გზნებით საუბრობს,
გზნება, რომელიც ჩვენ გაგვახუნებს,
ხე რომ შენსავით ყველას გაურბის,
და ხან მგზავრივით რომ გირახუნებს.
აქ არის რაღაც მწველი სიამე,
გულს რომ ჩასტირი და იმალები,
შენი საკანი ან ზღვის ღამეა
ან დაღუპული ნიცშეს თვალები.
ხან ჭროღა თვალებს უცბად იკროლავ,
თითქოს კვნესიხარ: მიშველე დედავ!..
თითებს ისრესავ, სხეულში ხრჩოლავ,
ოჰ, ეგ სამიწე ხელების ფშვნეტა!
ამ დროს შენს სახეს რას დაინახავ,
ძმაო, გამჩენმა არ დაგანახოს,
ისე შმაგია მაშინ ეგ სახე,
რომ შეიძლება კაცი დალახვროს.
აგეკვიატა, ნეტავ რა ჭირად,
შენ რას აღგწერდა რემბრანდტის ფუნჯი,
ამ დროს ხელებში გველი გიჭირამს,
და თვალებიდან მოსჩანს ფასკუნჯი.
ფანჯრიდან თითქოს ვიღაც გახელებს,
ნუთუ არ ეყო, რაც რომ გაწვალა?

სტუქსავ დღეებს და სწყევლი იმ ხელებს,
სამშობლოს გზები ვინც მიგასწავლა.
ბედმა სამხარიც კი ჩაგიმწარა
და შეგაჩვია შფოთვას სიცილით,
რა ვუყოთ მერე, ვინდა არ წავა,
მიწისკენ მაინც მეფობს სიკვდილი.
ჯანდაბას, ეგრე იხეტიალე
და გაიღვიძე მუდამ გნიასით,
ხედავ, ზვარაკო, შენ და სიცოცხლე
ამ დედამიწას როგორ შეაშრით!
იტყვიან: ჩუმად ვიდოდა ხალხში,
ზოგჯერ ხალხისგან სალამიც სწყინდა,
როცა სულ მარტოდ რჩებოდა სახლში,
რაღაცა ფერმკრთალ სიგიჟეს ჰქმნიდა.
რამდენი ბრიყვი ავს დაგაბრალებს,
ვიცნობთ ამ ყარყუმს, მგონი მუნჯია,
სად, ვინ შეიგრძნობს ამ კაცის თვალებს,
კაცი, რომელიც ხან ფასკუნჯია.

* * *

მოსაღამოვდა, მზემ ჩაახველა
მთების გადმა, როგორც მოხუცმა მგზავრმა.
მივდივარ საკინძჩამოხეული
ქუჩის ბოგანო და არამზადა.
მხვდება მეძავი, მეტუტუნება,
უკან დაბრუნდი, ბაღი შრიალებს.
ვინ აგიმღვრია ბიჭო გუნება,
დარდებმა რაზე აგიჩლიავეს.
მე ვილანძღები, ჩემს გამჩენს ვტუქსავ,
ქარი კი ყეფავს ხიდზე ძაღლივით,
დიდი ჭანდრები მთვარესა ქსოვენ,
სხივები მოსჩანს ღაზლის ქაფივით.

დადის ქარბუქი, ეხეთქება ქუჩებს, დარაბებს,
ღრიალებს, წივის, თავქვას ახლის მთელ არემარეს,
ქუჩებში უცბად ყრუ ლანდები გადაირბენენ;
ქარბუქი ვიღაც ბრმა მათხოვარს დაასამარებს.
ამ მათხოვარმა ეკლესიის გვერდით იცხოვრა,
ჩუმად იჯდა და გასცქეროდა შეთქმულ მლოცველებს,
როდი სჯეროდა თუ სუნთქავდა, ან თუ იცოცხლა,
მხოლოდ ბავშვივით ენდობოდა გაშვერილ ხელებს.
ორიოდ კაპიკს მიუგდებდნენ თავის სარჩენად,
ხელის კანკალით დაიწერდა ზოგჯერ პირიჯვარს,
წაიკვნესებდა: რა ცოდო იყო ჩემი გაჩენა,
და თვალს ბერივით მიაპყრობდა მოსულ პატარძალს.
როცა ქარბუქი ეკლესიას მიეჭრებოდა,
სარკმელს ქოლავდნენ წმინდანები და დაღდაღებდნენ;
ბადაგი ქვევრში ძლივს-ძლივობით დამაჭრდებოდა,
გადაიღებდა ამინდები და კარს აღებდნენ.
ქარბუქი ჩადგა. მათხოვარიც ზეზე წამოდგა,
სჩანს სამრეკლოში გაიღვიძებს მტრედების გუნდი, მოდგმა.
დაუბრუნდებით.

საუკუნენი აი, აქ ბუდობენ,
აი, აქ დააგეს დროთა ხაფანგი,
ქრისტიანები აი, აქ გალობდენ,
აი, აქ დამარხეს ქრისტეს პერანგი.
აქ განისვენებს პატარა კახი,
ომით დაღლილი მამულის ეშხით,
სამშობლოს კალთა შემოახიეს,
ხატებს თხუპნიდნენ მურით, ნახშირით.

ჩასაფრებულა სვეტიცხოველი,
სამხედრო გზაზე უყელებს დუშმანს,
ზარს ჩამორეკავს სვე-მაცხოვარი,
ბერი ფანჯრებზე ფარდებს დაუშვებს.
ის ებრაელი გოლგოთის მთაზე
ქრისტეს ჯვარცმასო როცა დაესწრო,
სვეტიცხოველმა ბევრი იტირა
და მტკვრის ნაპირზე მაშინ დაემხო.
მას აქეთაა არმაზის კერპი,
ჩუმად უცქერის კოდმანის კლდიდან,
სისხლით გასვრილი წარმართ ხელებით,
სვეტიცხოველის ლოცვებს კიკნიან.

## ე ე

ზის კიბეზე ხელგაწვდილი, ცრემლნამიანი,
ოდესღაც იყო ადამიანი.
ღმერთს კი არა ქალს ყვარობდა, უნაზესს,
ნარნარს.

ეხლა კი გაურბის ბაღნარს,
ჩიფჩიფებს ჩუმად მოგონებებს, უხილავ
ამბებს.

ვიღაც ლამაზი
ჩაუშრიალებს აბრეშუმის
მოქარგულ კაბებს.
გამოვა ქრისტე, გამოიყვანს დავრდომილ
დედას.
და მათხოვარი სადაც ხედავს
ნათელს, სანთლებს, იუდას, მსტოვარს,
აღარაფერი ენატრება საწყალ მათხოვარს.

## კ

როცა საღამო მოვა ხოლმე, ქვენა ქარებით
და აბჟუტდება განაპირა ქალაქის ქუჩა.
დასწყევლოს ღმერთმა! ამ დროს რადაც ჟინით ვირევი,
თითქოს ბედს ვყავდე აგდებული ძალზედ აბუჩად.
ვეძებ სარდაფებს, ვეძებ ხოლმე თავგამოდებით, —
ოდნავ არ ვფიქრობ, რა მომელის ბოგანოს ხვალე,
მე ვიცი მხოლოდ, როცა სადმე მთვრალი მოვკვდები,
სადღაც იტყვიან: ბრიყვი იყო, ხან პოეტი, ხან სივალალე,
და უბედური იქარვებდა ღვინით ბნელ ფიქრებს,
თითქმის ცისმარე დღე შფოთავდა და ითვრებოდა.
შთამომავლობა მის ცხოვრებას რას დაიჯერებს,
კაცი რომელიც სულ ღვინოში იფუფქებოდა.
რომ მას შეეძლო მგზნებარებით უმანკოება.
ის კარგი იყო, დედამიწის უარმყოფელი,
არ დაგიდევდა თუ უკმეხად იდგა დროება
ან თუ სივრცეებს გაყმუოდა წუთისოფელი.
მართალს იტყვიან, მწარე მართალს ჩემ ცხოვრებაზედ,
თუმცა ხსოვნებში დავიწყება გამოიდარებს...
ხო მართლა, იმას გიყვებოდი, მღვრიე ცრემლებით,
როცა საღამო მოვა ხოლმე, ვეძებ სარდაფებს.
და რო ვიპოვი ოკრობოკრო კიბიან სარდაფს,
ცალკე კუნჭულში მაგიდასთან ვთხოულობ ღვინოს
და მინდა, ხოლმე ისე დავთვრე, ისე საძაგლად,
რომ სიყვარულიც დამავიწყდეს და ჩამეძინოს.
ღვინოს როცა ვსვავ როგორც სვავი და სალახანა,
მაშინ როდი ვგრძნობ რომ სიცოცხლე ჩალის ფასია,
რატომღაც მინდა შემიყვაროს მარტო ლუდხანამ
და გამოიცნოს ჩემ ლექსებში რაც ძვირფასია.
და დანარჩენი არაფერი, სულ არაფერი,
არ მენატრება არც სიმხნევე, აღარც მისნობა,
მე რიეტრაჟების გამჭვირვალე მტვერი ვარ, მტვერი
და ჩემი ბინა არის მუნჯი მარადისობა.
ასე ვიცხოვრებ უთავბოლოდ, გზებ შერისხული,
ჩემთვის ერთია დღე იქნება, თუ შუაღამე.

მაინც დავდივარ ხალხისაგან თავლაფდასხმული
და მიხარია, როცა მთვარე თეთრად კამკამებს.
საკინძ გახსნილი ხშირად ხეებს ვეკამათები
და მშურს იმათი ასე დიდი თავისუფლება,
მე კი დავდივარ, ღმერთმა უწყის რას ვეხეთქები,
ო, რა ბნელია, რა გულცივი, კაცის ბუნება.
მალე გაივლის ეს ყოველი, ეს მწუხარება,
იტყვიან: უშნოდ დაიხოცნენ მამა და შვილი.
საფლავის ქვაზედ ვიღაც დასწერს ასე ირიბად,
აქა მარხია ჩვენი ნიკო სამადაშვილი.

* * *

შენ წამოდგები, განთიადი ზარებს ჩამოჰკრავს.
მოგელანდება: ვინც გიყვარდა და აღმერთებდი,
ფერდაზე ფერად კაკბის გუნდი ჩაიკაკანებს,
გამოჩნდებიან შორით-შორი მაღალი მთები.
გაჰყვები შარას გადაღლილი და მოთენთილი,
მუხლებს მოიყრი ხნიერ ცაცხვის ძირში ვედრებით.
აქ ღვთისმშობელი დადიოდა ადრიან დილით,
ქრისტეს სწყევლიდა და რაღაცას სულ აყვედრიდა,
რა ვუყოთ, ქვეყნად დავიბადე სულ უცაბედათ,
არცკი ვიცოდი გზა და შარა სად მიმოდიან,
ჩემი სიცოცხლე ვინ მაღირსა, ვინ გამიბედა,
ეს დღეები კი, ვინ იცის, სად მიმოქრიან.
ღმერთო მაღირსე, ოდნავ ჩუმად ამოვისუნთქო,
თუ გინდ ამ სუნთქვას თან ამოჰყვეს ჩემი სიცოცხლე.
რატომღაც მინდა სულ ჩავიწვა, სულ დავითუთქო,
აწმყო, წარსული ჩავიშავო და ჩავიცეცხლო.

* * *

თეთრი ვარდები ამოგიტანე, გადაშლილიყვნენ ორღობის გასწვრივ,
ბაღში ჩიტებმა დამიტატანეს, რას დაწანწალებ, ხედამ როგორ სწვიმს.
მე დავყურებდი შეშლილ ბილიკებს, და იასამანს ლოცვით
მოთეთქვილს,
ვაზებს ხეივნის სხვენზე დაკლაკნილს, და მოგონებას ძირს
ჩამოფრენილს.
ცაცხვს შევყურებდი და მიხაროდა, როგორ ყვაოდნენ
შენი სხოვნები, ვიღაც კიოდა ძველ სამყაროდან, და
მიყვებოდნენ გზებს მათხოვრები.
ვიღაც სტიროდა დაღუპულ პოეტს, ის ხომ სიცოცხლემ
გზებზე უარყო, ის რიჟრაჟებში ვერ დაეტია,
და შუაღამის კარი შეაღო.
რა ვუყოთ მერე, ალალი იყვეს, ის რაც უყვარდა
ხომ თან წაიღო, ის ღამეებმა შორს
გაიტყუეს, ის ხომ ჩიტების კერძიც არ იყო...
ათასი წლების ცხოვრების გესმით, ღმერთიც
გაგიჟდა და გადირია.
იმას ფიქრების რეტი დაესხა, ის ეხლა როგორც
ძეგლი ხირია.
ზედ ორიოდე წარწერა იყო, ებუტებოდა
ლექსებს, მეგობრებს.
ისიც ღვართქაფს, სადღაც წაეღო
მგონი უკითხავთ ჩუმად მთაგორებს.
ნეტა ვინ იყო ის ბედურგები,
ამპარტავანი, შმაგი,
ლაგლაგა.
როგორ ტიროდნენ ტყის ბედურები,
როცა ძეგლმა მისი ცრემლები ამოალაგა.
თურმე ძეგლს ჩუმად შემოენახა პოეტის
მწველი, სხვილი ცრემლები და ბედურებმა
როცა ეს ნახეს, მწველი ტირილი მორთეს ვაების.

* * *

ძველი სამყარო დაუძლურდა, გამოჩერჩეტდა,
წინათ ხატავდნენ მეძავს კინტომ როგორ უჩქმიტა,
მტკვრის ნაპირებთან როგორ იდგა წუმპე, ნაგავი,
მყრალ თევზის სუნით როგორ ყარდა ყველა ალაგი.
არღნის ჭყვიტინი ორთაჭალის ბაღებს ზარავდა,
და ათაშანგით დაფქვილ დუქანს ჭუჭყი ფარავდა.
ეხლა გახედეთ რა წალკოტებს დაუხუნძლიათ
ჩვენი თბილისი, ხალხის გული, ერის ჯიქანი,
ქარი რა არის, სახლებშორის ძლივს დაძუნძულებს,
სულ ბაჯაღლოა, მარმარილო და მინანქარი.

* * *

დამასაფლავეს მეგობრებმა და მიმატოვეს,
ვაზის ცრემლივით ხესთან დარჩა მწუხარე დედა.
ხნიერი ცაცხვი შეშლილივით იქნევდა ტოტებს,
დაუცხრომელი სამრეკლო კი რეკდა და რეკდა...

ბედის ღრუბელი ბინდის იქით ყრუთ იფლობოდა,
შლეგი ქარბუქი გაშეშებულ სივრცეებს დრეკდა.
ჩრდილი და დედა მიდიოდნენ სასაფლაოდან,
გაოგნებული სამრეკლო კი რეკდა და რეკდა!..

* * *

გადამეყვლიფა გული დარდებით,
აღარც კი ვიცი საით წავიდე,
თავი მოვიკლა, სად გადავვარდე?
იქნებ ეს სევდა ჩაქრეს, დამაწყდეს.
ის დრო მერჩივნა, როცა ზარები
მიხმობდენ, ვრბოდი ბედის ურგები,
როცა მღეროდენ საზანდარივით,
სოფლის შარაზე საძნე ურმები.
როცა მოხუცი დიდედაჩემი
ვერცხლის ნაწნავებს იყრიდა მხრებზე.
მეუბნებოდა კაცი დარჩები,
ამ მამასახლისს აჯობე (გამახარებ),
კაკლის ხეები ქარის ჭიდილში,
ისე ყვიროდნენ, როგორც ბალღები,
როცა ჩრდილები მოგორაობდნენ
ქვევით მიწაზე, როგორც ტალღები.
როცა დაბრაწულ ატმების ბოცა
თვალს რომ უკრავდა დახუნძლულ მტევნებს.
როცა სიონში უყვარდათ ლოცვა
პურად, კეთილ და ჯმუხ ატენელებს.
როცა მზე იდგა გორიჯვრის თავზე,
როგორც ქადაგი, ლოთი კაცივით
და ფოფოდია გაბზარულ თარზე
ათამაშებდა თითებს ციყვივით.
ეხლა დავდივარ ბედგაძარცული,
გულს არაფერი სულ აღარ უნდა,
ასე მგონია დამარტყეს ცული,
ო, ყველაფერი როგორ შემძულდა,
როგორ მომბეზრდა გზათ ხეტიალი,
ან ეს ლოთობა ბილწი, ვერაგი,
ჩემი ოჯახიც გავატიალე,
და მაჯაჯია სისხლის ბერანგი.
ჩემი ლექსები ხეზე შეფრინდნენ,
მათი ჟივილი სადღა არ ყრია,
მთელი მსოფლიო მართლაც ბინდდება,
ქვეყანა მხოლოდ ბაყლებს უპყრიათ.

ის ხომ ლექსს გარდა არაფერს ჰქმნიდა,
ზოგჯერ ლოცვის ჟამს შფოთავდა ხშირად,
განა, ვისაც რომ ეს სენი სჭირდა,
იმან შეგზარათ და შეგაშინათ?!.

ის დაიღუპა ბედმოკრძალებით,
ბნელოდა, სდუმდნენ დიდი ჭანდრები
და კიაფობდნენ შორს ვარსკვლავები –
მარადისობის ჭუჭრუტანები.

## ჯ ძ

ნეტავი რისთვის ცოცხლობდა ქვეყნად,
თუ სულ არავინ არ მიიკარა,
მოესწო მაინც ლექსით ყაყანი,
ამ მთიებს რაზე გადაეყარა?!.

რა ძალა ადგათ ხატს რომ შესწირეს,
ალიზის ქოხში, ჩამქრალ ბუხართან.
ნეტავ ტირილი მაინც მოესწრო
თვალებჩალეწილ თავის ცხედართან.

## ე ეე

ის დადიოდა ლეწილი გზებით,
გულის კანკალით ხვდებოდა ყველას,
ისხდნენ ღმერთები, სდუმდნენ ზარები,
ყვავი კი მინდვრად სწყევლიდა თელას.

სწყევლიდა გამჩენს, კაცთა გასაგისს,
ესმოდა შორეთს ღრიალი გზების,
ძაღლების ყეფა მარადისობას,
სიონის მაღლა გლოვა ზარების.

* * *

საღამო. სწვიმდა. ფანჯრის გარეთ ხე შრიალებდა,
საკანი მძიმეთ მდუმარებდა ჭაღის გარშემო.
ოთახის კარებს თეთრი ლანდი თუ შეაღებდა,
მარადისობა კიაფობდა ულაჟვარდებოთ.

ხე შრიალებდა და ფანჯარას აშტერდებოდა,
სად დაიკარგა, ღმერთო ჩემო! კაცი — მოყვარე,
ნუთუ გაფრინდა სამყაროდან შავი მტრედივით?
დედამიწიდან ნუთუ ასე მალე აჰყარეს.

ხის ქვეშ ვიდექი, ვლოცულობდი და შემკრთალ ფოთლებს
რა დაემართა, სად წავიდა, ჩემ სიდიადეს.
არ ვიცი, მგონი ისე სძულდა წუთისოფელი,
რომ ის ღმერთებმა ლაჟვარდების სხვენზედ შეაგდეს.
არა, ჭირიმეთ, ხე მოსთქვამდა, ხე შრიალებდა,
ეგრე არ იყო, ის მძინარე გამოასვენეს.

* * *

რა შეშლილების კუნტრუში მეფობს,
ჩვენ ღობის იქით, ზოგიერთ გზებზე,
შემოფლეთილი ხალხი ბობოქრობს,
ობლები საკვებს ეძებენ ბზეზე
(ხალხი ქარს მიაქვს სადღაც ბზესავით).

აქ ამოტეხა ხეთების სისხლმა,
ამ სისხლს ხმარობდნენ მელნათ დედები.

# ს ს ჭ

შენ ხმაურობდი მბორგავ თერგივით,
ხალხის სიმღერავ, ცამდე მართალო,
ბრგე მხრებზე გესხა მთების პერანგი,
ქართველი ლექსის შნო და ბაჯაღლოვ.

ოქროს დარ აკვანს ეძებდი ტბაზედ,
ვით ივერიის ბრწყინვალე ზოდებს,
შენი ფიქრები თეთრ ნისკარტებით
ერის სიხარულს ეზიდებოდნენ.

ბილწს და ჯალათებს, როგორც ყალათმას,
ვეღარ იტანდი მათი მქირდავი,
ჩვენი სამშობლოს აღთქმა იყავი
და ბედკრულ კაცის გულთამხილავი.

ბობოქარ ტალღებს ჰგავდი, უბადლო,
ხან სინაზით კი კეთილ დედაშენს.
როგორ უდროოდ მოგიღეს ბოლო,
დიდი მამულის ტვინს და ზედაშეს.

მაგრამ, ის რასაც სწერდი მგოსანო
საუკუნეთა ყამირს გადახნავს,
შენ უკვდავებამ ადრე მოგაგნო,
რადგან პოეტთა *გუთნისდედა ხარ.*

* * *

მე შენ ლერწკალას ჩემო კარგო,
როგორც ნალო ისე მოვები,
ჩვენ გვატყუებდნენ, თითქოს სადღაც ჩუმად გკარგამდენ
ყრუ ხეივანში მოსეირნე სადამოები.
მე შევესწარი, ჩემო კარგო, შენს პატარძლობას,
როცა ცეკვამდი სხვის ნაჩუქარ თეთრი მარმაშით.
ნეფე კოცნიდა შენს ქორწილში სხვა ამორძალებს,
და გალეშილი შედიოდა თქვენს დიდ მარანში.
შენ გიყურებდი, თითქოს გული მტკიოდა კიდეც,
ვწუხდი ამ ქვეყნის უხალისო, უიღბლო მდგმური,
შენი ცხოვრება ჩემ ფიქრებში იკეცებოდა,
ხან კი სველ ლექსებს გიკითხავდი მე უბედური,
არ გიხდებოდა ცეკვა გოგო, თუმცა მიზეზი,
თვალებში გედგა ნაღველივით წარსულის შფოთი,
ო, რა ვიცოდი თუ ცხოვრების გადაყრილ გზებზე,
ღამეს ათევდა ღრმა წყვდიადი და ქარაშოტი.
ცეკვამდი გოგო, და ხანდისხან თვალ შემავლებდი,
გრძნობდი გველივით მეხვეოდა ხალხის ზრიალი,
არავინ მყავდა, ან თავს ვიღას შევაბრალებდი,
ვინ მაღირსებდა სიცოცხლეში მე ზიარებას.

## ე

გადმოვარდება მაღლობიდან ღრმა მდუმარება,
ბუჩქებთან ქარში დაიბუდებს ჩემი სიჩუმე,
თბილისი სადღაც დაიქუხებს, გაავდარდება
და ლაჟვარდების გაგიჟებას ლექსებს აჩუქებს.
მამადავითი ღრუბლებიდან სხვილ ქვებს დამიშენს,
სისხლების თქეში მქრალ ბილიკებს ააწიოკებს,
ქუჩის გრიგალი ვერის ხიდზე გავლას დამიშლის
და მტკვრის ტალღები გაანათებს გამდნარ ხრიოკებს,
თურმე ჯერ ბედი სულ არ ჩამქრალა!

# ე

დღესაც სიონი კვლავ ყელყელაობს,
კვირობს, იკაწრის კედლებს ხელებით,
როცა ვენახში ვაზსა ყელავენ,
თვალგამჭრიახი ატენელები.
ჩაივლის გლეხი და სიონი კი,
გაოცებული თვალს გაადევნებს,
ნუთუ ადარ სწამს ჩემი მირონი,
რა ღვთის რისხვა სჭირთ ამ ატენელებს.
აგერ ურემი შეშით დაგრუზულს,
უზის მეურმეთ — ქოჩორა ბიჭი,
სიონი დგას და ჩუმათ ბუზღუნებს,
მოდი სიმწარით კლდეს ნუ აიჭრი.
სანთლებს კანდელზე ადარ უნთებენ,
ღამურა კოცნის ღამე წმინდანებს,
ზარს მტრედი ნისკარტს მიუკაკუნებს,
ხავსი კრამინტის ბანს აამწვანებს.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულია,
შემოდგომაა, ანანურის ციხე მდუმარებს,
ქვეყნიერება თითქოს ღმერთთან გაბუტულია,
მეფე ერეკლე იქვე ლოდზე ზის
გარემოცული, და მიყვება ფიქრების ნახირს.
თბილისი ახსოვს მტრის დაშნებით აოხრებული.
და დაკოდილი შმაგი ღრეჭა სპარსელი შახის,
ჯიღა ხევსური კაჟის თოფზე რო დაყრდნობილა.

* * *

*მარიამს (მეუღლეს)*

მეც გამოვყვები შენს გვირგვინებს ბინდების ფითრი,
გასწვრივ ზარები სივრცეებში ჩაახველებენ,
ლოდების ბღავილს მთების ზათქი ჩააფრინდება,
ჩემი ლექსები შენს უბეში იფართხალებენ.

ლექსებს ჩაგატან... აბა, მეტი რა მაქვავია,
ოხრად დაგრჩება ერთადერთი შენი პოეტი.
ჩვენ ხომ გვხიბლავდა ქარვისფერი ლოცვების სვია,
და ფანჯრებიდან შემოჭრილი სუროს რტოები.

გახსოვს, ქარი რომ ბურტყუნებდა დედის ბალადას?..
ხან კი მწირივით ყაყანებდა ხნიერ ცაცხვებზედ?!.
ხელში მთაწმინდას რო ეჭირა ტატო ბალღივით,
და, ღვთისმშობელი გაბუტული ჩვენს სიცოცხლეზე?..

თუმცა რათ გვინდა, ყველაფერი რომ გავიხსენოთ,
ან ნუკრებივით ძუძუ ვწოვოთ შუქნარა ჩანჩქრებს,
ერთიღა დამრჩა... შენს ცრემლების ქვეშ დავისვენო,
დახევებული სიყმაწვილე შამბებმა შთანთქეს.

ბარბაცით მოვალ მეც ოდესმე შენს სამარესთან,
ლოდები მიწას გადასწევენ, რომ დაგინახო,
და იცი, რისა მეშინიან?.. მჭვალავს, ღმერთმანი,
ბალდახინებმა ხელმეორედ არ დაგიძახონ!

მე გაგასვენებ ჩემი მხრებით, რომ დავბრუნდები,
ღვინის სარდაფთან დანდობილას ჩამაძაღლებენ,
შენს მკერდში ისევ გავიკეთებ ფიქრის საბუდარს,
ჩემი ლექსები შენს კუბოში იფართხალებენ.

შენს შემკრთალ ძეგლთან მესაფლავე აიტუზება,
ცარიელ გზებზე შეაჩერებს მორბენალ თვალებს,
დაუშენს წვიმა, წვივებამდე გაიწუწება,
ის კი გზებისკენ ცქერას მაინც არ გაათავებს.

* * *

სადაც ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამქერი,
ვინც სამყაროდან სიმდერებით ჩამოირბინა,
ტაძრის ფრესკები ჟამთა სვლაში დაქვრივდებიან,
არმაზის კერპი კვლავ აღადგენს დანგრეულ ბინას,
ამოგიძოვენ მდორე თვალებს მცხეთის ქარები,
დაგაბრმავებენ, ვინა გკითხავს, ნეტავი ვინა?
სვეტიცხოველთან გაიხსნება მეფის კარები,
და ატირდება ვინც სოფელი ამოირბინა.

* * *

საოცარია, რომ გიყურებ, როდიდა მჯერა,
რომ შენ გამზარდე, შენ მირწევდი ოდესღაც აკვანს,
ასე მგონია, თითქოს დედაც გადამემტერა,
გორიჯვრის ნიშთან დღეს თუ არა, ხვალ მაინც დამკლავს.

რამ შემაჩვენა? მეც არ ვიცი დედილო, მდადი,
ბედნიერი ხარ, რომ არა გრძნობ ამ ჩემს ჭირვარამს,
სულ მიტატანებ: ადექ ბიჭო, ბაზარზე გადი,
რომ საფანელი მაინც ვუყო ტიალ შეჭამანდს!

* * *

მზე ჩადიოდა მაღალ მთებს იქით,
თან ცხელი მიწა ყრუთ ნელდებოდა,
ის აღავლენდა ლექსს დაჩოქილი,
და ვერც კი გრძნობდა რომ ბნელდებოდა.

ან რას იგრძნობდა, რომ ამორძალებს,
წისქვილის რუსთან აენთოთ კვარი,
ცხედარი შუქზედ ახელდა თვალებს,
მინდვრად, მუხის ქვეშ ტიროდა ქარი.

# ე

*ერეკლე ტატიშვილს*

გავაღებ ფანჯარას – ქარი ზუზუნებს,
დავხურავ ფანჯარას – გული მიკვდება.
მოგონებების გაუვალ ზვინებს
თვალების მზერა რას მოაკლდება.

ჩემი ლექსები ჩამოვლენ შენთან
და შენს კუბოში იფართხალებენ.
ხან ერთს დაიჭერ და ხან მეორეს,
იცნობ დაღუბულ პოეტის ალერსს,
გარეთ დარჩენილ კეთილ მეგობრებს
და კვლავ მილულავ საყვარელ თვალებს,

ო, რა უღრანი გზებით იარე,
ვეებერთელა შარა გამოვლე.
ჟამმა წაიღო შენი სიმღერა,
შენ საუკუნის კინცხზედ ითოვლე.
ცა იყო თეთრი და უხილავი,
ო, ისე, როგორც სტირის ქარბუქი.
ლაჟვარდი, ლურჯი, ჯერ მოუხნავი,
და გრიგალებში ოთახის შუქი.
იქ წმინდანები დღესაც მოდიან,
სადაც წირვებში ცრემლი იღვენთე,
შენ რომ წახვედი, ასე მგონია,
მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე.
შეხედე, როგორ დაცარიელდა
ქუჩა, მინდორი, სივრცეთა კიდე
და შენი ბინა – ნაცემი ელდა –
ხალხს ემალება და ხავსს იკიდებს.

გათხრილ საფლავთან მესაფლავე გაისეირნებს,
ბედუზრუნველი, მუხანათი, წირპლების რული,
კაცი რომელიც უცქეროდა ქვეყნის სეირებს,
როგორც ჭინჭარი, როგორც ძეძვი, როგორც ველური.

გაგასვენებენ საძნე ურმით, ფოთლებ შემოყრილს,
ნიშა ხარები დაფრთხებიან მონასტრის ზევით.
ქანდაკებები ნაძვებიდან დაიყვირებენ
და, კრუხებივით დაფრთხებიან ციდან მზეები.

ჩამობნელდება... მტირალ წნორებს წაუვათ გული.
უკვდავებაა სიცოცხლეზედ რომ ისეირებს...
და მესაფლავე მახინჯ მხარზედ ბარგადებული
სასაფლაოზედ ბურის ჭამით გაისეირნებს.

## ძ

ჩემთან ბინაში შენი შუქი მაშინ შემოდის,
როცა ჩემ სახლის წინ გაივლი თეთრი მარმაშით,
რაზე გიყვარდა ჩემთან ყოფნა შემოდგომისას,
ანდა შრიალი რათ გხიბლავდა ჩემს ფანჯარაში.

ღმერთის ნავალზე წიოკობდა სამრეკლო ზარი,
გაბუტულ ლოცვებს ამშვიდებდი შენი სიმდერით.
ნუთუ ეს იყო, ჩემო მეზარევ,
სუყველაფერი?!.

კვლავ დაქანცული გავდივარ გზებზე.
არ ვიცი რა ვქნა, ვისთან მივიდე?..
ღმერთებს გავურბი, ვხვდები მიზგითებს,
სამშობლო რაზე გადავიკიდე.

გვალვა დაუდგათ თავთუხა ლექსებს,
ყანა მომცდარი ვდგევარ მინდორზე,
ვიღაც გასცემდა მბორგავ პლანეტებს,
უკუნეთს გაღმით, დიდ სიშორეზედ.

## ***

მოიცა, მოვა, ბადის ხმა მისწყდეს,
მოვა, ოდესღაც ვისაც უყვარდი,
ეგ შენი ცოდო ედოთ იმ მიწებს,
ვინც ჩაგიწიდნა ბუერა დარდი!

ვინც თვალის ჩინი ამოგიძოვა,
შეგასხა კედელს, როგორ ზედაშე.
კამარა ელავს, ეტყობა მოვა,
მაგრამ რა ვუყოთ მოხუც დედაშენს?!.

დამათენდება ნამთვრალევ პოეტს,
ჩიტები მოვლენ ჩემს ფანჯარასთან,
მეტყვიან: შენთვის ბინა ვიპოვეთ,
წამო, კეთილო, ვინ გაგაჯავრა?..

მე კი, ხვალ ღამით ჩავუხვევ სარდაფს,
მთვრალს ბედთან რაღას დამაღვიძლებენ.
ჩამეძინება და ჭოჭში, სადღაც...
კვლავ ბედურები გამაღვიძებენ.

სად, ვინ მიხედავს აფიცრულ სარკმელს,
სად, ვინ იპოვის უძეგლო ცხედარს,
ვისაც სიცოცხლე სიკვდილისაკენ
მიჰქონდა, როგორც უგრძნობელ მხედარს!

და სულ არაფერს არ დაგიდევდა,
არც რიჟრაჟს, არც ბინდს, არც შუადამეს,
ვინც არ იცოდა, ვინ იყო დედა,
იქნებ ანდერძათ ეტყოდა რამეს...

ის კამკამებდა, ვით ცრემლის გუბე,
ის ნისლებს ჰგავდა გულის საყარზედ,
და დაიღუპა, იქნებ დაღუპეს,
ნეტავი რისთვის, ნეტავი რაზედ?..

ისმოდა წყევლა ხნიერ კოშკებში,
ხან თავგანწირვა უიღბლო ცისთვის,
ზარი ჰგოდებდა ხანგამოშვებით,
ნეტავი რაზედ, ნეტავი რისთვის?..

* * *

ხე ეკლესიის მათხოვარს ჰგავდა,
თითქოს გულს ქრისტემ ხელი დარია,
შენი ფიქრების ჩრდილთა გოგმანი
მტრედის სიზმრებში მომიპარია.
რომ ფოთლებიდან მეცქირნა დიდხანს,
როგორ მალავდა ცრემლს მეგობარი,
და დამელია ბნელ ლუდხანაში
ჩემი ცხოვრების შესანდობარი.

# ე [1]

იძინე, თამაზ, მოშუშდი შვილო,
ნახე სიზმრები ნაირნაირი.
ბედთან იქნება შენ გამაშველო,
ბედი რომ მხერხავს ვით ბირდაბირი.

იზარდე, თამაზ! ვგრძნობ, დედას ხედავ,
ტუჩზე ღიმილის სიო გედება.
ვიძლო მოყვარედ არ გაიხადო
ჩემი ხმაბნელი შემოქმედება.

იგრძნე, თუ როგორ მაწამეს, ბიჭო!
იმ დროს, შენ როცა ხის ცხენით რბოდი.
მამა ლოთობით არ ამოიხრჩო
და შენ უგონოდ ებრალებოდი.

იცოდე ქვეყნად კაცის გარჩევა.
მკვდარი ცისკრის დროს გამომიტანეთ.
ალბათ შენს თოთო ხელებს დარჩება
ჩემი ცხოვრების ყრუ მატიანე.

ვიცი, გულცივი რომ არ იქნები,
ოდესმე ნახე განჯინის ძირი,
სადაც ეყრება ჩემი ფურცლები
შედუღებული ცრემლების კირით.

იგრძნობ ჯერ ნელთბილ შიშის ჟრუანტელს,
დაბურულს, დახშულს და გადარეულს,
ბნელი ქარებით წაქცეულ კანდელს
და ბაღებს უკან სახლს გადანგრეულს.

---

[1] *თამაზ სამადაშვილი – ნიკო სამადაშვილის უფროსი ვაჟი.*

გეთაყვა, ხალხს არ დააჯდაბნინო
სამარის ქვაზედ არცერთი სიტყვა.
ვინც ჰგავდა თოვლზე გადაღვრილ ღვინოს,
ვინც გულს ჩასტირა და ჩაისეტყვა.

იძინე თამაზ, არ გაგაღვიძებ,
ჩუმად ვიტირებ, ჭირიმე შენი,
წარმავალობას შენ რას დაეძებ.
ღმერთო, ბავშვობა როგორა გშვენის!

კრძალვით შეაღე ეკლესიის ფართო კარები,
შეიშრიალეს სარკმელებში მთვარის ბაფთებმა,
კუთხეში წყნარად ელვარებდნენ დიდი კანდლები,
შენი ცრემლების მდუღარება ხატს ეხვეოდა.
იმ ხატს, რომელმაც ბავშვობიდან მოგიმიზეზა,
ზარების რეკა გახსოვს, ღმერთსაც კი ამხნევებდა.
რა კარგი იყო, რა კეთილი ფიქრების შარა,
გაბმულ სტრიქონზედ გაფენილი მკვდარი ლანდები,
ცის კაბადონში დაგირწია თვალთა კამარა,
შენ ძუძუს სწოვდნენ ბალღებივით ის ლაჟვარდები,
ო, თითქოს გოგოვ, შენ ძუძუს სწველის ღვედები.

* * *

შენი სურათი მინდა მუდამ უბით ვატარო,
რომ გულის ხმაში მუდამ ყავდე ჩემ მწუხარებას,
შენი თვალები საქართველოს წყაროა, წყარო,
შენში სამშობლო დაეძებდა დიდ ნეტარებას.
ათი ათასი ღამეები ხელებს აბყრობენ,
ყველა ვარსკვლავი თითქოს შენი ლექსით ციმციმებს.
შენი ცხოვრება იყო რაღაც ყრუ საბყრობილე,
ავაზაკებმა ჩემ სიხარულს ჩამოგაცილეს,
რა იქნებოდა, რო მენახე, ან შეგხვედროდი,
ავტირდებოდი და ცრემლებში ჩათუთქულ ლექსებს,
წინ დაგიყრიდი ამოვლებულს სისხლის ენდროში,
შენ მანახებდი პოეზიის შენ დიდ ნათესებს.
დაუვიწყარი აღგზნებული დღეები წავლენ,
წავლენ და მარტო შეუდგები ვერაგ ადმართებს,
რა ვუყოთ მერე, თუ ამ გზებზე ბევრი ვიწვალე.
განა იმიტომ, ავეტრუჭო კარის წინ ღმერთებს,
არა, არასდროს, ჩემი ღმერთი, ჩემო მგოსანო,
მხოლოდ შენა ხარ, მეოცნებევ და სიხარულო.

ჩამოვა კაცი მთებიდან ქვევით,
გაყვება ტრიალ ბაღის ბილიკებს,
გაწამებული და დათეთქვილი
ბნელ ღამეებთან ილაპარაკებს.

გულს გაუხსნიან წნორის ხეები,
დაუჩოქებენ უიღბლო პოეტს,
წამოდგებიან, იხარხარებენ...
და დასცინებენ ჩემს სიმარტოვეს.

ძველ საყდრის კარებს შეაღებს მნათე,
სოკოგამოყრილ კედლებს აკოცებს.
მგზავრს შარაგზაზე დაათენდება —
კაცი ქარიშხლებს რომ გამოსტაცეს.

* * *

რაც იყო, იყო, პოეზიის ლხინია ეხლა,
მამადავითის პანთეონი შენთვის ანთია
და სამარეზედ გვირგვინები ჩუმად ელამენ,
და ლაჟვარდებში შენ დიდ ფიქრთა გუნდნი დაჰქრიან.

ძირს შრიალებდა ტბა, შემოდგომა,
შავი ღრუბელი ცივ ქარს არხევდა.
ის! დაიკარგა მზის მორიდებით
და მსოფლიოსკენ არ გაიხედა.

ვერ მოაგლიჯა სიბნელე ქარმა,
სიბნელე ძვლებით დამაგრებული,
ნისლეთი იყო იმის ქარაგმა
და დედამიწა კი მთვარეული.

იმას კვდრებისგან რაღაც უნდოდა,
სტანჯავდა მიწა წელში მოხრილი,
ის უყურებდა სივრცეს უნდობლად
და დადიოდა გულშემოყრილი.

ჭანდრებს მიჰქონდათ ქარში უთუოთ,
დაოსებული მარტოკა გდებით,
სადღაც ქვასავით იდგა საწუთრო,
შორს გრიგალივით სუნთქავდნენ გზები.

ის გააპარა წუხელის ქარმა,
დილით ცა სჩანდა გადანგრეული.
ნისლეთი იყო იმის ქარაგმა
და დედამიწა კი მთვარეული.

* * *

გულო, რა გინდა, მიამბე დღესვე,
იქნებ გიშველო ქვესკნელის ხვედრმა,
ამქვეყნად რაზე ჩამომათესლეს?
რას გიპასუხებს, რა იცის ღმერთმა.

* * *

დაუკარ ჩემო მემუსიკევ,
დაუკარ მალე!
ოღონდ ნურც სიკვდილს,
ნურც სიცოცხლეს ნუ დამაძალებ.
ნუ დამაყვედრი თუ ჰანგების
ლივლივს დავაკვდე,
ჯანდაბას, ძმაო ერთიათათ მიანგარიშე,
სულ გადაგიხდი, თუნდ
ვალების მწუხრში ჩავვარდე.
ნეტავ შემეძლოს
მკერდის ძვალი რომ ამოვიჭრა,
მეც ჩავბერამდი, ჩემი
მკერდის გამოთლილ ტუჩებს.
მე ბოგანო და ბედის ურჩი
დაგიდებდი დიდ სანაძლეოს,
გაგახარებდი მეფანდურევ,
როგორც ვაჭარი.
მაინც რა არის, რომ ღარიბი
სულ არავის ეპრიანება,
სულ სხვა რამეა მდიდართ დაღდაღი...
როგორ გიხდება მემუსიკევ ჩემი გინება.

* * *

ნისლები სდუმდნენ, და ზევით
აპრილი ჩიკავდა მაისს.
მხატვარი ხატავდა ზეთით,
ვიღაც მგზავრსა და დმანისს.

ნისლები ჰყვარობდნენ მზექალს,
წყაროსკენ მისდევდნენ რხევით,
ეს სწყინდა ხანშესულ სარქალს,
იღუშებოდა ხევი.

ჭრელი მტრედები კუბოს ასწევენ,
ზარებს დარეკავს მიწების რიგი,
დაუშენს წვიმა და ელვის ეტლი
ცის კრამიტებზე ასტეხავს ხრიგინს.
მოვარდნილ გრიგალს ფერწასულ, დაღლილს
ჩემ სიკვდილს კიდევ დაუმალავენ,
შორს კი ვარსკვლავზე ბარით ჩაივლის
მარადისობის ყრუ მესაფლავე.
იქ ჭოტი ძახილს წყალში გაურევს,
შეკრთება სადღაც კვდარი ბუნება,
უკან კი მძლავრად დაიხმაურებს
ათასი ღამის უდაბურება.
როდესაც ყველა იქნება გრილი,
როცა ლოდებიც ვერ დამფარავენ,
წავა და ცისკენ დაიწყებს ტირილს
მარადისობის ყრუ მესაფლავე.

როგორც სამრეკლოს ცისკრის ზარები,
ისეთი რხევა გააქვთ ფრინველებს.
ქუჩის ბოგანოს, გზების აბეზარს,
ჩემი სამშობლო რას მომინელებს.

სადაც ქედი ქედს დამუქრებია,
თუ გაჩენილა კაცის ნასახი.
ღრუბელი ღელავს, ძირს ქარბუქია,
და საქართველო მაინც მეძახის.

⁝ ⁝ ⁝

არმაზის კერპი დაღმართს დაჰყვა პიტიახშებით,
თეთრი რაშების თქარათქური მთებს აყრუებდა.
ბაგინეთს ირგვლივ გარს უვლიდნენ ტურა ბავშვები,
ვიღაც წარმართი ქართლის ზეგანს გადაჰყურებდა.
სვეტიცხოველის ზარებს რეკდა შეშლილი მნათე
და წარმართების დანახვაზე კიოდა, თრთოდა,
ტაძარი იდგა წმინდანებით განათებული,
შველას და ნუგეშს ბედდაცლილი ვიღაცას სთხოვდა.
არმაზის კერპმა სვეტიცხოვლის კარი შეაღო,
და ღვთისმშობელმა აიტაცა ხელებში შვილი,
ილოცე მგზავრო, პანაშვიდი ღმერთმა შეგარგოს
და ბაგინეთთან დაგენახოს კალო ჩაშლილი.
კერპმა აანთო კელაპტარი და ხატს შეხედა,
პიტიახშები დაიტიშნენ თავის რაშებით,
ოჰ, რა ძნელია წარმართებთან ასე შეხვედრა,
ო, ამ ცხოვრებამ ასე იცის გადამლაშება,
კაპადოკელი ქალის თმები დაკოცნეს ყველამ,
ყველას უნდოდა ჯვარზე დაწნულ თმების ამბორი.
ზეცაზე ჰქუხდა ღრუბელთ ქარი და ცისარტყელას
ტოტს უკოცნიდა გაშმაგებით ცივი გომბორი.

ძ ჭ

აისის შუქი აიმღვრევა მთის ლურჯ თაღებზე,
მერცხლების გუნდით გაიმსება დისკოთა ჭერი,
დაათენდებათ საძნე ურმებს ორღობეებთან,
ყანაში მაყრულს შემოსძახებს მამალი მწყერი.

ჭადარა ბიძა გზას მოიჭრის ვენახისაკენ,
შაშვი ნუშიდან ჭინკის დარად დაიჭახჭახებს,
მინდორში კიდევ გაიელვებს სახნის საკვეთი
და მზე კივილით წუთისოფლის კარს შემოადებს.

* * *

მე ვიცი მხოლოდ შენი ნუგეში,
ეხლაც ჩაუდის ივერიის კვლებს,
მახსოვს წიწამურს რო შეეშინდა
თან ფრინველებმა როს დაიკივლეს.
ეხლაც ატყვიათ ალალი სისხლის
სხვილი წვეთები დაღვრემილ ფოთლებს.
სადღაცა ბღავის ლექსის ნახირი,
შეშლილი ბერი კი ხუჭავს თვალებს.
ბარათაშვილი დაგტირის ხშირად,
შთენილი ძვლები წივიან ქარში,
მარადისობას გაუჩნდი ჭირად,
და ლექსებს ვწველდი ღამე ავდარში.
მოანგარიშეთ ვმუშაობ ქსანში,
თან სიმწარისგან ვიკვნეტავ ტუჩებს,
თუმცა რა ვუყოთ, ჩემო მგოსანო,
შენც მოსამართლეთ იყავი დუშეთს.
ასეთი არის ხვედრი იმ კაცის,
ვინც გრიგალების სიმღერებს მოყვა,
და ვით ბედურამ აკაციაზე
ობობასავით გახლართა გლოვა.
ნეტავ გეცოცხლა, ერთი მენახა
შენი თვალების ფიქრების ჭავლი,
რო შესწრებოდი ალბად ჩემ ლექსებს
„ივერიაში“ დამიბეჭდავდი,
გადამარჩენდი ქუჩებში გდებას,
ლოთობით აღარ დავიღლებოდი,
და თუ პოეტათ ვერ ვივარგებდი,
შიკრიკათ მაინც გეყოლებოდი,
ან გავყიდიდი შენ „ივერიას“,
ის ხომ ლექსებზე მდიდარი არი,
შემოვძახებდი როგორც ირემი
შენი მშვენების უიღბლო დარი,
მოგიყვებოდი საღამო ხანზე...

## ძ ᲧᲧᲧ

ამაყი შუბლი, მედიდური, კვამლივით სახე,
ძველ, გამხდარ ხატებს ჩრდილს შეავლებ, როგორც ღრუბელი.
მოგაგონდება, რაც წარსულში გიტრაბახია
და სიყმაწვილე წიგნსაცავით ჩაოხრებული.

იხუვლებს ეზო და, კიბეზედ ამოვა ვაჟა!
თან დაჭრილივით შემოიყვანს გულკვდარ მინდიას.
ღამე, სახლს და გზებს დაეცემა ისე ერთბაშად,
რომ სიცოცხლეში ასე ერთხელ თუ გიტირია.

შენ, დაღლილ სტუმრებს, წაუკითხავ „ბინდის მზგავს სოფელს“...
წვეთწვეთი ცრემლი ახალუხზედ დაქვირითდება,
სადღაც, კლდეებთან გრიგალები დასცლიან თოფებს
და დიდი ვაჟა შვლის ნუკრივით აქვითინდება.

ფითრი გადაგკრავთ, სავარძლებზედ გადაეშვებით.
მაღალ სიმშვიდეს ასე შეშლის გველით მისნობა.
რვეულს დახურავ. აინთება ცის პანაშვიდი
და დარწმუნდებით, რომ ლეშია მარადისობაც.

გაჭყვები გარეთ, ჩააცილებ განთიადამდე.
საყდრების გასწვრივ აფრინდება ჩხიკვთა კრებული.
უკან დაგრჩება თმებდაწნული წისქვილის ღამე
და, სიყმაწვილე წიგნის ყდებზედ ჩაოხრებული.

შენი მაგიდა სველ მინდიას დაუწყებს ცქერას,
მოაგონდება: ტყე, სინათლე, ცა, ფრინველები.
გახსოვს მინდიავ, რო ყვარობდი ქალივით სივრცეს
და სწყევლიდნენ ხალხთა სვინდისს შენი თვალები.

## ე

ვინ მისცა პოეტს ან უფლება, ან სამართალი,
რომ დაემდუროს ამ თვალუწვდენ კაცობრიობას,
ან გაებუტოს ბნელ ფიქრებით შემოკვართული,
და დაემზგავსოს ძველი ბოსლის ხნიერ ობობას.
თავში ქვა იცეს, როგორც უნდა წარმართოს ბედი,
თუ რიჟრაჟებსაც ზურგს შეაქცევს, მოიღრუბლება,
ასეთი კაცი იყურყუტებს ხრიოკ ქედივით,
როგორც ცრემლებით მოქსოვილი ქარის თქმულება.

* * *

დღეს შენს საფლავზე ადარ მოდიან,
მოგვები, შუბლით რო ჰგავდნენ ხეთებს.
შენ რო წახვედი, ასე მგონია,
მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე.

კეთილო, შენ რო ჭმუნვა გადამდე,
არცკი ვუმხელდი ბინდდარა ველებს
და გინახავდი განთიადამდე,
გულის უბეში მოგროვილ ცრემლებს.

## ეეე

რას მიჰქარავ, შენც არ იცი,
შენც არ იცი, სად მიდიხარ...
ნუთუ დღემდე ვერ შეიცნე,
კაცათ გაჩნდი ვიგინდარა.

რას წრიალებ, ან რას ღნავი,
ხომ დაგცინეს ბულბულებმა,
რასაც ეხლა სწერ და ჯღაბნი,
თუ გგონია თხუზულება.

## ე

წუხელის შენი სიზმრები ვნახე:
ხშირი ბაღები, ბოდვა მგოსნების,
გადაბურული პალმებით ღამე
და ოდნავ სველი კვიპაროსები.

რომ დაგეძებდი ფოთლები მიხვდნენ!
მითხრეს: ვარდებმა ცქერით დაღალეს,
ძლივს ჩაეძინა... მტრედებიც დასხდნენ
და ნისკარტები ფრთებში დამალეს.

შენი ცრემლები გულში მელაგა.
მახსოვდა: სიო, ალერსი, თმები...
ეყარა ირგვლივ, დიოდა ყველგან
ფოთლები, ტბა და ხრიზანტემები.

გულხელდაკრეფილ ძეგლებს ეღვიძათ...
წარწერებს სთვლიდა შადრევნის ცვარი.
ხეებს სიბნელე ძლივსღა ეჭირათ,
ჰქუხდა ჩანჩქერი — ბაღების ზარი.

გათენდა უცბად... ამწვანდა არე,
აგრილდა, ბზის ქვეშ გაჩნდნენ ჩრდილები.
მე ვნახე: შენი სიზმრების ღამე
და, რო ყოფილხარ ის ადგილები.

* * *

ქარს მთვარის შუქი წუთისოფლიდან
წყლის ტოტებივით გადაეწია.

# ბ

გავხედავ... ქვევით ქვატალახა საუკუნეებს,
ხეობებს ჯანყი გაეყრება ხრჩოლვით, ნაფაზით,
სივრცე სივრცეზედ აიწევა, ასწევს უკუნეთს
და გამოჩნდება ლალმოწნული ციხე-დარბაზი.
შემოვა შოთა! შემოჰყვება თან ავთანდილი!
ვეზირებს ყადრი შეშურდებათ, ბედის ვალალებს.
„ვეფხისტყაოსანს“ დაეცემა თამარის ჩრდილი,
ჩრდილი ზანგებმა ზღვის ნავებით რო გადამალეს.
ვარძიის ბანზედ ავარდება რითმების თოვლი.
სანათურები აანთებენ ბროლის სტრიქონებს.
ყდებს მოზვავდება შაირების ჭავლის ლივლივი
და საქართველოს ვედარავინ დაიპატრონებს.
ქაჯთა სიმაგრეს წააწყდება ფასკუნჯი ქარი,
მუხლმოყრილ პოეტს დედოფალი გულს შეჰპირდება,
ასმათის ცრემლში გამოჩნდება თმები თამარის
და როსტევანი ყმებით მოყმეს გაეკიდება.

შუბებით ზეცას ყავარიავით გადაგლიჯავენ,
ლომების ჯოგი წინ შემოყრილ მგზავრს გააბრაზებს.
გავხედავ წარსულს: წლების ოჩხებს, ზამთარს, ჭილყვავებს
და მიწის პირზედ დატანებულ ტიალ დარბაზებს.
დიადო შოთა, რომ სცოდნოდი უიღბლო დანტეს,
შენს რხეულ მიწას ბეატრიჩეს მზითვად მისცემდა.
ალბად, როდესაც ასე მძლავრი ცეცხლი დაანთე,
გრძნობდი საწუთროს ოთხივ კუთხით იციმციმებდა.
ამბობენ: ხშირად ჩამოდიხარ მტკვარზე შველივით,
უსაზღვროების შუქი დაგდევს ლექსთა ნათლიას,
და გაგონდება: შამბი, სიო, ტბების გიშერი,
სადაც ნესტანმა შენც ბეჭდების თვლები გაძლია.
როცა სამშობლოს ურდოების ჯირითი ჭკლავდა,
როდესაც წამლათ ვერ ნახავდი ვეღარცერთ მგოსანს,
მაშინ ათასი მონღოლების თარი უკრავდა!
და თემურლენგი დამღეროდა „ვეფხისტყაოსანს!!!“

ვინ იცის, რამდენ... საუკუნეებს გადივლი კიდევ...
იქნები, სანამ იხმაურებს წუთისოფელი...
შენ უნისლებო უკვდავებას მოინარიკლებ
და იკაშკაშებ, ასე მარად ჩაუქრობელი.

ბინდების წევა ანკესებით შუადღის ტბიდან,
მტკვარზე ყანჩების ყრუ ყურყუტი გარიყულ ტივთან,
მკათათვის სტვენა საღამოხანს დაბურულ ტყიდან,
ციდან ფრინველთა ბუდეებში კვლავ გადმოტვირთვა.

ღამის ნაფაზი, მთვარის შუქზე ძაღლების ყეფა,
ჩაშლილი ძნები, მიგდებული კევრი, არნადი,
ალიონზე კი მერცხლის ფრთებით აისის კრეფა,
და წიგნის ყდაზე... იცი ბიჭო, როგორ მიყვარდი?!

## ძ

იქნებ როგორმე გული გახურდეს.
მთვარემ ყელქვევით შეგიკრას ღილი.
ქარში ჭანდრები კვლავ ახმაურდნენ
და ხეივნებში დაყარონ ჩრდილი.

შევხვდებით ბაღთან რიდებით, დარდით,
სად შაშვის ხმაზე შეგშინებია
და მოგიყვები: როგორ მიყვარდი
და შენ სიხმრებში რო მძინებია.

მთვარეულივით დადიხარ მუდამ,
მთვარის სინათლე გიდევს უბეში,
შენ ყვავილების სიმღერით სუნთქავ
და ნაძვებისგან გინდა ნუგეში.
ხან გასცქერიხარ მთის კენწეროებს,
მიჰყვები, სადღაც უცაო დაბლობს,
სტოვებ კლდეებზე ირიბ წარწერებს:
ხალხს ჩემი ცოდო არ დააბრალოთ.
ცილი არ დასდოთ, რადგან ოდესღაც,
ადამიანი მეც ხომ მიყვარდა.
ეს იყო წინად, როს აღებ ღამეს,
ზარს ქარიშხლებში ხმა დაეკარგა.
იქნებ, იქ გული ყინვებს მოეცვა
და გულმა ზოგი გადაიტანა.
იქნებ ქრისტესაც მოსწყინდა ლოცვა
და ანგელოსებს დაუტატანა.
ბედდახურული დადიხარ მუდამ,
მთვარის კრიალი გიდევს უბეში!
ნაძვებთან გინდა იდგე სულმუდამ,
და მსხმოიარე ნახო ნუგეში.

* * *

ის, განთიადის წინ დაბინდდება!
წავა, დასწყევლის მიწურ ადათებს!
ზეცისკენ ზეცა გადაფრინდება,
ზეცაზედ ზეცა გადაანათებს.

ცის აივნებში მიმოვიდოდი, ღვთაებრივ გზნებით, დაუზარებლივ,
მსოფლიოს მხრიდან, გეყო — მიძახდნენ ხმაჩახლეჩილი ბოხი ზარები,
იქ სიცივეა, ჭირხლი, ბურუსი, დათეთქვილ ფილტვებს ვინ დაგიამებს?
თუმცა საწუთროს გადმაც რო მოხვდე, მაინც შეხვდები ადამიანებს!

ღრუბლის სვეტები ქალაქებს ჰგვანდა, შორს პლანეტების ჯოგი ყიოდა.
გული იწოდა და თვალებიდან ნელთბილი კვამლი ამომდიოდა.
ირგვლივ უსივრცო სიჩუმე იდგა, თითქოს თითები დაბლა მცვიოდა
და ელვარება ამ წუთისოფლის თხელ კამარებში გამოდიოდა.

სასაფლაოსკენ, თაღმოდგმულ კარებს, მკვდრები ადებდნენ მძიმე
ურდულებს.
წარმავალობა ანიავებდა მარადისობის ყვითელ ბულულებს.
ბუდა და ქრისტე გამომცქეროდნენ, გამოერეკათ ქვევიდან ველებს,
ჩემ ნაფეხურებს გამოჰყოლოდნენ და ქალებივით მიქნევდნენ ხელებს.

და მოვექეცი ისეთ წყვდიადებს, სადაც სინათლე ოდნავ ერევა!
სადღაც მტრედების გაფრენა იყო და ღუღუნებდა ქვეყნიერება.
არ ვიცი რისთვის?! მაგრამ ხანდისხან მაღლა ვიწევდი ფეხის
ცერებით,
თითქოს ვამჩნევდი, რო თენდებოდა და ლაპლაპებდნენ შორს
სივრცეები.

## ძ

ცაცხვების შრიალს, ჩვენ ხშირ სამყოფელს
მივლენ ყვავები და დასცინებენ.
მე, საქართველოს წყნარი სოფლები
ძაღლების ყეფით გამაცილებენ.

საღამო არის, ტაძრის კარი ისევ ღიაა.
კანდლებზე მძიმედ კიაფობენ წვრილი სანთლები,
ჩუმი ქვითინით წმინდანები ცრემლებსა ღვრიან,
თურმე ჩუქურთმებს ქვაზე სწნავდნენ აქ ქართველები.

ღვთისმშობელს ღვიძამს, აკვნის რწევა ისმის და ისმის,
ხელაპყრობილი პოეტი კი ლოცვას აღადგენს,
გარეთ ცაცხვის ხე სარანგივით ქეშათ სისინებს,
ზარებმა რეკით წუხელ ღამე როგორ დაღალეს.

ლოცულობს კაცი, და ავედრებს დაღუპულ ლექსებს,
დიახ ოდესღაც ისიც ენთო სანთლების დარათ,
ის დაღმუოდა მტკვრის ნაპირზე ვერაგ დანტესებს.
მთელ სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გამოიდარა.

ეხლა კი, ხედავთ ტაძარშია და მუხლმოყრილი,
მათხოვარივით მძლე მაცხოვარს მისჩერებია,
ღმერთი სად ბუდობს, მარად ზეცა გადატიხრული,
აწ ეს ხატები ჩუმი ლოცვით რათ ითვრებიან.

წარმართს შემინდეთ, თუ სიბრალულს კიდევ ატარებთ,
ჩემს სიყმაწვილეს თქვენ გავედრებთ — ფიქრები სწუხან.
ღამე ჩამოდგა, სიმშვიდეში ელავს ტაძარი,
და აკვნის რწევა კიდევ ისმის ტრაპეზის უკან.

მოხუცი მნათე ტაძრის უკან სთვლემს და ჩიფჩიფებს,
თითქოს სამრეკლოს მწუხარებას შეუვერცხლია,
ბალახზე სცნობდა დილით ქრისტეს ფეხის ნაბიჯებს,
თურმე ქრისტესთვის ერთხელ თმებიც დაუბარცხნია.

ტაძრის ეზოში ისევ ღვიძამთ ასწლოვან ხეებს,
მნათე ბუტბუტებს, ხან პირს აღებს როგორც ჯაფარა.
აგერ სარკმელში ღამეებმა შემოიხედეს,
და ღვთისმშობელმა ყრმას მანდილი გადააფარა.

ილოცე, ძმაო, ასე ჩადი კუბოს ფიცრამდე,
ლტოლვილს, განდევნილს აბა მეტი რა დაგრჩენია?..
რა უნდა გექნა, უბედურო, გზაც არ იცოდი,
მადლობა ღმერთს, რომ მაცხოვარი შემოგეჩვია.

## ე

გაჭრილი კლდე და შეღმართები ვიწრო, პირქუში,
რაშების ხვითქი, თქარათქური, ბუღის ნამქერი,
დარბაზებიდან გამოჭრილი ჭაღების შუქი,
ბინდი სივრცეში გამჭვირვალე ღრუბლის ნაქელი,
პიტიახშების ქალწულების ცეკვა მარმაშით,
კერპების ტაში — ასხლეტილი ჩუქურთმის ვარაყს,
წრე მანდილებით მოოჭვილი ლხინის არშია.
ნაშა ხარების ჩუმი თვლემა ქვევით საყარზე.
შერყეულ ძეგლთან წარმართების ხვეწნა, ვედრება,
სადღაც სამრეკლო, ალეწილი ფიქრებით ბერი.
თხელ რიჟრაჟების ფილაქანზე ჭანდრების ყეფა;
ქანდაკებათა აპყრობილი მკლავების ტევრი,
არმაზის რისხვა და შუბებზე სტვენა ქარბუქის,
ქადაგის თვალი ატუზული სენაკის კართან.
წოწოლა ქედის სივრცეების სხვენზე ჩაბუქნა,
პირქვე დამხობილ ბაგინეთთან ადთქმა წარმართთა.
ძევახის გული — სალამურზე დაკრული თრთოლვა,
გამოფხიზლება ჭაბუკების, არმაზის როკვა,
სასახლის ჭერი, ვარდისფერი კედლების სუნთქვა,
მთვარე ბინდებში განაბული ზეცის როკვით.

## ძ ჯ

საღამო ხანი ზარებს რეკავდა,
ჟრუანტელს ჰგვრიდა ცას ხმის სიამე,
ის, კი საკუთარ ცრემლებს კრეფავდა,
რომ არ ენახათ ადამიანებს.
მინდვრებს, გორაკებს ნისლი სცემდა ფრთებს,
რომ პირქუშ მგზავრებს გზა არეოდათ,
ის უძახოდა დაღლილ ფრინველებს
და, ბანს ვარსკვლავთა კლდე იძლეოდა:
გაჩერდი, კარგი, დროა, გატვრინდი,
გზების სიმუნჯე მაინც იკმარე!
ის ბნელ გრიგალებს კიდევ უსტვენდა:
უთხარით მიწას, თუ მიმიკარებს.
ეს დღე, ეს შარა, სად შემოკლდება,
რა დალევს მგზავრის მდორე ოცნებას.
ჩემი სიმღერა და უკვდავება,
ალბათ, ჟამს შემდეგ ეცოდინებათ.
თუ მოგერიოს ოდესმე ცრემლი
წყევლით დავსილო უსაზღვროებავ,
გადამირჩინე ის, ჩემი მრევლი,
ვინც უცქეროდა ჩემს მყუდროებას.
ვიცი იტყვიან, რომ სველ ღამეებს,
ის რიჟრაჟებმაც ვერ გამოჰგლიჯეს,
ის უცინოდა პირქუშ ნაპრალებს
და სულელივით სთვლიდა ნაბიჯებს.
ერთხელ, სინათლეს გამოჰყვა ზიზღით,
სოფელს წააწყდა, ავდარი იყო,
წინ დაეხედა, თურმე ნუ იტყვით,
ეს დედამიწა გამომდგარიყო!
და... შერეოდა ისევ ღამეებს...
ბედი გამჩენი ლანძღვით აეკლო.
აქ კი, ყმუოდნენ თეთრი ძაღლები
და მოწყენილი იდგა სამრეკლო.

მოგაგონდები კვირაძლის ხანზე,
ძალას დაიტან, მოიკრეფ ღონეს...
იმან, რადა ჰქნას, ვისაც ამ ქვეყნად,
სულ რომ არავინ არ მოიგონებს?
ის მარტო იყო და შენც ხომ იცი,
ბინაც არ ჰქონდა საცოდავს, ვგონებ!
ამბობენ: თურმე, იყო ავხორცი
და უცქეროდა ცისფერ გოგონებს.
ის იძინებდა ხშირად ამ სახლთან,
ეგდო ნოტიო გზის ანაბარა;
ის ქარიშხლების ლანძღვით ჩაძაღლდა,
როგორც ნამქერში ჩიტი – პატარა.
მაგრამ... ოდესღაც მას ჰქონდა გული
ხმა შემომქმედი, ცეცხლივით ტკვინი,
ის ვულკანივით სულ გუგუნებდა
და წინ ეფინა ფიქრების ზვინი.
ის აღავლენდა ლოცვებს ბინდისას,
ო, ისე როგორც იცის განგებამ,
რა ვუყოთ, დიდხანს ვეღარ ირბინა,
მოჰკლა აბუჩად ბედის აგდებამ.
და, დაიღუპა თებერვლის ღამეს
ქუჩაში, ჭოჭში, ძვლების ამარა...
დილით ლოთებმა ლანძღვით დამარხეს,
როგორც პირუტყვი, როგორც მეძავი.
და მე რა მიჭირს... თმებს რო გაიყოფ,
გაგახსენდები შენც და გოგონებს...
ო, იმან რა ჰქნას? ვინც მარტო იყო
და სულ არავინ არ მოიგონებს?..

## ძ

...ასეა, ასე, როცა ჰქრება ეგ სიყმაწვილე,
სამხრის ჭიშკართან ყველაფერი ლელიავით ტყდება.
უცქერი: მინდვრებს, ბაღში შეხვალ – ნაირ ყვავილებს
და ეს ოხერი არაფერი არ გენატრება.

რა შეგიძლიან, განა მუდამ გიშველის ტვინი,
ან და ანთებულ კანდლების წინ წუწკი მისნობა.
ეხლა დადიხარ უბან-უბან და ხალხს შესჩივი,
რა ვქნა, მიყვარდა: ლექსი, ცა და მარადისობა.

რა ჭირათ გინდა, ყველამ შენზედ ილაპარაკოს,
გაქონ, გადიდონ, იჭორაონ, იბაქიბუქონ.
არ გირჩევნიან, ისე ჩუმად გადაიკარგო,
რომ შენი ბინა მეეზოვემ ლანძღვით დალუქოს.

ასეა, ასე, როცა ქარი ჩადგება ხოლმე,
დარწეულ ხეებს ფერი დიდხანს არ ემატებათ.
დადიხარ მარტო, იცი დამეც ადარ გაბრკოლებს
და მაინც ქვეყნად არაფერი არ გენატრება.

ჩადგება დარდი ჩემს ფილტვებში, როგორც ზამთარი.
ტანს აუტყდება ცივი ჟრჟოლა, ვით ტყის ყვავილებს.
მოვუბრუნდები დამეს, ვეტყვი: აბა, სად არის?
შენ რომ ყვარობდი ამას წინად ჩემ სიყმაწვილეს.

„ის დავმარხეო“ – ჩამკრავს დამე და შეწუხდება.
შორს, ვარსკვლავები დაიწყებენ ცვენას სივრცეში...
პოეტის გულზედ შეგიძლიან იგრძნო შეხება,
თუ გიტირია, ან ავდრის ქვეშ, ან სიცივეში.

როგორ მინდოდა ალერსის ნამი,
ო, ისე როგორც უყვართ ყვავილებს,
როგორ მწყუროდა, რომ ერთხელ მაინც,
შენც ჩახვეოდი ჩემს სიყმაწვილეს.

შენ მიყურებდი ქეშად, უნდობლად,
მეწოდა გული ცეცხლით, ვარამით,
ბედს ფანჯრის შუქიც აღარ უნდოდა!
სულ არაფერი, სულ აღარავინ!

ილაჯ გაწყვეტილ სიცოცხლეს, განა
კიდევ შეეძლო ვისმესთან მისვლა?
შენ, ჩემი ცრემლი არ დაგენანა,
ცრემლი შენს ახლო დამდგარი ნისლათ.

დასწყევლოს ღმერთმა, ღამეა გრძელი!
იქ, მაინც ღვიძავთ ჯიდა ნაბრალებს!
შენ ჩემ ლექსებში შიში იგრძენი,
შიში რომელიც ღუბავდა თვალებს.

ღამეა. მივალ სულ მარტოდ მარტო,
ჩემი ფიქრები მკვდარ გულსა ფლობენ,
და ასასები — ქუჩის მარტვილნი
კაცობრიობას ყარაულობენ.

ვარსკვლავის შუქში ჰკრთის საკმეველი,
მთვარე სამყაროს სანათურსა ჰგავს,
და დედამიწა ამ სარკმელიდან —
ბარით გადმოყრილ ქვიშას და ნაგავს.

მიყვარდა წინად: თმების სითბო, სიზმრის ჩვენება
და ოკეანეს სიმფონია, მოლოდინი და მიჩერება.

და ერთხელ, როცა გადამიჭკნა ვარდივით გული,
კანს შერჩა: სისხლი, ჩუმი სევდა და სინანული.

ვწუხდი, სიცოცხლე ნეტავ რისთვის დამინაფოტეს,
თუმცა ამბობდნენ: ასე გინდათ ფერმკრთალ პოეტებს.

არ იყო, არა, ჩემზედ უფრო უბინადარი,
რამდენი დაგრჩათ, მომაკვდავნო, გასაცინარი.

ამოდი. ვარდებს ვერ დაგახვედრებ.
ბედი, ხომ მაინც შენ არ გჯეროდა.
ამოხვალ, გეტყვი: აბა, დახედე,
ის ვინც შენსავით იტანჯებოდა.
და მერე როგორ! ნეტა გენახა,
დამწვარი სახე, კონკები ეცვა,
ერთი მელექსე თქვენც შეგენახათ,
იქნებ იმასაც სწყუროდა ზეცა.
მგზავრი მოგვისმენს, გზას გააგრძელებს,
გახედავს შარას უზრუნველობით,
ბორცვს რო გადივლის, ჩაიქნევს ხელებს
ხეპრული ზიზღით და უზრდელობით.
მაშ რა გგონია?! ასეა მუდამ...
შენ მაინც მოდი, თუ გინდ დასავით.
გიამბობ: როგორ უცფათ დამუნჯდა
და მარტოთ იყო უდაბნოსავით.

## I

იმღერე კარგო და დამინამე
ცხოვრება მუდამ უშინაარსო,
იმღერე, სანამ მყუდროა ღამე,
სანამ გრიგალებს სძინავთ ძვირფასო.

წავიდეთ სადმე, შორს დავესახლოთ,
იქნებ, ეს ღამე იქ არ მოშავდეს,
ლურჯი მინდვრების გაფრენა ვნახოთ,
სად ზღვა ტალღებით სწინწკლავს ლაჟვარდებს.

ჩემ ბინის კარებს ვიღაც შეაღებს!
მე საქართველო მაინც მემდურის.
იმღერე, დროა, ბალმა შრიალებს
და ყაჩაღივით ღვიძავს ბედუინს.

## II

იმას მიხედე მზეო ამაღამ,
ვისაც ყინვებში ჩრდილი ეფარა,
უპატრონობით რო დაიღალა
და თვალებს ძილში გამოეპარა.

ფუტურო ძვლები ტანში უყრია,
სულში ღვივდება ქარების თესლი,
იმის ფეხის ხმა, ჭმუნვა, ყვირილი,
მხოლოდ გაფრენილ ღამეებს ესმით.

მიხედე, წადით, ოღონდ ამაღამ,
სანამ ღრუბლები გაშლიან კალთებს,
მერე კი თვითონ, თუგინდ დასაბამს
ცრემლების შუქით გადაინათებს...

ღამით გადავყე ქალაქის ქუჩებს,
შემხვდა მეძავი, სთვლემდა ლუდხანა.
გვიანდა არის, ნუდარ ჩურჩულებთ,
მე გავვერანდი, თუ ეს ქვეყანა.

გესმის? ფიქრების დიდო ხმელეთო,
კმარა ოცნება, სადღაც წავედი,
რომ შემხვედროდი, იცოდე, ღმერთო,
ასე ჩემსავით შენც გაწამებდი.

რადათ ველოდო მაისს ან ივნისს,
ხვალ მეც ბინდივით ჩავიწვერები,
შთამომავლობა მე რას მომძებნის,
ან ვის რათ უნდა ეს ნაწერები.

## ძ ე

შენ ვერასოდეს ვერ მოისვენებ,
ან როცა გძინავს, ეგ რა ძილია?!
იცოდე, ვინმემ თუ გაგიხსენა,
ის ჯადოქრების მოგზავნილია.

## * * *

მამაჩემს დავრჩი ბიჭი ობოლი,
მე მზრდიდა ვერხვის ფოთლების ტაში,
როგორ მიყვარდა ჩემი სამშობლო
და წეროების ძახილი ცაში.

მზე გადიოდა ცას ბორანივით.
ტყეში შიშველი ქარი ჰკიოდა.
ლექსს იძახოდა ხიდან ყორანი,
ქრისტე მოსჩანდა საიქიოდან.

ძვლიავს ვამშვიდებდი მოქანცულ ჩიტებს,
თვალს მიშტერებდა წარმართის ლოცვა,
ლოდებზე იჯდა გიჟი პოეტი,
კვნესოდა მთების ყრუ გარემოცვა.

დაფლეთილ სხეულს, დადალულ ფიქრებს,
ახსოვდათ მხოლოდ სიცოცხლე მკვდარი.
სადღაც ეშოვნათ კუბო ჯიბგირებს
და მიეწერათ ზედ ჩემი გვარი!

## O

სივრცეებს გავყე, ანგელოზი ტყლოშნიდა ზარებს,
ვფიქრობდი: სადმე მოვისვენებ, სიმღერით წავალ...
უცბად! წავაწყდი ხმაგაკმენდილ გზას და შემზარა,
ფეხქვეშ ყვიროდა: მგზავრო შესდექ, დედამიწა ვარ!

შენ ჯიქანს სწოვდნენ ქართლის ჩრდილები,
შინდისელები სთხრიდნენ ღრმა ოჩხებს,
ტანას ბოლოში შენს ხმას ვარჩევდი,
როცა ჭალაში ვუდექი ხბორებს.

# ს

ის ბოგანოა, ხვალ შემოივლის
და გამაგონებს მწუხარ არიას.
იმის ღიმილი – დილა ზაფხულის
ქუჩების ვნებით გადამწვარია.

ხშირ სიარულით, თითქოს ჟინს იკლავს,
უკრავს და სადღაც გაიყურება!
ვერ მიუხვდები: მთებმა მოხიბლეს,
თუ ლაჟვარდების უცნაურებამ!!!

ყველას გაურბის, უყვარს სიმშვიდე,
თითქმის თვალები მიწას დაადნო,
იმან არ იცის სევდა შიმშილით,
ის ყინულია, ცივი უდაბნო.

ის ხან ღამეებს უთევს ქარიშხალს,
თუმცა მინდვრები „ძილისგულს“ სთხოვენ,
ის ხან ანთია მაშხალასავით
და ხან ბინდივით ელის ბეთხოვენს.

და აგონდება ის სოფლის ლხინი,
სადაც უყვარდა ტანწვრილი გოგო,
უყვარდა იმის მორცხვი ღიმილი
და მერე როგორ! ოჰ, მერე როგორ!..

* * *

შენი თელა ხომ აღარ შრიალებს,
დაბინდებისას აწყდება ფანჯრებს,
ავდრები ხშირად ძლივს აბრუნებენ
და წაქცეულ ხეს დიდხანს ანჯღრევენ.

## -

*(მასალები ერთი ლექსისთვის)*

ამომიძოვენ მდორე თვალებს ბნელი ქარები.
ქარს მთვარის ელვა სამყაროს უკან
წყლების შუქივით გადუწევია.

სადღაც, ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამქერი,
ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამოირბინა.

იელვებს მძლავრად თეთრი კუბო, ყრუ თვითმკვლელობა
და ცისკენ უცფად კომეტები ზარს დარეკავენ,
რომ დედამიწა ღამე შიშით ვარსკვლავებში ვერ შედიოდეს.

ამოვიმღერებ და ამ სიმღერას,
თან ამოვატან ახალგაზრდობას.

ნუთუ ჩემი გვარი, ჩემი წინაპრები, იმიტომ
ვარჯიშობდნენ, რომ მე წარმოვშობილიყავი???

* * *

შმაგი სიცოცხლე ღვინოსავით გამომნელდება.
ჯანდაბას, გზებზე წვიმამ ჭოჭი გააძლიეროს,
დე, დედის მწარე და ტუჩშეშლილ საცოდაობამ,
ზეციდან ზეცა ყოველ ღამე ათვარიელოს.

* * *

უდაბურ ტყეში მოვხვდი, ღამეა,
ხეთა წვერები ეძებენ მთვარეს.
უკუნ სიბნელეს ქარაფი ღოღნის,
ქარებმა მთვარე თუ მოიპარეს.

თითქოს ნადირი ფაჩუნობს სადღაც,
ასე მგონია, მოვა და შემჭამს.
მდევები სვამენ ჩემს სადღეგრძელოს,
შეექცევიან კაცის შეჭამანდს.

დავძრწივარ, ბნელა, ნაძვებს ვეხლები,
დასაქცევ ბილიკს ვერ მივაგენი.
ებურტყუნება ნისლებს ხევხუვი
და მაცივდება, ვატყობ, ბაგენი.

ეს მარტოობა ამ ტიალ ტყეში,
ვიცი, რომ კარგს მე არას მიქადის,
ბულბული უსტვენს სადღაც ტყემლებში,
და მწვანე ალი წყლის პირზე დადის.

დადის და ჩემსკენ უჭირავს თვალი,
ხან თმებს გადიყრის ზურგზე სიცილით.
ნეტა ვიცოდე, რას დამაბრალებს,
მე შავ ფიქრებით ვალიცლიცებულს.

ასწლოვან მუხას მე თავს ვაფარებ,
ვთხოვ, რომ ფუღურო დამითმოს მაინც,
აფთარი ღმუის გააფთრებული,
და მეპარება ალქაჯი დანით.

აღარ თენდება, ფიჭვებიც დაწყდნენ,
ფეხზე დგომით და ჩემი ლოდინით,
რა ვუყო ეხლა, ღმერთი გამიწყრა,
თითქოს მიწყნარდა ღმერთის ქლოშინი.

აისს მოითრევს ჩიტების გუნდი,
ალბათ ამ ტყიდან გავალ მინდორზე.
სიცოცხლევ, იქნებ კვლავ დაგიბრუნდე,
და ხავსმოდებულს შემინდე დროზე.

* * *

კარის ვენახში პაპა ბარავდა,
ატმის ხეები იწევდნენ კალთებს,
შენგან შევიტყე რა ყოფილა ტუჩის ბადაგი,
რთველში ყურძნით რომ ამივსებდი ლამაზ კალათებს.

ალუჩის ხეებს მიგზავნიდი როგორც შიკრიკებს,
მთხოვდი წირვაზე მოვსულიყავ და დამეცადა,
მე შენს თვალებში ვისწორებდი თმას და კიკინებს,
სადა ხარ, სადა?..

თალხი გაცვია, შავი ნატის ხელთათმანები,
ხან სიყმაწვილეს თვალს შეავლებ და ატირდები,
შენს ფანჯარასთან ადარ ღვიძავთ იასამანებს,
როგორ ბინდდები...

და თუ შემხვდები, არ გაკოცებ, იცოდეს ღმერთმა,
რომ ჩემი ჭმუნვა, ან სიმთვრალე არ გადაგედოს,
პაპას ვენახი, გოგო, წამართვეს,
ო, მეშინია, როგორ გაგენდო!..

## ჯ

ბადი ბნელდება. ხშირი ფოთლები
ჩამომძახიან სუყველა ერთად:
მუდამ რომ გვერდით არ გვეყოლები!
მოგვწყდი, გაგვშორდი, რა დაგემართა.

შუქი მთვარიდან მოგავს საფლავებს,
წარსულის დარდებს, ბილიკებს ვფუჩქნი,
წყლის პირთან, რადაც შიშით კანკალებს –
წლებ დაგვალული ასკილის ბუჩქი.

რა ვქნა, მივდივარ, სიჩუმე მეფობს.
ჰქრება სიმშვიდის ეს არჩევანიც!
იქით ქალაქის გული ბობოქრობს
და ღრიანცელში სწვიმს შადრევანი.

* * *

ვისაც სიცოცხლე ღვინოსავით ერეოდა
და მწუხარება ვედარაფრით მოილოგინა.
ქვესკნელს შემასხი მშობელო მიწავ,
თუ კიდევ შენსკენ გამოვტრიალდე.
მე მხოლოდ ფრინველები მეგუებიან.
ან და რა უნდა მოიგონოთ ჩემ ცხოვრებიდან?!
ის რომ სიცოცხლე სულ ფეხდაფეხ მიწყვეტდა ილაჯს?..

* * *

კოდმანის კლდესთან წარმართები ისროდნენ ისრებს,
და ბაგინეთის აღმართებზე ჰქროდნენ რაშები,
არმაზის კერპთან ქალწულები მისრიალებდნენ,
შესაწირავათ რომ მოჰყავდათ თოთო ბავშვები.

სხეულის კვამლი აყროლებდა მთელ არემარეს,
თან ფრინველები წივწივებდნენ საცოდაობით,
ვიღაც ქურუმი ღიღინებდა თარზე სიმღერას,
კაცობრიობა დაღლილია მატაოცობით...

ვზები, ქურანის თქარათქური, ღამე, სანთლები,
მინდვრათ ბალახი გათელილი და ნამიანი,
პიტიახშები ღრიალებდნენ, სისხლით დავთვრებით!..
ასეთი იყო და იქნება ადამიანი.

* * *

ღვინის სარდაფში, ანთებულ კვარზე,
ჰყიდდა ძველ პერანგს ერთ ხელადაზე,
გამოდიოდა და მთელი კვირა
გულ ამოსკვნილი ტიროდა გზაზე.

იმას სიკვდილიც არ ჩააცეცხლეს,
კუბოში კიდევ ნატრობდა სიკვდილს,
ის არ ცეკვამდა ფეხის ცერებზედ,
არც ყურს უგდებდა ეპოქის ჭიდილს.

* * *

ის ხომ ღვთისმშობლის სიზმარსა ჰგავდა,
როგორ დამთავრდა?..
მოუკლეს მამა, მოუკლეს დედა, დაღუპეს კერა...
იმის სიმღერა,
გადაედოთ ჩიტებს, ბეღურებს, ჭალაში გვრიტებს,
ვინ დაიტირებს?
ჰკითხეთ ბაღნარებს, და თუ გინდათ, სამრეკლოს მტრედებს.
ო, როგორ ჰგავდა ყარყარა გედებს.

## ე

ღმერთებს აბამდნენ ხის ქვეშ თოკებით,
ხალხზე იწევდნენ თურმე საწყლები...
ქვეყანა იწვა გაყრილ ხიშტებით
და ყორნებივით ჩხაოდნენ წლები.

სიონის ზარებს კვლავ მძიმეთ რეკდნენ,
უსარვაზებზე ცვიოდა სევდა...
მტრედები ლოცვებს ჩუმად კენკავდნენ
და ღვთისმშობელი ყრუ ზეებს მისდევდა.

ბავშვები დედებს ეძებდნენ სადღაც,
იღრუბლებოდა ცა და კამარა,
უდაბნოს ბერს კი ყელგამოღადრულს,
მთელი სამყარო გამოეპარა.

* * *

ის როდი ჰკრეფდა იებს სიცილით,
მხოლოდ ჰკოცნიდა თითო ღეროებს,
მე კი, მარტოკა ცრემლებდაცლილი,
ვუმზერდი ცაცხვის დიდ კენწეროებს.

* * *

გაგეღვიძება დატანჯულ პოეტს,
ძლივს გაიხსენებ, ვისაც უყვარდი,
ვერ წარმოიდგენ რათ მიგატოვეს,
რათ დაიბენი და აძაგძაგდი?! –

გადასწევ ფარდას და სცენის ნაცვლად
თავს ამოჰყოფენ არაგვის ქვები,
შენზედ სამძიმარს გაავრცელებენ
სანთლების შუქზედ აჭრილი მკვდრები.

გულწასულ დედას კარებს გაუღებს
ყრუ მეწისქვილე ჭრაქის კიაფით,
თეთრი ნაგაზი ჩრდილებს შეღრინავს –
აი, კეთილი ბედის კრიახი.

შებინდდა ირგვლივ, ტყემ ჩაიძინა,
ბერმა სენაკში ჩააქრო შუქი.
გარეთ ჯორცხენას რადაც ეწყინა
და აიწყვიტა თოკის ყულუფი.

ქარები დასწვდნენ გადაყრილ ვარდებს.
ქედმა კი, სადღაც შეჰყვირა ლომისს.
ხვალ, ალბად, აღარ გაავდარდება,
ზეცაზე თეთრი ღრუბლები მოდის.

* * *

ხეობა მოსჩანს, მიდიხარ, კრთები,
შენ რომ ჰყვაოდი, ა , ის მთებია.
დღეს კი რას ვხედავ, ჭადარა თმებში
ჩემი დუმილიც ჩაგთეთრებია.

## კ

დიდი ხანია არ მენახე კდემამოსილო,
თუმც თანატოლებს მუდამ რაღაც ბრანჭვით ხვდებოდი,
მოველ, გეწვიე, ტახტზედ იჯექ, როგორც ბასილა,
ნახარშ ხორცის წვენს მადიანად იცოხნებოდი.

შენი მეუღლე თავს გიქნევდა, რასაც ბოდავდი,
ფანჯრებს გიღებდა, რომ გესუნთქა უფრო იოლად,
ენას გიყოფდა ქუჩის მხრიდან გიჟი ბოდლერი,
შენც ჩაძაღლდები – მოგძახოდა – ძუნწო, ჩიორავ!

მიტატანებდი: შენ ლოთი ხარ, მე კი დოქტორი,
გჯეროდა, მთვარე შენთვის თურმე კვერცხებსაც დასდებს.
დავბრუნდი ჩუმად, მიგატოვე კაცი-გოდორი,
და საქართველოს ვაყოლებდი ლალისფერ დარდებს.

* * *

ორი ხელადა ჩამოგვისხეს ხიდისთაური,
თან ფიცულობდნენ, უნაკლოა, სუფთა, ღმერთმანი!
მზე ცის დისკოზე მიირწევდა გაშლილ მკლავებით.
მიწა რჩებოდა, როგორც ჯვარცმის შავი დედანი.

სიონის ზარი სქელ ღრუბლების ქვეშ ახველებდა,
გულში ეძინათ წმინდა ნინოს შეფრენილ ცრემლებს...
მკვდრები ცივ სივრცეს მიჰყვებოდნენ და, გზად ხანდისხან
ქვეყნიერების კოშკებისკენ იშვერდნენ ხელებს.

ზედაშედ გვქონდა მიწის წვენი გუდამაყარის,
არაგვი სჩქეფდა, ლაჟვარდების სათავეს ყოფდა...
სად არ გინდოდა, გაისმოდა ჩვენი ყაყანი,
მაგრამ ჩვენს გულებს, აბა, ვინმე თუ ყიდულობდა?..

ორტოტა ქარი ჩაქოლავს თადებს,
იმ კვალს გადაშლის, ჩვენ რომ ვიარეთ.
რამდენი შფოთვა ვურიგეთ ნადველს,
ღმერთო! რამდენი ვიმგლოვიარეთ.

იცი, სიცოცხლეს რომ ყოველ დილით
ვშანთავდი ჩემი ცხელი თითებით?
თან მიტაცებდა ეგ შენი ჩრდილი,
ჩრდილი დაწნული ჯვარცმულის თმებით.

ძილი წამებად გადმექცა, დედავ!
ველი იმ დღეებს, რომ გავტიალდე.
ქვესკნელს შემასხი მარადისობავ,
თუ კიდევ შენსკენ გადმოვტრიალდე.

ჩემი გაჩენა მიეზღოს ცეცხლად,
ვისაც ეს ჩემი იღბალი მართებს,
თითქოს ეს გული ამოურეცხავთ
ღვიით და სარცხით შიშველ წარმართებს.

წავალ, წამყვება უსინდისობა,
სამყარო ჩემ ქვეშ ნიადაგ მიჰქრის.
მიწიდან ხალხი გამოცვინდება
შემოღამებულ სივრცეებს იქით.

ეკლესიის წინ ილოცებს გველი,
საკმევლის სუნი გამოვა გარეთ.
რამდენი შფოთვა ვასხურეთ ნაღველს,
ღმერთო! რამდენი ვიმგლოვიარეთ.

დასაბამს ბოლოს აქ ტყე ბუდობდა
პირქუში, როგორც ამაოება.
შეხიზნებოდა მთებს ქურდებივით
გამოქვაბული და მყუდროება.

სქელი ნისლები მდორედ ხრჩოლავდნენ,
ყრუდ ჭრიალებდა ხევის ანჯამა.
ვარსკვლავნი ისე მოსჩანდნენ დამე,
თითქოს ზეცა ჩრჩილს ამოეჭამა.

უფლის ნათელი დაბარბაცებდა
გაუთენარი გზების ბოლომდე.
კერპები თვლემდნენ გაღმით ბორცვებთან,
ჟამს რომ კივილით ჩამოჰყოლოდნენ.

დრო იყო, როცა ბნელ სასუფეველს
მდინარე ტანა ჩაუდიოდა.
საიქიოდან წუთისოფელი
როგორც მამალი ისე ჰყიოდა.

სადღაც მღვიმეში ენთო კანდელი,
ხელში ხატები ეჭირათ ჩრდილებს,
მოციქულებს კი, გარდატნის კლდეზე
ჩასძინებოდათ აღთქმით დაღლილებს.

წარმართთა ძვლებზე იდგა ტაძარი,
ზევით ლეგენდა მიჰქონდათ მთიებს,
ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები,
ჰგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იებს.

ვით უკვდავება წყარო ანკარა
აცისკროვნებდა ირმების ფერდობს.
ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა
და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს.

მოსულ შეთქმულთა ნათელ ოცნებას
გუმბათის სვეტი გარს იტბორებდა,
მოხუცი ღმერთის აქ ნათქვამ ლოცვებს
სამრეკლო ღამე იმეორებდა.

სიონში მრევლის ტევა არ იყო,
გარეთ გალობდნენ მწირი ბერები.
ჯიღა ცაცხვები იდგნენ ყორესთან,
ვით ხანშესული ქალდეველები.

ჩუქურთმებს ტაძრის ბანი აეპყროთ,
ელავდა მთვარე — ქურუმთა ოდა.
მოჰქონდათ ჯვარი, ჭრაქები ენთო
და დანახვისზე ჭოტი კიოდა.

## ᲧᲧᲧ ᲧᲧᲧ[1]

სიყრმის კარგ დღეებს როგორ დავშორდით,
რა ყვავილნარი დარჩათ რიჟრაჟებს!
ხან მოგონებით დავშოშმინდები,
ხან კი ზედარუ გამაჟრიალებს.

ხან ზარის ხმაზე ვეძებ გვირილებს,
როგორც დაფანტულ სიმღერებს ველად,
ხან ჩემი ბედი — მწუხრის დილეგი,
თვალის გუგებში ჩუმად მიელავს.

გახსოვთ, სისხამზე სიზმრებს რო ვრგავდით,
ძუძუს რო ვწოვდით ცისფერ აისებს?..
ჩვენ ხომ გაფრენილ ბედურებს ვგავდით
და ტოროლებით დახუნძლულ ნისლებს.

---

[1] *ლეო ხარატიშვილი, სიმონ გონგლიაშვილი — ნიკო სამადაშვილის ბავშვობის მეგობრები.*

## ხ

გავხედავ ხვართქლანარევ ორღობეს,
ღელეთა მწუხრში ჩახვეულ ლანდებს,
მთის წვეროებთან მიხვეტილ ღრუბლებს
და ხიდის ყურზე ჭარმაგ ნალბანდებს.

ტოტის დაწყვეტა, ტანა ნარიყი –
როცა ვიგონებ, ფათფათი მსჭვალავს,
როგორც თვისტომი ისე ვუყვარდი
გვრიტების ფრთებით მოჭიქულ ჭადარს.

როგორ მინდოდა იქ მომკვდარიყავ,
დურდღლო სიცოცხლე კი ქარს წაეღო,
ქვებივით დამრჩა გულის საყარზე
ჭადრების ბინდი, კაკლების წენგო.

უძრავი ტახტი, წალო, ზანდუკი,
ფერისცვალება, საფლავზე ხილი,
ამბრიანთ ოჩას დუქნის დუდუკი
და გალავანთან ჭრაქებით ლხინი.

პირველი თრთოლვა, როგორც შარბათი,
ეტიდან ეტში იების გუბე,
დილით თივის ქვეშ სველი ბარათი:
„რად მწერდი ლექსებს, რად დაიღუპე!“

აქ ბარბარუკა, იქ ნიშხანიშხა,
კვერნაკის ვაკე, რუხი მინდორი.
მთებზე ზოზინი სოფლის ნახირის,
მდინარის გაღმა ვეება ქორი.

ჩიტების როკვა ბოკრო საბძელთან,
მკათათვის ფუნჯით ნახატი წლები,
ხან რუს ჩხრიალზე ღამე ნაძვებთან,
ციცინათელას შუქის წვეთები.

ჭოტის ქოქოლა ჩვენ ცაცხვის თავზე,
ჭრაქის კიაფი, საქონლის ფშვინვა,
კერძით გასვრილი ჯამი თაროზე
და ძველი სახლი წისქვილის წინა.

წარსულს ჩამოვრჩი წარსულის ფერფლი,
მტკვარი გინებით სადმე გამრიყავს.
როგორ მიყვარდა ჩემი სოფელი,
როგორ მინდოდა იქ მომკვდარიყავ.

სამყაროს ბოლოს მზე მოსჩანდა, როგორც წერტილი
და მე მეგონა, ეს ქვეყანა იქ თავდებოდა,
რათ სჩანდა ზეცა ღრუბლიანში გადაწეწილი,
ან შეშლილ პოეტს ღვთისმშობელი რას დაჰყვებოდა.

ვინც ლაჟვარდებში მუხლის ჩოქით გადაიპარა,
ფრთხილად წამოდგა და გასწია, ვინ იცის, საით...
ცის ბანს ბინდები ჭერეხივით რაზე ეყარა,
ან დედამიწა რად ჩარბოდა მთებში მზესავით...

დასაბამიდან ვზებს მოსდევდა გულდაწყვეტილი
კაცი, რომელიც სინათლეშიც არ ინთებოდა,
საწუთროს წვერზე მზე მოსჩანდა, როგორც წერტილი
და მე მეგონა, ეს ქვეყანა იქ თავდებოდა.

# ჭ ე

ჩემი სამშობლო ამრეზილი თვალით მიყურებს,
რა ვუყო, მოვწყდი, ვეღარ ვთიბამ მინდორში ბალახს.
სულაც არ ვდარდობ, რომელ ხრამში ჩამაყუდებენ,
სანამ ღვინოში შევაკვდები ვიღაცა ჯაგლაგს.

ვიცი, რომ ვგევარ ბნელ ღამეებს ვარსკვლავდამარცვლულს,
იმასაც ვხედავ, ეს სიცოცხლე როგორ შემაშრა,
ვინ დამინანებს, ვინ აიღებს ხელში საცეცხლურს,
მე ვინ ჩამატანს ამ სივრცეთა თვალუწვდენ შარას.

ნეტავ იცოდე, საქართველოვ, როგორ მიყვარდი,
როგორ ვკოცნიდი შენს ნაწვიმარ ვარდებს, გვირილებს,
შენ კი გულიდან, ნეტავ რაზედ ამოგივარდი,
ნუთუ ოდესმე არ მიხედავ ჩემს შვილიშვილებს?..

ჩემს საკუთარ ჩრდილს წამოვისხავ ზამთრის ღამეში,
გამოვალ გარეთ, მყინვარები ლოცვებს მომთხოვენ.
ქარი ამიხსნის: რო ყვირიან იქ, სამარეში,
გიჟი ღმერთები დასევიან საწყალ ბეთხოვენს.

გაუხვევ სადღაც, ამერევა გზა და გონება.
გული გადმოღვრის თვალებიდან სისხლის სქელ ლავებს.
არსად არასდროს მე არავინ არ მეყოლება
და ჩემს მკვდარ სხეულს ჩემი ხელით დავასაფლავებ.

* * *

იყო, იცხოვრა, დაბერდა, მოკვდა,
ამბობენ, რაღაც კვალი დასტოვა,
იქნებ წისქვილის ქვასა კოდავდა,
და წრიალებდა მუდამ მარტოკა.
იქნება სწერდა... თუმც სულერთია
გენიალობდა თუ თარს უკრავდა,
ვინ იცის გზებზე რა დაემართა,
თუ ჯვარზე გართხმულ ყაჩაღებს ჰგავდა.
არავინ იცის, სად გაუხვია,
არც მოიხედა, საქმე ის არის,
ხიდზე შეჩერდა, წყალი ხიოდა
და ფეხზე სთვლემდა ძველი ტაძარი,
შეხედა ტაძარს, უნდოდა შესვლა,
რომ გულამოსკვნილს ელოცა კიდევ,
მაგრამ შეჩერდა, კედლებს შებღავლა,
და დაეკარგა სივრცეთა კიდეს.

## ძ

„...და შენ იქ ნახავ დაკარგულ გრძნობას,
გრძნობას ღიმშეშლილს და გადარეულს,
დატანჯულს მწარე ახალგაზრდობას
და თვით სიყვარულს დამჭკნარს, დალეულს...“

ეს სტრიქონები შენ გეკუთვნოდა,
ეს იყო შენი სისხლი და წვენი,
თითქოს ლოცვების ტევრი დაგქონდა,
ზვირთების სუნთქვავ... ჭირიმე შენი!

## ძ

შენ დაგმარხავენ ბინდების ლხინით,
სამრეკლო აშლის მთვლემარე მტრედებს.
დაუშენს წვიმა, შორს ბალდახინი
დიდხნას იკვნესებს და იჩერჩეტებს.

ფუტურო სხეულს გულის სიზმარი
შერჩება, როგორც გოლგოთის თხრილი,
სისხლზე შემხმარი ძვლების ჩინჩხვარი
და მოგონება ნისლივით გრილი.

სოფლის წისქვილთან რუ ადიდდება,
ქუხილი მთებში ჩაისვრის აჩრდილს,
შენ კი მიწის ქვეშ შემოგაგდებენ
ხელიღლიაში კუბო ამოჩრილს.

მოიღრუბლები, მკერდში ჩაიტვრენ,
ფრთხილად ჩაჭყვები უღრან ნაპრალებს,
გამოღმა განგებ მძლავრად დამისტვენ,
მე კი ამ სტვენას ქარს დავაბრალებ.

წყვდიადი მძიმედ დაუშვებს ფარდებს,
შეწყდება ფერად ჭინკების სრბოლა,
სულს შეგიხუთავს ძეძვივით დარდი
და ჯოჯოხეთის პირქარი ხრჩოლა.

დაუხვევ ბილიკს ზურგ გატრუსული,
თვალს შეგავლებენ ქვესკნელის წყლები,
წინ ჩაგივლიან მკვდრები კრუსუნით,
როცა ქვებს შორის წამოგაწყდები.

გვირგვინს დამადებ, რთვილს მიმამსგავსებ,
ზედმომკილ დღეებს დიდხანს იჯავრებ.
პირქვე დამხობილს საყვარელ გვამზე
ქარები ტანჯვით აგაგლიჯავენ.

„გარეთ გადაყრილ ნაცარსა ვგავდით“,
თან იტყვი: „იქნებ ღმერთმა ინება...“
ჩაიქნევ მკლავებს და იქვე გვერდით
ცრემლებთან ერთად ჩაგეძინება.

გავაღებ ფანჯრებს, გავხედავ ქალაქს,
ქუჩებში სიცხის ბუღი იდგება.
შემოვბრუნდები, ფანჯრებს ავქოლავ
და გული მწარედ ამიდუღდება.

შენ კი იდექი მანდ გლახასავით,
უცქირე ხალხის ბედნიერებას,
და უკაკუნე კოდალასავით
ვრცელ და ფუტურო ქვეყნიერებას.

## ე ძ ე

ასე გოდებდა მკათათვის ღამეს
კაცი – ფასკუნჯი თვალებწყეული,
გულს აყოლებდა ხანდაზმულ ნაღველს,
ისედაც გულში გამომწყვდეული.

ღვინო დარდისფრად ეკიდებოდა,
ნისლში ბჟუტავდა გზად ვალალობა,
თან გარეთ ნაძვებს ეკითხებოდა,
გჯერათ თუ არა წარმავალობა?!

## ე

გამოვალ გარეთ, გავიხურავ უიღბლო ჭიშკარს,
მივესალმები ჩემს ეზოს წინ ატუზულ ხეებს,
ტუჩზე შემრჩება ამღვრეული ბედის ჭაშნიკი
და სინანული, სივალალე გაშვერილ ხელებს.

დავიღუპები ისე, როგორც შეჰფერის ოხერს,
მეხის კივილი ზარდამცემი წავა-წამოვა,
საუკუნეებს მაცხოვარი გაჰყვება მეხრედ,
საუკუნეებს — დასაბამი რომ მოაძოვა.

## ე

სერის გადადმა, მთის ორწოხთან კაცი მოჩანდა,
ზურგზე ეკიდა მონადირის მოზრდილი ჩანთა,
ის მიიწევდა, თუმცა გზა კი არც კი იცოდა,
ხანგამოშვებით იცინოდა და იცინოდა.

ვინ იცის, იქნებ საუკუნემ ჩამოიტოვა,
როგორც ურგები, ან ტიალი ფიქრების ხროვა?!.
ის მიდიოდა, მთის ხერხემლის ზევით ციოდა,
ბარს ჩახედავდა, იცინოდა და იცინოდა.

* * *

გაივლის დრო და დიდი ხნის მერე,
ღმერთნი იტყვიან, ნიკო გვეწვია.
შემოეხვევა ცის უწვდენ მერქანს
ჩემი ცხოვრება და პოეზია.

## ე ე

ვერ აიტანე უკმეხი ბედი –
მინანქრებს სადღაც სუსხავდა თრთოლვა,
ეხლაც არ მახსოვს, როგორ წავედი,
ან გულმა როგორ გამოგიგლოვა.

შენ რომ გამშორდი, თხელ ნაფეხურებს
დიდხანს უმზერდნენ ხიდან ჩიტები,
და კვლავ ბარდნიდნენ ჩემ მწუხარებას
თოვლი და მკრთალი პანაშვიდები.

## უუუ

ღამე ჩემს გულში ბეღურებს სძინავთ,
მხოლოდ ჩიტები მეგუებიან.
ვდგევარ მარტოკა, ჩემი ნაძვები
მიქნევენ ტოტებს და ბრუნდებიან.

სადღაც სივრცეში ვიღაცას ღვიძავს,
ის შემკრთალია უსაზღვროებით.
პლანეტებს უკან ქარბუქი მღერის,
დასაბამიდან სულ გამუდმებით.

## * * *

გათენდა ისევ, გამომეღვიძა;
ნუთუ ეს არის სულის ცხონება?
თავზე მადგია, ვით შავი ძიძა
წყალწაღებული ჩემი ცხოვრება.

* * *

დაჯდება მარტო, აიმღვრევა და მოსწევს თუთუნს,
მოგონებებში ჩაინჯღრევა ბედის ნაწუწნი.
ჩვენ ქინქლებივით დავტრიალებთ ვერაგ საწუთროს
და საფლავებზედ შემხმარია ხალხის წუწუნი.
ანთებულ გულში დადის მუდამ თავისი ჩრდილით,
ანთებულ სხეულს დააქვს ხოლმე ბედნიერება;
სინათლე რაა – მაცდურების ხმა წყალვარდნილი
და შუაღამე დავრდომილთა დიდი ვედრება.
ჩემ სიმღერებში შეანთებენ საუკუნენი
სანთლებს, ჩირაღდნებს, ფეხაკრებით, ჩუმი ზმანებით.
კუბოზე ვიღაც მლოცველები დამიკაკუნებენ:
„შენი ჭირიმე, ხმა გაგვეცით, სახლში ბრძანდებით?“
გულგახეთქილი წამოვდგები, გამოვალ გარეთ.
სადღა იქნება ეს სამყარო, ეს არემარე.
დანახშირებულ ლაჟვარდებში იდგება ქარი.

* * *

ისიც ჩვენია, ის ჩუქურთმები,
ქვაშეთს რომ თავის სიცოცხლედ უჯობს,
არვის გავატანთ ამ ქვებს მორითმულს,
თუგინდა ქრისტე დაებღაუჭოს.

მეუბნებოდი, დავლიოთ ღვინო,
როგორც თეძაფი ისე გადავკრათ.
ჩვენც იქნებ გულში ჩავიღიღინოთ...
გარეთ კი ისევ წვიმდა საძაგლად.

გამოქვაბული, ქარის ტირილი
ქვესკნელს ხევიდან ხევში ჩაჰქონდა.
ქუჩებში მარტო და გაცრეცილი
ვზებგადამცდარი ნიცშე ბღაოდა.

ჩვენ ვცლიდით ჭიქებს და ვახსენებდით,
ვისაც განცხრომა მიაჩნდა ძაღლად.
შენ დედის ლანდი არ გასვენებდა,
გარეთ კი ისევ წვიმდა საძაგლად.

## ე

სადღაც ცარიელ წუთისოფელში
ქარი ძაღლივით შეიყმუილებს,
მე კი ტყის ფოთლებს, როგორც ფრინველი,
ვინ იცის, საით გავიტყუილებ.

მდელო შეამკობს ჩემს ნაშს იებით,
თუ ყვავილებმაც გულით ინებეს.
ვიღაც ჩაივლის მოშვებულ მხრებით,
მოვა, მიპოვნის და დაისვენებს.

# ე, ჰ!

დღე და ღამე მარტო ზის გატრუნული,
ესმის ზუზუნი ათასი წლების.
ის ეხლა არის გამოქვაბული
დაღლილი ლოცვით და მოწყალებით.

მას უწოდებდნენ ფიქრების ფარეშს
და ჩაძმარებულს ბინდების ნარზედ,
ის ჰგავდა ღმერთის გლოვის აფიშას
გაკრულს ამ ტიალ დედამიწაზედ.

მაგრამ ვერავინ ვერ წაიკითხა,
თუ რა ეწერა, ან რა ჟვანამდა,
ჟამმა წარწერა ჩამოარეცხა
და თეთრი კაცი ნელა გაშავდა.

და ფეხაკრეფით გაჰყვა ღამეებს,
ძილი სად იყო, ან მოსვენება,
სადღაც სიბნელის ღუღრუტანებთან,
სთვლემდა გულის წვა და დაოსება.

მეც შევხვედრივარ ამ კაცს ხანდისხან,
როდესაც დიდი კვირაძალია,
შეშინებულა და სახლის სხვენზედ,
შეშლილი ღმერთი დაუმალია.

მაგრამ კანკალი არ გადაჰყრია,
შუბლიდან მწუხრი არ მოშვებია,
მარცხენა თვალით სახეაჰყრობილს
ღმერთისთვის რაღაც უნიშნებია.

მომისმენია ღმერთის გაფრენა
და თან ამ კაცის, ვაიმე დედა,
„სად არის, ნიკო, ბედნიერება,
სად მივალთ ძმაო, სად ვილტვით ნეტა“.

თან ყველაფერი მოუცამს დუმილს,
საკმევლის სუნით, პანაშვიდებით,
ღამე ავდრისგან დაუგვრემელი
და სიცოცხლესთან დამშვიდობებით.

მე წამოვსულვარ, კარის დახურვა,
და ის ჟამს იქით გაშენებულა,
თან მარტოობით გახარებული
თავის საკანში აორთქლებულა.

და მწვანე შუქზედ გიბუტბუტია
წარმავალობის დიდი ზღაპარი,
ათას წლებს იქით წამოუნთიათ
წარმართებს კერპთან, რაღაც ლამპარი.

და გადამწვარა ველურ ხითხითზედ
ასი ათასი წლების დინება.
და კაცის კრავლი ცას შეხმობია,
როგორც სიბნელე და გარინდება.

ხო, ის მოვიდა, წასვლას აპირობს,
მაგრამ არ იცის, საით ან როდის.
სულ გამწარებით დღედადამ ფიქრობს,
ასე იფიქრებს ქვეყნის ბოლომდის.

მიკვირს, რად შესცდა ღამე ჭკუაზედ,
ანდა რად გაჩნდა მტკვარი, ნილოსი,
რო დასაბამის თოკის მარყუჟზედ
კიდია კაცი და გენიოსი.

* * *

როცა შევხვდებით, მეგობარო, ასე მგონია,
შენ შეგიძლიან შენს ტიკტიკში გამოიდარო.
ჩემი დღეების ქარავანში ყეფავს თოლია,
ჩრდილები ხტიან შიშისაგან, მისმინე ქალო.

მე რომ დავკარგე მისამართი ქვეყნიერების,
სივრცეებს შევრჩი, ვით ტიტველი და მაწანწალა.
შენა ხარ, დაო, ჩემი დიდი ბედნიერება
და ჩემი ხელით აკრეფილი იების ღალა.

გახსოვს ბინდებში როგორ უცბად შემოგეყარე,
შენ ბრუნდებოდი ლოცვებიდან ჩამქრალ სანთლებათ.

* * *

დავიღუპები ამოსული მიწის ქერქიდან,
გაუხარელი, დაგვალული, ჩრდილშემოყრილი,
ჩემ საფლავს, ალბათ, მთის ქედნები გადაქექავენ,
რომ ნახონ გული ბნელ კუბოდან ამოფრენილი.

იღუღუნებენ ლაჟვარდების ტიალ მინდვრებში,
აწიოკდება სადღაც ჩემი დიდი სამრეკლო,
განათებული ზეცა უცბად ჩამოინგრევა
და ქვეშ მოჰყვება გრიგალების გზა და სამრევლო.

სუყველაფერი მიწყნარდება, გაცამტვერდება,
სადღაც წყლის შუქი შეინახავს მკერდის ნიჟარებს,
არარაობა შეშლილივით დამაშტერდება
და თან, საცოდავს, რაღაც შიში შეაჟრიალებს.

და იცი როდის, ჩემო კეთილო,
კოკისპირული წვიმა რომ მოვა,
კარი დაგხვდება გამოკეტილი
და ზედ წარწერა „დაიწყო გლოვა...“

ნუ დაბრუნდები, იდექი გარეთ,
ძაგძაგს დაგიწყებს დაზრული ძვლები,
შენ დასველდები ტიალ ავდარში,
მე კი ოთახში ჩემი ცრემლებით.

ამოწუწულნი გადავეხვევით,
მაგრად შემოვხვევთ ვით მაგარ ხელებს
და ღია ჭიშკარს ქარი მოხევე
ერთი ათასჯერ გაიჯახუნებს.

* * *

ხანდისხან ვფიქრობ,
იქნებ, როგორმე ათასწლამდე გავისაძლისო,
მხოლოდ იმიტომ,
შენი ყურებით იქნებ გავძღე, ჩემო თბილისო!

* * *

წამოვა წვიმა
და ცის მიდამო
ფრინველებით
დაცარიელდება.

ძ ძ

*ვასო მურვანიძეს*[1]

*<kf;ty= rnj ghj ct,z nfbk*
*Leib dscjrbt cjplfymz!*
*Geirby*

❖

ყოველთვის გატყობ, რაღაც გაწვალებს,
გულის ალმური თვალებში დნება!
სიხმრებში ხვდები შენს სიყმაწვილეს
და რომ იცხოვრე, ის გენანება.

სველ პანაშვიდებს სახლისკენ იხმობს,
თან გზად აწყდება ქვესკნელთ გალობას.
ხელს როცა ვიშვერთ, მკლავი გვიხმება,
რომ არ შევეხოთ წარმავალობას.

ტუჩს ვერ გაგიხსნის ორპირი დანა!
სახე მიგიგავს კლდემიწნულ ღობეს.
თითქოს ასკილის გული დაგადეს,
უცბად მხრებს ისე შეირხევ ხოლმე.

ხშირად გამვლელებს ზვერავ ირიბად,
გაუშლელ ღიმილს ისრეს ქუდქვევით
და რომ გებუროს შავი პირბადე,
დაოსდებოდი ცრემლების ფრქვევით.

დღეს მაცხოვარი როგორ ვიწამო,
როცა ის ცეცხლი შენშიც მკვეთრია.
სად დავისვენოთ, მითხარი, ძმაო,
როცა ერეკლეც საგიჟეთია!

---

[1] *ვასო მურვანიძე – ნიკო სამადაშვილის მეგობარი, გერმანული ენის სპეციალისტი.*

❖

ფლამარიონი როცა კვდებოდა,
„მიწაც გაქრება“, ასე უთქვია.
ქარი კი იტყვის: რა მტრობა გქონდათ,
ეს კაცი რაზედ დაგიფუფქიათ.

საუკუნეთა გამხმარი ტევრი
ძვლების ნამქერზედ მოყვება ზუზუნს,
დაქვავებული იქნება მტვერში
ბავშვის თითებში გამშრალი ძუძუ.

შეშლილი ღამე ღრუბელს ჩაიწნავს,
ძაღლები სივრცეს მოედებიან,
მკვდრები დასცლიან ბნელ დედამიწას
და ქარიშხლები მიწყნარდებიან.

იქნება, მაშინ, წამოვდგეთ ბოდვად,
ჭკუა შემცდარი ვნახოთ ქვეყანა
და თან ვიდარდოთ: რა იქნებოდა,
ნეტავ ფასკუნჯიც წამოგვეყვანა.

გაცრეცილ სახეს, გადამქრალ თვალებს
სიცოცხლის მწუხრი ორთვილივით სტოვებს,
ღვინომორეულ ბიჭს შემიბრალებ
და საგიჟეთში გაცნობილ პოეტს.

დე დაგვიფაროს გამჩენმა ძალამ,
ბედი არ გვინდა, არც გვიძებნია.
ბინდის ქვეშ ფხებზედ გვივლია ხალვად
და ნისლებს შორის ჩაგვძინებია.

## ხ

ნამტირალევი მოვდივარ დღესაც,
სადაც არ მივალ, ყველგან ღამეა.
ნეტავ ჩემ გულში ჩამოგახედათ,
რამდენი კვნესა და ვარამია.
ბოღმა კვამლივით მედება ყელზედ,
ირგვლივ რიყეა, უდაბნოს ქვები,
ისე დავდივარ ამ ქვეყანაზე,
თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები.
სადღაც კიაფობს მთვარის ბულული –
შუქი დამეძებს, უნდა რომ სწუხდეს,
თითქოს მე ვიყვე გამოქვაბული
და ჩემ ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს.

* * *

მე შევიჯავრე ჩემი სამშობლო,
რადგან სამშობლოს ვძულდი სულ მუდამ,
გზა სიკვდილისკენ რომ დავიმოკლო,
ჩემზე ჯვარს იწერს მგონი იუდა.
მე აღარ მინდა ნუგეშის ხვედრი,
ან მეგობრებთან ყიალი მარად,
ჩემი ლექსები, გულის ხავერდი,
დამეპნა სადღაც და ძლივას ვსუნთქავ,
მე არც ქრისტესგან მოველი შველას,
ის მაცდურია, ისე ვით ბუდა,
ვეთაყვანები მე ხალხის წყევლას,
ჩემში შერისხვის მთამ დაიბუდა.
მომწყდით სუყველა, სამშობლოც, ხალხიც,
გულში მინთია ცეცხლის ვარამი,
ვამაყობ, მივალ მე სალახანა,
ნურც მიმაცილებთ მიწის კარამდე.
მე მინდა ვწერო თქვენს მიმართ წყევლა,
მინდა გაფურთხოთ ყველა ნაცნობებს,
მინდა გიკბინოთ უდაბნოს გველმა
და დედის ხსენი არ შერჩეთ ცოლებს.

## ს [1]

ჩემი ცხოვრება ვის დავაბრალო,
მე ბნელ საკანში ღამეებს ვთვლიდი,
შენ მოდიოდი და მეგობარო,
ჩემ ნამტირალევ ბავშვებს უვლიდი.

ბედი კვნესოდა განუკითხავი,
სადღაც მთებს იქით რეკავდნენ ზარებს,
შენ კი, სიზმრებშიც როცა იყავი,
მამჩნევდი, როგორ მივდევდი ქარებს.

შენ იცი, მხოლოდ ყველაზე მეტად,
როგორ ჯვარს ვეცვი, სულ გამწარებით,
როგორ ტიროდა ციხესთან დედა,
როგორ მითევდნენ ღამეს ქარები.

იცოდეს ღმერთმა, იცოდეს ზეცამ,
რომ არ ვეძებდი ხალხის ფერებას
და ასე მარად, კუბოს ფიცრამდი,
მე შორს დავრჩები ბედნიერებას.

და როცა გულისცემა შეწყდება,
მკვდრებიც იტყვიან: „შეხეთ, მთვრალია,“
შენ დაგიტოვებ ამ ჩემ ნაწერებს,
სხვა არაფერი არ მაქვავია.

და როცა ღამე ჩაფიქრდე ჩუმად,
იქ, სადაც ხშირად ვისხედით ორნი,
მწამს, რომ ფანჯრებთან იელვებს უცბად,
ამ ლექსის მთელი ერთი სტრიქონი.

რა ვუყოთ მერე, იცოდე მხოლოდ,
მთვარე მოკვდება, შუქი წაუვა,
ეს დედამიწაც, ბოლოს და ბოლოს,
ხომ რაღაც დიდი სასაფლაოა.

---

[1] *ვახტანგ ხვთისიაშვილი – ნიკო სამადაშვილის მეგობარი.*

დაღამდა. ბუხარს შევუკეთე რცხილის ნაჭრები,
ღუღუნა შუქით დაიფარა თარო, საწოლი.
გული ფილტვებში ამოდუღდა, როგორც მაჭარი,
ვახშამზედ ფიქრით მილეულა ფერმკრთალი ცოლი.
დაღამდა, მაგრამ წუთისოფელს რა დაადამებს,
ის იხმაურებს, იწიოკებს დასაბამს იქით,
რა დაასვენებს, როცა ხალხი ირგვლივ დაღდაღებს,
მე კი ჯანდაცლილს მეღვიძება სულ ყოველ დილით.
მე ყოველ დილით მაღვიძებენ რუხი ნისლები,
ხეობის ძირში რო დაძრწიან და ბინადრობენ.
წავალ, ფიქრებში ჩავიფლობი, ამოვისვრები,
და ღამეები, ნიკო, შენზედ ინადირებენ.
ინადირებენ, მაგრამ კარგო, ვერ დაგიჭერენ,
მოქნეულ ქამანდს გაუსხლტები და აორთქლდები.
წადი, ირბინე, აანგრიე თუნდ ზეცის ჭერი,
საქართველოში წყლის მოტანას ნუ ელოდები,
რა მომასვენებს, როცა ქარი ძერწავს ჩუქურთმებს,
როცა დავცალე ეს სიცოცხლე ვით სადღეგრძელო.

* * *

ჩამოუარა ტლუ გლეხკაცმა სიონის ტაძარს,
არ დაიწერა პირიჯვარი, არც მიიხედა.
ვიღაც წმინდანი სახტად დარჩა, მგონი ჩაძმარდა,
მერე წამოდგა და ზარების ძალა იხელთა.

რეკდა საწყალი, აყრუებდა მთელ არემარეს,
უღრან გარემოს, ო, რამდენი ოფლი დაღვარა...
შეწყდა გრიალი, ღრუბელთ ხროვას შეყეფა მთვარემ
და უღრან ტყისკენ იმ წმინდანმა გადიხარხარა.

* * *

ნეტავი რაზე დარდობდა კაცი,
რო მიდიოდა ღრუბლიან გზებზე,
ქარი ყვიროდა აკაციებში,
ძველ საბძლის გვერდით ნაწოლი ბზეზე.
ნეტავი რაზე ფიქრობდა მგზავრი,
რო გასცქეროდა მოღუშულ სივრცეს,
რათ ეცლებოდა ქვეშ მთა და ბარი,
ჰკითხეთ ეპოქებს, სასახლეს, პრინცებს.
რათ მიიწევდა მწვერვალებს იქით,
რა დარჩენოდა, რას დაეძებდა?
რათ მიიღებდა წვითა და დაგვით,
დედის კალთაში რატომ ვერ სძლებდა.
ნუ ერიდებით, ჰკითხეთ გრიგალებს,
როცა საწოლთან ღამე უთენეს,
როს საუკუნე სამიწე თვალებს,
არ აშორებდა სისხლების ღელეს.
რათ უკვდებოდა გული მტრედივით,
ან დაჭრილ ქედანს რაზე კოცნიდა,
რათ ეცხო სისხლი ნაოფლარ მკერდზე,
ანდა ცაცხვის ხე რათ უცინოდა.
ჰკითხეთ ბრგე ქედებს, ნუ ერიდებით,
იმათ უყურეს დიდხანს მიმავალს,
რო წაიჩოქე მძიმე დარდებით,
ვერ გაუმკლავდა ქარების აღალს.

* * *

ის ჩამოვიდა ჩემთან ტირილით,
ქარს უპოვია ხევში კვდარიო.
იქ ქვებთან ეგდო გამტყდარი სტვირი,
ელავდა ღამე და ავდარიო.

## ხ

მე შენ მიყვარხარ ისე კი არა,
ხალხმა რო იცის, ანდა
წიგნებში როგორც სწერია,
მიყვარხარ ისე, როგორც იციან
ტყის მოჭიკჭიკე ცის ფრინველებმა.

ისე მიყვარხარ, როგორც იციან
ტყის ფრინველებმა,
ისე კი არა, ხალხმა რო იცის,
ანდა წიგნებში როგორც სწერია.

მიყვარხარ როგორც ღვთისმშობლის
ფიცი,
შენი ცხოვრება გულის მწველია,
ისე კი არა, ხალხმა რო იცის,
ანდა წიგნებში როგორც სწერია.

* * *

თითქოს ლაჟვარდებს ხნავდნენ ქარები,
მარადისობის ყამირს და მინდვრებს.
საყდარში სანთლის შუქი ჩაქრება,
და მიეცემა მნათე ბნელ ფიქრებს.
გარეთ გაიყვანს კრულ მანდილოსანს,
ყრუ, ბრუციანი ბერი კიმოთე,
ძირს დავარდება კრიალოსანი,
გუშინ საყდარში რო დარჩათ ლოთებს.

* * *

თვალებში ჩადგა უღრანი სევდა,
გულიც დაიწვა, რაღა გულია,
ჩემი ცხოვრება რას გათენდება,
ქვეყანა მაინც მოღრუბლულია.
სულ განთიადებს ველოდებოდი,
მინდოდა ცეცხლი დამენთო დილით,
კარიდან კარზე დავეთრეოდი,
ხან დავეძებდი მინდვრად გვირილებს.
ხალხის გნიასში არ ვერეოდი,
არ ვერეოდი არავის ჩხუბში,
ადამიანი მძულდა რატომღაც,
დავატარებდი ცრემლებს უბეში.
მახრჩობდა ხშირად ბრაზი და ბოღმა.
ეს პოეზია ვიღას რათ უნდა,
ვიღას სცალიან იკითხოს ბოდვა,
ბედი უკუღმა გადამიბრუნდა.
როგორღა ვზიდო ბავშვების ცოდვა,
მომბეზრდა მუდამ სივრცისკენ ტრფობა,
ან სივრცეებში ნეტავ რა ყრია,
ვიცი, მიწები ჩემნაირ პოეტს
საყდრის კედელთან კიდევ დაყრიან.
იწრიპინებენ ლეკვები ქარში,
დაიზრდებიან და მზეს შეყეფენ,
ჩამოეხევათ ლექსებს მარმაში,
და წმინდანები შეიტყუებენ.
ლექსს ღვთისმშობელი აწოვებს ძუძუს,
ძუძუს აწოვებს თვალებ შეშლილი,
ბებერი ღმერთი მოყვება ძუნძულს,
შეიშრიალებს შიშით ხეხილი.

ფული ვისესხე, ბავშვებს პური ვუყიდე ძლივას,
მშიერ ოჯახში შევიტანე ერთი დღის სარჩო.
ბაღში შევედი, მწუხარებით მივეყრდნე ქლიავს,
მოდი დომინო ვითამაშოთ, მპატიჟობს დარჩო.
იმან რა იცის, თუ ჩემ გულში რა დარდი სუფევს,
გარიყულ პოეტს მტკვრის ნაპირზე მიხდება წოლა,
საყდარში ეხლა აღარ შევალ, ვიცი მეუფეს
ჩემს დანახვაზე მოსდევს ბნედა და ტანის ძრწოლა.
ანთებულ სანთლებს როსკიპების ეშხი ატყვიათ,
და იავნანას ბალღს უმღერის ყრუ ღვთისმშობელი,
დავალ, თვალებში ჩამჭედია რისხვა და ტყვია,
შევალ ოჯახში სხვილ ცრემლებით ჩაუქრობელი.

* * *

მენატრებოდი ბავშვობიდან ისე მენახე,
როგორც ოდესღაც დადიოდი ამ ქვეყანაზე.
შენი ლექსები – ყვარლის მთების დიდი ნახირი,
მუდამ ბღაოდა ჩემი გულის ფიქრთა საყარზე.
ენაადგმული ვკითხულობდი შენს მძლე ნაწერებს,
ტანში მივლიდა ჟრუანტელი ბუხრის ალივით,
შენი ოცნება მიქარვებდა ჩემ მწუხარებას,
ნუშის ქვეშ იდგა ელეგია პატარძალივით.
ნეტა გეცოცხლა, მეგობარო, ნეტავ გეავდრა,
ო, შენთან ყოფნა შეთქმულივით ეხლაც მწყურიან,
შენ რო გაწამეს, მე ვიყავი მაშინ პატარა,
შენი გოლგოთა, ვაიმე რო წიწამურია.

* * *

ტყე აშრიალდა, ტყე უღრანი და უდაბური,
თითქოს ნადირმაც შიში იგრძნო და მიიმალა.
მზე მიიწევდა მთის გადაღმა, ცა დაიღალა,
ძველ საყდარს მოსწყდა ერთი მომცრო ბოკრო აგური.
აი, ამ საყდარში ლოცულობდნენ ჩემი მშობლები,
და წინაპრებიც აქ ათევდნენ ღამეს იღბლიანს.
ტყიდან რომ ხშირად მოისმენდნენ ნადირთა ღრიალს,
სოფლის ბოლოში რომ ბუდობდნენ ძველი ბოსლები.
აქ მამაჩემი პურის ჭამის წინ ლოცულობდა,
და ქრისტეს ხატი კი კუთხეში ესე ეკიდა,
თითქოს სანთლების ალი ტანისამოსზე მოჰკიდებოდა,
და მეწისქვილე ჩამქრალ ბუხრის წინ ლუღლუღებდა.
ქარბუქი ისევ დაერეოდა უღრან ტყის ხეებს,
ტყე ჭრიალებდა, ჭრაჭუნობდნენ ჭანდრები, სოჭი,
ვიღაცა, ჰკლამდა იქ ღელედან აფრენილ როჭოს,
და ღვთისმშობლისკენ გამუდმებით იშვერდა ხელებს.
ღამდებოდა და სივრცეები სადღაც მიჰქონდათ ავყია ქარებს,
საყდრიდან ღამურების სისინი ისმოდა, წივილი ისმოდა,
ვიღაცას სახე ჩამოსტიროდა
და თეთრი კუბო მიჰქონდათ ქალებს,
რომ წარმართების ლოცვა ესმინათ,
არმაზის კერპის ბურტყუნი,
მტრედის ბარტყები,
ეს იყო წინად.

* * *

ლამაზ ქოჩორზე ფაფარივით ეყარა თმები,
ლურჯა ტალღებში ბანაობდნენ ალვის ხეები,
და ნაპირზე კი დატოპავდნენ ვერხვის ჩრდილები,
ძირს კი ეყარა მოსასხამი და მანდილები.

* * *

მე ვიცი როგორ უნდა თრთოლვა შუაღამისას,
როცა ქარია და ხეებზე სხედან ლექსები,
შენ სამარესთან რო მოვიდე განა ღირსი ვარ,
ვზებს რო შევყრივარ ვით ობობას ძაფის ქსელები.
მე ვიცი მხოლოთ, შერისხული ბედის სიმღერა,
გადაზნექილი სივრცეების ელვა შარაზე,
თეთრ აივანზე მარმარილოს ყელ მოღერება.
გადაშლილ წიგნზე დაცემული ვარდი შირაზის.
დილის სისხამზე იასამანთა ჩრდილების როკვა.
ღია ფანჯრებთან შერყეული კლავიშთა კდემა,
ნაკადულების ბალახის ქვეშ ჩუმი რუკრუკი,
მაღალი ცაცხვის სიხარულით ფოთლების ცემა,
მთაწმინდის გასწვრივ ზეცა კარგათ მოწმენდილია,
თეთრი ფრინველი მდორეთ სერავს დიად კამარებს.
ნეტავ ცოცხლობდე, მხნე, ჭარმაგო, ჩემო ილიავ...

* * *

აქ არის ღამის მაჯის ცემა.
ტყეში ვერხვების გვემა.
აქ დადის სიო, ჭორაობს
კუდიან მთიდან – მთაზე  რო დაჭენაობს.
წადი, მიხედე, აქ ნუ ყურყუტებ,
ნუ ჩათვლემ ძმაო, ნუ ჩაიბუდებ,
აქ არის ხილვა, ზარების სმენა,
და პოეზიის გადარჩენა.
აქ არის ღამე უძილო, ღრძოა,
ვეღარ ეშველათ ქარებს გაძღომა.

* * *

შენ გიგროვებდი მთვარის ბულულებს,
ღამე ორთვილავდა გამოწვდილ ხელებს,
ნეტავ, რად ვრგავდი შენს კულულებში
რუზე შუქშემკრთალ ციცინათელებს?!

რად გიყვებოდი მოქარგულ ზღაპარს,
სადაც სიმღერა ჟრუანტელს ერთვის...
შენ ღვთისმშობელმა ხელით გატარა,
მე კი სიზმრები მომქონდა შენთვის.

თეორკაბა იებს რად წასკდათ ცრემლი
იქნებ მოსწყინდათ ჩვენი ფერება?
გარეთ ქარი დგას ფეხის ცერებზე,
უკან რად იხევს ბედნიერება?..

რატომღაც მინდა, კიდევ ვემთხვიო,
ოდესღაც ჩემკენ გამოწვდილ ხელებს,
საფლავად მკერდი ამოვუთხარო,
შენს თმებში მოკლულ ციცინათელებს.

* * *

საყვედურებით ნუ ამამსე, ჩემო კეთილო,
რა უყოთ მერე, პოეზიას თუ კი გავშორდი,
ჩემ საუკუნის ბედმიხდილი კათაკმეველი,
როგორც ნადირი ჩემი ძვლების ხვრელში ვცხოვრობდი.

## ✝ [1]

მახსოვს, შენ გზას გასცქეროდი, მელოდებოდი,
კაკლის რტოები ჩრდილსა ყრიდნენ ღობის ნაპირას.
ჩემი ცხოვრება გულზე გაწვა შავი ლოდივით,
მუდამ მეძახდი, ჩემო კარგო, ცისმარე დილას.

მე არ ვიცნობდი დედის ალერსს, მაგრამ შენს ზრუნვას
ხომ დავზმუოდი, ჩემო ძალო, როგორც მოზვერი.
ქარი ცეკვავდა დიდ ვერხვების უზანდარაზე
და დანახვისი იდგა როგორც ძველი საბძელი.

მე მახსოვს შენი სიმღერების „შუშის ფარნებით“
ალალი გულის კიაფობა თვალის სარკმელში.
ტანის ბოლოზე მტრედის დარად გაშლილი ფრთები
და ზედარუსთან მომცრო თელა გაჩრილი კლდეში.

როგორ ნაღვლობდი როცა ავცდი გზას და ქვეყანას,
როცა სარდაფებს მივაშურე ბედის ურგებმა.
მითვლიდი, ბიჭო! მაგ ღვთის ცეცხლში რაზე ყაყანებ,
ნუთუ სიმშვიდე დაგავიწყეს საძნე ურმებმა?

მოშორდი ქალაქს, დამიხედე შენს კარმიდამოს.
დარგავ ყვავილებს, ამყნი თუთას, ან უსურვაზებს,
შემოუკვართავ ძველი სახლის ფუტურო ბოძებს,
და შენ სიცოცხლეს ოდნავ მაინც გაალამაზებ.

არ დაგიჯერე, თავაწყვეტამ გადამიყოლა
და იცი, როგორ დავიღალე, ნეტავ ცოცხლობდე.
მკერდის ზედადგრის ქვეშ ფილტვების ჩინჩხვარი ხრჩოლავს,
ჩემი ლექსებიც, იცი, ძალო, ვეღარ გალობენ.

ორმოცი წელი დაფრენილი ლექსების გუნდი,
ჩემი სხეულის საგიჟეთში გამომწყვდეულა.
ვის დავეწევი, ანდა უკან საით დავბრუნდე,
ჩემი აკვანი, ჩემო ძალო, რად დარწეულა.

---

[1] *ეკატერინე ოქუაშვილი – ნიკო სამადაშვილის ნათესავი.*

მუდამ გიგონებ, როცა ჩუმად გავხედავ ხსოვნებს,
თითქოს თქვა, რუში შენი თხელი მანდილი გდია,
შენი კაკლის ხე დარდით დაჭკნა, ადარც კი ისხამს,
მხოლოდ გამხმარი ფოთლებიღა ქარში დადიან.

მე გიწოდებდი არა ძალოს, მხოლოდ დედილოს,
მიყვარდა შენთან შენს კალთაში სიზმრების ცქერა.
დამიძახებდი, ბიჭო, მოდი, ცისმარე დილას,
მეც ხომ მიყვარდა შენი სითბო და შენი კერა.

*

ათასი წლების ნახირი წავა
ძოვით შუქს გადმა, სივრცეებს იქით,
მაგრამ ვერავინ ვერ დარწმუნდება,
ძვლიდან სალამურს როგორა ვთლიდით.

როცა ჩემს მახინჯ სურათს ნახავენ,
იტყვიან, ნუთუ ეს კაცი წერდა?
ის ალბათ კერპებს რომ არ დაეხრათ,
შერყეულ ღმერთზე ჯვარს დაიწერდა.

მტკვრის ფონს გაყვება ჭილყვავის გუნდი,
უკან იკივლებს ფოთლების ღვარი.
და ჩემ ცხოვრებას ბედდაუნდობელს
შენს კულულებზე გადასწერს ქარი.

ოჩხებს ჩაყრიან უფლისციხელნი,
ხმაგაკმენდილი ზამთარი მოვა,
და, მესაფლავე დანთებულ ცეცხლთან
იტყვის, ძეგლებზე წუხელ დათოვა.

* * *

ლოცულობს ყველა, ვისაც ჯერ კიდევ
შერჩა ხალისი და მდუმარება.
მე კი ცეცხლივით გულს მეკიდება
ჩემი ცხოვრების გადაგვარება.

ირგვლივ დარდები შემომაშენეს,
თვალის სინათლეს მწუხრნი კენკავენ,
ჩემო ლიახვო, ალბათ მე და შენ,
სამშობლოს იქით გადაგვრეკავენ.

ნიშა ტალღების ზვიად ფერხულზე
იცეკვებს ნისლი – ავდრების დარი.
ავდრების შემდეგ გაზაფხულისკენ
გაიყმუილებს ბებერი მტკვარი.

მე ახლა წავალ, ჭმუნვა მეყრება,
ძვლები ხრჩოლავენ ტანში ყელამდი.
მხოლოდ ეს გული ეგდოს რიყეზე,
ვით სისხლიანი ქრისტეს პერანგი.

ლოკე და ლოკე გულის ზედაშე,
არ გაწყენს არა, ჩემო ლიახვო.
იქნებ ეს გული აქ აღარ გაშრეს,
ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ძევახო!

გვემული ტანი რომ გაგატანო,
ვაითუ, მოსწყდნენ შენი ტალღები.
ვინ იცის, ვინმემ დაგიტატანოს,
და შევკრთე უცბად ცხედრის წაღებით.

ისევ მე ჩავფლავ ჩემს მწირ ცხოვრებას,
იქ, სადაც თვლემდა არმაზის კერპი,
იქ ბინდებს სძოვდნენ თამარის ცხვრები,
ღამე კი შიშით ყვიროდნენ მკვდრები.

და როცა იქით გაავდარდება,
სადაც ეგდება ნეშტი პოეტის.
შენ ამიყვავე ჩემი დარდები,
და ის წარწერა: „კაცს ვერ ვპოვებდი“.

მივალ, გიტოვებ გულს ქერქდაგლეჯილს,
ლოკე და ლოკე მდუღარე სისხლი.
ლიახვი ღელავს, როგორც ჯეჯილი,
როგორც მზის შუქზე გამსკდარი ნისლი.

* * *

ვიღაცა მგზავრი ხეზე დამსხდარ ლექსებს აუქშევს,
ამიწიოკებს პოეზიას ხეპრე, რეგვენი,
ბაღში ფოთლები გასცვივდებათ ხნიერ ალუჩებს,
დაიკლაკნება ელამ ძეგლზე კვერნაკის გველი.

ღვინით გალეშილს როსკიპები ღრეჭით ჩამფლავენ,
არღნის კივილზე მიიწვევენ ავგაროზ კაცებს,
დუქანში მღვდელი გადაისვრის გაქონილ ფსალმუნს
და ჩემ სურათთან ასკილივით წაიბარბაცებს.

* * *

შენ შორს მიდიხარ
და ერიდები გზის ნაპირებთან
ხრამსა და პლატეს,
ნუ გეშინიან,
წინ გასწი მარდად,
განთიადებმა თუ გიღალატეს.

* * *

მამადავითის მთაზე გაუხვევ, ირგვლივ ცა კარგად მოწმენდილია,
მოვალ მგოსანო შენ სამარესთან, გული მხურვალე, ჩემო ილია,
მოვიყრი მუხლებს, და განთიადებს შევევედრები,
როგორც წარმართი. ცა გაიხსნება და უცბად,
მძლავრად აგრიალდება მარადისობის ბოხი ზარები.
შენს პოეზიას ვეზიარები
და წიწამური მომგვრის ცხელ ცრემლებს,
ჩემი ოცნების დიდო გენია, ურიცხვი
ტანჯვა მომითმენია, მაგრამ წიწამურს
ვერ შევეგუე, ის მუდამა მგვრის უჩვეულ ტანჯვას.
ო, რომ იცოდე, შენი სიცოცხლე დღესაც
ქართველებს როგორ სწყურიათ. ჩემი სამშობლო
არის სიმღერა, ცრემლი კი, მარად წიწამურია.
ავდგები ჩუმად და ავტირდები,
აქ ჟონავს მთა და შენ სამარეზე
ბარათაშვილის წვეთები ჟონავს.
ქვევით მარხია ჩემი მგოსანი
და დგას გაფითრებული მანდილოსანი.
აქ არის ჩემი ბედის სიწმინდე და მყუდროება
პოეტის სავანესი.
რა ღვთაებრივი სიჩუმე სუფევს,
რა ღვთაებრივი ქვითინი ისმის, ჩემო ოცნებავ.
შენა ხარ ჩემი მღელვარება და სიხარული,
როგორც ოცნების და განცდების დიდი სიჩუმე,
აქ არის დიდი სიმღერა, ძმაო.
ჩემი სიმღერა არის, როგორც ოცნება და მოგონება.
შენ ხომ გიყვარდა მთელი გულით, მთელი
ოცნებით, დიდი პოეტი ბარათაშვილი.
ძვლები მოდიან და რიჟრაჟობენ,
როგორც ოცნება და სიყვარული.
აქ არის ჩემი ოცნება და სიმღერა.
მე ვიცი მხოლოდ დიდი პოეტის სუნთქვა,
შენს გვერდით როცა დაასაფლავეს.

ასეთი შვება ბარათაშვილს არ ღირსებია.
არ ღირსებია, ჩემო ოცნებავ, არასოდეს.
იცოდეს ღმერთმა, სულ არასოდეს.
მოვლენ ქარები, მოიტანენ ბარათაშვილის
მერნის ჭენებით გზებზე აღმართულ მტვერს.
მე ვიცი მხოლოდ შენი ოცნება
და სიყვარული, როგორც ოცნება. მე ვიცი
მხოლოდ ჩემი სიმღერა და სიყვარული,
როგორც ქარების. დე, ყველაფერი
წყალმა წაიღოს, მე ბედი მაინც არ მღირსებია,
რამდენჯერ ქარში ქარს გავყოლილვარ,
რამდენჯერ უცბად გამცინებია.
რამდენჯერ გული მზეს შეევედრა,
რომ მზემ იცხოვროს და იდღეგრძელოს,
რომ ყველაფერი ცის ტატნობებში
აინთოს: ქარი და მდუღარება,
რომ მზემ იცხოვროს და გაანათოს,
რომ ცის ტატნობში აიმღვრეს ქარი, რომ ცამ იცხოვროს.
მე შემიძლიან ზეცა დავთქორო
მარადისობის ზარების ტაშით, მე შემიძლიან
რომ ცას დავეყრდნო და მზეს შევხედო,
როგორც სიჩუმეში, რომ ცის ლაჟვარდებს
გაუხვიო ჩემი იმედით და ლაჟვარდების
დაგიგო ქვეშ და დაგიფინო, როგორც მწუხრმა,
ჩემო იმედო. დე, ყველაფერი
წყალმა წაიღოს, მე ბედი მაინც არ მიძებნია,
ჩემო ილია, დიდო.

* * *

შენი არ ვიცი, მე დავითენთე,
გულმკერდში ცეცხლის ბუღი მერევა,
ნუთუ ოდესმე არ გათენდება,
ნუთუ არ მოვა ბედნიერება.

შენ დამივიწყე, ეხლა კი არა, დიდი ხნის წინათ,
ელდა დაწყვეტილ მოგონებებს გაიხმობს ვიღაც.
ჩარხის წისქვილთან, სარანგივით ილოცებს წვიმა,
დაჭრილმა ლექსმა ჩაიყოლა საფლავში ტყვია.

მოვლენ დღეები, და გაფენენ დაფხრეწილ ფიქრებს,
გზების მერქანში სიყმაწვილეს, ქცეულს ფუტუროდ,
წეროს ყვირილი ცის ტატნობში დაიფერფლება,
რვალიც გადნება, კაცის თვალმა სულ რომ უყუროს.

გამოქვაბულთან ზარის რეკა დაიგუგუნებს,
ღვთისმშობელს ცაცხვის ქვეშ დარჩება თეთრი ქოშები,
მნათეს ძახილი შემოსწყდება ციხის ქონგურებს,
ბალდახინები იცეკვებენ ძირს მარმაშებით.

გული დაგწყდება, მეგობარო, რომ ვერ იხილავ,
შენი ფარეშის ტვინშერყევას — სიბედნიერეს.
გზებზე დავრჩები, როგორც კეტით მოკლული ხალთა,
საკუთარ ძვლებთან ვიკეჭნავებთ ასი წლის მერე.

დედის ვედრება, მაინც გწამდა ნისლივით წმინდა,
შენ ხომ უსმენდი, იმ განგებას უმანკო შვებით,
რა ვუყოთ მერე, ჭირხლი იდგა თუ ძლიერ სწვიმდა,
ბალდახინები რომ ცეკვავდნენ თეთრ მარმაშებით.

მელოდებოდი ფოთლებთან ერთად,
თხელ სივრცეებში ხედავდი ბილიკს,
თან ყურს უგდებდი ქარის სიმღერას
და წუთისოფელს კვლავ ხმა გაკმენდილს.

გადაფრინდება შენი ბედი, ჩემი სიმღერა,
იქ, სადაც ქარში სამრეკლოებს ედვიძათ წინათ,
ტაძრის გუმბათზე ჩამოჯდება ცალფეხა ძერა,
და დაიწყება საშინელი ვერაგი წვიმა.

ილოცებს ვიღაც, დღედაღამე ილოცებს დიდხანს,
მუხლმოკვეთილი მიეყრდნობა შრიალა ჭადრებს,
გამოქვაბული შეიბუდებს დაღვრემილ ირემს,
და ზარის რეკა გააანჩხლებს ორტოტა ავდრებს.

ილოცებს დიდხანს, ღვთისმშობელი კი სარკმელიდან
აშარ სეფისკვერს ქრისტეს ჩუმად გადმოაწოდებს.
ის სასოებით დაეცემა სქელ საკმეველთან,
დიდი ჭადრები ძირს კანკალით დახრიან ტოტებს.

* * *

*(აღთქმა)*

საღამო ხანი ეხვევა ხეებს, ნიავი ქსოვს და ამკობს არშიებს,
მე ვეღარა ვწევ სამიწე ხელებს, ეს საკუთარი თავიც მაშინებს.
თითქოს სარკეში ჩახედვაც მიჭირს, ჩემი თვალები სხვისი მგონია,
წისქვილი უკრავს ჩარხზე ჭიანურს და ალი ცეკვავს როგორც ფინია.
ხვალ ლაჟვარდები ტყეში ჩამოვლენ, ჩამოიტანენ ღმერთს
მიცვალებულს,
ჩემი ცხოვრება უშნოდ მოვლიე, მე ვგავდი სახადს, ჭირს
გავრცელებულს.
ავადმყოფობდი სულ პოეზიით, მეწოდა გული,
მეკრთოდა სულთქმა.

# ე

დაუსაბამო, გარდი-გარდმო, ცის ოთხივკუთხით,
დიდი ველები აწყდებოდნენ ერთი მეორეს,
სამყარო სჩანდა უსინათლო, განუკითხავი,
თითქოს სამარე დაევიწყათ ერთგულ მეგობრებს.

სიცალიერე ზარდამცემი, ხელჩართული უზრუნველობა,
უსაზღვროება გრიგალებით გამოფუღრული,
ირგვლივ წარწერა-წარწერაზედ: მიუგნებლობა –
ზეცა-ზეცაზედ ქარიშხლებით გადახურული.

ასეთ ძანძახში მოდიოდა ვიღაცა მგზავრი,
ამღვრეულ თვალებს უშტერებდა უჟამო სივრცეს,
თითქოს სხეულში ჩასდგომოდა ხევის ზამთარი
                                  და თან ბოდამდა:
                                  ამინ ყველაფერს!..

სად მიილტვოდა? მოხუც ღმერთსაც მგონი უკვირდა.
ტან აჭინჭრული, გულის ჭვარტლში გამოხრუკული.
ეს ის კაცია მაცხოვრის ხატს როცა ქირდამდა,
შავგვრემან ფიქრში მთელი სახე ამოთხუპნული.

რა უნდა იყვეს განა უფრო უძლიერესი,
როცა კაცს უნდა სიცოცხლეზედ სიკვდილს ყელამდეს,
ის მიდიოდა, თან ანთხევდა ბნელ სიმძულვარეს
                                  სუყველას მიმართ:
                                  ამინ ყველაფერს.

ამინ ყველაფერს, რაც რომ ქვეყნად მიმდინარეობს,
რაც ამ მდინარით ჩაუვლიათ ყველა დროს აფრებს.
რა ვუყოთ მერე, მზის სინათლეც გადაიდარებს:
                                  ამინ ყველაფერს.

ამინ ყველაფერს: ბოროტებას, სიკეთეს, ნუგეშს,
რა ვუყოთ მერე, თუ მთხოვრებმა ყაყანით ჩაგფლეს.
გასწი, იარე, მომაკვდავო, ნუ გეშინიან.
ამინ ყველაფერს.

ამინ ყველაფერს, რაც მიწაზედ ჩამოუყრიათ –
ბედნიერება, სინანული, ტანჯვა, სიგიჟე.
უკაცობრიოთ დედამიწაც გამოყრუვდება,

თუ გინდა ტვინი დღეში ასჯერ ამოიგლიჯე.
სუყველაფერი მიაქვს დროის [ამღვრეულ] ლაფებს –
ამინ ყველაფერს.

ამინ ყველაფერს, რაც ცდუნებით წარმოშობილა –
გენიალობა, სივერაგე, ზმანება, ბოდვა.
სუყველაფერი ეს ღმერთების ბოდვა ყოფილა.
ამინ ყველაფერს.

* * *

ძლივს ახურებდნენ
სივრცეთა თონეს,
ის დაიღუპა და
გრიგალებმაც ვერ უპატრონეს.

# ს ე !

ჩამოივლის ვიწრო დაღმართებს, ჩრდილთა
ასურეთელი მოგვის დარი ფარეში.
იქ ყველა ქვის ქვეშ ჩუმად მარხია
ბარათაშვილის გულწასული გზნების ღადადი.
იქ ყველა ხესაც ეხლაც ასხია
ეკატერინე ჭავჭავაძის მკუხე ღალატი.
იმას ვამბობდი, გამოჩნდება კაცი პირქუში,
მთაწმინდის ძირში დაქანცული ლოცვების რწევით.
ძველი ქალაქი – ქრისტეს ხურუში,
თუ გოლგოთაზე დაქცეული სისხლის ნარწყევი.
ეს სულ ერთია, ის შეღმართებს ადარ შეხედამს.
მამადავითის საკმეველზე გამურულ ღმერთებს
მძევლად მიუყვანს დამენათევ შეხერაზადას.
ჩამოვა ბარში, ვიღაც მეძავს აიკვიატებს,
ღვინის სარდაფში შეულოცამს დაღუპულ ნუგეშს.
ეტყვის, ცხოვრება კარგი არის, ნუ გეშინიან.
შეხედე ღამე ვარსკვლავების გამოყრილ კვირტებს.
შეხედე როგორ ცახცახებენ კაბადონები.
როგორც ქარში დიდი ცაცხვები,
როგორც წისქვილთან ხმაშემკრთალი ნიამორები.
და როცა ღამე მთის კონცხებზე მიიწვერება,
მთაწმინდის შეღმართს შეუდგება ჩრდილ წამოსხმული.
ეს ის კაცია წიგნში რო ვერ ჩაიწერება.
რვეულში როგორ მოთავსდება ფიქრთ გაზაფხული,
მიეფარება ძველი სახლის ყამირ ქვითკირს, ბოკრო ერდოებს.
მთვარის სინათლეს ჭრაქის შუქზე დაახურდავებს,
გადაშლილ წიგნზე საცოდავათ დაიწყებს ტირილს,
გულზე დაიკრეფს გაცრეცილ ხელებს.
დაჯდება მთვრალი,
სიმღერებს მოუსმენს იშხნელის.

ბოკრო შედმართებს ბინდის პირზე აჰყვება კაცი,
ის ზევით ბუდობს განდეგილთა სავანის დარი,
იქ შეფრენილან ღრუბლის თეთრი აკაციები,
აქ აღავლენდა ლოცვებს ხოლმე ქოთქოთა მტკვარი.

იქ ნისკარტებით ბედურები სწნავდნენ ლაჟვარდებს,
თან ქონგურებზე იღვიძებდნენ ჩვილი სიზმრები.
ჩვენ შახაბაზის დურდღლო ჩრდილი შეგვაჟრიალებს,
ხან წარსულ დროთა მორევებში ჩავიძირებით.

ო, ნარიყალავ, შენ დალეწილ კედლებს გაფიცებ,
ერეკლეს ბიჭი შეინახე — მაცხოვრის მზვარა.
მოვალ ზედაშეს ჩემი სისხლით გაგილიცლიცებ,
ჩემი თბილისი შენს ცრემლებით ბევრჯელ დამწვარა.

აბა უყურე, როცა ნუკრი ასდევს აღმართებს,
რა კაეშანი ეფინება, როგორ დუმდება,
ასე მგონია სარანგია, მართლა, ღმერთმანი.
და სიცოცხლისკენ არასოდეს არ დაბრუნდება.

თითქოს სწადია გადაიქცეს ხანშესულ ვერხვათ,
და შენს ფერდაზე იშრიალოს მარტოთ ავყიამ,
ღამე არ წავა შენს გალავანს რომ არ ემთხიოს
თვის იღლიაში ამოჩრილი ქუდით, თავ ღია.

ეჰ, ნარიყალავ, ქართლის ძვლებმა აგაყირავეს
თითქოს უნდოდათ, რომ ღმერთისთვის ხმა მიეწვდინათ,
შენი ციხიდან გაბღაოდნენ და გაჰყვიროდნენ
საუკუნენი, რაც გადახდათ ქართველებს წინათ.

## ხ –ხ

დილაა ჩიტო, ჟღურტულებ, ილხენ,
არც გედარდება სიზმრათ რა ნახე.
შენ არ სწერ წიგნებს, ან რისთვის გინდა,
შენ იცი როგორ ინათლა ზეცამ, როგორ დაბინდდა.

მეც ვწერდი, ჩიტო, ქართა ყაყანზე,
ეს იყო ჩემი ძუძუ და ხსენი,
მაგრამ ამ პირქუშ კაცთ სამყაროდან
თავი ვერასგზით ვერ დავიხსენი.

ნეტავ შენს ფრთებქვეშ გავჩენილიყავ,
შენი ნისკარტით მეწოვა ძუძუ,
შენი ნისკარტით დარგულ ყვავილებს,
ბალღების ძუნძულს,
მოვრიდებოდი ბნელ სიყმაწვილეს.

ცაცხვის ხე ბოდავს, შრიალებს მძიმეთ,
შენ კი ჭიკჭიკებ, იკეთებ მძივებს.
აგერ ბედურას შეასწრე თვალი,
გინდა გაუყო შენი საგზალი.

ყური მოჭარი ვარდების ტუტუნს,
მე კი დარდებით ვეწევი თუთუნს.
თუთუნს კი არა, მთელ ჩემს სიცოცხლეს,
სულ ვეწეოდი და ვაბოლებდი...

როგორა ჰგევხარ ჩიტო თეთრ რცხილას,
ტყისკენ შენს ბარტყებს მიაქროლებდი.
ჩიტო მიმღერე, ღვთის მადლი გფარავს,
შენს ცხოვრებასთან დანტეც მიჰქარავს.

*თებერვალი, 1961*

## ე

გაივლის დრო და მართალიც არის,
იტყვი, ვიცნობდი აბეზარ პოეტს,
ამ წყალწაღებულს მარიამ ქალი,
რათ შეიშალნენ, რათ მიათხოვეს.

თუმცა იმ საწყალს და გზააბნეულს,
სულ უმართებლოდ ხშირად ლანძღავდნენ,
ის დადიოდა გაოგნებული,
და იმის ტანჯვით მაინც ვერ გაძღნენ.

*თიბათვე, 1961*

* * *

შენი ნუკრია მხვდება ხოლმე, ხანგამოშვებით,
ჩავყირავდებით ბნელ სარდაფში და შენ გახსენებთ,
იქვე ბღავიან საძნეურებში ლამაზთვალა ნიშა მოზვრები,
თითქოს თან მოაქვთ სიმღერები ღვინით მთვრალ ბოშებს
და შენი კუბო ბალდახინით ფეხშეშლილ ცხენებს.
რატომღაც, ჩემო, არა მჯერა, რომ აქ მარხიხარ,
შენ ხომ აკლდამებს, პანთეონებს უმზერდი მტრულად,
მარადისობის ყრუ კოშკების იქით დარბიხარ
და დედამიწას ეპარები ზოგჯერ ქურდულათ.
როგორა გტანჯეს, ღმერთო ჩემო, რა უმოწყალოდ,
რათ გიყვარდაო, გაგინებდნენ, საკია — მუნი,
რა ვერაგია ეს ტიალი წუთისოფელი,
რა ნადირია, რა მშიშარა, რა მაიმუნი.
ვინ იცის, როგორ შემოგაცვდა ტანზე სამოსი,
არ მოერიდო, თუ გიბოძონ მკვდრებმა ძონძები,
მადლობა გამჩენს, თუნდაც იქით მარადისობის,
ვიღასაც, ძმაო, ოდნავ მაინც შეეცოდები.

*ერეკლეს საფლავი*
*ივლისი, 1961*

ძ ე

წვიმებში იდგა წუთისოფელი,
მღეროდა ბადი უმანკო, სუფთა.
ფილტვებს მირხევდა ტყის ფოთლებივით
შენი სხეულის მოღლილი სუნთქვა.
მიწას სინათლე ხავსივით ეკრა,
ტიროდნენ: კუბო, თალხი ქალები.
ჩვენ გვეშინოდა ღია კარებთან,
აქ წუთისოფლის, იქ გრიგალების.
მე დაკარგული მქონდა გონება,
როცა ქარებმა გაღმით იყივლეს,
შენ მიცქეროდი და თან გოდებდი
ჩემი ფილტვების ჩამქრალ სიყვითლეს.
კარგ სიყმაწვილეს ტატნობი ნოქავდა,
მსურდა მომეკლა თავი უდანოთ,
ბინდები უკან წყალივით სჩანდა,
მარადისობის ჩუმი უდაბნო...
გზებს მიჰყვებოდი სულგამწარებით,
სიცოცხლე გძულდა, სიკვდილი გერქვა.
მე კი, მოვრბოდი დედამიწისკენ,
რომ შემეწყვიტა ზარების რეკა.

* * *

განცდების ჭირხლი და გაოგნება,
წაქცეულ ხსოვნებს კიდევ ასხიათ.
შენი გიშერი სიყრმეს მაგონებს,
შიგ კულულების სითბო მარხია.

მკერდის უბეში ჩაიკრავ ჩუმათ,
თალხი განცდების დაყრილ ბარათებს,
შენ ღვთისმშობელიც კი გაჩუქებდა
ჯვარზე დაფხრეწილ ქრისტეს ხალათებს.

გამოხვალ გარეთ, გახედავ შარას,
დაღუბულ ნაწერს რაღას უშველი,
ეზოში დიდხანს იშრიალებენ
ჩემი ცრემლები, შენი გიშერი.

# ს ე

ჩემო თბილისო, მიყვარს შენი ქოთქოთა ბინდი,
შენი მთაწმინდა, ეგ ყურყუტა ჭმუნვის დღეობა,
როგორა ღვივის შენი ზეცის ლურჯი მინდორი,
როგორ ქათქათებს შენი დიდი მოსახლეობა.

შენს წყაროებში მეც დავიწვი იმ ხოხობივით,
ამ ფერად წყლებით გორგასლანი სამოთხეს რწყავდა,
ქვეყნიერებას შენი ჩანგით რომ მოუთხრობდი,
ქართლოსის ტომებს ზოგჯერ ბედი როგორ სწყალობდათ.

შმაგი სიცოცხლით ეს ოხერი, გამოვჩერჩეტდი,
მინდა როგორმე რომ ლოთობით გავისაძლისო,
ტვინი შემერყეს, თან ლოყებზე დავიწყო ჩქმეტა,
და დიდხანს ღრეჭით გარს გირბინო, ჩემო თბილისო.

შენმა ღრუბელმა ცრემლზე სხვილი წინწკლები იცის,
და ზენაქარმა სიმღერები აურაცხელი,
ხელაპყრობილი, სანუკვარო, სიონს გაფიცებ,
ბინად მომეცი შენი კალთა და საწნახელი.

ხევის ქალაქო, ასე ეშხით ვინ დაგამშვენა,
ვინ გიწყალობა ეგ სიუხვე ხელებგაშლილი?!
შენში მღეროდა ბედნიერი ვაჟა-ფშაველა,
შენში დარდობდა ჩემი ტატო ბარათაშვილი.

აქ თამადობდა ჯიხვის ყანწით თურმე მხარგრძელი,
თან აქლემების ქარავანი იდგა გირაოდ...
სადღაც მღვიმეში დაღმუოდა წიგნს მთაწმინდელი,
და „უფროისი მარტოს ღამე... მიწერიაო“.

რა საჭიროა, ჯავარივით ვწერდე მუხამბაზს,
მზეთუნახავნი ბროლის კოშკში მესხდნენ ხიზნებათ,
წყეულიც იყოს სამუდამოდ ამ ქვეყანაზედ,
თბილისო ჩემო, შენ შუქს იქით გამოფხიზლება.

ო, როგორ მიყვარს შენი ოღრო-ჩოღრო ქუჩები,
ეგ მიწის ხაო, საოცარი ჯანღების ბური,
ღამის აკვანში გრილ ნიავის თოთო ფაჩუნი,
და ვერის ხიდთან ქარის მოთქმა მამაპაპური.

ჩემ საქართველოს სიდიადეს რა შეედრება,
ღვთისმშობლის დარად რომ უჭირავს ხელში თბილისი,
აქ გაისმოდა ქურუმების მწველი ვედრება,
ზარების ლხინი, ღმერთო ჩემო, რა სიხალისით.

ეს მინარეთი შენს ბჭეებთან რას აფხორილა,
იქნებ თაკილობს ნარიყალა რომ ემდურება,
დიდხანს დარჩებათ ნაცარივით ქართლის ხეხილებს,
რაც მაჰმადებმა დაგვატეხეს უბედურება.

ჩემო თბილისო, ისტორიას მე რას დაგიწერ,
ჩემი ცხოვრებაც კი არ ვიცი, როგორ იწყობა,
დიდება იმას! იმ განგებას მრავალ-ჟამიერ,
ვინც დასაბამის სამრეკლოსთან ძუძუ გაწოვა.

მე მხოლოდ ჩემი ჩათხრობილი ჟინით მიყვარხარ,
მინდა სულ შენთან... შენს მზერაში ამომძვრეს სული,
არსად არ წავალ, თუ გინდ მიწა შემომაყარონ,
თუ გინდ დავბრმავდე, ვიცი, მაინც გიპოვნის გული.

* * *

დაღლილს ფიქრები აღარ მექნება.
მგოსანო, შენ ხომ გულსა სჭვალავდი.
რო შეგსწრებოდი, ალბათ ჩემ ლექსებს,
„ივერიაში“ დამიბეჭდავდი.
ალბათ მეტყოდი, ქართველო ბიჭო,
მოდი, იმღერე — შენზე მადლია.
ღმერთებს რო შეხვდე, არ დაიჩოქო,
თორემ სიცოცხლეს ჩამოგათლიან.

მეგობრებს ვურჩევ, ჩემო ცაცხვის ხევ,
შენ ხნიერ ძირში დამასაფლაონ,
მხოლოდ იცოდეს ტიალმა სივრცემ,
ხალხს არაფერი არ დააბრალონ.
სიცოცხლეს მევე დაუსვი დანა,
აღარც ვიცინი და არც ვმღერიავარ!
ვინ მომაკითხავს, ვინ დამინანებს?
როცა არავის არ ვყვარებივარ.
ყვავებს შეუტევ, მიაყრი რისხვას,
რადგან მხოლოდ შენ შეგებრალები,
ფოთლებს დამაყრი შემოდგომის ხანს
და ეს იქნება შენი ცრემლები.
თუ ზამთრის ღამეს, ოდესმე წამლად
მთვარე კრიალით გამოჰყვეს ქაოსს,
უთხარი, დიდხანს ნურსად ნუ წავა
და შენს ტოტების გარს იტრიალოს.
მოუყე, როგორ მტკიოდა გული,
გული რეგვენი, ბრიყვი, ყაყანა,
ეს იმ დროს, როცა იდგა ზაფხული
და ხარხარებდა მზე და ქვეყანა.

ვერ მოაგლიჯა სიბნელე ქარმა,
სიბნელე მკერდზე დამაგრებული...
ნისლეთი იყო იმის ქარაგმა
და დედამიწა კი მთვარეული!

იმას ბედისგან რაღაც უნდოდა?!
სტანჯავდა ბინდი ჩვენსკენ მოხრილი,
ის უყურებდა სივრცეს უნდობლად!
და დადიოდა გულშემოყრილი.

ის დაიღუპა მაინც უდროვოთ,
დაოსებული მარტოკა გდებით.
გაშეშებული იდგა საწუთრო
და გრიგალებში სუნთქავდნენ გზები.

ის ტყვიასავით წაიღო ქარმა,
დილით, ცა სჩანდა გადმონგრეული...
ნისლეთი იყო იმის ქარაგმა
და სეირნობდა ვით მთვარეული.

## ე

მტკვარო, შენ მაინც მიატოვე ეს დედამიწა,
ყბედი საწუთრო არ მოგწყინდა? რადას უცქერი?!
ქვიშით მოკირწყლე ცის მინდვრები და დამიძახე
როცა გარიყო მზის სინათლე და სივრცეები.
სტვენით მოთხარე ლაჟვარდების უძირო ქარი
აღარ დაბრუნდე თუ გინდ მიწა კვდარიც კიოდეს.
დღის რიჟრაჟები სივრცეებში ისე ჩააქრე
რომ ღამე შიშით ვარსკვლავებშიც ვერ მოდიოდეს.

უქვეყნო გზაზე დასველდება ის მოგზაური
ვინც უკვდავება ისე დაჭგმო როგორც მისნობა.
გაუკვირდება შენი ლანძღვა აურზაური
ფეხს აუჩქარებს და თვალს მოჰკრავს მარადისობა.

ამოგიძოვენ მდორე თვალებს ბნელი ქარები.
უსაზღვროება ჩრდილთა ნარეყს დაემგვანება
უღრან ბინდებში შეგაჩერებს სქელი ნამქერი
და მტკვარო, ზეცა მხოლოდ მაშინ დაგენანება!!!
კვალდაკარგული მთების ჯოგი იხეტიალებს
ადამიანი, სად იქნება! რომ გაჰკიოდეს?!
მტკვარო გაქანდი და ცა ისე გაატიალე
რომ დედამიწა სამყაროშიც ვერ მოდიოდეს.

ძ

ჯანყს ეფარები, ვინმე რო გხედავს,
მოსწყდი სქელ ჯანყებს, რას აცივდები?!
აჰყე მძლე მთების ვიწრო ხერხემალს,
და წუთისოფელს გადასცილდები.

თუ გზას როგორმე ვეღარ გაიგნებ,
ქარები მთვარეს ასწევენ მაღლა,
იმასთან სისხლიც ვერ შეგარიგებს,
მიწისკენ კვალი ვინც მოგასწავლა.

გაჰყე პირდაპირ ქედს, მთის ხერხემალს,
ცრემლებსაც ნუღარ ჩააცივდები,
აჰყე, არ დასძრა არსად კრინტი, ხმა,
და სამყაროებს გადასცილდები.

ძ

სიფრიფანა ქადალდის ნახევს ეწერა:
„ბიჭო! როგორა ხარ, გამაგებინე...“
სადღაც უხილავ დასაბამთან ყიოდა ძერა,
წამოდი ჩემთან, სივრცეებში ჩაიღიღინე.

მე კი, მეკიდა ძვლების ფიჩხზე ცეცხლი ვერაგი
და ტკაცა-ტკუცით ვწვავდი შენი წერილის რტოებს.
ასოებისგან მოქსოვილი შავი პერანგი,
გქონდეს ნობათად, ეს მწყუროდა დაღუპულ პოეტს.

ნუ ეტანები ჩემ ლოცვების ამღვრეულ ფარეხს,
აქ წმინდანების ყეფა ისმის ცისმარე დამე,
გამოქვაბულებს ჭრიჭინების ხმა თუ შეარხევს,
მაშინ ჩრდილები „ოიდიპოს მეფესა“ სდგამენ.

გაგიკვირდება მეგობარო და გაგაოცებს,
ჩემი თვალები ჩემი გულის სისხლს რო დალევენ,
ჩამაძაღლებენ, ალბათ სადმე, ხრიოკ ბორცვებთან,
ლექსის ფარაონს ჯიბგირობას დამაბრალებენ.

## ე ძ

ის მიდიოდა ფერშეცვლილ გზებით,
უკან ბჟუტავდა ქოხი და კვარი,
წინ მიიწევდა გული – მგზნებარე,
თან სიცოცხლეზედ რჩებოდა თვალი.

ტყეები ჰყეფდნენ შერისხულ ნისლებს,
შორს ქურდებივით იდგნენ ქედები,
მდვიმეში ენთო მთვარის სისველე,
ვიღაც იწოდა შემოქმედებით.

ქარბუქი ნთქავდა ზეცის კიდურებს,
ნანგრევზედ ეგდო სამრეკლოს თარი...
ის მიდიოდა და მაინც კიდევ,
სულ სიცოცხლისკენ ეჭირა თვალი.

ნაძვები კუბოს მიასვენებდნენ
და ყვავილები მიჰქონდათ ქარებს.
მიწიდან მთები იმას უსტვენდნენ,
პირქვე რომ ეგო მსოფლიოს გარეთ!

ის სივრცეს გაჰყვა ხელ აპყრობილი,
თვალებს სინათლეც არ მიაკარა.
უბე ლექსები, ზამბახთა ჩრდილი,
გულქვა მსოფლიოს წინ გადაყარა.

იქ, აღარავის არ ნებდებოდა...
არც კითხულობდა დასარწევ კარებს.
ცხედარი ქარში სიტყვას ამბობდა
და ყვავილები მიჰქონდათ ქარებს.

* * *

ის ყოველ ღამე დაეძებდა ტიალ სარდაფებს,
თითქოს ცისმარე დღე შფოთავდა და ითვრებოდა.
შთამომავლობა მის ცხოვრებას რას დაიჯერებს,
კაცი, რომელიც სულ ღვინოში იფუფქებოდა.

რომ მას შეეძლო პოეტური უმანკოება,
მიწას ურბენდა, დედამიწის უარმყოფელი,
არ დაგიდევდა, თუ უკმეხად ედგა დროება,
ან თუ სივრცეებს გაყმუოდა წუთისოფელი.

ვიღაც, ღიღინით ჩემს საფლავზე ბალახს გათიბავს,
იტყვის: რა კრულვით დაიღუპნენ მამა და შვილი!
თან კლდის ნატეხზე მიაწერავს ოდნავ ირიბად:
(აქა მარხია ჩვენი ნიკო სამადაშვილი).

საკუთარ ლექსებს ჩემს ძვლებზე ვაფენ,
ამ სარეცხს მუდამ ძირს მიყრის ქარი.
მე წარმართები დამაფეთებენ,
სადღაც რიყესთან გამრიყავს მტკვარი.

წყეული იყავ დედავ ცოდვილო,
რათ გამაჩინე ამ სამრევლოში,
რა მჭირდა ქვეყნად სამოციქულო,
განგებ დამღუპე საქართველოში.

ლექსებს მაჭრიან ტანზე დუქარდით,
თან ღრიანცელი გაუდით ტყეებს,
წელში გადავწყდით ამდენ მუქარით,
რა ეშველებათ აპყრობილ ხელებს?!

* * *

როცა ვიგონებ ღამე დაღვრილ გარეჯის ცრემლებს,
ძარღვებში სისხლი მეყინება, სისხლი მიშრება,
— რა დაგიშავეს? — შემოვარდნილ ვერაგ სპარსელებს
ექვსი ათასი საუკუნე შეეკითხება.

გადაკაფული უამრავი სანთლების ცეცხლი
კვამლივით დადგა მიუწვდომელ ზეცის ბოლოში...
იმ მონასტერზე იყო თურმე ბუდე მერცხლების,
მას აქეთ აღარ მოფრენილან საქართველოში.

სისხლის თქრიალი მატიანეს ფურცლებს გადარევს,
სისხლის მორევში ქართლის რისხვა ამოინთხევა,
— რა დაგიშავეთ? რას გვერჩოდით? — ირანელ ნადირს
ექვსი ათასი ბერის ლანდი შეეკითხება.

# კ ე

რა ექნა, იყო ქვა თუ ზეკაცი,
ვისთვისაც ზეცა დაპატარავდა.
ვისაც არ ჰქონდა სარკმელი მზისკენ
და რიჟრაჟებში შუქს იპარავდა?..

რა ექნა იმას, მგზავრო, მითხარი,
ვინც ძვლების ცეცხლი ვერ დაიყოვნა?
ვინც იწანწალა მიწაზე დიდხანს
და თავის ჩრდილიც ვეღარ იპოვნა?!

რა ექნა იმას, გულქვა საწუთროვ,
ვინც ხმა ზღვებს იქით ვერ გაუწვდინა??
ვინც დადიოდა ცრემლგაწუწული
და სატრფოს ვნებაც რო მოიწყინა???

რა ექნა იმას, ვინც ქვესკნელს იქვე,
სივრცეებს თვალი ვერ მოარიდა?..
ვინც ბნელ გრიგალებს წინ ეგდოთ პირქვე,
თუ ვარსკვლავების გაღმა ჩაფრინდა?..

ხედავთ! ქარებსაც შეეკრათ კრიჭა!
სიდამპლის სენით ძაგძაგებს ყველა!
რა უჟმური ხარ, დიადო მიწა
და რა გულცივი, ვრცელო ქვეყანავ!!!

## ე ძ

ცივა. ნაღველი მაწვება გულზედ,
თოვლია გარეთ, აღარც გზებია.
ენთე ბუხარო და იგუზგუზე,
სითბო მე მაინც არ მღირსებია.

კვამლო არ შესწყდე... გასწიე ზევით,
ყველგან შესუდრე ზეცა უღმერთო,
რომ იქნებ ბოლში უსაზღვროებით
პლანეტებს კვალი გადაერიოთ.

არარაობა მოზიდავს უღრანს,
იქ არც მთვარეა, არც ლაჟვარდები!
წარმავალობა დაიწყებს ღრენას
და იკივლებენ თვით საფლავებიც.

ჩამქრალი სივრცე ყრუთ იშიშინებს.
გადაშენდება ყეფა ტიალი...
ვინ იცის რამდენ მზეს შეაშინებს
ჩემო პლანეტავ შენი ღრიალი.

ღამეა. ბუხრის ალი გუზგუზებს...
გარეთ ხირია თოვლი, მინდვრები.
ვზივარ სიცოცხლე გაბეზრებული
კვამლს ვეხვეწები და ღმერთს ვპირდები.

## ჯ

ჭადრის ხეები შრიალებენ, შორს იღრუბლება,
კარგა ხანია ფრინველებმაც ცა მიატოვეს,
საღამო მძლეობს. ტაძრის კარი მძიმედ იღება,
სანთლების შუქი წინ მეფრქვევა დაღვრემილ პოეტს.

წმინდანებს ღვიძავთ... ანთებული ლოცვები დამაქვს,
ვით ნაწვიმარი მთების ზვავი — გულის ნაქარი.
მარტოდ მივარდნილს პოეზიის გერი დამარქვეს,
თითქოს ჩემს მრწამსში არ ღვიოდა გუდამაყარი.

მეც მათრთოლებდა წინაპართა ძეგლების სუნთქვა,
მუდამ მინდოდა, რომ იმათი ხვედრი მეწვნია,
რომ ეს სიცოცხლე ოშკის ხატში მზვარათ შემეთქვა,
და ჩემი სისხლი სვეტიცხოველს ამოერწყია.

რომ თვალხუჭუნას თან წამეღო მწყემსების სტვენა,
ბნელ ორღობეში ეფარფატათ ციცინათელებს,
რომ ჩემი გვამი ჩემი ზურგით გადამეტანა
იქ, სადაც ძველი აკლდამები მიქნევდნენ ხელებს.

ლოცვებს აღავლენ. ფეხაკრეფით ღამეც მობრძანდა.
ღვთისმშობლის ქოხში აკვნის რწევა ისმის და ისმის...
გარეთ ირმები წყაროს სვამენ თეთრი ბარძიმით,
სივრცისკენ მოსჩანს გადაწყვეტილი მერცხლების სიმი.

ქართულ აგურის იატაკზე დამხობილ პოეტს
ორტოტა ცეცხლი მეკიდება, ვატყობ ვრინდდები...
მშობელო მიწავ, ნეტა რაზე გადამემტერე?!
იცოდეს ღმერთმა, რომ ცრემლებსაც კი გარიდებდი.

მე ჩემთვის ვწერდი, თუმცა ზოგჯერ ძირს მეპნეოდა
ეს დასაქცევი ნაწერები — მკერდის ვედრება.
შენს დაყვავებას ხშირად როდი ვეპუებოდი,
ხასათ არ მსურდა რომ ვყოლოდი ბედნიერებას.

ბალღი ვიყავი, როცა გამზრდელს ვუთხარ ქადილით:
— რაზე მიყიდე, რათ გინდოდი, დედილო? — მეთქი,
შვილის ნათქვამზე ქვითინებდა ქართველი ქალი,
ტიალ დარდებში და აქოჩრილ გზებზე ნათეთქვი.

რაც იყო, იყო... ყველაფერი წყალმა წაიღო,
გადაყრილ ნიჩბებს ატივტივებს ბედი ვერაგი —
თვალი ვერ მოჰკრეს, ისე შესწყდა ფიქრების წარღვნა
და ტალღებიდან აქოჩრილი ქარის პერანგი.

შუადამეა, მნათე ტაძარს კეტავს ჩიფჩიფით,
სამრეკლოს მხარზე მთვარის შუქი აუტაცნია,
ვიღაც მომნახავს, ჩემი ცოდვით ჩაიფერფლება,
მაგრამ ავდრები კრინტის დაძვრას არ დამაცლიან.

* * *

მთების გადასწვრივ ყვირიან გზები,
ალბათ შენს ცხედარს მოასვენებენ,
ჭირისუფლებად მოსდევენ მგლები,
მკვდრებს შენს დაღუპვას მოახსენებენ.

და იყმუვლებენ შუადამემდე,
პანაშვიდები ვიღას რათ უნდა.
ძვლებს უკეთებდნენ ქვაბის ზედადგარს,
შიგ შენი სისხლის ზედაშე დუღდა.

იტყვიან, მოგვწყდა, რა ვქნათ, ჯანდაბას,
მახლობლებს მაინც არ განდობოდა...
ეზოში იდგა მურა ჭადარი,
კუთხეში ხატთან დუმდა ობობა.

მე მოვდიოდი. წინ ბინდდებოდა.
გზები მკოცნიდნენ, აღარ დაბრუნდე.
ხატებთან ენთო უბინაობა
და კამარებში მტრედების ბუდე.

მიწა შორს სჩანდა, როგორც ფანარი.
მინდოდა კვალი ჩქარა გამეგნო,
შორს... ტურასავით გაჰკიოდა ძველი საყდარი
და გუბე-გუბე იდგა სამრეკლო.

ნაძვები ჩიტებს ცაში უკრავდნენ.
ფილტვებში მენთო დარდი და ძნია.
ქარს მთვარის შუქი წუთისოფლის კედლების უკან
წყლის ფიქრებივით გადაეწია.

ჩრდილ წამოსხმული იჯდა ცხედარი,
ძირს ედო კაცის გამტყდარი კეფა.
უსაზღვროებში გაისმოდა: რისხვა, წყევლა სხვილი ავდრების
და ვარსკვლავებში ძაღლების ყეფა.

ზურგს უკან კიდევ მაღლობდა მტვერი.
სივრცე ტრიალო ძლივს მაგრილებდა.
მე ვანათებდი ჭრელ თვალება მეტეორივით
მარადისობის ხშირ მარგილებთან.

ჩემ ნაფეხურებს სუნავდა ქარი
და, მარმარილოს ყრიდნენ დილები.
სამყარო არი! დაშვებული ფრთხილად ვფიქრობდი.
სამყარო არის დანამდვილებით.

პლანეტებს გაღმა, ვიღაც ნანობდა,
ვინ იცის, ქარში ვეღარ დაბრუნდეს.
ზევით და მაღლა თვალს ჰკარგავდა ის ოხერი მარადისობა
და მის გასწვრივ კი მტრედების ბუდე.

ჩავცდით ხეობებს ეშხით, ყურებით,
ჭრელ მინდვრებისკენ ძლივს წაგიყვანე.
ნიავის თეთრი ნაფეხურები
სროლით მიჰქონდათ თვალუწვდენ ყანებს.

სადაც სილურჯე თვალს უსწორდება,
თან ბურუსია ბავშვივით წრფელი,
იქ თავდებოდა უსაზღვროება,
იქ კლდეს ეფარა წუთისოფელი.

გულს ღიმ ამოყრილს და გახარებულს,
ქედნების გუნდი დაჰფარფატებდა.
კენჭებს ვესროდით მზეს დასამხრებულს
და სიყვარული ძალას გვმატებდა.

მე ქრისტე მწამდა, შენ – ბუდას რჯული,
სალამს გვაძლევდნენ დიდი ხეები.
და მოგვყვებოდნენ უკან ჩურჩულით
გაუთენარი ჩვენი დღეები.

* * *

დამასაფლავეს მეგობრებმა და მიმატოვეს,
ვაზის ცრემლივით ხესთან დარჩა მწუხარე დედა.
ხნიერი ცაცხვი შეშლილივით იქნევდა ტოტებს,
დაუცხრომელი სამრეკლო კი რეკდა და, რეკდა...

ბედის ღრუბელი ბინდის იქით ყრუთ იფლობოდა,
შლეგი ქარბუქი გაშეშებულ სივრცეებს დრეკდა.
ჩრდილი და დედა მიდიოდნენ სასაფლაოდან,
გაოგნებული სამრეკლო კი რეკდა და რეკდა!..

## 1

მეც გამოვყვები შენს გვირგვინებს ბინდების ფითრი,
გასწვრივ ზარები სივრცეებში ჩაახველებენ,
ლოდების ბღავილს მთების ზათქი ჩააფრინდება,
ჩემი ლექსები შენს ხელებთან იფართხალებენ.
ლექსებს ჩაგატან... აბა, მეტი რა მაქვავია,
ოხრად დაგრჩება ერთადერთი შენი პოეტი,
ჩვენ გვიზიდავდა, ქარვისფერი ლოცვების სვია,
ღია ფანჯრებთან შემოჭრილი სუროს რტოები.
გახსოვს, ქარი რომ ბურტყუნებდა დედის ბალადას? –
ხან კი, მწირივით ყაყანებდა ხნიერ ცაცხვებზედ?!.
ხელში მთაწმინდას რო ეჭირა ტატო ბალღივით,
და ღვთისმშობელი გაბუტული ჩვენს სიცოცხლეზე?!
თუმცა, რათ გვინდა ყველაფერი რომ გავიხსენოთ,
ან ნუკრებივით ძუძუ ვწოვოთ შუქნარა ჩანჩქრებს,
ერთიღა დამრჩა, შენს ცრემლების ქვეშ დავისვენო,
დახევებული სიყმაწვილე შამბებმა შთანთქეს.
ნისლივით მოვალ, მეც ოდესმე, შენს სამარესთან,
ლოდები მიწას გადასწევენ რომ დაგინახო,
და იცი, რისა მეშინიან?.. მჭვალავს, ღმერთმანი,
ბალდახინებმა ხელმეორეთ არ დაგიძახონ!
მე გაგასვენებ ჩემი ზურგით, რო დავბრუნდები
დაბრეცილ ღვინის სარდაფებთან ჩამაძაღლებენ.
მე ხომ შენს მკერდში ვიკეთებდი ფიქრის საბუდარს
და ლექსები კი, შენს კუბოში იფართხალებენ.

## 2

არის წუთები აღტაცებით დაიგოგმანებ,
ხან შაჰ-აბაზზედ ამხედრდები, ფიქრების თოში...
როცა მთაწმინდას ვუმზერ ხოლმე, ასე მგონია
ტატოს ძეგლია აღმართული საქართველოში.

---

[1] *ლექსის აღრესატია პოეტის მეუღლე ქალბატონი მარიამ ამანათაშვილი-სამადაშვილისა.*

მზე გადიოდა ცას ბორანივით.
ტყე სივრცეების ქერქში კიოდა.
სადღაც ლოთობდნენ ნიამორები
გადმოპარულნი საიქიოდან.

მეც ვამშვიდებდი მოქანცულ ჩიტებს,
რადაც ზურგს უკან მესმოდა ლოცვა.
ლოდებზედ იჯდა გიჟი პოეტი,
ტიროდა მთების ყრუ გარემოცვა.

ზევით, ლაჟვარდებს სიო არხევდა.
ისმოდა წყნარი სიმღერა ტბების.
მთები ხანდისხან ყრუთ ახველებდნენ
და მზე, შორს სჩანდა თეთრი ბარტყებით.

## ძ

ნამტირალევი მოვდივარ დღესაც,
სადაც არ მივალ, ყველგან ღამეა.
ნეტავ ჩემ გულში ჩამოგახედათ,
რამდენი კვნესა და ვარამია.

თითქოს ქადაგად დავცემულიყვე
საკუთარ ბედის ანთებულ ხატთან,
და ბნელ მთიების მამლის ყივილზე
ავგზნებულიყვე ქარში თანდათან.

სადღაც კიაფობს მთვარის ბულული,
შუქი დამეძებს — უნდა რომ სწუხდეს.
თითქოს მე ვიყვე გამოქვაბული
და ჩემ ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს.

მე მივქროლავდი, როგორც უდაბნო.
ცხედარზე უფრო დაუზარებლივ...
და მსოფლიოდან ისევ მიძახდნენ
ცადაკარგული ხშირი ზარები.
სიტყვებს ვუგდებდი შეხვედრილ შარას:
ტერფებს ფოთლებით ვერ დამიამებ.
მონასტრებს ზევით ვხედავდი შავად
სივრცეში გაკრულ ადამიანებს...

ნისლის სვეტები იდგნენ გარშემო,
ნისლებს შუადღეც ვერ ათენებდა.
გული იწვოდა და ლურჯი კვამლი
მსხვილად მდიოდა ბნელ თვალებიდან.
მე ხმა მესმოდა, როცა ქვეშ მკვდრები
მძიმე ურდულით კეტავდნენ კარებს.
ქარში ლოდები ზედ მაფურთხებდნენ:
არ მიგიკარებთ, არ მიგიკარებთ!..

წასვლა მიწისკენ მეზარებოდა.
ხავსივით მედო სახეზე ცრემლი.
თუმცა ზარები კიდევ მეძახდნენ
და ანათებდნენ ზღვა სივრცეები
მთვარე ქვასავით ედო სამყაროს,
სიბნელე წლებთან ერთად კიოდა,
მხოლოდ სინათლე ამ წუთისოფლის
თხელ კამარებში გამოდიოდა...

ვიხედებოდი დასაბამისკენ.
ღრუბლებს სანთლები სადღაც აენთოთ.
უნდა წახვიდე! — მისტვენდნენ გზები
— უნდა მსოფლიოს კიდევ გაენდო,
ვეხვეწებოდი შერყეულ ხელებს,
პლანეტებს უკან ნუ იყურებით.
ბინდში ელავდნენ გრიგალებივით

ღიმმორეული ნაფეხურები.
შეხვედრილ ქარებს ვწერდი პირიჯვარს,
რომ დამშვიდება მაინც მეხილა.
ნაბიჯს ვადგამდი ფილტვებშემკრთალი
და ვახველებდი სივრცეში ფრთხილად.
კუბო მიჰქონდათ ვერხვების ტოტებს
და შემოდგომის დღეები გრილი.
გამომცქეროდნენ მკვდრები ჯგუფ-ჯგუფად,
გრიგალის შუქი ეფინათ ირგვლივ.

აქ, მსოფლიოში, მზე ჩადიოდა,
მე იქ, კამარებს, თვალს ვაფარებდი.
სადღაც ქარბუქი ლექსებს ამბობდა
და ყურს უგდებდნენ სველი მტრედები.
ვიღუშებოდი უვარსკვლავებოდ,
ვიწევდი მაღლა ფეხის ცერებით.
უკან ზარები ისევ ტიროდნენ
და გუგუნებდნენ ზღვა სივრცეები...

ღვინის სარდაფში ანთებულ კვართან,
ჰყიდდა ძველ ლექსებს ერთ ხელადაზე,
გამოდიოდა და მთელი კვირა
გულამოსკვნილი ტიროდა გზაზე.

იმას სიკვდილიც არ ჩააცეცხლეს,
კაცი კუბოსთან კუბოსა ნატრობს,
ის დადიოდა ფეხის ცერებზედ
და ეზო-ეზო ცეკვამდა მარტოდ.

* * *

სადამო ბჟუტავს, ტაძრის კარი ისევ ღიაა,
კანდელზე მძიმეთ კიაფობენ წვრილი სანთლები,
ხელაპყრობილი წმინდანები ცრემლებსა ღვრიან,
თურმე ჩუქურთმებს ქვაზე სწნამდნენ აქ ქართველები.

ღვთისმშობელს ღვიძამს, აკვნის რწევა ისმის და ისმის,
კუთხეში კაცი ფეხზე სდგას და ლოცვებს აღავლენს,
გარეთ ცაცხვის ხე სარანგივით ჩუმად სისინებს:
წუხელ ქარებმა, იცით, ბაღი როგორ დაღალეს?

ლოცულობს კაცი და ავედრებს დაღუპულ დღეებს,
დიახ, ოდესღაც ისიც ენთო სანთლების დარათ,
სანამ ქარებმა წალამივით წელში მოღუნეს,
რომ სიცოცხლეში სულ აღარსად გამოედარა.

წარმართს შემინდეთ, თუ სიბრალულს კიდევ ატარებთ,
ჩემი ყურებით, ხშირად ვხედამ მტრედებიც სწუხან,
გარეთ ღამეა, შიგ თოვლივით ელავს ტაძარი
და აკვნის რწევა კიდევ ისმის ტრაპეზის უკან.

მოხუცი მნათე ღია კართან სთვლემს და ჩიფჩიფებს,
თითქოს სამრეკლოს მწუხარებას შეუვერცხლია,
ბალახზე სცნობდა ყოველ დილით ქრისტეს ნაფეხურს,
თურმე იმის წინ ნინოს თმებიც დაუბარცხნია.

ტაძრის ეზოში ისევ ღვიძამთ ასწლოვან ხეებს,
მნათე ბუტბუტებს, ხან პირს აღებს, როგორც ჯაფარა.
აგერ სარკმელში ღამურებმა შემოიხედეს
და ღვთისმშობელმა ყრმას მანდილი გადააფარა.

ილოცე ძმაო, ასე ჩადი კუბოს ფიცრამდე,
ლტოლვილს, განდევნილს აბა მეტი რა დაგრჩენია?!.
რა უნდა გექნა, უბედურო, გზაც არ იცოდი,
მადლობა ღმერთს, რომ მაცხოვარი შემოგჩვევია.

* * *

ის, გასცქეროდა მომავალ შარას,
ელოდა: მზრუნველს, მეგობარს, ალერსს.
შეხიზნებოდა კარზე ორშაბათს
და დაღლილობა მოესხათ თვალებს.
ემდურებოდა გამჩენს, ხან დედას.
ბრბომ შეუბღალა მაღალი გრძნობა.
დილით მიდამოს რო გახედავდა,
ნისლივით იდგა უმეგობრობა!
დაოსდა გზაზე უძილო ცქერით,
იფიქრა: იქნებ ციდან მოვიდეს
და თუ იკივლებს სადმე ნამქერი,
ალბად ქარებმა სადმე მომიკლეს.
და მარტომ, დიდხანს უმზირა ზეცას,
იდგა: სიჩუმე, ქაოსთა გროვა.
აკანკალებულ მუხლებს დაეცა,
დამფრთხალი, როგორც უმეგობრობა!
წინ ფერწაშლილი სიცალიერე,
ზედ დადებული ქვესკნელის ხიდი.
ნუგეშ ნაწოლი სხვილი ცრემლები,
უკან შავბნელი დღეების რიგი.
ყვითელ სინათლეს ძლივსღა ხედავდა
და მაინც კიდევ გახედა შარას.
ზევით კი ქარი ახმაურებდა,
ცის ნანგრევებში, ღრუბლების ჩალას.

## ე

გაჭრილი კლდე და, შეღმართები ვიწრო, კირკიტა,
თეთრი რაშების თქარათქური, ავარდნილ ბუღით,
არმაზის კერპთან ქარბუქი პირქვე დაცემული.
დიდ საარაყე ქვაბში დაკლულ ყოჩის დუღილი.
უხვი საკლავი ქვაბში, კოჭზე წყლების დუღილი.
პიტიახშების ქალწულების მანდილთა როკვა,
ნატიფ ვარაყით მოოჭვილი დარბაზის ჭერი.
ქოჩორა მწყემსი, მიგდებული ფერდაზე ძროხა,
ქანდაკებათა აპყრობილი მკლავების ტევრი.
ღმერთების წყევლა, ვარდისფერი კედლების სუნთქვა,
გარეთ ძევახის მუხლმოყრილი მწველი ვედრება.
წარმართთა დრტვინვა, თან შუბებზე სტვენა ქარბუქის,
გოლგოთის მთიდან თურმე ვიღაც რათ იხედება.
დიდ საარაყე ქვაბში კი, წყლის კოჭზე დუღილი.
უფლისწულების გარინდება, მონების ცეკვა,
ტაშის გრიალი, თავაწყვეტა, ბინდი, ჭაღები,
კერპების მკერდზე ნიჟარების ორმაგი ძეწკვი,
ქადაგის ბოდვა დაჭიმული ყელის ძარღვებით.
მთვრალი ქურუმი და კედლებზე ჩრდილთა ბარბაცი.

...და იცი როდის? ჩემო კეთილო,
კოკისპირული წვიმა რო მოვა,
კარი დაგხვდება გამოკეტილი
და კარებს შიგნით რაღაც ყრუ გლოვა.

ნუ დაბრუნდები, იდექი გარეთ,
სანამ არ ჩადგნენ პანაშვიდები
და როცა დარი გამოიდარებს,
ჩვენ ერთმანეთზედ გადავიშლებით.

შენ გაწუწული ავდრების თოვლით,
მე კი, მდუღარე ცრემლების დენით,
წვიმები წავლენ, წვიმები მოვლენ,
ვინ იცის, ღმერთო, კიდევ რამდენი.

* * *

საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა,
რაც დაეთრევი, ჩემო ნიკო, დედამიწაზე.
წლები გაფრინდნენ, შენ კი ყველგან დაგაგვიანდა,
ღმერთი რა არის, ისიც თითქოს ვეღარ იწამე.
მთელი სამყარო ტორტმანობდა, კორიკაობდა,
ბრბო მიიწევდა კოშმარების ზათქით მოსილი,
დრო იცვლებოდა, შეყეფებით ცა კინკლაობდა,
ჩვენი პლანეტა ღრიალებდა სისხლში მოსვრილი.
შენ კი მწირივით მიილტვოდი მღვიმეებისკენ,
მისტერიები დაგყვებოდნენ ამორძალებათ,
თვალი გეჭირა ქარებ შეშლილ დამეებისკენ,
ზეცის კალთები რომ დაგლიჯეს ეზოს ძაღლებმა,
შენ თავს ახლიდი დადუმებულ ზარების მერქანს,
და მათხოვრობდი ეზო-ეზო მარადისობას,
შენ გიძახოდა უდაბნოსკენ ცოდვილი მექა,
რომ შესწრებოდა მუსულმანთა შეთქმულ ნისლობას.
ურჯულო იყავ, პოეზიამ დაგღალა მოყმე,
საკუთარ ხვრელში ო, ვერასგზით დაისადგურე.
ო, ჩემ ცხოვრებას დე ნურავის ნუ მოუყვებით,
ეს ნაწერები დიდი ცეცხლით გაანადგურეთ.
არ მინდა არა, რომ იყბედონ ჩემზე მგზავრებმა,
ვიღაც მახინჯმა, რომ დაიცვას დისერტაცია,
იტყვიან ისე დაეწება ამ კარგ საწუთროს,
რომ ნაწერები საიქიოს გაუტაცია.

როცა გხვდებოდი, ჩემს საგონებელს
ვფიქრობდი, ვუმზერ შუბლმაღალ ხეთებს,
შენ რომ წახვედი, ასე მგონია,
მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე.

* * *

შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი,
შენა ხარ ჩემი ნუგეშის დარი,
სულ კარგათ მახსოვს, შენ რო გამიჩნდი,
გარეთ ძაღლივით ყმუოდა ქარი.
ვერ გიპატრონე მე ლაზღანდარამ,
შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა.
ქარი სივრცეებს აზანზარებდა
და მზე ყვიროდა ქვეყნის ბოლოდან.
შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს,
თუმცა, სულ მუდამ ტოტს გვცემდა ქარი,
ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები ტანზე გამონაყარი!
ვერ გაოკებდი, დაგდევდი კეტით,
ხან მელეოდა მუხლებში ძალა,
ზარივით გასკდა ამდენი რეკით,
ზედ რომ მამხია ეს თავის ქალა.
ჩემი ძაგძაგი, ორთოლვა და სუსხი
ტანის მერქანში თითქოს ძვლებსა ხრავს,
ღვინო მორეულს, ოშხივარ ასხმულს,
ბინაში ბევრჯელ დამიკოცნიხარ.
იქამდე სანამ დათეთქვილ ტუჩებს,
არ გალხობიათ ბუერა სევდა,
შენ ძუძუს სწოვდი გაშლილ ალუჩებს
და წმინდა ნინო აკვანს გირწევდა.
ლექსების ჯღაბნა წამებად გექცა,
სჯობდა, ვენახის კვალი გებარა,
ვის რათ უნდოდა ეს თვალთმაქცობა,
ნეტავი ქარში გადაგეყარა.
ქარები უფრო წაიკითხავდნენ,
ჩაბჟირდებოდნენ სადმე სიცილით,
ჩემი ცრემლებით ღამეს ხატავდი
და ბეთანიას მაისის დილით.
ვერ მოგიარე, რა გიყო, ძმაო!
ორივე შემკრთალ ბუჩქის ჩრდილს ვგავდით,
შენ კიდევ ფიქრში მაინც მძუნაობ,
მე კი ბუწუწი გამცვივდა დარდით.

# პროზა

## ნიკო სამადაშვილი

ჭვი ჩემი ყმაწვილ ვინ ხაფანგის ხიფი,
ჭვი ხან ჩემი ნეფეშის ლოთი,
სულ ერთად მასრავ ჭვი ხან ეამბრდი
ეანი ძალოვანი ყმაწვილ ქალი.

ვინ ეაბეჭდავ ჭ ლაზოლოდია,
ჭვ ხანვ ძალვილი ყველ ბეოლოლ.
ზეეს ხეკეეეეზ ამანთანეზ
ლ ძმ ყვანილი ქეეეინ ბალოლ.

ჭვ ეალაბეზეზ ბალეეზილ ეეზეეეზ,
ალეეს ხელ ბალიმ ეალ ძმეეზ ქალი,
ალელ ბალეეზ ეეზალია ბალეეზ,
ლეეეზ ეალეზ ეალალეეეეა...

...ვინ ეალეეეზ, ლეეზეეეზ ეალეეა,
ხან ჭალალ ბალეეზ ბალეეზ ძალ,
ზანალეეა ეალეეეა ალეეეა ხეეეა,
ჭელ ხალ ბალეეა ეალ ალეალ ეალ.

ვინ ბალეეეეა, ალ ეალ ძალ,
ალეეეეა ჭალეეეეა ბეეზალ ხალეეეალ.
ვეალეეა.
ჭვ ეალ ბალ ეალალ ეალალ ბალ.
ჭ ეალ ბეეეეეა ეალეეეალ ეალეეა.

# ე

*ის ჯანღებმა გამოსცეს...*
*ნისლების ფერად შეღებეს ადამიანი.*

იქნებოდა 1916 წლის დამდეგი, იმ ხანათ ჩემი მეგობარი მწერდა:

„ვინ იცის, რამდენნაირ მოდგმის ადამიანს უწერია თავისი ცხოვრება: ზოგს ალალი განცდები ძნებათ შეუკრავს და წრფელი სტრიქონების ვარაყიანი ზვინები აუმართნია; ზოგიერთს მთელი თავისი სიცოცხლე შთამაგონებელი ფიქრების ელვარებით, საღმთოსავით აუტანია პოეზიის მწვერვალებზე. ზოგიერთთაგანის ცეცხლმოკიდებულ გულიდან დაგუბებულ წარსულს ნიაღვარივით გადმოუხეთქია, გაურღვევია მოთმინების ჯებირი და ზურგშექცეულ კაცობრიობას ყვირილით გაჰკიდებია. ვიღაც მატაოცს კი ნაძალადევი ამბები თითებიდან გამოუწურია და ისე აუბნევია საკუთარი მისამართის გზა-კვალი, რომ კაცს გახირულს ბარდებში თავბრუ დასხმია.

რამდენი ოქროპირი შეუჩვენებიათ, შეურისხავთ; რამდენი კეთილი ადამიანი ტანჯულა ცილისწამებით და მძულვარებით; რამდენი ბუტუსურა რეგვენი გამოტყლარჭულა განდიდების ტახტრევანზე!.. არა გჯერა? აბა გახედეთ: გადარეკილ საუკუნეების შარა-გზებზე ჩარიგებულ მატიანეთა ფურცლების კავკავს!..

მამა-პაპათა ობმოკიდებულ თაროებზე, ეხლაც ხომ ჩაყვითლებულ ხელთნაწერების ზედახორაა, შემოქმედების ალმურით დაფერფლილ განსვენებულთა მივიწყებაში უჭირისუფლო სასაფლაოებს რო შეჯიბრებიან.

რა ვუყოთ, თუ აუარებელ გულშემატკივრებს აშმორებულ წიგნთსაცავების ძველი პატივი მზის გულზე გაუქექიათ, შეხებიან ფეხებგაფშეკილ აჩრდილებს, ან ხელი წაუტანებიათ იმ გადამტკნარებულ ლანდებისათვის, ჟამთა სიავესთან ბღლაძუნით რომ დაღლილან და აბლაბუდას მტვერში ამოგუნგლულები, გაჭვარტლულ კუთხეებში ნამტირალევ ქანდაკებებივით ატუზულან.

წუთისოფელი სფინქსების მდუმარებას წააგავს. ო, რაოდენი ეპოქების ღრიანცელი მისწყდა ამ დასაქცევ სფინქსების ზღრუბლთან და ათიათასი წლის თავქვეზე დაგვიტოვა: გაციებული ბრჭყვიალა კარვები, მშვილდ-ისრებით დაკორტნილი კედლები, მომაკვდავთა დრტვინვა, ურდოთა შუბებზე წამოგებულ ბალღების ბნიასი, უბელო ცხენების ჭიხვინი და სისხლის მორევში დაცემული ტრიალი მინდვრები. ეჰ, უთვალავო დროების სრბოლავ, რა აურაცხელ მატლებს და ჭიაღუებს ანადგურებ, მაგრამ, ნეტავი თუ იცი შენი ბასრი ნისკარტით რა უწყალოდ კორტნი

სამყაროს მერქანს?!

ვინ იცის, რამდენ მადლიერ ადამიანს მორევია ლოცვების ჯანღი და თავის გაცისკროვნებულ სენაკში მუხლებზე დაცემულა. მორიდებია ტაშის გრიალს, აკვიატებული ხალხის თვალთვალს, ნეტარების ზადდაკრულ ალერსს, და საკუთარი ძვლების ჭალებზე შექვავებია: თავისი თრთოლვა და სინანული. შემაძრწუნებელ სიცალიერეს კი მზვარასავით უბღავლია ქვეყნიერების სანახიროზე...

აბა, შეხედე დაღვრემილი ისტორიის ამოვარდნილ როკიდან, როგორ ელავს პილატეს გესლიანი ღიმილი და რა უშნოთ ჩაუჯაჯია ვერაგ გოლგოთას ქრისტეს დაფხრეწილი პერანგი.

ხედავ, რა დაემართა ჩვენს მდინარებას! თითქოს რაღაც აყლაყუდა, ჯაგარაქოჩრილი წყვდიადი გადაეფარა. მაგრამ გულს ნუ გაიტეხ! დიადი შთამომავლობის ფეხის ხმა და გუგუნი ისმის!.. ის მზეების ფარას მაგონებს, სხივების წარღვნა უკუნეთს ხმაურით მოარღვევს!"

ეს იყო მეგობრის უკანასკნელი წერილთაგანი, რომლის ცხოვრებას თუ არა, შეხვედრებს, ან გაგონილს, მაინც მოგიყვებით. იქნება ზიზღთან ერთად სიხარულიც მოგგვაროთ იმ ადამიანმა, რომელიც თავის უმადურ სიცოცხლეს თერხვივით დაღმუოდა, ვით დაუშრეტელ სივალალეს.

ჩემს მეგობარს ბავშვობიდან ვიცნობდი. მუდამ გალაღებულს, მოუსვენარს, დაუდგრომელს, თითქოს წერას აეტაცნა. იმის თვალებში კეთილშობილი გულის ჭავლი ღიელივებდა. თავგადამკვდარი იყო ცელქობაზე, ოღონდ ეზოს ჭიშკარს მიფარებოდა, აღარ დაგიდევდა მოსვენებას, ძილს, სანამ როკაპი გამზრდელი კინწისკვრით არ დაითრევდა შინისკენ ხოლმე.

სოფელი, სადაც ის იზრდებოდა, არც ისე წარმტაცი იყო ფერადი წალკოტებით, ათქვირებული ხოდაბუნებით, მით უმეტეს ქართველი კაცის თვალში, რადგან ჩვენში კენჭი რომ გაისროლო ვარდის ფურცელს გაკენწლავს, ან ვერხვის ფოთოლს შეარხევს, სამაგიეროდ, იმ სოფლის მიდამოებმა იცოდნენ სახნავ და ახოგაჭრილ მთებ შორის ფერადი და გრძნეული საღამოები. ბარში და ფერდობებზე გადაჭიმული თვალუწვდენი ზვრები, ნამყენი ხეხილით დაბურული ბაღები, შიგ დაქსელილი ნაკადულები რო ჩუხჩუხით მიყაყანებდნენ; აქლემის კუზივით აწეული ბოგირები, ასწლოვან კაკლის ხეების ტოტებქვეშ შეჭრილი ვიწრო საურმე გზები; ასკილის, ანწლის და მაყვლის ბუჩქებით სვია გადმოყრილი ორღობეები; ქედგანიერი უღელტეხილებით დასერილი სივრცეები ნატიფ სიმშვიდეს ჰგვრიდა ადამიანს.

სოფლის შუაგულში ქართული აგურით ნაგები ძველი საყდარი, თავისი ხმაჩახლეჩილი სამრეკლოთი, გაბუტული მონაზონივით ატუზული-

ყო. ირგვილივ ქვატალახა ერდომოღრეცილი სახლები, ცარცის ბანებით და ალაგ-ალაგ ხავსმოდებული ყავრით გადახურულნი ღამის მთევლებივით წაყრილიყვნენ.

მჩქეფარე მდინარის გასწვრივ განუწყვეტლივ მოისმოდა ხნიერი ჭანდრების ბოხი შრიალი.

წლები დასავლეთისკენ მიფრინავდნენ და ყივილით ინთქებოდნენ ლურჯათ მოკირწყლულ ცის კამარებში.

ჩემი სიყრმის მახლობელი ხშირად მღეროდა ხოლმე:

მამაჩემს დავრჩი ბიჭი ობოლი,
მზრდიდა ვერხვების რწევა და ტაში.
როგორ მიყვარდა ჩემი სამშობლო
და წეროების ძახილი ცაში.

რაც დრო გადიოდა და დღეები ჰაერში გაფანტულ კვამლივით ილეოდნენ, რაღაც ცოდვის კითხვა ეუფლებოდა ჩემს მეგობარს: აგრე რიგათ ვეღარ ნახავდი აღტკინებულს, ტანს იყრიდა და ტანთან ერთად უჩვეულო მჭვუნვარებასაც; ჩანჩქერივით რაც ვაკეზე მოიწევდა, იმდენად უფრო ტბორდებოდა, მორევივით ერთ ადგილზე ბრუნავდა. იქნება უთავბოლო ცხოვრების ბრალი იყო? ან იქნებ, რაღაც ბედუკულმართობა გადაეღობა და კნუტებდაყრილ კატასავით თვალებში ეცა? აბა რა ვიცი!.. ძნელია მიწას ადამიანათ გადაქცეულს ყველაფერს მიუხვდე. ის კი ცხადლივ მოსჩანდა, რომ ჩემს მეგობარს სიცოცხლე ღვინოსავით ერეოდა და პოეზიისაგან თვალნაცემი, შერისხულივით დაწრიალებდა შეშლილობის და ზმანების გაუვალ ჭირხლში.

ის, თავის მწუხარებას ყველგან მალავდა. ზრახვებს იოლად როდი მიმხელდა. ნაძალადევ ღიმილში ხშირად ვამჩნევდი გულისასაწიწკნ მაცდურებას. განკერძოვებულ ცხოვრებას მიჰყო ხელი, თითქოს თავის ნაფეხურებსაც ემალებოდა.

ის, ზოგიერთებივით დაღვრემილი თვალებით როდი მატაოცობდა. ის, თავის ცრემლებს მთვარის სინათლეზე მარგლიდა. ის, თითქოს თმებ-გაბარჯღულმა მეკობრეებმა ნავტიკებით გაიტაცეს ამაოების გავერანებულ ნაპირებისკენ. თითქოს იმის სხეული თებერვლის ქარბუქს გამოეფუღრა და გაყინულ გულ-მკერდზე დარდის ლოლუები წვეთამდნენ.

ის, თითქოს ღამეების გადაღმა გააფთრებულ გრიგალებს ეხვეწებო-და, რომ კუბოს აწევაზე მაინც მიშველებოდნენ.

და, აი საცაა... ფრიალო კლდის ქარაფზე უნდა გადამტვრეულიყო, მაგრამ ხელი სტაცეს და გადაარჩინეს.

ყოველ სიცოცხლეს თავისი საკუთარი საბუდარი გააჩნია, თუმცა ყველა მოქმედებას აშკარად როდი სდაგავს.

მომიტევეთ, ეს ნაკუწებიც საკმარისია. ხანდისხან მესერის დარანიდან, თუ ჭუჭრუტანებიდან ცუდათ როდი მოსჩანს კარ-მიდამო. ადამიანის ცხოვრების დაწვრილებით მოყოლა რის მაქნისია. ეხლა კი შეხვედრები.

*გახსოვს, როგორ გავიწუწეთ,*
*მთვარე ზღვაში რო ჩადიოდა?..*

მკათათვის ხვატი იწურებოდა, როცა შავი ზღვის სანაპიროსკენ გავემგზავრე. ზღვასთან მარტო ჩემი დაღლილი ჯანმრთელობა როდი მიმქონდა. ზღვისკენ მიიწევდა ქალაქის ხმაურით დაფუტკვნილი ნერვები, დანაცრებული თრთოლვა და აღფრთოვანებული ვედრება მის ავყია ტალღებთან.

მატარებელში ყბედი მგზავრების ქაქანით გული მისივდებოდა: ტყუილუბრალოდ წიწმატობდნენ, ცეცხლმოკიდებულ ბურბუშელასავით ინთებოდნენ. განსაკუთრებით ვიღაც ნოღა ყმაწვილი კაცი, ისე წამოჭარხლებულიყო ხელოვნებაზე პაექრობით, რომ კისერიც კიბოსავით გასწითლებოდა.

— ხელოვნება სარკეა, სარკე! — დავობდა და ანჩხლობდა ბედურგები.

— საზეიმო ვითარებაში მოგახსენებთ, რომ თქვენ მეტისმეტად ელამი ბრძანდებით, არისტოტელეს შეხედულებას ლიტერატურაზე არ იცნობთ, არა! — მამლაყინწასავით წაჰკიდებოდა მორგვივით ჩაფსკვნილი ჩერჩეტი მეორე ქერა მგზავრს, კაცი, რომელიც ათინელ ბრძენს კი არა, ბარბარე ჯორჯაძის ლექსებს ჯლოყინით კითხულობდა. ვერ გაიგებდი რა თავქვას ახლიდა: ჭროღა თვალებს უგვანოთ აბრიალებდა, პირის კუთხეებთან ქაფი ერეოდა, ყელის ძარღვები ეჭიმებოდა, ისე ყვიროდა იტყოდი, თონეში თავდაყირა ჰკიდებენო; ხელებს წამდაუწუმ პარჭყავდა, ბევრჯელ მოვარიდე ცხვირ-პირი იმის კოტიტა თითებს. ხან ხმაგაკმენდილ მგზავრებს ისეთი იერით გადმოგეხედავდა, თითქოს ჩვენი სახის გამომეტყველებაზე კითხულობდა თავისი უმწეო გონების სიღარბაისლეს.

გულთამხიბლავო რუსთაველო! და მგზნებარე დანტევ! ო, რაოდენი მშვენიერება მოჰფინეთ ქვეყნიერებას, იმდენი ავიც მოუტანეთ ზოგიერთა ქონდრის ადამიანებს, რამდენს დადანებენ თქვენზე, რამდენს კინკლაობენ,

რა გულგასაწყალებლად იყეფებიან, ნეტავი რაზე?.. ნეტავი რისთვის?..

მატარებელს რიჟრაჟი ქედანივით აედევნა და ზღვაც გამოჩნდა. ზღვის მოქანავე მინდვრების დასასრულთან გემი ამოყურყუმელავდა, როგორც სამანი ქვეყნიერებასა და სივრცეებ შორის ჩაგდებული.

ვისვენებდი სანაპიროს ახლო გაშენებულ აგარაკზე. ბანანის მანეულით დაწნულ სავარძელში შუაღამის გადასვლამდის ვიჯექი ხოლმე. საკუთარ ფიქრებსაც გზას ვუქცევდი, რომ მარტო ზღვასთან ვყოფილიყავი, რატომ-ღაც დიდხანს, რატომღაც სულის ამოხდომამდე.

საღამო ხანი იდგა. შორს... შორს ცის კაბადონები ჭყუმპალაობდნენ.

ზღვის მივარდნილ კიდეებთან მზეს რგვალი სანათური გამოეჭრა, თითქოს სანათურში მეორე წუთისოფლის ცეცხლი ლაპლაპებდა.

ცადაჭრილ უხვი სხივების ხარაჩოებს ზეცის გუმბათები შეეთქორათ და პალმის ფოთლებს შიგ თვალებში უჭვრიტინებდნენ.

აშოლტილი შვინდისფერი ტატნობები ქირმანის ხალიჩებივით ბრწყინავდნენ დასავლეთისკენ.

აღგზნებული ზღვა ბორგავდა, ეტყობოდა პაპანაქება სიცხეს დაეკრა, რადგან ხანგამოშვებით მთვრალი ვეშაპივით ილანძღებოდა.

მივსეირნობდი. გაანჩხლებული ტალღები ჯაჭვდაბმული ნაგაზებივით მიტევდნენ. ტანწერწეტი კიპარისები მუნჯი მოგვებივით მომჩერებოდნენ.

ვარსკვლავების ფარა ბინდის ნეკერს ახრამუნებდა. ფოთლოვან ხეებში გრილი ნიავი მძინარე ბეღურებს გვერდზე მისწოლოდა, ვით გვრიტების სიზმარი.

მოაგარაკეთა ნებიერი ჟრიამული ხვართქლასავით მოსდებოდა მთელ არემარეს.

უცბად ვიღაც წამომეწია და ნაცნობი ხმით შემეხმაურა. ჩემი მეგობარი ჩამოსულიყო! ის, ვინც მთვარეულივით ამედევნა, ვინც ჩემში იწვევდა სიბრალულს, ვისაც გადამტკნარებულ სახეზე და შავათ ჩასრესილ ქუთუთოებში შერწყმოდა პოეზიის გზათვალალობა.

ორივეს კრიჭა შეგვეკრა. ჩვენ სიჩუმეს ზღვის ხმაური ჭანგივით ედებოდა.

რა კარგია მეგობართან ყოფნა და ხეტიალი, როცა გულის შუქი თვალებიდან იჭყიტება, როცა მკერდიდან სინათლე ქვანამს, როცა ამოფრენილი სიხარული მტრედივით მარცხენა მკლავზე გიზის და შენთან ერთად ღუღუნებს.

მეგობარმა დუმილი დაარღვია:

— ნავსი გავტეხე! იცი, რომ შენს სანახავად ჩამოვედი?

— ხომ გჯერა, როგორ გამეხარდა!

– როგორ არა, ერთგულ მეგობართან ყოფნას რომელი აგარაკი შეედრება! – ქივქივებდა ჩემი გულჩახვეული მეგობარი.

– ცამდე მართალი ხარ! – კვერს ვუკრავდი.

– ნეტავი, თუ კიდევ გახსოვს ჩემი ლექსები? – მორიდებით შემეკითხა.

– როგორ არა, განსაკუთრებით ზოგიერთი!..

– არ ვიცი რა დამემართა ეს ოხერი, მარადისობაზე ფიქრი შემძულდა.

– განა მარადისობა არსებობდა? – უკმეხათ წამომცდა.

– ის დიდხანს მეფობდა... პოეზია მარადისობამ დაასნეულა.

– თითო ჭირი რას გამოელევა ადამიანს, – ალალბედათ წამოვიძახე.

– აბა დამიგდე ყური, – ჩემმა მეგობარმა განაგრძო:

ნაძვები კუბოს მიასვენებდნენ,
წინ ყვავილები მიჰქონდათ ქარებს,
მიწიდან მთები იმას უსტვენდნენ,
პირქვე რომ ეგდო მსოფლიოს გარეთ.

ის, სივრცეს გაჰყვა ხელ აპყრობილი,
თვალებს სინათლეც არ მიაკარა,
წადილი, გზნება – ტალღების ჩრდილი,
გულქვა ავდრების წინ გადაყარა.

თითქოს სიკვდილიც რჩებოდა ოხრად,
მარადისობაც დასწყევლა, დაჰგმო,
ღამე ტირილით გამოიხურა
და გათენებას ვეღარ მიაგნო.

ვერ შეუბრუნეს გზებმა ბუნება,
თუმცა ბავშვივით უჭერდნენ ხელებს,
ნაფეხურს ეთქვა: არ დაბრუნდება!..
ქარი ამაოდ ეძებდა მკვლელებს.

გვარი რა არის, არც კი ახსენა,
არც მიაჭედა ლურსმანი კარებს...
ნაძვები ცხედარს მიასვენებდნენ
და გვირგვინები მიჰქონდათ ქარებს.

ორივენი ვდუმდით. ღამედარეულ ბაღებიდან მოისმოდა საამური ქართული სიმღერა, როგორც ბავშვურ სიყვარულში ჩაწნული უმანკოება და ჟრუანტელი.

ზღვა გუგუნებდა. ზღვის გაუთავებელ მოთქმას ქარშეყრილ ფრინველებივით ასდევნებოდა ათასეული წლების წიოკობა.

ზღვა ღელავდა, თითქოს ზღვაში ხარხარებდნენ ქარიშხლები.

ნეტავი, ვინ იყო, ვინა? ვინც თავისი მოგროვილი სიცოცხლე გულქვა სამყაროს წინ გადაყარა?.. ვისაც სიკვდილიც ოხრად დარჩა და ღამე ტირილით გამოიხურა?!. იქნებ ზღვის ნათურა ზვირთებმა იცოდნენ, სილანარევ ქვიშაზე, ფერად ნიჟარებზე, გაკრიალებულ რიყეზე გაუჩორკნავ ბორბლებივით რო ხრიგინებდნენ?..

იქნება, სახეშერყეულ ცხედარს ზღვის ტალღები რიგრიგობით მიასვენებდნენ და ელამი გვირგვინები მიჰქონდათ ღრუბლნარა ქარებს?!. ვინ იცის!.. ვინა?..

## ე

*დაფეთებული რიჟრაჟები ისე მინამქრე, რომ*
*ღამე შიშით ვარსკვლავებშიც ვერ შედიოდეს.*

ჩემი მეგობარი ერთ მივარდნილ სოფელში თავის ნათესავს შეეხიზნა. იშვიათად მწერდა ბარათებს. ზოგიერთ წერილებში ასეთ გულისწყრომასაც შეხვდებოდი:

„იანვრის სუსხი ძვლებში მატანს. გამოკეტილი ვზივარ ფარღალალა ოთახში, მამიდაჩემმა სამადლოთ რო მომიგდო.

ბუხრის გუზგუზს დარდებს ვაყოლებ. ზამთრის ვარანგი ასასივით დამწრიალებს ყველგან. ვერაგი სიჩუმე ობივით მეკიდება. მშიერი მგლები სოფლის გზებზე თავისუფლად დათარეშობენ, ხან ზედაველაზე შემზარავათ ყმუიან; ღამით აშვებული ძაღლები უბან-უბან ყეფას რო გააბამენ, სასაფლაოდან მკვდრები გადმოდგებიან ხოლმე, მიცვალებულებს თვალს მოჭკრავენ თუ არა ნაგაზები, ისეთ წკავწკავს ასტეხენ, გეგონება ჭკუაშერყეული სარანგები მიწას ფხოჭნიანო.

ამ ყინვაში გაშიშვლებული ხეებიც სულდგმულებივით ბაბანებენ. ღამით კაცის ჭაჭანება შეიძლება იგრძნო: ტყიდან მომავალ შეშით დატვირთულ მარხილების ჭრაჭა-ჭრუჭზე, მგზავრის ფეხის ხმა გაფიჩხებულ თოვლის ხრაშახრუშზე, ანდა ბოსლების კართან ანთებულ ჭრაქების მოძრაობაზე.

დასწყევლოს ღმერთმა აქაური ღამეები, მოვლენ, სოდომებივით ჩამოსხდებიან და ალიონამდე ისეთას იბღვირებიან, რომ აღარ იცი რა წყალს მიეცე. ხედავ! ოდესღაც განდეგილობის დამთრგუნველს, რა დამემართა!..“

რა თქმა უნდა, ამ სტრიქონების მფლობელი თავის შეჩვენებულ ორეულთან ფარიკაობდა. ზამთრის ვაგლახი სიჩუმე უფრო ამხედრებდა, ვიდრე აშოშმინებდა.

ერთი პირობა წერილების გამოგზავნაც შესწყვიტა. ვიცოდი იმის უცნაური ხასიათი: კარგა ხანი ხმას არ გაგცემდა, მაგრამ განა შეიძლება მეგობარს დაემდურო, როცა ის ლოცვებს აღავლენს? ან, რა ბედენაა გულის თანატოლს მუდამ კრიჭაში უკირკიტო და ხატაურა კატასავით მის ბაგეებთან იყვე ჩაცუცქული. პოეტი თავის ნებაზე უნდა მიუშვა, ჰო, რა ვერაგობაა: შემომქმედი ცხენივით შეკაზმო და ზედ შეახტე, არა?

კვირაძალს თოვლი ბარდნიდა, თითქოს ვეება ღრუბლებს თეთრი ფარფლი სცვიოდათ. ბინაზე დავბრუნდი. საწერ მაგიდაზე პოეტის უსტარი დამხვდა. მოკრძალებული სტრიქონები შემომჩიოდნენ:

„ჩემო კეთილო! ნუ შემრისხავ, რამდენი ხანია ვეღარ შეგეხმაურე, ყველაფერი უნდა მომიტევო. რომ შემირიგდე გიგზავნი პატარა ნაწარმოებს. ბუხრის ალზე ვძერწავდი და რატომღაც მინდა, შენც განიცადო შენი მეგობრის მღელვარება და სიხარული:

ცივა, ნაღველი მედება გულზედ,
თოვლია გარეთ, აღარც გზებია,
ენთე ბუხარო და იგუზგუზე,
მე მაინც სითბო არ მღირსებია.

კვამლო არ შეწყდე, გასწიე ზევით,
გაჭვარტლე ზეცა, ღმერთმაც ვერ გვძლიოს,
უსაზღვროება ისე შესულრე,
რომ დედამიწას გზა აერიოს.

წარმავალობა მიზიდავს ულრანს,
იქ არც შუქია, არც ლაჟვარდები,
არარაობა დაიწყებს ღრენას,
და იკივლებენ ეს საფლავებიც.

ჩამხრჩვალი სივრცე ყრუდ იშიშინებს,
ხმას გაიკმინდავს ზღვა და გრიგალი.
ვინ იცის, რამდენ მზეს შეაშინებს...
ჩემო პლანეტავ, შენი ღრიალი!

ზეცა ათასგან დაიღრიცება,
კვამლს მოედება დროთა ისარი.
სამყაროს გაღმა ჩაივლის ვიღაც
ჩაფიქრებული, როგორც მისანი.

ღამეა, ბუხრის ცეცხლი გუზგუზებს,
გარეთ ხირია თოვლის მინდვრები.
ვზივარ სიცოცხლე გაბეზრებული,
სისხლი მიშრება, ვატყობ ვფითრდები.

ასე მწერდა ჩემი მგოსანი. ასეთი ანჩხლი და ასპიტი ხდებოდა, როცა ამღვრეული თვალებით მიეჭრებოდა ქვეყნიერებას. როცა ბურუსჩამოწოლილ გზებზე კვალდაკარგული ფრინველივით წიოკობდა.

ბუხრის კვამლსაც კი ეეჭდრებოდა, რაღაც მზაკვრულს, რაღაც არაადამიანურს – ეს კარგის მომასწავებელი  როდი იყო.  ეს შავბნელი პოეზია ძანძახი ამინდების წინამორბედი გახლდათ. იმის შემოქმედების ჭიშკართან სახეალეწილ ღმერთების ბუზღუნი ისმოდა.

ბუხარი კი, პოეტის ტიალ ვედრებას, მისი ოცნების თოვლჭყაპს, რას დაგიდევდა, გაცრეცილ ღრუბლების ქვეშ, ბანიდან ამოჩრილ პირმოტეხილ ქვევრის ტუჩიდან ამოხეთქილ სქელ კვამლს ყალიონივით აბოლებდა და სოფლის შეღმართებს უაზროთ გასცქეროდა.

თეთრრცხილას მუგუზლების ტკაცა-ტკუცით გამოვარდნილი ბუხრის შუქი, პოეტის ზურგის ღანდს, ოთახის კედლებზე და ჭერზე სათუთათ არწევდა.

ჩვენი პლანეტა ათასნაირ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დახუნძლული, გათელილ უსაზღვროებაში თავის გზას განაგრძობდა, ხან მთვარეს მიინათებდა ხოლმე ვარსკვლავების უდაბურებაში, რომ წარმავალობის უღრანს დანდობილა არ წასწყვეტოდა.

## 5

*გაიჯახუნეშ შუაღამეს ფეხის ბარბაცით.*

ცის კამარებს ზამთრის საბურველი ჩამოეხსნათ. მერცხლები გაზაფხულის ლალისფერ კუწუბებს ქარგავდნენ, ცის ტატნობებს სერავდნენ, სივრცეების ბექურზე ლაქვარდები გადმოდგარიყვნენ.

მგოსანი ქალაქად მესტუმრა. რატომღაც სოფელზე ამრეზილიყო. სასმელს ეტანებოდა, მალიმალ ჩამიჩურჩულებდა: სულმა წამძლია, წამოდი, საღმე, ნუნუა ვხუხოთ. ხშირად ბანზე ავუგდებდი სიტყვას, მაგრამ შენც არ მომიკვდე, დიდი მიდეგა და მეტად თავნება კაცი იყო, ურმის

ხელნაზე მიბმულ ნალოსავით ამითრევდა; კერპი იყო, როგორც ურთხელას ლატანი; სულთამხუთავივით ჩაგაცივდებოდა, თავის ნათქვამს არ გადავიდოდა, თუ გინდა წინ ფიანდაზად გაშლოდი, სხვა გზით ვეღარ დაიყოლიებდი, მაინც თავისას გააჭენებდა.

ერთ ღამეს ქალაქის განაპირა უბანში, ჭერდაბალ ღვინის სარდაფს მივაგენით. იკრიბოკრო კიბეზე ცალხელა ხარიხეთი, თითქოს წამწყმედთა სავანეში თავდაყირა ჩავეშვით.

ღატაკ და ფერდებმიკრულ მგზავრებისათვის პირდაპირ მისწრება იყო. ვფიქრობდი: ცოტაოდენს დავნაყრდებით, ერთ-ორ ჭიქას გადავკრამთ და ამით დამთავრდება ჩემი მეგობრის ჭირვეულობა.

სარდაფი გვერდებშეჭყლეტილი თუნუქის ჭრაქებით გაენათებინათ. თუთუნის ბოლი მაყალზე აშიშინებულ სუკების ოშხივარს შერეოდა და უზრდელი მოქეიფენი ენას პირში ძლივს რომ იტრიალებდნენ, ჭვარტლში გათანგულ ჯირკვებივით მოსჩანდნენ. ხრინწიანი სიმღერები: „მე ავარად დავდივარ, ღამე შინ არ შევდივარ...“ „გახსენ ბაგე, გამაგონე ხმა ნარნარისა...“ გამობრუჟულ და ლაზღანდარა არიფიონთა ხარხარი, ლანძღვა-გინება, უშვერი წაოხუნჯება, ერთი მაგიდიდან მეორეზე მეხივით ეცემოდა.

სარდაფის კედლებზე ფუქსავატი მხატვრების ყალმით შეთითხნილი დედიშობილა ქალების და ყანწიანი კინტოების სურათები აგლესილიყო. აჭიჭყნილი ფერები სიცხის ბუღს ისე სქლად დაეორთქლა და დაელაქავებინა, რომ იტყოდი: ნესტისგან გაჟღენთილი დიაცები სტირიან და ჰგოდებენ თავიანთ დაკნინებასო.

მე და პოეტი კუნჭულში მიდგმულ მაგიდას მივუსხედით. ხშირად, ადამიანმა ხალხის ბრიალში უფრო დიდი ოცნება იცის, ვიდრე სადმე განმარტოებით. ამბობენ: ქარიშხლების დროს უდაბნოც ფიქრობსო!

– რაღა ამ გასაოხრებელ ბუნაგში შემოვეხეტეთ! – გულისწყრომით ვუთხარი მეგობარს, როცა ის შემკრთალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

– თუ შენ გგონია, რომ ჩვენ ნაკლებად გარყვნილები გახლავართ, – მიპასუხა საეჭვო კილოთი.

ჩვენ სუფრასთან შეანგლებულმა შეგირდმა მოირბინა, ამოშვებულ წინწკლებიანი პერანგით, საყელო გადაღეღილმა, წინ წელქვევით თეთრ საფარ შემორტყმულმა, ჩვენ როდი დაგვაცალა ხმის ამოღება, ჯორის ტლინკებივით მიაყარა:

– ახალი, ცხელ-ცხელი: მწვადი, ჩანახი, ფითი, კუჭმაჭი, შაშხი; ქათამი მოხრაკული, ტაბაკა; ღვინო: კახური, ატენური, სვირული; შუშა კიტრი, დანდური, პიტნა, წიწმატი, ტარხუნა!..

პოეტს გაეცინა, ოთხი ხელადა ქინძმარაული მოითხოვა და ორი ულუფა შაშხი. მერე მე მომიბრუნდა:

– რა, არა გჯერა, რომ გარყვნილები ვართ?

– შენ თუ ყველაფერს კუდი არ გამოაბი, არ შეგიძლიან! – ხუმრობაში გავუტარე ჩემი საყველური.

– შეხე, რა ალიაქოთი გაუდით სალახანებს! – თვალით მანიშნა.

– ეს ის ნაგავია, რომლის აწრიალებას ქარიც კი თაკილობს.

– ჯანდაბას! როგორც გენებოს ისე იფიქრე, მაგრამ, ზოგჯერ რატომღაც მიზიდავს ასეთ ბრბოსთან ყურყუტი.

– ეგ ავადმყოფობაა, ჩემო კეთილო! – შევესიტყვე მეგობარს.

– პოეზია, განა ავადმყოფობა არ არის?

– არა! ის ღვთაებრივი მშვენიერებაა, – ვუპასუხე.

– მე კი, ამ მშვენიერების ხილვამ დამასნეულა.

– ეგ სისულელე რომ არ გეთქვა, იცოდე გაბერწდებოდი, – ქედმაღლობით გადავკარი.

– შენ იმდენს იზამ, რომ ხელში შემიკლავ! დღეს მინდა, რომ ამ სარდაფში გამომიღამდეს, თუ გინდა მთელი სიცოცხლე.

არ ვიცი, რა ღმერთი უწყრებოდა მეგობარს, რაღაც ვერ ვეწყობოდით.

– რაც შენ თავდავიწყებამდე გიყვარს, – განაგრძობდა პოეტი – ის რომ ერთხელ აგისრულდეს, იმ ორმოცდაათი წლის ყოფას სჯობიან, სხვისი შემოტევით რო წარიმართება.

– შენს დაგეშას მე არ ვაპირობ, მაგრამ...

– მაგრამ, ნეტავი იცოდე, – შემრისხა ჩემმა თანამესუფრემ – ხანდისხან რა უხეიროთ შეკრულ გუდურას დაემსგავსები ხოლმე.

ხმა ჩავიწყვიტე. რადგან კარგად ვიცოდი იმის უმძრახობის ჩოჩორზე შეჯდომა. ანდა, რა ძალა მადგა, რომ მეგობარი დამმდურებოდა, თუ გინდა ერთ წამოსროლილ სისულელეზე.

საღეგრძელოებს მოუხშირეთ, ხან ალთას ვსვამდით, ხან ბალთას. რიგიანათ შევთვერით. რა მწარეა, როცა სიმთვრალესთან ერთად მთვრალი დარდებიც აგეტორღიალებიან, გულზე გეჭიდებიან, საფეთქლებს გიხურებენ, ნეკნებს გიმტვრევენ, თვალში შუქს გიწრიტავენ, შუბლის ძვალზე გასკდებიან, სხეულს გიმღვრევენ, ხომ გინახავთ ახალგაზრდა კაცის მოღუშული სახე, დასუსხული მწველი განცდებით. აი, ასეთი იყო ჩემი მგოსანიც იმ ჟამად. მე კი, გახევებული შევყურებდი იმის ჩათუთქულ მდულარებას.

უცბად ღვიძლი ძმასავით გადამეხვია და დაიწყო:

ის, ხომ ლექსს გარდა არაფერს ჰქმნიდა,
თვალნაცემივით შფოთავდა ხშირად,
განა ვისაც რო ეს სენი სჭირდა,
იმან შეგზარათ და შეგაშინათ?!

ის დაიღუპა ბედ მოკრძალებით,
ბნელოდა, სდუმდნენ დიდი ჭანდრები,
და კიაფობდნენ შორს ვარსკვლავები –
მარადისობის ჭუჭრუტანები!

ცოტა ხანს დადუმდა, მერე ხელი ჩაიქნია და...

ის, ყოველ ღამე დაეძებდა ტიალ სარდაფებს,
თითქმის ცისმარე დღე შფოთავდა და ითვრებოდა.
შთამომავლობა მის ცხოვრებას რას დაიჯერებს,
კაცი, რომელიც სულ ღვინოში იფუფქებოდა.

რომ მას შეეძლო პოეტური უმანკოება,
მიწას ურბენდა, დედამიწის უარმყოფელი,
არ დაგიდევდა, თუ უკმეხათ ედგა დროება,
ან თუ სივრცეებს გაყმუოდა წუთისოფელი.

ვიღაც, ღიღინით ჩემ საფლავზედ ბალახს გათიბავს,
იტყვის: რა კრულვით დაიღუპნენ მამა და შვილი!
თან კლდის ნატეხზე მიაწერამს ოდნავ ირიბად:

რაღაც არ მოეწონა ეს ლექსი, შეჩერდა და განაგრძო:

მიმღერე კარგო და დამინამე
ცხოვრება მუდამ უშინაარსო,
იმღერე სანამ მყუდროა ღამე,
სანამ გრიგალებს სძინავთ ძვირფასო!

წავიღეთ საღმე, შორს დავესახლოთ,
იქნებ ეს ღამე იქ არ მოშავდეს,
ღილით მინდვრების გაფრენა ვნახოთ,
სად ზღვის ტალღები სწინწკლავს ლაჟვარდებს.

ჩემ ბინის კარებს ქარიც არ აღებს,
სჩანს საქართველო კიდევ მემდურის...
იმღერე დროა, პალმა შრიალებს
და ცხენის ყელზე ღვიძამს ბედუინს.

უკანასკნელი სტრიქონი ისე ხმამაღლა წამოიყვირა, რომ სუყველა ჩვენ მოგვაჩერდა და გესლიანი ხარხარი ასტეხეს.

– რა დაგემართათ თქვე დალოცვილიშვილებო! ხომ არ გატყავებენ, რა გაღრიალებთ?! – ასე შეგვჯორა თავზე წამომდგარმა თვალებდაბრეცილმა დახლიდარმა და ოფლის ხვითქში აზელილი მელოტი თავი ჭრელი ბაღდადით მოიწმინდა.

– არაფერია, ლექსს კითხულობდა, შენი ჭირიმე! – სიტყვა მოვუჭერით მასპინძელს.

– ლექსი რომელია, აქ ტეანტრი კი არ არის! – იწყინა მიკიტანმა.

– ეხლავე წავალთ, თუ ძმა ხარ, არ დაგვემდურო! – დავუყვავე სარდაფის პატრონს და საჩხუბრად წამოწეული მეგობარი დავაწყნარე.

– ბიჭებო, ეგრე არ ვარგა, თორემ თქვენ იცით! – ესღა ამოიხვნეშა გაიძვერა მასპინძელმა და კაკლის ხის ძირივით ტანი ფურკამეჩის ოდენა ღიპი,ზედ ვერცხლის მძიმე ქამარი რო ერტყა,ზანტათ დახლისკენ შეატრიალა. სიბრაზისაგან კბილები გააკრაჭუნა და თავისთვის წაიბურტყუნა: „თუ ღვინოს სვამთ, ღვინო ჩახეთქეთ, თუ არა და რას პეიტრობთ, ახი კია, რო კაცმა ერთი ლაზათიანათ მოგაყოლოთ...“

დანახარჯს გავუსწორდი – ჯიბეები ამოვიბერტყე. ჩემი მეგობარი რის ვაი-ვაგლახით წამოვიყვანე, ის ბარბაცებდა, მე კი უგვანოთ ვტორტმანებდი. მართლაც, იმ ღამეს ვინც ილოცა, მხოლოდ ჩვენთვის, რომ ძმადნაფიცები სადმე ხრამში არ გადავიჩეხეთ.

ქალაქი ძილში კრუსუნებდა. სადღაც ეტლში შებმული იორღა ცხენების თქარათქური და ირიბათ დაბრეცილ ქვაფენილებზე აჩქარებულ მგზავრების კანტი-კუნტი ფეხის ბაკა-ბუკი ისმოდა.

ბნელ ქუჩებში აქა იქ-და ბჟუტავდნენ შუქდალეული ლიფლიფები.

მეგობარი გულს ჩამღეროდა:

ორი ხელადა ჩამოგვისხეს ხიდისთაური,
თან ფიცულობდნენ, უნაკლოა, სუფთა, ღმერთმანი!
მზე ცის დისკოზე მიიწევდა გაშლილ მკლავებით,
მიწა რჩებოდა, როგორც ჯვარცმის შავი დედანი.

სიონის ზარი სქელ ღრუბლების ქვეშ ახველებდა,
გულში ეძინათ წმინდა ნინოს შეფრენილ ცრემლებს...
მკვდრები ცივ სივრცეს მიჰყვებოდნენ და გზად ხანდისხან
ქვეყნიერების კოშკებისკენ იშვერდნენ ხელებს.

ზედაშედ გვქონდა მიწის წვენი გუდამაყარის,
არაგვი სჩქეფდა – ლაჟვარდების სათავეს ყოფდა...
საღ არ გინდოდა, გაისმოდა ჩვენი ყაყანი,
მაგრამ ჩვენ გულებს, აბა ვინმე თუ ყიდულობდა?..

მგოსანი შინ მივაცილე, ძილინებისა ვუსურვე.

სადღაც, დაშორებული წუთისოფელი დაუსაბამობის მისადგომებს გულსაკლავად გაყმუოდა.

ვარსკვლავების ჭუჭრუტანებში ღვთისმშობლის ბეჭდების ბაცნარევი შუქი ციმციმებდა. კლდის ნატეხზე უიღბლო წარწერა კიაფობდა:

„აქ განისვენებს ადამიანი, რომლის გული ჯერ კიდევ ფეთქავს!..“

## ე

*სადაც მნათე ზარსა რეკავს,*
*წუთისოფლის კარგა გაღმით.*

– ხომ იცი, ჩვენ უკანასკნელი ქრისტიანები დავიბადეთ, ჩვენს შემდეგ ახალი რაღაც განმეორდება, უკეთესი და დიდებული! – ასე მესაუბრებოდა ჩემი მგოსანი, როცა მაისის წკრიალა ბილიკებით ბეთანიის ნეტარ ტაძარს ვუახლოვდებოდით.

– ქრისტეს მოვლენა იქნებ ბოროტებაც იყო, რას იტყვი? – შემეკითხა.

– რა თქმა უნდა, წარმართ პილატეს თუ დავუჯერებთ...

– პილატეს შეკითხვა ხომ ეხლაც გაისმის, მართლაც რა არის სამყარო?.. რა არის ჭეშმარიტება?.. ამ ორი შეკითხვის კერპთან მუდამ ხელაპყრობილი იყაყანებს ქვეყნიერება. ყველა საუკუნეს წინ თავისი ხატი მიუძღვება და ამ ხატის უკან ღაღადებენ დიდიდან პატარამდე: მე ვარ ჭეშმარიტება!.. ვინ იცის, იქნებ ეგ ოინებიც მოსწყინდეს ადამიანს და ისტორიის კორიანტელმა თავისი არნადებით გახვეტოს: თორები, მეჩეთები, ეკლესიები... რა დაემართება გამოყრუებულ კაცობრიობას?! მხოლოდ ჭრიჭინების სტვენა იმძვინვარებს.

– არა, მგონია, ხელოვნება მაინც იცისკროვნებს, როგორც ძლევამოსილი მეუფე, – გავამხნევე მეგობარი.

– ვაი, თუ ადამიანებმა მოიწყინონ, – ჩაფიქრდა პოეტი.

სწორედ ხილულმა ქვეყნის მოწყენამ შობა შეხერეზადას და კრიშნას ზღაპრები.

– დამიჯერე, ღმერთთან თამაში დიდი ხანია აღარ ენატრებათ ადამიანებს, ისე როგორც ბავშვებს ნაყიდი თოჯინა მობეზრდებათ ხოლმე.

– თუმცა, – რაღაც უნდა მეპასუხა, მაგრამ ენა დამება და ესღა აღმომხდა: – ეჰ, რა ვიცი!.. ამის თქმა იყო და მდინარის ხივილი შემოგვესმა.

– გაიხედე, ბეთანია გამოჩნდა! – მახარა მეგობარმა.

– რა დიდებულია! – წამოვიძახე აღფრთოვანებულმა, რადგან პირველად მოვკარი თვალი ქართული დიდების ძეგლს.

– ეს ის ტაძარია, – მანცვიფრებდა მგოსანი – თავის არსებობის სამხარზე უკვდავებათ რომ აღიკვეთა. შენ უნდა ნახო: როცა დილაადრიან მტრედების ფრთებით, ხევიდან ამოქნილ ნისლებსა ძახავს, როცა ციცრისფერი ალიონები სრიალებენ მის გუმბათებზე.

ასე აღტაცებული ჩემი მეგობარი არასოდეს არ მინახია. ტაძარს რამდენიმე ბერი მწყემსამდა. ერთი ბერთაგანი მამა ექვთიმე ღვთისნიერი მართლმადიდებელი სჩანდა, ის დაბრმავებული იყო თავისი რწმენით, ის აღავლენდა ლოცვებს ბინდისას, რაღაც მწველი სასოებით.

მამა ტიმოთესი კი რა მოგახსენოთ, მგონი მარხვასაც არ ინახავდა, დიდ აღებღამეს აბუჩათ იგდებდა. იმის გრძელი, როდინის ქვასავით სახე, ზაფრანის ფერი ნაგერალა წვერი, ჩხართვის მსგავსი მაცდური თვალები, ზღარბის ეკლებივით აბურძგვნილი თმა, გველაძუა გამოხედვა, კარგს არაფერს მოასწავებდა, მართლაც, რომ ანაფორაგადაცმულ ეშმაკის დასმული იყო.

დანარჩენი ბერები შუამთის მონასტრის დღესასწაულზე დატიშულიყვნენ.

ბეთანიის ტაძარი ავადმყოფი მწირივით სთვლემდა, თითქოს სიერცეებში გაჭრილ სამრეკლოების ქარავანს უკან ჩამორჩენოდა და გზააბნეული შეთქმულივით საუკუნეთა ტევრში გაჩხირულიყო.

ბერებმა პოეტის დედის ხსოვნას პანაშვიდი გადაუხადეს. ტიმოთეს ბუწუწებაქერცლილი ოლარი ყელზე ჩამოეგდო, წვივებამდე ძლივს რო სწვდებოდა. ფსალმუნის დაფაშრებულ და შავად გაქონილ ფურცლებს ჩქარ-ჩქარა შლიდა, სხაპა-სხუპით კითხულობდა, ამოისუნთქამდა მხოლოდ მაშინ, როცა მამა ექვთიმე „უფალო შეგვიწყალეს“ ებანებოდა. ტიმოთე გაფიცხებულ თითებით პირჯვარს ისე ისახავდა, თითქოს შუბლზე და გულის ფიცარზე ქავილი ავარდნიყო.

ხატები ტაძრის სარკმელში შემოჭრილ მზის ირიბ სხივს მისციებოდნენ, დაუსრულებელ პატიმრობით გამოთაყვანებულიყვნენ და ამაოების მწველ მდუმარებას ხავსივით შერწყმოდნენ.

შიშმორეული წმინდანები ტრაპეზიდან გვითვალთვალებდნენ.

ტაძრის მაღალ კედელზე გიორგი მესამის, თამარ მეფის და ორი ტომის ნაშიერის გიორგი-ლაშას სურათები კიაფობდნენ, კიაფობდნენ ქამთა სიავის ყურებით დაღლილები. ბუდეშურის ოდენა ცრემლები მარგალიტის დარად შექვავებოდათ მეფურ სამოსზე.

პარაკლისი დამთავრდა. გაჩირაღდნებულ კანდელზე საკმევლის სურნელოვანი კვამლი ირწეოდა. ანთებული კელაპტარი ღვთისმშობელს შუქს უფრქვევდა, მოღავებული ლოცვები ელვარებდნენ.

ტიმოთეს გასამრჯელო ვუბოძეთ, ეცოტავა და ტაძრიდან თოფნაკრავივით გავარდა. მამა ექვთიმეც უკან ტუსტუსით გაჰყვა.

ტაძრის ეზოში გაფოთლილ ხეების ქვეშ მლოცველებს თავი მოეყარათ,გაშლილ ნადიმს შემოსხდომოდნენ. ჩვენც მიგვიპატიჟეს.

– საიდან ბრძანდებით? – შეგვეკითხა ჭაღარა გლეხკაცი.

– ქალაქიდან! – ვუპასუხეთ.

– ჩვენი ტაძრის სანახავად ამოხველთ, თუ შეთქმული გქონდათ? – შეგვეკითხა თანგირა თამადა და, თან ღვინით გალიცლიცებული ფიალები მოგვაწოდა.

– სალოცავათ! – უპასუხა მეგობარმა.

– აი, თქვენი წიბო კი გახმეს, რა ვიცი ნაჭსტავლი ხალხი სუ იმას ჩაგვჩიჩინებთ: ღმერთი არ არისო! და, თქვენ კი...

– განა ქრისტე უმეცარი იყო? – შეეკითხა პოეტი შეზარხოშებულ მასპინძელს.

– არა, შენი ჭირიმე! – მოიბოდიშა თანგირამ – საწყენათ ნუ კი ჩამოგვართმევთ. რა ვუყოთ მერე, ჩვენს გლეხკაცობაში ცოტაა ურჯულო და რწმენადამშრალი?

ლეჩაქყურგადაგდებული მანდილოსნები შუბლის ქინძისთავის დარად იღიმებოდნენ, ხან დაუდეგარ და ასკინკილა მოთამაშე ბავშვებს აწყნარებდნენ: ფუფალა გაგიჯავრდებათო!

– მოდი ეხლა ქართული სიმღერა შემოვძახოთ! – მედიდურად ბრძანა თამადამ და თავკვერით გაწუწული ფარცხივით ულვაშები მარჯვენა ცერით მოიწმინდა.

ბერებიც ეწვივნენ უხვად გაშლილ სანოვაგეს. გაჩაღდა ქეიფი, ლხინი, შემოძახილი.

მეგობარი ყურში ჩამჩურჩულებდა:

„მხოლოდ ქართულ სუფრაზე შეიძლება სიამით ჩაბჟირება, ქართულ ნადიმზე მოსალოდნელია ისე უცაბედათ მოიკლა თავი, რომ მთვრალმა სიცოცხლემ თვალი ვეღარც კი მოგკრას; ისე მოგაყარონ მიწა, რომ სისხლით გალეშილი ყორანი ვერცკი წამოგეწიოს; აქ შეიძლება სასუფეველი მეწყერივით მოზვავდეს და შენი განვლილი ცხოვრება ქვეშ დაიტანოს; შეგზაროს, გაგთათხოს, გატიროს; ქართულ ზეიმზე შეიძლება შენი სხეულის აყროლებულ ბუნაგიდან ამოფრინდე და კამარების შრიალი ისუნთქო; მიატოვო შენი ოცნების ნიაღვრებისაგან გამოჭმული თავის ქალა და ცოტა ხანს მაინც ცისკარივით იციმციმო“. – ასე ჩამძახოდა ჩემი

ღვიძლი მეგობარი.

გლეხკაცობა კი, გაგიხარიან დროს ატარებდა.

მოსაღამოვდა. ნეშომპალა მიწის სურნელება იდგა. რცხილის, სოჭის, ნეკერჩხალის, მურყანის და წიფლის ხეებით ატეხილ მთებში ფრინველების ჟრიამული გაისმოდა, თითქოს ტყეს ეღარუნები შეესხა და სადღაც წასასვლელად ემზადებოდა.

ციყვივით მოუსვენარი ნიავი ღრუბლის ბღუჯას ფიჩხის კონასავით დაათრევდა კამკამა ცაზე.

ბერებმა, ორსართულიან სახლის აივანზე ჩრჩილისაგან დაცხავებული თექა გაგვიშალეს, ზედ გაწყალებული ფარდაგი დააგეს, გაქუცული ნაბადი და ქურქის დარი რაღაც მოგვიგდეს, ჩვენც დღიურ წანწალით დათეთქვილები დასაძინებლად მივწექით.

მთვრალი ბერები შიგნით ოთახში რბილ ლოგინში ჩაფუთვნულიყვნენ. ტიმოთე რაღასაც ოხუნჯობდა, მამა ექვთიმე კისკისით სულს ძლივს იბრუნებდა.

სამრეკლოზე მტრედების ფათური ისმოდა. ზენარი ზარები სდუმდნენ წირვებით დაქვრივებულნი, ასეულ წლებში მუდარით და რეკვით დაოსებულნი.

მგოსანმა ჩაიძინა. აივანზე მთვარე ფეხაკრეფით შემოჩერჩეტდა, ორიოდე თუნგი სინათლე შემოიტანა და, სიზმრებში გადაკარგულ პოეტს მოჰკრა თუ არა თვალი, უკან გატრიალდა, ტაძრის გამოხურულ კარებთან ჩაიცინა. ჩაიცინეს სარკმელიდან გამოჭყეტილმა წმინდანებმაც.

მომაგონდა მეგობრის ლექსის ნაწყვეტი:

ვარსკვლავის შუქში კრთის საკმეველი,
მთვარე სამყაროს სანათურსა ჰგავს,
და დედამიწა – ამ სარკმელიდან
ბარით გადმოყრილ ქვიშას და ნაგავს.

ბერების ტუტუნი კიდევ ისმოდა. ფიქრებით გავბეზრდი, მხარი ვიცვალე და ჩავიძინე.

როცა გამოვიღვიძე, სისხამი დილა ლაჟვარდებს ფარცხავდა, ჩემი მეგობარი უმმო, ნათბილარევი წამოჭრილიყო, გაზაფხულის კაკანათივით გაშლილ ხართუთის ძირს მიყრდნობოდა და სახეგანათებული გასცქეროდა გამჭვირვალე სივრცეებს. იქნებ წარმავალობის ლიტანიაზე აღგზნებულ მოციქულების ვედრებას სჭვრეტდა? ან, იქნებ ალიონების გასწვრივ ღამეების ნაკრძალთა ჟივილს ისმენდა? იქნებ ნამტირალევ ანგელოზების ნაფეხურებზე კითხულობდა თავის პირქუში ცხოვრების ქარაგმას? ვინ იცის, ვინა? რომელ განგებას ძალუძს ამოიცნოს ადამიანი!..

ექვთიმე პირდაუბანელი მომესალმა, უბის ჯიბიდან ამოღებული ნაწერი მომაწოდა:

– ეს ლექსი, თქვენმა მეგობარმა შარშანწინ მინახსოვრა.

– რატომ არ ვიცნობ ამ სტრიქონებს?! დავიწყე კითხვა. ბერი გულ-ხელდაკრეფილი მისმენდა:

გავხედეთ ალგეთს, ბოკრო ფერდობებს
ქეცად შეჰყროდათ გაჭრილი ახო,
მთები ხრჩოლავდენ ნაირფერებით
და ხან – ცხვრის ფარა კვარცხლბეკის ახლო.

ლორწო ფლატეებს სწოვდნენ კლდეები,
ფილტვებს ფურჩქნიდა სუნთქვის ყუათი.
მიწა გაირღვა, თითქოს ქვესკნელმა
ამოისროლა ტაძრის გუმბათი.

დავეშვით ქვევით და ბეთანიამ
ზურგი გვაქცია, ტყეს შეეფარა!
ცოდო არ გვქონდა, იცოდეს ღმერთმა,
ღობის სიწმინდეც რომ შეგვებღალა.

ხევში მდინარე შემოგვეფეთა –
შეწირულ ბავშვთა ცრემლები იყო.
ჩვენ მივდიოდით აღმართზედ ერთად,
რატომღაც ჩუმად, რაღაც უიღბლოდ...

აქ დანდობილა გლეხი სახრეზედ,
აქ შესწრებია ორშაბათ დილას,
ეხლაც კი ვამჩნევ ლაშას სახეზედ
ჯელალ-ედინის შემოკრულ სილას.

აქ გაუხსნია გული ღედოფალს,
თმებში ჩაუწნავს ბაფთის შაირი,
აქ თავის თათით ითხრიდა საფლავს,
მწყემს დაღუპული სოფლის ნახირი.

ჟამს ტაძრის კანი ისე დაუხრავს,
რომ გარეთ ჟონავს ჭაღის ნათელი.
ძლივს ვამშვიდებდით შემკრთალ მაცხოვარს
რჯულდაწყვეტილი ორი ქართველი.

აქ შეგეწირე ნეტავი ღედავ,
თავი დამედო და დაგეკალი,
ალბად ოღესმე წესს ამიგებდა
შავი ღრუბლების ცივი წინწკალი.

რო ეთქვათ ქარებს, მაღლი დედაშენს!
თან ღმერთს შესჭროდი საყდრების გლახა,
რომ ჩემი სისხლი, როგორც ზედაშე,
ქვევრში ჩაგესხა დაგეტალახა.

კედელზე სანთლის შუქი იჭრება,
სჩანს წმინდანებმა როდი მიგვიღეს,
რა გვეშველება წყეულ ნაბიჭვრებს,
თუ გზაც ავდრებმა გადაგვიტიხრეს.

დაუსუსხია ბზის ბუჩქი ჭინჭარს,
ქანდაკება სდგას აღთქმული მგზავრის.
ტაძრის ფუტურო ქერქში ჭრიჭინებს,
ვიღაც უძეგლო ხუროთმოძღვარი.

მათხოვარი ზის, როგორც ობობა –
მყარ ჯოჯოხეთის მოხდილი პკეა,
არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა,
ის თითქოს ჩიტებს აუკენკიათ.

აქ წარმართებიც მუხლებს იყრიდნენ,
როგორც ამბობენ დიდ გიორგობას,
თურმე, ამ ჯვარცმას რო უყურებდნენ
გვჭორამდნენ: ხედავთ კაცობრიობას?!

სამრეკლო იდგა მუდამ პირქუშად,
თუ დარეკამდი გაყრიდა ნაგავს.
სვეტიცხოველი ზურგით ზიდავდა,
თუნგში ჩამოსხმულ ქოთქოთა არაგვს.

აკლდამის ჭოჭში დახოცილთ ძვლები
ეყარა, როგორც მოჭრილი ფიჩხი,
გაღმა ბუდობდა: ძველი საბძელი,
და ალაგ-ალაგ ღვია და კვრინჩხი.

გზა სჩანდა ოდნავ, ხან ბექობს ზევით
ჰქრებოდა განცდა – გზნების მომგვრელი,
უკან ყმუოდა ხატის მიზეზით,
სახად შეყრილი ვარაზის მგელი.

ძნელია მუდამ გულდაძმარება,
კაცის შელოცვა ტლანქი მთქნარებით.
უსინანულოდ ვტოვებდით ტაძარს
უკანასკნელი ქრისტიანები.

ამ სტრიქონებში იმალებოდა ჩემი პოეტის განწირული ქვეყანა, ამ ლექსში ზედაშესავით ჩაასხა თავისი ბობოქარი ცხოვრების დასაწყისი, ოდესმე ამ ზედაშეს თვალებჩასისხლიანებული ქარიშხლები მოხდიან, ქურუმებივით შემოუსხდებიან გარშემო, გახედავენ ჯვარცმულ კაცობრიობას, ხელების ქნევით დაუძახებენ შემკრთალ მაცხოვარს და კივილით წამოფრინდებიან ისევ.

ტაძრის ფუტურო ჩუქურთმებში კი დიდხანს იჭრიჭინებს ვიღაც უძეგლო ხუროთმოძღვარი.

უკან ვბრუნდებოდით.

ჯერ ერთიმეორეზე შეკოწიწებულ ქედებს არ მოვფარებოდით, რომ ბერებმა ზარი ჩამოჰრეკეს. ზარის გადაჩეხილ ხმას ხევების და ღრეების გამოძახილი დაესია. გაფანტული ზარის ჰანგები დამფრთხალი შურთხებივით ინთქებოდნენ ფრიალო კლდეებსა და წოწოლა კვარცხლბეკებს შორის.

გზას ვიმოკლებდით. მთვარის ნაფეხურებზე როკავდა ვერხვების ჩრდილი. აღმოსავლეთის მთაგრეხილების მწვერვალზე აჩაჩხული ღამე ბურტყუნებდა. საიდანღაც მოისმოდა ურმულის ღიღინი. ბოყბოყა ხევში სახადშეყრილი მდინარე მოქშუოდა, მის თხელ ტალღებს შემოდგომის ფოთლებივით დაფარფატებდნენ უკანასკნელ ქრისტიანთა სინანული და დამშვიდობება.

მახლობელ მუხის კენწეროზე ონავარი ჭოტი ავგაროზი დედაკაცივით კიოდა. „ჩაგიწყდეს ხმა!“ – გაღმიდან გამოსძახოდნენ ჭრიჭინები.

ბარში ვეშვებოდით. აღარ მოსჩანდა ბეთანიის ლაქვარდები, აღარც შეწირულ ბავშვთა ცრემლების მდინარე, აღარც დაყურსული ტაძარი, ის თითქოს გზად მიმავალ ბეღურებს აეკენკათ.

## ძ ე

*მთვარის ირიბ შუქზე*
*დააცურეს ის შადრევანი.*

საზაფხულო თეატრის ბაღისკენ მივიჩქაროდი. მყვირალა აფიშები იუწყებოდნენ: დიდი კონცერტი, სახელგანთქმული მომღერალი, ვიოლინოს დამკვრელი, იჩქარეთ, ნახოთ!.. მეც ცნობისმოყვარეობის ფერხულში გარეული და სამეჯლისოდ გამოწყობილი ბაღის მესერს ვუახლოვდებოდი, მით უფრო, რომ ჩემი მეგობარი მელოდებოდა, ვიღაც ნაცნობთან ერთად.

– იცნობდეთ გრიგოლ დავითის-ძეს! – მომმართა მეგობარმა.

– დიდად სასიამოვნოა! – მივესალმე ათასჯერ დატკეპნილი თავაზიანობით და ხანდაზმულ უცნობს ხელი ჩამოვართვი.

– იმას მოგახსენებდით, – განაგრძო გრიგოლმა, თითქოს ჩემი მისვლა მაინც და მაინც დიდად არ ეჭაშნიკა, – სიყრმის ხანზე მეც ვწერდი სატრფიალო ლექსებს, რომ დავითვალო ცხრაასამდე მოგროვდება, მარტო ერთ ბანოვანს ორასი სონეტი მივუძღვენი...

– დანარჩენი? – განგებ შეეკითხა მეგობარი.

– დანარჩენი?.. ბუნებას, ცხონებული მამაჩემის ხსოვნას, ზოგი ალხანას, ზოგიც ჩალხანას. საერთოთ უნდა მოგახსენოთ, რომ ცხოვრების აღწერა მიყვარდა.

თქვენი ლექსის ერთი ნაკვესი მაინც მოიგონეთ, – სთხოვა მგოსანმა.

– ძალიან გაგვახარებთ. – მეც ჩავეჩხირე.

– ეს ლექსი მიყვარდა, თუმცა კარგად აღარ მახსოვს:

ეგ შენი სახე გაზაფხულია,
ო, შენი სახე,
სახე შენი,
თითქოს ცის კიდით
გაფარჩხულია.
მე შენ განახვებ, თუ არ დამლახვრავ,
ჩემი გული,
    როგორ
    შიშინებს.
შენ გიმღეროდი
    სპარსულ
    შიქასტებს!..

მოხუცი შეჩერდა და ყურებდაცქვეტილებს უცბად მოგვახალა:

– ბოდიში ყმაწვილებო, ვეღარ ვიგონებ! – მაღლა აწეული მარჯვენა ხელი, ისეთი ამბით ჩაიქნია, თითქოს დიდი განძი დაჰკარგოდეს.

– მშვენიერია, რაც წაიკითხეთ! – წამომცდა, თუ წარმოვსთქვი, ეშმაკმა უწყის. მეგობარს გადავხედე, მოწოლილ სიცილს ძლივს რო იჭერდა ქვედა ტუჩის კვნეტით.

– ო, რა ქლესა ხარ! – ჩუმად ჩამჩურჩულა მგოსანმა.

– ლექსების წერა მალე მომყირჭდა, – ბუყბუყებდა გრიგოლი, – მეცნიერებას მივაშურე და დღეს ღვთის წყალობით გეოლოგი გახლავართ. აბა ერთი მითხარით, რომელი ლექსი შეედრება მიწის წიაღში აღმოჩენილ ქვანახშირის ზოდებს, სპილენძის მადანს, ჭაბურღილის ჩაძვრომას

ნავთის ზღვაში?..

– საგულისხმოა, ვაჟა-ფშაველა რამდენი ოქროს მისხალი ეღირება? – ჩავუნისკარტე გეოლოგს.

– თქვენ, როგორც გეტყობათ, – შემომიბღვირა აპილპილებულმა მოხუცმა, – მასხარობის გუნებაზე ბრძანდებით!

– მომიტევეთ, ჩემო ბატონო! – მოვიბოდიშე.

– ჩვენში დარჩეს, – არ ცხრებოდა გეოლოგი და მიმართავდა პოეტს, მე ხომ ძაღლათაც არ მაგდებდა, – პოეტები მეცნიერების ლამპარს ქინქლებივით აწყდებიან. იცოდეთ! მოვა დრო და სიტყვაკაზმული მწერლობა ფიზიკის, ასტრონომიის და, თუ გნებავთ, გეოლოგიის უბრალო ქრონიკაღა იქნება.

– მართალი ბრძანდებით! – შევძახე.

– ცამდე მართალი! – განზრახ მიეკურკურა მეგობარიც, – ასე სჯობიან, თორემ ათასხუთასი წლის სიცოცხლე გამოგიღამდება გრიგოლის მზგავს მაჯლაჯუნებთან კამათში. რეგვენს ზოგჯერ ყური უნდა წაუყრუო. ზოგიერთ დოყლაპიას ძალაუნებურად უნდა მიუალერსო, თავი უქნიო, ხელი როდი უნდა აუკრა, ეს საძრახისი როდია, არც თავის დამცირებაა. უმეცარი ადამიანის გულს ვერასოდეს მოინადირებ. ათას დამთხვეულს რას გაუმკლავდები, ანდა როგორ მოიმადლიერებ. განა რამდენი ხანი უნდა იცოცხლო, რომ ყველას სამაგიერო გადაუხადო ამ ქვეყანაზე?

ვინ იცის, კიდევ როდემდის გაგრძელდებოდა ჩვენი ულაზათო ბაასი, რომ თეატრის მეორე ზარი არ აწკრიალებულიყო. ხალხით გაჭედილ დარბაზში ჩვენს სავარძლებს მივაშურეთ. სულ ახლოს, წინა რიგში ახალგაზრდა მანჭია ქალები ისხდნენ, ხმამაღალ ლაპარაკზე ეტყობოდათ აგარაკიდან ეხლახან დაბრუნებულიყვნენ, მზისგან ნაძალადევათ აეტრუსათ სახეები, ისე დაენახშირებინათ კისერი, სახე და ხელები, რომ ზომიერ სარტყელის მობინადრეებზე მავრიტანელების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. აგარაკზე, ზოგიერთი წესიერად როდი ისვენებს, სხეულს სტანჯავს და მატაოცობს.

ფარდა აიწია. სცენაზე ორთვიან ხბოსავით გამოიკუნტრუშა მოთადარიგემ, ორიოდე მოსწრებული სიტყვით კლანჭი გაჰკრა მაღალი საზოგადოების ფენას, მსახიობებსაც გადასწვდა... როცა ხალხმა გადიხარხარა, ეს იყო იმის ბედნიერება. გვაუწყა ზანგი ქალის ვინაობა, მართლაც გულს ჩასწვდა შავკანიანის ხმის სინარნარე, იმის სევდიანი სიმღერა სამართლიანად ემღეროდა თეთრკანიანების საუკუნოებრივ უსვინდისობას.

სამწუხაროთ, ჩემი აღტაცება წალეკა ზანგის საქციელმა: უნდა გენახათ, სიმღერა რომ დაასრულა, რამდენჯერ მიიმალა სცენის იქით. ის

ხალხს ტაშის შენელებას როდი ემუდარებოდა, პირიქით, გახანგრძლივებას; გულზე ხელებმიბჯენილი, თეთრ კბილებგადმოყრილი, თავს რიდებით გვიკრავდა; თან ნელ-ნელა უკან-უკან იხევდა და უცბად შიგნითა ფარდას ისე მიეფარებოდა, რომ გრძელი ქვედატანის ქობას, – ფარშავანგის ბოლოსავით რო დასთრევდა იატაკზე, თვალს ძლივს მოვკრავდით ხოლმე. თადარიგის დამჭერი დიდ გარჯაში იყო, კულისებში შევარდნილ მომღერალს ხელგაშვერილი ეხვეწებოდა: გამობრძანდით, პატივი დაგვდეთ, დარბაზი დაანგრიეს! თითქოს ზანგის დედაკაცი დიდ უარზე გახლდათ, მაგრამ შეატყობდა თუ არა მომღერალი, რომ ტაშის პარტყუნი და ავზნიან თაყვანისმცემლების ფეხების ბრახა-ბრუხი იატაკზე მიწურულშია, მყის სცენაზე შავი ქათამივით შემოფრინდებოდა და ხალხიც ზვავდებოდა. რა კარგი იქნებოდა, რომ თეატრში ამდენი თვალთმაქცობა არ ყოფილიყო. თუმცა ხელოვნებას თვალთმაქცობასთან, რაღაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული,არა?..

მოვისმინეთ ვიოლინოს დამკვრელი. პაგანინის ნაწარმოებს ასრულებდა, მგონი იმ მგზნებარებით, იმ ზეგარდმო ნიჭით, იმ სასოებით და ისეთივე გულის ფანცქალით, როგორც უდიდესი შემოქმედი.

პაგანინი ხომ გავარვარებულ მუგუზალივით დაიფერფლა თავის ჯადოსნურ საკრავთან, ის სიცოცხლეშივე გადაიწვა. სიკვდილი მხოლოდ თავაზიანობის გამო დაესწრო მის დასაფლავებას, იმის ცხედარს განმარტოვებული ნამქერი მიუძღვოდა.

ამბობენ: მუსიკამ შობა ქვეყნიერება! ვინ იცის? აი, კიდევ რას იძახიან: როცა სამყაროს აშენებდნენ, ხუროთმოძღვრები თურმე დაიქანცნენ, ხელები დაუდუნდათ, ამ დროს ცის ოთხივ კუთხით მუსიკის ჩანჩქერები აგუგუნდნენ, ყველას ძალ-ღონე გაუორკეცდა, საწუთროს მოჩუქურთმება დაამთავრეს და ჭერი ჰანგების დუღაბით გადახურესო. იმასაც დასძენენ, რომ ვარსკვლავები მოქანდაკეთა ცრემლებიაო.

მუსიკამ შეიტყუა ადამიანი დედამიწაზე. მუსიკას შესწევს უნარი ადამიანის დამყაყებულ სულიდან გამოხადოს სიხარულის უშრეტი სურნელება.

ჩვენი დედამიწა სინათლით დატოტვილ უდაბურებაში, რა კარგი საკონცერტო ადგილია, მაგრამ, ეს ოხერი რამდენმა მოდგმამ ისე უფერულად ჩაიარა, ისე უშნოდ იტორღიალა, რომ ერთი სალამურიც არ დაუკრავს, სტვირიც კი არ ჩაუბერია.

კონცერტი დამთავრდა, ხალხი აიშალა.

კმაყოფილი გრიგოლ დავითის-ძე, რომელიღაც მიყრუებულ ბინაზე მივაცილეთ. გვთხოვა: კვირაძალზე მასთან შეგვევლო.

– საიდან გადაეყრები ხოლმე ამ ფუყე ჩიფჩიფებს! – ვუსაყვედურე

მეგობარს.

— ამას წინათ, — მომიყვა მგოსანი, — ნაცნობ ოჯახში გავიცანი, მას აქეთია გადამეკიდა: გინდა თუ არა სიცოცხლისაკენ უნდა დაგაბრუნოვო!

— ნუთუ არ გენიშნება? — ჩემი ნართაული მეგობარს არ ესიამოვნა. შევატყე, რაღაც მოიწადინა.

— ჯერ ადრეა, სულ ახლოს მშვენიერი ბაღია, წავიღეთ და ცოტახნით იქ დავისვენოთ.

ამის გაგონებაზე ცივი წყალი გადამესხა. ადრე კი არა, საცაა ალიონის შიკრიკები გამოჩნდებოდნენ.

— ჩემი ჯავრი ხომ არა გჭირს? — მოდი ხვალისთვის გადავდოთ! — ვთხოვე გულშემოყრილმა.

— აი, ხომ ხედავ? არასოდეს კაცს მხარს არ დაუჭერ, წყალი ხომ არ ამოგივა, წამომყე, რა მოხდება?

რაღას გავაწყობდი. წავჩანჩალდი მუხლებმოკვეთილი.

ბაღს მივაღწიეთ. შადრევანი ღუღუნებდა, ფერად წინწკლებით ცახცახებდა, ხმაგაკმენდილ ჩრდილებთან კენჭაობდა.

შქერით და ლოტოსებით შემოყრილ აუზში ორი მთვლემარე გედი განაბულიყო, ნისკარტები ფრთების უბეში ამოედოთ და ბედნიერ სიზმრებს მისციებოდნენ.

— ჩემი „გზათვალალობა“ უნდა წაგიკითხო! — მითხრა მგოსანმა.

— მხოლოდ ხმადაბლივ, თორემ ვინმემ რო ყური მოგვკრას მტკნარი გიჟები ვეგონებით! — გავაფრთხილე დიდის ამბით.

— რისა გეშინიან? თუ შეშლილებად მოგვნათლეს, მე შენ გითხრა, ხვალ მზე აფეთქდება! — დამიტატანა.

— შენი არ ვიცი და ახლა მე მკითხე...

— კარგი, მისმინე!..

საღამო ხანი ზარებსა რეკდა,
ჟრუანტელს ჰგვრიდა ცას ხმის სიამე.
ის, კი საკუთარ ცრემლებს კრიფავდა,
რომ არ ენახათ ადამიანებს.

მინდვრებს, გორაკებს, ნისლი სცემდა ფრთებს,
რომ პირქუშ მგზავრებს გზა არეოდათ,
ის უძახოდა დაღლილ ფრინველებს,
და ბანს სამყაროს კლდე იძლეოდა.

გაჩერდი, კარგი, დროა გატვრინდე,
გზების სიმუნჯე მაინც იკმარე!
ის ბნელ გრიგალებს კიდევ უსტვენდა:
„უთხარით მიწას თუ მიმიკარებს?..“

ეს შარა, ეს დღე სად შემოკლდება,
რა დალევს მგზავრის მდორე ოცნებას...
ჩემი სიმღერა და უკვდავება,
ალბათ, ჟამს შემდეგ ეცოდინებათ.

თუ მოგერიოს ოდესმე ცრემლი,
წყევლისფრად სავსე უსაზღვროებავ,
გადამირჩინე, თუ გინდ ის მრევლი,
ვინც აღავლენდა ჩემს მყუდროებას.

ვიცი იტყვიან: რომ ბნელ ღამეებს,
ის რიჟრაჟებმაც ვერ გამოჰგლიჯეს,
ბედნიერებას სთხოვდა ნაპრალებს,
და სულელივით სთვლიდა ნაბიჯებს.

ის ერთხელ ნათელს გამოჰყვა ზიზღით,
სოფელს წააწყდა, ავდარი იყო,
წინ დაეხედა თურმე ნუ იტყვით,
ეს დედამიწა გამომდგარიყო!

და შერეოდა ისევ ღამეებს...
ღღე და გამჩენი წყევლით აეკლო.
აქ კი ყმუოდნენ თეთრი ძაღლები,
და მოწყენილი იდგა სამრეკლო.

ლექსის წაკითხვას თავისი მრწამსი, ამინდები და გარემოცვა სჭირდება. თუ ჩიხირთმით გატყვრები, ტახტზე კერატივით წამოგორდები, ფეხებს კარადაზე შეაწყობ, თან ყირამალა დაიჭერ შემოქმედის წიგნს, იცოდე, ამ დროს სტრიქონები ფეხმოტეხილ წიწილებივით აიბუზებიან და წივილ-კივილით გულს ამოგიჭამენ.

განა ტყის მცვრიანი ნისლები იმ სიამოვნებას მოგანიჭებენ, რასაც მთის მწვერვალებზე გგვრიან, რომ ხვალ მტვრიან ქუჩებში შემოიჭრნენ?

ამიტომ, პოეტი არ უნდა კითხულობდეს საკუთარ ნაწარმოებს იქ, სადაც დაუსტვენენ, არა!

პოეტის ცხოვრება,მოსარეცხე დედაკაცის,ანდა ტილი პუჭურას ამქრების თავგადასავალი როდი გახლავთ. იქნებ აქ მოსატანიც არ იყვეს, მაგრამ რახან სიტყვა ჩამოვარდა, გეტყვით. აი, ერთხელ ჩემმა მეგობარმა რა მითხრა:

„რომელიმე მწერლის გვერდით რომ ვიცხოვრო, ვერც კი წარმომიდგენია; იცი რა მძიმეა, როცა პოეტს პოეტი გითვალთვალებს; ისინი ერთიმეორეს იშვიათად უნდა ხვდებოდნენ და არა წარამარა; ისინი ერთმანეთს წამდაუწუმ თვალში როდი უნდა ეჩხირებოდნენ; პოეტი, მწერ-

ლებში ნიადაგ ჯარასავით არ უნდა ტრიალებდეს, როცა შემოქმედი იკეტება თავის სენაკში, ის დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ ყურადღებას არავინ არ აქცევს; მაშინ ასკდებიან შენს ფანჯრებს მხატვრული სიტყვის ბეღურები, როცა მარტოდ დაგიგულებენ; შენს გახსნილ მკერდთან ამ დროს ზუზუნებენ ამოხეთქილი მწველი ფიქრები. თვითეული სიტყვა ანთებულ სანთლის შუქს წააგავს, სიტყვების ულოთი უნდა შეჰკრა სტრიქონების ძნა, რომ პოეზიის ზვინი ამართო. პოეზიის მტევნები შენი მხურვალებით უნდა დამწიფდნენ შენივე გულის ღადარში. შენი სისხლი და სასოება უნდა შეაზავო.

ზოგიერთმა ქართულმა სიტყვამ იცის: წინ მწყერივით წამოგიფრინდება, აი, თუ ბიჭი ხარ, მოასწარი ჩაიწერო გაფრენილ ჩიტის სიმღერა და თუ დაიჭერ ეცადე შეგეჩვიოს, რომ იჭიკჭიკოს. ყველა პოეტური პწკარი შენი კვირტებია, შენი თრთოლვის ნაკადულებით რო იფურჩქნებიან.

ბედნიერია ის მგოსანი, ვის გამთბარ გულშიც ხოხბის ყელივით ქართულ სიტყვას საბუდარი ჰქონია, სადაც პოეტური მეტყველების ბარტყები გამოჩეკილან და შენი ნაოცნებარი, შენივე სხეულის სანათურების ციმციმზე აუკრეფიათ; ვისი გაყინული სუნთქვა აღტაცების გაზაფხულს აუმღვრევია და ფიქრების ლეღმას დათოვლილი ზმანება შეუთქორია; ვისაც გულის ეტში, თავისი ზრახვები როდი გაღოჯებია, ზოგიერთი ლიტერატურული მკვლევარების ბღვერივით.

ხანდისხან სივრცეების გასწვრივ ჩამორეკილ ზარის ნიაღვრებს მერცხალივით უნდა ჩაუქროლო.

შემოქმედი გონებადაკარგვამდე უნდა ყვარობდეს ლექსის სიმღერას; ყოველი ლექსი გულის კურთხეულ სისხლში ბარძიმივით უნდა იყვეს ამოვლებული. რა ნეტარებაა, როცა გულის გორგალზე ბრწყინავენ ამოხვეული ქარვის სტრიქონები და გვირისტშემოვლებული რითმები. შემოქმედების ცეცხლმა უნდა მიგიტაცოს, რომ იქ დაიწვე და დაიფერფლო. შენს ვენახში ქართული ლექსიკონის რთველი რომ მორჩე, შენივე განცდების საწნახელში დაწურე, შენივე შთაგონების ქვევრში ჩაასხი და არ ამორწყო სანამ კარგად არ დამაჭრდება და შენი ფიქრებიდან ფიქრებში ერთი ორჯელ მაინც არ გადაიღებ.

პოეტი შემოქმედების ჟამს შეიძლება პირდაუბანელიც, თმებგაჩეჩილიც, სელის სკამთან მიგდებულიც სწერდეს, იცინოდეს, სდუმდეს, დარდობდეს, შუაღამისას საცვლების ამარაც წამოიჭრას, პოეზიის ქურა დაანთოს და კალამს ეცეს.

ხშირად გული მიკვდება, მისივდება, როცა ვუცქერი შოთა რუსთაველის გავრცელებულ სურათს: ქულაჯაში გამოპრანჭული კაცი ზის, თავზე

სადღესასწაულო ფაფახი ახურია, სახე გაშეშებია, ტუჩები ფერუმარილ-წაყრილ დედოფალივით მოუპრუწია, ხელში ჩხირივით მიუჩეჩებიათ ბატის ფრთა, წინ გადაშლილი წიგნი უძევს, თითქოს თუნუქის ფირფიტები ეყაროს!.. ნუთუ ქართველი გენია, ასე გამოწკეპილი და ტანგაფშეკილი სწერდა:

„ვა სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?!“

არა! ის სურათი სასიქადულო რუსთაველის სახეს არ ეკუთვნის, ის ვიღაც უბადრუკ მღებავის ნაცოდვილარია, ანდა მოცლილ დიასახლისის უმწეობაა ჟინჟღილებიან დაირის ტყავზე. ეს იმის საწინდარია, რომ ბეთჰოვენი რომელიმე საკრავთან კომბალივით მიაყუდო, რა ნაყოფს მივიღებთ ასეთ ფერწერიდან? მხოლოდ მუსიკალური მაღაზიის ნოქარს და არა ღვთაებრივი ჰანგების მფლობელს.

ქაღალდზე დაცემული დიდი შემოქმედის სისხლის წვეთი გერჩივნოს, უნიჭო ადამიანების აჭრელებულ თაბახებს.

შხამიანი სოკო ბროწეულის ყვავილს ვერ გამოისხავს და ციყვი იადონივით ვერასოდეს ვერ იგალობებს, თუ გინდა ადამიანებმა მთელი მთიები ფეხქვეშ ამოიდონ!.. და მარიხი კი არა ასპიროზიც გადინადირონ. არც ისა მწამს, როცა მხატვარი მინდვრის მცენარეზე, ყვავილებზე ნადირობს და შიგ კი ერთი ნამყენი ვარდიც არ ურევია.

მგონია, ბევრი მწარე სიმართლე იყო ჩემი მეგობრის ანარჩევ, სულით შთაბერილ ნაამბობში.

შადრევანს, თითქოს ჩვენთვის დაეგდო ყური, მახლობელ ქალის ქანდაკებას მკლავებში ჩქმეტავდა, რომ არ ჩასძინებოდა და თავის აწყვეტილ წვრილი წყლის ღეროებს ღამის მნათობის სინათლეზე ყელავდა.

ნაკადულთან ციცინათელები ისე კიაფობდნენ, თითქოს ხეებს ცრემლები სცვიოდათ, თითქოს მთვარის პატარა, ამოფეთქილი შუქი მოწანწკარებდა.

ბაღს ვშორდებოდით ღამის თევით დათეთქვილები. თავდახრილი ჩრდილები ბიბინა ბალახზე ამოსულ ცვარ-ნამს იკუკნებოდნენ.

შორიდან ჰოტროველა ვერხვების დაგუბებული ხარხარი შემოგვესმა, ალბათ ჩვენზე ჭორაობდნენ, თუმცა რა გვქონდა გასაქირდავი. სადღაც კლდემოფარებულ წუთისოფელში, ვიღაც მგზავრი სოფელს წასწყევტოდა. ძაღლები ყმუოდნენ. მოწყენილი სამრეკლო დაუპატიჟებელ სტუმარს მიშტერებოდა.

გზათ თვალი მოვკარით, რომ ასწლოვან კაკლის ხის დატოტვილ ფოთლებში ბუ შეფრინდა, თითქოს ნახევარი ღამე თავის ხორთუმით

შიგ შეითრია.

გათენებამაც მოატანა ჩიტების ჟღურტულით, კარგად ინათლა. მთის მწვერვალებს მზემ ხელები სტაცა. დილის ნიავი მახლობელ ხეობის ზევით აბურძგვნილ ნისლებს ართამდა, თუ ტყის მძარცველისაგან დაკოდილი ხეები კვნესოდნენ და იმათი მდუღარების მქრალი ოშხივარი იყო?..

*როგორ მიწყნარდა ჟუჟუნი ბედის...*

კარგა ხნის ჩასული მთვარის შუქი ერთიანად დამშრალიყო მაღალ და ღრმად გაყვანილ ღრუბლების არხში.

ქარის ჭიდილისაგან მოქანცული და არაქათგამოლეული ხეები ერთიმეორეს მიჰყუდებოდნენ.

ჩამიჩუმს არღვევდა ხნიერი ცაცხვის ხის შრიალი, მგონი ლოცულობდა.

ცაცხვის ძირში ორი მეგობარი ჩამოჯდა.

– რას უწოდებდი ბედნიერებას? – შეეკითხა პირველი.

– ის, რაც უბედურებით დამთავრდა.

– თუ კიდევ გახსოვს შენი სიყრმის დღიური?

– იქ თვალებია, ბაღი, შეხვედრა და ვნებიანი სითბო შენი ხელების. ჩვენ ხომ გაფრენილ ბედურებს ვგამდით და ტოროლებით დახუნძლულ ნისლებს, ხომ გახსოვს, როცა:

მელოდებოდი ფოთლებთან ერთათ,
თხელ სივრცეებში ხედავდი ბილიკს,
თან ყურს უგდებდი ქარის სიმღერას
და წუთისოფელს სულ ხმა გაკმენდილს.

ის, აღარ მოვა, რადგან სისხამზე,
ჩვენ ვნახეთ დამეს რო გაეტირა,
შენ ასე გითხრეს ამხანაგებმა
და კულულებზე ყვაოდა კვირა...

ჭაბუკს ხმა წაუვიდა. სიჩუმემ ორივე გაიტაცა წარსულისაკენ, იქ, სადაც ბურუსივით მოგონებები მარმარილოს სვეტებივით შექვავებიან ბედის სიწყნარეს, იქ, სადაც ოდესღაც სწერდა პოეტი: ო, ეს სიცოცხლე, ნეტავ როდის გამომნელდება...

ცაცხვის ხე შიშისაგან ისე კანკალებდა, თითქოს უღრანი მთების ზვავის ხმა იმის ქერქში ღამეს ათევდა. გარინდებული მეგობრები დაღმართს ჩასდევდნენ.

ამოვარდნილი გრიგალი ღრუბლებს სადღაც მიერეკებოდა. ვარსკვლავების ციმციმა ჩითილი გამოჩნდა. ბოროტი ქარი არც ამ უსაზღვროების ნარგავებს უსვენებდა, ხან ამოუწევდა გახამებულ შუქს, ხან ჩაუწევდა და ისე ჩააბნელებდა ხოლმე მთელ არემარეს, რომ ორი სულდგმულის ლანდი კი არა, ხეების ჭაჭანებაც აღარსად სჩანდა.

ნაძვის ხე, საიდანღაც გასძახოდა ალვის ხეებს: რას ჩაძმარებულხართ?! ზევით აიხედეთ, გუშინ მზეს რამდენი ქვირითი დაუყრია – შეხედეთ, რა უამრავი ვარსკვლავებია!..

თავაწეულ ალვის ხეებს, რაღაც უნდოდათ ეთქვათ, მაგრამ თავმოშიშვლებული ქარიშხალი შორიდან უტევდა: ხმა ჩაიკმინდეთო!

## ძ

*დანდობილას ჰკრეს ხელი*
*და მერე რა უღმერთოთ.*

მანანა ცქრიალა, მიმზიდველი გოგონა იყო. მშვენიერი სახის ნაკვთებით, თითქოს ორბელიანთა ამორძალების სინარნარეს ამოეფრქვია. იმას ტოლები ეძახოდნენ ლამაზ ხათუნას, განა განგებ, განა ყასიდათ, ის გუფთებში გაშლილ ნუშის ყვავილების კუნწულას ჰგავდა.

მანანამ იცოდა გაფითრება თეთრ ზამბახებზე უფრო მეტად, იმას ხშირად ვარდებიც ეტიტინებოდნენ.

მანანა მტრედის სიზმარსა ჰგავდა. ის, ჩემს მეგობარს ეტრფოდა, პოეტი კი ყარყარა ხათუნას. ასე გრძელდებოდა არნახული ბედნიერება, სიცოცხლის ფერდაზე ერთხელ რო ამოდის, ერთხელ რო იფურჩქნება და მის სურნელებას ფუტკარივით რო დაბზუიან გამიჯნურებული ადამიანები.

თიბათვის ნამიანი, ახლად გათიბული ბალახის სუნივით საღამო ჩამომდგარიყო. ჩემი მეგობარი მახლობელ დასტაქარს ესტუმრა, რადგან დიდი ხნის უნახავები იყვნენ, საუბრის თილისმა არ ელეოდათ.

ვიღაცამ დარბაზის ზარი დააწკარუნა. ექიმმა მეგობართან ბოდიში მოიხადა და ალისფერ ხავერდის ყდაში ჩასმული სურათების სქელი

რვეული მიაწოდა.

– სანამ ავადმყოფს გავისტუმრებ, სურათების ნახვით გაერთე.

– მადლობთ! – უპასუხა მგოსანმა და, მარტოდ დარჩენილმა რვეული გადაშალა. ხელში მოხვდა რემბრანდტის „ქრისტეს ჯვარიდან გარდამოხსნის“ ფოტოასლი. ამ სურათით რემბრანდტმა თავისი ცხოვრება დახატა, ისიც ხომ ჯვარს აცვეს ამსტერდამელმა ვიგინდარებმა.

მაგრამ შთამომავლობა, გარდა ორიოდე ადამიანისა, ოდესმე დაფიქრებულა დიდი ხელოვანის გამწარებულ არსებობაზე? არასოდეს! თუმცა, რა საჭიროა, ხალხს ისედაც უამრავი თავსამტვრევი და სატკივარი გააჩნია.

პოეტი სურათებს შლიდა. უცბად თვალი მოჰკრა ნაცნობი ხელით დაწერილ ბარათს, ელდამ შთანთქა მოსაზრების ნიშანწყალი.

პოეტი გარინდებული უცქეროდა ნაცნობ სტრიქონებს. ყრუდ დაიკვნესეს სიყმაწვილის მჩქეფარე მდინარესთან მუხლმოყრილმა დღეებმა.

აშრიალდა ფანჯარასთან მომდგარი ალვის ხეც და ფოთლნარა ტოტების ქნევით ძახილი დაუწყო ამღვრეულ სიცოცხლის ფონზე მიმავალ ლანდებს.

ნდობისა და ნუგეშის ციალმა უკანასკნელი მშვიდობა უთხრა დაღვრემილ პოეტს.

„სანამ ეს გული სცემს, სულ შენთან ვიქნები, ჩემო კარგო მეგობარო! მე ხომ მუდამ შენს გზას გავცქეროდი...“

მანანა ამ ხვაშიადს ხომ ოდესღაც მგოსანს სწერდა... ახლა კი... ნუთუ, ეს ოხერი, ყველაფერი ქინის მოკვლაა ამ ქვეყანაზე? დაგელოცოს ღმერთო სამართალი!

ვერაგობამ გაღიხარხარა. მგოსანს ტანი აუჩქროლდა და მიმოზების კათხას მიაშტერდა. ჩემი მეგობრის ალალი გული იწოდა მანანას ნაჩუქარ გიშერთან ერთად.

ხათუნასთან გატარებული საღამოები, სადღაც ბუჩქის ჩრდილივით განაბულიყვნენ.

საყვარელ ადგილებს გამოთხოვების ჯანღი ეტანებოდა. ჩუქურთმები სცვიოდათ ხსოვნებს.

პოეტი მეგობარს ემშვიდობებოდა.

სახტად დარჩენილი მასპინძელი მოკრძალებით აცილებდა ჩათუთქულ სტუმარს.

კოპწია მანანა კი, უსურვაზით, ნარგიზებით და ყელყელა იასამნებით ალეწილ აივანზე შარლ ბოდლერის „ბოროტ ყვავილებს“ ფურცლავდა. რატომღაც ხანდისხან ნაბავდა თვალებს.

ბილწი სიცოცხლე მეძავი ქალივით კისკისებდა მწვანე სუროს ჩრდილებით დატვიფრულ მარმარილოს გამჭვირვალე მოაჯირზე.

მეორე დღეს, მანანას სასთუმალთან, ჩინური ფაიფურის ლარნაკზე მკვდარი ჩიტივით ეგდო პოეტის დარდი:

შენ გიგროვებდი მთვარის ბულულებს,
ღამე თრთვილამდა გამოწვდილ ხელებს,
ნეტავ, რათ ვრგავდი შენს კულულებში
რუზე შუქშემკრთალ ციცინათელებს?!

რათ გიყვებოდი მოქარგულ ზღაპარს,
სადაც სიმღერა ჟრუანტელს ერთვის...
შენ ღვთისმშობელმა ხელით გატარა,
მე კი სიზმრები მომქონდა შენთვის.

თეთრკაბა იებს რათ წასკდათ ცრემლი,
იქნებ მოსწყინდათ ჩვენი ფერება?
გარეთ ქარი დგას ფეხის ცერებზე,
უკან რათ იხევს ბედნიერება?..

რატომღაც მინდა, კიღევ ვემთხვიო,
ოდესღაც ჩემსკენ გამოწვდილ ხელებს
საფლავად მკერდი ამოუთხარო,
შენს თმებში მოკლულ ციცინათელებს.

ასე განუკითხავად ფეთქავდნენ პოეტის ფერწასული დღეები.

ლექსის ბოლოს ორიოდე წარწერა კიაფობდა: „რა ვუყოთ მერე, ჭირიმე შენი! რა დამავიწყებს ფარვანას ფრთებზე გადაწერილ შენს მწველ სიმღერას...“

იქვე ხელუხლებელი ლექსი ქვითინებდა, როგორც გაქვავებული ტრფიალი:

წუხელის შენი სიზმრები ვნახე,
ლივლივა ტბა და ნავი, მგოსნები,
გადაბურული პალმებით ღამე
და ოდნავ სველი კიპარისები.

რო დაგეძებდი ფოთლები მიხვდნენ,
მითხრეს, ვარდებმა კოცნით დაღალეს,
ძლივს ჩაეძინა, მტრედებიც დასხდნენ
და ნისკარტები ფრთებში დამალეს.

გულხელდაკრეფილ ძეგლებს ეღვიძათ,
წარწერებს შლიდა შადრევნის ცვარი,
ხეებს სიბნელე ძლივსღა ეჭირათ,
ჰქუხდა ჩანჩქერი – ბაღების ზარი.

ინათლა უცბად, ამწვანდა არე,
აგრილდა, ხის ქვეშ გაჩნდნენ ჩრდილები,
მე ვნახე შენი სიზმრების ღამე
და რო გივლია ის ადგილები.

მანანას სახლის აივანზე სიჩუმე სუფევდა. ნიავზე დაბუდული ხეები ხანგამოშვებით კაკანებდნენ.

„ბოროტი ყვავილების“ კრიახიც მიმწყდარიყო და ლოფოთას დაბრეცილ ღეროებს შეხიზნებოდა.

შავი კატა ფეხაკრეფით ჩადიოდა ეკლარის ქვასავით დაფერილ კიბის ნაფეხურებს. კატის დანახვაზე ბაღის კრიალა ბილიკები შიშით ძაგძაგებდნენ, სიმწრით წელში იგრიხებოდნენ, რადგან მთელი არსებით სძულდათ იმის მწვანე და ბოროტი თვალები.

*ბალდახინები, რათ ცეკვამდნენ თეთრ*
*მანდილებით, როცა ღვთისმშობელს*
*ზარის რეკვით მოასვენებდნენ?..*

ერთ საღამოს მე და ჩემმა მეგობარმა ქალაქგარეთ გავისეირნეთ.

– ნეტავი სულ რაღაც მისტიურ ესკორიალებს არ აწყდებოდე! – წავულაპარაკე მგოსანს.

– ვერ გამიგია, რა გწადიან? იუკადრისა პოეტმა, – რაღაც მიკიბულ-მოკიბულ ანდაზებს ჩმახავ, შენ თუ გგონია დიდ სიბრძნეს აფრქვევ!..

– მე, ის მინდა, რომ სულ ჯანდაბისკენ არ იცქირებოდე, და თავპირი არ ჩამოგტიროდეს. – გავუგულისდი მეგობარს და თავი ისე დავიჭირე, თითქოს სოკრატეს ნამოწაფარი ვყოფილიყავი.

– შე უბედურო, შენა! – შემომიტია მგოსანმა, –პოეზია სიმინდის ქოჩოჩი როდია. ის გულამოსკვნილი სიმღერა არის, ის ხელოვნების ცისკრის ციმციმზე და მარადისობის ატეხილ ზარების ჰანგებზე როკავს. პოეტი ქარივით ამოვარდება, რომ სამყაროს ნისლმოდებული კალთები შეაშრიალოს; თუ გინდა დაუსაბამობის კიდეებამდე გაუბი ყორე, ის თავის სწრაფვას როდი შეიცვლის; ის ქნარის სიმებს აგიწკრიალებს, თუ გაქვავია.

– განა დიდი ხანია, რაც მარადისობას ხელაღებით უარყოფდი? – შევახსენე.

– რასაც მწერალი ზმანების დროს წამოისვრის, განა დაკანონებული ჭეშმარიტებაა?

– არც მიქარვა უნდა იყვეს, – ვუპასუხე.

– რას ჩორკნი, რას კაფავ, ვერ გამიგია?! – არ მითმობდა. ასეთ კაცზე იტყვიან: მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო.

– დღეს რო წამიკითხე სინათლის კაფვაა, აბა რა არის:

იმას მკვდრებისგან რაღაც უნდოდა,
სტანჯავდა მიწა წელში მოხრილი,
ის უყურებდა სივრცეს უნდობლად
და დადიოდა გულშემოყრილი.

მეგობარმა პასუხი არ გამცა. უკან მიიხედა, მიდამო დაზვერა და რო დარწმუნდა, ქალაქს კარგ მანძილზე გავცილებოდით, განაგრძო:

ნაძვებს მიჰყავდათ ქარში უთუოთ,
დაოსებული მარტოკა გდებით,
სადღაც ქვასავით იდგა საწუთრო
და გრიგალივით სუნთქავდნენ გზები.

ის ტყვიასავით წაიღო ქარმა...
დილით ცა სჩანდა გადანგრეული,
ნისლეთი იყო იმის ქარაგმა
და დედამიწა კი მთვარეული.

განა ეს მიწიდან მოწყვეტა არის? – მეკითხებოდა პოეტი, – განა შემოქმედი ყოფის უხეირო მეგზარე უნდა იყვეს? თვით უკიდურესი სასოწარკვეთილებაც არ არსებობს ცხოვრების გარეშე, თუ დამიჯერებ გასაოხრებელი განდეგილობაც კაცთმდინარების ერთ-ერთი ტოტი იყო. შენ კი ნიადაგ ენა წამოგიგდია, რაღაც სისულელეებს მიკიჟინებ და შენი აზროვნების ფუტურო მარგილებზე ჯაფარასავით ხტუნაობ.

სიჩუმე ვარჩიე. მართლაც, ძნელია მეგობარს უტატანო, როცა ის მოწყვეტილი ვარდივით თავის ჰანგების ლივლივში გდია; ანთებული სანთელივით იღვენთება და გესმის ცხელი წვეთების წკაპაწკუპი საკუთარი გულის ემბაზში.

ჩემთვის დღესაც ქარაგმად დარჩა: რათ გასცქეროდა სივრცეს უნდობლად? რათ დადიოდა გულშემოყრილი? ქარიშხლებივით რათ სუნთქავდნენ ტიალი გზები?..

ჩემს ბინაზე დავბრუნდით. პოეტი ფერგამოცვლილ თრითინას ჰგავდა: სახლის პატრონს კილავდა, ხვალისთვის საბანაოდ წასვლის გეგმას

ადგენდა, ათას შემთხვევებზე ოინბაზობდა... გულიანად ვიცინოდით.

ზოგჯერ, შთაგონებიდან გამოფხიზლებული პოეტი აუტანელია, ჩვეულებრივ მომაკვდავზე მეტს ამპარტავნობს, ხანდისხან ისე აჭარბებს, რომ ღირსეული საზოგადოება აღშფოთებული გაურბის.

კარგი ბიჭი უნდა იყვე, რომ პოეტმა თავისი ცხოვრებით თავი არ მოგაბეზროს. უნეტარესნო და უზენაესნო მკვლევარნო! რამდენს სცრუობთ თქვენი სქელი ტომების ძონძებით, როგორ იოლად ცდილობთ შემოქმედის მუწუკების დაფარვას; ხან კი როგორ საძაგლად იღრინებით იქ, სადაც მარტო პოეზიის ჩრდილები ირხევიან; ხან როგორ რიოშივით იღრიჭებით ხელოვანის ფეხასხლეტილ ცხოვრებაზე. ვინ მოსთვლის რამდენი ტუტრუცანობა წამოგიროშიათ შესანიშნავ ადამიანებზე...

თუმცა, რა ვუყოთ, მდინარების ლეგენდა დახლართულია. კაცობრიობის ისტორიის ხარვეზიან ღელეს, ხომ ტყუილების წუმწეც ჩაუდის.

მე და პოეტმა კარტის თამაში გავაბით. გარეთ წვიმა სცრიდა. ლაპარაკს და ჭიჭყინს ერთიმეორეს აღარ ვაცდიდით.

ღია ფანჯრიდან აყვავებული აკაციები ყვავის ქალს გაოცებულნი უცქეროდნენ. შავი ტუზი დაყრილ კარტებშორის გაფითრებულ კუდიანივით მოკუნტულიყო, თითქოს რაღაცას კრუტუნებდა. წაბლისფერ მაგიდაზე ბინდში ამოვლებულ ფოთოლთა ჩრდილები ქანაობდნენ.

*შენ ეყოლები ქრისტეს ფარეშად*
*და მე კი ბუდას მოჯამაგირედ.*

ჩემს მეგობარს უცნაური სენი სჭირდა: სულ წანწალში სძვრებოდა სული. თავის ბინაზე იშვიათად დაიჭერდი. კარზე ისეთ დროს მოგეჭრებოდა, როცა შუაღამე გადასული იყო და გულის ძილში ნებივრობდი; აბა ერთი ნუ გახედავდი, ისე მძლავრად დაგიკაკუნებდა ჭიშკარს, რომ რაც არ უნდა დაშოშმინებული ადამიანი ყოფილიყავი, მაინც დაგაფეთებდა; სანამ კარებს ურდულს არ ახსნიდი, ფეხს არ მოიცვლიდა.

მეზობლები ბევრჯელ წამეკიდნენ:

„ვის დაჰკარგვია, ი ვიღაც ოხერია, მოსვენებას რო არ გვაძლევს! ნუთუ, ერთი რიგიანი პანღური ვერ უთავაზე, რომ შუაღამისას ბრაცუნს გადააჩვიო!“

„ერთი ჩემი ნაცნობი იყვეს, – კაპასობდა მეორე ავი მდგმურთაგანი, – და ეგრე უდროვოთ მომადგეს, ისეთი ჭიტლაღი ამოუჭირო, რომ დაბადება იწყევლოს!“

მეზობლები როდი სტყუოდნენ, მაგრამ იმათ რა იცოდნენ კალაპოტიდან ამოვარდნილი და გზადაბნეული ადამიანის ბედი.

ენკენისთვის შავი კუნაპეტივით ღამე იდგა. წვიმდა კოკისპირულად. გარეთ ძაღლიც კი არ გაიგდებოდა.

ამ თავსხმაში პოეტი მესტუმრა, ისე გაწუწულიყო თავითფეხებამდე, რომ ოთახის იატაკზე წყლის გუბე დამიყენა.

– ყმაწვილო, ხომ არ გეწყინათ ჩემი მობრძანება? – შემეკითხა თავხელური კილოთი და წარბები შეიჭმუხნა.

– კიდეც რომ მეწყინოს, რა გენაღვლება, ჩემს რჩევას შენ მაინც არაფრად არ აგდებ. რას ეჭიდები იმ ოხერ ღვინოს, ნუთუ, იმდენი ნებისყოფა არ შეგწევს, რომ ლოთობას ორიოდე კვირით თავი აარიდო?.. ხედავ, რა საშინლად გალეშილხარ, ფეხზე დგომა გიჭირს. ისიც კი მიკვირს ამ ავდარში და უკუნეთში, ჩემს სახლს როგორ მოაგენი. ვუსაყვედურე მგოსანს თან ჩემი ძველი ტანისამოსი მივაწოდე, რომ გაზუნგლული ხალათი და საცვლები გამოეცვალა.

– რა დაგიშავე?.. რათ მლანძღავ? – გაიბუსხა მეგობარი.

– დიდება შენდა ღმერთო! ნუთუ არ გესმის რაზე გედავები? რად ატიალებ შენს ცხოვრებას, რისთვის იღუპები, როგორც ქუჩის ბოგანო. რა ჭკუამ გაგიჭრა, რომ ასეთ ნიაღვარში აგიღია თავი და დაწრიალებ?..

– მომწყინდი, გეთაყვა! თორემ ჩემი გულის ნადები, დღეს რო მოგიტანე, სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ. – ამის თქმა იყო და გატვრინდა, ქვედა ტუჩი ჩიჩვირივით ჩამოუშვა. სანამ ხელს ვტაცებდი ამოღებული ნაწერი ნაფხრეწებად აქცია. ის იყო წინ უნდა გადავღობებოდი, რომ დაჰკრა ფეხი და ალანძული გარედ გავარდა.

გავშრი!.. აღარ ვიცოდი რა წყალს მივცემოდი. თავში ვირტყამდი, რათ დავემღურე, რათ ჩავუმმარე ჩემთან მოსვლის ხალისი. დაყვავების ნაცვლად, რათ შევაშფოთე... ასე ელდადაკრული ვფიქრობდი, ასე მქენჯნიდა ჩემი პირშავობა, ჩემი ხეპრე დახვედრა საყვარელ მეგობრის მიმართ.

ნახევებადქცეულ ფურცლებს სათუთად ვკრეფდი. გარეთ ქარი ასლოკინებდა. წვიმამ გადაიღო. განაბული მთვარე ღრუბლების ბუღრუგანაში შემძვრალიყო. ესკიზის ნაგლეჯები მაგიდაზე დავალაგე, სტრიქონი – სტრიქონს მოვუყენე და შევუდექი კითხვას.

გაბზარული ბწკარები საფანტმორტყმულ ბეღურებივით ფართხალებდნენ, მტუქსავდნენ და მისტიროდნენ შუაღამის გზებზე ვაებით მიმავალ ლექსების ფარეშს.

ესკიზი ასე იწყებოდა:

„შუაღამის სანათურებიდან გადმოვარდნილი ქვენა ქარი საბერველივით უბერავდა ოდნავ მბჟუტავ ქვეყნიერებას.

სადღაც, ხნიერი გამოქვაბულები განუწყვეტლივ უსტვენდნენ ფარღალალა და ბუმბერაზ სივრცეებში. ეკლესიის გალავანში ფეხშიშველი მლოცველები შეხროვილიყვნენ, თვალებზე ხელებმიფარებულ მაცხოვარს რაღასაც ევედრებოდნენ.

ქარი მძვინვარებდა. მაღალი ხეები გამალებით იქნევდნენ კენწეროებს და საგულდაგულოდ ჰგვიდნენ კორიანტელში გახვეულ ცის შეუღობავ ეზოებს.

წარმავალობის შორეულ მიჯნებიდან ვიღაც იცქირებოდა, ის ბევრის მომსწრე იყო, იმან იცოდა: შუქამღვრეული მთიები ადამიანის გამოჩენაზე რო იღრინებოდნენ, როგორ გაურბოდა დედამიწა ისტორიის მაცდურ ფურცლებს; როგორ დორბლიდა კაცობრიობა ღრჯოლებგადმოვარდნილ კერპებს, ავადმყოფებივით რო ხიხინებდნენ ასეული წლების შარა გზებზე მიმავალი საუკუნენი.

ის, ეხლაც იყურება. ის, მისანია დასაბამსა და წარმავალობას შორის დასახლებული.

იმის ცხედარს დაწკრიალებულ წუთისოფელში შემოასვენებენ გაფითრებული გრიგალები. ვიღაც იგლოვებს და სანთლების წინ ჩუმად ჩაიწვება.

ასე ჩაივლის მისანის ბედი.

გოლგოთაზე ხის მძიმე ჯვარს ისევ აღმართავენ, ვით სამარადჟამო მძევალს.

საიდანღაც, კიდევ შემოცვივდებიან ნისლებწამოსხმული საუკუნენი და ასე, წარმავალობის ჩაქრობამდე, სამრეკლოების ძირში და მინარეთებთან იყბედებენ:

ქრისტე, თუ ბუდა?..
ბუდა, თუ ქრისტე?..

ამ სტრიქონებში ჩემი მეგობრის ბურუსი სთვლემდა. ის თითქოს ყველას ეკითხებოდა: ვინ დამიძახა დედამიწიდან?.. რა უნდოდათ ჩემგან?..

გული მეტკინა, რომ ჩემი მგოსანი მარტო მივატოვე. როდიღა დავახანე, საჩქაროდ მოვემზადე და გავწიე მეგობართან. ის, რატომღაც, თავის ბინაზე მეგულებოდა. მივდიოდი და ფეხები უკან მრჩებოდა, თან მიმქონდა იმის ნაღვლიანი ნაწერი, ისეთივე დაძენძილი და ნაწვიმარი, როგორც პოეტის ცხოვრება.

მთვარეს დაევახშმა, თუ კრუხივით დაექორქლა და მის ფრთებქვეშ ვარსკვლავებსაც შეებუდათ. სიბნელეს რო შევერიე, ვიღაც შორიახლო

ამედევნა და შემომკივლა:

„წარმავალობამ არ აგიკვიატოს, თორემ თავის ნოტიო კედლებზე შემოგაწყვიტამს. ფრთხილად! ფეხი არ დაგიცდეს, არ გადაეშვა სისხლდარეულ მდინარეში მეწამულის სათავეებიდან რო მოქშუის.

მგზავრო, მოიხედე! – მომძახოდა ეშმაკის კერძი – ხომ ხედავ, რა თავშისახლელად გაჩნდა კაცთმდინარება!.. არავინ იცის, როდის, ან საიდან შეესივნენ ადამიანები დედამიწას, არავინ იცის, საიდან შემოეხეტა ჟამთასიავე, როდემდის იყურყუტებს, როდის გადაშენდება, როდის ჩაიგდებს სამიწე ხმას, როდის დაუცხრება უკუღმართი თვალების ბდღვრიალი!.. წარმავალობის კრაზანებმა მოწამლეს ტვინი, თორემ გულს რა უჭირდა. ტვინმა დაღუპა ქრისტეც და ბუდაც. ტვინია ბედკრულ გულს რო დასჩხავის თვალების შიგნით ურჩხულივით ჩაცუცქული და თავის ქალაში ჭორიკანა ფიქრების აბლაბუდას ქსელს რო აბავს“.

მესმოდა ეს წყევლა. ნაბიჯს ვუჩქარებდი, ტანი მეჭინჭრებოდა. შიშით უკან როდიღა ვიხედებოდი.

ჩემდა ჭირათ, მზეც წყვდიადის იქით ხვრინამდა, თითქოს წყვდიადის პიტალო კლდეზე სინათლეს ტვინი შეენთხია.

## ჯ

*დეე... შენი განვლილი ცხოვრება*
*ღრუბლნარა ღამეთ წარმომესახოს.*

რაც დრო გადიოდა ჩემი მეგობარი ქალაქის ჭუჭყში და ლაფში იძირებოდა. ულუკმაპურობა, სიღატაკე, იმის განუშორებელი მხლებლები იყვნენ. ბინის პატრონი გამოსახლებით ემუქრებოდა. ჩემნაირი ხელმოკლე მზრუნველი შეძლებისდარად ვეწეოდი, მაგრამ მოიხელთებდა თუ არა ორიოდე თუმანს, ანდა საიდანღაც სასუსნავი მოუვარდებოდა, ისე უცბათ გააქრობდა წყეულ ღვინის სარდაფში, რომ ხვალინდელ დღისთვის გახვრეტილი შაურიანიც აღარ რჩებოდა.

აწეწილი, უყაირათო ცხოვრება ჩეკდა და ანაფოტებდა ჩემს პოეტს. გადავწყვიტე, სადმე იოლ სამუშაოზე მომეწყო, იქნებ საკუთარი ოფლით მომცვრეული ხელფასი როგორმე დაეზოგა. ჩემი განზრახვა მგოსანს გავუნდე: – ბიჭო! გეყო ლაწლაწი, დადექი სამუშაოზე, პატარა ხელს მოინაცვლებ-მეთქი. ისიც ხალისით დამთანხმდა.

– მართლაც, ყასბის ძაღლივით როდემდის უნდა ვეგდო სხვის ნასუ-

ფრალზე. კმარა, გზადაბნეულ სიცოცხლეს უნდა დავემშვიდობო. – კვერი დამიკრა მეგობარმა.

ჩემი ქველმომქმედი ნაცნობის მეოხებით, პოეტი მოვაწყვეთ ზომაწონის პალატაში დამხმარე რეგისტრატორად. პირველ ხანებში სამსახურში მის დროზე გამოცხადებას და მიცემულ დავალების პირნათლად შესრულებას კარგი პირი უჩანდა, თითქოს მოიტეხინა... მაგრამ, ხუთი თვის შემდეგ, სამუშაოზე გული თანდათან აიცრუა, აიყარა. ყოველ დილით იგვიანებდა, ძილს იპრტყელებდა. დაგროვილ საქმეს ხვალ-ზეგისთვის იტოვებდა. ბოლოს იმდენად გაკადნიერდა, რომ ხანდისხან მთვრალიც შებარბაცდებოდა ხოლმე თავის უფროსთან.

ერთ დღეს ჩემი ნაცნობი საგანგებოდ მესტუმრა და ასე მისაყვედურა: „დიდ ბოდიშს ვიხდი, მომიტევეთ, თქვენს მეგობარს ვერასგზით ვეღარ გამოვესარჩლები. რა მიდრეკილების კაცია ვერ გამიგია. სხვა არა იყვეს რა, მუშაკები დასცინიან, ქოთქოთებენ, ნიშს მიგებენ; ამას წინათ, ჩემმა საქმეთა მმართველმა,იმის საწერ მაგიდაზე რაღაც ლექსი იპოვნა,უნდა გეყურებინათ და თქვენს ბედნიერ ყურებს მოესმინა, რა აურზაური ასტეხეს: ჩვენი რეგისტრატორი პოეტობანას თამაშობსო!..

რამდენჯერ დავარიგე: ყმაწვილო! ასე არ ვარგა-მეთქი! მაგრამ შენც არ მომიკვდე, პირჯვარი ვერ დავწერე! ის, მაინც თავისას ბუქნის, გულს არაფერს არ უდებს. აინუშში არავის აგდებს, რაც არ უნდა უთხრა ყურს არ გაიბერტყავს. ყველაფერს მიქარწყლებს. პირდაპირ შევჯერდი, სანამ უარეს ფათერაკს გადამკიდებს, ნუ გეწყინებათ და თქვენს მეგობარს ხვალიდან სამუშაოდან ვანთავისუფლებ. ისიც იცოდეთ: რომ იმის მოთოკვას მე კი არა, მრისხანე იოანეც ვერ გასწვდებოდა. ბოლოს ცხვირში ამოირტყავს, მაგრამ გვიან იქნება“.

ამ სიტყვებით დამემშვიდობა ჩემი კეთილი ნაცნობი. ვიდექი ფანჯარასთან და უაზროთ გავცქეროდი ქალაქის დაუშრეტელ მოძრაობას.

ზამთარი კარზე იყო მომდგარი, საცაა თოვლს ჩამოჰყრიდა. მეგობარი მებრალებოდა. განა იმაზე მეტი საცოდაობა შეიძლება, როცა გაჩანაგების გზაზე მისულ მოყვასს ყოველნაირად ელოლიავები, ეხმარები, უფრთხილდები, ექომაგები, ზედ აკვდები, მაგრამ მაინც ხელიდან გისხლტება და ნაფეხურებსღა შესტირი მის დაბრუნებას. თუ ნაფეხურებიც ქარმა წამოკრიფა, აი მაშინ ნახე შენი სეირი!

ამინდები გართულდნენ, მოურჯულებელმა, დაუდევარმა პოეტმა არარაობის ტიალ ღარტაფიან გზებზე გაუტია. იქ, სადაც უმადური დღეები ჩიფჩიფებენ. ის დაღმართზე თავს ვეღარ იჭერდა, ძალა აღარ შესწევდა. ის თითქოს ქარში რჩებოდა ავდრის ჭოჭივით. ის თავის ანგრეულ ცხოვ-

რებას ვეღარ ურიგდებოდა. არ ვიცი რა ვარსკვლავზედ იყო დაბადებული, ანდა რა ყალიბიდან იყო ჩამოსხმული.

მომაგონდა ხსოვნების ღველფში დამარხული პოეტის ლექსი, თავის სანატრელ ადამიანს რო უძღვნა:

ქვეყნიერებას უცქეროდი ათასნაირად,
წარმართ თვალებზედ ქრისტეს წყევლა გქონდა აკრული,
მთვარე დაისით გაგითბია, როგორც დაირა,
და ანგელოზებს ულანძღიხარ მუხლებდაზრული.

ბნელ გეთსიმანის ბაღში დიდხანს ტრუბადურობდი,
ღმერთების ჯოგი გოლგოთაზედ გელანდებოდა,
დასწყევლოს ჭირმა, რაღა ნისლებს დაუმეგობრდი,
თუ არ იცოდი, სად ინათლა, სად ბნელდებოდა!

რა საოცარი იყო შენი მარადისობაც,
დევნილ სიცოცხლეს ბნელ სიზმრების ჯანყი მალავდა,
დრო საუკუნის ჯახა-ჯუხში ჩაისრისება,
და ეგ ცხოვრებაც მოთავდება როგორც ბალადა.

ძლივს დარწმუნდები, რომ შენ ჯვარცმაც კი არ გწყალობდა,
ბედს ნუღარ ერჩი, თუ ლოდებმა ამოიოხრეს,
იტყვიან: ნეტავ დაგენახათ, როგორ წვალობდა,
სანამ დარდებმა საცოდავი სულ არ გამოხრეს.

ეხლა დადიხარ და ხეებსაც კი ერიდები,
ხან არც კი გინდა, რომ ბინაში შემოგყვეს ჩრდილი,
ცოტა ხანს კიდევ... იმის მერე, რო დაბერდები,
ეგ თავის ქალა კლდეს ექნება პირში გაჩრილი.

და შენს ხერხემალს სალამურად გამოიყენებს,
არმაზის კერპი, ან ქარების ტიალი დოღი,
სანამ გრიგალებს შენს ძვლებს კვერთხით დააყრევინებს,
გოლგოთის მთიდან მორეკილი ღმერთების ჯოგი.

ჩემო მეგობარო! ამ სტრიქონების შემდეგ, მე მავიწყდება შენი ბრმა ბედისგან გაუცინარი, ზარდამცემი და გამხმარ კლერტოსავით გადაქცეული არსებობა. შენი აფორიაქებული სიცოცხლე ალალი იყვეს და უსაყვედურო. როდიღა მეცოდები, რატომღაც მინდა, რომ სულ ეგრე იფუფქებოდე. შენ რო ქვესკნელს შეგასხან, ალბათ იქაც იკამკამებ.

როცა სასაფლაოზე ფარდებს დაუშვებენ, როცა შენი ცხოვრების უკანასკნელი გულისცემა შეწყდება, ეგ თავის ქალა, ფერადი ფიქრების ნისკარტებით გამოფუღრული, უღრანი მთების სალ კლდეებს ნიანგივით

პირში ექნებათ გაჩრილი, როგორც უდაბნოს ფაფარაყრილ ქარიშხლებს.

რამდენი ნაღირი დასუნავს შენი წამებული სხეულის ჩინჩხვარს და პოეზიის გულთმისნობით შერყეული ხმაგაკმენდილ სოფლებისკენ გაიყმუილებს.

როცა აისის შუქი ნაღვერდალივით დაეცემა ჯვარის მონასტერს. არმაზის კერპი სალამურზე წარმართთა ფერხულს დაუკრავს და, ბაგინეთის ვარდისფერ ფილაქანზე პიტიახშების ქალწულები თეთრი მარმაშებით იცეკვებენ.

უფლისწულების ყიჟინა დაოთხილი შავგვრემანი ბედაურების თქარა-თქურით მზეს ჩამოშლილი სხივებიდან ქარბუქივით მიეჭრება დასატყვევებლად...

ციცაბო შელმართებზე ფაფარაყრილი ცხენებით აფრინდებიან ქურუმები, რომ დაესწრონ არმაზის ლოცვას და თმებჩამოშლილ წარმართების ხელების სავსავს.

ძევახი, შენს ხერხემალს რო ვეღარ ჩაბერავს, ფეხის მუხლზე ჩუმათ გადაიმტვრევს და შენს მიმავალ ლანდს კოდმანის კლდეებიდან გადაჰყვირებს: აღთქმა, მეგობარო არ დაგავიწყდეს!..

*საკუთარ სხეულში კვარი მაინც შეინთე*
*ხოლმე, რომ ჩაიხედო გულის ხვიმირაში...*

ზოგიერთი ადამიანი საკუთარ თავს უფრო ხშირად ებუზღუნება, ეანჩხლება, ვიდრე მტერ-მოყვარეს.

თუ შემოქმედი თავის შთაგონების აკლდამაში აბედივით იწვის, ის მაშინ ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებს თავის ორეულთან. იქ არ გიშველის: არც ფარი, არც ჩაჩქანი, არც ჯაჭვის პერანგი, არც ბეგთარი, არც მოღერებული დაშნა.

შენს ორეულს შენი ძვლების ლერწის ქვეშ სძინავს, ხან სთვლემს, ხან ფხიზლობს... ისეთ დროს წამოგიხტება, რომ აღარ იცი, თავგზააბნეული სად დაემალო; დაგცინის, გეჭიდება, აქეთ-იქით გაწყვიტამს; როცა მოგქანცავს, მოგღლის, შეძვრება შენივე გულის საბუდარში და შენს დალეწილ სხეულის ნარეყს ესაყვარლება.

ჩემი მგოსანიც თავის ორეულს შესჩიოდა:

შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი,
შენა ხარ ჩემი ნუგეშის დარი,
სულ კარგათ მახსოვს, შენ რო გამიჩნდი,
გარეთ ძაღლივით ყმუოდა ქარი.

ვერ გიპატრონე მე ლაზღანდარამ,
შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა.
ქარი სივრცეებს აზანზარებდა
და მზე ყვიროდა ქვეყნის ბოლოდან.

შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს,
თუმცა, სულ მუდამ ტოტს გვცემდა ქარი,
ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები ტანზე გამონაყარი.

ვერ გაოკებდი, დაგდევდი კეტით,
ხან მელეოდა მუხლებში ძალა,
ზარივით გასკდა ამდენი რეკით,
ზედ რო მამხია ეს თავის ქალა.

ჩემი ძაგძაგი, თრთოლვა და სუსხი
ტანის მერქანში თითქოს ძვლებსა ხრავს,
ღვინომორეულს, ოშხივარ ასხმულს,
ბინაში ბევრჯელ დამიკოცნიხარ.

იქამდე სანამ დათეთქვილ ტუჩებს,
არ გალხობიათ ბუერა სევდა,
შენ ძუძუს სწოვდი გაშლილ ალუჩებს
და წმინდა ნინო აკვანს გირწევდა.

ლექსების ჯღაბნა წამებათ გექცა,
სჯობდა, ვენახის კვალი გებარა,
ვის რათ უნდოდა ეს თვალთმაქცობა,
ნეტავი ქარში გადაგეყარა.

ქარები უფრო წაიკითხავდნენ,
ჩაბჟირდებოდნენ სადმე სიცილით,
ჩემი ცრემლებით ღამეს ხატავდი
და ბეთანიას მაისის დილით.

ვერ მოგიარე, რა გიყო ძმაო!
ორივე შემკრთალ ბუჩქის ჩრდილს ვგავდით,
შენ კიდევ ფიქრში მაინც მძუნაობ,
მე კი ბუწუწი გამცვივდა დარდით.

რა ვუყოთ, თუ პოეტის გადაყრილ ნაწერებს ქარები დასწვდნენ, წაიკითხეს და ხელები თავპირში წაიშინეს.

არტახებში ჩაკრულ ბანგმორეულ ორეულს მგოსანი გადახვეოდა და გაშმაგებით უკოცნიდა სევდის ნავლისგან ამღვრეულ თვალებს.

პოეზიის აკვნის უღელზე მარცხენა მკლავით დაყრდნობილი ღვთისმშობელი იავნანას მღეროდა და, საგოგავები ბანს აძლევდნენ.

უნაბის ხეების გასწვრივ, თეთრად გადაპენტილ კორდზედ წმინდა ნინოს ცრემლები ბრწყინავდნენ, როგორც დამსხვრეული ჯვრის ნაკუწები, თითქოს უდაბნოში გადახვეწილ ნინოს მშობლების მდუღარება მოეტანათ იერუსალიმიდან წამოსულ ღრუბლებს.

გაშლილ ალუჩებს კი შესეოდა ლექსების გუნდი და, აი საცაა გადაფრენას აპირებდა ბოდბის მონასტერში, იქ სადაც განისვენებს კაპადოკიელი ქალწული.

*...და ბრუციანი დედამიწა შუქს იმათხოვრებს.*

ჩვენი მგოსანი მეგობრობდა ჭაღარაშერთულ მეწისქვილესთან.

ქართული წისქვილი სოფლის განაპირას იყო ჩადგმული. დღედაღამ როხროხობდა, ბორგავდა, კორიკაობდა. ხის ღარით მოვარდნილ წყალზე საამურად ჩხრიალებდნენ ჩარხის ფრთები.

მოზრდილი რუ, ანჩხლი მდინარის ტოტიდან რო გადმოეგდოთ, მძიმედ მიიზლაზნებოდა ხშირ ვენახებსა და დაბურულ ბაღებს შორის.

ბერკეტივით ანდრიას წისქვილში ყოფნა დედის კალთასავით უყვარდა. იცოდა ადამ და ევას დროინდელი ზღაპრები, არაკები, მაგრამ ბოლომდე არცერთი. ხშირად, შუა ზღაპარში ხმა მიელეოდა და ისეთ ხრიალს ამოუშვებდა, იტყოდი: ყელზე ბებუთი დააჭირესო. ყურმიგდებული მესაფქვავენი კი სიცილით იგუდებოდნენ.

ანგარიშში ანდრია ნამდვილი ბეყეყა იყო. – ასამდე რის ვაივაგლახით ითვლიდა. როცა ბელელში მინდს ჩაყრიდა, წიფელას დედაბოძის წახნაგზე, წისქვილის ჭერს შუაგულში რო ჰქონდა შედგმული, ჯიბის სასხლავი დანით ჭდეებს უკეთებდა. წისქვილის ქვებს თითონვე კოდავდა. ხრილს თავის დედაკაცს გამოაცხობინებდა, ქვევრში ჩაუძახებდა, ამოზელავდა, ალაოს ჩაუკიდებდა. საარაყე ქვაბი თავის ზარფუშით და გეჯათი საბძელში ჰქონდა გადამალული, რომ ონავარ ბოქაულს, ან დაბეგვრის უწყების მოხელეს, არ შეენიშნა.

ანდრია ღვთისნიერი და ბადაგივით გულის მფლობელი იყო. უყვარდა ფანდური და შაირები. წკრიალა ხმა, მოჭიკჭიკე ფრინველების სადარი სმენა განგების ძალას მიემადლებინა. იმის სიმღერა, თითქოს წისქვილის ბელურებსაც გადასდებოდათ. ის ცხოვრებისაგან ხარბი კაცივით ოქროთი მოოჭვილ სრა-სასახლეებს როდი თხოულობდა, ანდა რა ჭირათ უნდოდა, როცა დოლაბის ხმაური, წყლის ჩქაფაჩქუფი, ხვიმირას დაგდაგი ნეტარებად მიაჩნდა.

ჯიღა ანდრია წვრილფეხა თვალის ჩამკრავიც იყო. სოფელში ხმა ჰქონდა დარხეული: რომელი ქალიც ანდრიასთან საფქვავს მიიტანს, იქიდან ლეჩაქახდილი დაბრუნდებაო! რა თქმა უნდა ამლაშებდნენ.

ანდრიას საგულდაგულო მქირდავი, ჯეკუტაანთ სქელგავა, კოჭლი მაკრინე ბრძანდებოდა. ოღონდ ყურში საყბედი რამ ჩასწვეთოდა, ოდნავი ჭორისთვის ყური მოეკრა, ერთი ათასად გადააქცევდა; წანწკლიან ენას უბან-უბან ახრიალებდა, ატანტარებდა, კარიდან-კარზე დაბრაძუნობდა, ხელებს ყანჩას ფრთებივით იქნევდა. გამვლელს არ გაუშვებდა, რომ არ ჩაეკიწკიწებინა:

– ქაა, რა გავიგე! ი, ქოფაკ ანდრიას რა უქნია!.. უი... უი... მიწამ კი უყოს პირი, აჰანდეე!.. – ტლიკინებდა ფლოხვე მაკრინე, სახეზე ჭორფლი ვაზის ჭრაქივით რო მოჰკიდებოდა.

ანდრია კბილებს ილესავდა და შუაკაცის პირით უთვლიდა თავის ენაჭარტალას:

– მაკრინე! რატო არ დამეხსნები? რას გადამეკიდე, რა ყბა დამადგი, კაცმა რო სთქვას, რას შემომიჩნდი? ქვეყანას რაზე მიყრი? ენა მუცელში ჩაიგდე, მოთმინებიდან ნუ გამომიყვან მისამარასა, თორემა  ი, ცხონებულ მამაჩემის სულს გეფიცები, არ ვიცი რას გიზამ!

რამდენი გენიოსი გადაიყოლა ქალების სიკეკლუცემ და ავხორცობამ, ნუთუ ანდრიას არ უნდა ეპატიოს, თუ სადღაც ფეხი წაუცდა, წაიბორძიკა, ვიღაც ლამაზმანებს გაეთამაშა და ფუტკარივით წუწნა დაუწყო თავაწყვეტილ დღეებს?..

ზოგიერთმა ცვედანმა და ქალაჩუნამ სქესობრივ ურთიერთობაზე ზნეობის რაღაც ჩიფლიფა მედავითნეობა წარმოშვა – კაცი და ქალი ცხრა დღის სავალზე დააშორა.

იმას მოგახსენებდით, ანდრია ხშირად დამღეროდა თავის ფანდურს:

სირცხვილი იმ გუთნის დედას
მამა-პაპის საფლავს ხნავდეს,
ამხანაგის მოღალატეს
დამმარხველი არა ყამდეს.

„გაიხარე ანდრია, იცოცხლე სეხნი!..“ – შესძახოდნენ მესაფქვავენი.

რა ჯილაგის, რა ყაიდის ხალხი არ გინდა, რომ წისქვილში არ ირეოდა: გაძვალტყავებული გლეხკაცი შინ დაცემულ ხამი ხარის ტყავიდან ამოსხმული ჭვინტმოგრეხილი ქალამნებით, შემოფლეთილი მაზარით, გაცრეცილი ნაბდის ქუდით, ხელის გულზე მსხვილი ბებერები რო დაკოჟრებოდა, ცერის სახსარში და ნონებში ჯაფის ოფლი რო ჩაჰკდომოდა, უხეიროდ გაბარჯღული წვერ-ულვაშით, ლაღე პაიჭის პაჭანაგიდან ამოჩრილი შარვლის ტოტით. ქვრივ-ოხრებს ორიოდე ჩანახი ქერჭრელი მხარზე შედგმული შორი გზიდან რომ მოეტანათ. ფეხშიშველა ობლებს დაჩაგრული სახით და ნაღვლიანი თვალებით. შეძლებულ ბობოლა გლეხს, მკერდგახსნილი ფარაჯით, ყაითნის ძაფით მოქარგული ქუდით, სახიანი ღაზლის ძაფით ნაქსოვი წინდებით, ლამაზი ლეკვერთხებით, ბაზრის ჩუსტებით, იფნის სახრეთი იღლიაში ამოჩრილს, თავის ბეჩავ მოჯამაგირეს უწმაწური სიტყვებით რო უმასპინძლდებოდა.

წისქვილში ნიადაგ ჭრაქი ენთო, რადგან რუს პირზე დატანებული მომცრო ფანჯრის მინა საფქვავის მტვერს ისე აექოლა, რომ დღის შუქი ბრუციანი კატასავით იცქირებოდა. თუ მზიანი ამინდი გამოჩნდებოდა წისქვილის კარს ღიას სტოვებდნენ.

ზამთარში ხომ გაძაღლებული იყო წუთისოფელი. ქარები ცის ტაფობში ჩაშლილ ღრუბლებს ნიადაგ უქცევდნენ და ცივი კორიანტელი ისედაც დალეულ მზეს აბნელებდა. ყინულით შეჭირხლული წისქვილი ენაჩავარდნილი კაცივით იდგა. სიპი ქვისაგან თაღშემოვლებულ ბუხარს აახრჩოლებდნენ, წინ კოხებამოცვენილი კევრი, ყურ-მოტეხილი ჩაფი და ორიოდე დაკორკნილი კუნძი რო ეგდო.

შეშის სიმწირის გამო, ზანტად მოშიშინე ბუხარს ნედლი თუთის ტოტებს და სარის ნაჩეკს უკეთებდნენ.

„თვალები დამეთხარა, ამ ოხერა ბუხრის ბერვითა!“ – იტყოდა ხოლმე გაცეცხლებული ანდრია. თუ ღამეს ზამთრის ყინვა მოუჭერდა რუ იყინებოდა, იყინებოდა წყლის გადასაგდებიც, ჩარხიც და ყინულის ვეებერთელა ლოლუები ანდრიას გონებას უმღვრევდა.

„ბიჭო მოიტა ი, ოხრად დასარჩენი ნაჯახი! ე, ვერანა ყინული მაინც ამოვჩეხოთ!“ – გასძახებდა დილაადრიან გამწარებული ანდრია თავის ძმისწულს, წისქვილში ხშირად რო ეხმარებოდა.

შემოდგომის პირი კი, ერთ სიცოცხლედ ღირდა. მაწიერი ჰაერი და ბაღ-ვენახების დოვლათი უხვ სურნელებას აფრქვევდა, წისქვილი ჩხრიალებდა. ციბრუტივით ბზრიალა დოლაბი სარეკელას ეჯიბრებოდა, ხმაუ-

რობდა. ამ დროს წისქვილთან ჩახერგილი ურმების ზედახორა იდგა: ზოგი კონკილაზე შეეყენებინათ, ზოგი ხელნის თათებზე დაცემული ეგდო – მოღრეცილი უღლებით, მკვრივი ტაბიკებით, ხაოიანი აპეურებით, გაურანდავ და დაჩორკნილი ლართხებით, ჭალებზე დაკიდულ კამეჩის რქის სასაპნეებით, წელამდე ტალახში ამოსვრილი თვლებით. ერთიმეორეზე მიდგმული ჭირნახულით გატიკნული ფარდაგის ბარდანებით, თოფრებით, პირი მსხვილი ბაწრით რო მოეკოჭათ.

წისქვილის ირგვლივ, სახლების ბანზე და ზოგან ჯინის სახურავებზე-დაც ბოსტანის კვლებივით გაფენილ ლასტებზე, ჩელტებზე, ხახლებზე ქლიავის,ჭანჭურის,ალიბუხრის,გაიპარას და სახლეჩი ატმის ჩირი მოსჩანდა; ზოგიერთა სხვენიდან ახროვილი ყვითელი გოგრები, კომშის, ყურძნის ჯაგნები და წითელი წიწაკის ასხმულები, ნივრის გალები იმზირებოდნენ; მახლობელ დერეფნებიდან ბოძების სიმაღლეზე გაღებულ სარზე ჩამოკონწიალებული ჩურჩხელები, დამკრახული ხილი ანდამატივით იზიდავდა ბალღების თვალებს.

წისქვილის ეზო აზელილი იყო ლაფიანი ხრეშით, კეჭეჭით, ფიჩხის ნამტვრევებით, ჩალის, თივის და ჩენჩოს ნარჩენებით. საჩეხის გვერდით მანჭვებმოგრეხილი გუთანი, ცალთვალა ღერწკალა, ბუჩოთი ამოსვრილი გოგორებმომტვრეული აჩაჩა და ძველი დაცხვირული ფიჭვის კოტრები ეყარა.

„ნიკორა, მიდი ისე!..“ „შე ვერანა იქით მიდექ!“ – ისმოდა წისქვილის ბოსლიდან მესაფქვავეთა ტევა, უღელართულ ხარ-კამეჩს ბაგაში ბზეს, ფუჩეჩს და უგრეხელს რო უყრიდნენ. ზოგი ზღვეს პატივისგან ასუფთავებდა – სანაწყლიდან სანათურის ძირში ხვეტავდა, რომ სიბინძურეს პირუტყვი არ შეეწუხებინა. ბოსლის თავში ორ კედელშუა უძრავი განიერი ტახტი ჩაეჭედათ, ზედ ჭუჭყიანი და დაძენძილი ჭილობი გაეშალათ, ამ საფენზე წაეყრებოდნენ ხოლმე მგზავრობით დაღლილი მესაფქვავენი, არ გეგონოთ, ვირთაგვების ფხაკა-ფხუკი და ფართხუნი შეაწუხებდათ.

ბანჯგვლიანი და კუდდაშვებული ნაგაზები უმიზნოდ დაძუნძულებდნენ, უცხო ადამიანებს ცბიერი თვალით უყურებდნენ, მერე თავს დაუშვებდნენ და ურმის ქვეშ იკუნტებოდნენ. მხოლოდ შინაური თოლია ამპარტავნობდა, უსაბაბოთ ყეფდა, იღრინებოდა, სანამ გაბეზრებული ანდრია არ დაუცაცხანებდა: „თათა! აზგამო, შე ოხერო!..“

ანდრიას ჩვეულებად ჰქონდა, ყოველ ღამე, ანთებულ კვარით ხელში, წისქვილიდან რამდენჯერმე გარეთ უნდა გასულიყო, ღარის პეშვისთვის დაეხედნა და ისევ ბუტბუტით შემობრუნებულიყო წისქვილში.

რუს პირზე ჩარიგებული ტირიფის და წნორის ხეები მოუსვენარ ანდრიას წყლის ღიმილზე სცნობდნენ, სიბნელეში ტოტებს ერთიმეორეს უცაცუნებდნენ.

კვარის შუქის უკან გადავარდნილ ანდრიას ჩრდილს ონავარი ალი აედევნებოდა, ხან წინ ჩაუბუქნიდა, ხან წივილით გვერდზე გაუხტებოდა, ხან რუში ისკუპებდა და ერთ ჭყაპაჭყუპს ასტეხდა, ხან წისქვილში ფეხდაფეხ შეყვებოდა, უეცრად გადაიკისკისებდა და გარეთ გავარდებოდა ხნიერი კაკლის ხეების ხარხარში.

„ეგ ენა ჩაგიწყდეს!“ – მიაძახებდა ხოლმე დაფეთებული ანდრია.

„რა დაგემართა ანდრია?“ – ეკითხებოდნენ კუთხეში მიყუჟული მესაფქვავენი.

„ერთი აჯამი, ი, ოხერი წყლის ალი ამედევნა, რა უნდა წყეულს რო არ ვიცი?..“ – დუდღუნებდა ანდრია.

„მერე და შენებურად ვერ იფრინე? შიგ ყბაში ერთი რიგიანათა ვერა სტკიცეი, რა მზეთუნახავივით შემოგკედლებია!“ – იღიმებოდნენ მესაფქვავენი.

„ვერ ვიხელთე ი, ჩემი ცოდით სამსეი, თორემა გაქვს წყალობა, იმას დავამუჟუქებდი და დაუფრთხობდი მოსვენებასა. არა, ქარქოსაანთ თეკლეს უნდა ვამკითხვინო. ნაღდად, ჩემი ჭვლები ადგია, მწვანე თვალებს რო შემომინათებს ხოლმე ლამის არის ჩემი დამემართოს, ამას წინათა რუს სათავესთან თმებჩამოშლილი შემეფეთა და ცაცია ხელითა ისე დამებღაუჭა, რომა ძლივს-ძლივობით დავიხსენი თავი. ნეტაი ამ წისქვილს არ შემოჩვეოდა და თუ გინდა ცეცხლს გადაებუგა აქაურობაი“. – ნაღვლობდა მოხუცი.

„ეჰ ანდრია მოგცლია შენცა, რა ციებცხელებას აუტანიხარ, აბა რასა ბრძანებ? რაღა დროს ალი და ჭინკებია, ადამიანი ჭინკაზე უარესია!“ – ამშვიდებდა ანდრიას ღიმგადაკრული ჩოფურა გლეხკაცი, თან კეფას ყასიდად იფხანდა.

„რა ვქნა, ჩემი შეჭედილი ხატისა მე არ ვიცი... არა მინდა რა ერთი შენ შეგეჩეხოს, ე, რუს პირზე გადაგეღობოს, მაშინ ნახამდი შენ სეირსა, აქ კი ნუკი ფაფხურობ!“ – ბურტყუნებდა ანდრია მესაფქვავეთა ხარხარში.

„აღექი, ბარეღამა ძია კაცო შენცა და ერთი გიდელა ხვრიში მარილი მოუპნიეი, ნახე თუ არ გადაშენდეს ი, შენი ალი!“ – ეხუმრებოდა ანდრიას უფლისციხელი იოსება.

„როდის გადაშავდება, როდინობის კვირაში? აცე ვირო, ნუ მოკვდები, ალავერდი გეღირსებაო! მე კი გამათავა და!..“ – პასუხობდა შეშინებული მეწისქვილე.

კაჟივით ანდრია საფქვავს ერთს კიდევ დახედავდა, მერე თავის ტყაპუჭზე მიწვებოდა, თვალს ძილს მოატყუებდა, ბურანს შეერეოდა, ათასნაირი სურათები ეზმანებოდა და წისქვილის ძიგძიგს, ტაკტუკს, ბედის სიმღერასავით უსმენდა.

დაწმენდილი ღვინობისთვის დილა კამკამებდა. ქოჩორა თანდილამ საიდანღაც ამოირბინა და ვენახის ღობიდან გადმოსძახა ანდრიას:

– ძია ანდრია! თქვენებიანთ თაყინას ბიჭი ჩამოვიდა, ქვევით უბანშია ხეჩიკაანთ თედოსთანა, შემოგითვალა: მალე ამოვალო!

– აი, ბარაქალა ჩემო თანდილა! მოდი სამახარობლოთ თურაშაულის ვაშლი გითავაზო, წეღან რუში დავიჭირეი, შეხე რა ატლასივით დაბრაწულია.

– მადლობთ, ძია ანდრია! – კმაყოფილების იერმა გადაჰკრა ფეხმარდ თანდილას და ვაშლის კბეჩით ღობეს მიეფარა.

– ვინ გეწვია? – შეეკითხა ანდრიას ჩუმჩუმელა ლინდრია.

– ჩვენი მოკეთეა, იმასთან მუსაიფი ერთ რამეთ მიღირს. ნათელი დაადგეს იმის განსვენებულ მამასა, ფხიანი და ომახიანი კაცი იყო; პურს მარტო არ გადატეხდა, ღვინის ჭიქას უამხანაგოთ არ მოწრუპავდა, ურიგო სიტყვას არ შეგახვედრებდა; ცხოვრების შნოც გააჩნდა და მოხერხებაიცა.

– გამარჯობა, ბიძაჩემო, – მიესალმა თავზე წამომდგარი მგოსანი ანდრიას და ყელზე მოეხვია.

– შენი ჭირიმე, შენი! რათ ამოიკვეთე ფეხი, სადა ხარ სადა?! ესე არ ამცხადებია წუხანდელი სიზმარი, როგორც ეხლა. – ჩაიხუტა ანდრიამ და ცრემლები წამოყარა.

– ეჰ, რამდენი ხანია არ დავმტკბარვარ შენი ბაასით. – უთხრა მგოსანმა.

– აბა, აბა შვილო! ცხოვრებამ ასე იცის, ხან სად მიგაყუდებს, ხან სად აგასორსოლავებს, ხან სადა...

ანდრიამ ხელით ანიშნა მგოსანს და ორივენი წისქვილის კედელთან მიგდებულ ბრტყელ ქვაზე ჩამოსხდნენ.

– სხვა, როგორ გიკითხოთ, ძია ანდრია?

– რა მიჭირის, ცოტა სიბერე წამომეწია. – ანდრია ცოტა ხანს დადუმდა და განაგრძო – შენ კი, რაღაც შეწუხებულხარ... ეს ოხერი ნათხოვარი წუთისოფელი ადამიანმა დახრა, აბა რაღა გამოსადეგია, – ამოიოხრა ანდრიამ.

– რას იზამ, ბიძა, გამოხრულ ძვლებს რომ მაინც ეტანებიან?

– ადამიანი ხარბია, შვილო, ყველაფერზე მგელივით მიიწევს. – წარმოსთქვა ანდრიამ, თან მარჯვენა ხელით ცინგლი მოიწმინდა და შარვლის

თეძოზე აიგლისა.

— ადამიანი რა დიადია და რა ბოროტი, არა ძია ანდრია?

— ვერა ხედავ, ადამიანებმა ერთმანეთი როგორ აითვალისწუნეს? კაცი კაცს გადაემტერა, ერთმანეთს აციმბირებენ, ყელში დასახრჩობად ვარდებიან, წეწავენ, ზურგს უკან საფლავს უთხრიან. — ანდრიამ საბძლის წინ დაფრენილ ჩიტებზე მიუთითა, — ერთი შეხე ბეღურებს... წელიწადი თორმეტი თვეა ამათი შემაცქერალი ვარ და ჯერ არ მინახია, რომა ბეღურამ ბეღურა მოჰკლას; ისიც არ გამიგია დათვმა დათვი დაგლიჯოს, ანდა სვნის თავიდან მერდევანზე დააგოროს. ჩვენ კი ლამის არის ადამიანის ხორცის ჭამა დავიწყოთ. თქვენი ბრალიც არის შვილო, ნაჰტავლმა ხალხმა რა არ მოიგონეით, რო ქვეყანა აამტუტოთ და ამოწყვიტოთ. თუ წინათა ხმალდახმალ გადავიჭრებოდით ხოლმე, ეხლა ზარბაზნებიო, ჰაელოპრანიო, პულიმენტრიო და რა ვიცი, რა ჯანდაბა და დოზანა არ შემოიღეთ!..

— კაცის ადათი, ალბათ, ასეთი ყოფილა, ბიძაჩემო...

— ადათი კი არა, ადამიანი რქენია ცხოველია, ნახე თუ დედამიწაც არ გადაიკიდოს... ფშუტია და ჭიანაჭამი ჩვენი ცხოვრებაი. აი, და... და... და... და! რა დრო შეგვესწრო, — ამოიკვნესა ანდრიამ.

ამ დროს საბძლის უკან დაბმულმა ხოხიას სახედარმა დაიყროყინა.

— ყურები გამომიყრუა ამ ოხერმა! — წამოიძახა მგოსანმა.

— ზოგიერთა ადამიანებიც ეგრე ყროყინებენ, — დასძინა ანდრიამ.

წისქვილის ზარმა დოლაბზე უწესრიგო წკარუნი ასტეხა.

— წრუტაანთ გიგას საფქვავი ჩამოვიდა, — ჩაილაპარაკა ანდრიამ და წისქვილში შევიდა.

— მიხა, შენი ჯერია, საფქვავი დააყარე! — გასძახა ანდრიამ, მხართეძოზე წამოწოლილ, სახედაკენკილ, ოდნავ მთვლემარე მიხას და ხვიმირაში ჩაიხედა.

— შენ იცი ჩვენო ანდრია, ნაოფლარი თავთუხი საგულდაგულოთ დამიფქვი, ე მანდ არ დამიღერღო! — ახმაურდა ტანდალეული მიხა.

წისქვილის ჩრდილი რუს დასცემოდა და ბოლოქანქალა წანწკარა ჩიტი უსუსურ ტალღებს ეალერსებოდა.

პოეტი გარეთ იჯდა, იმის ანთებული გულის შუქი მკერდიდან ჟონავდა, შეჰყურებდა ბოლოაწეულ ურმებს, ნებივრად დაყრილ ხარ-კამეჩს, ქვედა ყბის დალეულ კბილებით პირის თბილ ქაფს რო იცოხნიდნენ. წისქვილის ხმაურით მოგონებები იღვიძებდნენ: სოფლად გატარებული ბავშვობის დღეები პეპლებივით დაფარფატებდნენ, დაეძებდნენ დაკარგულ მგოსანს, ათვალიერებდნენ იმ ადგილებს, სადაც მუდამ გაისმოდა:

საყდრის გადასწვრივ ჟრიალა ლხინი,
ცეკვა, დავლური, ლეჩაქის ქროლა,
გაღმა, კლდეებთან მტკვრის ყრუ ჭიხვინი,
ღამე ჭალაში ჭინკას ქოქოლა.

მთა მედიდური, მთა დანახვისი,
მაღალი, როგორც ჩემი სამშობლო.
ძია თაყინას ღვთისნიერება
და სინანული სიცოცხლის ბოლოს.

ღედის ვედრება ღვთისმშობლის ხატთან,
ლოდინი... სადმე შეხვდება მისანს.
ჩამქრალ ბუხართან მძინარე კატა
და აკვნის რწევა შუაღამისას.

სალამურის ხმა ქვევით საყარზე,
ალუბლის წვენით გათუთხნულ ტუჩებს,
გოგონას სახელს ლურჯ წიგნის ყდაზე,
კაკას ფერდაზე შემხტარ ალუჩებს.

ლამზე ბღლაძუნი, ცურვა მკლაური,
უზრუნველობა ნატკენ ლავიწებს.
ჭანდრების სტვენა მოლაღურივით,
ყაყაჩოებით ანთებულ ველებს.

ზეცაზე ზეცა გადაფრინდება, ზეცაზე ზეცა გადაანათებს; მაგრამ შემკული ბავშვობის ხსოვნა არასოდეს არ წაიშლება. რა დაგავიწყებს: პირველ სიყვარულს, ღედის ლოცვებს, ქარში აჭრიალებულ კაკლის ტოტებიდან ამოვარდნილ ფოთლების ცვენას, ქედნის ყელივით გადახნულ მინდვრებს.

– ბიჭო, ეგ ტომარა უკან წასწი, ხო ხედამ თანმდებარია! – უტატანებდა ტლაშაანთ ლექსო თავის მორბედს, თან საფქვავით დაზურგულ ურემში შებმულ ყევარ ხარ-კამეჩს აპეურებს უსინჯავდა.

ანდრია ბუხრის წინ ტრიალებდა, მუგუზლების გაღვივებულ ნაკვერჩხალზე, შინდის შამფურზე წამოცმული მწვადი აეშიშინებინა. იქვე სამფეხა ჯუჯა მაგიდა დაედგა, გარშემო ორიოდე მსხვილი ნაპობი შემოეწყო.

– ანდრია, მოხმარება ხომ არ გინდა? – მიმართა მოჩითული ენით საღერღელაშლილმა ნადარბაზეველმა მენამ, თითქოს არავითარ ბაიბურში არ იყო.

– ჰო, რა ცანცარა ხარ მენა! ვიცი, ვიცი რა მუცლის გვრემაც აგიტყდა და რაზედაც აცმაცუნებ ე, მაგ ტუჩებსა. რახან არ დაგიშლია, მოდი და ამ საკეციოთ მუგუზლები აჩენჩხე და ხან ცეცხლს შეუჩუჩხურე ხოლმე, – ღი-

მილით უპასუხა ანდრიამ.

საღამოვდებოდა. სოფლის ხეები ნიავზე ირწეოდნენ, ხან ოდნავ გატრუნდებოდნენ, ძირნაყარ დღეებს დასცქეროდნენ, ხან კენწეროებს ერთბაშათ შეაშრიალებდნენ, თითქოს ქარის აბაზანებს იღებდნენ.

წისქვილიდან მოისმოდა მოლხენა, ხმა ღვთისა და ხმა ერისა.

– ძეგლი რა ჭირათ მინდა! – გაიძახოდა განცხრომას მიცემული რიხიანი ანდრია. – იცით რა მენატრება? გეფიცებით სარზე დახვეულ ვაზის ულვაშებს, როცა მოვკვდები, საფლავზე დამაყარეთ იმ ღვინის ჭურჭელი, რაც მე გამომიცლია.

– ერიჰაა! ეგ ხომ დალეწილი საღვინეების თელი ქედი აიმართება! – იცინოდნენ მესაფქვავენი.

– ბოლომდე გამოწაფე, გამოდი აზამბარშია, ვალათ ხომ არ წაგივა? რა ღმერთი შეგეწია! – ალერსით უტევდა ანდრია ოქუაანთ ჩელას, წისქვილში შემთხვევით რო შესულიყო.

დიახ! ადამიანებმაც იციან ჟივილ-ხივილი დაბინდების ჟამს, ესღა შერჩათ იმ პირველყოფილ ბედნიერებიდან. რა კარგი იყო, როცა ადამიანი სოლივით ერთ ადგილზე როდი იყო ჩარჭობილი; ის მერცხალივით იქით ეშურებოდა, სადაც ყვავილები და წალკოტები ბინადრობენ; ის უდიერად უცქეროდა მარადიულ მყინვარებს, თოვლის უდაბნოში თავაწყვეტილ ქარიშხლების ღმუილს; ეხლა კი, ისე დაიგეშა რომ ყინულოვან ოკეანეში პინგვინებს და თეთრ დათვებს დაუახლოვდა; ვეშაპებს შეება და სუსხიან საიდუმლოებას ბუღა ხარივით ერჩოლება.

რა თქმა უნდა, ზოგიერთა განათლებულის ქლოშინი, ცივილიზაციასთან ბუტიაობა, უგუნურობის საწინდარი იყო. კაცობრიობა უკან არასოდეს არ დაბრუნდება: ცათამბჯენი გვიმრები, გოლიათის დარი ქვეწარმავალნი, ანდა ტაიტელი ველურები აღარ განმეორდებიან, აღარ ეახლებიან ამ წუთისოფელს.

მაგრამ, ჩემი მეგობარი პოეტისა არ იყვეს:

„სად მიბზუის ჩვენი დედამიწა?.. რათ ბღავის უსაზღვროების ხრიოკ მინდვრებში? რათ დაიბნა მომაკვდავი?.. სადღაა სიმშვიდე?..

ეჰ, შთამომავლობავ! რამდენ კარგს მოიმკი და რამდენ მშვენიერებას დაჰკარგავ. ხომ აგიკრძალეს ქალაქად, რომ ბალახით შემოსილ მიწას ფეხი დაადგა, ხის ქვეშ წამოწვე, შენი ნებით ენძელა მოწყვიტო... ბაღები სადალაქოს თოჯინებივით შეკრიჭეს. ნაძვები და გუნდის ხეები დაასნეულეს, საცოდავები დილით როდიღა ირხევიან, პირიქით, ჭლექიანი ადამიანებივით ახველებენ“.

ანდრიამ მეორე დღეს მგოსანი თავის მარანში მიიპატიჟა. ორკოკიანი დატალახებული ქვევრი მოხადა, სარქველი გვერდზე ციმციმით გადასდო, გარდიგარდმო წალამზე დაწყობილი ვაზის ფოთლები სათუთად წამოკრიფა, პკე გადასწია და გულწითელა ღვინოში სუფთა წაფურა დაურია.

– გამჩენის მადლმა, ხატის ნაბანია, შეხე, რა შუშხუნაა! დალიე, ღმერთმა შეგარგოს! – მიაწოდა ანდრიამ მგოსანს ღვინით გალიცლიცებული წაფურა.

– აგაშენოს, ძია ანდრია, იდღეგრძელე დიდხანს! – მიუგო მგოსანმა და ტუჩებზე მიყუდებული სასმისი ძირამდე გამოწაფა.

– მადა გაღვიძებულმა ანდრიამაც გადიწერა პირჯვარი და წისქვილის მტვრით ჩახრენწილი ყელი ყურძნის წვენით ჩაიკოკლოზინავა.

– ალავერდი შენთანაა, შენზე უპრიანია! – შესძახა ანდრიამ საქაჯავის ღარზე გადალაჯულ თავის სიძეს.

– ანდრიას ოჯახობამ ასტამით გადაფხეკილ ხონჩაზე დალაგებული: თონიდან ახლად ამოყრილი მახობლიანი პურები, ცივად მოხარშული ქათამი დანაყული ნივრის სანებლით, ძროხის ჭყინტლი ყველი, ზურგიელი და მწვანილი შემოიტანა.

– შეექეცით, ცოტაზე ნუ დაგვძრახამთ! – მიმართა მანდილოსანმა სტუმრებს და თეთრი ხილაბანდის წვერით თხელი ტუჩები უსაბაბოთ მოიწმინდა.

– ვენაცვალე ჩემ დედაკაცსა, აი დედასა, რომ აღარ ვარგივარ, დამჯაბნა რას იზამ!.. – წაიოხუნჯა ანდრიამ, თან ყველას თვალი გადაავლო, რომ შეეტყო: მოეწონათ თუ არა იმის უკბილო ხუმრობა?!.

– კაცო, რატო შენ ქერქში არ დაეტევი, აბა რა დროს ეგეებია?! – შერისხა მეუღლემ ანდრია. მერე მარნის განჯინის კარი გამოაღო, ხის სარკვევზე გადმოაწყო შარშანდელი ნიგვზის სხვილი ჩურჩხელები, ქლიავის ტკბილი ტყლაპი, ალუბლის კერკი და სტუმრებს მიართვა.

მარნის გაურანდავ ჭერის კოჭებზე დამჭკნარი ხეჭეჭურის ასხმულები, გაშვლეპილი ყურძნის კლერტოების ჩხა და მარცვლებ დამპალი აკიდოებიღა ეკიდა.

საცაა რთვლობა იწყებოდა. მუყაითი ანდრია ქვევრის რეცხვას შესდგომოდა, მოზრდილი ზურგი ღვია მოეტანა, ორიოდე ხელი კიდევაც შეეკრა. საფერავისგან შეღებილი საწნახლის ფიცრები ტალანთან გაეტანა. რა არ ეყარა, რა არ მიეყუდებინათ მარანში: ბელტისგან ალესილი ბარები, უტარო თოხები, კბილამოვარდნილი ფოცხები, ნამგლები, პირშე-

მოცვეთილი ფიწლები, სამთითები, ობმოკიდებული გოზაურები, სარცხი, დალეული ბირდაბირი, ხელეჩო, მამაპაპეული ჭოპოსანი, ათასგვარი სალესავები,შიპმორღვეული გოდრები,მკლავდაწყვეტილი კალათები,ახლად დაწნული მოსაკიდები; თაროები ხომ გამოჭედილი იყო: პურის ცომით დაკერებული ქილებით, ხელადებით, ტოლჩებით, არყის დოქებით, წამლის შუშებით; კედლიდან გამოშვერილ კაჩხაზე გამხმარი ღორის მაჭიკი და გაბერილი ტიკჭორები მოსჩანდა. ძველი ამბრის თავზე, ჯორა ამოვარდნილი ჩონგური ეგდო. იქვე ნაკერ-ნაკერი ხორხი ბადე გაეჭიმათ. მარნის ღრეჩო დაუქმებულ ღია კარების უხეშ კოჭაკზე ახსნილი კლიტე გამოედოთ.

— ამ აზარფეშათი გაუმარჯოს ჩვენს მამულსა! — სჭექდა შეჟინჟღილებული ანდრია.

— ყველა თავს შემოვევლოთ ჩვენ დედა საქართველოსა! — ღაჟღაჟებდა სიხარულით აღტაცებული კატაპარიანთ ბიჭი, ასე ეძახდნენ ორმოცდაათი წლის გლეხკაცს.

— ამ პაპაჩემის ნაქონი ჯამითა, ჩემი დედ-მამის შესანდობარი შევსვათ, სულით გაანათლოთ იმ ქვეყნად! — გუგუნებდა ანდრია და შოთის ნატეხს ღვინის წვეთებს აპკურებდა.

— სასუფეველი დაუმკვიდროთ! — ბანს აძლევდა ანდრიას სიტყვაძვირი დვალიაანთ სოსა.

— ხალხნო და ჯამაათნო! რახან ბარდიბარში გამოვედით, მოდი მრავალჟამიერი შემოვძახოთ! — მოიწადინა შეგარხოშებულმა ლაშკარაანთ ბრაცამ.

რადგან, ღრაჯუნაანთ ნადიაკვნარი მიტა კარგი ხმის პატრონი იყო, ჟამიერი საგულდაგულოდ ჩაარაკრაკა, სიმღერის ლივლივს ყველანი აჰყვნენ.

— საწყალ მამაშენს უყვარდა ეს სიმღერა, — ჩასჩურჩულა ანდრიამ მგოსანს, — როცა ვიგონებ გული მეჩხრიკება.

გათენებამ მამლების ყივილზე მოატანა. ზორტებდაწყვეტილი ღრუბლები ნისლებწაკრულ მთების ძარზე და მწვერვალებზე გაიზმორნენ.

ჩვენს მგოსანს ანდრიას სახლის აივანზე გაეღვიძა. თივთიკის ბალიშს და თბილ საბანს კარგად გამოეშუშებინა.

კარის ვენახში, გულაბის ძირზე საბელით დაბმული ცურსავსე მაკე ძროხა ზმუოდა. გაკრეფილ ბლის კენწეროზე ჩიტების საფრთხობელა მოსჩანდა, თითქოს მათხოვარი ბალღი ამძვრალიყო.

მგოსანი ადრინდელ ლექსს იგონებდა:

ბაღებს გაზიდამს ყრუ შემოდგომა,
ტყე ქინქღლს მოიმცვრევს დილა ადრიან,
ქართულ წისქვილის კარს მოადგება,
წვერგაჯენჯილი დინჯი ანდრია.

ხვიმირებიდან დროჟამს ჩამოფქვამს,
გახედამს: ოჩხებს, ჯაგვნარებს, ჭიუხს,
წაიბუტბუტებს ათასჯერ ნათქვამს
და ხელის გულზე დაბერტყამს ჩიბუხს.

ყბედი მეურმე გააბამს ზღაპარს,
დაუსრულებელს როგორც მდინარეს.
ძაღლი შეყეფამს ვიღაც წინაპარს
და თვალს გაახელს ხარი მძინარე.

და ისევ ღამე კუნელის ფერი,
შავი ბუღრია ვით ჯოჯოხეთი.
შეხვალ, გეტყვიან: სად დაითვერი,
მადლობა გამჩენს რახან მოხვედი.

ვიღაცა ჭრაქით დახედავს საფქვავს.
წნორი ალაზანს შესვამს ფესვებით.
მთვარის სინათლე გაგიჭრის საფლავს,
მოჩარდახებულს თეთრი ფრესკებით.

ნუთუ ბოსელშიც არ გვქონდა წილი
ლოცვებს ვთვლით, მაინც ვუბეღურდებით.
კაცივით ოხრავს ჩარხის წისქვილი,
ჭერი სავსეა აბლაბუდებით.

ქვეყნიერებას რომ არ ვუმზიროთ
თვალებს დავხუჭამთ, რა ვუყოთ ყურებს?!
ჩამორეკილნი ბოლნისის მზვარათ,
ვგევართ დაღრეცილ მინიატურებს.

შემოიტანენ ღვინოს ერთ კოკას,
ანდრიას სახეს შეამღვრევს ბინდი,
შენ სიმს ყურთმაჯში ფრთხილად გამოჰკრამს
და ეს იქნება ჰანგების მინდი.

ფაფუკ ნაწერებს დასწვავს ბუხარი,
შენც დაიღლები მარად რო სძგერდი,
დაუკრავ ჩონგურს და ეს ოხერი
დიდხანს იცეკვებს შეშლილი ღმერთი!

ამ ლექსს პოეტი ჰქმნიდა ოდესღაც წისქვილის წყლის ჩხრიალზედ, მესაფქვავეთა ზღაპრებზე, აქ ჟღარუნობდნენ სიყრმის დღეები, აქ აღმოცენდნენ მოხუც მეწისქვილის შთამაგონებელი საუბრები; ამ ლექსის მკერდიდან წვეთამდა გულის გეჯაში გამოხდილი სისხლი.

ანდრიას ჭრაქის გაცრილ შუქზე ცეკვამდნენ თავგასული მანჭია ჭინკები, მოწყვეტილი ფოთლების დარად.

ეს იყო ჩემი პოეტის ლიტანია, წინ ჭაღარა მეწისქვილე მიუძღოდა, რომ სისხამ დილით რუს წყალი ეკურთხებინა და ქვესკნელიდან ამოფრენილ ალქაჯს შორი-ახლო ეთვალთვალა.

წინაპრების აჩრდილები ყეფდნენ და ჩარხის წისქვილი კაცივით ოხრავდა.

ნიშა ხარი ღმერთის დაჭყეტილ თვალებს მისციებოდა. დაუსრულებელ ზღაპარს არ უჩანდა ბოლო, არც დასასრული, ის იკარგებოდა ხმაგაკმენდილ არარაობის გაყუჩებულ ჯებირებს იქით, სადაც უკაცრიელობის ბურუსიანი ამინდი სთვლემს.

პოეტის ძახილი ვიღაც მგზავრს მგლის ყმუილივით დასწეოდა:

„რა ბედნიერი ხარ ადამიანო, რომ შენ არ იცი დასაწყისის კივილი და არც დასასრულის წიოკობა.

გაქვავდება სამყარო და, მის ხავსგაცვენილ მერქანს დაბრეცილი მინიატურებივით შერჩება: ღრუბლებზევით აზიდული სასახლეები, უზარმაზარი მოედნები, აკადემიკოსთა ღვაწლი, ყაყანა ხალხით გაჭედილი სათათბირო დარბაზები...

ვინ შეხედავს არქიდან ამოვარდნილ აოხრებულ ქვეყნიერებას, თუ არა ისევ ჯვარცმული მაცხოვარი და თმებჩამოშლილი წყლის ჭინკა.

ცის კაბადონებზე უკანასკნელი მბჟუტავი სინათლის ზოლი სარეკელასავით ახმაურდება დედამიწის დოლაბზე და აუწყებს განცვიფრებულ წარმავალობას უკვდავების დასასრულს.

ჩამოფქულ სხივების ხვავს ცივი ქარიშხლები სახეზე შეიყრიან და ჯამბაზებივით იხარხარებენ ვარსკვლავების რიყეზე. გარიყულ ღამეების ზედახორას სივრცეები ვეღარ გაუძლებენ, საშინელი ბღავილით და ზათქით ჩაინგრევიან.

ტიალი ჭინკა წელქვევით ბუერა ბალახშემოყრილი და ღვლერჭაშემოჭერილი სასაფლაოზე ბუკის ცემით აიჭრება და გაუბედურებულ კაცობრიობას, ყალყზე შემდგარ პლანეტებს ენას გამოუყოფს.

განთიადებდაწრეტილ უსაზღვროებაში რაღაც შავი ფრინველი შეინავარდებს. შუქგაწეწილი მთვარე, მზის ხვიმირებიდან ამორწყულ მინდვივით დარჩება მარადიულ უსასრულობაში“.

# ე

*სატახტო ქალაქის ხსენებაზე, გზებიც აყაყანდებოდნენ ხოლმე, რადგან მზემ საქართველოში იბარტყა.*

განა რომელიმე წელიწადი ისე მიიწურებოდა, რომ ჩემი მეგობარი თბილისს არ სწვეოდა. არ დამტკბარიყო თბილისის ეშხით. ვინ იცის, რამდენი სიდუხჭირე აგემა თბილისმა, რამდენი სივალალე, გულცივობა, ხელისკვრაც კი...

მაგრამ თბილისი უყვარდა, უყვარდა ყველაზე ძლიერ, სიცოცხლეზე მეტად. თბილისში იხილა პოეზიის იდუმალება, აქ ამოიდგა ენა, აქ შეეფეთა ადამიანების ნაირ ქარავანს, ის თითქოს დედის კალთიდან შესწირეს თბილისს.

ის საქართველოს სატახტო ქალაქს მოჰგვარეს ჯერ კიდევ ტუჩზე რძეშეუმშრალი; ის აქ ჩაიფლო ყელამდე ჭაობში, ბოლოს მაინც თბილისმა აიტაცა ხელში; ის აქ გაირყვნა და გაკეთილშობილდა კიდეც.

თბილისი დედინაცვალივით სტუქსავდა და ზოგჯერ, როგორც მშობელი ისე უყვავებდა.

პოეტი თბილისს ხან ბავშვივით გაებუტებოდა, აიფხორებოდა და გადაიწვერებოდა დასაკარგავში. უნებლიედ, ქვეყანა რომ გადაგებარათ, მაინც ვერ იპოვნიდით. ხან ისევ უკან ნამტირალევი მოვარდებოდა.

იმხანად ჩვენი ქალაქი ასეთი წარმტაცი როდი იყო, იმ დროინდელ თბილისში, რას არ წააწყდებოდი, რა მილეთის ხალხს არ ნახავდი: ვიწრო, ოღრო-ჩოღრო და ტალახში აზელილ ქუჩებს, ობობას ქსელივით გაბმულ-გამობმულ ტურტლიან შეღმართებს, უწესრიგოდ შეფენილ კუბიან ბილიკებს; ერთიმეორეზე გადაზნექილ კოჭებმომპალ აივნიან სახლებს, აშმორებული ეზოებით, ანჯამამორღვეული და დანჯღრეული ალაყაფის კარებებით; კოფოზე თავჩაქინდრულ მეეტლეებს, ლაფშესხმული ცხენებით; ჭერდაბალ და გამურულ ყავახანებს, თითბერის როხროხა და თუხთუხა სამოვრებით, ჩაის ლამბაქებზე ტუჩმიწებებულ მცონარა და გაკოტრებულ მევახშეებს; არღნის ჭყვიტინით, მოხარშული ფიჩხულის სუნით და ბოხხმიან როსკიპებით გამოტენილ სამიკიტნოებს; თალგამისოდენა ცხვირიან ხარაზებს; თავზე თაბახშედგმულ და მხარზე სასწორგადაკიდულ ლაზღანდარებს, სიარულის დროს წინ ხელებს საქანელასავით რო იქნევდნენ; დარაბამიღრეცილ დუქნებს ჩამოფხატულ ყავრის ბანებით; დარდიმანდ ყარაჩოღელებს; თვალთმაქც ჩარჩებს, ათას სიბინძურეში გაქნილ ფუქ-

სავატ კინტოებს; ინით წვერ-ულვაშშეღებილ სპარსელ ვაჭრებს, ხელში ქარვის კრიალოსანს რო ათამაშებდნენ; ახლადფეხადგმულ დაბახანის ჩაფსკვნილ მრეწველს, გახამებული თეთრი საყელოთი, ცისმარე დღე ოქროს ფულში რო კოჭაობდა; მემამულეებთან ჩამოსულ ყურებჩამოყრილ მოურავებს, ნიადაგ გული ყელში რო ეჩარათ; უკან ყურთმაჯებგადაყრილ სოვდაგრებს, თვალიდან ბეწვს რომ ისე გამოგაცლიდნენ ვერ გაიგებდი; დაღესტნიდან ჩამოსულ, საოცარი მეხსიერების პატრონ მკალავების ეზოდან ეზოში შეღრიალებას: ქაბი მოკალოთ, ქაბი!..

ზანზალაკებით აჩხარუნებულ, ზლაზვნით მიმავალ აქლემების ქარავანს, ზურგზე აკოკოლავებული საპალნეთი და ბარგი-ბარხანით; ხურჯინ და გოდრებგადაკიდებულ სახედრებს; თერძებით, ალაფებით, მექუდეებით, მეფარჩეებით გამოჭედილ დახურულ ქარვასლებს, ნაგავი და ჭუჭყი რო ახრჩობდა იქაურობას; წითელი თუ ნეკრესის ქარით დაკრუნჩხულ პირღია მეთულუჩეებს; მყუდროზე ჩაცუცქულ სახეაქერცლილ მაწანწალებს, ზამთარში მზეს რო ეფიცხებოდნენ; ყბებმოღრეჯილ და ხონჯარგამოჩრილ მეკურტნეებს, შიშველი ფეხის ტერფები ბებერი ტირიფის ქერქივით რო დახეთქოდათ და აქავებულ ბეჭის ფრთებს წამდაუწუმ კედელს რო უხახუნებდნენ; აღვირახსნილ, მუშტი-კრივით ცხვირპირდაქექილ, უკან ხალათამოჩაჩულ და საკინძეჩამოდღლეზილ მოკრივეებს; ახოვან თავადიშვილებს ულამაზესი ქალებით, მთელი მამულ-დედული დროსტარებაში რო დაეგირავებინათ და შეეყლაპათ; ფუფუნებით გაბეზრებულ, ჩინ-მენდლებით, აშურმით და ჟინჟღილებით აღჭურვილ ზვიად, ხუჭუჭბაკებიან ღენერლებს; ოჩან და უხიაგ ცხენებზე შემჯდარ დიღმელებს.

მტკვრის ნაპირზე გამწკრივებულ წუმპეს, ჭყაპს, გაფენილ ძონძებს, ფალასებს, ორთაყვირაყრილ ტივებს.

საეჭვო ბაღში მოსეირნე ჩლახუნა მოხელეს, ქართულს ძლივს რო ამტვრევდა, გამოთაყვანებული სახით და გახუნებული ქუდით. ქუჩებში მოხეტიალე ეულებს.

ეკლესიის კიბეებთან გახევებულ და მუხლებდახუთულ ხინჯიან მათხოვრებს, თმებში, მკერდის და იღლიების ბალანში ჯღიბა ჭვარტლივით რო მოსდებოდათ.

მბეუტავ ფანრის ფუტურო ბოძზე მიყრდნობილ არყით გალეშილ ასასებს; რიყეზე ხრიგინით მიმავალ მალაკანის ფორანს.

ყურთასმენას ხომ ერთიანად ახშობდა: ცისკრის ციმციმზე ზარების რეკა; მინარეთიდან მუეძინის ყვირილი; ორთაჭალის მოსაბეზრებელი ბაიათები; გოგირდოვან აბანოებიდან თავაწყვეტილი, მუქთახორა ლოთების ყიჟინა; ზურნის ჭყვიტინი, დოლის დაფდაფი და აბრანძულ მექისე-

ების აცაბაცა ჯიჯღინი.

მაგრამ... ვინ ეტყოდა ურიგოს გენიალურ ბარათაშვილის და ღვთაებრივ ვაჟა-ფშაველას თბილისს.

ჩემს მეგობარს ხშირათ უყვარდა მამადავითის მთაზე ტორღიალი, ის მუდამ მოწიწებით თაყვანს სცემდა რუსეთის შესანიშნავ შემოქმედის – გრიბოედოვის სამარეს, სადაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის მდუღარება საფლავის ქვაზე იღვენთებოდა და გულამოსკვნილი სწყევლიდა ირანელი ბრბოს სივერაგეს. ნინოს მწუხარება თაობებს ტანში შეაჟრჟოლებს. ეკატერინეს საყურე კი ქართველი ქალის ქანდაკებას სამარადჟამოთ შერჩება, ვით ტატოს თვალებიდან წამსკდარი ცრემლი.

ჩემს მგოსანს ბავშობიდან ხიბლავდა თბილისის მიდამოები, თავდავიწყებამდე ეტრფოდა თბილისს:

ჩემო თბილისო, მიყვარს შენი ქოთქოთა ბინდი,
შენი მთაწმინდა, ეგ ყურყუტა ჭმუნვის დღეობა.
როგორა ღვივის შენი ზეცის ლურჯი მინდორი,
როგორ ქათქათებს შენი დიდი მოსახლეობა.

რა წარმტაცია კამარების ელამი ჭერი,
ხან ჭორფლიანი რიჟრაჟების ბოყვი ხითხითი,
ხრიოკი მთები მოდებული, როგორც ჭერეხი,
და ჭარბ ფერებით ალეწილი გვალვების ხვითქი.

შენს წყაროებში მეც დავიწვი იმ ხოხობივით,
ამ ფერად წყლებით გორგასლანი სამოთხეს რწყავდა,
ქვეყნიერებას ცხელ გოგირდით შენ მოუთხრობდი,
ქართლოსის ტომებს ზოგჯერ ბედი როგორ სწყალობდათ.

შმაგი სიცოცხლით, ეს ოხერი გამოვჩერჩეტდი,
მინდა როგორმე, რომ ლოთობით გავისაძლისო,
ტვინი შემერყეს, თან ლოყებზე დავიწყო ჩქმეტა,
და ღრეჭით, დიდხანს გარს გირბინო, ჩემო თბილისო!

შენმა ღრუბელმა ცრემლზე სხვილი წინწკლები იცის,
და ზენაქარმა სიმღერები აურაცხელი,
ჩემო თბილისო, მუხლმორთხმული სიონს გაფიცებ,
ბინათ მომეცი შენი კალთა და საწნახელი.

ხევის ქალაქო, ასე ეშხით ვინ დაგამშვენა,
ვინ გიწყალობა ეგ სიუხვე ხელებ-გაშლილი,
შენთან მღეროდა ბედნიერი ვაჟა-ფშაველა,
შენში დარდობდა ჩემი ტატო ბარათაშვილი!

აქ თამადობდა ჯიხვის ყანწით, თურმე, მხარგრძელი,
თან აქლემების ქარავანი იდგა გირაოდ,
სადღაც... მღვიმეში დაღმუოდა ბედს მთაწმინდელი:
„და... უფროისი მარტოს ღამე მიწერიაო!“

რა საჭიროა ჯავარივით ვწერდე მუხამბაზს,
მზეთუნახავნნი ბროლის კოშკში მესხდნენ ხიზნებათ,
წყეულიმც იყვეს სამუდამოთ ამ ქვეყანაზე,
თბილისო ჩემო, შენს შუქს იქით გამოფხიზლება.

ო, როგორ მიყვარს შენი ოღრო-ჩოღრო ქუჩები,
ეგ მიწის ხაო, საოცარი ჯანყების ბური,
ღამის აკვანში გრილ ნიავის თოთო ფუჩუნი,
და ვერის ხიდთან ქარის სტვენა მამა-პაპური.

ეს მინარეთი შენს ღრუბლებთან რას აფხორილა,
იქნებ თაკილობს ნარიყალა რო ემდურება?
დიდხანს შერჩებათ ნაცარივით ქართლის ხეხილებს,
რაც მაჰმადებმა დაგვატეხეს უბედურება.

ჩემო ქალაქო, ისტორიას მე რას დაგიწერ,
ჩემი ცხოვრებაც კი არ ვიცი როგორ იწყობა...
დიდება იმას! იმ განგებას მრავალ-ჟამიერ,
ვინც დასაბამის სალოცავთან ძუძუ გაწოვა.

მე, მხოლოდ ჩემი ჩათხრობილი ჟინით მიყვარხარ,
მინდა სულ შენთან, შენს ქუჩებში ვიხრუკებოდე.
არსად არ წავალ თუ გინდ მიწა შემომაყარონ,
ოღონდ სულ შენთან... შენი ქვიშით ვიკვებებოდე!

ეს ლექსი, ჩემმა მეგობარმა ქვაშვეთის ეკლესიის მათხოვარს უნახსოვრა ფერისცვალობის წინა ღამეს... საცოდავი გლახა კაჭკაჭივით ბოდავდა ამ სტრიქონებს, რადგან მლოცველები ხელის მუჭაში ორიოდე კაპიკს ჩაუჩხრიალებდნენ ხოლმე.

აბო თბილელის შეფურთხებულ ხატთან შაჰ-აბასის ლანდი იკრიჭებოდა.

აფაფხულ მინარეთის წვერზე გახირულ ნახევარმთვარეს ჭილყვავები ასკინტლავდნენ.

ნარიყალა კი თეთრად ქათქათებდა, რადგან ომში დახოცილ ქართველი რაინდების ძვლებით იყო ნაშენ-ნაგები. ნარიყალას გალავნის თვითეული სვეტი ქართველი ერის გაქვავებული ცრემლებია.

*ღრუბლის ნაწოლი სივრცე უყვარდა.*

არ შემხვედრია ქართველი ადამიანი, რომ არ ათაყვანებდეს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ გენიას, ხატივით თაყვანს არ სცემდეს, არ დასცახცახებდეს მის წარმტაც, მის შთამაგონებელ ფიქრებს.

ის, საქართველოს ვარაყიანი მთების საწნახელია, საიდანაც ექვსი საუკუნის მდუმარების შემდეგ, დაიქუხა და ნიაღვარივით წამოვიდა პოეტური დიდების დოვლათი, რომ ივერიის დაცლილი ქვევრები დაეთქორა.

აღამაჰმადხანის და იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ვერაგ მუხლებზე გადატეხილ ქართულ სალამურს სიმებმოზიდული მუსიკოსი სწყურადა, გაპარტახებულ მიწა-წყალს – მადლიანი მხატვარი, გაჩანაგებულ ადათს ლოფოთას – მარმარილოს საბუდარიდან ამოფრენილი მოქანდაკე... ბარათაშვილის პოეზია ამ სურვილების შერწყმა იყო. ეს იყო დიდი წადილის, დიდი სიხარული. ეს იყო პოეზიის ზარების გრიალი – პოეტურ სიმფონიის შრიალიდან ამოვარდნილი, ბანს მერანის გადარბენილი ციაგების გუგუნი რო აძლევდა.

იმ შავბნელ დროში ბედის უკუღმართობამ პოეტის საუნჯენი ხელში არ ჩაუგდო ასოთამწყობს... თუმცა, რა შეედრება ხალხის გულზე დასტამბულ ლექსებს.

პოეზიის მთავარსარდალმა, მერნის გაშლილ ფრთებით ანთებული განთიადები აიტაცა და შუქდაშრეტილ სივრცეებს ჩამოუქროლა, რომლის ლაღი თქარა-თქური მარადისობის კაშკაშა გუმბათებს იქით ძლივს მისწყდა.

„ჩემო ტატო! ნეტავი ეგ შენი გულის ფერფლი ამაკრეფინა, რომ შეუნახოთ განძის დარად შთამომავლობას“, – ინატრებდა ხოლმე ჩემი მეგობარი, თან მოკრძალებით ჩაუშლიდა თავის სტრიქონებს:

დიდო პოეტო, ივერიის ღვიძლო გენიავ!
როგორ გსუსხავდა წარსულ დროთა ყინვა და თოში,
როცა მთაწმინდას ვუმზერ ხოლმე ასე მგონია:
შენი ძეგლია აღმართული საქართველოში.

როცა გავცქერი მტკვრის ტალღების შეწყობილ ღენას,
ვფიქრობ ჟამს მოაქვს შენი მწველი ხელთნაწერები,
ასი წლის წინათ რა იცოდა მოხუცმა დედამ,
თუ სამშობლოში იხარებდნენ შთენილი ძვლები.

ალბად, მერანმა ფრთები გაჰკრა მარადისობას,
რომ ვარსკვლავები ცაში გაჩნდნენ ნაპერწკლებივით...
ირმის ნახტომი გაბნეული ღამის ნისლებზე,
თითქოს ბუღია ავარდნილი მერნის ჭენებით.

შენი ხსენება ყველა კაცის გულს დაერევა,
უკვდავებისკენ გაფრენილო ბედნიერებავ!

რა ვუყოთ, თუ ჩემი მარტვილი პოეტი კოჭებამდე ვერ სწვდებოდა ბარათაშვილის ხელოვნების მწვერვალებს, მაგრამ მუხლებზე ხომ ეხვეოდა, ხომ უკოცნიდა ნაღვლიან თვალებს, იმასაც ხომ ერეოდა სიხარულის ჟრუანტელი, როცა მთაწმინდას შემოაღამდებოდა და დიდი პოეტის რუხი ლანდი მთვარის განიერ სინათლეს მდინარის ტოტივით გადმოაგდებდა ხოლმე საქართველოში.

იმასაც ხომ სწამდა, რომ ჩვენი მტკვრის ტალღები განჯაში გადახვეწილ, ბრიყვი მოხელეების მაგიდაზე პირქვე დამხობილ ნეტარი შემოქმედის მწველი ხელთნაწერებია.

ვაგლახ, რომ იმ დროს ქართული ენა ქართველების მეტმა არ იცოდა, თორემ ვინ იცის, რამდენი უცხოელი ქედს მოიდრეკდა ბარათაშვილის სამარესთან.

ოცდარვა წლის გენიოსი გამოესალმა სიცოცხლეს, ღმერთო! რა ცოტა ხანი ჰქონდა დარბაზობა იმ წყალწაღებულ ქვეყნიერებასთან.

რა დიდი ბედნიერებაა, რომ წამებული ქართველი პოეტის შთენილი ძვლები სამშობლომ წამოკრიფა და სათუთათ შეინახა გულის უბეში.

შავი ყორნისაგან გათხრილი საფლავი, ჩემი ერის მდუღარე ცრემლებმა წალეკეს, როგორც ბოროტების და დაუდგრომლობის ნაოხარი ადგილი.

მგზნებარე ტატოს უკვდავი ლექსები, მუდამ დაემდურებიან წარმატებით წარჩინებულ ზოგიერთი თანამემამულის გახევებულ გულს და გაყინულ სვინდისს.

თბილისის სადგურზე ჩამოსვენებულ პოეტის ნეშტთან მუხლმოყრილი ქართველების ხსოვნა, მოდგმებს შორის იცისკროვნებს. იცისკროვნებს მთაწმინდაც, სადაც ბარათაშვილის უკვდავებით შევერცხლილი ქმნილებები ბუდობენ.

# ე

*მოვა დრო და სინათლის იქით გაშეშებულ სივრცეებსაც ხელს მიუწვდენენ.*

„ქალაქად ცხოვრება მაინც კარგია, – მიყვებოდა პოეტი, – ქალაქად ხალხი ზვიადობს, ამაყად გამოიყურება და ხმაურით გაბრუებული შესანიშნავად ემორჩილება მოძრაობის კანონებს, თუ ღმერთი გაგიწყრა და სწორედ ვერ გადაიარე ქუჩა, ისეთას დაგიტატანებენ, რომ თავბედს დაგაწყევლინებენ.

ქალაქელებს სჯერათ, რომ ქვეყნიერება ლაჯებში ამოიჩარეს, რომ ბუნების იდუმალება იღლიაში ამოიჩლიავეს.

ქალაქელები დაბინდებისას ბეღურებივით როდი ისვენებენ, ისინი ღღეღამ დალაჯუნობენ.

ადამიანი ქალაქში შევიდა კერპებით, მუმიებით, ხატებით აჩხორილი და რაღაც აყროლებული სირსველი შეიტანა ეპოქებში.

ქრისტიანი ეკლესიაში შედის, ვით უწყინარი ფრთოსანი, მუხლებს მოიყრის და მაცხოვარს უტიფრად ევედრება: სიცოცხლის გადარჩენაზე, სულის განწმენდაზე, მაგრამ დაბრუნდება თუ არა შინ, ხელს წამოავლებს სანადირო თოფს, სატევარს, წალდს და უწყალოდ ქლეტავს ხოხბებს, ბატკნებს, დურაჯებს, ირმებს, ჯიხვებს...

თავკირკიტიან მაჰმადიანს მექა სარწმუნოების და ყოვლად უწმინდესობის ჭიპათ მიაჩნია.

ბუდას მიმდევარი ლხასაში მიცვალებულ ლამას ხორცს იღმურძლება, რომ ნირვანის ნექტარს ეზიაროს. იყო დრო, როცა დაცვეთილი ებრაელი დაპყრობილ მოსახლეობას შუაზე ფატრავდა და მათ ნაწლავებს წელზე ირტყავდა, ვით გამარჯვების დამარწმუნებელ ნიშანს. ის კიდევ წინასწარმეტყველ მოსეს ელოდება, რომ თალმუდის წინ მოანართხოს კაცობრიობა.

ქალაქი მაინც ძლევამოსილია თავისი დიადი ხელოვნებით, ფერადი მაშხალებით, მდიდარი წიგნთსაცავებით, მეცნიერების მიღწევებით, ღამე ნათევი რესტორანებით, ჩაცმა-დახურვით...

მაგრამ, განა ქალაქმა არ შემოიღო: სახრჩობელა, იატაკქვეშ ჩაძრომა, პოლიტიკური გაწამაწია, ზარდამცემი ჭორები, არისტოკრატიული ჰარამხანები, დასაჭურისება, ცილის წამება?..

განა ცივილიზაციის პირველი კვირტები არ იყვნენ, ალექსანდრე მაკედონელი, ნერონი, მურვან ყრუ, დაკოდილი შაჰი? ადამიანებს კბილებით რო ჰგლეჯდნენ, თვალებს სთხრიდნენ, ბევრი სისხლის წოვით მუცელი

რო ებერებოდათ და ჯდომი აწვებოდათ.

რას მივაწეროთ, როცა მომაკვდავები ნიადაგ ადიდებენ თავის მკვლელებს, გადამბუგავებს?!.. იქნებ იმიტომ, რომ ადამიანი დიდ მანძილზე დაშორდა დედამიწას, ერთიმეორეს ძახილი აღარ ესმით? ადამიანი მარტო დარჩა ქაოსებმოდებულ გზებზე, შიშმა მოიცვა უბედური და ძალაუნებურად მიეკედლა განრისხებულ მტარვალებს.

ეხლაც, ვიღაც უყვირის კაცთმდინარებას:

„სად მილაჯუნობ?.. სადა?.. ცოდვებს სადღა მოინანიებ?..“

ფეხებდაკარწახებული მეცნიერები ისტორიის ჩანჩქერებთან ოჩხებსა სთხრიან, რომ წარსულ დროთა მკვდარი თევზები ამოყარონ და აყროლებულ ლეშზე წაიკითხონ, რაღაც მეტყველი და საიდუმლო. ისტორია კი სდუმს, სდუმს, როგორც სანსკრიტების ქარაგმა. და თუ აყბედდება, ის ქარის ზუზუნია ნანგრევებს შორის. ხავსი და ობი ბატონობენ ჟამიდანჟამში.

ყველა საუკუნე თავის კარებს ურთხელას ურდულს ადებს, სინათლეს აქრობს და გასისხლიანებულ მატიანის ფურცლებზე წვება საღათის ძილით. რამდენიც გინდა ანჯღრიე, შენც არ მომიკვდე, კრინტს ვეღარ დააძვრევინებ.

დიახ! ნანგრევების ხრიალია ისტორია, ნანგრევების ლუღლუღი; ნანგრევები ხვრინავენ; ნანგრევები ჩაახველებენ ხოლმე, სადღაც ჩაბნელებულ საუკუნეთა გომურში და ჩვენ ისტორია გვგონია.

მაინც ჩვენი პლანეტა რა ლამაზია, რა მართალი, რა გულღია... ადამიანო! რათ დაშორდი, რათ გაექეცი ბუნების ჭიატს, წალკოტებს, იალაღებს, ფრინველებს? რათ მოსწყდი მიწას, რათა შე საცოდაო?.. რათ ჩაიგდე საგონებელში მთელი შენი სიცოცხლე?.. რათ მოუღერე ორპირი მახვილი შენს არსებობას?..

ზაფხულის პაპანაქება იდგა.

ჩემი მგოსანი მთებში მივარდნილ სოფელში გაემგზავრა, თავის სიყრმის მეგობარ გიგლასთან ერთად. გიგლამ ღარიბი მშობლების გამოისობით განათლებას ვეღარ მოჰკიდა ხელი და დედის მხრიდან ახლო ნათესავს ცხვარში დაუდგა. ასე იცის ეს ოხერი ოჯახურმა ხელმოკლეობამ, გიგლას კი სწავლა იცით როგორ სწყუროდა!..

– წამოდი მთაში, რა ყურები ჩამოგიყრია, ღვიძლი ძმასავით შეგინახავ, – ეუბნებოდა გიგლა მგოსანს და თან ფაშატ ცხენს უზანგშიგაყრილ ფეხის ქუსლებს თეძოზე და მუცლის არეში უცაცუნებდა. ხან მარცხენა ხელით დაშვებულ მათრახს ოდნავ შეათამაშებდა ხოლმე. ულაყ ქურანზე ჩემი მეგობარი შემჯდარიყო. აღვირი ახლათფეხადგმულ მხედარივით

მოეჭიმა და, ასე ორი ძმადნაფიცი, წყნარად მიჰყვებოდნენ საძოვრებით გადაჭიმულ მთებზე ერთადერთ საურმე გზას, ხან ხევის აღმართზე ციცაბო საცალფეხო ბილიკს, ხან დაღმართებში იმალებოდნენ და ისევ ზევით მიიწევდნენ. მთების მყუდროებას ფრინველების ჟღურტული, ჭივჭავის ჭივჭივი, მწყრების ქვითქვითი, ღელეში კლაკნია ნაკადულების რაკრაკი, ცხენების ფრუტუნი და ხვიხვინი არღვევდა. ფერდობებზე და მინდვრებში დიკას და ქერის ყანები ბიბინებდნენ, თითქოს:

ნიავის თეთრი ნაფეხურები,
სროლით მიჰქონდათ თვალუწვდენ ყანებს.

ზავთიანი მთის მწვერვალები ზეცის თაღებთან ისე აზიდულიყვნენ, იტყოდი: იმას იქით ქვეყნიერების ტაშირის და ვაკის ნასახი აღარ იქნებაო. ტყუილად როდი დუდუნებდა ჩემი მეგობარი:

ჯანყს ეფარები ვინმე რო გხედამს,
მოსწყდი სქელ ჯანღებს, რას აცივდები?!
აჰყე მძლე მთების ვიწრო ხერხემალს
და წუთისოფელს გადასცილდები.

თუ, გზას როგორმე ველარ გაიგნებ,
ქარები მთვარეს ასწევენ მაღლა,
იმასთან სისხლიც ვერ შეგარიგებს
მიწისკენ კვალი ვინც მოგასწავლა.

გაჰყე პირდაპირ ქედს, მთის ხერხემალს,
ცრემლებსაც ნუღარ ჩააცივდები,
აჰყე, არ დასძრა არსად კრინტი ხმა,
და სამყაროებს გადასცილდები.

— რა ვქნა, რა შენთვისა ჩურჩულებ, რაღაცასა? — შეეხმაურა გიგლა.

— ხო ხედავ, ფრთები შევისხი ქალაქს რო მომაშორე, — უპასუხა პოეტმა.

— თუ გიხარია შვილოსანიასა, ხმა გამე და ისე ვიაროთ. რა ვიცი, ბალღობაში სულ ტიტინში გძვრებოდა სული, ეხლა რაღა დაგემართა, საფანელი ხომ არ შემოგაკლდა?!

— აი, იმ ქონგურებიან ციხეს რას ეძახიან? — შეეკითხა მგოსანი, რომ გიგლას აღარ მოეწყინა და თითონაც უბარ მდგომარეობიდან თავი დაეხსნა.

— ეგ მოტვლეპილი ციხე, ძველ დროშია, თურმე დიდი სიმაგრე

ყოფილა, სათოფურები ეხლაც ეტყობა. – მუსაიფის გუნებაზე მოვიდა გიგლა, – პაპაჩემი მეტყოდა ხოლმე, როცა ამ ხეობიდანა მტერი შემოგვესეოდა, ქართველები ე, მაგ ციხეში უსაფრდებოდნენ და შიშის თავზარსა სცემდნენ მუხანათებსა. გაგიხარიან, რომ ძირიძირობამდე მუსრს ავლებდნენ ბევრჯერ ხმალ და ხმალაც ჰკვეთებიან ყაენის წარმოგზავნილებსა და ისე ამოუჟუჟიათ, რომა დიდხნობამდე მტერს ჩვენსკენ პირი აღარ უქნია. ზოგჯერ, იმ რჯულამოსაწყვეტებსაც გაუმარჯვნიათ, ყველა მხრიდან შემოგვრტყმიან და ჩვენი მეციხოვნე ლაშქარი ამოუხოციათ. აი, მაშინ დაგვდგომია სისხლის ღვრისა და განკითხვის დღე: ცოფიანებივით დარევიან სოფლებს, იქაურობა ერთიანად აუმტუტებიათ; რაც გაუტაციათ ხო გაუტაციათ, რაც არა ერთიანად ცეცხლით გადაუბუგიათ; ქვაქვაზე არაფერი დაუტოვიათ. აქა-იქ, კანტი-კუნტად, თუ გადარჩენილა ბაკი, თეო, ფარეხი, ან საჯინიბო, ისიც გატიალებული და აკლებული. მე კიდე კარგად ვერ გიყვები, მაგრამა პაპაჩემი რო გვიამბობდა, თუ იმ ხანათა, რა გაუგონარი საცოდაობა ტრიალებდა ჩვენშია, ტირილი წაგვსკდებოდა ხოლმე.

– რამდენი ჭირ-ვარამის მომსწრეა ჩვენი მიწა-წყალი! – წამოიძახა შეწუხებულმა მგოსანმა.

– მოიცა, ჯერ სადა ხარ, ღვთის რისხვა ეხლა ნახეი. გამოღმა სოფლებს რო ააოხრებდნენ, მერე გაღმით ყიჟინით გაეკიდებოდნენ. ქალებს აუპატიურებდნენ, მაღალ კლდეებიდან ბავშვებს ისროდნენ, ყმაწვილკაცობას გულ-ღვიძლს აცლიდნენ, მოხუცებს ასო-ასო ჰკუწავდნენ, ჩეხავდნენ. გააფთრებული შეტაკება და ბრძოლები რომ დამთავრებულა, აი, იმ მდელოზე, – ხელი გაიშვირა გიგლამ, – შემოფლეთილი აბჯრები, კაჟიანი თოფები, დამბაჩები, ყაწიმ დაწყვეტილი და გადატეხილი ხმლები, თავმოკვეთილი ვაჟკაცები, წელებგადმოყრილი ჭაბუკები, ცხენის ნალებით გასრესილი ადამიანები, ფალიის სუნში ჭერეხივით ყოფილა თურმე მოდებული. ის მკვდარძაღლები დარბეულ დაბებს, ცეცხლის კვამლში გახვეულ სოფლებს თურმე კიდევ არ ეშვებოდნენ და ტყვია-წამალს უშენდნენ. რო გაგეხედა ფერდაკარგულ მზის ქვეშ გზების საშინელი მტვერი და ბუღი ტრიალებდა.

ამას წინათ, – განაგრძობდა გულდაწყვეტილი გიგლა, – აქ ამოვიდნენ ნასწავლები, არ ვიცი რის სიყვარული გაუცხოველდათ, ციხის გარშემო ადგილები გადათხარეს და ერთ ოცკოკიან ქვევრში ორი დედაკაცის ჩონჩხი იპოვნეს,ალბათ,საცოდავები დუშმანს რომ არ დანებებოდნენ და სვინდისი არ აეხადათ, ირჩიეს ქვევრში ჩამძვრალიყვნენ, ზევიდან სარქველი დაეხურათ და ისე გამომშვიდობებოდნენ მოწამლულ სიცოცხლეს.

– კიდევ რა აღმოაჩინეს? – შეეკითხა მგოსანი.

– სამაჯურები, ფირუზის შუბლის ქინძისთავები, პატარა ტაგანა, ძუძუმწოვარა ბალღის სხეულის კლერტო და რაღაც ფუტურო ძვლების ჯართი.

– შვილიც ქვევრში ჩაუტანია უბედურ დედას, – ცრემლი მოერია მგოსანს.

ჩვენი მგზავრები ციხის ნანგრევებს მიუახლოვდნენ. ცხენებიდან ჩამოხტნენ და განმარტოებულ თელის ჩეროში ხასხასა ბალახზე დაისვენეს. ცის ჭერზე ორიოდე თეთრი ღრუბელი დასრიალებდა.

ზღუდეშემორღვეული და თავგაჩეხილი ციხე ჯადოსნური მლოცველივით წარმავალობის ხანდაკზე პირქვე გართხმულიყო. სიცხის ბუღით და ქარების ბერვით გარუჯულიყო. ის თითქოს მიწას ჩაბღუოდა თავის განცდილს, ნახულს, გაგონილს.

რა ცოტაოდენი რჩებათ მატიანეს აშმორებულ ფურცლებს ნანგრევების ერთი დაღრიალებიდან.

– როგორც სჩანს, ციხის გვერდით სამრეკლოც ჰქონიათ, – წარმოსთქვა მგოსანმა.

– სამრეკლო და მერე როგორი! რეკით მთელ ხეობას აყრუებდა, – მიუგო გიგლამ.

– აღარ დაიარებიან სალოცავად?

– როგორ არა, ენკენისთვის პირველი კვირის სწორზე დიდძალი ხალხი მოედინება... მერა რა!.. ერთი კისერჩავარდნილი, ჩლიფინა მღვდელი, აჩმაჩუჩა დიაკვანი. სამიოდე წელმოხრილი და გადამღრძვალი მოხუცი ლოცულობს.

ლაგამამოგდებული ცხენები ნოყიერ მოლს შეექცეოდნენ სიამით, კუდის ძუას გავაზე და ბარძაყზე იტყლაშუნებდნენ.

მწვანე ხვლიკს სოროდან თავი გამოეყო, უცნობ მგზავრებს შიშდაკრული უცქეროდა და სარეველა ბალახის თესლისოდენა თვალებს, გოროველასავით რო უპრიალებდა, აქეთ-იქით აცეცებდა.

მგოსანმა ფრთხალ ხვლიკს თვალი მოჰკრა და მოაგონდა:

აი, ამ მინდვრებში, ამ ხრიოკ მთებში,
ჩვენ ხომ ერთმანეთს ვჭამდით მგლებივით!
იქ სურათია: სდგას მხედარი, უჭირავს თეფში
და ზედ ამხია კაცის თავი გველის ხვრელივით.

მეც მარტო ყოფნა ათასწლობით მომეწყინება,
თავის ქალაში მწვანე ხვლიკი შეძვრება ღამე,
ძვლებზე შემხმარი დაფიქრება მოეწონება,
და მატლებდახრულ თვალებიდან გახედავს ბაღებს.

მზე იწვერებოდა. ჩვენი მგზავრები ცხენდაცხენ სერზე და დაქანებულ ნასვენებზე ტაატით მიიწევდნენ, ხან ბორცვებს იქით იმალებოდნენ, ხან აყრილ ჯაგვნარებს გაუხვევდნენ, ბოლოს ტყით შემოსილი ქედი გადასერეს და გადაიკარგნენ. აღარ ისმოდა, თუ ორი მეგობარი რას საუბრობდა. თვალს მიეფარა ლამაზი ტაიჭების წაბლის ფერიც. აფრენილ მწყერჩიტმაც გზა გადასჭრა და ლაქვარდების ჯეჯილში შთაინთქა.

კანჭებმონჩხვრეული სამლოცველო საკუთარ ნანგრევებზე მოკრუნჩხულიყო, ის თავის დადებულ ნისკარტაკრულ ქვებზე იჯდა, რომ წარსულის მწარე მოგონებები გამოეჩეკა.

ციხის ერთადერთი გვერდჩამორღვეული კედელი, კლდის ქიმზე ყანჩასავით ცალფეხზე შემდგარიყო, დუქარდივით ნისკარტი წინ გაეშვირა, მიმავალ მგზავრებს თვალს ადევნებდა და გაკვირვებას იყო, რომ ერთმანეთს ლაწალუწი არ აუყენეს და არ ამოხოცეს.

ნუთუ, ჩვენი მგზავრები წუთისოფელს გადასცილდნენ, სივრცეები გადალახეს და სინათლის გაღმა მოქუსლეს.

თავღია ქვევრიდან დაგუბებულ ქვითინის და გაუგონარ წამების ბოლი ხრჩოლავდა. თოთო ბავშვის წამონთხეული რძე და უმანკო სისხლი მშობლის გაციებულ მკერდის მარცხენა ძვალზე ქათქათებდა, როგორც დედის უკანასკნელი სიმღერა.

უხსოვარ დროთა გვირაბებიდან ქარბუქი ჰქროდა, მძვინვარებდა და შიგ თავშეფარებული ჩონჩხები კიოდნენ. მტარვალებო, ჩვენ წამებას შთამომავლობა აგინაზღაურებთ!

## ჯ

*იალბუზიდან შეიძლება მოჰკრა თვალი,*
*სამყაროს იქით მიმავალ მგზავრებს.*

ატენის ხეობას რომ აჰყვე დანახვისის ძირში მიაწყდები ჭარმაგ ტაძარს. მარცხენა მხრიდან მედიდურათ რო გადაჰყურებს ქვევით ახმაურებულ ტანას, მარჯვნივ ტყით შემოსილ ქედებს ცის კარ-მიდამო დაუბნელებიათ.

ტაძარს ორიოდე კალოსოდენა ეზო მინგრეული ყორეთი შემოვლებია.

ამბობენ: მეშვიდე საუკუნის ძეგლიაო! ვინ იცის... იქნებ უფრო ადრე, აქ იდგა წარმართების კერპი და იესო ნაზარეველის მოციქულებმა დაანგრიეს. ან, იქნება დანახვისის მწვერვალიდან ფეხაკრეფით გადმო-

იხედა ქრისტიანობის პირველმა შიკრიკმა, სახეაწეულმა წარმართებმა კი მძიმეთ ამოიოხრეს და მიწის ფერი დაედოთ.

იქნებ, ამ მთების ორწოხებში ასტეხეს ყაყანი თეთრი მანტიით მოსილმა წმინდანებმა და თრიალეთის უღელტეხილებმა შთანთქეს კერპთაყვანისმცემლების ღრიანცელი. იქნებ მართლმადიდებელ მისანის გვერდით სახარების ფურცლებს იხუტებდა გამცემი ქურუმი და ტანას პირზე დამთხვეულ წარმართს ქაჩალი კერპები აოკებდნენ...

ვინ იცის, პირდაუბანელი წარმართები, რა ხელჩართულ ბრძოლებს უმართავდნენ თმებგადავარცხნილ და ფეხშიშველა ქრისტიანებს. ალბათ, სიონის გალავანზე მლოცველთა შესხმულ სისხლნარევ ტვინს ბებერი ფოცხვერი ლოკავდა. ქვევით ტანას ტალღები შედედებულ ცრემლის გუბეებს ხვრიპამდნენ.

ალბათ, ტყვედ შეპყრობილი წარმართები ბოღმამორეულ თვალებს სიბრაზის ალმურში აბრიალებდნენ, დალეწილ სავანეს ბუქში სახე უსკდებოდათ და ჩაშხამებულ ვედრებას, მოღავებულ სიცოცხლეს ქარის კვართზე კითხულობდა ბაგინეთის მთავარი კერპი.

ხმა ჩაიგდე საკვირველებავ! მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: წარმართების საქანელაზე ქრისტიანები შეხტნენ და გაოგნებულებმა ჩაბუქნეს კალთების ფრიალით. დარჩა წარმართების ნაწვერალი.

რა ვუყოთ, თუ სასწაულმა სადღაც დაიღრიალა.

რა დარჩა შთამომავლობას? მხოლოდ დამუნჯებული, დაზიანებული ტაძრის კედლები, გაცრეცილი ჩუქურთმები, გამოშიგნული წირვები, მიყრუებული ღაღადი; რაღაც ვეებერთელა, ყბაყურა სასოების მუმია, ზეზეურად მკვდარი და აშმორებული; თვალებდათხრილი ლანდები, კაბაშემოცვეთილი კოჭლი ხუცების გახუნებული ნათელი, ჭანგი და ხავსი, ჭრიჭინების მოთქმა და წყეულთა სისინი.

„მართლაც, კაცობრიობის ისტორია რა მახინჯი, რა ცბიერი ფიტულია ადამიანთა დაუსრულებელი მდინარების. მართლაც ჩვენი პლანეტა აგორებული ქვაა“. – იტყოდა ხოლმე პოეტი.

სიონის სლიპ კედლებზე და ხებალახა ბანზე, ამაოდ იჩაჩხებიან ღაბაბგასიებული სწავლულები: რაღაც ქარაგმებს იწერენ უბის წიგნაკში, უკვირდებიან შერყეულ ფრესკებს, გულთმისნობენ ქერტლიან ხატის სამოწყალოდ გამოშვერილ ხელის გულზე და ჯღაბნიან სქელტანიან გამოკვლევებს.

ხანდისხან, საიდანღაც გამოტყვრება ვიღაც მატაოცი, ასტეხავს ერთ ორომტრიალს: ტაძრის მშენებლობის ახალ თარიღს ამოქექავს აშმორებულ წლების ბურტყლებიდან... ახლა მეორე ურჩი წამოფრინდება გა-

ჩირაღდნებულ დარბაზის მერხიდან, ტაძრის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვას თხოულობს... და, ასე არ მოისვენებენ, სანამ ერთმანეთს არ აამტუტებენ.

მაგრამ წარმავალობის ოკეანემ, გააფთრებული ზვირთებით, სად მოგლიჯა წარმართობის და ქრისტიანობის სამანი, სად მიხვეტა დამხრჩვალი კერპები, ქურუმების სასოწარკვეთილი ძახილი, მოციქულების ყიჟინა დანახვისის დაღმართებიდან? ეს არავინ არ იცის! ეს ახსოვდა ოდესღაც სიონის სამრეკლოს, მაგრამ ის სდუმს, სდუმს შემაძრწუნებლად, თითქოს სიკვდილის ამბორი გაცვენილ წამწამებზე და ტყლიპიან სახეზე შეხმობია.

ქრისტიანობის ტრაგედიის მიზეზი ისიც იყო, რომ სიკვდილი ვერასგზით ვერ მოიშინაურა. დასაბამი ქრისტიანობას მისჩერებია მთვრალი ვერძივით.

დიახ, რაღაც სიდუხჭირე გადაეფაფრა სიონის გამოხრულ ჩონჩხს, ზედ ლაფივით გადაასხა თავისი ღვარძლი და ქრისტიანობის უკანასკნელ ნაბიჭვრებს დაგვიტოვა ჯვარგაჩრილი ახმახი თოჯინა.

რა ბრიყვი ქინქლებივით დაიფერფლნენ აურაცხელი წლები ეგვიპტელი ქურუმების ცეცხლის შიშინზე და გაძევებულ ქრისტიანების ელამ კელაპტრების ალზე. როგორ პირდაღებული სარანგებივით გაშეშდნენ სხვადასხვა ფერის საუკუნენი საკმევლის სურნელებით გაჟღენთილ და ზარების რეკით დაბნედილი სივრცეების ქვეშ.

თუმცა, დარჩა რაღაც ნატამალი: გადაზნექილი სოკო ნარევი ბოძები, სიონის ქვებზე ამოჭრილი თვალდახუჭული წარწერები, ნამტირალევი ყმა გლეხკაცის სევდა, პატარა ნაწყვეტები, სადაც შეიძლება ვაივაგლახით რაღაც ამოიკითხო, გაიგონო, იგრძნო, მიუხვდე, მიწაზე დაადო ყური და დიდი ხნის წინათ ჟამთა სიავის კევრით ჩალეწილ დროებათა გალახული ტუტუნი მოისმინო, ან თვალი მოჰკრა ნიშა ხარის ქანდაკებაზე ხუროთმოძღვრის ნაღვლიან ღიმილს; ზურგშექცეულ მოწამეთა ხელის მუჭაში მოგროვილ ცრემლების ჟონას.

ატენის სიონმა ააყბედა ჩემი მგოსანიც:

დასაბამს ქვემოთ, აქ ტყე ბუდობდა
პირქუში როგორც ამაოება,
შეხიზნებოდნენ მთებს ქურდებივით
გამოქვაბული და მყუდროება.

სქელი ნისლები მდორედ ხრჩოლამდნენ,
ყრუთ ჭრიალებდა ხევის ანჯამა,
ვარსკვლავნი ისე მოსჩანდნენ ღამე,
თითქოს ზეცა ჩრჩილს ამოეჭამა.

უფლის ნათელი დაბარბაცებდა
გაუთენარი გზების ბოლომდე,
კერპები სთვლემდნენ გაღმით ბორცვებთან,
ეამს რომ კივილით ჩამოჰყოლოდნენ.

დრო იყო როცა ბნელ სასუფეველს
მდინარე ტანა ჩაუდიოდა,
საიქიოდან წუთისოფელი,
როგორც მამალი ისე ყიოდა.

საღღაც, მღვიმეში ენთო კანდელი,
ხელში ხატები ეჭირათ ჩრდილებს,
მოციქულებს კი, გარდატნის კლდეზედ
ჩასძინებოდათ აღთქმით დაღლილებს.

წარმართთა ძვლებზედ იდგა ტაძარი,
ზევით ლეგენდა მიჰქონდათ მთიებს,
ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები
ჰგავდნენ სისხამზედ მოკრეფილ იებს.

ვით უკვდავება წყარო ანკარა,
აცისკროვნებდა ირმების ფერდობს,
ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა
და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს.

მოსულ შეთქმულთა ნათელ ოცნებას,
გუმბათის სვეტი გარს იტბორებდა,
მოხუცი ღმერთის აქ ნათქვამ ლოცვებს
სამრეკლო ღამე იმეორებდა.

სიონში მრევლის ტევა არ იყო,
გარეთ გალობდნენ მწირი ბერები.
ჯიღა ცაცხვები იდგნენ ყორესთან,
ვით ხანშესული ქალღეველები.

ჩუქურთმებს ტაძრის ბანი აეპყროთ...
ელამდა მთვარე – ქურუმთა ოდა,
მოჰქონდათ ჯვარი, ჭაღები ენთო,
და დანახვისზედ ჭოტი კიოდა.

ვინ იცის, იქნებ, იმ ოხერ სასუფეველს მდინარე ტანა ჩაუდიოდა, იქნებ იქ, იმ ცივ, პირუტყვ უკუნეთში მიიკლაკნებოდა და საიქიოს ნახევრად ბნელ გზებზე მინამქრულ ვარამს მეორე წუთისოფლის სანათურებისკენ მიაქანებდა.

იქნებ, მართლაც სთვლემდნენ ატენის მთების ბორცვებზე ზეწარწა-

მოსხმული, ქვების სროლით დაავადებული წარმართები, მარცხენა ნეკზე იაგუნდის ბეჭდები რო უციმციმებდათ.

იქნებ სეფისკვერით გაზრდილმა ქრისტემ თავის ბავშვობა სიონის ეზოში გაატარა და როცა მირონცხებული ღვთისმშობელი ურწევდა აკვანს, ფეხაკრეფილი ირმები რქებგადაყრილ ნისლებიდან ღვთაებრივ იავნანას უსმენდნენ. იქნებ იმ დროს, ბუმბერაზ ტყის მყუდროებაში ჭოტი კიოდა. იქნებ სიონის თაღებმორთულ ტაძარში სანთლების შუქი იფრქვეოდა და ხანშესული მოგვები მძინარე ქრისტეს გეთსიმანიის ხეებივით მისჩერებოდნენ.

*ლიახვი ჩვენი ქართლის მეხრეა,*
*თან განუწყვეტლივ უკრავს სალამურს.*

ლიახვის ნაპირზე მისეირნობდა ჩემი პოეტი.

ლიახვის მჩქეფარე ტალღები ბუღრია ლეკვებივით შეხედავდნენ ხოლმე უცხო ადამიანს, მერე კი ყეფით მიბაჯბაჯებდნენ ზვირთებისაკენ.

– ნეტავი სად მიჩერჩეტობს ეს აჩრდილი? – ერთიმეორეს ჩასჩურჩულებდნენ ლიახვის გასწვრივ ფოთლებაცქვეტილი ვერხვები.

მგოსანს სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა, იცით როგორ უყვარდა სიყრმის გარიჟრაჟზე მოუსვენარი და მქუხარე ლიახვი!..

ჩემო მდინარევ, დამხვდი ბალღივით,
მე კი გესტუმრე გზების ავყია.
ჩემი მკლაურით შლილი ტალღები,
შენს მდიდარ ჭავლზე ეხლაც აწყვია.

ეს ნაპირები როდიღა მცნობენ,
მეც ველარ ვამჩნევ სიყრმის ალაგებს,
შევყურებ ზვირთებს გაოცებული,
ვით ბრუტსაბძელას შეშლილ სარანგებს.

ლოდებს ხავსის ქვეშ შექვავებიან,
ნეტარ ბავშვობის ტანტარა წლები,
ჩემი ლექსებიც აქ ჩაქრებიან,
როგორც გარეჯის ხელთნაწერები.

შურთხის ფრთებს ჰგევხარ ჩემო ლიახვო,
ნეტავ ამ ფრთებზე მომეკლა თავი,
რომ შენ ჩანჩქერებს ჩემს ძვლების ოჩხში
ემღერათ სევდა დაუღალავი.

ან აელოკა გული ნაკადულს...
სანთლების შუქზე ეფიქრა ცხედარს,
რომ ჩემი გვამი, ხელის კანკალით,
გორიჯვრის ძირში ჩაეფლა დედას.

საღამო მოდის, ნისლის ზედაშეს
სვამენ და დაისს მთები კენკამენ.
ჩემო ლიახვო, ალბათ მე და შენ
საქართველოდან გამოგვრეკამენ.

რა ვუყოთ მერე, ვიღაცა მგზავრი
გაყვება სტვენით გზნების მოლაღურს,
და შეადარებს გაკმენდილ ზარებს
მწყემსის უბეში მოკლულ სალამურს.

ამ ხსოვნებში მისრიალებდნენ ტანტარა წლები, ჭალაში ტუნტული, ლამზე ბღლაძუნი, ცურვა – მკლაური და აი, კიდევ რა გაახსენდა:

შენ ჯიქანს სწოვდნენ ქართლის ჩრდილები,
უფლისციხელნი სთხრიდნენ ღრმა ოჩხებს,
ტანას ბოლოში შენს ხმას ვარჩევდი,
როცა ჭალაში ვუდექი ხბორებს.

ვისაც უნახია მდინარე ტანას ბოლო შენაკადი, იქ, სადაც მტკვარი ერთვის, სადაც ხნიერი მტკვარი ატენის ხეობიდან ბავშვივით ჩამორბენილ ტანას ხელში იტაცებს, ის, უსათუოთ შეამჩნევდა ლიახვის ტალღების ფართხალს, მათ გაფაციცებულ ცქერას სააკაძისდროინდელ ხიდის ბურჯებისაკენ; ხან მტკვრის ძუძუებთან ფუჩინებივით მიწებებულებს და მტკვრის გატიკნულ ცურში შუბლის ამორტყმას. აი, რათ ირხევიან ტალღები, ჩემი მტკვრის ტალღები.

მგოსანი ცაცხვების მაღალ ხეივანს მიყვებოდა. უკან თავისი ჩრდილი დათვის ბელივით ასდევნებიყო. პოეტის ლანდი ხან ერთ ხეს ეხვეოდა, ხან მეორეს, ხან ხის ძირებს გაუსხლტებოდა და განიერ ბილიკზე ირწეოდა გრძლად და ირიბად.

ხეივანი ოდნავ შრიალებდა, ნათელი ღამე მის კენწეროებს დაქათქათებდა.

ვერხვები მთვარის შუქს ნაფაზივით არტყამდნენ და თან ბაღის ღობესთან ინძრეოდნენ, ყელყელაობდნენ, რომ უცნაურ ადამიანისთვის ერთხელ კიდევ თვალი მოეკრათ, რომ დასწრებოდნენ ხვალინდელ პანაშვიდზე მწყემსის უბეში მოკლულ სალამურს.

*იქ, სისხლის გუბეებს ეხლაცა ღვიძამთ,*
*ჟამთა სიავით შეშლილ გუბურებს.*

– რა დარჩენია იმ დასაქცევ ეკლესიაში?! – წამოიძახა წვერშეღერებულმა მწერალმა და დამსწრეებს ისეთი თვალით გადახედა, თითქოს მიმზიდველობის ახალი კანონი აღმოეჩინოს.

– განა საძრახისია? – აქოთქოთდა იქვე მჯდომარე მოხუცი კაცი და ორივე იდაყვით კაკლისფერ მაგიდას დაეყრდნო.

– რა თქმა უნდა! – ჩაერია დირბელი და პაპიროსის ნამწვი ჭრელი ფაიფურის საფერფლეზე ჩასრისა.

– ნუთუ ქრისტიანობა უმეცრების გროვა იყო? – ამოიოხრა მოხუცმა და ფანჯრებთან მომდგარ გაზაფხულის საღამოს თვალი მოჰკრა.

– უსათუოდ, ქრისტიანობა წყვდიადივით გადაეფარა კაცობრიობას, და კინაღამ ხელში არ შეიკლა, – მკვახე ტყემალივით ესროლა მოხუცს მწერალმა.

– ბრმა დამაჯერებლობის უდაბნოში უმიზეზოდ გადახვეწის, შეჩვენებულ განდეგილობის მეტი რა მოგვიტანა მართლმადიდებლობამ, აბა მითხარით? – პარტყაპურტყით წამოიძახა დირბელმა.

შორს მთის მწვერვალები იბურებოდნენ, თან ვარსკვლავებს სულს უბერავდნენ, რომ როგორმე აეციმციმებინათ.

– ქრისტიანობამ შეაგრძნობინა ადამიანს, თუ რა არის სვინდისი და სიბრალული, – უპასუხა მოხუცმა დირბელს.

– სარწმუნოება ძაღლყურძენაზე უარესია, ის შხამია, საშინელი საწამლავი! – დაამტკიცა მწერალმა და გამარჯვებულის თვალებით გამოიხედა.

– მართალია! – ტაში შემოჰკრა დირბელმა.

– რომ უარყო, დედაფუძიანად უნდა იცოდე რას უარყოფ, თორემ ჭინჭყლიანი ბავშვივით ყველაფერზე რომ ხელები გაატატანო, ეს დიდი

სიბრძნე როდია, – წარმოთქვა მოხუცმა და ზეზე წამოდგა.

– მძულს კათოლიკებიც, ლუტერანებიც, ბაპტისტებიც, კვაკერებიც და ყველა ჯურის რელიგიური კულტის მატარებლები, – ამოაფრქვია მწერალმა და მოხუცის გულს კი როგორც მდუღარე წყალი ისე მოედო.

– ადამიანს რომ შთაუნერგო ჭეშმარიტება, – მიუბრუნდა მოხუცი მწერალს, – მუქარა და ხელების პარჭყვა როდია საჭირო, პირიქით გონიერების სიდარბაისლე და შენი რწმენის სიდიადეა მთავარი მამოძრავებელი ღერძი. თქვენს მსჯელობას საკუთარი აზროვნების უნარი აკლია და რაღაც უმწეობას ეპოტინებით.

– რა მოსატანია ეგ ნართაული? – ღვარძლიანად შეეკითხა დირბელი.

– სიტყვა ქრისტიანობა ხმარებიდან უნდა გადავარდეს, საამისოდ დროც არის და ამინდიც, – თავისთვის ჩაილაპარაკა მწერალმა.

– მოითმინეთ ყმაწვილებო, რა ღმერთი შეგეწიათ! – განაგრძო ალეწილმა მოხუცმა, – თქვენ ადასტურებთ, რომ ქრისტიანობა ცხელი კუპრის მდინარე იყო, ეს მტკნარი სისულელეა.

ქრისტიანობა დაფნის ხესავით აღმოცენდა კერპთაყვანისმცემლობის ნანგრევებზე, როგორც სიბრძნის და კეთილშობილების ნუგეში. ქრისტეს ათი მცნება განა ადამიანის სვინდისის აღორძინება არ არის? განა არმაზის კერპი დიდი უბედურების მომტანი არ იყო?

– როგორ არ ვიცით,ის წარმართების პიპინა გახლდათ! ახტა და დახტა მეტოქე მწერალი. დირბელმა დასტურის ნიშნად ერთი ისეთი გადიხარხარა, თითქოს წლობით დაგროვილმა სიცილმა იმის სხეულის ყველა ფორებიდან გადმოხეთქა.

გაჩირაღდნებულ ბინაში ღია ფანჯრებიდან ბაღის სურნელება ნიავს შემოჰქონდა.

გარეთ ბინდის თხელი ნაჭუჭები ეყარა. ხეებს დღის ჩრდილები ჩაეძროთ და დასაძინებლად მიყრილიყვნენ. მხოლოდ ხნიერ ჭანდრებს ეღვიძათ, ჩვილ კენწეროებს შვილიშვილებივით ათამაშებდნენ.

– გულის ყური მათხოვეთ, თქვენი ჭირიმე! – არ ცხრებოდა მოხუცი – არმაზის კერპი შიგნიდან ღუმელივით იყო გამოფუღრული, ამ ღუმელში ქურუმები დაანთებდნენ ხოლმე ვეებერთელა ცეცხლს, ცეცხლი სხვილ ნაპერწკლებს კენჭებივით ისროდა. ამ გავარვარებულ საკირეში – არმაზის გახურებულ მკერდზე შეწირულ ბავშვებს აკრავდნენ. დამწვარი ბავშვების ფერფლს შავი კვამლი ცისკენ იტაცებდა, რომ ლაჟვარდებიც დახრუკულიყვნენ, რომ აუწერელ საცოდაობაზე შორიდან თვალმოკრულ ღრუბლებს თბილისის თავზე ეღრიალათ. სულგამწარებულ მშობლებს ცრემლების გადმოღვრის უფლებაც კი არ ჰქონდათ, ისინი უღრან მთებში იხიზნე-

ბოდნენ და ნახევრათ შეშლილები კლდეებსა და ღრეებს ეხეთქებოდნენ... გესმით, თუ არა, რომ ეს ბარბაროსობა მოსპო ქრისტიანობამ.

– განა ქრისტიანობამ არ ამოწყვიტა დაპყრობილი ქვეყნების უდანაშაულო მკვიდრნი? განა ქრისტიანობამ არ მოიწადინა ჯვაროსნული ომების საფარით მთელი აღმოსავლეთის ამოჟლეტა? ინკვიზიციის ჯალათები ევროპიელი კათოლიკები იყვნენ და არა გრენლანდიელი ესკიმოსები. – სულისმოუთქმელად წამოიძახა მწერალმა.

– მართალია! – თავი დაუკრა დირბელმა.

– რას ბრძანებთ, – სახე აეფაკლა ფარხმალდაუყრელ მოხუცს, – როგორ შეიძლება ქრისტიანობას დააბრალოთ ხეპრე რომის პაპების, თაღლითი მისიონერების ვერაგობა. ქრისტიანობა სად იყო, როცა ადამიანები ერთიმეორეს მხეცებივით სჭამდნენ.

მწერალმა პირი გახსნა, რაღაც ჩასაკრავი უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოხუცმა დაასწრო.

– აბა წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ ისლამის რჯული მიგვეღო, განა ერთი ქართველიღა დარჩებოდა? დედაბუდიანად წარვიხოცებოდით, გადავშენდებოდით. აღარც ენა, აღარც რჯული, აღარც ერი, შნოიან ქართველების მოდგმას გამოებერებოდა გრძელი თათრული კვინიხები. ტყაპატყუპით გადავცვინდებოდით დაღუპვის და ამოწყვეტის უკუნეთში. ერთიმეორეზე ისე გადავიჩეხებოდით და ავიზილებოდით, რომ ვერავითარი განგება ვეღარ გამოგვარჩევდა. და თუ ორიოდე კომლი მცხოვრები სადმე გადარჩებოდა, ისიც სასიკვდილოდ იქნებოდა განწირული.

როგორ ფიქრობთ გაქრისტიანებული რუსეთი თავის კალთებს გადააფარებდა ყურანის ხაშხაშით დაბნედილ საქართველოს? არა მგონია.

– ქრისტიანობამ კი არა, პატარა კახის გამჭრიახმა გონებამ გადაგვარჩინა, – შეეხალა მოხუცს მწერალი.

– მაშ არა და!.. – ცალიყბით ჩაერია დირბელი.

– რა ღვთის წყრომაა! – ხელის ჩაქნევით შეედავა მოხუცი, – ქრისტიანები რომ არ ყოფილიყვნენ ლუარსაბ და არჩილ მეფე, ქეთევან დედოფალი, მთავრები დავითი და კონსტანტინე გაათკეცებული რაინდული მხნეობით რომ ეწამნენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის; ვერავითარმა საპყრობილემ, ხელფეხშეკრულების აქაფებულ მდინარეში გადაყრამ, გახურებულ შანთებით ხორცების გლეჯამ, ვერ მოდრიკა იმათი გმირული ნებისყოფა. ეს ხომ აკაკუებდა და აფოლადებდა ქართულ სულს, ამის შემდეგ გყოფნით კადნიერება და ტარტარებთ: რჯული არაფერიაო! – აიქოჩრა მოხუცი.

– ეგ რა სიტყვის საკადრისია, მაგრამ მე ვიცი ჩვენში ერთი მოძღვა-

რი მოღვაწეობდა და თავის სამწყსოს ისე ყვლეფამდა, რომ სოფლის მამასახლისი მოგონება იყო, – არ ისვენებდა დირბელი.

– წირვას ისე არ წაიბურტყუნებენ, თუ ფული არ შესთავაზე, ან ძღვენი არ მიართვი, – ბუზღუნებდა მწერალი, თან თითქოს ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამით მეცნიერების იმ სიმაღლეზე აფრინდა, სადაც ჩვეულებრივი მომაკვდავები მის მაღლობს თვალს ძლივს უწვდენენ.

– მომავალი დაგარწმუნებთ ჩემო მოხუცო, რომ თქვენ მეტის მეტად სცდებით, – უთხრა დირბელმა მოხუცს და თავისი ნათქვამის კმაყოფილებით გაინაბა, თითქოს კოპერნიკის აღმოჩენა გაებათილებინოს.

– არ შეიძლება სულ რაღაც ბურუსიან მომავლისკენ იცქირებოდე და აწმყოს კი ბატკანივით სწირავდე არნახულ ბედნიერებას, – შფოთავდა შეუპოვარი მოხუცი.

– ქრისტიანობა არც აწმყოა, არც მომავალი, ის წარსული საუკუნეების საშინელი კორიანტელია, ამიტომ ეს კორიანტელი უნდა გავფანტოთ, რომ სული აღარ შეგვიხუთოს, – ისე აყვირდა დირბელი, თითქოს ფეხის კოჟრზე ქუსლი დააჭირესო.

– რამდენად, ურწმუნო, უმადური და გრძნობა დაკარგული უნდა იყვე, რომ გული არ ჩაგითუთქოს, ცრემლების ღაპაღუპმა არ დაგიწვას სახსენებელი, როცა მოიგონებ: აღდგომის ღამეს, გარეჯის მონასტერში შაჰაბასის ხელით დაკლულ ექვსი ათასი მოძღვარის საცოდავობას. ნუთუ არ გახსომთ სულგამწარებული მამები განადირებულ სპარსელებს, როგორ ევედრებოდნენ ლიტანიის დამთავრებას, რომ ანთებული კელაპტრები თავისი უკანასკნელი ამოსუნთქვით ჩაექროთ. ბერების ცხელი სისხლის ნიაღვარმა მტკვრის ნაპირებსაც მიაღწია და ამის დანახვაზე გონებადაკარგულმა მტკვარმა ამოიკვნესა. დაიკვნესა ყარაიაზის ველზე მოწამეთა სისხლში ამოთხვრილმა ღამემ. იქ კი, სადღაც, შორს სპარსეთის ტიალ უდაბნოში, ჩამოწოლილ ღამის ქვეშ, დანთებულ ცეცხლის სინათლეზე გონებაშერყეული ზარათუშტრა თავდავიწყებით ცეკვამდა.

ექვსი ათასი უმანკო მართლმადიდებელის აჩეხვა და უწყალოდ დახოცვა, ეს ხომ კაცობრიობის ჭკუაზე შერყევის, გახრწნილების, შეუგნებლობის და გამხეცების უდიდესი საბუთია, რომლის მძიმე ნეშტს ვერავითარი ისტორია ვერ წაიღებს იარაამოჭმული მხრებით. ექვსი ათასი ბერის დასახიჩრებული ცხედარი მუდამ დაჰქეჯნის ადამიანთა სვინდისს და დაკარგულ სიბრალულს. ყმაწვილებო, ზოგჯერ გულით განსაჯეთ, ყველაფერს ტვინს ნუ მიუკერძავთ. გარეჯის მონასტერი თავისი აოხრებული მღვიმეებით, შემოფლეთილი ჩუქურთმებით, განადგურებული საკურთხევლით, ხელაპყრობილი იდგება გარეჯის უდაბნოს მოელვარე სივრცეებს

შორის, როგორც თვალებდათხრილი სათნოების ბრწყინვალე ქანდაკება.

მოხუცს ხმაში ხრინწი შეერია და გულშეღონებული დოყი სავარძლის ზურგს მიესვენა.

დირბელიც და მწერალიც გარინდულიყვნენ. ისინი რაღაც გაუვალ ფიქრებს შეეპყროთ.

გარეთ ღამე ჩამოწოლილიყო და წარმართი ხეები მთვარის ლებანივით გაფანტულ ვარსკვლავებს რაღაცას ევედრებოდნენ.

მგოსანმა კარი შემოაღო. დირბელი ღიმილით მიეგება. მოხუცმა თავი წამოსწია და პოეტს მიმართა:

– სადა ხარ ამდენი ხანი? სული დამელია შენს ლოდინში.

– ეჰ, რა ვიცი, დავეხეტებოდი, – უპასუხა ახლათ მოსულმა.

– ღამე ყიალი რომ მოგეშალა, დღეს ჩვენს საუბარს დაესწრებოდი, – უთხრა ახალგაზრდა მწერალმა მგოსანს და მხარზე ხელი გადახვია.

– მაინც, რას ბაასობდით? – ჰკითხა პოეტმა.

– გარეჯის ტრაგედიამ შეწყვიტა ჩვენი პაექრობა, – უთხრა დირბელმა.

– ასეა შვილო, ასე! უხეირო კინკლაობას მუდამ აცამტვერებს დიდი ტრაგედია, – აღმოთქვა მოხუცმა.

– მეც ვწერდი ოდესღაც გარეჯის მონასტერზე, – წარმოსთქვა პოეტმა და დაიწყო:

როცა ვიგონებ ღამე დაღვრილ გარეჯის ცრემლებს,
ძარღვებში სისხლი მეყინება, სისხლი მიშრება,
– რა დაგიშავეს? შემოვარდნილ ვერაგ სპარსელებს
ექვსი ათასი საუკუნე შეეკითხება.

გადაკაფული უამრავი სანთლების ცეცხლი,
კვამლივით დადგა მიუწვდომელ ზეცის ბოლოში.
იმ მონასტერზე იყო თურმე ბუდე მერცხლების,
მას აქეთ აღარ მოფრენილან საქართველოში.

სისხლის თქრიალი მატიანეს ფურცლებს გადარევს,
სისხლის მორევში ქართლის რისხვა ამოინთხევა,
– რა დაგიშავეთ? რას გვერჩოდით? ირანელ ნადირს
ექვსი ათასი ბერის ლანდი შეეკითხება.

აკლებული მონასტერი თავისი დაღორღნილ და დაფუტროვებული კედლებით, შემოგლეჯილი პერანგით, ჟამთა სიავის ტიალ გზაზე გონებაშერყეული უფლისწულივით ივლის, როგორც განკიცხული მშვენიერება, როგორც დაუნდობლობის უდანაშაულო მსხვერპლი.

ბედნიერო შთამომავლობავ! შეიარე ხოლმე, თუ არ დაგეზარება, ბაზმის მურით გამურულ გარეჯის მღვიმეში, შენი თვალით იხილე ბერების სისხლის შხეფის წვეთებით შეღებილი სენაკის კედლები, ნათალ ქვებზე აღბეჭდილი მოწამეთა ცხელი ამბორი. მართალია, იქ ძველ ნუსხებს ვეღარ იპოვნი და ვერც მართლმადიდებლების ხელით დანთებულ კანდელს.

შეაღე მონასტრის კარები, სასოებით დაუკვირდი ჩამქრალ ლოცვებს, აიაზმით ნაკურთხ აგურის იატაკის გულის ცემას, მოღავებული ვედრების ფერფლს, უამისოთ უნეტარეს „ქართლის ცხოვრებას“ ნუ გადაფურცლი, რადგან გარეჯის თავზარი ჩვენი ერის ერთ-ერთი წინასიტყვაობაა აღმოუფხვრელი წარსულის დარდი.

მტარვალთა ლაჯებში ამოდებულ ბერების ყვირილი გარეჯის უდაბნოს აღაპებს ეხლაც ყურებში უწივის...

ხო მართლა, ის მერცხლები, უკან, როდიღა დაბრუნებულან საქართველოში! ნუთუ მხარი ეცვალათ?!..

## ე

*ზიხარ მარტოკა, უცქერი კედლებს,*
*გარეთ ცა ელავს, თან წვიმებია,*
*მაღლა ვეღარ სწევ ჩაქნეულ ხელებს,*
*ტირილიც ვეღარ გიწამებია.*

ერთხელ, გაზაფხულის მიწურულზე მე და ჩემი მეგობარი არქეოლოგიურ ექსპედიციას არამკითხე სტუმრებივით ავეკვიატეთ. ზოგიერთმა ცხვირი აგვიბზუა, მაგრამ ჩვენი კარგი ნაცნობის წყალობით ექსპედიციის მაჩანჩალებად მაინც აღმოვჩნდით, როგორც იტყვიან ჩვენც ნახირ-ნახირაო!

ექსპედიცია შორეულ ქალაქში მიემგზავრებოდა, რომ მახლობელი ადგილების გათხრები ეწარმოებინა.

ვიმგზავრეთ მატარებლით, კარგ მანძილზე მტვრიან და მინგრეულ გზებზე დილიჟანითაც ვიხრიგინეთ, რატრატით და ჯაყჯაყით გვერდები დაგვეძეძა, სხეული დაგვებეგვა. წვერმოშვებულ მედილიჟნეებს მზის გადაჭარბებულ მცხუნვარებისაგან დანაოჭებული კისრის ქევანი გარუჯოდათ, მიწავაშლასფერი ცხვირის თოქმა ნესტოები ლოთობისაგან დაბეროდათ; დაბამბულ და ნაირ საკერებლებით ამოკემსილი ჩოხებით, აშმორებული ჩაკეცილი ქუდებით, ათასჯერ გატკეპნილი და გაზეპირებუ-

ლი მიმართულებით მიერეკებოდნენ ჩაქჩაქა ცხენებს; წამდაუწუმ უტევდნენ, უწრუწუნებდნენ და ზოგჯერ უდიერადაც იკურთხებოდნენ.

როგორც იყო ქალაქს მივაღწიეთ. მზე აჭერდა. პაპანაქება სიცხე სუნთქვას ხუთავდა. კორტოხი და გვერდებჩამორეცხილი შრეებიანი მთებით და ციცაბო გორაკებით შემოყრილი ქალაქი აღმოსავლურ იერს ატარებდა.

რას არ წააწყდებოდა კაცი ამ ქალაქში. ძურწა ბალახმორეულ ბანიან სახლებს, ეზოებში დახროვილ წივას; ალიზის ჩილინგარა ქოხებს, ისლით გადახურულებს, წეკოს ბოლით გამოტენილებს და წინ წუნწუხნარევ გუბურებს; ღრუბლებამდე აჩაჩხულ მინარეთებს, თაღიანი კრამიტით გადახურულ ეკლესიას, ირგვლივ ხავსი რომ შემოკვართოდა. უპატრონოდ მოხეტიალე ძუკნა ძაღლებს, ლაფში ამოთხვრილ ღორებს, ქალაქის ჭუჭყიანი მოედანი, ფხვიერი, ბინძური და ღიჭანარევი კუთხეები გრძელი დინგით რომ აეჩიჩქნათ და ღრუტუნით გადაეთხარათ. ხრიალით და თრიაქის სუნით დაოსებულ ბაზრებს. ათაშანგით გამოჩურჩუტებულ, ძუძუებმოფლეშილ, ფეხებაპლაკულ და ბარკლებგადმოყრილ ბოზებს, ჩადრმოხვეულ ქალებს, მოქარგულ ახალოხში და ყარაბანდულ შარვლებში ჩამჯდარ გაქნილ სალახანებს, პირმოქონილ და აფრაკ დალალებს, ხალხის ჩოჩქოლში შეხიზნულ პირწავარდნილ ქურდბაცაცებს, ახუხულ კურტნიან მუშებს; ქუჩის პირზე ზეზეურათ აყუდებულ, თეროსფერ ქურთის დედაკაცს, მარცხენა ხელზე ჩამოკონწიალებულ თითისტარზე მატყლის ფთილას რო ართავდა, თან წითელი შეიდიშის ტოტები რო უჩანდა; ჭანჭრობის ქვემოთ, შლამიან ფშანთან მობანავე ტუჩებგაცრეცილ ტიტლიკანა ბავშვებს, შავი ბაჭიებივით რო დაცუნცრუკებდნენ.

აღჯანაბადით, ზეთის ხილით, ჩამიჩით, დახალული ნუშით, თაფლში აზელილი თხილის გულით, ლეღვის ასხმულებით ჩარიგებულ სავაჭრო ფარდულებს.

ცხვირგამურულ მჭედლებს, თავშალწაკრულ მეჭურჭლეებს, წარბებშეტრუსულ, ქილვაშებისგან ულვაშაწკეპილ ხაბაზებს და არაყის სმით გამობრუჩულ ურიცხვ იასაულებს.

ქალაქის შუაგულში გაკორტნილი ბაღი ბოგინობდა ფოთლებგაქუცული ბზის ბუჩქებით, გრძელწიწვება კურდღლის ცოცხათი, გადამხრჩვალი და ტლოკებგასვრილი არყის ხეებით, თითქოს შლამიანი ჭაობი გამოეტოპათ ხეების ჩრდილქვეშ პირქვეწაყრილ ძილის გუდა ყომარბაზებს.

მგოსანი, ჩვენი ნაცნობი არქეოლოგი და თქვენი მოამბე ერთ მომცრო სასტუმროში დავბინავდით. ნესტიანი და ნახევრად ბნელი ოთახი დაგვითმეს. ბაღლინჯოებით ნასრესი სარეცელი მოსვენებას როდი გვი-

ქადდა. ადამისდროინდელ პირსაბანს მივაგენით, დუბელა წყლით ხელ-პირი დავიბანეთ. სასტუმროს მცონარე მფლობელს გამოველაპარაკეთ, ჯამბაზის შექმნილს რომ ჰგავდა და თუ ფრთხილად არ იყავი ორ თვალ-შუა მოგატყუებდა.

ზაფხულის თაკარა სიცხემ თრიასავით გადაირბინა. რაკი აგრილდა სავახშმოდ გავეშურეთ, გზაზე კოღოებმა დაგვაღუდუდეს.

ჩვენი კეთილი ნაცნობი ზედმიწევნით გატაცებული იყო არქეოლო-გიით.

– ნამდვილი ისტორია მიწაში ჩადის, საუკუნეებს დედამიწა ისრუტავს, ისტორია კი არა. ამიტომ, მიწას რიდე უნდა ავხადოთ, წავართვათ ჩატანებული ნივთები, წიგნებზე მეტს რომ მეტყველებენ; უფრო ნათლად რომ მოგვითხრობენ ერის წარსულს, ადათს, ზნეს, ჩვეულებას, სიდუხჭი-რეს, სიხარულს, – ასე გვესაუბრებოდა ჩვენი ახლობელი. მაგრამ ის კი აღარ ახსოვდა, რომ სწორედ ეს მიწა საცაა ჩვენც შეგვიტყაპუნებს. ჩვენში დარჩეს და ერთი ახირებული თვისებაც ჰქონდა თავდადებულ არქე-ოლოგს: საღღაც მიწის წიაღში ნაპოვნ უყურო ქოთანში, ან პირმოტე-ხილ კოჭობში ხედავდა რაღაც ასურეთულს და ბაბილონურს.

– ამას წინათ, საგანგებო გათხრების დროს, – გვიყვებოდა დედამიწის დოსტაქარი – ძველ სამარეში ძეწკვი აღმოვაჩინე, ვფიქრობ, თუმცა ამას დიდი მეცნიერული დაკვირვება სჭირდება, მეთოთხმეტე-მეცამეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, უფრო სამართლიანი იქნება თუ ხეთებს მივაკუთვნებთ ძეწკვების წარმოებას.

ჩვენც ასკილივით თავს ვუქნევდით. მართლაც, ჭირსაც წაუღია ძეწ-კვების გარშემო ორომტრიალი. განა სულ ერთი არ არის, თუ ის დასაქ-ცევი ძეწკვი, ან მძივი მადაგასკარელ მკვიდრთა ქურუმს ეკეთა, თუ ჩაჩ-ხანაანთ მატრონეს?

მეორე თუ მესამე დღეს ექსპედიციის წევრები ჯგუფ-ჯგუფად დაიყვ-ნენ და გზას გაუდგნენ გათხრების ჩასატარებლად.

მე და მგოსანი მთელი დღეები ქალაქში დავეხეტებოდით. ერთიც ვნახოთ და, რაღაც სამხატვრო დარბაზისმაგვარ სახლს წავაწყდით, ეს შენობა ვიღაც ღვთისნიერ ქველმოქმედს ქალაქის მმართველობისათვის შეეწირა. შესვლის უმალვე თვალში გვეცა ნაზირ-ვეზირების სპარსული მინიატურები, გრძელი ქუთუთოებით და ცივი სახეებით, ფეხმორთხმულ მეფეებს საფირონით და თვალმარგალიტით მოჭედილი ჩაფხუტა მუზა-რადები დაეხურათ, წელმოხრილი მსახურები და მხევალი ქალები გარ-შემო მოკრძალებით შემოხვეოდნენ; ინდოეთის გაშეშებული ღმერთები ნირვანის ბურუსით გამობრუჟულნი. კუთხეში მონა ქალის სურათი ეკიდა:

წყრთის სიგრძე წვერიან ვაჭარს, აღმოსავლური ტოგა რომ წამოესხა და ფიჭისფერი სახე ამღვრეოდა, ულამაზესი მონა-ქალი ხალიჩაზე გაშიშვლებული დაეყენებინა. მდიდარი და ბრგე არაბი თავისი ამალით, ნერწყვმორეული უცქეროდა თავის პირქუში სასახლის ხვალინდელ მსხვერპლს. განწირულ მონას მარცხენა მკლავი თვალებზე მიეფარებინა, ის თითქოს ძაგძაგებდა შიშით და სირცხვილით. ტლანქ ჩარჩს ხელში ფულები ჩაებღუჯა, ნიშადურის დარი თვალები მოეჭუტა და ოქროს კბილები გარეთ საძაგლად გადმოეპარჭყა.

ეჰ, რამდენი უბედურება მოუტანა ადამიანებს ამ ოხერმა ფულმა, ფულმა აუწეწა ადამიანს ცხოვრება, ფულმა დაურღვია მყუდროება. ფულმა ოკეანეებიც კი აამღვრია.

– ნეტავი რამდენი ხანი გაგრძელდება საფლავებიდან წამოყრილ, ჭკუადამთხვეულ მტარვალების მართლმსაჯულება? – შემეკითხა მგოსანი.

– საუკუნეები რას ეყოფა! – ვუპასუხე.

– ნახევარზე მეტი სასაფლაოები დაცარიელდებიან, თუ დაზარალებულნიც გამოიძახეს: გლადიატორები, ტყვეები და მოწმეები, მაყურებლები... შენი მტერი!

– ზოგიერთი ისეა წამებული, რომ ვეღარც კი წამოდგება.

– იმათ საკაცეებით შემოიტანენ წვერმოპარსული ღმერთები და ცელამართულ მიქელ-გაბრიელის გვერდით დაასვენებენ.

– წარმოგიდგენია? როცა ჯალათებს სისხლს გაუშრობენ, რა ყაყანის და აურზაურის თქეში იდგება? თუმცა, ღამე სად უნდა დაამწყვდიონ ეს უამრავი იმპერატორები, შაჰები, ნაიბები, რომის პაპები, ნოინები, ხალიფები, სენატორები?

– ჯოჯოხეთს თუ დაიქირავებენ, – ვუპასუხე ღიმილით.

ერთ საღამოს ჩვენმა არქეოლოგმა სასტუმროში მოიტანა სამარხიდან ამოღებული თხუნელას პატარა ქანდაკება შავი მარმარილოსგან გამოძერწილი.

– აი, საოცრება! – ეტყობა ვიღაც ნიჭიერმა მოქანდაკემ გამოჰკვეთა, – გვიხსნიდა ჩვენი მოკეთე – ალბათ, ისეთი ყაიდის მკვლევარს გულისხმობდა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს იმის ქექვაში ატარებდა, რომ დაედგინა ვიღაც აშუღი 989 წელს კი არა, არამედ 998 წელს დაიბადა.

– იქნებ თავის უმწეობის საღმთოთ უნდოდა, – ვუპასუხეთ.

– ეგ არაფერია! – განაგრძო არქეოლოგმა და ქანდაკება სათუთად მაგიდაზე დასდო. – იცით რას ვეძებ ახლა? შორეულ დროში აქ გადმოხვეწილ ჩინებულ ქართველის საფლავს.

– ნეტავი ვინ არის? – შეეკითხა განცვიფრებული მგოსანი.

– ჯერ არ გეტყვით, ვაი თუ ავი სული გადაეფაროს და ვეღარ ვიპოვნო,მიუგო არქეოლოგმა.

– იქნებ ამ წარწერასაც მიაგნო სადმე:

მზე გადიოდა ცას ბორანივით,
ტყეში შიშველი ქარი კიოდა,
არაკს მოსთქვამდა ხიდან ყორანი
ქრისტე ბღაოდა საიქიოდან.

ძლივს ვამშვიდებდი მოქანცულ ჩიტებს,
თვალს მიშტერებდა წარმართის ლოცვა,
ლოდებზე იჯდა გიჟი პოეტი,
კვნესოდა მთების ყრუ გარემოცვა.

ცრემლი სცვიოდათ ნაწვიმარ ფიქრებს,
მიწის ქვეშ სანთელს ანთებდა მკვდარი,
საღღაც ეშოვნათ კუბო ჯიბგირებს
და მიეწერათ ზედ ჩემი გვარი.

– ნუთუ ჯიბგირი ვყოფილვარ! – უადგილოდ წამოისროლა არქეოლოგმა, ჩალის ქუდი შუბლს ზევით აიწია და თან რაღაც უხერხულებაც იგრძნო.

– თავისებური ჯიბგირობაა! – კეხი შეიბრუნა მგოსანმაც – როცა ღედამიწას უბიდან  აცლით ადამიანებისაგან ნაჩუქარ სამკაულს.

– არქეოლოგები მიწას ძარცვამენ, ხომ ხედავთ?! მართლაც, საარაკო საქმეა. აქ არის მათი ძლიერება, – წამოიძახა ჩვენმა თვალებანთებულმა მეგობარმა და ყველამ ერთხმად გადვიხარხარეთ.

ხარხარებდა მაქმანის ლოგინზე პირაღმა წაგდებული სპილენძივით არაბი. მჭახეთ ხითხითებდა მაღალ ხის კენწეროზე შეფრენილი ყორანი. ჭიხვინებდა მოსართავართული რაში.

რაღაც ავბედითი ხმაური ისმოდა, მგონი კისერმოღრეცილი და სახეაჭრილი მტარვალები იღრინებოდნენ გათხრილ სამარხებიდან.

არაბის სასახლე ოხრავდა. გაფოთლილ ფორთოხლის რტოებზე გულყვითელა ბეღურები ცრემლდანამულ ფრთებს იძიძგნიდნენ.

მონა ქალი დაკბენილ ძუძუებს და მკერდზე შემოფხრეწილ მოვის პერანგს გერმის ბალიშს აფარებდა. ტუჩები უთრთოდა. თახახიან ზეწარზე დაჭმუჭნულიყო იმის უბიწო, უმანკო, ჯერ კიდევ კვირტებგაუშლელი სიცოცხლე.

გარეთ, მოხურულ კარებთან თავჩაქინდრული ღაწვებაქერცლილი საჭურისები სთვლემდნენ, იშმუშნებოდნენ და უქნარობით გაბეზრებულ-

ნი პირუტყვებივით ამთქნარებდნენ, ლამის არის ხახა კი არა, სასაც გარედ გადმოვარდნოდათ.

ცის თაღების ქვეშ, მიჯრილი ქედების ხრიოკ სანახიროზე სარსარი-კივით ღრუბლები წაყრილიყვნენ. რომელიღაც მახლობელ ნაქალაქევი-დან ორიოდე წყალმანკიანი ევკალიპტები ტანმაღალი ქალებივით იც-ქირებოდნენ და შორს, სადღაც ყვავების გამაყრუებელი ჩხავილი ისმოდა.

*ზეცის ქვეშ მძიმეთ მიიწევდა მთების ყევარი.*

შემოდგომის პირი იდგა. ლომისის ხატის დღეობა ახლოვდებოდა. სოფლის მოსახლეობის უმეტესობა ხანგრძლივი მგზავრობისთვის ემზა-დებოდა. ხატი სამი-ოთხი დღის სავალზე იყო დაშორებული. ზოგს შეთქ-მული ჰქონდა ორ კოკიანი ზედაშე, ზოგს – ატლასის ან მიტკლის ხა-ლათით გამოცხადება, ზოგიერთს – ჭედილა ან მზვარა გაესუქებინა; ზოგს კი – შეეთქვა, რომ ფეხშიშველი მოილევდა დიდ გზას ხატის კარიბჭემდე.

გეგონებოდათ სოფელი იყრებოდა ისე ეშურებოდნენ და ფუსფუსებ-დნენ. ქალები საკერავებს ჩაჯდომოდნენ, საქორწილო ბიჭები კისრებს ითეთრებდნენ, დალაქ წრუტასთან თმას იკრეჭდნენ, კიკინებს ქართულ წესზე იყენებდნენ, გასათხოვარი გოგოები მზეს ემალებოდნენ, ხელებს არაქანით ირბილებდნენ, სისხამ დილით სამყურა ბალახში ჩათქმულ ბედის აღსრულებას ეძებდნენ. ხანშესული გლეხები ურმებს ახალ ჭალებს უკეთებდნენ, კვერნებს ამაგრებდნენ, თვლის ფესოებს, სოლებს და სალტე-ებს აწესრიგებდნენ, ყვითელი მანეულის ჩორჩოტინებს სწნავდნენ, გრიხავდნენ და ღერძის ბოლოებს რკინის ჭინჭალაკებს უკეთებდნენ. ხარ-კამეჩს ნალბანდ ტუგრიას აჭედინებდნენ.

ლომისის ხატის ხვადაგი ნიში კი, მაღალი მთის ქიმზე, კუდიანი ბებერივით შემართულიყო და სულის კაწკაწით მოელოდა შეთქმულთა აღლუმს.

სამშაბათი დილა გათენდა. მთებზე ყომრალი ნისლები მდორეთ წამოიშალნენ.

დიდ შარაგზაზე გამოჩნდა ჭრელი ფარდაგებით მოჩარდახებულ ურმე-ბის ლარივით გაბმული ნაკადი. ზოგს ყევარი ხარ-კამეჩი შეება ურემში,

ზოგს ჭოტა, ზოგს ნიშა ხარები, თუ წინიდან არ უყელებდი მოფარდაგებულ ურემს, ვერც კი დაინახავდი კოფოზე დამჯდარ გლეხკაცს. ურმებში ჩაფენილ რბილ ქვეშაგებში თავდახურულ მანდილოსნებს მოეკეცათ და ხელში ეჭირათ ჩვილი ძუძუმწოვარა ბავშვები. ხომ გინახავთ ცქვიტი და ანცი ბალღის პაწაწინა ცაცები, ორი ქვედა კიჭით, ახლათ ფეხადგმული ღაბუები ეზოში რომ წაკოტრიალებულან და კოპდასმულები დედებს მყისვე ხელში აუტაცნიათ – გენაცვალოს დედილოი, შენი ფუფუა მე, – დაუმშვიდებიათ თვალცრემლიანი პაწიები. ისიც ხომ გინახავთ, ბაიას ციცქნა სიცოცხლე დედის მკერდს რომ ელიკლიკება, ეალერსება, ფაჩებს რომ ათამაშებს და ხან ზიზილა ტუჩებით ხოჭიჭიდან ამოყოფილ სალოკ თითს იწუწნის... რატომ არ გვახსომდება ეს ბედნიერება, რათ იღვრება ჩანასახში? ეჰ, რამდენ ენაგაუკვეთელ მშვენიერებას უმალავს განგება ადამიანებს.

გზის მოსახვევთან, მკლავზე ცისფერ ატლასშემორტყმულმა ქორწილის მახარობელმა თეთრად დაფოთლილი ულაყი შემოაჭენა. ელვასავით ჩაიქროლა. მოისმა ზურნის ხმა და მლოცველებს ქორწილის ხალხი შემოეგებათ. ხალიჩაგაფენილ ურემში ნეფე-დედოფალი ლურჯ მუთაქებზე ფეხმოკეცილები ისხდნენ, ორივენი ხვალინდელი დღის ნეტარებით დამტკბარნი და გაყუსულები. თავზე საყდრის ნაქირავები გვირგვინები დაედგათ, გვერდით მოსხდომოდნენ ნათლიები, მხრებზე ნაწნავებგადაყრილი ქალის მეჯვარე – დიდებაანთ გოგო მეტიჩრობდა: პატარძალს წამდაუწუმ ლეჩაქს, ხან კავებს, ხან ბაღდადს უსწორებდა. შეუღლებულებს გვირგვინის წინა ტოტები ერხეოდათ, როცა ურემი ოდნავ შეინჯღრეოდა. მეორე ურემში ფეხზე ამდგარ მაყრებს სიმღერით მოუხაროდათ:

> გოგოვ, ნეტავი მე და შენ
> ერთმანეთს დაგვატოლაო,
> პირი პირს დაგვადებინა
> ძუძუებს ჩაგვაკონაო.

მესამე ურემით პატარძლის მზითევი მოჰქონდათ: ჭრელი სკივრი, მიხაკისფერი განჯინა, კარგათ შეკრული ბოხჩა და ერთი უბრალო აყირავებული მაგიდა. მექორწილენი ქრიამულით შეხვდნენ მლოცველებს და ურმები გზის ასაქცევთან გააჩერეს.

– გზა დაგვილოცეთ! – გადმოსჭექა ეჯიბმა და რკოსფერი საღვინე მოიმარჯვა.

– აი გაგიმარჯოთ! ტკბილად შეგაბეროთ ერთმანეთსა, – შეესიტყვნენ აქეთ-იქიდან.

ქორმა წიწილა წაიღო,
იძახდა წიავ-წიავსა,
რო დაღამდება, ამაღამ
დათა ჩაჰკოცნის თინასა.

შემოსძახეს მაყრებმა. ნეფეს გაეცინა და პატარძალსაც ღიმილი აუთამაშდა.

მზემ დაისამხარა, როცა ხატში მიმავალ ურმების ქარავანმა ორ ციცაბო კლდეაყრილ მთების შესასვლელ ხეობას მიაღწია. გეგონებოდათ აქ ოდესღაც უზარმაზარი ალაყაფის კარები ჰბმია და მდევებს შეტაკების დროს ჩამოუგლეჯიათო. მართლაც, შელეწილი გალავანის იერი დაჰკრავდა უსწორმასწოროდ აჩრილ ტინიან სვეტებს.

ცადატყორცნილ, პიტალო კლდეების ძირში გაშმაგებული მდინარე საშინელი თქაფა-თქუფით და შხუილით მოქუხდა, ხვადი ლომივით ღრიალებდა, წყალში გადმოვარდნილ ვეება შავ კაჭრებს ზედ ასკდებოდა.

ურმების წყება კისერდაჭიმული ბედაური ხარ-კამეჩით მთების შეღმართზე მძიმედ მიიწევდა. ურმის ბოლო ჭალის ძირზე თოკგამობმული მოზვრები, კიკილებასხმული ჭედილები ლასლასითღა მისდევდნენ.

ოჯახის თავი ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით მიჰყვებოდა. ბუთხუზა მორბედების მეტი წილი ენდროსფერ ხალათგადაცმულები მიცუნცულებდნენ, ზოგიერთი ცუგრუმელა სიარულით დაღლილიყო, ურემზე შესკუპულიყო. მოხუცი ქალები თეთრზედატანგახსნილები, წელმოღუნულნი, მეჩხერიან აღმართზე რის ვაი-ვაგლახით მიფოფხავდნენ. ლოგინად ჩავარდნილ ავადმყოფებს მახლობლები ამხნევებდნენ: ხატია ჩვენი შემწეი, ხატი, ნუ გეშინიან, ნახე, როგორ მომჯობინდე და გამოიხედო! იდგა შოლტების ტლაშუნი, საქონლის ტევა, შეძახილები: მგლის მუხლი უნდა ებას კაცსა ამ მთებშია! და ყივანახველაშეყრილ ბალღების საცოდაობა.

ზეცამ მაღლა აიწია და ურმების ქარავანმაც დაივაკა. სამლოცველოს ბიბინა მინდვრები მწვანე ჯეჯიმივით გადაიშალნენ, გარშემო წიწვიანი და ფოთლოვანი დაბურული ტყე მესერივით რო შემოვლებოდა.

გაგიკვირდება: ბარის წალკოტებს ამ მიუვალ მთების წვერზე რა უნდა? ნუთუ წინათ მთებმაც იცოდნენ მინდვრების მოტაცება? ტყუილათ ხომ არა ჰქვიან მიმინოს ქედი, მოჩუხჩუხე წყაროებით რომ არის გაამებული.

პარასკევ საღამოს სალოცავის მიდამოებს აუარებელი მლოცველი შეემატა, ხალხის ზრიალი აყრუებდა იქაურობას. სახელდახელოდ გახსნილი დუქნები მუხის და ნეკერჩხლის ფოთლოვანი რტოებით გადახურული, ღვინით სავსე რუმბები, გაქონილ მაგიდებზე ჩარიგებული ხელადები, წელშეზნექილი ჭიქები.

დაწეულ ბინდის ქვეშ მლოცველები თავის ჯალაბებით ჯგუფ-ჯგუ-ფად გაფანტულიყვნენ. მთის წვეროებთან მიხვეტილ ლაქვარდებს გრილი ნიავი ანიავებდა.

გუდაფშუტაანთ ბეცი ნასყიდა დოღუზაანთ ფეფოსთან კინკლაობით თავს იქცევდა:

– ახლა, მითამ რა გინდა, ფეხები რომ დაგიკარწახებია და ლომი-საში ამოხეტებულხარ, სულის ცხონებას ეძებ?.. შენა გგონია რაკი ხატს ემთხვევი, რაც ცოდო გაწევს სულ მონანიებით ჩამოიბერტყამ.

– იშ, ქა, ი ხატის მადლი გაგიწყრეს შენა, რამდენჯერ უნდა გითხრა შეთქმული მაქვს-მეთქი, რას ამიტყდები ხოლმე, რომ არ ვიცი!..

– შეთქმული შენცა, ეჟვანშებმული ჭედილები დაგითრევია და ხუთი კვებულაი.

– აი, განგლა, განგლა!.. თორემა, შენმა თავის გახეთქამა, შენ ხო რა ნაირ-ნაირი ხორაგით ურმები დაგიტვირთია. ქაა! ერთი ამას დამიხე-დეთ! ისეთას იბღინძება, თითქოსა მთელი ერკემალის ფარა და კურატე-ბის ნახირი წამოესხას, – არ ეპუებოდა ფეფო.

– ე რაღაც ხელის გულივით ნაზუქები გამოგიცხვია და თავშალის ყურში ორიოდე უზალთუნი გამოგიკვლანჯია, ერთი გუდა ქუმელა მაინც წამოგელო.

ნასყიდას სუნთქვა შეეკრა და ცხვირს ისეთას დააცემინა, რომ კინაღამ მთებმა ბანი მისცეს.

– ღვთის ცეცხლი! – მკვახედ მიაძახა ფეფომ, ნასყიდამ სული მოითქვა თუ არა, კიდევ მოიმართა:

– რა მჟავე გუნებაზე ბრძანდები ფეფო? ეზიარე, ეზიარე იქნება სამოთხისკენ შეგარჩიონ, ოღონდაც იცოდე, იქ ვეღარ გაიხსნილებ, ეგ სავსე ჯვალოს ხურჯინი ოხრათ დაგრჩება, თუ სართი არ მიეცი, – ხით-ხითებდა ნასყიდა.

– ი, ზიარების მადლი გაგიწყრეს შენა, რატო არ მომწყდები, ქაა, რას შემომიჩნდები ხოლმე? ოხრად შენ დაგირჩეს თავიცა და ჯანიცა, რა გინდა ჩემგანა? – ცხარობდა სიცოცხლედასამხრებული ფეფო და თან ნესტოებს ბურნუთით იტენიდა.

– ქალს რა უნდა ხატშია! – აღიზიანებდა ნასყიდა.

– თვალი კი დაგიდგეს, აჰაანდე! ქარი გაგიდგეს ე მაგ გვერდებშია! წადი სარკეში მაინც ჩაიხედეი, ტყემლის წუას რო გიგავს ეგ თვალები, – არ უთმობდა ფეფო.

კვირა დღემ როჭოს ფრად ინათლა და დაფიონის ციმციმზე ხალხიც აიშალა. ნიშის გამურულ ქვებს რიგრიგობით კოცნიდნენ ღამენატეხი

მლოცველები, თან ანთებული სანთლებით ხატს გარშემო უვლიდნენ... იქვე დახროვილი ეყარა თოვლისფერი და ატლასივით ხალათები. ჩინჩახვ-გადმოყრილი და ბიბილოგაწითლებული ყვინჩილები რეტდასხმულებივით იცქირებოდნენ ქვევით სოფლებისაკენ, ხან ცალი თვალით უცხო ადამიანებს აშტერდებოდნენ, ხან თავს მოაბრუნებდნენ და მეორე თვალით სინამდვილეს არ უჯერებდნენ.

საიდან გინდა, რომ არ ისმოდა: დაგვლოცე ნათლი!.. შეგეწიოს ხატის ძალა!..

დადრეკილ აღმართებზე მლოცველთა შეფენილი ნაკადი კიდევ და კიდევ ბუბუნით მიიწევდა. ლომისის მინდვრებზე, ფერად ტანისამოსში გადაცმული, შეყრილი სოფლების მოსახლეობა ისე ზიმზიმებდა, ირეოდა... თვალები აგიჭრელდებოდა. შორიდან რომ შეგეხედა ენაჩავარდნილი მოგვების ფერხული გეგონებოდა, თითქოს ფერიების კარნავალი იდგა, ანდა იტყოდი: ფანფარებაყრილი ჯარი ემზადება მეორე წუთისოფელზე გასალაშქრებლადო. მართლაც რა კარგია, როცა ადამიანები სივრცეებს უახლოვდებიან.

ლხინი ლხინზე წამოეწყოთ. დავლურს ურბენდნენ ჩოფურა ბიჭები, გვერდით თვალმორცხვი და აშოლტილი გოგონები ეკვანწებოდნენ.

ქართული ჭიდაობა ერთ სამ ალაგას გაემართათ: ტოტრო კისერა, ნოღა სანდრას დასძგერებოდა – ღოჯურში შევარდნოდა, მეორე წრეში კოშორიანთ მიტას შუა სარმა რიკივით გაეყარა ჯებისაანთ ლაგლაგასათვის და აი, საცაა ბეჭებზე უნდა დაეხეთქებინა. მესამე წრეში, ზორბა ნადარბაზეველი – სიკას ბიჭი ყოჩივით გამოვიდა, უნდა გენახათ თავს როგორ იკატუნებდა, გაუხედნავ მოზვერივით ერთ ადგილზე ტოკავდა და თვალის ქვეშიდან უცქეროდა თავის მოპირდაპირეს – ცხრალავაშაანთ ნიკას. როცა ზურნამ საჭიდაო დასცხო, ჯერ ხელი კარგად არც კი ჰქონდა ჩამორთმეული ნადარბაზეველს, რომ შეუპოვარი ნიკა დათვივით ებდღვნა, სხლარტი სიკაც ზაქივით დაეტაკა, მაგრამ ხერხიანმა და გამოჯაგულმა ნიკამ ხელსაყრელი დრო შეარჩია, თვალისდახამხამებაზე მოგვერდით წამოიღო მოსხვეპილი ნადარბაზეველი ფალავანი და მწვანე მინდორზე ზღართანი მოადენინა, მართლაც რომ ლავაშივით გაშოტა. ატყდა ორომტრიალი, ღრიანცელი: არი!.. არ არი!.. არი!.. არ არი!..

„რაღა არ არის, კინაღამ წელში გადატეხა!“ ყვიროდნენ მეორე მხრიდან. იდგა ერთი დავიდარაბა და დაკა-დაკა.

„არა ძმაო, ცალი ბეჭი არ დაურტყია!..“ – იყლაყვებოდნენ და იჭაჭებოდნენ მეორენი.

ი, კოჭლი სალახი, რა შუღლის თავია, დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა,

სამგლე გოჭივით არ ატყდება ხოლმე. აბა რასა ხირაობს, გულის მოსაფხანათა, ერთი ისეთი ჭოლოკი უნდა წამოუნიავოს კაცმა, რომ აქლემი თრიალეთად მოელანდოს, – დუდღუნებდა დუესელი უსრუგუნაანთ ბონდო.

„ე მაგასა თავისი ჭკუისა არ შეხვედრია, რო ფერდებში უთუთქოს, ერთი ლაზათიანი სილაც ხეთქოს ი, თვალებშია და იმითვინა ჯანჯლობს“, – ბუზღუნებდა ტანხმელი გლეხი.

„დახე, დახე როგორა მამლაყინწაობს ჩუტკერაანთ ღორიგლეჯია, ნეტა ეგ ვიღას ტიკი-ტომარაა?! ისეთი უნდა ჩააფარო ი გოგრა თავშია, რომა... – ცხარობდა ნიქოზელი ნამოჯამაგირალი, წინწკლებიანი პერანგის საკინძი რომ არ შეებნია, „მაგასა ჯერ არ მოხვედრია ხოდელის მუშტი და ეგრე იმიტვინა ხტუნაობს, – ნიქოზელის ცეცხლზე ნავთს ასხამდა რუისელი ახმახი მიტრა. გამარჯვებული მოჭიდავე ლეკურს უვლიდა და თან თავის მარჯვენა ფეხის გასმას მისციებოდა. იმის გულის თანატოლი გადაწეულ მანდილიდან იჭყიტებოდა. ზურნის ხმაზე ხანშესულ ფალავნებს ჟრუანტელი სწურავდათ, ჭიდაობის ეშხზე მოდიოდნენ, მაგრამ ჯანი აღარ ერჩოდათ და თავს ინუგეშებდნენ თანასოფლელი ტალიკი ბიჭების გამარჯვებით.

ჯოჯია ვაჭრუკანების, მეწვრილმანეების შეძახილი: ბურახი, ფოჩიანი კამფეტი, მყინვარი შაქარი, მარჯნის მძივები, ბეჭდები, სავარცხლები! – აყრუებდა იქაურობას. ებრაელ მორდეხას გრძელ კანაფზე ასხმული ფერადი ბურთები ეჭირა, ჰაერში რომ ირხეოდნენ და თვალსაჩინოდ ალამაზებდნენ დღესასწულს.

– ბულთები!.. შალიკები!.. იაფათ, ლჯულის მადლმა!.. – გაჰყვიროდა ტანმორჩილი მორდეხა, თან მარცხენა მკლავი, თავისი ჯაგლაგი ცხენის სადავეში გამოედო.

ბოშის ქალები, წენგოსფერ მკერდზე ბრჭყვიალა ღილები რო გადმოეპარჭყათ, ფეხშიშველები დაძრწოდნენ და მიამიტ ქალებს სთავაზობდნენ თავის მარჩიელობას და თუ თვალი კარგად არ გეჭირა, უსათუოდ რაღაცას აგწაპნიდნენ. ვიღაც შორიდან გადმოთრეულს არღანზე თუთიყუში დაესვა, ბრიყვი ნისკარტით პატარა კოლოფიდან რომ იღებდა ბედის გამომცნობ ფურცლებს. ერთი გადამთიელთაგანი ჩვრებისაგან შეკერილ თოჯინებს ჰყიდდა. საიდანღაც ვიღაცის ბალღი ტირილით შუაზე იფხრიწებოდა: დედაა!პიპინა მიყიდეი,პიპინაი!..

მუკნიაანთ ულვაშებაკოკრებულ დათას, საკინძგახსნილი ხალათი და ტოტებმოწუთხული შარვალი რო ეცვა, თავის უბნის გოგოები დაეპატიჟნა. ნეტა გენახათ, რა თავმომწონედ აწვდიდა ლიმონათით სავსე ჭიქას

კოკროჭინა პელას, ხან – ხალებიან თებროს, მარჯვენა ხელში სუფთა ცხვირსახოცი რო დაებღუჯა.

– ჩვენ მადლობთ, დათა, აბა რაზე სწუხდებით?! – მატაოცობდა ხაპირაანთ ფეფკა და წელში სატუცარივით იმტვრეოდა.

ქევქევა და ჩოქჩოქა მაჭანკლები დიდ ფუსფუსში იყვნენ, ჩიკორივით ტრიალებდნენ, შელებულ ყმაწვილკაცობას შორიდან ასინჯებდნენ შროშანა და კეკლუც გოგონებს ხელიხელჩაჭიდულები რომ დასეირნობდნენ. ვაჟის მშობლებს ყურში აწვეთებდნენ ქალის მზითევის ავლა-დიდებას.

– ქა, იცი რა მძახლები გეყოლება, სოფლის თავები! მე შენ გითხრა ასი თუმანი რო დაგჭირდეს ხელს არ გაგიმართავენ, ან სხვაგან მოგიხდება წასვლაი... უი, უი... ორივ თვალი დამიდგეს და დამიმიწდეს თუ გატყუებდე...

ახლა ქალის მამას გულმოდგინებით წამოუვლიდნენ, დოგა-დოგაზე დაადგებოდნენ:

– რა ვქნა, ი, შენი გოგოი, არ უნდა გაათხოვო? შინ ხომ არ უნდა დაამჟავო. ბედი კარზე მოგდგომია და შენ კი ყოყმანობ, აქ დავაბევოთ და ნიშნობაი, თუ გინდა მერე იყვეს, იცი რა ბაკილაური ბიჭია, რო შეხედო იტყვი: ქაა,ეს რა ნატვრის თვალი ვიპოვნეიო.

ნიშთან ქადაგად დაცემული მაკა, შუბლი თეთრი თავშლით რომ შეებორბლა, რაღასაც წიოკობდა, მიწას ფხოჭნიდა, პირის კუთხეებთან დუჟი მორეოდა, თვალები მოხარშული ჭანარივით გადმობრუნებოდა, დაკაწრულ სახეზე სისხლი ზოლებად შეხმობოდა, ჭაღარა ნარევი თმები ნიავზე უშნოდ გასწეწოდა, „ხალხნო! წარღვნა იწყობა, წარღვნაი!“ – ყვიროდა ნახევრადშერყეული და ჩიყვგამობერილი მაკა.

მთვრალი გიგა ვიღაც წვნიკ უჯიათს ყელზე გადახვეოდა და აღარ ეშვებოდა. არყით გამობენტერებული ფეთიანი ოსი ილასა, ჩოხის კალთები თანაბრად რომ აეკეცა თეძოებთან, თავის კოჭდაბალ ქვისლ გიგას ყანის წანახედზე წაჰკიდებოდა.

– შენ არ გეგონოს, რომა მე პანტის მეტი არაფერი მიჭამია, ან იონჯათი ვარ გამაძღარი, ცოტა გონზე მოდი, თორემა, ისე გამოგწლავ, როგორც მეგრულა ქათამსა, ერთი აქეთ მოიხედე! – თან ზარნიშიან ხანჯლის ტარზე ხელს იდებდა.

– მოკუმე ტუჩები, ენა მუცელში ჩაიგდე, თორემა, ისეთას გლეწავ ე მაგ ყბაშია, რომ ღვარებში კი არა წედისშიც ვეღარ გიცნონ, გამსკდარხარ და აღარ იცი რასა სჩადი, – უტევდა ოდნავ ბლუკუნა ქვისლი, თავი რომ სულ მუდამ წინ სძლევდა.

– ვის უნდა ლეწო? მანამ გვერდები არ აგიდგეს შენა! ან არა და, რა შენი საქმეა ღვინით გავსკდი თუ...

– ხოდა თუ ჩაცეცხლე, კიდევაც უნდა მოინელო!

– ცეცხლიცა ხარ და ერთიც მეტი! შე ჭაკო, შენა!

– ხმა ჩაიგდე-მეთქი! სანამ ე სახრეს არ გადაგიშხუილებ! არ გადაშენდები, არა? – ამ მუქარაზე ფიცხი ილასა წამოინთო, ალმური აუვიდა, სატევარს ხელი წამოუსვა და დასჭექა:

– შენ თუ წელები არ გადმოგაყრევინო ამსააჩია, და სული არ გაგაცხებინო, მაშ ილასას ეს ულვაშები არ ბმია! – ოსმა ალმასივით იარაღი იშიშვლა.

– ე, მანდ დაეგდე, თორემა, აჰა მე შენა! გადაპარჭიკება ხო არ გინდა, – გააფრთხილა ქვისლმა ანთებული ილასა, თითონაც ოდნავ შეფიქრიანდა და მოუსვლელი კიტრა ვაშლის ფერი დაედო.

ატყდა ალიაქოთი, ქვისლებმა ერთიმეორეზე გაიწიეს. ქალების ჩოჩქოლზე, წივილ-კივილზე: გვიშველეთ! არ შემოჰკრან, არ დაარტყან! არ დაუშინონ! შუაკაცებმა მოჩხუბრები დააშოშმინეს, თუმცა გიგამ და ილასამ ორიოდე ხელეურის წათაქება მაინც მოასწრეს. მეორე დღეს ტრაბახა ილასა ბაქიბუქობდა:

– კაცო, კინაღამ არ შემომაკვდა ი ჩემი ქვისლი, რაზე დავღვრიდი სისხლსა, ეგა ჭკუაზე ხომ არ შეიფერთხა? ხო იცის ჩემი ხასიათი, „ნეუქელი“ არ უნდა მომერიდოს, რამდენჯერ უნდა დაუთოხმახო.

წიფლნარში დოლის და გარმონის ხმა გაისმოდა, სალამურის და დაირის ჰანგები მუხნარში, არღნების ჭყვიტინი – დუქნებისაკენ.

და ქუდმოღრეცილ ჯალღიაანთ მიტუშას საზიზღარი ჭყივილი: ტაში-ტუში!.. ტაში-ტუში!.. ჭიკი-ჭიკი, ვახე-ვახე!..

მახლობელ ფრიალო კონცხზე მკვრივჩლიქებიანი ვაცი შემხტარიყო და მედიდურად გასცქეროდა მოსევადებულ კრიალა ცის კაბადონებს. ზევით დისკოებთან, ფრთამალი შევარდენი ნავარდობდა. იქით კორდთან, დაძირულ თივების ახლოს, ბიჭუნები შეგროვილიყვნენ.

– დამეჭიდე თუ ბიჭი ხარ, გამოდი, გამო! – ედიდგულებოდა მარდი სანდალა თმახუჭუჭა შაქარას.

– მი... დი, ბი... ჭჭჭ... ო, რრრ... ის გე... შშ... ინიან! – აგულიანებდა შაქარას ლიყიანი თედორე ენის ბორძიკით.

– ე, მაგ ლობიომ უნდა შეგაშინოს?! გადი და ერთი შენებურათ დააწყვიტეი! – უჩუჩხურებდა სანდალას კრაწაანთ მკვირცხლი შავტუხა.

– აბა, ეგ რა ჩემი ტოლია, ან არა და რას იჭიმება და იქადნება შვილოსანიასა, – ჩაილაპარაკა შაქარამ.

– თუ გინდა გოგიას დაეჭიდე? – მიმართა შაქარას დუნე ნუკრიამ.

– გამოვიდეს, გამოვიდეს! – აიფხორა თავკომბალა გოგია, ნედლი

კაკლის კუჭვით ხელის თითები რო ჩაშავებოდა.

– ვინც არა, ქინძარა. – მოსწყდა ადგილს შაქარა. ბალღებმა წრე დაარტყეს.

– მხოლოთა, ფეხშია ხელის მოკიდებაი არ იყვეს! – ესღა მოასწრო წინ გაჭრილმა და სულმოკლე გოგიამ.

– შუა კაური გაუყარეი, შუა კაური! ნახე, თუ ბრაგვანი არ მოადინოს, – აქეზებდა შაქარას ჭრელთვალება ვანო, ქოჩორზე ერთი ციდა თმა რო დაეტოვებინათ.

– ძიგი-ძიგი მამალო, შენ იცი და მაგანო! – გაჰყვიროდა მოუსვენარი სანდალა და თან გამოცდილ მსჯივით იკუზებოდა, ფალავნებს ქვეშიდან უცქეროდა, რომ შეუფერებელი ფანდი არ გამოჰპაროდა.

სად იყო და სად არა, ბავშვების ბღლაძუნს შაქარას დედა – სოფიომ მოუსწრო, წელდახრილი დაფათურდა, წკეპლას ხელი წამოავლო და მთელი ძალით დაუთათხანა თავის შვილს:

– მიწამ კი გიყოს პირი! შენ მოუკვდი დედაშენსა, შე დასამიწებელო, ორი დღეა ახალი ხალათი ჩაგაცვი, იმითვინა, რომ აქ შემოიფლითო? აგრემც გასწყალებიხარ დედაშენსა!..

შაქარამ გაკაპასებულ დედის ხმას ყური მოჰკრა თუ არა, მყისვე ბაყაყური ფაცხაფუცხით მოუსვა.

გაანჩხლებული დედაკაცი ახლა გოგიას მივარდა:

– შე გასაცივებელო, შენა! მუხლის კვირისტავები რო გადაგიყვლეფია და ფილთაქვას რო მიგიგავს ეგ ვირგლა თავი, რას ებუღრავები ჩემ ბიჭსა? შე ამოსაწყვეტო შენა, ჯერ დედამიწას არც კი ასცილებიხარ. რაც სიგრძე გაქვს, ის სიგანე უნდა მოგცეს ადამიანმა, აი ის არის მადლი.

– რა ვქნა, მე რა, თვითონ შენი ბიჭი დამეჭიდა. მოიბუზა განზე გამდგარი ყურებაწითლებული გოგია და თან აბზინდა ამოვარდნილი ქამარი გაისწორა.

– მართალია, ძალო, მართალი! – მიაძახეს აქეთ-იქიდან ბიჭებმა სოფიოს.

– იმდენი ძირძიდა თქვენა, რამდენ მართალსაც ამბობდეთ, – მერე ქაშანაურას ბიჭს მიუბრუნდა – ეს სულ შენი ოინებია, შენი ქოქი კი მოისპოს, შენი! მოიცა თუ მამაშენს ეგ ყურები არ დავაგლეჯინო, ნახავ შენა!..

– მე ჩემთვინა ვიდექი, მე რა! – ამოილუღლუღა უსამართლოდ მსჯავრდადებულმა ქაშანურაანთ კურკამა. სამწუხაროდ ეს სახინჯრი სახელი თავისმა პაპამ დაარქვა.

– თქვენი გამოწყვეტა მენახოს აჰანდე, თქვენი! – მიახალა ბავშვებს

აშარმა სოფიომ. შებროწიალდა და შაქარას კვალს გაეკიდა. შაქარას პატარაკრიპა დაც ცალ ხელში ფეხებმოწყვეტილი დედოფალა რო ეჭირა კევის ღეჭვით დედას გაედევნა და სვინტრის ფერი კაბის ქვევიდან ნიფხვის თეთრი არშიები გამოუჩნდა. გოგიას დედილომ ენატანიანებისაგან შეიტყო თუ არა სოფიოს ალიაქოთი, ინდაურივით აკივკივდა, თავის მულის პირით შეუთვალა: „შე ხარაბუზა, შენა! პირი რო ძაღლის ქონით მოგიქონიან, ღმერთსა ვთხოვ, შე ყრუელა, შენა! ამ ბავშვების ჭკუით დაბერებულიყავი! არა მინდა რა, ერთი შეგსწრებოდი და თუ თმებით არ დაგითრევდი, გაიგებდი, შე კრუხის პალო, შენა! ის გირჩევნიან, შე ჯილაგ ამოსავარდნო, კავები გაისწორო ხოლმე, ჯორის კუდივით რო გადმოგიყრია“.

არც სოფიომ უხათრა, მისდგა, ერთი თუ ორი, ავი და კარგი გადმოუტრილა: „ხელები ნუ გისწრებს, თორემა, იქნება ისე გაგიხადო საქმეი, რომა სულ ბუწუწები გაგლეჯინო. ჩემ კავებს რას ერჩი? ლოქოს ლაყუჩებს რო გიგამს ეგ გადმობრუნებული ტუჩები. შენი სილამაზითა ხომა გვერდელაანთა თვალი გამოსთხარეი. ძაან კი მამალყინწაობ... და! ე მანდა, შენი შიშითა სადედულეთი არ ამომიწყვიტო და იალბუზზე არ გადამასახლო...“

ხარ-კამეჩი ტყის ნეკერს და სათიბებს შერეოდა. მახლობელ სოფლის მწყემსებს ცხვრის ფარა სალოცავის დრემლმოფენილ სერზე აელალათ, ნაცვალგარდობით ხატობაში შერეულიყვნენ, მხარზე გაწყობილი კავიანი კომბლებით, ხანდახან უსაბაბოთ იღიმებოდნენ, გაქონილ ტყაპუჭებზე უბალთო წვრილადშემოჭერილ ქამრებზე ქარქაშგადატყავებული ხანჯლები ჩამოეკიდათ.

შორს, მივარდნილ ქედებს იქით თეთრი ღრუბლების ნახირი მოსჩანდა, თითქოს ლაქვარდების რაყასა სძოვდა.

დღეობის გარშემო მოჩარდახებული ურმები ისე იყო წაყრილი გეგონებოდათ ფარდაგგადაფარებული სპილოების ნახირი წინა ფეხებზე დაცემულაო.

ამ დღესასწაულზე იმყოფებოდა ჩემი მეგობარი პოეტიც, თავის ბიძის ოჯახთან ერთად. არ იტყვით რაზე ასდევნებოდა მგოსანი თავის ბიძას? განა ღვთისმსახურების მიზეზით, არა! ბიძის სოფელში მოსწონებოდა ეშხიანი გოგონა ნანა. თვალტანადი, საროსავით წერწეტი, თეთრი მტევანივით ლამაზი და შეთქვირებული ნანა მამას ხატობაში წამოეყვანა. ნანას ჩითის კაბის, მაღალყელიანი წინდების და მამის მიერ ამოსხმული ბანდულების მეტი არაფერი ებადა, დედა ადრე გარდაცვლოდა, თავის ხელმოკლე მამას მხარში ამოსდგომოდა და ოჯახის წარმართვაში ეხმარებოდა.

მგოსანს მოსწონდა სანაქებო ნანა, კოკობივით ნანაზე თვალი ვის არ შეუგორდებოდა. იქნებ არც კი დაიჯეროთ, მაგრამ იცოდეს ღმერთმა, იმის ცოლად შერთვა, რომ გიორგის სიძედ მოჰკიდებოდა, მგოსანს არასოდეს არ უფიქრია. პოეტს უნდოდა რომ ახლადგადაფურჩქვნილი გოგონა მის მწველ ფიქრებს ყვარებოდა, როგორც მიუწვდომელი ბედნიერება. თორემ, ბედნიერებას როცა ხელს შეახებ, ის ხომ ბედნიერება აღარ არის. რა ვიცი ეს ოხერი, ვიღამ არ წამოაყრანტალა, რომ ლოგინი ბილწავს სიყვარულს...

ჩემ მეგობარს სულმა წასძლია და ნანას გაუნდო თავისი გულის ნადები, არა ისე კი არა, თქვენ რო გგონიათ...

ბიძის გამართულ ნადიმზე მგოსანმა ვეღარ მოისვენა, შაკიკშეყრილივით აბორგდა და თავის ბიძას გადუჩურჩულა:

– ბიძა! რატომ არ ეპატიჟები გიორგის, ის ხომ შენი კარის კარგი მეზობელია, აგერ იქ არის მოკალათებული ნონიკაანთ ურმის გვერდზე.

– აი, შე სახე-მახე შენა! იმის გოგოს ხომ არ ეხოხმარიკები და ეპრუნწკები? ენამოჩლექით წაუტუტუნა ბიძამ მგოსანს და შორიახლო მდგომ გორიჯვრელ ბესოს თამამ გოგონას გადასძახა:

– ნატა! ხომ იცნობ ჩვენებიანთ გიორგისა, თოქმაჯაანთ ლაჯუნას ბიჭს რო ეძახიან? უთხარი, დაგვეწვიეი შენ ნანათი-თქო.

– აბა, არ ვიცნობ, ეხლავე! – წამოფრინდა ხაჭოსფერ კაბიანი ნატა და მოჰკურცხლა.

ორიოდე საღღეგრძელო არ ჰქონდათ დალეული, რომ გიორგა და ნანა მობრძანდნენ.

– აქა მშვიდობა, ქეიფი გაამოთ, გწყალობდეთ ლომისის ხატი! – მიესალმა გიორგა.

– აგრეთვე თქვენცა! – უპასუხა პოეტის ხელგაშლილმა ბიძამ და გიორგა გვერდით მოისვა, ნანამ ნატას მარჯვნივ მოიკეცა.

ბინდის ფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება.

წამოიწყო სიმღერით ეს ალალი ხალხური ლექსი მეჯვრისხეველმა ლევანამ, საამურად აჟღერდნენ ქართული ხმები... გაყუჩდა სმენადაძაგრული ხალხი. სადღაც, შორი ახლო, ვიღაცამ „ზამთარი ვარდსა დააზრობს“ ჩააკაკანა. პოეტი ნანას უმზერდა, მაგრამ წამწამებდახრილ ნანას როგორ შეეძლო აზრად მოსვლოდა, რომ იმას ათაყვანებდა გზადაბნეული ყმაწ-

ვილი კაცი, როგორ დაესიზმრებოდა ნანას უმანკო სიმშვიდეს, ოდნავ სოსანისდარად გადაკრულ თვალებს, ყვავილების და ფრინველების შემყურეს რომ გულში ჩავარდნოდა ვიღაც ბედკრულ მოლექსეს.

– ნეტავი, ჩემი ნანა მომირჩინოს ხატის მადლმა და მერე თუ გინდა წყალსაც წაუღია ჩემი თავი. ყველა სალოცავი უნაყოფოდ შევაჯერე, ესღა დამრჩა, – ნაღვლიანად წარმოსთქვა გიორგამ.

– ღმერთმა ინებოს, ღმერთი მოწყალეა! – ყველამ ანუგეშა გიორგა.

– რა დაემართა ძია გიორგი? – შეეკითხა განცვიფრებული პოეტი.

– ეჰ, რა ვიცი შვილო, გულის ტკივილი დასჩემდა, – უპასუხა გიორგამ. ნანას შერცხვა და მის სინარნარეს ბროწეულის მარცვლების ფერმა გადაჰკრა.

მგოსანი შეშფოთდა, თითქოს უნდოდა ნანას ავადმყოფობა მგოსანს გადასდებოდა, ოღონდ ნანას ეცოცხლა დიდხანს, სულ დიდხანს.

მოსაღამოვდა. მუხნარს ნიავზე ძილი ერეოდა, ფოთლები ებლიტებოდა.

ნატამ თავისი კეწკეწი ჩუსტები ნანას ათხოვა, თმები გადაივარცხნეს და ლხინს მიაშურეს. ჯანგირაანთ ჰოტროველა სისო იფნის სახრეს ლხინის მაყურებლებს ფეხისწვერების წინ უტყაპუნებდა და თან დასძახოდა: განი!.. განი!.. განი!..

– გაგიხმეს ხელები! –კისკისებდნენ ასაკმოღერებული გოგონები და უკან-უკან იწევდნენ.

– ე სახრეი იქით მისწი მისამარასა, თორემა იქნება მე შენა! – ჩაჩხანებდნენ პირტიტველა ახალგაზრდები და ტაშისცემას ერთიმეორეს აღარ აცლიდნენ.

პოეტმა მედოლეს ყურში რაღაც ჩაუფუჩუნა. მედოლემ ორივე ხელი ომახიანათ შემოჰკრა დოლს, ააყოლა სალამურის დამკვრელს და მგოსანმა ლეკური დაუარა.

– გოგო, ეს ხომ გაგაანთ ნასყიდას ძმისწულია!

– დახე ერთი, რა ქალაქურათ უქცევს, მითამ და რაა!..

– ქაა, ლამის არის მედოლეს ზედ გადაემტვრეს, ტუტუნებდნენ ქალები.

მგოსანმა თავი დაუკრა ნანას. კენარივით ნანას შერცხვა და ის იყო გოგოების ზურგის უკან აპირებდა მიმალვას, რომ ნატამ ხელის კვრით შემოაბრძანა წრეში.

– ნეტა არ იგრიხებოდე, აგრემც არა ხარ! – ალერსით დაუტია ნატამ, ცოტაოდენი ზურგზედაც უბრწკინა.

რაღას გააწყობდა გოგმანა ნანა. დაბზრიალდა. ცეკვავდა ისე, როგორც შეშვენის ქართველ გოგონას. ისე კი არა, ზოგიერთ ალაგას რო ცმუკავენ გულის ამრევ საღებავით გათხუპნული ტუჩებით, რაღაც ჯამბა-

ზური სამოსით, საძაგლათ რო იღმიჭებიან და ათასნაირად იმანჭებიან.

გახარებული მგოსანი ძალღონემოკრეფილი ცდილობდა ცეკვის ხელოვნებას დაუფლებოდა, მაგრამ ამაოდ. ის უდიერად უსვამდა ფეხს, ხელებს ძერას ფრთებივით იქნევდა, რაღაც ულაზათოდ ტლინკავდა, თუმცა ხალხისა არ იყვეს: კარგი მოთამაშე რომ ყოფილიყო კამეჩის ცოხნას აჰყვებოდა. რას იზამ, ასე იცის, ზოგჯერ, ბედნიერებამ, ისე უგვანოდ აგაცუნცრუკებს, ერთი წლის მერე შენს ნამოქმედარს რომ შეხედო ჭირის ოფლი დაგასხამს. ასეა, ასეა, როცა გონიერება სთვლემს და განცდები ზვიადობენ.

სერობა დამთავრდა. ერისკაცებმა უკანასკნელად ასწიეს ყანწები. ხალხი ზვავივით მოშვავდა ბარში. მეურმეები უღელ ხარ-კამეჩს დაღმართზე წინ მიუძღოდნენ, თან მარცხენა მკლავით შუა ტაბიკს, კორას და ხელნის თათებს ებღაუჭებოდნენ, მარჯვენა ხელით სახრეს საქონელს წინა ფეხებში უთათუნებდნენ, რომ თავქვეზე ურმები არ დაქანებულიყვნენ.

„ჰა, ფეხი გამოადგი, გამოეტიე, გეშველოს!..“

„საქონელს ნუ უჯავრდები!.. სახრე არ გადაჰკრა! არ გადაუჭირო!.. გვერდზე მიაყე, ბიჭო!..“ ისმოდა დაქანებულ გზებზე.

დაღმართის ბილიკზე ნანა ასოების ჩათვლით უკითხავდა ნატას პოეტის თხზულებას, ორივენი ხანგამოშვებით ერთიმეორეს მხრებით ეკვროდნენ და სიცილით იხოცებოდნენ.

– გოგო, რა მოუჩმახია?! აბა, ერთი კიდევ ჩამიკენჭე ნანა, – ონავრობდა არდასაცალებელი ნატა.

– ამ დილას მომაჩეჩა, – უყვებოდა ნანა – ჩემს სახსოვრად გქონდესო. დედის სული წამიწყდეს, თუ გატყუებდე, ჩემი დამემართა, სანამ არ წავიკითხე. რა ღობე-ყორეს აწყდება?.. მეხი კი დაეცეს, რაში მეკნაჭება მაგის არშიყობაი.

– წაიკითხე გოგო, წაიკითხე! ცოტა გარკვევითა და მკაფიოთა, იქნება გავიგოთ, რა ჭირი და კვნესა უნდა შენგანა.

– ნატა, ყველას გაფიცებ, ე მანდა, სხვაგან არაფერი წამოგცდეს, თორემა მამაჩემმა რო გამიგოს სახრით გამაჭრელებს.

– არა ქა! დედ-მამა დამეხოცოს, თუ...

– კარგი დამიგდე ყური, თან უკან თვალი გეჭიროს ე, მანდ არავინ წამოგვაწყდეს. სათაური ხომ იცი „ბალადაო“.

– ალბათა, გოგო იმას გეუბნება შენისთანა ბადალი არა მყავს ქვეყანაზეო, – გულთმისნობდა მატაოცი ნატა. მაყვლის და თრიმლის ბუჩქების ძირში გაჭრილ ბილიკზე ნანა ნელი ტაატით მარცვლავდა პოეტის ტოტებდალეწილ ნაწარმოებს:

მე გამოვყევები შენს გვირგვინებს ბინდების ფითრი,
გასწვრივ ზარები სივრცეებში ჩაახველებენ,
ლოდების ბღავილს მთების ზათქი ჩააფრინდება,
ჩემი ლექსები შენს უბეში იფართხალებენ.

ლექსებს ჩაგატან... აბა მეტი რა მაქვავია,
ოხრად დაგრჩება ერთადერთი შენი პოეტი.
ჩვენ რომ გვხიბლავდა ქარვისფერი ლოცვების სვია,
და ფანჯრებიდან შემოჭრილი სუროს რტოები.

გახსოვს ქარი რო ბურტყუნებდა დედის ბალადას?
ხან კი მწირივით ყაყანებდა ხნიერ ცაცხვებზე?!
ხელში მთაწმინდას რო ეჭირა ტატო ბალღივით,
და, ღვთისმშობელი გაბუტული ჩვენს სიცოცხლეზე?..

თუმცა, რათ გვინდა, ყველაფერი რომ გავიხსენოთ,
ან ნუკრებივით ძუძუ ვწოვოთ შუქნარა ჩანჩქრებს,
ერთიღა დამრჩა... შენს ცრემლების ქვეშ დავისვენო
დახევებული სიყმაწვილე შამბებმა შთანთქეს.

ბარბაცით მოვალ მეც ოდესმე შენს სამარესთან,
ლოდები მიწას გადასწევენ რომ დაგინახო,
და იცი რისა მეშინიან? მჭვალავს ღმერთმანი,
ბალდახინებმა ხელმეორეთ არ დაგიძახონ!

მე გაგასვენებ ჩემი მხრებით, რომ დავბრუნდები,
ღვინის სარდაფთან დანდობილას ჩამაძაღლებენ,
შენს მკერდში ისევ გავიკეთებ ფიქრის საბუდარს,
ჩემი ლექსები შენს კუბოში იფართხალებენ.

შენს შემკრთალ ძეგლთან მესაფლავე აიტუზება,
ცარიელ გზებზე შეაჩერებს მორბენალ თვალებს,
დაუშენს წვიმა, წიწვებამდე გაიწუწება,
ის კი, გზებისკენ ცქერას მაინც არ დაამთავრებს!..

– გოგო! ყურს უგდებ, რასა ბურტყუნებს ი ვიღაცა ოხერია, როდის იყო მე და იმას ლოცვები გვხიბლავდა? ან ჩვენს ფანჯარაში რა უნდა სუროსა? ღვთისმშობელი გაგვებუტაო, ისემც გამოსჭყლეტია ორივე თვალი, – წიქვინებდა ფოფინა ნანა.

– უი, უი, ღვთისმშობლის მადლი გაუწყრეს, უფალსა ვთხოვ, ისე გადარიოს ზეციერმა ღმერთმა, რომა...

– შენს კუბოშიო, – არ აცლიდა ნანა – ჩემი ლექსები იფართხალებენო, მე გაგასვენებო...

– მიწამ კი უყოს პირი, ხედავ რა თავწასულია? ღმერთმა არ მომას-

წროს შენს სიკვდილსა, გამჩენსა ვთხოვ ადრე და მალე მოსწეოდეს პაპაჩემის კვალსა.

– ლოდები მიწას გადასწევენო, – კისკისებდა ნანა.

– ქაა, ვინ არის ეგ ოჯახამოსაწყვეტი, თავისთავი ამოიჭამოს, აჰანდე. აგრემც სასაფლაოს ლოდებსაც გადაჰყოლია, ტყუილათ კი არ იტყოდა ხოლმე დიდედაჩემი, ბევრი სწავლა კაცს ჭკუაზე აცდენსო, – მეტიჩრობდა ნატა.

– მესაფლავე აგეტუზებაო! – გაიგე ნატა რეებს მეუბნება?!..

– მესაფლავეს ლუკმა გამხდარიყვეს. უი, ნეტაი შენ ალაგას ვიყვე, თუ საკადრისი პასუხი არ გავცე, თუ სახე არ ჩამოვაფხაჭნო და ეგ წერილი შიგ თვალებში არ ვთხლიშო, ნახავ, – აგულისებდა ნატა.

– არა, გოგო ცოდა, ხო თავლაფი დამესხა მეცა და იმასაცა.

– ა ჩემ ჭირასა, ეგ შენა და ეგ შენი ნაგიჟარი.

– ნუ იცი ხოლმე გოგო ეგრე, რა არის ახლა! ქალბიჭა ხომ არა ხარ? უიმეე, რა ჯიბრიანი ხარ გოგო...

– აბა, ერთი ჩემთვის გაებედა ეგეები! – ხელი გააქნია კაპარჩხანა ნატამ.

– თორემა, რას უზამდი? – ამრეზილი შეეკითხა ნანა.

– შენი საქმე არ არის!

– ყურებზე ხახვი არ დაგეჭრა, – ჩაუტკაცუნა ნანამ.

– მომწყდი აქედანა, კისერიც გიტეხიათ, ორივესა, ჭირი მომჭამეთ, რაც გინდათ ისა ჰქენით! – გაიბუსხა ახტაჯანა ნატა.

ცოტას გასწყდა გოგოები არ შელაპარაკდნენ.

მზიანი შემოდგომის დღე ბროლივით დაქათქათებდა ნოყიერ არემარეს.

ზევით სალოცავში ნაგვიანევი მლოცველები დარჩენილიყვნენ. გამჭვირვალე ჰაერში ცეცხლის კვამლი აქა-იქაღა იგრიხებოდა. მთის სერიდან ჩამორჩენილი ყმაწვილების ძახილი და სტვენა ისმოდა.

ჩემი მგოსანი ნიშის წინ მიწაში ნეკნებამდე ჩამჯდარ ქვაზე ისვენებდა. გულის ბალღამი თვალებში მორეოდა და ნამთვრალევ სახეზე ცრემლების რთვილი დასდებოდა.

ლომისის მინდვრებში მოჩიტული ნიავი ადამიანებისაგან დაყრილ ნაგავს: ჭუჭყიან ქაღალდის ნაგლეჯებს, ჩვრის ჭინჭებს, ათას სიბინძურეს აწრიალებდა.

პაწაწკინტელა რვალის ზარები ყუნწით ყაჭის ძაფზე ასხმულები სალოცავის ნანგრევებზე რო დაეკიდათ, ზენა ქარის ოდნავ შემორხევაზე წკარუნობდნენ.

ტყე ტაძარივით ენთო და შიგ შეხროვილი ხეები წარმართებივით ყაყანებდნენ.

ყველაფერი ირწეოდა. თითქოს ლურჯი სივრცეების თვალუწვდენ ბადეში, კლდეების გამოძახილზე, მაღალი, ეხოდარხეული მთებიც ფართხალებდნენ.

გაბუტულ ღვთისმშობელს ხელში ნამტირალევი ბალღი ეჭირა და მლოცველთა ნაკადს განაბული მიყვებოდა.

ერთადერთი ყბამოღრეჯილი ადამიანი, მწუხრი რომ არასოდეს არ ერეოდა და მუდამ მსუნაგივით გასცქეროდა ქვეყნიერების ცარიელ გზებზე ჩამორჩენილ მგზავრებს, ეს იყო პირდაუბანელი, სულ მყრალი მესაფლავე, რომლის ზურგს უკან ურმების რიგი იდგა და შიგ შებმული წმინდანები ბღაოდნენ.

## ჯ

*დილით მიდამოს რო გახედავდა*
*ჯანყივით იდგა უმეგობროობა.*

მომცრო ქალაქის შუაგულში მჩქეფარე მდინარე ჩქაფა-ჩქუფით მოქუხდა, ამ მდინარის დაფუტროვებულ ხიდის ყურზე ხშირად შეამჩნევდი მიწაზე ფეხებმორთხმულ, ღრმად მოხუცებულ, დარდებით გასავათებულ ღედაკაცს, მუდამ თავჩაღუნულს და ჩაძმარებულს. შავი ხილაბანდის ქვეშ ჭანჭურის ჩირივით დამჭკნარი სახით და უკბილო ღრძილებზე შეკეცილი ტუჩებით. გახუნებული თალხები გამხდარ სხეულზე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ტოტებგადაკაფულ ჩირგვზე შავი ძაძა გადაეფარებინათ. ის დახმარებას თხოულობდა, მარჯვენა ხელი ნახარში ხის კოვზივით გამოეშვირა.

ვინ იცის რამდენმა გულქვა ადამიანმა ჩაუარა ხანშესულ მათხოვარს... ბევრმა სიბრალულით გაიკითხა, ზოგიერთი კი იმ დროს ასაჩუქრებდა დაგლახაებულ წუთისოფლის სტუმარს, როცა გრძნობდა უკან ვიღაც მოსდევდა, ან თუ წინ ვინმე შეეჩეხებოდა, რომ ამით დაემტკიცებინა თავისი გულშემატკივრობა, თორემ ის წყალობის გამღები არ იყო, არა! სად არ მატაოცებენ ადამიანები, დასწყევლოს ღმერთმა!

როცა საღამოს ბინდი ქალაქის მისადგომებთან აიმღვრეოდა, მდუმარებით დაოსებულ ღედაბერთან მოდიოდა ფერმკრთალი სახის გოგონა, ზედ რომ გაწყალებული კაბა ეცვა და შავ ნაწნავებზე თეთრი ჩვრის

ნაჭრები ეკეთა. გაუყრიდა ხელს იღლიაში თავის მუხლებდახუთულ დიდედოს და ორივენი მოკლე ნაბიჯით მიიწევდნენ შინისკენ. გოგონა თავის მარჩენალს გზა და გზა ხშირად ასვენებდა. თავმოყვარე შვილიშვილს სირცხვილის მწარე ოფლი ასხამდა, რადგან ხომ ყველამ იცოდა, რომ იმის მზრუნველი და გამომკვებავი მათხოვარი ბებია იყო. რამდენჯერ ატირებულა საწყალი გოგონა, როცა ხიდზე დიდედისთვის სამხარი ჩაუტანია და ქუჩის ბიჭბუჭებს გესლიანად დაუცინიათ.

ვახშმად ფაშარ პურის ნატეხებს, ხან ბოღლიწოს, ხან შინდის შეჭამანდს, ხან მახოხს შეექცეოდნენ, ხშირად ღღეში ორ იჯრაზე გადადიოდნენ. მოხუცი საცოდავად შელოღნიდა კერძში ჩაწობილ ორიოდე ლუკმას და იქვე პირგადაუკრავ, ბურტყლებგამოჩრილ მუთაქაზე თავს მიდებდა, რაღასაც ჩაილუღლუღებდა, ჩაიჩიფჩიფებდა და იძინებდა.

ობოლი გოგონა კი ლამფის ნაგერალ პატრუქის შუქზე დაუვიწყარ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარს“ გადაშლიდა და გატაცებით ეწაფებოდა სანუკვარ მოთხრობებს, ის თითქოს სტრიქონების გაბმულ მავთულებზე მერცხალივით ჭიკჭიკებდა, ხშირად თახჩიდან გამოკრეფილ „ნაკადულის“ ფურცლებს ჩაჰკირკიტებდა და წააწყდებოდა თუ არა შეუდარებელ შემოქმედის გაზაფხულივით ატეხილ ფიქრებს ჩიორასავით უცემდა გული.

ვინ იცის, ცხოვრების სუსხიანმა ქარმა რამდენ რჩეულ ადამიანს გააყრევინა კვირტები და რამდენ ჩანჩურას, ცეტს და დოყლაპიას ნიჭიერ კაცად ნათლამდა. ვინ იცის, რამდენმა ლაყე ტვინის პატრონმა და ორნახადმა რეგვენმა ფუფუნებაში ისე დალია სული, რომ ერთხელაც არ აუხედნია ზევით – ვარსკვლავებისკენ. რამდენმა კდემამოსილმა ადამიანმა კი ისე შეუმჩნევლად ჩაიარა ამ ქვეყნის სარბიელზე, რომ ხმის ამოღებაც ვერ შესძლო, რადგან უსარჩოობით ფერდები ეწოდა და ოჯახი თავზე ენგრეოდა.

დიდი მიქარვაა, თითქოს ვინმეს ტანჯვა ასპეტაკებდეს. პირიქით, დაუსრულებელი წამება და ურვა აკუზიანებს, ფიტავს, ასახიჩრებს ადამიანს, უფრო მეტიც, ამხეცებს, აბოროტებს, აანჩხლებს და მთელი სიცოცხლე ყურებდაჭრილი ძაღლივით იღრინება. ჩვენში იცოდნენ ხოლმე: ბევრი შიშით ხარი გაგიჟდაო.

რა თქმა უნდა, როდესაც შემოქმედების დროს იწვი, იფერფლები, ეს ხომ იმ წვალებას არ ჰგავს, როცა ხვედათი თავპირს გამტვრევენ, თითებს რკინის ანჯამაზე გიწეწკამენ, წიხლების ქვეშ წაგიგდებენ, გჭეჭყავენ, მკლავებს გიღრეცავენ, თვალებს სადგისით გიჩიჩქნიან, როცა დამარილებულ თევზის წათხს გასმევენ და ერთ ყლუპ წყალსაც არ გაწოდებენ,

ერთი სიტყვით სულს გართმევენ, გახურებულ გრდემლზე ეროთი გნაყამენ. თუ ზოგჯერ ასეთ საზარელ ხვედრს კარგა ხნის შემდეგ ხელიდან გაუსხლტები და შვების ნათელი აგიწიალებს, მაინც ვეღარ განიკურნები, წარსულის გაწამებული დღეები შენს სხეულში სრსვილივით ირევიან, გკბენენ, გჯიჯგნიან, პირს უსსნიან შენს ძველ იარებს. აი, ამ დროს გინდა ვიღაც ალალმართალ კაცზე შური იძიო, ქეჩოში ჩააფრინდე, რაღაც ხიფათი შეამთხვიო. გულს გეყრება, როცა მსხვერპლს ვეღარ პოულობ, რადგან შენი სიცოცხლის ნახევარზე მეტი ცეცხლის ალმურში გაატარე და ტვინის ნახევარი სფერო ერთიანად დაგიმახინჯდა, შენი სხეულის მაღაროდან ალქაჯების კივილი გესმის.

არც ისა მჯერა, თითქოს გენიოსები უკვდავ ქმნილებებს იმ დროს ჰქმნიდნენ, როცა კუჭი შიმშილით უხმებოდათ და ზურგზე ცხრაპირ ტყავს აძრობდნენ.

მომიტევეთ, თქვენი ჭირიმეთ! იმას მოგახსენებდით, ჩემი მეგობარი მგოსანი ამ პატარა ქალაქში ჩამოსულიყო, იქ, სადაც რის ჭაპანწყვეტით დაამთავრებინეს უკანასკნელი კლასი, პოეტის უქნარობით გაბეზრებულმა მასწავლებლებმა. მართლაც, აქამდე არ გამიმხელია, მგოსანმა უმაღლეს სასწავლებელსაც მიაშურა, მაგრამ თავისი სიზარმაცით ყველაფერი ისე ჩააფლავა, რომ მალე გამოაპანღურეს. განსაკუთრებით სძულდა გრამატიკა, ასეთ ცულლუტ მოწაფეს და არაბეჯით სტუდენტს, აბა რა კეთილი დაეყრებოდა? მზე რომ ამოდიოდა, ის თვალებს ხუჭავდა. უნივერსიტეტში სულელივით ამოიჩემა შუახნის ქოსა პროფესორი, დასავლეთ ევროპის ლიტერატურას რო კითხულობდა. რაღაც მწუთხე ნარკვევებიც ჰქონდა გამოცემული. თუმცა ის დალოცვილიშვილი შექსპირის ტრაგედიებს, პეტრარკას პოეზიას ისე არჩევდა თითქოს პურის ცომს ზელავდა, ანდა კარტოფილს ფცქვნიდა. არასოდეს არც ერთი სახის უჯრედი არ აუტოკდებოდა, ლექციებს გადმოშლიდა უხალისოდ, უნდილად. თუ გუნებაზე გახლდათ გაზუთხულ თემას ხელად ჩააბულბულებდა, თუ არა და ყველაფერს თავისებურად მიაფუჩეჩებდა. ენამჭევრობის რა მოგახსენოთ. თავიდან ჩაჩს არ იშორებდა, სულ მუდამ გაშეშებული იდგა, იტყოდი ნაძვის სარი გადაუყლაპიაო. შესანიშნავად იცოდა ესა თუ ის მწერალი როდის დაიბადა, როდის ჩაიცვა გრძელი შარვალი, ვინ შეიყვარა, ფეხი სად წაუცდა, ხელოვანის მშობლები მემამულეები იყვნენ, თუ მესტვირეები, როდის გარდაიცვალა, სად ასაფლავია, მაგრამ როცა შემოქმედებას ეხებოდა? ღმერთმა დაგიფაროს! მეფე ლირს დამთხვეულ კამეჩად გადააქცევდა, ჰამლეტს ფარშავანგის ბუმბულებს ტანისამოსზე დაუბნევდა, ოტელოს მაროკოელ მენახშირესაგან ვეღარ გაარჩევდა და ლაურას – ფლორენციელ გომბი-

ოსაგან. ჩვენი პროფესორის ერთი ავი თვისება ისიც იყო, რომ დიდი ამყოლი გახლდათ ლიტერატურული ჭორების. აშკარად როდი ქირდავდა ზოგიერთ მხატვრული სიტყვის ოსტატებს, მაგრამ კერძო შეხვედრებში ენად გაიკრიფებოდა: მოყვებოდა ბაირონზე გაგონილ ყოველგვარ სისაძაგლეს, გოეთეს ავხორცობას აბრალებდა, ვერლენს შემაძრწუნებელ საშიშროებას უჩიოდა. ხან ჩვენ მწერლებსაც გადასწვდებოდა: სანდრო ყაზბეგს კბილს გაჰკრავდა; გესლიან და მძვირ ენას – აკაკის; შხამიანი ბაასით სწამლავდა გულუბრყვილო მსმენელებს. ამ სწავლულ უბადრუკს თავგზა ერეოდა, მთავარს ვერ ხვდებოდა. გენიოსებს პირად ცხოვრებაში, ზოგჯერ, პატარა ცოდვაც მიუძღვით საზოგადოების მიმართ, დიახ, ამ შეცოდებას წლების განმავლობაში შემოქმედების მცხუნვარება აშრობს და ლეგენდების ნიაღვარი ფარავს.

კიდევ კარგი, რომ ადამიანებს ადვილად ეხერხებათ გენიალურ მნათობების ღმერთებად გადაქცევა, თორემ ვინ იცის, რა უბედურება იქნებოდა, რომ მიქელანჯელოს უჭკნობი შთაგონების გვერდით, იმისი შიშველი ბიოგრაფია, თუ გნებავთ იმისი კერპი, უკმეხი და ჭირვეული ცხოვრება გამცემი ბერივით ახირულიყო.

დასწყევლოს ღმერთმა! სიტყვას გავყე და კიდევ სადღაც გადავიკარგე.

ჩემს მეგობარს თავის ბიძასთან დავიდარაბა ჰქონდა ატეხილი მამისეულ სახლის თაობაზე. ხომ მოგეხსენებათ ზოგიერთი ნათესავი მტერზე უარესია, ტყუილად როდი იტყვიან ხოლმე: ვინ დამწიხლა და საკუთარმა ფურმაო! როგორც გავიგე, არა მარტო მთელი კარ-მიდამო, პოეტის კუთვნილი ბინაც ბიძას ეჭირა. ჩემი მეგობარი თავის წილს თხოულობდა, ბიძა კი უდიერად ექცეოდა, უარს ეუბნებოდა. რამდენად სვინდისგარეცხილი უნდა იყვე, რომ საკუთარ ძმისწულს ერთადერთი თავშესაფარი მოუსპო.

კრიჟანგი, წუწურაქი, ხარბი და გაუმაძღარი იყო პოეტის ბიძა, ჯერ კიდევ აღრე პოეტის განსვენებულ დედას სიცოცხლეშივე ტკბილი ენით გამოსცინცლა მამა-პაპეული უძრავი და მოძრავი ქონება, რა არ შეიტყაპუნა, ასე გასინჯეთ პოეტის დედის ნამზითვი ვერცხლეულიც.

საზოგადოებაში კი რო დაგენახათ ეს ცრუ და ორპირი, თავი ისეთნაირად მოჰქონდა, თითქოს რწყილს არ ააფრენდა; ნაძალადევი თავაზიანობა, ზომიერი ოხუნჯობა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი; ისე ჰქონდა ძვალრბილში გამჯდარი, რომ მიამიტ ადამიანს განაცვიფრებდა. ზოგიერთ მოკვდავს მწვრთნელი როდი სჭირდება, ის თავისთავად იგეშება და იწაფება. ის თავის თავს თვითონვე ათვინიერებს, ასე იბადებიან მოჭახრა-

კებული თვალთმაქცები.

პოეტის ბიძას ზედმეტსახელად ჯორიღლეტიას ეძახდნენ, კარგ ჯანზე იყო და კარგი ქარიც უქროდა. თავის მოღვაწეობის ასპარეზად ქალაქის კერძო ბანკი აერჩია, სადაც წერა-კითხვის უცოდინარ ხალხს უწყალოდ ყვლეფდა, სისხლს სწოვდა, საბადებელს, სანახებს, მამულ-დედულს უგირავებდა, არსებობის სახსარს აკარგვინებდა, ლუკმას პირიდან აცლიდა. ჯიბეცარიელს სათოფედ არ იკარებდა. ვინ იცის, რამდენი უხაბრო და უტუ ადამიანი წამოაგო ჟანგიან ანკესზე მოჩითული და მაკვილაკი ენით. ვის რა არ დასტყუა, ვის რა არ გამოსწიწკნა, ალახმა უწყის. ერთი სიტყვით, სულ გაკვრა-გაგლეჯაზე დაეჭყიტა თვალები.

საკვირველი ის გახლდათ, რომ ამ ბანკის ვირთაგვას წამოწყებული უსვინდისობა, უმეტესად თავის სასარგებლოდ უგვირგვინდებოდა, არავითარ ღონისძიებას არ იშურებდა, ოღონდ სარფიან საქმეს წასწყვეტოდა,ქისა გაესქელებინა. ვინ მოსთვლის რამდენ საცოდავს ააშვლიპა და შეუყლაპა შავი დღისთვის შემონახული ფულები. ხშირად გაიგონებდი შინაურობაში ამ ბოლომოღებულ ადამიანის წამოძახილს: ჩემი ურგები ქვასაო, შეჭამანდი ძაღლსაო! სახელის მოხვეჭას, სიმდიდრის მოხვეჭა მირჩევნიანო! გარეთ კი დუდღუნებდა: ხალხმა გადამჭამა, დავიღალე, მეტი აღარ შემიძლიან, თავის მოსაფხანადაც კი აღარ მცალიან. ეხლა არ იტყვით, თუ სადმე სტუმრად მოხვდებოდა, ჯერ დიდი პატიჟით თავს არ შეგაწყენდათ, ერთი დაგესტვინათ და დიდებაზე მოხეტიალე, სუფრის თავში სოლივით დაერჭობოდა; მოყვებოდა ყოყლოჩინობას ქართველობით, სამშობლოს ხსენება ნიადაგ პირზე ეკერა; ღვინის ჭიქას ისე არ დასწვდებოდა, რომ ჩვენი წინაპრები, ჩვენი ეროვნული გმირები არ ეხსენებინა. ბაზაზივით იმდენს ილაქლაქებდა, სანამ ტვინს არ გაგიხვრეტდა. სანამ ღღინს არ გაგაცლიდა. თუ ანაზდად უენო ან მდაბიო ხალხში წამოიტყლარჭებოდა, აი მაშინ უნდა გენახათ სეირი; როგორ უშნოდ ჰბაძავდა ჭკუადამჯდარ ადამიანებს. მოშლილი არღანივით მოიმართებოდა, ქატოთი გატენილ ტომარასავით იბერებოდა,მხიარული თუთიყუშივით ჭყიპინებდა, ყირა-ყირას გადადიოდა, აბდაუბდა ყბედობით ბუღს აყენებდა და პირად ტუტუცურ აზრებს სასიქადულო მწერლებს ატმასნიდა. თავის ჭუჭყიან ლათაიებს ხან ჩახრუხაძეს, ხან არსენ იყალთოელს მიაკერებდა; ერთი სიტყვით,ამ გაქნილ მაჯლაჯუნას ყოველგვარ სიმამაძაღლეში ჭიპი ჰქონდა მოწყვეტილი და ხელი გაკვეთილი.

ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ ამ არამკითხე მამულიშვილს მოულოდნელად გამჭრიახი მსმენელი შეეფეთებოდა, სიცრუეში დაიჭერდა. ერთი პირობა პირკატა ეცემოდა, კისერს გაიქრობდა, ენაზე იკბენდა, ჭირის

ოფლი მძივებივით გამოეყრებოდა სახეზე, მაგრამ ზურგზე როდი დაეცემოდა, იმდენად ჰქონდა ალღო და ნადირის ყნოსვა განვითარებული, რომ დაგებულ ხაფანგს ნაცადი გუმანით გვერდს აუვლიდა, პაჭუა ცხვირს მაღლა ასწევდა და მოყვებოდა შეგნებულ თანამესუფრის გატრიზავებულ ქებას:

„გეტყობათ, ჩვენი კულტურის ბედ-იღბალი მშვენივრად გესმით, მამაშვილობას გეფიცებით, ძალიან გამეხარდა, რომ სპეტაკ ქართველს შეგხვდით, ასე მგონია რაღაც დიდი განძი ვიპოვნე-მეთქი, იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, გამრავლოთ გამჩენმა...“ მე შენ გითხრა, საფანელი შემოაკლდებოდა ენადაგრძელებულ ლაგლაგას.

ამ გველაძუა ადამიანის ერთი თვისება ისიც იყო, რომ უადგილოდ როდი იცოდა ამპარტავნობა, ყველგან როდი ეჩრებოდა. პირში ჩაგადნებოდა, თავს მოიკატუნებდა იქ, სადაც სჭირდებოდა, ნუგბარი სიტყვებით მოპირდაპირეს გრძნეულის ძალით აშოშმინებდა, თავს უქონამდა, ფეხქვეშ ედებოდა, წინ ფინიასავით უგორდებოდა, ამოღებულ ხმალს ქარქაშში აგებინებდა. რაც არ უნდა ფხუკიანი მეტოქე ყოლოდა, აწყნარებდა. კარგი ბიჭი იყავი და იმის კოვზი ნაცარში ჩაგეგდო, ისე შესანიშნავად გაისუსნებოდა, რომ ძალაუნებურად თავს შეგაბრალებდა.

ფარისევლობამ გადაარჩინა აურაცხელი ადამიანი ხიფათს, განსაცდელს, ლაჯზე ახევას, ყელის გამოღადვრას; ფარისევლობა ფითრივით შებრდია ცხოვრებას, ის ბალამწარასავით მეწლე როდია, ის ყველა ეპოქების ტოტებზე ყვავის. მლიქვნელობას რა დააბერებს, ის კოკოზასავით უგია კაცთმდინარების ნაკადულს.

პოეტის ბიძა არც სახლში ვარგოდა, იქაც გულქვა, უხამსი, მურტალი და სასტიკი იყო. თავისი კეთილშობილი მეუღლე დღეში ორჯერ მაინც უნდა გამოელანძღა. მოკვდებოდა, გაწყდებოდა, სანამ ჩხუბის მიზეზს არ მიაგნებდა:

„ვინ აიღო ეს კოლოფი?.. ეს მაგიდა გვერდზე რათ მიგიწევია? – შენ თუ მოღალატე არა ხარ, წელან ფანჯარაში რათ იცქირებოდი?.. რა არის ეს შეუკაზმავი და უმი კერძი?!“

ხან ისეთ შარს მოუბლანდავდა, საცოდავ მანდილოსანს, რომ სიზმარშიც კი არ მოლანდებოდა. ცოლთან ღრიალით გულს რომ იჯერებდა, ახლა თავის პატარა ბიჭუნას მივარდებოდა:

„რად ამოგისვრია ჩუსტები?.. რა თავში სახლელად აგიღია ეგ ჯოხი?.. ხიწვი რომ შეგერჭოს, მერე როგორ გინდა?..“ და, სამიწე ხელებს საცოდავ ბავშვს ცხვირ-პირში წაუშენდა. სულგამწარებული ბიჭუნა დედის კალთას სლოკინით ეკვროდა. გააშრებული მამა ცოფებს ყრიდა:

„სუ! კრინტი-მეთქი! ნუ ზმუკუნებ, თორემ მარტო წამოტიალებას და მიბეგვას კი არ გაკმარებ, აი, ამ კედელზე ციკანივით შემოგაწყვიტამ და ნაჭყაპუტებს გარეთ გამოგადენ“.

დაცარული და გულგახეთქილი დედა, განადირებულ ქმარს და საყვარელ შვილს ხან შუაში, ხან ფეხებში უვარდებოდა.

დიდება იმ უბიწო მშობლებს, რომელნიც ბავშვებს ისე ზრდიან, რომ ხელს არ აკარებენ, ისე დაფათფათებენ თავიანთ შვილებს, როგორც მებაღე თავის ხეხილს.

არა მგონია, ის ერი, თავის ბალღებს ტყუილუბრალოდ ორკეცი ქამრით რო უსწორდება და ცემა-ტყეპით ჰკლავს, საცოდავები ალერსის დროსაც რომ იბუზებიან, სათნო, კეთილშობილი ადამიანი წარმოეშვას, გარდა მამაცი მტარვალების და პირუტყვი ჩაფრების.

დიახ, ცივილიზაციის სარკმელიდან, ზოგჯერ, თვალებდაჭყეტილი ველურებიც იჭყიტებიან.

ტანისამოსგადაცმული კაციჭამია გახლდათ პოეტის ორგული ბიძაც. ჩემი მეგობარი ჩალაგამოვლებული დასტოვა, ყველაფერზე ცივი უარი სტკიცა. ცრემლების მოსაწმენდი ხელსახოციც კი არ მიუგდო, მეზობლებიც თავისკენ გადაიბირა. „გასწი აქედან, მემკვიდრეც მე ვარ და ბატონ-პატრონიც, მოზიარედ ვერავის ვერ ჩავისახლებ. შენ ვის დაჰკარგვიხარ, სადაც გინდა იქ წაეთრიე, ჯანდაბამდისაც გზა გქონია!..“ – ასე გამოუშვირა სამიწე იდაყვი ბიძამ.

ბოლოს, უწმაწური კარაბადინითაც შეამკო და გაუმასპინძლდა.

ასე შეუტია და შერისხა თავის ახლობელს, ახლობელმა გარეწარმა. რაღა უნდა გაეწყო ჩაქვავებულ, ხახაგამშრალ, ხელცარიელ მგოსანს, ჩივილის და სასამართლოების კარზე ყურყუტის თავი სადა ჰქონდა.

ერთ დღეს დაღონებული მისეირნობდა ჩემი მეგობარი, მგონი ყრმობის ახლობელთან აპირებდა შევლას, ალბათ, თავისი დარდი უნდოდა შეეჩივლა.

გაზაფხულის მზიანი ამინდი იდგა. ქუჩის პირზე ჩამწკრივებულ ვერხვის ხეებს ზენა ქარი იღლიებში უღიტინებდა და ვერხვები სიცილით იგუდებოდნენ. ჩრდილები კი ხეების ქვეშ დათვებივით დაძუნძულებდნენ.

მგოსანი ხიდს რომ მიუახლოვდა მათხოვარი შეამჩნია, ჯიბე მოიჩხრიკა თუ არა, უცბად შეჩერდა.

– დეიდა ნენე, აქ რა გინდა? – შესძახა პოეტმა მათხოვარს და წელდახრილი გადაეხვია.

– შვილო შენა ხარ?! იშ, კინაღამ გული გადამიქანდა! – ხმაზე იცნო ნენემ მგოსანი.

– ღეიდა ნენე, ეს რა შეგმთხვევია, რა გაგიჭირდა სამოწყალო?!

– ეჰ, ჩემო კარგო! სიბერემდე სიქაჩლეო, ჩემზე იტყვიან. ხომ გახსოვს ბენტერა სანდროი, ვისთანაცა ოცდაათი წელიწადი ხასათ ვიყავი შეკედლებული, როცა ძალღონე გამომელია და ჯაფის უნარი დამეკარგა სახლიდან დამითხოვა. იმ ხანათ ჩემი სიკოც გარდამეცვალა და დავრჩი ასე წყალწაღებული, ხო იცი შვილო, ღარიბ ადამიანს მკვდარი რო შემოეხვევა რა ძნელია?!

– რა ღმერთი გაუწყრა ძია სანდროს! – თვალის უპე ცრემლით გაევსო პოეტს.

– ისე გაუწყრეს უფალსა ვთხოვ, რომა ჩემის ცოდითა სულ ხორცები იგლიჯოს, არმათ ექცეს ჩემი ამაგი!..

– როგორ ამოგირეცხა გულიდან?

– გული სადა აქვს შვილო, ჩემი დღე დასდგომოდეს იმის ნაწიბურსა, იმის მისხის-მისხსა, ხედავ როგორ გამომჭრა ყელი ამ სიბერის ჟამსა?! – გული აუჩუყდა საწყალ დედაკაცს.

– ნუთუ არაფერი გიწილადა? – შეეკითხა მგოსანი და კანკალმა აიტანა.

– მიწილადაო? დედაშვილობას გეფიცები, ისე უსვინდისოდ გამომაგდო, რომ ტუჩმომჩხვრეული სურაც კი არ გამოიმეტა. იმდენი მლანძღა და მათრია, რომ მკვდარი და ცოცხალი აღარ შემარჩინა.

– შეურცხვეს კაცობა. მაშ რითიღა არსებობ, ჩემო ნენე?

– ნახევარდღიური გამოფიტული ნაკვეთი მექვავა, ჩვენებიანთ ბეროს მესამედათ გავაბარეი და იქიდან ორიოდე კოდი ღალა შემოგვდის, მე და ჩემი შვილიშვილი იმითა ვსუნთქავთ. აქ კიდენა მოწყალებას ვთხოულობ, აბა რა ვქნა, შენ შემოგევლე? ასე ვაინაჩრობით ვატარებ დღეებს.

– სიკოს ბავშვი დარჩა?

– ხო, ერთი გოგო, ჩემს ანაბარათ არის.

– მართლაც, ძნელია ეხლანდელ დროში ცხოვრება და ისიც უკაცო ოჯახი.

– კაცობის მადლი გაუწყრეს სანდროსა, ხედავ ხელზე როგორ დამიხვია, ღმერთო დიდებულო! შენ გაეცი სამაგიერო პასუხი, – ხელების მაღლა აწევით წარმოსთქვა გამწარებულმა ნენემ.

– დამშვიდდი ღეიდა ნენე, დამშვიდდი! – აწყნარებდა პოეტი სიცოცხლედანელებულ მოხუცს.

– წამოდი შვილო, ჩემი ნაქირავები ქოხი გაჩვენო, – ნენემ მარჯვენა ხელი მიაწოდა მგოსანს, რომ ზეზე წამოდგომაში დახმარებოდა.

ცნობისმოყვარე ხალხი ნენეს და პოეტის გარშემო შეგროვილიყო.

ვერხვები კიდევ ხარხარებდნენ და გადაწეული მზე მაღალი მთების კოშკებთან ბდღვრიალებდა.

მგოსანი და ნენე მიუახლოვდნენ ჭიშკარმინგრეულ ეზოს. ნახევრადბნელ ოთახში ნენემ სტუმარი შეიპატიჟა. ნენეს შვილისშვილი რაღაც ჩვრებს ჭიჭყნიდა და უცხო ადამიანის გამოჩენაზე ბავშვური უხერხულობა იგრძნო, ღაწვებზე მარწყვის ფერი აუთამაშდა.

– გამარჯობა გოგონა! – მიესალმა მგოსანი და ხელი გაუწოდა.

– გაგიმარჯოთ! ბოდიში სველი ხელები...

– არა უშავს-რა... – უპასუხა მგოსანმა და გოგონას მაჯაზე სათუთად მოჰკიდა ხელი.

– ამას შევხარი, ამაზე ამომდის მზე და მთვარეი, ეს გოგო მიმსუბუქებს ტანჯვასა, – მიუთითა ნენემ მგოსანს შვილისშვილზე. თან ძველი ფაჩუჩები წაიძრო, დაბალ ტახტზე მოიკალათა და ჩიჩმაგები გაიკეთა. კედელზე ლოკოკინას ნიჟარებით მორთულ ჩარჩოში ნენეს დაკარგული შვილის სურათი ეკიდა.

– დეიდა ნენე, რას ვიფიქრებდი, თუ ამ დღეში ჩაგაგდებდა ის წუნკალი, ნუთუ შებრალების ნატამალი აღარ შერჩა იმ ოხერსა! – ამოიოხრა პოეტმა და ნაღვლიანად შეათვალიერა ღარიბი ბინა.

– რაო, შებრალებაო? ჩემი ნამზითევი კიდობანიც კი არ დამითმო, დედისეული არახჩინი მქონდა შემონახული, ისიც წამართვა და თავის საყვარელს გაუბოძა. ეჰ, ამ გულის კანკალს, ამ გულის ფრიალს, აბა რაღას გადავურჩები.

– რას გააწყობ დეიდაჩემო, ბედის უკულმართობას მაინც უნდა გაუმკლავდე, – გაამხნევა პოეტმა მათხოვარი და ცალი თვალი მინანქარივით გოგონას შეავლო, ოთახის კუთხეში რომ იდგა და დიდედოს მწველ საუბარს გაეფითრებინა, ისედაც ბადრივით ბავშვი.

– დეიდა, სიკოს ცოლი სად არის?

– ჭირში და კვნესაში, იცი, რა სირცხვილი გვაჭამა? სიკოს გვამი არც კი გაციებულიყო, რომ ჯერ შაუყულაანთ ფეთხუმს გადაეკიდა და მერე სადღაც გადაიკარგა. ამ გოგოს ცოდითა არც იმას მოემართება ხელი. ხომ იცი, თუ ქალი ოჯახიდან გავარდა და გზიდან ერთი გადასცდა, ისე წავა ხელიდანა, ცხრა უღელა ხარიც რომ დაუბა, მაინც ვეღარ მოატრიალებ.

– ნუთუ დედამ შვილი მიატოვა?

– ყველა დედა, დედა როდია შვილო! – უპასუხა ნენემ.

– მე ეხლავ, გეახლები, ჩემს მეგობართან შევივლი და მალე დავბრუნდები, – წასვლა დააპირა მგოსანმა.

– შენ იცი, ჩემო ნუგეშო, მოდი, უსათუოდ მოდი, ვაი თუ ისე დავხუ-

ჭო თვალები, რომ ველარც კი გნახო, – მიაძახა ნენემ მიმავალ მგოსანს და ქვედა ტანის ქობოთი ცრემლმორეული თვალები მოიწმინდა. მერე თავის სიხარულს მიუბრუნდა.

– შვილო! სანამ ი ბიჭი დაბრუნდება სარეცხს მოეშვი და მანდაურობა მიალაგეი.

– დიდედო! ვინ არის ეგ კაცი? – შეეკითხა გოგონა.

– ჩემს ხელშია გაზრდილი. ერთი ჯღიბა გახრიკინებული ბებია ყავდა, არ მოისვენოს იმან იმ ქვეყანაში, გამხმარ პურის ლუკმასაც კი აყვედრიდა, თუთა რა არის, ისიც ძირნაყარი უნდა ეჭამა.

– მეტი ვინ ებადა? – შეეკითხა გაკვირვებული გოგონა.

– არავინ, ხო იცი ადამიანი გონჯი რო დაიბადება, თორემა შენა გგონია ქონება არ ეოხრა, იმ ცეცხლმოსაკიდებელსა, მაგრამა ყველაფერი ენანებოდა, დაალპობდა, გააოხრებდა და თავისიანს კი ობშეპარულ ჭადის ლუკმასაც არ არგებდა.

– რა შერჩა იმ უბედურსა? – წამოიძახა გოგონამ და ოთახის მიწურ იატაკს ცოცხი მოუსვა.

– შავი მიწა, ოთხი ფიცარი, ისიც სამადლოთა ბათქაშაანთ ცხვირამ შეუკრა.

– დიდედო, ეხლა რაღა გავაკეთო? ყველაფერი მოვასუფთავე.

– წამოკრიფე გარეთ დირესთან რო ჩინჩხვარი და კეწეწი ყრია, ბუხარში ცეცხლი დაანთეი, გუშინდელი შეჭამანდი შედგი, ნახეი, თუ ქინძი და სხვა რამ აკლია, კიდევ უყავი, მერედა შენ შემოგევლოს ჩემი თავი! გადადი ჯურდანაანთ კოტესთან და ე მაგ ფულითა ორი ჩარექა ღვინო გამოართვი, თან შეეხვეწეი, დიდედაჩემმა შემოგითვალა: მონათლული ღვინო არ გამომიგზავნო-თქო!

– ჩვენ ხომ ამ ფულითა მატყლი უნდა გვეყიდნა, წინდები რითიღა დავიქსოვოთ? – შეფიქრიანდა პატარა დიასახლისი.

– რას იზამ შვილო, ეხლა სირცხვილში ნუ ჩავარდებით, ხვალ ღმერთი მოგვცემს. ერთი კანძის გროშებს როგორც იქნება მოვაგროვებ, ან აქეთ მივდგები, ან იქითა.

ამ საუბარში იყვნენ ნენე და თავისი ნეტარება, რომ ეზოდან ფეხის ხმა მოისმა და ოთახის კარი შემოაღო მგოსანმა თავის მეგობართან ერთად.

– დეიდა ნენე, იცნობდეთ, ჩემი მეგობარია ვანო თარიშვილი.

– აქა მშვიდობა! – მიესალმა ვანო. თან თვალში ეცა კუთხეში დაფუტროვებულ მაგიდაზე დადგმული მრგვალი ელამი სარკე, კბილმონჩხვრეული ხის სავარცხელი და ჭრელი კატის მსგავსი ცხვირმოტეხილი

ცარცის ყულაბა.

— გაგიმარჯოს შვილო! — უპასუხა ნენემ ახალმოსულს და სათვალეების ზევიდან შეხედა ვანოს.

— ეს ცოტაოდენი ხორაგი მოგიტანე ჩემო საყვარელო დეიდა ნენე, — მოკრძალებით უთხრა მგოსანმა და ცხვრის ხორცი, ერთ გირვანქამდე იაფფასიანი ძეხვი, თონის პურები, დოშის ნაჭერი, მომცრო საღვინე გადმოპირქვავებულ ვარცლზე დაალაგა.

— უი, დამიდგეს თვალები, რათა სწუხდებოდი? მართალია გლახა და გაჭირვებული დედაკაცი ვარ, მაგრამა!.. — აფორიაქდა პურადი და გულუხვი ნენე.

— არა დეიდა, აბა როგორ გეკადრებათ ჩემთან ბოდიში, რა ჭირად მინდა, თუკი რაიმე მაქვავია.

— ჭირი მოგჭამოს შენმა ნენემა!

— ვანო, წეღანაც ხომ გითხარი, — მიუბრუნდა მგოსანი მეგობარს, — ვინ არის ჩემი მოხუცი ნენე, სულით მდიდარი, ამან შთამინერგა პოეზიის სიყვარული, ამ წერა-კითხვის უცოდინარ ქალში ისეთი სიდიადე ელვარებდა, გეგონებოდა მისი ოცნების ჭერი ზურმუხტის თვლებით იყო მოჭედილი.

— შენი ჭირიმე! — ჩაერია ნენე — როგორ სმენად გადაიქცეოდი ხოლმე, როცა კარგ ზღაპარს მოგიყვებოდი, — ნენემ თავი ჩაღუნა, თვალები მოჭუტა, თითქოს ნატიფარ წარსულს ჩუმათ გახედა.

მართლაც და ბედნიერებაა, როცა შენი ცხოვრების გარიჟრაჟზე გულის შემწე მოგეევლინება, — ახმაურდა ვანოც და ნენეს გვერდით მიუჯდა.

— ბიჭო! აღარ გამოთქვამ ხოლმე ლექსებსა? — შეეკითხა ნენე მგოსანს.

— ხანდისხან, როცა გუნებაზე მოვდივარ, — თან ჩაიცინა პოეტმა. ამ ლაპარაკზე გოგონამ ყურები ცქვიტა, მოაგონდა ხელთნაწერი რვეული, დიდედამისი სათუთად რო ინახავდა ჭრელი სადაფით მოვარაყებულ სკივრში. გაიხსენა რვეულის ლურჯ ყდაზე წარწერა: ჩემს უანგარო მოამაგეს დეიდა ნენეს!

— სწერს დეიდა, მაგრამ რა გამოვიდა, კი არ ამშეურებს და... — გულისწყრომით წარმოსთქვა ვანომ.

— რატომა შვილო? კარგი, კოკონა ლექსი ერთ სოფლათა ღირს, თუ რიგიანი ლექსი ააწყე, ის ხალხს როდი დაემალება, თუ არა და ერთ ისეთას დაიფრუტუნებენ, რომა სირცხვილითა ყურები აგეწვება. აგერა, ი, ერთი ოხერთაგანი ქვახვრელილი სოლომონიც აცლის და იტყვის: ჩემი გამოთქმულიაო. სიტყვებს ენაზე აკოწიწებს, იგონებს რაღაცეებსა,

ურწანი ცხოველივით ჩმახავს, ყური რო დაუგდო ლექსის სახსენებელი შეგძაგდება. აბა რა იქნება შვილო, სული არ უდგია, ქვევრივით რასაც ჩასძახებენ იმას ამოიძახებს ხოლმე.

— მართალია, მართალი! — გაიცინა ვანომ. მგოსანს მოაგონდა ერთი ლიტერატურის ისტორიკოსი, რომელიც ამტკიცებდა: პოეზია რომ შეიცნო, დიდად განათლებული პიროვნება უნდა იყვე, ეს ის კაცი იყო მარინეტს ფეხებში რო ებღაუჭებოდა.

ნენეს ლოყებატკუცული შვილიშვილი ანთებულ ბუხარს დაფუსფუსებდა.

მაისის ბინდი ჩიტების ჟრიამულით რთავდა მთელ არემარეს. გოგონამ ნენეს რაღაც მიაწოდა, ნენე შეფრთხიალდა:

— განა არა, ამას წინათ მოვისაკლისე, აი შვილო, შენი ყრმობის ხანზე შეთხზულ ლექსებსა, როგორ განძივით ვინახავ! — ნენემ გაცრეცილი რვეული მიაწოდა მგოსანს.

— მაღლობთ, ჩემო ნენე! — მგოსანმა თავის ძველ ლექსებს ჩახედა და გულმა ფართხალი დაუწყო.

— ნება მომეცით, მე წაგიკითხოთ, — წაეპოტინა რვეულს თავაზიანი ვანო.

მგოსანი ჭერშედგმულ ბოძს მიეყრდნო, გოგონა სმენათ გადაიქცა. ვანო ფურცლავდა ნესტისაგან ჩაყვითლებულ ფურცლებს. ნენე კალთაში ხელებდაკრეფილი მისციებოდა სტუმრებს. ვანომ „ჩემი სოფელი“ ამოირჩია:

გავხედავ ხვართქლანარევ ორღობეს,
საღამოს მწუხრში ჩახვეულ ლანდებს,
მთის წვეროებთან მიხვეტილ ღრუბლებს,
და ხიდის ყურზედ ჭარმაგ ნალბანდებს.

ტოტის დაწყვეტა, ტანა ნარეყი,
როცა ვიგონებ ფათფათი მჭვალავს,
როგორც თვის ტომი ისე ვუყვარდი
გვრიტების ფრთებით მოჭედილ ჭალას.

როგორ მინდოდა იქ მომკვდარიყავ,
ღურდღლო სიცოცხლე კი წყალს წაეღო,
ქვებივით დამრჩნენ გულის საყარზედ,
ჭადრების ჩრდილი, კაკლების წენგო.

უძრავი ტახტი, წალო, ზანდუკი,
ფერისცვალობა, საფლავზედ ხილი,
ამბრიანთ ოჩას დუქნის დუდუკი,
და გალავანთან ჭრაქებით ლხინი.

პირველი თრთოლვა, როგორც შარბათი,
ეტიდან-ეტში იების გუბე,
დილით თივის ქვეშ სველი ბარათი:
რათ მწერდი ლექსებს, რათ დაიღუპე!

აქ ბარბარუკა, იქ ნიშხა-ნიშხა,
კვერნაკის ვაკე – რუხი მინდორი.
მთებზე ბოზინი ჭრელი ნახირის,
მდინარის გაღმა ვეება ქორი.

ჩიტების როკვა, ბოკრო საბძელთან,
მკათათვის ფუნჯით ნახატი წლები,
ხან რუს ჩხრიალზე ღამე ნაძვებთან
ციცინათელას  შუქის წვეთები.

ჭოტის ქოქოლა ჩვენ ცაცხვის თავზე,
ჭრაქის კიაფი, საქონლის ფშვინვა,
კერძით გასვრილი ჯამი თაროზე
და ძველი სახლი წისქვილის წინა.

წარსულს ჩამოვრჩი, წარსულის ფერფლი,
მტკვარი გინებით საღმე გამრიყავს.
როგორ მიყვარდა ჩემი სოფელი,
როგორ მინდოდა იქ მომკვდარიყავ!

– შენი ცოდო ზიდოს შენმა ავათ მახსენებელმა, რათა შვილო, – სიტყვაში გამოიჭირა მოხუცმა ქალმა – კი არ უნდა მომკვდარიყავი, შენს სოფელში უნდა გეხარა, – უსაყვედურა ნენემ.

ვანო განაგრძობდა ლექსების კითხვას:

ვიღაცა მგზავრი ხეზე დამსხდარ ლექსებს აუქშევს,
ამიწიოკებს პოეზიას ხეპრე, რეგვენი,
ბაღში ფოთლები გასცვინდებათ ხნიერ ალუჩებს,
დაიკლაკნება ელამ ძეგლზე კვერნაკის გველი.

ღვინით გალეშილს როსკიპები ღრეჭით ჩამფლავენ,
არღნის კივილზე მიიწვევენ ავგაროზ კაცებს,
დუქანში მღვდელი გადაისვრის გაქონილ ფსალმუნს
და ჩემ სურათთან ასკილივით წაიბარბაცებს.

ნენეს რაღაც არ მოეწონა. ვანომ რვეული გადაფურცლა.

შემოხვალ ჩემთან, დაჯდები ჩუმათ,
გამონელდებათ სიმღერა ყურებს,
აფრინდებიან ლანდები ჯგუფათ,
და შენ რაღასაც მისაყვედურებ.

თვალებს მიაპყრობ ბნელ სიყმაწვილეს,
ეხლაც კედელზე რო იღვინთება,
კლდე შეიბუდებს გველის წიწილებს,
და სქელ ღრუბლების ქვეშ გათენდება.

— რა უკმეხი გათენებაა! — ჩაილაპარაკა ვანომ თავისთვის. გოგონამ მგოსანს გადახედა.

გაუხარელი დღეები არის,
გაუხარელი ამინდები სდგას,
ბავშვი ობოლი, თოთო, საწყალი,
გუშინ კარდაკარ ეძებდა დედას.

ქუჩებში ჭოჭი, ფანჯრებზე ყინულლი,
ზევით ღრუბელი, ძირს ნოემბერი,
ხევის სიყვითლე, შარა დაღლილი,
მონასტრის ზღურბლთან შეშლილი ბერი.

გაუხარელი ამინდებია,
წვიმები ბუხარს კიდევ აქრობენ,
წისქვილთან ბევრი საფქვავებია
და სოფლათ ჩუმათ ლაპარაკობენ.

ნენემ გაიღიმა. ვანომ რატომღაც ფანჯრიდან გარეთ გაიხედა. მგოსანი იგონებდა შემოდგომის ამინდებში წვიმის წვეთებივით მომწყდარ სტრიქონებს:

ხელების სითბო და გულის ცემა,
ძმაო, რამდენი გქონდა სათქმელი,
ნეტა, საღ გაჰქრა ის აღტაცება,
ანდა, ვინ გვეძებს გარეთ სანთელით?

რა წყალს მივეცე, როგორ მარტო ვარ,
რა უგვანოა სიცოცხლე გრილი,
იმ დღეს ღვინის ფულს ვთხოვდი მათხოვარს,
და ვუკითხავდი ლექსებს ტირილით.

— ქვეყნიერება არ უნდა გადაიკიდო, არა! — უმართებულოდ შეედავა ვანო მგოსანს.

— გუნდრუკი უნდა უკმიო, არა? — ნაწყენი კილოთი შეეკითხა მგოსანი.

ნენე და გოგონა სდუმდნენ. ვანომ „ნაფოტები“ წამოიწყო:

დე ყველაფერი წყალმა წაიღოს,
ჩვენ ბედი მაინც არ გვიძებნია,
რამდენჯერ ქარში ქარს გავყოლივართ,
რამდენგან ჩუმათ ჩაგვცინებია.

ფხიზლობ, დადიხარ, ძილში ირწევი,
ვკვირობ ეგ ცეცხლი სად დაგეტია.
რამდენი კაციც სცხოვრობს მიწაზე,
ქვეყნათ იმდენი საგიჟეთია.

ჭოტი დასცინის ბნელ არემარეს,
მწყრის ქვითქვითია, ბიბინი ყანის,
გაუსხეპავი ღამეა გარეთ
და პოეტების ნახირი ბღავის.

დიდხანს ასდევდი უღრან აღმართებს,
გჯეროდა დედა და ბედისწერა.
არ მოგეწონა რო შეხვდი ღმერთებს
და გაუხვიე სივრცეებს ცერათ.

დაბურულ ტყიდან ისმოდა დრტვინვა,
მთვარე მთვარისკენ ისე ელამდა,
თითქოს ზედ ქრისტეს მიესხა ტვინი
და ღვთისმშობელი შუქსა ცელამდა.

ღამემ კოპები შეიკრა. ნენეს ბინაში პაწაწინა სანათი ააბჟუტეს. სათნო ნენე თავსა ქინდრავდა, რული ერეოდა. ნენემ შეაყვარა ყრმა მგოსანს დაფიქრება არსებობაზე, ჩაშტერება წარმავალობის უძირო ჭაში, თვალუწვდენი ფიქრების ბნელ ღამეებში დამორჩილება. ნენემ თავისი გაცისკროვნებული ზღაპრებით პოეტი მზვარაკივით მიიყვანა პირდაღებულ გამოქვაბულთან, სადაც უკუნეთიდან გადმოფრენილი ფრინველები ბუდობდნენ, სადაც ქარების ბღავილში პოეტების ნახირი უსტვენდა.

რატომ არ უშველა მგოსანს აკვნის თაღზე დაკიდულმა შანამ? რა იქნებოდა, რო ნენეს თვალი არ ეცა?

რა ვუყოთ, თუ იდუმალმა ნენემ დაქვრივების ქამს სკვითების მანდილოსანივით არ ისკუპა გაგიზგიზებულ ცეცხლში, არ შეეწირა თავის მიცვალებულ მეუღლეს და ხასათ დაუჯდა ვიღაც შერეკილს.

ქალაქის შუაბანდებიდან და ფანჯრებიდან წვრილ-წვრილათ გამოჭრილი სინათლე შუაღამეს ქინძისთავებივით თმებში გაერჭო.

ნენეს ბინიდან სტუმრები წასულიყვნენ. ნიბლია გოგონასაც ჩასძინებოდა და მის უმანკო სახეზე, ხელის მტევნებზე ციმციმებდნენ ციცინათელას  შუქის წვეთები.

მტკვრის გასწვრივ ვეება ჭალა შრიალებდა, რომ სისხამ დილით გვრიტების ფრთებით ცის ღაღანა კამარებში შეფრენილიყო.

სოფლის ორღობეებში ხნიერი კაკლის ხეები შეხროვილიყვნენ და მოდებულ ბუყბუყა რუში ჩაყრილ საკუთარ ჩრდილებს ეყაყანებოდნენ.

სადღაც, რომელიღაც ადამიანი ჩუმათ კითხულობდა ბედის საყვედურს: რათ მწერდი ლექსებს, რათ დაიღუპე?!.

*ღამე შეკრთა, შეკრთნენ ადამიანებიც.*

სამი ამხანაგი ძველი ქვითკირის სახლს მიადგა. დერეფნის კარები ფრთხილად დააკაკუნეს. შიგნიდან ნაჩქარევი ფეხის ხმა მოისმა.

— ააა!.. მობრძანდით ყმაწვილებო! მობრძანდით! — გახარებული მიეგება სტუმრებს შუახნის დედაკაცი.

— ქალბატონო ბარბარე, როგორ გიკითხოთ? — მიესალმა გრენადერის პოლკის ყოფილი ოფიცერი.

— მადლობთ, ჩემო ლევან, მტერს თვალებს ვუბრმავებ და მოკეთეს გულს ვუხარებ, — ჩაიკუჭკუჭა მასპინძელმა, თან მოსულებს წინ გაუძღვა და სასტუმრო დარბაზში შეიპატიჟა,სადაც ფარშავანგის გვირგვინივით მოვარაყებულ ჭერზე მუცლიანი ლამფა ენთო ბროლის ჩარდახით.

— ჩემო ბარბარე, იცნობდეთ ბრწყინვალე თავადიშვილებს! — თავმომწონედ მიმართა ლევანმა.

ბარბარემ გალაქული ქათინაურით ხელი ჩამოართვა შავთვალწარბა გაიოზს და ნაძალადევად მოღიმარ პოეტს.

მასპინძელი საზეიმოდ გამოპრანჭულიყო: მაღალ ტანზე ნარინჯის ფერი ზედატანი ამოქარგული ღიღილოებით აეჭრელებინა, თეთრი არშიით შემოვლებულ საყელოს შიგნით, ოღნავ გახსნილ ნაოჭებიან მკერდზე, წვრილი ძეწკვი უჩანდა პაწაწინა ოქროს საათით; აბრეშუმშემოვლებული კაბის ბოლო ყვითლად გაკრიალებულ, წვეტიან ფეხსაცმელს სცემდა. შევერცხლილი თმები სტაფილოს დარად შეეღება, ფერუმარილწაყრილ სახის ღარებში ნაირნაირი საღებავები ჩაჰკვდომოდა. მუქი თვალების სისველე ისე დაშრეტოდა, გეგონებოდათ ცხენის წაბლი ჩაუჭედიათ ქუთუთოებშიო. წამწამებზე ყურჭის ფერი რაღაც წაეგლისა, მოშუშხული ტუჩები განუწყვეტლივ ეხსნებოდა. დახრული კბილები ტყვიის კორპებით ჰქონდა გამოჭედილი. ბარბარეს არაბუნებრივი კისკისი და გადაჭარბებული მიხვრა-მოხვრა, მის გატიალებულ წარსულს ამჟღავნებდა.

გაიოზს და პოეტს ცალფა ნარდის თამაში გაებათ. საწოლ ოთახში ლევანი ბარბარეს ეჩურჩულებოდა:

— როდის მოვლენ, ხომ არ დაიგვიანებენ?

— გუშინდელს აქეთია კარგი გზირივით ქალაქში ვარ გაკრული, — პასუხობდა ტუჩზე ნახევრადხელმიფარებული ბარბარე — ანიკო დავიბარე, შენი ცუგრუმელა ანიკო, იმას ვენაცვალე ფსიტივით რომ შეხტება

ხოლმე, დამპირდა: ამაღამ გამოუვლის ციურის...

– მერე, მესამე? – ვეღარ მოითმინა სულსწრაფმა ლევანმა.

– ნუ დარდობ! ეგეც მოვჩარხე, – ჩაიცინა შუამავალმა და ლევანს მხარზე ხელის დაკვრით მიესაყვარლა – ანიკოს ვიღაც ნაცნობი ქალი შეუგულია, ისეთი უტურფესი, რომ მეტი აღარ შეიძლება!

– ვაი, თუ იუცხოვოს აქაურობა?! – შეტორტმანდა ლოთი ლევანი.

– რაო?! – ხელები გაატატანა გადაჯიშებულმა ბარბარემ – ორი ჭიქა შამპანური და როგორც გინდა ისე დავატრიალებ, ნახე თუ არ ჩაგიგორდებათ.

თქვენ იცით ჩემო ბარბარე, ოღონდ ამ ყმაწვილებთან თავი არ მომჭრა, არ გაგვაცურო და რა ვიცი, ფეხქვეშ გაგეშლები; ხუმრობა ხომ არ არის, ასეთ თანამდებობის პირებთან და შეძლებულ ხალხთან სიცრუე; თქვენს ჭერქვეშ პირველად არიან და ისეთი დრო უნდა გავატარებინოთ, რომ საშვილიშვილოდ დაახსომდეთ. თქვენებურად ასიამოვნეთ და იცოდეთ ყელამდე ფულში ჩაგსვამენ, – დაახეთქა ლევანმა ტყუილი. მაგრამ, გამოცდილ და ათას „გრანდ-ოტელებში“ ნათრევ ბღმურდლიან ბარბარეს, ადამიანის ზრახვებს ხელად რომ მოფოცხავდა ხოლმე, როდი გამოეპარა პოეტის გახუნებული ხალათი, გადაქერცლილი ქუდი, წეღან რო ჩამოართვა და სადღაც მიმალა, საპირე დახეთქილი ფეხსაცმელი... თუმცა, უამრავ ადამიანებთან შეხვედრით გაწვრთნილი დიასახლისი, ამას როდი დაგიდევდა, ოღონდ სასუსნავი ეშოვნა, რამე ყრილიყო და დასაქცევი „ხელის ჭუჭყი“ ღოშაკის ქვეშ ამოედო.

გადაგვარებულ და ჭკუათხელ ლევანს კი სჯეროდა, რომ ბარბარეს ბოსტნის ხოჭოს სირაქლემად მოაჩვენებდა.

ერთი წლის წინათ თავაწყვეტილ ლევანს ავხორცობის დანაშაულზე წაასწრეს და რუსეთის პატარა ქალაქიდან ცხვირამონაყული იფრინეს, ცოტას გაწყდა გამხმარი თავი იქ არ დატოვა და ფეხები ციხეში არ გაჰყო. თავდაძვრენილი თბილისში რომ ჩამოვიდა, მახლობლებში ხმა გაავრცელა: „ჩრდილოეთის ცივი ჰავა ვერ ავიტანე და ექიმების რჩევით სამხრეთში გამოვსწიე“. – მე შენ გითხრა, სირცხვილით პირი დაეწვებოდა, ანდა, სახის ფერი შეეცვლებოდა.

უცოლშვილო და უბინადარი, ხეპრე და გაუთლელი ლევანი დღე და ღამ უპრაგონოდ დაეხეტებოდა. უწესრიგობა, ყალთაბანდობა, აყალ-მაყალი, გაუთავებელი ღრეობა, ალიაქოთი იმის განუყრელი ფიქრები იყვნენ. ქუჩაში სრულიად უსაბაბოდ ვიღაც უცნობს დაეძგერებოდა, დაეტაკებოდა, ჩხუბს აუტეხდა. თუ სადმე ეშხიანი ქალი მოეწონებოდა ბე-

დის საცდელად მწევარივით ბარბარეს დაუქსევდა, ანდა შორიდან მიუჩენდა.

ლევანი მგოსანს ბავშვობიდან იცნობდა, ერთიმეორეს დიდი ამყოლები როდი იყვნენ, მაგრამ გადაეყრებოდა თუ არა პოეტს, უსათუოდ სადმე დაითრევდა, ზედ გადაჰყვებოდა, გადაეგებოდა. საკვირველება ის იყო, რომ სამსახურიდან გამოგდებულ, საქმეში წელმოწყვეტილ ოფიცერს ჯიბის ბარაქა არასოდეს არ ელეოდა. სად ქაფავდა ამდენ ფულებს, არავინ არ იცოდა.

დიდი ხანი როდი იყო გასული, რაც ლევანი გაიოზს საბილიარდოში დაუახლოვდა – სულმა სული იცნო. განუყრელი დოსტები გახდნენ, ერთიმეორის ტყავს არ დახევდნენ.

თავქარიანი გაიოზი გამრჯე აზნაურიშვილის ჩამომავალი გახლდათ, ნიადაგ ლაზღანდარა და უკუდო ამპარტავანი. მამისეული ქონება აზარტულ თამაშში და ფარდებგაფარებულ სასტუმროების სახელგატეხილ ქალებთან დაახურდავა. ბოლოს თვალწარმტაცი მდადე შეირთო და თითქოს ლაგამი ამოსდო თავის ოფოფებს, ბინძურ ჩვეულებებს...

გაიოზი, მარტო თავის მშვენიერ მეუღლეს კი არ ათაყვანებდა, მდადეს მდიდარ მზითევსაც დახაროდა. გაფთქვინებული ხარივით აბრიალებდა შავგვრემან თვალებს.

ვინ იცის, როცა მოკრძალებული გაიოზი ცოლის ავლადიდებას მოიმკიდა, გული გაუმაძღარ სტომაქში ჩავარდნოდა და ქინმოკლული ვაჟბატონი გააშრებულ მხეცად გადაქცეულიყო.

არ არის მართალი, თითქოს ოჯახს ანგრევდეს სიღარიბე. კერას აცამტვერებენ უსარგებლო, ბილწი ადამიანები, ტვინი მუხლებქვევით რო ჰკიდიათ. რამდენ ბინადარს ქონება თავს გადაუდის, მაგრამ მთელ თავის სიცოცხლეს ჩხუბში და ლანძღვა-გინებაში ატარებს.

გაიოზის დაქვრივებული დედა სოფლად სცხოვრობდა, ჩავარდნილი და ჩამქრალი კერა მოღავებულ ნაცარს ჰგავდა. საწყალმა დედაკაცმა აღარ იცოდა საიდან შემოევლო, საიდან რა გაეწყო.

ისე დაილეოდა წელიწადი, რომ გაიოზი ერთხელ არ მიაკითხავდა დედას. რა ახსოვდა უღირსი ვაჟიშვილისგან გატანჯულ მოხუცს? მხოლოდ ცივი წერილები: „დედა! ფული გამომიგზავნე, თორემ ლამის არის წყალში გადავვარდე!“ არც მოფერება, არც სიყვარული მშობლისადმი...

გულგახეთქილი დედა, ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით; უკანასკნელ ლუკმას პირიდან იღებდა, მეზობლებს თითო მანეთს დაესესხებოდა, მარანში თუ ცოტაოდენი ღვინო ედგა ჩალის ფასად გაუბოძებდა ჯერიაანთ

მედუქნეს, ხომ მოგეხსენებათ გაჭირვებულ ადამიანს ყველა ფეხს აჭერდა. უბედური დედაბერი ვაი-ვაგლახით შეგროვილ რამდენიმე ათეულ მანეთს კაცის ხელით აწოდებდა გაიოზს, თან სწერდა: „მომხედე შვილო! უშენობას ვეღარ ველევი. ჩამოდი შენ შემოგევლე, მოეპატრონე შენს კარმიდამოს. ამაზე მეტი აღარ შემიძლიან. თვალები ჩამიწყალდა, ჯანი აღარ მემორჩილება, წელში გადავწყდი, თავის მაღლა აწევა მიჭირს. მოეშველე შენს დავრდომილ დედას!..“

გაიოზი წაიკითხავდა გაძეძავებულ დედის წერილს და თქვენც არ მომიკვდეთ, წარბი არ შეეხრებოდა. მეორე დღეს ჩიტირეკია აზნაურიშვილი ჯიბეზე ხელს გაიკრავდა და დედის გამოგზავნილ თუმნიანებს ლოყებგამობერილ მეზურნეებთან აფრიალებდა. ანდა რაში ენაღვლებოდა, გარეგნობით ახოვან და მხარბეჭზე ნაბადწამოგდებულ გაიოზს დიდებულათ შვენოდა შვინდისფერი ლეკური ჩოხა, სპილოს ძვლის შეევრცხლილი მასრები, შავი ხუჭუჭა ბუხრის ფაფახი და ფეხზე გამოწკეპილი წაღები. თუმცა, იმის ზვიადი და განდაგან სიარული თვალს ეხამუშებოდა.

იქ კი, სოფლად, გაუტანელ გაიოზის მშობელს ახლობლები ანუგეშებდნენ:

– ცოტა მოითმინე, შენი ალვის ხესავით ვაჟი სწავლას დაამთავრებს და განათლებული კაცი ჩამოგივა.

– ნეტა, თუ მოვესწრები, რომ ჩემმა გაიოზმა, თავისი ხელით მიმაბაროს მიწას... – პასუხობდა გულმოკლული დედა.

ბარბარეს ბინაზე საზეიმო განწყობილება სუფევდა.

ლევანი მწვანე მაუდით გადაკრულ სავარძლის ზურგს მიყრდნობოდა, ფეხი-ფეხზე შემოეწყო და ბოზარდჟიანცის საუკეთესო პაპიროსს აბოლებდა.

გარეთ მკათათვის ღამე ჩამოწოლილიყო და მუნჯი კაცივით მოკიაფე ვარსკვლავებს შესცქეროდა. ქედების იქით რაღაც შუქი ირხეოდა, მგონი მთვარე თვალხუჭუნას ეთამაშებოდა ღვთისოს, მახარეს და კმარას, ბოლოს, სამ გორაკად რომ გადაიქცნენ, სამივე სამგორელი მწყემსები იყვნენ. ღვთისოს და მახარეს უყვარდათ ცქრიალა კმარა.

დადგა ქალი შუაში, მიჯნურობით ცეცხლმოკიდებულმა ჭაბუკებმა საგრფოს მხარმარჯვნივ და მხარმარცხნივ თანასწორი მანძილები ნაბიჯებით გადაზომეს და დადგნენ. კმარამ მანდილით ანიშნა, მწყემსები დაიძრნენ, კი არ მორბოდნენ, მოფრინავდნენ. ქალი მახარესკენ გადაიხარა, ღვთისომ შეამჩნია და შეღაღადა უფალს:

– ღმერთო ძლიერო, შენ იყავ მოწმე ჩვენი პირობისა. რაკი მღალა-

ტობენ, ნურც მე დამრჩება და ნურც იმას ეს ვერაგი ქალი. დეე, სამივე ალაგობრივ გორებად ვიქცეთ!

ღვთისოს ვედრება აუსრულდა და სამივენი ბორცვებად იქცნენ.

მართლაც, შუალა გორა ზემოსთან უფრო ახლოა, ეს კმარა უახლოვდება საყვარელ მახარეს და გაურბის სულგამწარებულ ღვთისოს.

ეს თქმულება საქართველოს მადლიან მიწაზე აღმოცენდა. თუ არა გჯერათ, ჰკითხეთ „ქოჩორას“, ჰკითხეთ „წამლიანს“, ჰკითხეთ ვაზიანს, ლოჭინს, ქარისებს.

— კამათლებო დუშაში! — იჭაჭებოდა გაიოზი.

— აბა, ერთი ფანჯი დუ! — გაცხარებული მგოსანი მარჯვენა ხელის მუჭაში იაგნებს ათამაშებდა.

— ხომ არ მოიწყინეთ თავადიშვილებო? — თავაზიანად მიმართა მეტიჩარა ბარბარემ წელდახრილ მოთამაშეებს.

— რას ბრძანებთ, პირიქით. — უპასუხა გაიოზმა.

— როგორ გეკადრებათ ქალბატონო, ცოტა ოინებმა შემაწუხეს. — შესჩივლა პოეტმა.

— ღმერთო, რა ხუმარა ყოფილხარ! — ბარბარემ ყასიდად ჩაიკისკისა, თან დიდის ამბით მეორე ოთახში შეირბინა და გამოფიტულ გულ-მკერდზე სურნელოვანი წყლები დაისხურა.

იქ კი, დარდიმანდ გაიოზის ბინაზე სიჩუმე სუფევდა კაკლის ხის მაღალ ჩარჩოში ჩასმული სარკის წინ, ლამაზი მდადე პირიმზეობდა, თავის განაბულ თვალებს მისციებოდა. ის ვიღაც ამფსონს ელოდებოდა. იქვე მომცრო მაგიდაზე გაიოზის ღია ბარათი ეგდო დამახინჯებული ქართული ასოებით ნაჯღაბნი:

„...არ იდარდო, ჩემო გულისთქმავ! გადაუდებელ საქმეზე მივიჩქარი, ხვალ კვირა საღამოს თუ არა, ორშაბათ დილას შენთან ვიქნები!..“

მდადემ როცა ეს წერილი წაიკითხა ჩაეცინა და ქმრის ნაჩუქარი ჯვრისწერის ბეჭედი ზედ რომ აყიყის თვალი კიაფობდა, ხავერდის ბალიშზე დააგორა. ფუნთუშა მდადე ირთობოდა. ქალაქის მივარდნილ უბნებიდან ძაღლების კანტი-კუნტი ყეფა ისმოდა.

— რათ იგვიანებენ? — შეეკითხა აუქშიე ლევანი ტინგიცა ბარბარეს და დასაძინებელ ოთახში დაკეცილი თეჯირი შეიტანა.

— აბა რა ვიცი, ლამის არის ჩემი დამემართოს! — უპასუხა შიშდარეულმა მასპინძელმა, თან თვალი შეავლო თავის ქალიშვილობის სურათს, კედელზე რომ ეკიდა შუაზე გაჭრილ საზამთროს ნახატივით.

მტერ-მოყვარე ღამემ ფანჯრებში ეზოდან შემოიხედა, ჭაღის შუქს

თვალი ჩაუკრა და უკან რო უნდა გატრიალებულიყო ფშატის ხეზე წაიფორხილა. ნიავმა ჩათვლემილ ხეებს ჩამოუქროლა, ზოგს ფეხი გამოსდო, ზოგს ტოტებში წაებღლაძუნა, ახმაურდნენ ტირიფები, აჩაჩხანდნენ ჭანდრები, აშრიალდნენ მაგნოლიები.

ეტლში შებმულ ცხენების თქარა-თქური მოისმა. ყურმიგდებულმა ბარბარემ ისიც შეამჩნია, რომ ეტლი იმის სახლის წინ გაჩერდა.

– მოვიდნენ, მოვიდნენ! – დაფაცურდა ფეხმოცვეთილი ბარბარე და კარებს ეცა.

ზედიზედ დამარცხებით გაბერილი პოეტი და გამარჯვებული გაიოზი ზეზე წამოდგნენ.

– გვეშველა, გათენებამდე ქუდი ჭერში ვისროლოთ! – წამოიძახა ლევანმა და მოსულების მისაგებებლად გავარდა.

– სადა ხართ, ამდენი ხანი? არა გრცხვენიათ?! – ინჯღრეოდა დერეფანში დაჩლუტულ ბარბარეს ხმა.

– ხომ იცი, სანამ ციური გამოეწყობა ხუთი პატარძალი მოიკაზმება, ჩვენც ამისმა ლოდინმა გადაგვიყოლა, ებოდიშებოდა დამხდურებს თოხლო ლოყებიანი ანიკო ლევანის ხარხარში.

– რახან თქვენ ნახვას ვეღირსე!.. წამობრძანდით თქვენ შემოგევლეთ, თავადები არ მომიწყინოთ, – ჩაუკრა ნააღრევად გრძნობებდაბერტყილმა ბარბარემ.

– მერე და როგორი რჩეული თავადიშვილები! – ბანი მისცა ლევანმა.

სიხარულით აცმუკებულმა სახლის პატრონმა განათებულ დარბაზში შემოიყვანა სამი მორთული ქალი.

– აქ რა გინდა?! – შეჰყვირა გაიოზმა ანიკოს გვერდით ფერწასულ ქალს.

თვალი ვერც კი შეასწრეს ჩახმახის გამოშლას, რომ... დაიგრიალა რევოლვერის გავარდნილმა ტყვიამ და გულწასულ მდადეს შუბლი შეუნგრია. ცხელმა ტვინმა ზევით ამოასხა და განგმირულის შედედებულ სისხლს დაერია.

ტყვიის კვამლის ზოლმა ლამფის ბროლის ჩარდახს მიატანა. ანიკო და ციური, თითქოს მიწამ ჩაყლაპა საღღაც გაქრნენ, გაუჩინარდნენ. ბუში ბარბარე გარედან წიოკობდა, თავს ხან ფუტურო ხის ღობეს ახლიდა, ხან ძელქვას, ხან ჭიშკარს. მართლაც რომ განსაცდელში თავდაყირა-ჩავარდნილ წუნკალი დიაცის ყავლი ბოლავდა.

მეზობლების ჩოჩქოლი იდგა.

გონებადაკარგული პოეტი მომაკვდავ მდადეს ტახტზე ასვენებდა.

სისხლის თქრიალი ნელ-ნელა სწყდებოდა. მაჯისცემა ეცემოდა. ვნებიანობის უცაბედი მსხვერპლი სამარადჟამოდ ხუჭავდა ორიოდე წუთის წინათ აღგზნებულ თვალებს.

დამთხვეული ლევანი ღამედასეულ ქუჩებში ქუდმოგლეჯილი გარბოდა, იმის ლანდი დაწრეტილ ფარნების შუქის ანარეკლზე აქა-იქ გაიელვებდა ხოლმე.

მკვლელს ლულაგამურული იარაღი იატაკზე დაენარცხებინა და მდადეს ძირსდავარდნილ ნატის ხელთათმანს მიშტერებოდა.

შეზრიალებულ ფანჯრებს ბაღის ჩრდილები მოსწყვეტოდნენ და შემკრთალ თვალებს გაფაციცებით ახამხამებდნენ.

მამლები ყიოდნენ. გამცემი ღამე ვერაგ ხელებს ალიონის რუში იბანდა. თითქოს ვარსკვლავებსაც შუქი გადაექნიათ.

მდადეს თავზარდაცემული დედა ფლოსტებში შიშველ ფეხებწადგმული, ჭაღარა თმებგაწეწილი, ბარბარეს წყეულ ბინას ძახილით უახლოვდებოდა...

კარგა ხნის შემდეგ, ჩემმა მეგობარმა პოეტმა მდადეს სამარეზე ბაცი ვარდებით ალეწილ ძეგლს, ჩუმად ამოუკვეთა:

ის კამკამებდა ვით ცრემლის გუბე,
ალალი გულის ფიქრებით სავსე,
და დაიღუპა... იქნებ დაღუპეს,
ნეტავი რისთვის, ნეტავი რაზე?

ისმოდა წყევლა შეშლილ ქოშებით,
და თავგანწირვა უიღბლო ცისთვის,
ზარი გოდებდა ხანგამოშვებით,
ნეტავი რაზე, ნეტავი რისთვის?..

ღალატის ღამეს ეს ქედმოხრილი სტრიქონები როდი სჯეროდა, ეს სჯეროდა მხოლოდ მდადეს გულდამწვარ, გულჩათუთქულ დედას, ნიადაგ რო დაღმუოდა დაღუპულ შვილის ერთადერთ სურათს.

არ გაუვლია ერთ წელსაც, რომ მდადეს საფლავის გვერდით დატოვებული სამარის ადგილი გაეთხარათ და მიცვალებულის მოსვენებას შორიახლო დარგული, ლიბრგადაფარებული ზამბახებიც ელოდებოდნენ.

სასაფლაოს გადაღმით, ტრიალ მინდორზე ასწლოვან მუხას თავზეხელაღებული ქარიშხალი კივილით დასჭიდებოდა. განსაცდელში ჩავარდნილი მუხა საშინლად ღრიალებდა. გააშველეთ!.. გააზავეთ!.. – ჩხაოდნენ ჭილყვავები.

*რა, არ გინახავთ, ცხედარს წასვლა რო უხაროდა და თავისი ხელით რო იბნევდა საკინძის ღილებს?..*

დილის გაზეთები იუწყებოდნენ: ცნობილი საზოგადო მოღვაწის გარდაცვალებას. შავი არშიით შემოვლებულ სასამძიმრო წერილები გამაბეზრებელი მლიქვნელობით კრუსუნებდნენ მხცოვანი ადამიანის სიცოცხლის აღსასრულს. მოპატიჟე კარიდან-კარზე დადიოდა: ცრემლი დაგვაყარეთო!

მიცვალებულს კვირა დღეს ასაფლავებდნენ. აუარებელი ნაცნობი და გულშემატკივარი მიაცილებდა ძვირფას ცხედარს. უკან თეთრი და შავი ბალდახინები სუდარაგადაფარებული ცხენებით, მძიმედ მიჰყვებოდნენ, ცოცხალი გვირგვინების გრძელი რიგი წინ მიუძღოდა ვერცხლისფრად შეღებილ კუბოს.

სასულე ორკესტრი ვიღაც ბედურგები მუსიკოსის სამგლოვიარო ჰანგებს ღნაოდა.

ყვავილებით მორთულ ნეშტს ხელის ციმციმით მიასვენებდნენ. კუბოს აწევაში სულ ათიოდე კაცი იცხელებდა თავს. ვიღაც ეჭვდარეული კაცი თავისიანს უმარტავდა:

„გაიძვერა მომაკვდავმა მიცვალებულის სამარემდე მიცილებით, რომ გული არ გაუწყალდეს ყეენობის მსგავსი სანახაობა მოაწყო: გვირგვინები, ბალდახინები, მუსიკა... თურმე ნუ იტყვი, მკვდრის პატივსაცემად... ისემც დაურჩება თავი!..“

მგლოვიარე ხალხის ნაკადი ნელი ნაბიჯით მიიწევდა. სასაფლაომდე ნახევარზე მეტი მონაწილე გაიპარა,რადგან ზოგს სადღაც უგვიანდებოდა; ზოგიერთი კი ფიქრობდა: ჭირისუფალს ხომ დავენახვე, მივუსამძიმრე, სხვა რაღა ჯანდაბაღა უნდა; იფხიკებოდნენ, იძურწებოდნენ ქურდულად, ოინბაზურად; გვერდზე დგებოდნენ, უცხო მგზავრებს ერეოდნენ, განგებ უკან რჩებოდნენ.

როგორც იყო შეთხელებული ხალხის ტოტი ხრიოკი მთის ზეგანის ბეჭზე შეფენილ სასაფლაოს მიუახლოვდა.

შიშველი დასაბამი ახალ ტანისამოსში გამოწკეპილ ადამიანებს აბარებდა დასასრულის აკლდამებს. გაბუტულ ძეგლებთან სიკვდილის დაუსრულებელი წყევლა ისმოდა.

გათხრილ საფლავთან ხალხი მოგროვდა. თავახდილი კუბო სამარის პირზე დაასვენეს. სამღვდელოებამ უკანასკნელი წესი აუგო განსვენებულს. დაოსებული ჭირისუფლები რის ვაი-ვაგლახით მოაცილეს განსვენებულს, მოთქმით რო იმდუღრებოდნენ და უგონოდ რო ჰკოცნიდნენ დაკარგულ იმედს.

მესაფლავეებმა კუბო მსხვილი თოკებით ჩაუშვეს სამარეში, მოიმარჯვეს ბარები... იგრიალა მიწამ და კუბოს სახურავზე გოროხების, კლდენაშალის რახა-რუხი ატყდა, თითქოს წარმავალობა ტაშს უკრავდა, თითქოს ცოცხალი ადამიანები საიქიოს დახშულ კარებს აკაკუნებდენ. სიკვდილმა კიდევ ერთი ნადავლი ჩააწოდა საიქიოს.

ადათი მოითხოვდა, სამარეს ყველამ თითო მუჭა მიწა მიაყარა. ხალხი კანტი-კუნტად დაიშალა, უწესრიგოდ დაეშვა ქვევით.

ზურგშექცეული სასაფლაო ვიღაც სულიერს უთვალთვალებდა და გველივით სისინებდა: წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო!..

გამხდარი კაცი, მკლავზე ძაძაშემოვლებული, გასამრჯელოს უსწორდებოდა: კუბოს თავის ამწევებს, მაწანწალებს, გვირგვინების წაღებით, ან როგორც თვითონ ამბობდნენ – თრევით რო დაქანცულიყვნენ. მესაფლავეები ხელების ქნევით ერთდაიმავეს ეჯანჯლებოდნენ, თავპირს აჭამდნენ ჭირისუფალს:

„იცი, რა ძნელი ამოსათხრელი იყო?! სულ ქვანარევი ყამირი, წელები ჩავიწყვიტეთ, პირდაპირ ჩავიხოცეთ. სხვა არა იყვეს რა, წერაქვი და ბარი ვეღარ შევირჩინეთ“.

ეიქმატა, დონდლო და მუნიანი მათხოვრების თვლა ხომ აღარ იყო, ზინტლის სუნათ ყარდნენ. მუმლივით დასეოდნენ იქაურობას: გონჯი, კოჭლი, კუზიანი, წლობით ხელპირდაუბანელნი, ქონში და ცინგლში აგლესილი ძონძებით, ცერის ფრჩხილებში გასრესილი ტილების ლორწო ჩაჰკვდომოდათ, მომწვანო სკვინტლის ბურთულები ცხვირის ნესტოებში გამოსჩროდათ; ჭუჭყიანი, თონთლო ხელები ყვავის ბოლოებივით გამოეშვირათ, ერთ ჭიქა ღვინოს და ლავაშზე დაყრილ შილაფლავს იხვეწებოდნენ. მართლაც, საზოგადოებიდან კუკუ ამოკრულებმა ორი გოზაური მუხრანული დააყირავეს, ყველაფერი შეთქვლიფეს, ველურებივით ამოიყორნენ და მუცლის გახეთქვაზე იყვნენ.

იქვე ხავსმოდებულ ლოდზე, ზურგშექცევით წამოსკუპული, ღრანჭმოგრეხილი და საშინლად ამობრანძული წილიანი გლახაკი იღრიჭებოდა, ხან თავისთვის ჩაიბუყბუყებდა: იფ! ძლივს არ გავძეხით, ძლივს არ ჩავიგემრიელეთ პირი! თან საჭმლით გათხუპნულ წვერ-ულვაშს სიამით

აკანტურებდა. ამ თავიდანფეხებამდე ამოთხუპნულ ხორციელისთვის, ტანი რომ დაგებანათ, ალბად, ათი ტაშტი ჭუჭყი გავარდებოდა.

განსვენებულის მახლობლებმა, გვირგვინები რომ არავის გაეტაცა, დალეწეს, დაანჩხვრიეს და ისე მიაყარეს ჯერ კიდევ მფეთქავ სამარეს. დიახ, სასაფლაოზეც ქურდობენ და მერე როგორ! ზოგჯერ, მკვდარსაც ამოაგდებენ ხოლმე ზევით, თუ დაიგულეს ჩატანებული ძვირფასი სამკაული. ამ დროს სიკვდილი სიცილით ისე იჭაჭება, რომ სულს ძლივს იბრუნებს. ამიტომ არის, რომ ავაზაკები და ჯიბგირები ყველაზე ახლო იცნობენ სიკვდილის ბერიკაობას. სიკვდილი ამ სალახანებს ადვილად როდი ეტანება, ისინი სიკვდილს ნაბიჭვრებივით დასდევენ, რადგან სიკვდილმა იცის ქვეყნიერების ძარცვის იოლი გზა და მიმართულება.

მარტო ის რათა ღირს, რომ ვერც ერთმა მხატვარმა ვერ დახატა სიკვდილი დამცემებს, თუ ბანდიტებს შორის.

დაბინდდა. სასაფლაოზე დალეული სანთლების შუქი აქა-იქ მოსჩანდა. შორიახლო მწუხარე ადამიანების ქვითინით დაღლილი ძეგლების ფშვინვაღა ისმოდა.

მხოლოდ ჩემი პოეტის ლანდი კიდევ ირწეოდა საფლავებ შორის. ის ხშირად აუძღვებოდა ხოლმე უცნობ ცხედარს, ის თითქოს შუაზე გაპობილ სამყაროს ასდევდა, სადაც ორივე მხრიდან ჩაუდის სიხარულის და კრულვის მდინარე, სადაც სიცოცხლე და სიკვდილი ჟამთა სრბოლის დასაწყისიდან ერთიმეორეს ედავებიან და მაინც ერთმანეთი ვერ ამოიჭამეს.

დაღამდა. პოეტი სასაფლაოს გაყურსულ მიდამოებს სტოვებდა და თავის „უცნაურ ხელობას“ იმეორებდა:

სასაფლაოზე მესაფლავე გაისეირნებს
ბედუზრუნველი, მუხანათი, წირპლების რული,
კაცი, რომელიც უცქეროდა ქვეყნის სეირებს,
როგორც ჭინჭარი, როგორც ძეძვი, როგორც ველური.

ჩამობნელდება, მტირალ წნორებს წაუვათ გული,
უკვდავებაა სიცოცხლეზე რომ ისეირებს,
და მესაფლავე მახინჯ მხარზე ბარგადებული,
სასაფლაოზე პურის ჭამით გაისეირნებს.

ჭირისუფლებს ხარჯი გაემართათ: უკანა ოთახში მანდილოსნები დამსხდარიყვნენ, ზოგი თავაზიანობის გამო პატარძალივით იპრუწებოდა, ზოგნი ყასიდათ იცრემლებოდნენ, კარიჭაანთ ფაშფაშა, ჩატუკნული ქალბატონი სიასამურის ბეწვი რო გადაეგდო ხორცებჩაკეცილ კისერზე, თან ყველას ტეტიებათ რომ ნათლავდა, ერთი ისეთას ითხლიშებოდა, თითქოს

დიდ წვეულებაში დაეპატიჟნათ. მეორე, მოზრდილ ოთახში მამაკაცები შეკრებილიყვნენ. ხშირად ისმოდა: აი დედასა, რა კაცი იყო! დაგემტვრეს სიკვდილო ეგ სამიწე ფრთები, რაღა ჩვენ საყვარელ ადამიანს დააცხრი? ვეღარ მიაგენი ზედმეტ ბარგს და მუწუკს?..

ღორმუცელა მექელეხენი საჭმელს სვავებივით იღმურძლებოდნენ, ღვინით იჭყიპებოდნენ. ცოდოს ნუ ვიტყვით,ზოგმა დაზარალებულის ოჯახს ფულადი შესაწირავი დაუტოვა, ზოგმა დაქცეულ კერას საკლავით სცა პატივი, ზოგმა – ჭირნახულით; მაგრამ ზოგიერთები გასკდნენ თუ არა, ჩუმად აიკრიფნენ, „ტვლეპიაანთ ვანესას ხუთი მანეთი შემოუწირია, ააშენოს ღმერთმა!“ – ხრინწიანი ხმით გაჰყვიროდა სადღეგრძელოებჩამორიგებული ჯაჯანა თამადა.

ოჯახის ქვრივის მაზლის ცოლი სპილენძის სინზე ბარაქიანად დახროვილ ქაღალდის ფულს თვალყურს ადევნებდა.

შუაღამემ მოაღწია. მამლებმა მეორედ იყივლეს, მაგრამ მადაგაღვიძებულ და შეგარხოშებულ კაცების უმეტესობა სუფრიდან ადგომას აღარ აპირობდა.

„ცხონებულს ქეიფი უყვარდაო!..“ მკვდარს რასაც უნდა იმას მიაწერენ.

მკვდრები რო იღვიძებდნენ, მაქვს წყალობა, რომ მკვლევართა ფარა იშიმშილებდა, ანდა თავისი დაემართებოდათ სასუფევლიდან დაბრუნებულ იმ ადამიანების დანახვით, ვიზედაც ათასგვარ სისულელეს და, ზოგჯერ, გადაჭარბებულ სიბრძნეს ჩმახავდნენ.

გათენებამ მოატანა, როცა ხალხი მაგიდებიდან ზლაზვნით წამოიშალა. ზოგიერთს გულისძილიც გამოეცხო. ხვედურელი ბრაცა ისე გალეშილიყო, რომ ხნიერ ქლიავის ხეს რაღაცას ეტუტუნებოდა. მუკნიანთ კატოს ბიჭი კიბის ქვეშ პირქვე გადათხლაშულიყო, ფეხები მიწაზე გაეშოტა და ისეთას ხვრინამდა, იტყოდი საზარდულში ყასბის დანას უყრიანო, ჯინჯიბახი კი არა, აზარმაციც რო დაგედო, მაინც ვერ წამოაგდებდი; ოხერელი პალე, მწიფე ზღმარტლივით სახე რო ამღვრეოდა, ძლივს ქშინავდა და გულამსუყებული ამაზრზენად აბოყინებდა; ჯირკველაანთ სანდროს და თავსუბუქის ბიჭს კისერი მოსწყვეტოდათ, ალაყაფის კარებთან ხელიხელგადახვეულნი ბარბაცებდნენ, თან ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ და უგემურად პროშტნიდნენ; ქარუმაანთ კინკილას მუხლები ეკეცებოდა და ბოშურელ ურიკინეს თავჩაქინდრული ერთ ადგილზე რო იდგა, თითს უქნევდა; სიმსუქნისგან მოუქნელი მღვდელი ონოფრეც ლაზათიანად გამობრუჟულიყო და თავის გუდაფშუტა დიაკვანს ფეხარეული მიჰყვებოდა; ტაბლის მსუნაგი ჩია მნათეც თავის კვალობაზე გამოხეთქილიყო, ხმა

ჩახლეჩოდა, რაღაც აუგს ბურტყუნებდა, თან ვიღაც მიზანში ამოღებულს ემუქრებოდა: „შენ თუ არ გაგალანდო, და სისხლის ვეძა არ ამოგადინო ე, მაგ ცხვირიდანა, ბიჭი არ ვიყვე!..“

სათონეში შინაურები შესანდობარს კიდევ განაგრძობდნენ. იქვე მოხარშულ და გაფუფქულ ჭედილას თავფეხს ცხელი ორთქლი ასდიოდა. ქაფქირის ახლო ჭრელი კატა ჩაცუცქულიყო და ენის წვერით მალ-მალ ტუჩებს ილოკავდა.

იქ კი, სასაფლაოზე დილის მდუმარება სუფევდა. გუნდის ხეები ფრინველების ჟრიამულით გაოგნებულნი წუხანდელ სიზმრებს ჰაერში აფრიალებდნენ.

როქე მესაფლავე ბარის ტარზე დაყრდნობილიყო, პატარა გაცრეცილი ნაბდის ქუდი შუბლზე ჩამოეფხატა და შინ მოყვანილ თამბაქოს ღეჭავდა.

შუადღე მიიწურა, როცა დიდ გზაზე კიდევ გამოჩნდა გვირგვინები, ხალხი... მოხუცი ძეგლები ხელის გულის ქვეშ გასცქეროდნენ ახალ სტუმარს და ღრძო თვალებით იღიმებოდნენ.

ხეპრე მესაფლავე მხარზე ბარგადებული საფლავებს შორის დაძრწოდა. დაღვრემილ ქანდაკების ზურგს უკან დამალული სიკვდილი მესაფლავეს ჩუმათ თვალს ადევნებდა, რომ როგორმე ფეხები შემოემტვრია. გონებაშერყეული ღმერთი დაკონკილი ტანისამოსით, წელკავამართული, ყაყანა კაცობრიობას წარმავალობის იალაღებზე ნაგერალ სიცოცხლეს აძოვებდა. ხანდისხან დამფრთხალი განგების ღრიანცელი ისმოდა:

– „საით მიედინებით თქვე ოხრებო?!“

ფერდებჩაცვენილი ნაგაზები ყეფდნენ, ყმუოდნენ და მერე რა!..

ღამით ადამიანთა ფარეხებში მაინც წივილ-კივილი ისმოდა. ადამიანები ჭილყვავებზე უარესად ჩხაოდნენ.

აკრუხებული სიკვდილი ძვლებს აკნატუნებდა და მხართეძოზე წამოწოლილ ქურდებს წუხანდელ ამბავს უყვებოდა: როგორ მოიხმო, შეიტყუა, მოგუდა, გადასანსლა... თან თავის ლეკვებს ეალერსებოდა, ლოშნიდა. ლეკვები წკმუტუნებდნენ და უბალნო კუდებს აცანცარებდნენ.

იქვე მოზრდილი გობი იდგა, ამ გობში პუტავდნენ ადამიანებს და მესაფლავე კი, შიგ ალბობდა ხოლმე ხმიადი პურის ნატეხებს. გობის ერთ გვერდზე, ვიღაც მგზავრს ალმაცერად მიეწერა ბედის სიმუხთლე: „ეჰ, ეს ოხერი, მოვდივართ ანგელოზები და მივდივართ კუდიანები!..“

გობის მეორე გვერდზე, ბატის ნაფეხურებივით დაბრეცილ, ძველი ხუცური ასოებით ნაწერს გაჭირვებით ამოიკითხავდი:

„ჩვენ ხომ სიცოცხლეს სულ კალთაზე ვებღაუჭებით...“

ათასი წლების ნახირი წავა
ძოვით, შუქს გაღმა, კამარებს იქით,
უკან დარჩება როგორც წამება
სივრცე ათხრილი მიწის ფლოქვებით.

სასაფლაოზე ჯაგარაყრილი ქარი ამოვარდნილიყო და საფლავებშორის გაშენებული წოწოლა ხეები მთვრალი მათხოვრებივით ხითხითებდნენ. სადღაც, პირქვედამხობილ კუბოებზე შემდგარი გაბრუებული მკვდრები საიქიოს მოხურულ კარების სახელურს ეჯაჯგურებოდნენ.

*დღეს შენს ქუჩაზე აღარ დადიან*
*მოგვები, შუბლით რო ჰგავდნენ ხეთებს,*
*შენ რომ წახვედი, ასე მგონია,*
*მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე.*

შოშიები უსტვენდნენ. გაზაფხულის საამური დღე იდგა. ყელღინღლიანი ბარტყები ბუდეებიდან იცქირებოდნენ. ქალაქის ბაღი მოსეირნე ხალხს აეჭრელებინა. მწვანე ფერის ჩარიგებულ მერხებზე და ჩუქურთმებიან ფანჩატურებში დამსვენებლების ტევა არ იყო. სად არ გაისმოდა სიმღერა, ქივილ-ხივილი.

ვიღაც უნიათო, ბაიყუში და ყარყუმი წელზე ხელებგადაწყობილი ბელტიყლაპიასავით კენტად მიფრატუნობდა, რატომღაც სჯეროდა, რომ იმის გამოჩენა ცხოვრების ასპარეზზე უსაფუძვლოა, ამიტომ, როგორც ზეციურის სადარი, ბრბოს უნდა გაემიჯნოს, განუდგეს, გამოეთიშოს, თავი არავის არ უნდა გაუყადროს და სამოთხემ უკან უნდა გაიწვიოს საყვირების გუგუნით.

მოხუცი მამაკაცები უშვილო თუთის ხის ჩრდილში შექუჩულიყვნენ, მეტი რა საქმე ჰქონდათ, თუ არა ახალგაზრდების გაკილვა: არ მოსწონდათ მათი ჩვევები, ქცევა, სითამამე, ცხვირმოუხოცელებს, ღლაპებს, ლაწირაკებს უწოდებდნენ! ისე როგორც ზოგიერთა ხანშესულებს ემართებათ.

– ჯეელი რო ვიყავი, ყველას ჩემზე რჩებოდა თვალი! დიდგულობდა ხარფუხელი ვანუა და თან ყალმუხის ქუდს ხელში ათამაშებდა.

– აი დედასა, ჯეირან ქალთან უშნოთ რას გავიელიდი, ან არა და, მე შენ გითხრა, რამე წინდაუხედავი წამომცდებოდა! – ბაქიაობდა გლდა-

ნელი სინო, რომელსაც დავიწყებოდა ყველა თავისი სიმამაძაღლე და იმის ხნისა ქვაც აღარ გორავდა.

პირბადე ჩამოფარებულ ჩაუქა, კუსპარა და ტყლარჭია ქალების პრანჭვა-გრეხას ხომ საზღვარი აღარა ჰქონდა. გაბღენძილ და გაჭიმულ მოხელეების ქედმაღლობას ნუღარ იტყვით!..

ქათიბით და ოქრომკედით მოჭედილი დარბაისელი მანდილოსნები, მალხაზი ბალღებით გარემოსილნი, მოსეირნობდნენ და მათი მშვიდი, ნებიერი, მუსაიფი გულს ახარებდა.

ამ ბაღის თავზე ძველთაგან ძველი ეკლესია ახირულიყო.

ჩემი მეგობარი ეკლესიის წინ მიგდებულ გამხმარ ფიჭვის მორზე ჩამომჯდარიყო და ეზოში დაფრენილ მტრედებს ნაკმაზს უყრიდა. მტრედები ღუღუნებდნენ და ისე შესჩვეოდნენ ძეწნასავით თავდახრილ პოეტს, როგორც თავის პირმშოს. ნუთუ მუდამ ერიდებოდნენ ადამიანს ფრინველები?

მგოსანმა რამდენჯერმე შეამჩნია, რომ ეკლესიიდან ხშირად გამოდიოდა ნათელი სახის მოხუცი კაცი, ცალკე, მოკრუნჩხული მიჯდებოდა, ხელის გულებით დაეყრდნობოდა მოკაუჭებულ პრიალა ჯოხს და მდუმარებას მიეცემოდა. აი, დღესაც ის მოხუცი ღრმად ჩაფიქრებული ისვენებდა ეკლესიის კიბის გვერდზე. მგოსანი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, ვეღარ მოითმინა, გვერდით მიუჩოჩდა და გამოეხმაურა. მოხუცი უხალისოდ აძლევდა პასუხს. როგორც იყო და არ იყო, უცნობს გული მოუბრუნდა და წყნარად მოუყვა:

– ხომ იცით, საწყალი კაცის ოჯახში ყველამ შეიჭყიტაო. სადაც გავიქეცი, იქ წავიქეციო. ჩემი ცხოვრება გადასახლებაში გავატარე, ჯერ ახალგაზრდა ვიყავი, როცა მეფის ჟანდარმებმა შორეულ ციმბირში გამამწესეს. ტუსაღებს ნადირებივით გვერეკებოდნენ სუსხში და ავდარში, თოვლში და ჭყაპში, ისე გვეპყრობოდნენ, როგორც პირუტყვებს. თუ წელამდე სადმე ტალახში ჩავიფლობოდით, მოშველების მაგივრათ თოფის კონდახებს გვიშენდნენ, როზგებს გვირტყამდნენ სადაც მოხვდებოდათ: ზურგში, თავპირში, წელში... ისმოდა დრტვინვა, სივალალე და მძიმე ბორკილების ჩხარა-ჩხური. გზაში ბევრი კარგი ამხანაგი დაგვეღუპა, ვეღარ აიტანეს შეგინებული სიცოცხლე და მიწასთან გასწორებული ბედის უკუღმართობა.

უნდა შესწრებოდით ხელფეხწაძრულ, გაწამებული ქალების და თოთო ბავშვების საცოდაობას, გადასახლებაში მიმავალ ოჯახის ბურჯს შიშისაგან დაზაფრულები რო გამოჰყოლოდნენ; მხოლოდ იმიტომ, რომ ქმართან ერთად, მამასთან ახლოს გაეტარებინათ შემაძრწუნებელი წლები

და ტაიგის ნამქრების კორიანტელში დაელიათ კვიმატი დღეები. ნეტავი შენს ბედნიერ თვალებს ენახათ ტიუმენის და ტომსკის საპყრობილე, სადაც ერთ მომცრო საკანში ორმოცამდე პატიმარი შეეყარათ, ორ გოჯ ადგილს ვერ იშოვნიდი რომ წაგდებულიყავი; სადაც მოწამლული ჰაერი და აუწერელი სიბინძურე სულსა ხუთავდა; სადაც ქარბუქივით მძვინვარებდა ათასნაირი მოარული ჭირი და გამხმარ ბალახივით სცელავდა უფლებააყრილ ადამიანებს.

– როგორ, საავადმყოფოები არ არსებობდა? – შეეკითხა ფერწასული მგოსანი.

– იქაური საავადმყოფოები იმ გამოყრუებულ არემარეში, რომ ნახოთ, გული შეგიღონდება... გაყინული ოთახი, ჭუჭყიან იატაკზე დაყრილი ქეჩის ნაჭრები, წაბილწული: ნარწყევი სისხლით და ფურთხით. სულთმობრძავი გვამები ჭიაყელებივით იკლაკნებიან, ოდნავ თავაწეულები, ქუთუთოებაბურცულები, სახეჩაყვითლებულები, ხელებით და ფეხებით დაფორთხამენ და გმინავენ; მსხვილი რკინით აქოლილ ფანჯრებს უგონო თვალებით შეჰყურებენ. კი არ იტყვი, რომ იქ ტუსაღები ყრიან, არა, ის რაღაც ადამიანთა ნაფცქვენებია. მკბენარს ნუღარ იტყვი, ძონძებზე და გამხმარ სხეულზე ისე ფუთფუთებენ, რომ შეიხედო, ტირილი წაგსკდება. ის ავადმყოფთა თავშესაფარი კი არ არის, დამბლადაცემულ უთვისტომოთა ხვრელია, ის, რაღაც ორნახადი ტანჯვის განსახიერებაა. იქ დასნეულებული პატიმრები მდუღარე ცრემლების ოშხივარზე იხრუკებიან.

ნეტავი სატუსაღო ნავები გაჩვენა „ბარჟებს“ რო ეძახიან, მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე რო გადაჰყავთ პატიმრები. აი, ამ ძეძვივით „ბარჟებში“ ყრიან, თაკრავენ ჩემისთანა ურვადარეულ ხალხთან ერთად, მაწანწალებს, გარეწრებს, ავარებს, ყველა გზის ნაძირალებს. სიმწრით ტუჩებს იკვნეტავ, გული ყელში გებჯინება, ბოღმა გაღრჩობს, სულს ვეღარ ითქვამ; სიკვდილი გენატრება, უძახი, ევედრები როგორმე ამოგათრიოს, ამ გასატიალებელ სავარმედან, მაგრამ, ეს ოხერი, ეტყობა სიკვდილიც თაკილობს ყველგან ჩაძრომას. საკუთარ ძარღვების დაწნულ მარყუჟზე ჰკიდიხარ, კონწიალობ, თითქოს შენი სისხლის წვეთები მუხლებზე დაცემულ დედის ჭაღარა დალალებს ეცემა. მოხუცმა ოდნავ შეისვენა და განაგრძო:

– ასე დიდი ხნის თრევის შემდეგ, ურჩი იაკუტის ოჯახში შემასახლეს, სადაც სიცივე ძვლებამდე აღწევდა და ენით გამოუთქმელი უწმინდურება პარპაშობდა.

საკმარისი იყო თმებგალოპრილ იაკუტის აყროლებულ ქოხიდან გარეთ ფეხი გამეღგა, თუნდაც ერთი წამით გამესწრო სუფთა ჰაერის

ჩასასუნთქავად, უღიერი იაკუტი მყისვე ბურტყუნით ამეღვნებოდა და თითით მანიშნებდა, რომ უკან დავბრუნებულიყავი. ნაჯახი რომ ამეღო ჯოხის გამოსაჩირკნათ, ის ჩემი ცოდით საკვე სისხლზე შემაგდებდა, თავის ულმობელ ხელს წამატანდა: ნაჯახი დააგდეო!

ვიყავი გამომწყვდეული და გაკავებული მურდალი იაკუტის ბუნაგში. უმარილო, უცხიმო და უგემურ კერძით ვსაზრდოვობდი მათივე საერთო ქვაბიდან. მეხვეოდა ტილი და ბაღლინჯო, წამდაუწუმ ბეჭებს და იღლიებს ვიქექამდი, ვიფხანდი, მთელი სხეული გადატყავებული მქონდა ფრჩხილების კაწვრით. იქაური ზამთარი რვა თვეს გრძელდება. სიცივით ფურფუტი გაგიდის. ვერც პირს დაიბან, ვერც ხელებს, ანდა კიდევაც რო დაიბანო, რითი უნდა შეიწმინდო, როცა ჩვრის ნაფხრეწიც არ გაქვავია. გსისხავს შავი ნახველი, ტურტლი და უსუფთაობა.

– რის შემძლეა ადამიანი! – ამოიოხრა მგოსანმა.

– ადამიანი, ჩემო კეთილო, ნადირზე მეტის ამტანია, აი, გატყობთ, მე რო გიყვებით, გეშინიათ, თქვენ მართალი ხართ! იქ, მტერსაც არ უნდა უსურვოს ადამიანმა, მაგრამ თუ ჩავარდით იმ შეჩვენებულ ალაგას, რაღას გააწყობთ. პირველად შენი საკუთარი ჩრდილიც გეხამუშება, გეჩოთირება. გარემოს კი არა, შენ ხმასაც კი ვერ ეგუები, მაგრამ მერე თითქოს ტვინი გილაყდება, ჩურჩუტდები და დაბრმავებული მიჰყვები ბედისაგან დამცირებული ცეცხლმოკიდებულ სიცოცხლეს.

– ნუთუ ვერ შესძელით, რომ იმ ჯურღმულიდან გამოქცეულიყავით? – შეეკითხა პოეტი.

– თუ გაქცევა დააპირე, რომ გაჭირვებას თავი დააღწიო, იქ მხოლოთ ქარბუქს უნდა ენდო, გზა და კვალი არ იცი, ვინ იცის სად ამოგძვრება გამწარებული სული. შეიძლება უიღბლობამ გადაიაროს: გასცდე ვაების საზღვარს, უვნებელ ადგილს მიაღწიო, ვინმე ღვთისნიერს თავი შეაფარო, თუ არა და დაგეშილი მდევრები უმწეო დევნილს შეგიპყრობენ,გაგბოჭავენ, გაგწელავენ, წვენს გამოგადენენ, ცოცხალს გუდასავით ამოგიდებენ, მერე იქნება ტანჯვა გაკმარონ, ნახევრადმკვდარი სახრჩობელაზე ჩამოგკიდონ და ამით დამთავრდეს ყველაფერი.

– სული რო გაგაფრთხობინონ ჯერ უნდა გაწამონ, მიწას ისე როდი მიგაბარებენ, – დაუდასტურა მგოსანმა.

– არა, სულს ისე არ ამოგართმევენ, შენი ნებით სულს ვერ გააპნევ! – დაიკვნესა მოხუცმა.

– მერე? თქვენი ჭირიმეთ! – გაახსენა მგოსანმა მოხუცს, რომ იაკუტის ამბავი არ ჰქონდა დამთავრებული.

– ექვსი კვირის შემდეგ სულთამხუთავები ბინას მიცვლიდნენ, ერთი

ოჯახიდან მეორე ოჯახში გადავყამდი... ეჰ, რა არ გადამხდა ვინ მოსთვლის.

– ისე, რომ თუ თავისუფლებისკენ გაიჭერი, იაკუტი პასუხს აგებს ხელისუფლებასთან, არა? – სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანმა და, რატომღაც, წეღან რომ უნდა შეკითხოდა, ეხლა შეეკითხა.

– დიახ, ნოყოყა იაკუტმა იცის, რომ თქვენი თავი მას აბარია, ამიტომ, თავის ვერაგ თვალებს  დღედაღამ არ გაშორებს, შენს ჩრდილზე მატლივით დაცოცავს. მძინარესაც კი გითვალთვალებს, მთელი ძალღონით გზღუდავს, გავიწროებს. იაკუტი თავის ქოხს „ულუსს“ უწოდებს, აი, ამ „ულუსში“ ერთად ვეყარეთ პირუტყვი და ადამიანები, საქონლის ნეხვი, შმორი, ნესტი, კვამლი, სამარის ლოდივით აწვება ისედაც გაძაღლებულ სიცოცხლეს, და სული კბილით გიჭირავს. ეხლაც მიკვირს რატომ ჭკუაზე არ შევიშალე... თუმცა, ზოგიერთმა ჩვენთაგანმა ვეღარ გადაიტანა დაუსრულებელი წამება, დამცირება, გამძლეობამ უმტყუნა და თავი მოიკლა. ზოგიერთი ჭკუაზე ისე შეირყა, რომ თოკით ძლივს აბამდნენ, ქამრებით ძლივს კოჭამდნენ, იცით რა განმგმირავი სურათი იყო? ცოდით ვიწოდი, ბალღამი მერეოდა. ისინი ცალწვერგაკრეჭილები, ხელებგაძაგრულები, გონებაწართმეულნი შემზარავად ხარხარებდნენ შემკრთალ სიკვდილთან!.. იქ ორგანი უფსკრული ჭრიალებდა, თითქოს ჩაკირული ჯოჯოხეთი უსტვენდა. ეს ოხერი გული კი მაინც ძგერდა... არა! კი არა ძგერდა, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

– განა რა დანაშაული მიგიძღოდათ? – შეეკითხა გაფითრებული მგოსანი და ძარღვებში სისხლი გაეყინა.

– არავითარი! იცოდეს ღმერთმა! არც გამოძიება, არც სასამართლო. მოულოდნელად მომიხტნენ ოლქის უფროსის მოგზავნილები, არ ვიცი ვინ ჩამაგდო იმათ ყბაში, და გამომიცხადეს: ადმინისტრაციული წესით გასახლებთ, როგორც საეჭვო პიროვნებასო! ეს იყო და ეს. მეორე დღეს ტუნდრებისკენ მიკრეს თავი. არ დაგიმალავ, მეფის მთავრობას არც ისე ცუდი თვალით ვუყურებდი, ერთი საწყალი ფოსტის მოხელე კაცი ვიყავი და ყოველგვარი რევოლუციონერობა ჩემთვის უცხო იყო; სულ არ მეპიტნავებოდა პოლიტიკური ამბები, ტუტრუცანად მიმაჩნდა ის, ვინც საზოგადოებას თავსა სწირავდა. ეხლა კი დაუძინებელ მტრად გადამაქცია რომანოვების დამთხვეულმა ხელისუფლებამ. იქ, იმ ქვესკნელში გავატარე ოცი წელიწადი, სრულიად უდანაშაულო ადამიანმა, გესმით? გულის ხეთქვის ოცი წელიწადი! დავბრუნდი დავრდომილი, გონებადაჩლუნგებული, წყლულით და გულის მანკით დანაცრებული, უკურნებელი სენით ძვალგამოხრული... აბა, რიღას მაქნისი ვარ, ერთი მითხარით? ორწყალს შუა დავრჩი: ცხოვრებას რაღად ვუნდივარ, სიკვდილიც ჩემს დანახვაზე მსახვრალ

ხელებს ატატანებს, ისიც კი არ უნდა, რომ ჩემი წაყვანით თავი შეიყოლიოს. საცოდავი ჩემი მეუღლე ჩემ ჯანდამწვარ შარას გამოჰყოლოდა, ჩემ საძებნელად წამოსულიყო, რას მომაგნებდა იმ ამხედრებულ თოვლის უდაბნოში. საწყალს თავგზა არეოდა და სადღაც ციმბირის მივარდნილ კუთხეში, დაღლილს და დაქანცულს დაელია გვემული სული. უბედურს ჩემი ნახვა აღარ დასცალდა. ხედავთ? უდანაშაულო ოჯახი როგორ ამომიგდეს, როგორ დამიქციეს, ამომიბუგეს და ამომიწყვიტეს... მას აქეთია მოვდივარ და მოვსტირი ჩემს დაცეხვილ სიცოცხლეს. ნუთუ ეს იყო ჩემი ხვედრი ამ ვრცელ ქვეყანაზე, ნუთუ ჩემთვის მოიცალა ყველა თავზარმა?!.

– არ შერჩებათ ბოროტება.

– აი, ენამ გიყივლათ, არ შერჩებათ, არა! – პასუხობდა პოეტს ხელებ-აცახცახებული მოხუცი და თან გაბზარული ქვევრივით ახველებდა.

– უსამართლობა დიდხანს ვეღარ იბოგინებს, – ანუგეშებდა ჩაქოლილ მოხუცს ჩემი მეგობარი.

– თუ არა და, იცოდეთ, ხალხის გასაგისი ერთიანათ აიხვეტება.

– მართალი ბრძანდებით, მართალი! – თავს უქნევდა პოეტი.

– სად გამომიღამდა მთელი სიცოცხლე... რამდენი სამსალა მასვა ამ გასაოხრებელმა ცხოვრებამ, – გულის ტკივილით წარმოსთქვა მოხუცმა.

– ეხლა, ალბათ, ლოცვებიღა გამშვიდებთ? – მგოსანს უნდოდა მოხუ-ცისთვის რაღაც ეამებინა.

– ჩემს სიჭაბუკეში, როცა ჯანღონით ვიყავი სავსე, არც ხატი მწამდა, არც კათალიკოსი, მაგრამ დღეს ისე შემზიზღდა ეს ძაღლუმადური ცხოვ-რება, რომ მინდა გამუდმებით ეკლესიაში ვიდგე და ანთებულ კანდელს ვუყურებდე. საყდარში რატომღაც ვისვენებ და სიმშვიდის ნიავი მივლის. – ამ სიტყვებმა პოეტი შეაკრჭოლა. მოხუცი განაგრძობდა – როგორ არ ვიცი, რომ ღმერთი არ არსებობს, მაგრამ რატომღაც მინდა ის ჩემს ნისლიან წარმოდგენებში ცისკარივით ენთოს, ამის მეტი რაღა დამრჩა, ჩემო მოკეთევ! – მოხუცმა გაყუჩებულ სივრცეებს გახედა – გადასახლე-ბაში სულ ის მენატრებოდა, რომ გულზე ჩემი მიწა დამყროდა, რომ უკანასკნელათ ჩემს სამშობლოში ამომესუნთქა, რახან ეს აღმისრულდა და ჩრდილოეთში მოღავებული სუსხიანი ქარების, ან თეთრი დათვების საჯიჯგნი არ გავხდი, ჯანდაბას! აქამდე ხომ მოვათრიე ეს გატიალებუ-ლი სული. მაინც გამჩენს ვუმადლი. ჩემს მიწა-წყალზე ერთ ციდა ადგილს ხომ დამითმობენ?..

მგოსანმა შუბლზე აკოცა ხელჩაქნეულ მოხუცს. ალალი იყვეს და უსაყვედურო თქვენზედ სამშობლოს თბილი კალთები. ალალი! – უთხრა მგოსანმა.

– ჩემო კარგო ადამიანო! ალერსით რაღას განვიკურნები. მორჩა, გათავდა სუყველაფერი. ჩექმის ქუსლებით დაწიხლული დღეები, გადაქელილი ბედნიერება არასდროს აღარ  გამოიდარებს; რაღა ეშველება ჩემს აკლებულ კარ-მიდამოს, შეგინებულ სვინდისს, მათრახების ტყლაშუნით დაძაბუნებულ სახსრებს, აღმოფხვრილ საძირკველს, შებღალულ და შელახულ სიცოცხლეს, რა მოევლება აბა მითხარით?.. მგოსანს ხმა ჩაუვარდა და ცრემლები წამოყარა. მოხუცმა შეისვენა და...

– სადღა გავყვე ეხლა ამ გავერანებულ, მოლიპულ გზებს, გული მწუხარებით მეკუმშება, ჭიაკოკონამოღებულ გულს ვინ გამიქარვებს, ვინა?

წელმოტეხილმა ნაპატიმრალმა კიდევ ყრუდ ჩაახველა და გამოემშვიდობა მოწიწებით ზეზე წამომდგარ  მგოსანს.

ცა მოიღუშა, ღრუბლების აყრის დრო დადგა. სამრეკლოს ზარებთან მტრედები სთვლემდნენ და იცით რას? უმანკო სიზმრებს, სიკეთეს, კამარების ელვარებას, მარადიულ თავისუფლებას, წალკოტებს, ყველაზე ძვირფასს, რაც კი განგებას წარმოუშვია.

მგოსანი ჩუმად მიჰყვებოდა ნიავშეფუჩვნილ, სირმებგაკრულ ცაცხვების ხეივანს და გულში მღეროდა:

შენ, დაგმარხავენ ბინდების ლხინით,
სამრეკლო აშლის მთვლემარე მტრედებს.
დაუშენს წვიმა, შორს ბალდახინი
დიდხანს იკვნესებს და იჩერჩეტებს.

ფუტურო სხეულს გულის სიზმარი
შერჩება, როგორც გოლგოთის თხრილი,
სისხლზედ შემხმარი ძვლების ჩინჩხვარი
და მოგონება ნისლივით გრილი.

სოფლის წისქვილთან რუ აღიდდება,
ქუხილი მთებში ჩაისვრის აჩრდილს,
შენ კი მიწის ქვეშ შემოგაგდებენ
ხელ-იღლიაში კუბო ამოჩრილს.

მოიღრუბლები მკერდში ჩაიტვრენ,
ფრთხილად ჩაჰყვები უღრან ნაპრალებს,
გამოღმა, განგებ მძლავრად დამისტვენ,
მე კი ამ სტვენას ქარს დავაბრალებ.

წყვდიადი მძიმედ დაუშვებს ფარდებს,
შესწყდება ფერად ჭინკების ბრძოლა.
სულს შეგიხუთავს ძეძვივით დარდი
და ჯოჯოხეთის პირქარი ხრჩობა.

გვირგვინს დამადებ, რთვილს მიმამგზავსებ,
ბედმომკილ დღეებს დიდხანს იჯავრებ,
პირქვედამხობილს საყვარელ გვამზედ,
ქარები ტანჯვით აგაგლიჯავენ.

გარეთ გადაყრილ ნაცარსა ვგავდით!
თან იტყვი: „იქნებ ღმერთმა ინება!“
ჩაიქნევ მკლავებს და იქვე გვერდით,
ცრემლებთან ერთად ჩაგეძინება.

ბაღი შრიალებდა.

საღამოს ფოჩიანი ჩრდილები ჭენჭყეტას ბუჩქებსაც წამოესხათ და ღობის გასწვრივ გაბუსხული ბალღებივით ატუზულიყვნენ.

უცბათ გაიელვა და ღრუბლების გრუხუნიც მოისმა. წვიმამ ოდნავ წამოჟინჟღა. ხალხი ნელ-ნელა შეთხელდა. ბინდმა ციდან ფრინველების გადმოტვირთვა ბუდეებში დაამთავრა.

ბოღმამორეულმა ხეებმა შვება იგრძნეს, მოსეირნეთა ფეხებით დამტვრიანებული ჩრდილები მიწიდან ფარდაგის ნაჭრებივით წამოკრიფეს და ბერტყვას შეუდგნენ. განსაკუთრებით ცალმხარჩამოხლეჩილი ბებერი მუხა ბურტყუნებდა:

„რა კაცობაა, ჩრდილების ასე დასვრა! ეს არის ადამიანობა?!.“ – თან სიბრაზით თავის ვეება ტოტს მახლობელ არყის ხეს ულაწუნებდა.

მგოსანი მივარდნილ ქუჩას უახლოვდებოდა და გახსენებულ სტრიქონებს მოხუცის სახსოვრად ინახავდა:

რა ექნა, იყო ქვა თუ ზეკაცი,
ვისთვისაც ზეცა დაპატარავდა,
ვისაც არ ჰქონდა სარკმელი მზისკენ,
და რიჟრაჟებში შუქს იპარავდა?!

რა ექნა იმას მგზავრო, მითხარი,
ვინც ძვლების ცეცხლი ვერ დააყოვნა,
ვინც, იწანწალა მიწაზედ დიდხანს
და თავის ჩრდილიც ვეღარ იპოვნა?!

ვისაც გაუწყდა ლოცვით ილაჯი,
ჩასწვა: ბავშვობა, ყრმობა, კრებული,
ვისაც გრიგალმა ვერ მოაგლიჯა,
წყვდიადი მკერდზედ დამაგრებული?!

რა ექნა იმას, ვინც ქვესკნელშიაც
სივრცეებს თვალი ვერ მოარიდა,
ვინც პირქვე ეგდო, ან სიცოცხლიდან,
თუ გინდ ვარსკვლავებს გაღმა გაფრინდა?!

ვინც დადიოდა ცრემლგაწუწული,
და კრიჭაშეკრულს სძულდა სუყველა?!.
ხედავ, რას სჩადის გულქვა საწუთრო
და ყინულივით ცივი ქვეყანა!

ორთავიანი არწივი ფრთებს იქნევდა, გულგასაწყალებლად ყაპყაპებდა და თავისი ვერაგი ბრჭყალები დაჯმუჯვნილ თავისუფლებისათვის გაეყარა.

ფაშვგადმოვარდნილი პოლიციელი ქუჩის ჯიხურთან აბეზარივით ატრუჭულიყო, ეტყობოდა ძილს აეტანა, სთვლემდა, თავი ექინდრებოდა, ხან ერთს ისეთას შეხტებოდა და თვალებს დააჭყეტდა, იტყოდი გაჭენებული ცხენიდან გადმოვარდაო.

გაწამებული მოხუცი, სადღაც პატარათ მოფიცრულ ოთახში შეკედლებული, მძიმეთ ახველებდა, სისხლს ანთხევდა, განუწყვეტელი ხიხინით გულ-ღვიძლი ეთუთქებოდა. პირქუში ოცი წელი დალეწილ და შეურაცხყოფილ სიცოცხლის ნანგრევებზე აღმართულიყო, როგორც უკუღმართობის წყეული აჩრდილი, როგორც შეუბრალებლობის და ტანჯვის სიმბოლო, როგორც სიტლანქის და ღვარძლიანობის შავად აგლესილი კვარცხლბეკი.

დაუძლურებულ დასჯილს სადღა ჰქონდა იმის მოხერხების უნარი, რომ რიჟრაჟებში შუქი მოეპარა, ან თავისი ჩრდილი ეპოვნა. ის გამოეჭამა უსამართლობას, დაენახშირებინა უსვინდისობას. ის, ისე დაეხრათ და დაეღრღნათ მძვინვარე დღეებს, რომ ადამიანის შეხვედრაზე მუხლი ეკვეთებოდა. ის ლოცვითაც ვეღარ იშუშებდა შერჩენილ დარდებს. რა უბედურებაა, დაიბადო და შენი ბედი შენს გემოზე ვერ გამოჭედო.

უკმეხი, ფიცხი იაკუტის რეხი ლანდი, ყალიონის ბოლივით შეჭრილიყო მოხუცის ბინაში და გაფაციცებით მისციებოდა ხანგრძლივი გადასახლებით გამოშტერებულ ადამიანის მოძრაობას, თვალებს, ფერწართმეულ სახის ნაკვთებს.

შუაღამისას ამოვარდნილი ქარი გაჭახჭახებულ სივრცეებს არახრახებდა, თითქოს გრძელი ხალათი ზეცას ბერტყავდა, ვარსკვლავები ყუნწში წყდებოდნენ და ჰაერში იკროლებოდნენ.

გულქვა საწუთრო კი მშიერი მგელივით გაყმუოდა ღრუბლების ფარეხს – ტიალ სივრცეებს.

# ჯ

*ფრთხილად, ხალხი მიწიდან არ გადაცვინდეს!*

ამოვარდნილი ქარიშხლები ზათქით, წუილით და ღრიანცელით მიერეკებოდნენ შემზარავ ღრუბლების ჯოგს ევროპის გაცრეცილ სივრცეებში. ორტოტა ელვა და ჭექა-ქუხილი, დელგმა და ბღღვირი შემაძრწუნებლად მოიგელვებოდა რუსთაველის და დანტეს, შექსპირის და გოეთეს, ჰიუგოს და პუშკინის სამშობლოს მიწა-წყალზედ. დედამიწა უკუნეთის ქარაფების წინ ინჯღრეოდა. ხუფაყრილი ვულკანები ყვიროდნენ. უსაზღვროების გაუვალ ხრიოკებში ელდანაცემი პლანეტები ბღაოდნენ... პირველი მსოფლიო ომის აუწერელი უბედურება დასტეხოდა ქვეყნიერებას. დიდი და პატარა ფეხზე წამოჭრილიყო. განწირულ ხალხთა დაუსრულებელი ნაკადი ჭირხლივით მიიწევდა კაცობრიობის სასაკლაოზედ, სადაც ალქაჯების ცეცხლის კოცონი ენთო და გერმანელების იმპერატორი ვილჰელმ მეორე თავიდან ფეხებამდე იარაღასხმული ჯარით, ლენცოფანაჭამი ნადირივით დარეოდა ფრანგებს, რუსებს, ბელგიელებს...

ზარბაზნები გრგვინამდნენ, სისხლის მორევში იკეცებოდნენ მშვიდი სოფლები, მიწის პირიდან იღგვებოდნენ საუკუნეთა ჯაფით აღმართული ქალაქები, ნადგურდებოდა ხუროთმოძღვრების დიადი ძეგლები, ნაცარტუტად გადაქცეულიყო ერების აურაცხელი ქონება და სიმდიდრე, ბრწყინვალე ქმნილებანი გადანჩხვრეულიყო თოფის კონდახებით, ხელთუქმნელი საგანძურები ლაფში ამოეთხვარათ. ლუვრის კიბეზე ხელებმოკვეთილი მილოსელი ვენერა იდგა და გამვლელ-გამომვლელს ბედის უკუღმართობას შესჩიოდა.

დიახ, შავი ღრუბლები ტრამალებს, გზაჯვარედინებს და მთელ არემარეს მოაბნელებდნენ. ქვემეხები გრიალებდნენ, ტყვიამფრქვევები ღღედაღამ ყეფდნენ. სეტყვასავით წამოსულ ტყვიის თავსხმაში, ბათქაბუთქში, გაოგნებული მოსახლეობა სად გარბოდა თვითონაც არ იცოდა. ასე გასინჯეთ, ვეებერთელა კვამლის სვეტებით ცის კაბადონებიც იჭვარტლებოდნენ და კაცს აღარ ეგონა, თუ გამურულ ტატნობებს შხაპუნა ავდრები ოდესმე გადარეცხავდნენ. კამარებს ზევით აზიდულიყო: გამსკდარ ყუმბარებისგან გამოფუღრული მთის ორწოხების ბუღი, ძირფესვიანად ჰაერში ატყორცნილ შესანიშნავ ნაგებობათა შედედებული მტვერი, აფეთქებულ არსენალების ღრიანცელი, დანგრეული სახლების, ხიდების, ქოხმახების ანარეკლი, მართლაც, გველეშაპებს ალყა შემოერტყათ წუთისოფლისთვის.

დღე ერთი იყო და საგანგაშო საყვირების ათჯერ ზრიალი. სამარქაფო ჯარისკაცების ჭაჭანება აღარსად სჩანდა. სახანძრო რაზმში ქალები ეწერებოდნენ.

მტარვალების გამოისობით რა წვერამწვანებული ახალგაზრდობა ისხიპებოდა. ღმერთო,როგორ ნაქუჩებივით ისროდნენ ყმაწვილკაცობას გამძვინვარებულ ჭიაკოკონაში, რა უწყალოდ იქუქებოდა მთელი ქვეყანა.

გაძვალტყავებული ლტოლვილებით გაჭედილიყო რკინისგზის სადგურები, ტურტლიანი და მოხუხული ბაქნები. შიმშილისაგან დასუსტებულ და ხმამიკნავებულ ბავშვებს, შეწუხებულ დედებს, შრატის ფერი დასდებოდათ; ერთ ადგილზე ჯდომით მუხლები დაბუქოდათ; ხმაურს და ქრიალს, ნაგავს და ჩეჩქს, თუთუნის და ყლარტის სუნს, კარფანჯრებჩამტვრეულ დარბაზებს, ბამბის პატრუქამოჩრილ ჭრაქებს, ცარიელ თვალებადღა გადაექციათ უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები; ლტოლვილები იმდენად სასომოხდილები გამოიყურებოდნენ, რომ შეგებერათ, წაიქცეოდნენ.

შარა-გზებზე შიშიანობა იდგა: ძარცვა და რბევა გახშირებულიყო. მამასისხლად ფასობდა კვნიწი მარილი და შავი პურის ნატეხი. ბალბის და ნაცარქათამას კერძი სანუკვარ საჭმელად ითვლებოდა; თუ ღრინჭველას და მაჩიტას ვინმე მიაგნებდა, სიხარულით ცას ეწეოდა.

გამალებულ ომს ბოლო არ უჩანდა. საზღვრები ხელიდან-ხელში გადადიოდა. ფრონტები ამინდებივით იცვლებოდნენ ხიშტჩართული ბრძოლებით, ცხენოსანი მხედრების თქარათქურით, ამართული ხმლების ჭახაჭუხით, გამარჯვებულთა საიერიშო ყიჟინით და დამარცხებულთა უკან დახევით. თავში კეტდარტყმული კაცივით ბარბაცებდა ქვეყნიერება. ევროპის ხმელეთი შემოხვეული ურჩხულის სიმძიმით იზნიქებოდა. ჩახურებული დედამიწა მკვდრებს ძლივსღა აუდიოდა, სასაფლაოებს ვეღარ ინელებდა, სისხლს აღებინებდა, სუნთქვა ეკვროდა, მზად იყო ზეცის ბადიმი აენგრია და სადღაც შორს, შორს... თუ გნებავთ სინათლის იქით გადახვეწილიყო, ოღონდ მსოფლიო უსიამოვნებას, გაუნელებელ შფოთვას, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას განშორებოდა... განშორებოდა ცოდვილ ქვეყანას.

შებოლილ სივრცეებში ფრინველებსაც სული უგუბდებოდათ. რა ვუყოთ, თუ მხოლოდ ლეშით გამაძღარი ჭილყვავები მეტიჩრობდნენ, აუგს ყბედობდნენ. სამაგიეროდ ბრძოლის ველზე ცოდვის კითხვა ტრიალებდა: აჩეხილ და წელებგამოფატრულ მებრძოლთა ზედახორა, დასახიჩრებულ მოკლულებით ამოვსილი ჭაობები; ხრამში და ღრეებში გადაჩეხელი საბიდრები, ავტომანქანები, ტყვიით დაცხრილული ჭაბუკები, თავგაპობილ პირუტყვებთან ერთად ერთიმეორეში აწელილიყვნენ; მინდ-

ვრები მოდებული იყო გაფშეკილი და გახრწნილი მკვდრებით, უყურადღებოდ მიტოვებული დაჭრილებით; წყლით სამსე ორმოები, ხომ საშინლად ყარდა ნაიარევი და ჩირქგამხმარი გვამებით. ხევში თავდაყირა გადავარდნილი ჯავშნიანი მატარებლები, ნაპირზე გარიყული დამხრჩვალი მეომრები გამობერილი მუცლებით; პირქვე გადმობრუნებული ნავსადგურებთან ღუზაჩამოყრილ და ცხვირშეჭყლეტილ ხომალდების შიშინი; ჩაძირულ გემების ალაგას მეზღვაურთა ქუდების, ბავშვთა სათამაშოების, დამსხვრეული კარჭაპების, ნავების, ნიჩბების ტივტივი – კაცობრიობის ჭკუაზედ შერყევის უტყუარი ნიშული იყო.

სახიფათო კუნძულის მობინადრენი – ტარტაროზი ინგლისელები, გამოჩერჩეტებულ და ხეკაკუნა ნიკოლოზ მეორეს აქეზებდნენ, ზოგჯერ კიდევაც აიძულებდნენ, რომ ურიცხვი ლაშქარი მიეყარა ევროპის და მცირე აზიის სანგრებთან.

უდედმამოდ დარჩენილი, თვალებშეშუპებული ბალღები, შერცხვენილი გოგონები ერთი ქალაქიდან მეორეში დაძრწოდნენ და ცრემლმორეულნი ეხეთქებოდნენ ალაგმულ სიცოცხლის გადამწვარ მარგილებს.

მდუღარე სისხლის ნიაღვრებში ლპებოდა: მიქელანჯელოს, დოსტოევსკის, ბაირონის, ბარათაშვილის, პუშკინის, ჰიუგოს სამშობლო. საფრანგეთის სატახტო ქალაქში გერმანელების ყუმბარები წიოკობდნენ, პარიზი ღველფში და ღადარში იკრუნჩხებოდა. ომის ქარაშოტი საბერველივით უბერავდა, წალეკილ ხალხთა საუნჯეს დაუზოგავად ანიავებდა. დედამიწა კოკისპირულ ტანჯვის საღღვებელში ჩაეგდოთ, მართლაც გავარვარებულ საკირეში იწოდა ახლადფეხადგმული მეოცე საუკუნე.

თუჯისფერი ღრუბლები ისე ეკიდა, თითქოს ზეცას სარჩული გამოსჩროდა.

წელმოწყვეტილი და გამოთაყვანებული მეფეები, აბრეშუმის შარიშურში ჩაფლული ქარაფშუტა და თოქშო დედოფლები, უფლისწულებს ბაჭიებივით უფრთხილდებოდნენ, სეფე-ქალებს და ძიძებს დღეში ათჯერ უტატანებდნენ; თაღლითი და ყოყოჩი პრემიერ-მინისტრები, ფხუკიანი და ჩხაკუნა დეზებიანი მთავარსარდლები, განიერ რუკებს გამადიდებელი შუშებით წაყუდებოდნენ, მტრის სტრატეგიულ გეგმებს ფუშავდნენ, ერთმანეთს ფეხებში ბრიყვი ჩოჩრებივით ეხლართებოდნენ, თან გაცხარებული კამათით და ყვირილით ჭიჭინაზე სივდებოდნენ...

გაიძვერა ელჩები და გაქნილი დესპანები ერთ შეხლა-შემოხლაში და ჩოჩქოლში იყვნენ: შიკრიკებს სინსილას უწყვეტავდნენ, ხან სად აფრენდნენ, ხან საით; ერთიმეორეს ლაყე კვერცხივით ასკდებოდნენ,

თეთრ ხელთათმანწამოცმულ ხელებს იქნევდნენ, მუშტებს მაგიდაზე უტყაპუნებდნენ, მეტისმეტი სიანჩხლით სისხლი თავში უვარდებოდათ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. საიდუმლო მიმოწერების, მლიქვნელი პიროობების, ფარატინა ქაღალდის ფასად რომ ღირდა. სახელდახელოდ შეთითხნილ აზრების კისრის ტეხვა და კორიანტელი იდგა, დაგეშილ ჯაშუშებს თავის საჩხერკედელაო ამინდი დასდგომოდათ: მტრის ზურგს უკან დაეხეტებოდნენ, მიბობღავდნენ. ჯარის განლაგებას ზვერავდნენ, სამხედრო ბაზებში ნიღაბამოფარებული მიძვრებოდნენ; საეჭვო რესტორნებში მიმტანებად ეწყობოდნენ, რომ ყბედი და ბახიბუხა გენერლებისთვის განგებ ყური წაეყრუებინათ, თუმცა ბევრ მათგანს ჯილდოს სანაცვლოდ სახრჩობელას ყულფზე კონწიალი დაჰბედებოდა.

ტყვეებს ეკლიან მავთულით შემოვლებულ ბანაკებში ერეკებოდნენ, შიშდარეულებს სახეზე კაცის ნასახი ძლივსღა ემჩნეოდათ. იყვნენ ისეთი ყალიბის წუნკლიანი ბედოვლათებიც, რომ ტყვედ ჩავარდნილების წამოყვანა ეზარებოდათ, იქვე ხვრეტამდნენ, ან ცოტას გაიტყუებდნენ და სადღაც უწყალოდ სპობდნენ. იმ უბედურთა არც მუდარა, არც ტირილი, არც მუხლებზე ხელების შემოხვევა მათ გულს არ უჩვილებდა, არ ულბობდა. მართლაც, რომ ომი ლმობიერებას აქრობს, ააბრაგებს, ამხეცებს ადამიანებს.

ჩულიან და ცინგლმოუწმენდავ სულთანის თურქეთს ამიერკავკასიის დაპყრობა განეზრახა: ჭოროხის ნაპირიდან, არსიანის ქედიდან, გაღმა არაქსიდან ჯაჭვაწყვეტილ ნაგაზივით იღრინებოდა და ჰამბურგის ბაზარზე შესყიდულ დურბინდით ათვალიერებდა აჭარის, მესხეთის, ალექსანდრეპოლის მიდამოებს.

ოდესღაც სათათრეთში გადახვეწილ სომხებს ნახევრად ველური ასკერები ანატოლიის ხრიოკებში ულმობლად ჟუჟავდნენ, ანკარელი ნადირები უდანაშაულო ხალხის სისხლში ამოთხვრილ ხელებს, ვერც ერთ შთამომავლობას ვეღარ დაუმალავენ. ხერთვისის ნეკნებჩამტვრეულ ციხის წყევლას ხონთქარის ჩამომავალნი განა ოდესმე მოინელებენ?

თურქეთში გატაცებულ ქართველს პოეტი სწერდა:

> რუხი მეჩეთი ცაზე აყრილ  ღრუბლებს იცოხნის,
> ზოგჯერ ამთქნარებს ყურანივით ტლანქი, ტიალი.
> შენ კი ჩადრივით მოგისხია მხრებზე სიცოცხლე,
> მიჰყვები ბურანს და გიყურებს მთა თრიალეთი.
>
> ვიცი მოკეთევ, უცხოეთი გღრღნის და გაწამებს,
> გატაცებული ნაფუშვრები, ქედი, მინდორი,
> დახედავ ყვავილს, ვით მძინარე ბავშვის წამწამებს,
> თავს დატოტვილი რო ადგია ხნიერი წნორი.

ოშკის სამრეკლოს ჩუქურთმებში ბუღობს სიმღერა,
ეგ იავნანაც თამარ მეფის სახის ხალია,
ჩაფიქრებულხარ გზიდან-გზაზე ბედამღვრეული,
და ქართულ ჰანგებს შენს მკერდის ქვეშ უფართხალიათ.

იცი, რომ შენსკენ არსიანის ნაკადულები,
გულდაწყვეტილი ბალღებივით იცქირებიან?..
ხერთვისის ძირში მტკვრის ტალღების აკიდოები,
რატომღაც ძმაო, ხან ვაზივით იცრემლებიან.

დრო რას დახეთქავს სწრაფ ჭოროხის ზვირთების ყავარს,
ზედ გადახვეწილ ქართველების ფიქრები ყრია.
რა დაავიწყებს ჩემი ერის დიდების მაყარს,
ვინც საქართველოს დერეფანი ჩამოანგრია.

ხრიოკ სივრცეში მინარეთი მძიმეთ ახველებს,
ხედავ, უბედურს ჭლექი როგორ შეუნახია?!.
მანდ რჯულშეცვლილი დაემხობი მეჩეთის ხვრელთან,
მესხეთში შენი ქრისტიანი დედა მარხია.

ავსტრიის მხარეზე გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა, იქ, სადაც ხრიკიანი რედლის ღალატმა, კინაღამ სულერთიანად არ დაღუპა ფრანციოსების მიწა-წყალი, ჩაუხა პრეზიდენტების და მილიონერების წასისინებით მთელი დასავლეთი ცათამბჯენ ჭიაკოკონაში ათქვეფილიყო, ცეცხლის ნაპერწკლების ტკაცატკუცი და ტკრციალი ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანედან ალჟირის ნაპირებამდე სწვდებოდა.

ღვედდაწყვეტილი დედამიწა ჭაპანს ვეღარ ეწეოდა და ისტორიის აოხრებულ გზებზე გულსაკლავად ბღაოდა. აოშვნილ უბედურებას გაპარპაშებული მტარვალები დახაროდნენ, ძვირფას ნადავლს, დოლარებს, სტერლინგებს და ეკატერინე მეორის სურათმიტყეპებულ ათთუმნიანებს სეიფებში ინახავდნენ. დასწყევლოს გამჩენმა, რაღაც ბრმა-ყრუობა ბატონობდა, გიჟები მართავდნენ ქვეყნიერებას. სიბნელის ბათქაშით შემოლესილი სამფლობელო გეგონებოდა, სადაც შმაგების გაუგონარი უტიფრობა და გონებამიუწდომელი ბოროტების კუნტრუში მეფობდა.

ილაჯგაწყვეტილი ხალხი მოითხოვდა უთანასწორობის განადგურებას, ზავს, მშვიდობას, რომანოვების, ჰოგენცოლლერების, ჰაბსბურგების დინასტიის დამხობას.

რუსეთის მხნე და მედგარი ჯარისკაცები თოფებს უღერებდნენ ორთავიან არწივს, რომლის ყივილს ბანს აძლევდა დახავსებული იმპერიის კედლების ჭრიალი.

ჩემმა მეგობარმა თავისი თვალით იხილა: ომის აუტანელი ქარცეცხლი.

გაფიჩხებულ ჭაბუკებზე, კრიჭაშეკრულ და განგმირულ ვაქკაცებზე ჯიქივით ნამქერის ფრთებგაშლილი ბუქნა; სასოწარკვეთილი ადამიანები როგორ მირაგრატებდნენ ომის ნიაღვრებისგან წალეკილ გზებზე, დანაღმულ მინდვრებზე და ისე იღუპებოდნენ, რომ მათი ხორცის ნაფლეთებიც აღარსად სჩანდა.

გულდანაკრულებული ხალხი ბორგავდა... მოთმინების ფიალა ევსებოდათ. ხსნისკენ ლამობდნენ. წყალში დამხრჩვალი მოხუცებით, ჭაბუკებით, ბალღებით, მდინარეები შეგუბებულიყვნენ, სრუტეები პირქვეამობრუნებულ კრეისერებით გატიხრულიყვნენ; ზღვებს შუაზე გაგლეჯილი ჯებირები გადმოელახათ და ხმელეთზე კბილებდაკრეჭილი მდევებივით მოიწევდნენ.

თებერვლის რევოლუცია შემოდგომის დარივით დაიწყო. ის თითქოს თაბაშირიდან იყო ამოქნილი. დაღლილი და დაქსაქსული ჯარი მორღვეული ფრონტიდან შინ ბრუნდებოდა ვაზნებდაცლილ პატრონტაშით, ჩამოშვებული თმებით, გაბარჯღული წვერ-ულვაშით, დაცხავებული ფარაჯით, ჩამოდღლეზილი სამხარეებით, ბაწარამოკრული ჯღანებით, დაძონძილი ტოლაღებით, ზოგს ტალახში ამოსვრილი ჩანთები და კორპდაკარგული მათარები აეთრია. ზოგიერთს თავის ჭრილობა ჭუჭყიანი ბანდით შეეხვია, ზედ გამონაჟონი სისხლი რო შეხმობოდა.

საბარგო მატარებლების ვაგონები, ბანები, ასე გასინჯეთ ორთქმავალიც მეომრებით იყო გაჭედილი, ამას ზედ ერთვოდა ჩხუბი, მუჯლუგუნი, ალიაქოთი, ლანძღვა, მუქარა; ზოგს ფეხი უცდებოდა და გაქანებულ მატარებლიდან სასიკვდილოდ ენარცხებოდა მიწაზე. იყო ერთი ჭყლეტა, თავ-პირის მტვრევა და აყალმაყალი.

არაქათგამოლეული და შეფიქრიანებული მემანქანეები ოფლად იღვრებოდნენ, ცხვირის ნესტოები, სახის ნაოჭები, ყურები ჭვარტლით გამოსტენოდათ, თავიდან ფეხებამდე მურში ისე იყვნენ ამოსვრილები, რომ ადამიანის გარეგნობის ნასახი დაჰკარგოდათ; გეგონებოდა შავ ტანისამოსზე ძალათი მიეკრათ თვალის კაკლები და ოდნავ მოთეთრო კბილები. ორთქმავლები, როცა უახლოვდებოდნენ სახიფათო მოსახვევებს და დაზიანებულ ლიანდაგს, განსაცდელში ჩავარდნილ მგზავრებივით კიოდნენ, აღმართზე მძიმე ტვირთს ვეღარ ეწეოდნენ, ჩერდებოდნენ და საცოდავად ქშინავდნენ.

ორიოდე გადარჩენილი საბადრაგო გემი ეზიდებოდა: დაჭრილებს, ხეიბრებს, ავადმყოფებს, ფეხებმონჩხვრეულებს, ჭაპანწყვეტით მიარღვევდა ზღვის აქოჩრილ ზვირთებს, ხან გზადაბნეული კამეჩივით დაიყროყინებდა,

ხოლმე, თვალუწვდენელ ტალღების უდაბურებაში.

მიუტევებელი მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა.

ფეხათრეული გერმანელები ვერსალის სასახლის წინ ღრიალით დააჩოქეს. გაუგონარმა ხარკმა ხომ ტევტონების მოდგმას წელი ჩასწყვიტა.

ონავარმა ვილჰელმ მეორემ, თავიდან წვეტიანი გვირგვინი მოიძრო და უცხოეთის ქანდარას შეეხიზნა.

დიდი დავიდარაბის და თავპირისმტვრევის შემდეგ, როგორც იყო მგოსანი თბილისში ჩამოვიდა. ბინად თავის მეგობარ მხატვართან მოეწყო. ომის ჭირ-ვარამს თავისი დაღი დაემჩნია პოეტის ხასიათზე, ძილში მალიმალ შეხტებოდა: „უშველე, ცოდა, ცოდო!“ – ყვიროდა ბედშავი სიზმრებით დატყვევებული.

მხატვარი ელდანარევ მეგობარს მზრუნველობას არ აკლებდა, ჯანს არ ზოგავდა, იმის გატეხილ ჯანმრთელობის აღდგენაზე ფიქრობდა. პოეტს გამუდმებით აწუხებდა ფეხის ჭრილობა, ეტყობოდა, გასაოხრებელი ყუმბარის ნამსხვრევები რბილში ჩარჩენოდა.

– რა ამბავია ჩვენში? – ხშირად ეკითხებოდა მგოსანი დაღონებულ მხატვარს.

– გაიხედე რა არეულობაა! ყველაფერს ნატისუსალი ასდის, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, ჩვენი სამშობლო სულს ღაფავს, საქართველოს დოვლათიან ფიჭაში კრაზანებმა დაიბუდეს...

მხატვარი ვიღაც რეტიან მევახშეს სახლის კედლებს უთეთრებდა, ოთახის ჭერზე თაიგულებს უხატავდა, იატაკს ოდნავ გამომწვარ აგურისფრად ღებავდა, რადგან სამუშაოს თავს ვეღარ ართმევდა, შინ გვიან ბრუნდებოდა. მგოსანიც რომელიღაც კერძო სტამბაში ამკინძავად მოწყობილიყო, ის აღარ უხვევდა ღვინის სარდაფებში, აღვირახსნილ ცხოვრებისათვის თავი დაეკრა.

პოეტი ვახშამს ამზადებდა, როცა დაღლილმა მხატვარმა ოთახის კარი შემოაღო.

– თუ წაიკითხე ფარფლაძის ლექსები? – შეეკითხა მხატვარი.

– არა! – უპასუხა ლექსისმოყვარემ.

– აბა, ერთი გადახედე. – მხატვარმა ყვითელყდიანი წიგნი მიაწოდა მგოსანს ისეთი ქცევით, თითქოს ხელში რაღაც საწამლავი ეჭირა. პოეტმა წაიკითხა რამდენიმე ფუქსავატი ლექსი, სადაც პოეზიის გარდა ფაფანაჭამ სტრიქონებზე და მჩატე ფიქრებზე ყველაფერი უშნოდ ეყარა. რაღაც მყრა-

ლი სუნი ასდიოდა დახავსებულ რითმებს, კბილმოცვეთილ სახეებს და პოეტურის უჯიათო ღრეჭას, კუს ნაბიჯებს ჰგავდნენ ქილიკა, ბლაგვი პწკარები.

— ამ დაგვალულ ნაჩხაპნებს რომ წაიკითხავ, ასე გგონია რუსთაველის სამშობლოში კი არა, ავსტრალიელ ველურებთან იმყოფები. ღმერთო! გვიხსენი ამ უწმინდურებისაგან, ჯვარი აქაურობას! ასეთ ბუიტ ლექსს, თუ გინდა ცისმარე დღე შემოუბარე, შემოუთოხნე, მორწყე, მაინც გახმება, — წამოიძახა აღშფოთებულმა მგოსანმა.

— ეგ ხომ თავის მოჭრაა! ანგლო-საქსების რასას აქებს და მერე როგორ უსირცხვილოდ!

— ამ უნიჭო მელექსეს,რომ ჰკითხო,ალბათ გიპასუხებს: მე სრულიად ახალი მიმდინარეობა შემომაქვს ლიტერატურაშიო.

— ასე ემართება ზოგიერთ მუსიკოსსაც კაკბების კაკანის მაგივრად რაღაც ყროყინს გადმოგვცემს, ნაკადულის რაკრაკის სანაცვლოთ წვიმის წუმპეს შეგიშხაპუნებს სახეზე, ყურთა სმენას გიხშობს და სჯერა, რომ ახალ ჰანგებს ნერგავს ხელოვნებაში, ნაცარქათამა სამეფო ვარდი ჰგონია.

— პირფერობა უმწეო მწერლების მოგონილია.

— იმის მაგივრად, რომ საწყალ ფიროსმანს შემწეობა მისცენ, დაეხმარონ, საცოდავი ავად ყოფილა...

— სადა სცალიათ რეგვენ მინისტრებს, ასეთ პირუთვნელ ადამიანებს მიხედონ, ისინი ბანქოს თამაშში აგირავებენ ამიერსა და იმიერს, ისინი ხალხის სისხლში კოჭაობენ,ყურს არაფერზე არ იპარტყუნებენ,— მიუგო მგოსანმა.

— როცა სახელმწიფოში ასეთ დაქუცმაცებას და არევ-დარევას ხედავ, უნებლიედ გული გადმოგიცივდება ეს ოხერი, აბა რა არის? — თითქოს თავისთვის წარმოსთქვა მხატვარმა და მძაღე მჭადის ნატეხი ბადიაში ჩაიფხვნა.

ორმა მეგობარმა ძუნწი ვახშამი დაამთავრა. გარეთ შხაპუნა წვიმამ დაუშვა, ახმაურდნენ სახლის ბანები, არახრახდნენ თუნუქის მილები, ენები გარეთ რომ გადმოეგდოთ, თითქოს ხახაში ხელი ჩაეყოთ და წვიმის უმარილო წყალს აღებინებდნენ. შეხტნენ და შემოხტნენ ქვაფენილებიც, კაკუნი ასტეხეს ფანჯრებმაც...

მგოსანმა მეგობრის თხოვნით თავისი რვეული გადაშალა.

დარდი კვამლივით მედება ყელზე,
ირგვლივ რიყეა, უდაბნოს ქვები,
ისე დავდივარ ამ ქვეყანაზე,
თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები.

თითქოს ქადაგად დავცემულიყვე,
საკუთარ ბედის ანთებულ ხატთან,
და ალიონზე, მამლის ყივილზე
ავგზნებულიყავ ქარში თანდათან.

სადღაც კიაფობს მთვარის ბულული,
შუქი დამეძებს, უნდა რომ სწუხდეს,
თითქოს მე ვიყვე გამოქვაბული
და ჩემ ქვეშ სისხლის მდინარე ჰქუხდეს.

გარეთ წვიმა იალქნებიან ქარს ებღლაძუნებოდა, პოეტის გულზე მეორე ლექსი შვავდებოდა:

სულს როცა ლევდა, უკანასკნელად
ბოროტ თვალებით გახედა ველებს,
გაღმით უკუღმა ეგდო ქვესკნელი
და შიგ სისინი გაჰქონდათ გველებს.

დაუმარხავი გვამივით ყარდა,
ხვლიკი სუნავდა ხანგამოშვებით,
წარმავალობის ტიალ ყორესთან
ქარი ცეკვავდა თეთრი ქოშებით.

ჩაბნელებულ ხსოვნაში რაღაც ინთებოდა და ისევ ქრებოდა.

წვიმა თავსხმას უმატებდა. კამეჩივით გალაჯულ ღამეს აბანავებდა, სამურველით ხეხავდა. ქარი კი ნაგიჟარივით დარბოდა: ხან ტელეგრაფის მავთულებზე უსტვენდა, ხან ქუჩებში მოვარდნილ ნიაღვრებში შიშველ ფეხებს ყოფდა და ქალივით კიოდა, ხან კარებებს აწვებოდა, კარებები დაღლილ ადამიანებივით ძლივს რომ სუნთქავდნენ; ხან ფიცრულ სახლებს აჭრაჭუნებდა, ხან რომელიღაც შენობის სხვენზე აიჭრებოდა, აქეთ-იქით კრამიტს ყრიდა, ხან მოგლეჯილ ყავარს გაწუწულ მგზავრებს უშენდა.

მხატვარი სდუმდა და თხელი თუთუნის კვამლი კედლის ლურსმანზე ჩამოკიდებულ ლამფის შუქს ევლებოდა. პოეტი განაგრძობდა:

სად, ვინ ჩაგიხსნის აფიცრულ სარკმელს?
სად,ვინ იპოვნის უძეგლი ცხედარს?
ვისაც სიცოცხლე სიკვდილისაკენ
მიჰქონდა, როგორც უგრძნობელ მხედარს.

და სულ არაფერს არ დაგიდევდა,
არც რიჟრაჟს, არც ბინდს, არც შუაღამეს,
ვინც არ იცოდა, ვინ იყო დედა,
იქნებ ანდერძად ეტყოდა რამეს.

– „ცაცხვის ხე“ წაიკითხე, – სთხოვა მხატვარმა. პოეტმა მელნით ნაწერი გადამქრალი რვეული შუქის ქვეშ მოიმარჯვა:

ყვავებს შეუტევ, მიაყრი რისხვას,
რადგან მხოლოდ შენ შეგებრალები,
ფოთლებს დამაყრი შემოდგომის ხანს
და ეს იქნება შენი ცრემლები.

თუ ზამთრის ღამეს, ოდესმე წამლად
მთვარე კრიალით გამოჰყვეს ქაოსს,
უთხარი: დიდხანს ნურსად ნუ წავა
და შენს ტოტების გარს იტრიალოს.

მოუყე: როგორ მტკიოდა გული,
ძვლებს როგორ მღრღნიდა მთელი ქვეყანა,
როგორა მძულდა მიწის გუგუნი
და საუკუნე ბრიყვი, ყაყანა.

მეტს ნულარაფერს ნულარ უამბობ,
თორემ მთვარის ხმას ვერ გაიგონებ,
ის მწუხარეა როგორც ობლობა,
ის სიცოცხლეში ერთხელ ღუღუნებს.

ცაცხვი ფერს შესცდა, რა ამბავია?!
იტყვის სოფელი ერთ სისხამ დილით,
„აქ ხე მარხია პოეტის გვამით
– სახადშეყრილი და მოთენთილი“.

## ე

*ამოიოხრა და თან ამოატანა*
*მთელი სიცოცხლე.*

ვიწრო ქუჩის აღმართის ზევით წამომდგარ ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა ხანშესული მწერალი, კარგზე კარგი ადამიანი. მომსწრე იყო აუარებელი ამბების, ვინ იცის რა არ გადახდენოდა, კალოს გარდა ყველაფერი დატრიალებულიყო მის თავზე.

დაბრეცილ ქუჩებს, შეღმართებზე ჩამოფენილებს ხშირად ჩამოჰყვებოდა ხოლმე ჩვენი მოხუცი, რომ იმ რედაქციაში შეევლო, სადაც იმის ნოველები თმაგაჩეჩილ გამომცემელს გადასწორებული, წაშლილი და,

ზოგიერთი, წლობით წაუკითხავი, თავის მაგიდის დანჯღრეულ უჯრაში ეყარა.

ხომ გინახავთ უყმური კაცის ბოღოზი სახე: ყბის ძვლები გარეთ რომ გამოსჩრია ხახვის ფურცლის სიფრიფანა ტყავიდან, მეჭეჭი ცხვირზე ფითრივით რომ შეტყუპებია; ჯიბლიბოთი დათხრილი თვალები, თითქოს ორი ჯოჯო იცქირება ორ ხამხამა სოროდან; გათხლეშილი ტუჩები, ჭიანაჭამი კბილები, ღვარძლიანი ღიმილი; აი, ვის ხელში ჩავარდნილიყო ხანშესულ მწერლის ავლა-დიდება.

– „თქვენს ნოველებს ჩვენს ჟურნალში მაშინ დავბეჭდავთ თუ ჩემს შესწორებებს დაეთანხმებით!“ – მიახლიდა გამომცემელი რიდებით მისულ მწერალს შესვლის უმალვე.

– „თუ თქვენ თქვენებურად გადააკეთებთ, ის ხომ ჩემი თხზულება აღარ იქნება!.. განა არ სჯობიან... თქვენი სახელით დაბეჭდოთ...“

– „მე რედაქტორი და გამომცემელი გახლავართ, უწინარეს ყოვლისა, თქვენს მიუღებელ გამოთქმებზე მე ვაგებ პასუხს. რა ძალა მადგია, თქვენი ნაწერების გამოქვეყნებით არსებობის სახსარი გავიწყვიტო და თაგვის ხვრელი სანატრელი გამიხდეს! იქნებ, ეს უბედურება გინდათ დამაკისროთ?“

– „ხალხს შევეკითხოთ, ხალხი იტყვის დასაწუნია თუ არა!“

– „ხალხი – ბრბოა, ბრბოს კი არ ვეკითხებით, ზევით უნდა მოეწონოთ, ზევით-მეთქი, ხომ გესმით, უჯიათო ადამიანო“, – ზვავდებოდა ლიტერატურული მრუში.

– „ისე რომ, ჩემი ნოველების გამოქვეყნებისთანავე წარღვნას მოელით, არა?“

– „თქვენ ეს გწადიათ!“

– „რას ბრძანებთ, ღმერთმა დამიფაროს, მე რომ გავხდე საბაბი თქვენი უბედურების“, – დამშვიდების კილოთი მიმართავდა ხოლმე მხცოვანი მწერალი რიოშ და გაქსუებულ მასპინძელს.

– „ნიაღვარზე უარესია, როცა თქვენ სწერთ: რაღაცა მქონდა გულის ნაჭუჭში შემონახული ყაჭის ბანდივით!.. რა არის ეს „რაღაცა?“ თუ არა სიძულვილი ჩვენი ძალაუფლების მიმართ“, – იფხრიწებოდა ბუხრის ალივით ასწრაფეული ხოროშაკი.

– „როგორ კაღრულობთ ცილისწამებას!“ – კანკალებდა მოხუცი.

– „მოითმინეთ, მოითმინეთ! ავიღოთ კიდევ, თქვენი სიტყვები: დედამიწაზე ნეტავი რისთვის შემოვეხეტე!? აბა რასა ჰგავს? სად აპირებდით მაინც შეტრიალებას? სხვა რომ ჩემს ადგილზე იჯდეს, დამერწმუნეთ, ერთი რიგიანათ გამოგლანძღავდათ ე, მაგ ენას შიგ ძირში ამოგაძრობ-

დათ და ისე გაგისტუმრებდათ აქედან“, – ცეცხლშეშინებული ბილწი გამომცემელი დოს უბერავდა...

– „ბოდიში, თქვენი ჭირიმეთ!“ – ამასღა ეტყოდა განკიცხული მწერალი ბრაზმორეულ და წყალწაღებულ ბაზიერს. გულჩათუთქული ბრუნდებოდა შინისკენ ზეზეურად ჩამომხმარი სათნო მოხუცი, მუდამ და მუდამ მიუსაფარი, მუდამ და მუდამ გაწბილებული. მიჰყვებოდა აღმართებს ბურუსივით ვით მატიანე. სად მიიწევდა მოხუცი კაცის ბედის ყევარი? კვიმატი სიცოცხლე რათ უსუსხავდა სანდომიან და საყვარელ სახეს? რათ მოუჯახუნა ყველამ კარები? რათ უსწრაფებდნენ გაუხარელ დღეებს? რათ აითვალისწუნეს? ნუთუ იმიტომ, რომ ის სწერდა კაეშნითმოცულ ესკიზებს? ის ხომ საკუთარი ძვლების ჩინჩხვარს უკეთებდა თავის შემოქმედების ცეცხლს; ის ხომ თავისი გულის საქაჯავში სწურავდა კამკამა ცრემლებს, გვირილებივით რომ ყვაოდნენ მის ცხოველმყოფელ ნოველებში; ის ხომ თავის უებრო ნაწერებს ფეხქვეშ არავის უშლიდა.

რათ გადაქცეულიყო უდაბნოს სილად იმის განკიცხული სიცოცხლე? რატომ არ მოსჩანდა არსაიდან მივარდნილი ოაზისი? ერთადერთი საგუბარი მაინც!?

თითქმის ყველა კვირაძალზე ჩემი მეგობარი მოხუც მწერალს მიაკითხავდა, ერთმანეთი ისე უყვარდათ, თვალში რომ ჩავარდნოდნენ, თითს არ ამოისვამდნენ. მგოსანი ხშირად უყვებოდა ომში გატარებულ წლების თავგადასავალს.

ხან ასეთ საუბრიდან ხელოვნების საჭირბოროტო საკითხებს ეხებოდნენ, ხან საკუთარ ნაწერებს გადაფურცლავდნენ, მოხუც მწერალს, რატომღაც, უყვარდა ეს ლექსი:

შენთან ყოველთვის იმ დროს მოვდივარ,
როცა ბინდებში ხალხი ილევა,
ჩემი ცხოვრება შენი დარდია,
შენ კი ხარ ჩემი განწყობილება.

როცა შენ აღმართს შევყვები ხოლმე,
ხმა მესმის: რეკავ იდუმალ ზარებს,
ამ დროს ქვეყანა თითქოს ხომლია,
და ყველაფერი პირქვე ზანზარებს.

შენ რომ მრევლი გყავს ისე ამოდის,
როგორც შერისხულ მლოცველთა ხროვა,
იწყობა ჭმუნვა მორთხმულ მოგვების,
და შორიახლო ავდრების გლოვა.

შენი ხე გარეთ გზნებით საუბრობს,
გზნება, რომელიც ჩვენც გაგვახუნებს,
ხე რომ შენსავით ყველას გაურბის,
და ხან მგზავრივით რომ გირახუნებს.

აქ არის რაღაც მწველი სიამე,
გულს რომ ჩასტირი და იმალები,
შენი საკანი თეთრი ღამეა,
ან დაღუპული კაცის თვალები.

ხან ჭროღა თვალებს უცბად იკროლავ,
თითქოს კვნესიხარ: მიშველე დედავ!..
თითებს ისრესავ, სხეულში ხრჩოლავ,
ო, ეგ სამიწე ხელების ფშვნეტა.

ამ დროს შენს სახეს რას დაინახავ,
ძმაო, გამჩენმა არ დაგანახოს,
ისე შმაგია მაშინ ეგ სახე,
რომ შეიძლება კაცი დალახვროს.

აგეკვიატე, ნეტა რა ჭირად?
შენ რას აგწერდა რემბრანდტის ფუნჯი.
ამ დროს ხელებში გველი გიჭირავს,
და თვალებიდან მოსჩანს ფასკუნჯი.

ფანჯრიდან თითქოს ვიღაც გახელებს,
ნუთუ არ ეყო, რაც რო გაწვალა?
სტუქსავ დღეებს და სწყევლი იმ ხელებს,
სამშობლოს გზები ვინც მოგასწავლა.

ბედმა სამხარიც კი ჩაგიმწარა,
და შეგაჩვია შფოთვა სიცილით,
რა ვუყოთ მერე, ვიღა არ წავა,
მიწისკენ მაინც მეფობს სიკვდილი.

ჯანდაბას, ეგრე იხეტიალე
ხან გაიღვიძე მუდამ გნიასით,
ხედავ ზვარაკო, შენ და სიცოცხლე
ამ დედამიწას როგორ შეაშრით!

იტყვიან: ჩუმად ვიღოდი ხალხში,
ზოგჯერ ხალხისგან სალამიც სწყინდა,
როცა სულ მარტოდ რჩებოდა სახლში,
რაღაც ფერშემკრთალ სიგიჟეს ქმნიდა.

> რამდენი ბრიყვი ავს დაგაბრალებს:
> „ვიცნობთ იმ ყარყუმს, მგონი მუნჯია“,
> სად, ვინ, შეიგრძნობს იმ კაცის თვალებს,
> კაცი რომელიც ხან ფასკუნჯია.

ნოემბრის ქარშეყრილი ღამე ყმუოდა და ჩაბნელებული სივრცეები უფრიალებდა. მოხუც შემოქმედს ტკბილად ეძინა, როცა ხელისუფლების საიდუმლო აგენტები მიუხტნენ, კარები დაუკაკუნეს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მწერალი დაფეთებული წამოვარდა, თითქოს იგრძნო, რომ რაღაც უბედურება დაატყდა.

კარის გაღება იყო და ავაზაკებივით შეცვივდნენ მოხუცის ბინაში. ხორკლიანი ხელებით ყველაფერი გადაუქოთეს, ოჯახის ნივთები მიყარ-მოყარეს, ყურთბალიშიც გადმოაბრუნეს, არ დაუტოვეს გაუჩხრიკავი სათუთუნე ქისაც კი...

რეტდასხმული და საგონებელში ჩავარდნილი მოხუცი საცვლების ამარა იდგა, ძაგძაგებდა, შეშინებულ ბავშვივით უყურებდა თავის ანგრეულ კერას.

– ბებრუცუნავ! ხომ ხედავ დაპატიმრების ორდერს? დაუყოვნებლივ ტანთ ჩაიცვი, შეჰკარი შენი ლოგინი, უფლებას გაძლევთ ერთი ხელი თეთრეული იქონიო. აბა, სწრაფად მოემზადე! – უბრძანა უცხვირპირო მტარვალმა თავბრუდახვეულ მოხუცს.

– ორიოდე წიგნის წამოღების ნებართვას ხომ მომცემთ? – შეევედრა მწერალი.

– წიგნები არა ეხლა ჭიანური არ გნებავთ კიდევ? – შეღრინა ნადირმა, და ბაყვებში მოხუცის ნაწერებით გატენილი ტომარა ამოიდო, რომ პირი კანაფით მოეკრა. გახელებულმა ავაზაკებმა სახლის კარი დალუქეს და ჯანგატეხილი მოხუცი უკან ხელებგაბაწრული წაიყვანეს იქ, სადაც ღრჯოლებგადმოყრილი ალქაჯები სისხლით გათხვრილ საკანში შებორკილ ტუსაღს ელოდებოდნენ.

ხელებდამიწებულმა სიკვდილმა ჩამოირბინა.

რაზე მოსრისეს, რისთვის მოფშვნიტეს ის ადამიანი, რომლის შთამაგონებელ ფიქრებში ათონის ზარის ჩამორეკილი ჰანგები ბუდობდნენ და საკმეველ შეპყრობილი კელაპტრები კიაფობდნენ. ნუთუ, ამ ბებერი კაცის ბუტბუტის შეეშინდათ? ერთი ფეხი სამარეში რო ედგა. და მეორე ფეხით მიწაზე ძლივს ფამფალებდა, ის ხომ საატევარს არავის არ უღერებდა, ის ობოლი ბალღივით მისჩერებოდა თავისი ცხოვრების სიდუხჭირის საფლობებს.

მარტოხელა და გულჩახვეულ ხელოვანს, საიდანღაც წამოეწია

წყეული ფასკუნჯი და ათრეული გველის კუდით გამოუნასკვა უკანასკნელი დღეების სიმშვიდე; თავისი მსხვილი კლანჭებით გაიტაცა, სადღაც ტიალ სასაკლაოზე, რომ საცოდავი მოხუცისთვის გამოკვერილი ნისკარტით ამოეკორტნა დაჭყეტილი თვალები, ამოეჩიჩქნა ჩათუთქული გულღვიძლი.

ბნელ და ნესტიან საკანში გამომწყვდეული მოხუცი, ვიწრო სარკმელიდან შემოჭრილ შუქის დოლბანდებს მისჩერებოდა, ხან ერთბაშად წამოიყვირებდა:

„მიშველეთ! ქარიშხალმა ქვეყნიერებას ზეცა გადააგლიჯა!..“ – საბრალო მწერალი ჭკუაზე შერყეულიყო.

გულამომჯდარი მგოსანი საპყრობილეს პირქუშ კედელთან ატუზულიყო, საიდანაც მოისმოდა ცხრაკლიტულში შერეკილ, გამომწყვდეულ ადამიანთა განმგმირავი ზუზუნი, სივალალე, თითქოს ავი გრძნეულის აჩრდილი დილეგიდან ყეფდა.

დასაქცევი სატუსაღო კი რკინის არტაშნებით შემოჭედილი გაშეშებული და განაბული იდგა, როგორც ხელყოფის და ძალმომრეობის ყველაზე დიდი უწმინდურება.

ზღვაში გადაგდებული კენჭივით დაიკარგა ქართული სიტყვის დაუშრეტელი მადანი.

ვინ იცის, ქართველი ერის ბნელეთის მოციქულებმა სად ჩაფლეს დაჩენჩხილი, ხორცებდალურჯებული, დაჩხვლეტილი და დაჯიჯგნილი მოხუცის ნეშთი? ალბათ, მადლიერმა მიწამ დაუხუჭა ცრემლმორეული თვალები და მახინჯ სამარეში ჩაუფინა თავისივე კონკის ნაფლეთები... იქნებ, მოხუცის მდუღარება სთხოვდა შებრალებას ჭაჭის არაყით გამსკდარ მტარვალებს?.. არა, ის არავინ არ შეივრდომა.

დიდი ხნის შემდეგ, როცა მგოსანს ილაჯი გადაუწყდა მოხუცის ძებნით, როცა გული დარდით ამოუსკდა... ყური მოჰკრა: მივარდნილ სამიკიტნოში, ხრაკიანი სასმელებით გამომტყვრალ ცინგლიან ჯალათს წამოეყრანტალებინა:

„იანვრის ღამეს ხელებგაკავებული სულელი მოხუცი ციხიდან გამოვიყვანეთ, ქალაქგარეთ გავათრიეთ, გათხრილ ორმოსთან ძლივძლივობით დავაჩოქეთ, სანამ არ წავუტიალეთ როდი გაჩერდა. მერე, ზურგში და კეფაში დავუშინეთ ტყვია, როცა სული გავაფრთხობინეთ და ფეხები ლაზათიანად გაჭიმა, საფლავში გადავუძახეთ, თოფის კონდახებით მივაყარეთ მიწა და თოვლი, ერთი მოზრდილი კლდის ნატეხიც გადავუშვით, რომ ის სულძაღლი იქიდან აღარ ამომძვრალიყო!..“ თურმე ორფეხა პირუტყვი, მოხუცის დახვრეტის ამბავს, დამსწრეებს ღრეჭით უყვებოდა.

მგოსანი მეგობრის საცოდაობით ვეღარ ისვენებდა, აღარ იცოდა რა

წყალს მისცემოდა. რამდენჯერ მარტოს უფიქრია:

„ვაი, თუ ზამთრის სუსხიან ღამეში, თოვლში ამოგუნგლულ მოხუცს, ჭირისუფალივით მისდევდა ტანმაღალი კორიანტელი; როცა მოხუცის ნელთბილი გვამი ღრანტ ხაროში თავდაყირა გადააგდეს, ვინ იცის, შუაღამემ როგორ შემოხვია ხელები, როგორ დაეჭიდა, რომ რიყრაყებში მაინც მიეჩქმალა ნაწამები ცხედარი. ის ხომ ვერც დაღლილმა ნამქერმა წამოიკიდა, შერყეული მკვდარი ყველას ხელიდან უსხლტებოდა. ის შეწყნარებასაც აღარ თხოულობდა.

შუაღამემ რომ ვეღარაფერი გააწყო, ერთი დაიმუხლისთავა, თავში წაიშინა და საზარელი მოთქმით გადაიკარგა კაცთმძულვარების სამყაროდან.

გულამოსკვნილმა ნამქერმაც ზურგშექცეულ ჯალათებს ქოქოლა მიაყარა და ქვითინი წასკდა...

ასე ფიქრობდა ჩემი მგოსანი, მაგრამ ამას როდი უფიქრდებოდნენ ჩემი ერის გარეული ყაჩაღები, ისინი თავს ქვაზე უჩეჩქვავდნენ ყველა იმ ალალმართალ ადამიანს, ვინც თავისი სწორუპოვარი სიმღერით ქართველი ხალხის გულს ატყვევებდა. ეჰ, ეს ოხერი, რამდენ მირონცხებულ და უმწიკვლო მგზავრს, ისე გაუმწარდა დაბრიყვებული სიცოცხლე, რომ ხელ-ფეხი იშვირა და ჩაეხეთქა დიდი მდინარის მძვინვარე ტალღებს.

იმ ხანად პოეტი მწერდა:

შენი არ ვიცი, მე დავითენთე,
გულმკერდში ცეცხლის ბული მერევა,
ნუთუ ოღესმე არ გათენდება,
ნუთუ არ მოვა ბედნიერება.

დაღუპულ მოხუცს იგონებდა:

ის მარტო იყო, ვიდოდა კენტად,
ის აღარავის დაათენდება,
იმას ჭკუაზე შერყევა ქვეყნად
მიაჩნდა რაღაც ბედნიერებად!..

ღრუბლის ნაძოვი ქედი უყვარდა,
და კავკასიის ჭაღარა თმები,
გული ტირილით ამოუვარდა,
როცა მიწაში ჩაფლეს ნიჩბებით.

თუმცა, ჯვარცმული მოხუცი ნიჩბებით კი არა, გათახსირებულებმა მძორივით ჩაფლეს... იმას სამარეც როდი დაუთმეს, ის თავის ძვლების აკლდამაში განისვენებდა. იმის გახურებულ ძვლებს მიწაც ვეღარ ანელებდა. რას ერჩოდნენ უბედურ მოხუცს!?

რა იქნებოდა ცოტახანს კიდევ ეცოცხლა იმ ადამიანს, ვინც თავის აბუჩად აგდებულ ცხოვრებას თითონვე დაათენდა, თავისივე ნათელი შემოქმედებით.

რა იქნებოდა, რომ არ მოესპოთ, არ ჩაექოლათ ის ადამიანი, ვისაც ღრუბლის ნაძოვი მთები უყვარდა და – შუაღამისას დაბურულ ბაღებიდან ვერხვების სტვენა...

# ე

## (დაუმთავრებელი რომანი)

და თანდათანობით გულჩათხრობილი, საკუთარ სულის მგზნებარე იდუმალებაში მიიწევდა... რა ძნელია უპატრონოთ ყოფნა ამ ქვეყანაზედ, როცა აღარ გყავს გულშემატკივარი, აღარ გაგაჩნია მეგობარი, რომ ძეძვმოდებულ გზებიდან დაგაბრუნოს და საკუთარ თავს, ყელზედ ჩამოკიდებული მომაკვდავივით, ეხვეწები სიცოცხლის ოდნავ გადარჩენაზედ; მიუხედავათ უამრავი შეურაცხყოფის დროთა ტრიალის მერეც, მსუნაგი ძაღლივით ასდევნებიხარ და ვეღარაფრით ვეღარ სცილდები.

ღარების ხეობაში, მკათათვის დღეები ცხვრის ფარასავით შეფენილიყო. საძნე ურმები რიგირიგზედ მიიწევდა სოფლის ჭალაში, სადაც გლეხობას ასწლოვანი მუხების შორი ახლო კალოები გაემართათ, წნორის ხეები საგანგებოდ შემოვლებოდნენ მთელ არემარეს. ქალი და კაცი ჭირნახულის მოსავალს ფუტკარივით დაფათფათებდა; ყველას უნდოდა ზამთრის სარჩო გამოულეველი ჰქონოდა.

ზოგი გლეხობის კალოებზედ შავფხას და დოლიპურის ზვინები თრიალეთის ქედებივით იდგა. სუქან ძნებს უფლითავდნენ ულოებს, შლიდნენ კალოში და ბედკურთხეულნი ჩვილი ხბორებივით კუნტრუშობდნენ.

ხელმოკლე ოჯახებს ლეწვა დაემთავრებინათ, მარცვალი საღამოს ნიავზედ აენიავებინათ და სამიოდე კოდი ხორბალი ფარდაგის ტომრებში ჩაეყარათ.

სარწყავ მიწებს ზოგიერთისათვის მოსავალი უხვათ მოეზღვავებინა, ბეღლებს უვსებდა და ახარებდა. ურწყავი ყანების პატრონებს ღვთის რისხვა დატეხოდათ, მომცდარ თავთავებს უხალისოდ ინცვრევდნენ, ბუნების რისხვას გვალვით ამოეშრო აბიბინებული ყანების ხვავი და ბარაქა.

ამაოდ დაძრწოდენ ფეხშიშველი ქალები კარიდან-კარზედ და წმინდა თედორეს პაპანაქების დაშოშმინებას ევედრებოდენ. წყლით სავსე კოკებით და ტოლჩებით ამაოდ სწუწავდა სოფელი, ამ აღთქმულთა კარნავალს და, თან უკიჟინებდნენ: „აჰა, ისმინოს თედორემ;“ ამაოდ მართავდნენ გალობით ხმაჩახრენწილი ქალები ქეიფს და ღრეობას თედორეს საპატივცემოდ.

აბეზარი გვალვა კი თავისას აჭენებდა, ფხა აუყრელ ჯეჯილებს ნერწყვს უშრობდა, აყვითლებდა. გლეხკაცობას გულს უნაკრულებდა, დარდი და ვარამი ტიღა სახეებზედ კიბოსავით ეჭიდებოდათ.

ქიშმერასაც თავისი დღიურნახევარი მიწა მესამედათ ჰქონდა გაბარებული კაკლაანთ ბიჭებზედ, სადაც ქერჭრელი ჰქონდათ დათესილი.

ქიშმერა კალოს არ შორდებოდა, რომ მოსავლის განაწილების დროს არ მოეტყუებინათ. ქიშმერას დები, ხომ ასასებივით აღგნენ მკას და ასე გაშინჯეთ, ჩიფჩიფით ძნებიც კი დაითვალეს. ეს ამბავი კარგად იცოდნენ მოიჯარადრე კაკლაშვილებმა, თუ გინდა ერთი მუჭა მარცვალი მიეთვისებინათ, მაშინ ხომ მთელი წელიწადი ბებრების ქოქში და წყევლა-კრულვაში უნდა ყოფილიყვნენ.

ბავშვები კევრზე ჯდომით, ხტუნაობით და ლაზღანდარობით დაქანცულიყვნენ, ზოგს ძნის ძირში, ზოგს არნადებით მიხვეტილ ბზეში მისძინებოდა; ზოგი ღნაოდა და ვახშამს თხოულობდა; ზოგი დედის კალთას აღარ შორდებოდა, დასდევდა, ებღაუჭებოდა და თვალები ებლიტებოდა. მოზრდილები კი ღამის მეხრეობას ჩემულობდნენ და ხარ-კამეჩს იალაღზედ ერეკებოდნენ.

მერუე ლექსო, რომელსაც მეტსახელად ყიყლიყოს ეძახდნენ, მხარზედ ბარ გადებული, ცალ ხელში ჩანახ ამოჩრილი, კალოდან-კალოზედ დადიოდა და თავის გასამრჯელოს თხოულობდა.

– ერთ ჩანახზედ მეტი პური არ გერგება, – ეანჩხლებოდა ქიშმერა მღიმარე ლექსოს, – შენ არ იყავი მთელი კვირა ყანა მოურწყავი დამიტოვე? კინაღამ გადამიხმა.

– მოიცა დედაკაცო, რა გაწიოკებს, ჩემი წილიდან მივცემ, არც ახლა მაისვენებ, – ამშვიდებდა კაკლაანთ ზაქრო.

ლექსომ კარგად იცოდა ქიშმერას ხასიათი და კუდ ამოძუებული იტიშებოდა.

– რა სულძაღლი ბებერია, – ლექსო ამ სიტყვებითღა იოხებდა გულს.

ონისე ღვდელი, იკრიბოკრო აივანზედ მაჯლაჯუნასავით გადმომდგარი, ღამის ბურუსში, ჭროღა თვალებით კარგად არჩევდა კალოებიდან მომავალ ჭირნახულით დატვირთულ ურმებს და, განგებ შეეხმაურებოდა ხოლმე გლეხებს, რომ „დრამის“ გადახდა არ დაეგვიანებინათ.

– ყოჩაღ, ყოჩაღ პეტრე.

– აი, ბარაქალა მიხა, ხედავ, ყევარი ხარ-კამეჩი დაზურგულ ურემს ძლივს ეწევა...

– ღმერთმა დღეგრძელობაში მოგახმაროს სანდრო...

გლეხობაც ურმის კოფოდან, ონისეს ხოტბას ცალი ყბით პასუხობდა:

– „მადლობთ მამაო, აგაშენოს ღმერთმა...“

ონისეს ჩაფსკვნილი ფოფოდია მარიამი, ქმარს მისალმებებში ეხმა-

რებოდა და მეტისმეტი ხითხითით ჩიხტი ელრიცებოდა, კავები უკან ეკიდებოდა, თვალები ებჟუტებოდა, ღაბაბი ებერებოდა, ქარვის კრიალოსანი იატაკზედ უვარდებოდა და, ბოლოს როგორც იყო, ერთი ვიშით და ტხლოშინით სულს იბრუნებდა.

ონისე კი საალერსოდ უტევდა:

— რა მოგივიდა დედაკაცო!

— იჰ ქა, რა მაკვილაკი სიტყვები იცი!.. ყევარი ხარ-კამეჩი ვეღარ ეწევაო.

და, კიდევ ასე ხარხარით ჩაბჟირდებოდა ხოლმე მარიამი. მერე სახედრისკენ მიიხედავდა და პატარახან დაწყნარდებოდა, გადაიწერდა პირჯვარს.

— იშ, ღმერთო შენ მიშველე, — ამ სიტყვებს ისე იტყოდა, თითქოს რაღაც უბედურება დასტეხიაო. თენგოს ნახევარ კოდი ხორბალი წისქვილში დასაფქვავათ ჩაეტანა. სოფლის დღეობა მოდიოდა და ოჯახს ახალი პური სჭირდებოდა, შეიძლება — როგორც ქიშმერამ იცოდა — ვინმე შემოხეტებულიყო.

ქართული ჩარხის წისქვილი სასიამოვნოდ ხმაურობდა მკათათვის საამურ ღამეში. ხმირებიდან მარცვალი წინასწორობით ჩამოდიოდა და ახლად დაკოდილი ქვები ციბრუტივით ბზრიალებდნენ, ხმაურობდნენ და კლავის სისხოთ ისროდნენ მოთეთრო ფქვილს ღია ამბარში.

სულ სამიოდე მესაფქვავე იყო, რადგან რიგში იდგნენ და თენგოს საფქვავი გათენებამდე არ ჩამოვიდოდა, ძირს წაყრილიყვნენ, ნაბდის ქუდები ყურთბალიშივით დაედოთ კუნძებზედ და გულიანად ჩასძინებოდათ.

მოხუც მეწისქვილე ისაკას, თენგოს საფქვავიდან მინდი აეღო და, ჭრაქით, ხან ანთებული კვარით მალ-მალ რუს ათვალიერებდა, ხან ქვას დასწევდა, რომ ხორბალი არ დაღერღილიყო და ქიშმერასთან პირნათელი გამოსულიყო, ხან წამოწვებოდა თავის ჭუჭყიან ჭილობზედ და თენგოს შეეხმაურებოდა ხოლმე.

ყური უგდე, შე გენაცვა, საფქვავი უცფად არ ჩამოვიდეს, თორე ეს ოხერი ქვები გავერანდება. თენგოც აიმედებდა და ასეთ კანტიკუნტ მუსაიფში წელგატეხილი ისაკა თვალებს ატყუებდა და ილულებოდა.

თენგო სიყრმის ასაკში შესულიყო. ხუჭუჭა თმა, მაღალი შუბლი და ჟანგისფერი სახე შავგვრემან თვალებს ლამაზად ეხამებოდა; თითქოს განგების სახელოსნოში გამოეძერწათ მისი კოხტა, იფნის ტოტივით სწორე და რაინდული ტანი.

ღამე გაჩახჩახებულიყო და, ნათელ ოცნებას ნისლივით მაღლა ეზი-

ღებოდა უსაზღვროების დიადი თაღი. ხან ერთი ვარსკვლავი მოსწყდებოდა დასავლეთის ცის კიდურებს და სამხრეთის კაბადონებში ინთქმებოდა, ხან მახლობელი ვარსკვლავი ისე დაეშვებოდა ხოლმე დედამიწისაკენ, თითქოს ეს-ეს არის უნდა ჩამოვარდესო, მაგრამ! ძაფივით გრძელს და განათებულ კუდს უცფად მოიქნევდა და ჰქრებოდა შორეულ სივრცეების კრიჭაშეკრულ უდაბურებაში.

ხან წისქვილის ზევით ატეხილი ტყე გეგონებოდათ, დგომით დაიღალაო, წამობერილ ნიავზედ ღონივრად იშმუშნებოდა, ხშირი ტოტების შრიალი ხეებიდან-ხეებზედ გადაჰქონდა, კენწეროებს მდორეთ იქნევდა და კიდევ დიდხნობამდე ჩუმდებოდა.

მძინარე სოფელი დაცემული მთვარის შუქზედ ცარცის და ყავრის ბანებით მიმავალ მგზავრს თავის არსებობაში არწმუნებდა.

თენგო წისქვილის კარებთან დადგა და გადაიკარგა ფიქრებიდან – ფიქრებში, როგორც გზატკეცილებში მქროლავი ეტლი, მის გარშემო ბორბლებზედ წყლის ჩხრიალი და წისქვილის გუგუნი შესწყდა.

რაღაც საოცრად იყო გარინდებული.

სიყმაწვილის ოცნებამ იცის დაუღალავი ხეტიალი. და თენგოც დაწოწიალობდა სიზმრებ მორეულ ფიქრების ქვეყანაში.

თენგოს ტვინი და გული რაღასაც დაეძებდა უსაზღვროების ტიალ უდაბნოში.

ზაფხულის გზამოკლე ღამე გაყუჩებულ მიდამოებს ეთხოვებოდა და რიჟრაჟები საიდანღაც უსტვენდნენ. რუსპირზედ ვერხვების, ცაცხვების და ჭანდრების ჩრდილები ბინდდებოდნენ.

არემარე კისკისებდა.

თენგო კი, ისევ სასოებით მისჩერებოდა სხივშეყრილ მთებს და უსაზღვროებას, მის გაფითრებულ სახეს ანთებული ჩირაღდნებივით ეჭირა დიდრონი თვალები, თვალები დემონივით რო ზვერავდნენ შემოქმედების ჯანყ მოფარებულ საბადოებს.

განთიადი მოდიოდა, სუსხით, სიოთი და ჩიორების ჟივილ-ხივილით.

წისქვილს შუაღამის ხმაური დაჰკარგოდა, მაგრამ მაინც ეშხიანად გუგუნებდა, შხრიალებდა და საფქვავის ჩამოსვლას სარეკელა იტყობინებოდა.

დილის ცისკარი სოფლის თავზედ კიაფობდა და რაღაცაზედ ჩუმად იცინოდა, იქნებ იმიტომ იცინოდა, რო წანწკარა ჩიტი წყლის პირზედ დაგოგმანებდა, და ბოლოს ცანცარით გათენებას შეხაროდა.

ვინ იცის...

# აღთქმა...

ენკენისთვის გრილი საღამო იდგა.

ღარების წარმტაცი ხეობა ნაკადულებს ეჩურჩულებოდა და დაშვებულ დაისებში ნელ-ნელა ინაბებოდა.

სახლის ჭიშკართან ქიშმერას და მის დებს იედითის ნამზითევი ძველი ფარდაგი დაეგოთ, მუხლმოყრილები დამჯდარიყვნენ, ორჯამიან შეჭამადში ჭადპურა ჩაეფშხვნათ და სიამოვნებით შეექცეოდნენ. ხვალის სამუშაო გაენაწილებინათ. სალაპარაკო რომ აღარაფერი ჰქონდათ, ჭორაობა წამოეწყოთ, ხან ერთმანეთს ებუზღუნებოდნენ, ხან ბოსტნის გაუმარგვლელობას ერთიმეორეს აბრალებდნენ და დათვებივით დუდღუნებდნენ და... ბოლოს, როგორც ყოველთვის, თენგოს მიხედავდნენ ხოლმე და სამივენი კრუხებივით იმზირებოდენ. ამ საღამოსაც ხანგრძლივი ბჭობა დასჭირდათ, იმის დასამტკიცებლად, რომ თენგოსაგან ვერაფერი შვილი ვერ გამოვა.

– საუღლე ხარსა სასკორავში შეეტყობაო. ე, მაგ ბიჭისაგან ნაჰტავლი და ჭკვიანი კაცი რო არ დადგება, ვერ ამჩნევთ, – წიწმატობდა იგრუხტი და თან კერძში გათითხნულ თითებს კაბის ბოლოთი იწმენდავდა და, კმაყოფილი თავისი გესლით, ცხვირიდან წამოსულ ცინგლებს ნესტოებში ისრუტავდა.

– მაშ არა და, დიაკვნათაც კი ვერ ივარგებს, აბა რა უნდა იყვეს მაგის დაყენებული წირვა, სულ უქნარობაში სძვრება სული, – ბურტყუნებდა ივდითი. ამ ყბადაღებულ მუსაიფში იყვნენ, რომ ქიშმერამ თენგოს შესახებ, მეტად საგულისხმო ამბავი წამოაფრქვია.

– ეგ კი არა ქალო და, იცით?!. რა?!. თქვენ ვერ ატყობთ?,,,, ყველანი რო დავწვებით ხოლმე, ი ბიჭი დაიჭერს ქაღალდსა და ყარანდაშსა, მიჯდება სკივრთან და ჭრაქის შუქზედ, ჩუმადა ბოდავს, ხან თავს ჩაქინდრავს და რაღასაცა სწერს, ხან გაშტერდება და ვიღასაც ელაპარაკება...

– ქა, ქა, რას ამბობ?!! – ვეღარ მოითმინეს გაფაციცებით შემყურე დებმა.

– რას ვამბობ კი არა, – განაგრძო ქიშმერამ – ე მანდ არ გაგიჟდეს, თორე ისე თავში ქვა უხლია. ასე არ მოუვიდა საწყალ ქაბატოს, შვილი რო ჭკუაზედ შეეშალა და კინაღამ მთელი ოჯახი ამოჟლიტა; მძინარეებს ღამე წალდით დარეოდა... რის ვაი-ვაგლახით გადარჩენილიყვნენ.

ქიშმერას მოულოდნელმა ნაამბობმა ბებრებს საფეთქლის ცემა შეუწყვიტა და მწარედ შეაფიქრიანა. ცოტა ხან სიჩუმე ჩამოვარდა. იგრუხტი მხდალი მოხუცი იყო და, ამიტომ ოდნავმა ძაგძაგმა აიტანა, თითქოს მოელანდა ის სისხლიანი ღამე, როცა თენგოს გამოისობით თავმოკვეთილები ეყრებოდნენ ტახტებზედ.

ქიშმერას სინანულის ელდამ დაუარა. დარწმუნდა, რომ ქაბატოს უბედურება არ უნდა ეხსენებინა, რადგან კარგად იცოდა იგრუხტის და ივდითის აგებულება, სიკვდილის ხსენება მათ კანკალსა და შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა. ქიშმერა უფრო მაგარი ნებისყოფის ქალი იყო და შეატყო თუ არა თავის დებს მოუსვენრობა და ძრწოლა, გულის მოსაკეთებლად ესღა დააყოლა:

— მოიცათ ქა, რა თქვენი ღმერთის გაწყრომაა, რა შიშით კრიჭა შეგეკრათ. მე რა, ის კი არა ვთქვი, რო ჩვენი თენგოც გიჟია! როგორღაც ბოდავს და ყური ვუგდოთ-მეთქი.

— იშ, ეგღა გვაკლდა ჩვე უბედურებს, — ძლივს ამოასავსავა ივდითმა.

ღამე კარგად ჩამოწვა. ბებრებს ძილი მოერიათ. თახჩიდან ქვეშაგების გადმოწყობას და გაშლას მიჰყვნენ.

სამივენი გატრუნულიყვნენ. ეტყობოდა ამაყ ქიშმერას ჩაძმარებული დები დაეტუქსა, რადგან ივდითი და იგრუხტი თავისთვის რაღასაც გაურკვევლათ ჩიფჩიფებდნენ და ცდილობდნენ ქიშმერასაკენ ზურგშექცეულები ყოფილიყვნენ.

ქიშმერა ასეთ დავიდარაბებს მიჩვეული იყო და ბალიშზედ თავის დადებისთანავე მიეძინა, ივდითი ბურანში შესულიყო.

იგრუხტის კი, ძილი გაფრთხობოდა, წაფარებულ საბნიდან პატარა ჭუჭრუტანა დაეყოლებინა და კარებს შეყურებდა, მოელოდა თენგოს შემოსვლას, შიში და ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, თენგოს სიგიჟეს უნდოდა როგორმე შესწრებოდა, ქიშმერას ნაამბობის საკუთარი თვალებით ნახვის წყურვილი აწვალებდა.

ხუმრობა ხომ არ იყო.

— მოხდა და დაგვერია ცულით... ყელები გამოგვჭრა, ან კომბლით თავები გაგვიხეთქა, — გიჟს ხომ უცბად წამოუვლის, — შეიძლება ვინმემ ჯადო გაუკეთა და ძალათი გვიგიჟებენ...

— ოი, ჩვენი ცოდო ედოთ იმ არდასარჩენებს...

— იმათი გასაგისი ამოწყდეს და ამოიბუგოს ვინც ჩვენ ავი თვალით შეგვხედა... ღმერთოო! შენ შეიბრალე ქვრივბეჩავნი... ლომისის ხატო აღთქმას გაძლევ, რო ფეხშიშველი გიახლები, ოღონდ ამ უბედურებას გადაგვარჩინე. — ასე ფიქრობდა იგრუხტი, ასე ეხუთებოდა სული და სახად შეყრილივით იკრუნჩხებოდა საცოდავი ბებერი.

თენგო იგვიანებდა.

უმთვარო ღამე ქვესკნელის კედლებივით შემოვლებოდა ნესტიან ხეობას. სიბნელე და სიჩუმე ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ გზათშეღამებულ მგზავრის შეშინებაში. ძაღლების ყეფა უბან-უბან ხანგამოშვებით ისმოდა.

კაკლის ტოტებით დაბურულ ორღობეში ფაჩი-ფუჩი ატყდა. ალბად

ჩამოცვენილ გამხმარ და ნაქარევი ფოთლების გამო... ფოთლების ჩურჩულს ადამიანის ფეხის ხმა შეერია. ლანდი მოდიოდა მძიმე ნაბიჯებით, მძიმე ტორტმანით... სადღაც მახლობელ ჭანდრებიდან ჭოტის კივილი არემარეს იკლებდა, ამ სატიალო ფრინველის ძახილზედ, დაბურულ ხეებიდან სქელი სიბნელე სიმძიმიდან მიწაზედ ისე იყრებოდა, გეგონებოდათ ალქაჯებს ზედახორა გაუმართავთო.

ლანდი უგუნებოდ მიუახლოვდა ქიშმერას ეზოს, სახე არ უჩანდა, მაგრამ სხეულის მოძრაობაზედ შეატყობდი, რომ ეს კაცი ბობოქარ ფიქრების ზღვაოსნობიდან ბრუნდებოდა... ბუღრიამ თენგო იცნო, ნეტა გენახათ, როგორ ულოკავდა ხელებს, მუხლებზედ როგორ ეხუტებოდა სევდით გადამტკნარებულ მეგობარს. კეთილი ნაგაზის ალერსი ადამიანებსაც კი შეშურდებოდათ.

თენგომ ხავსმოკიდებულ და ბებერ ლოდზედ მოისვენა, თითქოს, ამით უნდოდა ნაღვლიანი გული და სველი სიცოცხლე შუაღამის წყვდიადით გაეშრო.

დიდხანს, დიდხანს იჯდა და, როცა სასოებაში ყოფნით ძვლები მუგუზლებივით გაუხურდა, ბინას მიაშურა, შეაღო ოთახის კარები. გადახედა თავის სულთამხუთავებს და რო დაიგულა მოხუცები ძილში გაპარულიყვნენ, სკივრის თავთან მიჯდა და, რაღაც რვეული გადაფურცლა.

ჭრაქი ბუხრის თავზედ იდგა და საცოდავათ ბჟუტავდა.

იგრუხტი სუნთქვაშეკრული ზღარბივით მოკუნტულიყო და თენგოს ქურდივით უთვალთვალებდა.

თენგო რაღასაც სწერდა, სწერდა აღგზნებული, ძარღვებ დაძაგრული, ხან თვალებს ჭერის კუთხეს მიაპყრობდა და ასე ხანგრძლივად იყო გაშტერებული...

ამჟამად, თენგო არ ბოდავდა, მაგრამ ქიშმერას სიტყვები ასკილის გულივით ტანზედ ეყარა შემკრთალ იგრუხტის და სამარადჟამოდ რწმუნდებოდა თენგოს შეშლილობაში.

კარში ბუღრია ღამურებს ეანჩხლებოდა. ჭრაქში ნავთი იწრიტებოდა და მომაკვდავი შუქის ფარფატს უკანასკნელად შერჩნენ კოღოები და ქინქლები და უკანასკნელ წრეს აკეთებდნენ სინათლის გარშემო. აბლაბუდებს, კირწყალით შელესილ კედლებს, ჭერის კოჭებს და ნახევრად აფიცრულ ფანჯრის ჩარჩოებს ჭვარტლი მოჰკიდებოდათ და ოთახში დამწვარი პატრუქის უსიამოვნო სუნი დამდგარიყო...

...აფერი და მუცლები გადმოუვარდებოდათ, პერანგის ამარები, ნახევრად ტიტლიკანები, ეზოში დარბოდნენ, დაცუნცულებდნენ და ონავრობდნენ. ხან ყასიდათ აიმზირებოდნენ, იბუტებოდნენ მშობლების შემოტევაზედ,

ბოლოს სვინდისობდნენ და ღედებს სუბუქ საქმეში ეხმარებოდნენ. მალხაზი ყმაწვილები კი, მოკრეფილ ვენახებს სამცვრევლად ერეოდნენ და ზოგჯერ გამხმარი კლერტოების და ჭყურტა ხილის მეტს რომ ვერაფერს პოულობდნენ, მაშინ მიწავაშლათი იზურგებოდნენ ხოლმე.

ზოგიერთის ოჯახში სიგრილე იდგა, ვაზის მოსავალს ეღალატნა, შაბიამანით დროზედ ვერ მოეწამლათ, ან დიდი გადასახადების მეოხებით ვენახი მოუვლელი დარჩენოდათ და გაპარტახებულიყო. ზოგს კოკანახევრიანი ქვევრი სარცხით ამოერეცხა და წუნწ მოსავალი ბედნიერ დღისთვის შემოენახა.

უმიწაწყლო ნოღასაც საქმე გასჩენოდა, ღონიერი მკლავებით მოქნეულ ხალას კაკლის დახუნძლულ ტოტებს მძლავრად უშენდა და წენგო შემხმარი კაკალი ხრიალით მიწაზედ სცვიოდა და იკროლებოდა.

ვენახები დაცარიელდა. ღოლო რა არის, ისიც კი არ დაუტოვებიათ, გრიხამდნენ და სახლის ბანზედ ინახავდნენ. მანეულებიც გადაჩეხეს: კალათების, ფაცრების და მოსაკიდების დასაწნავად, რომ ზამთრის გრძელ ღამეებში შინ გული შეეყოლებინათ.

სოფლად შემოდგომა ხალისიანია, ხალისიანი. რო შეჰკითხოდით ნენეს მაბლს, რომელსაც მეტსახელად თაყინას ეძახოდნენ, გაუკვირდებოდა, თუ რათ იციან ზოგიერთმა მწერლებმა შემოდგომის რაღაც „სულის მწუხარებათ“ წარმოდგენა.

ლომისის ხატის ღღეობა ახლოვდებოდა.

სოფლის მოსახლეობას სარჩო-საბადებელი დაებინავებინა და ხანგრძლივ მგზავრობისათვის ემზადებოდა, რადგან სალოცავი სამი-ოთხი ღღის სავალზედ იყო დაშორებული.

ზედაშეს თუნგებით იღებდნენ, რუმბებში ასხავდნენ, ზვარათ აღთქმულ მოზვრებს და ჭედილებს ასუქებდნენ; ქალები საკერავებს ჩაჯდომოდნენ; საქორწილო ბიჭები კისრებს ითეთრებდნენ, ახალ ჩუსტებს და ნაბდის ქუდებს ყიდულობდნენ, ახალუხის გულს და შარვლის ვიწრო ტოტებს ფერადი ძაფით აქარგვინებდნენ; გასათხოვარი გოგოები ფერ-უმარილს შოულობდნენ, დაკოჟრილ ხელებს არაჟანით იშუშებდნენ, სახე რომ არ აჰქეცოდათ მზეს ემალებოდნენ, აბრეშუმის წინდებს ქსოვდნენ და სისხამ ღილით სამყურა ბალახებში ჩათქმულ ბედის აღსრულებას დაეძებდნენ.

ყველა ხატში წასვლის სამზადისით იყო გართული, გეგონებოდათ სოფელი იყრებაო.

ხანშესული კაცები ურმებს ჭრელი ფარდაგებით აჩარდახებდნენ, ახალ ჭალებს და კვერნებს უკეთებდნენ, ტაბიკებს უცვლიდნენ, თვლის ფერსოებს, ჭინჭილაქებს და სოლებს ამაგრებდნენ, სალტეებს სინჯავდნენ, ნალბანდ ბულიას ხარ-კამეჩს აჭედინებდნენ... ერთი სიტყვით მთელი სოფე-

ლი ერთ გარჯასა და ფაცა-ფუცში იყო.

ლომისის ხატის კუზიანი საყდარი კი, კუდიანივით მოელოდა შეთქმულთა აღლუმს.

– ე, ბიჭი ხატში უნდა წავიყვანოვო, რო ამტყდარხარ, ცოტახან დაგეცადა, იქნება შელოცვამ უშველოს, დაგვეძახა ქისტაურაანთ დარიკოსათვის…

ასე შეეხმაურა, ერთ საღამოს, გამჭრიახი ქიშმერა სალოცავში მიმავალ იგრუხტის.

– უი ქა, ნუ გამობენტერავდები და გამოტუტუცდები ხოლმე, ქალო, – აკაპასდა იგრუხტი, – ვერა ხედავ ყველაფერზედ გული აიყარა, რაღაც დოზანა წიგნებს კითხულობს, ღამეები არ სძინავს, ბუტბუტით აგვიკლო, რა?.. ვერ უყურებ?!

– თავში ქვა იხალეთ აჰაანდე, ეს მოსავალი თქვენ მოგინდებათ, მერე დაჯექით და ყვავს კაკალი უყარეთ, – შეუყვირა ქიშმერამ და სათონეში გასწია, რომ თონე გაეხურებინა.

– რა იყო, რასა ბუზღუნებთ? რა მუცლის გვრემა აგივარდებათ ხოლმე? – აჩახჩახდა შემოსწრებული ივდითი.

იგრუხტის პასუხი აღარ დააცადა, რადგან კარგად იცოდა, რაზედაც იყო ჩხუბი და დავიდარაბა.

– იმ, შენც მოგცლია, ყურს რას უგდებ, ხო ხედავ ქიშმერა გადაყრუებულია, ისე მოიქეცი, როგორც გიჯობდეს, – დააიმედა ელამმორეული იგრუხტი დუშმანმა ივდითმა.

– ქა, გაგონილა, თქმულა, – წიწმატობდა იგრუხტი – მე, ეს ჯანდამწვარი ბიჭი მინდა მოვარჩინო, ის კი დამდგარა და ბოღმითა სკდება… დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა, კეწეწი ბალახივით არ მოედება ხოლმე, ადამიანი რო სასიკეთოს ურჩევს…

კარგა ხანი იბრაზა იგრუხტიმ. ბოლოს ცომის ზელას მიჰყო ხელი. ივდითი კი თასში კვერცხებს თქვიფავდა, რადგან ნაზუქის გამოცხობა ჰქონდათ განზრახული და მართლაც, ხატში ფაშარ პურებს ხომ არ წაიღებდნენ.

ნასყიდა, ქიშმერას სახლიკაცი, კეთილი, სარისტიანი, გამტანი და გულუხვი იყო. ერთადერთი თორმეტი წლის ბიჭი ყავდა, რომელიც ორი წელიწადი ლოგინად იყო ჩავარდნილი, ექიმბაშებისაგან დაშანთული და დასნეულებული. ნასყიდასაც გადაეწყვიტა ავადმყოფის ხატში წაყვანა, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე, ონის ღვდელსაც ურჩევია!

ხელმოკლე ნასყიდა ვაივაგლახით მოგროვილ ფულებს არ იშურებდა თავის საყვარელი შვილის მკურნალობისთვის. ეხლაც ჭაობში ჭილი ამოეგლიჯა და ჭილობს ქსოვდა, რომ ურემზედ თხელ ლეიბ ქვეშ დაეგო და

აზიზი მგზავრი რბილად და შეუწუხებლად აეყვანა სალოცავში.

ნასყიდა ჭილობს გარშემო კუწუბებს უკეთებდა და თავის გაძეძავებულ ცხოვრებაზედ ღრმად ჩაფიქრებულიყო, რო ამ დროს სკოლიდან მომავალმა თენგომ ღობიდან გადმოსძახა:

– ძია ნასყიდა, ხატში თქვენც მიდიხართ?

– დიახ, თენგო, მივდივართ. გწყალობდეს იმისი მადლი.

– წამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ მამიდაჩემმა იგრუსტიმ მოსვენება აღარ მომცა...

ამ ლაპარაკში თენგო ნასყიდას მიუახლოვდა და გვერდით მიუჯდა.

– მარტო, მამა უცხონდება, მოიტაცებენ ან და რა ჯანდაბა უნდა სალოცავში, ყარყუმივით დაბერებულა, ქმარი ამოიჭამა, რაღა აქვს სათხოვარი, რო არ ვიცი! – დასძრახა ნასყიდამ ქრისტიანი იგრუხტი და ოდნავ ჩაიცინა..

– კერპი ქალია, რო იტყვის...

– რას იზავ თენგო, წამოჰყე შვილო, მაგათი გასაგისი გასწყდეს, აღარ მოგასვენებენ.

– სასწავლებლიდან გამომაგდებენ, თუმცა...

– სწავლას კი არა, გაჩენის დღეს დაგაწყევლინებენ.

– აკი მოვდივარ. – ამოიოხრა თენგომ.

ცოტა ხან სიწყნარე ჩამოვარდა და ისევ თენგომ დაარღვია დუმილი.

– ძია, რაზედ ამოგიგდია აი ის ქვევრი? გაბზარული ხომ არ არის?

– არა, მაგ ქვევრს ჯერ კიდევ მამაჩემიც არ ხმარობდა... – მოწამლულია შვილო.

თენგო დაინტერესდა:

– რა არის მიზეზი? რამ მოსწამლა.

– როგორც მამაჩემმა მიამბო, ამ სავერანეში, – თან ნასყიდამ ხეობას გახედა – შიშიანობის დროს დიდი ლეკიანობა ყოფილა, ის დასაწყევეტები, კვირა არ გავიდოდა თურმე, არ შემოგვსეოდნენ. არბევდნენ, ხო არბევდნენ აქაურობას, თანაც, სადაც ხეირიანი ქალწული მოხვდებოდათ წიწილასავით იტაცებდნენ და ლეკეთში მიჰყავდათ.

პაპაჩემს ლამაზი გასათხოვარი და ყოლოდა. ერთ დილას, აი ამ ჭორფლიან მთიდან ზურნით და დაფდაფით გადმომდგარიყვნენ. პაპაჩემისთვის შემოეთვალათ: შენი და ამოგვიყვანე, თორე მაგ თავს ქათამივით მოგგლიჯავთო. საწყალ პაპაჩემს თავბრუ დასხმოდა, მამაჩემი პატარა ყოფილიყო და საბძელში დაემალა. იმის დას კი, გაეგო თუ არა კარზედ მომდგარი უბედურება, ამ საოხრო ქვევრში ჩამძვრალიყო და ზევიდან სარქველი დაეხურა... ბევრი ეძებნა დარეტიანებულ პაპაჩემს, მოყვრებში უნდოდა თურმე გაეპარებინა. ამ გაწამაწიაში, ის ურჯულოები ჩვენს

კარ-მიდამოს მოსდგომოდნენ. პაპაჩემი ხანჯლით აეკუწათ, ავადმყოფი დედაჩემი მათრახების ცემით ჩაეკლათ, მერე დარეოდნენ სახლ-კარს და ყველაფერი აემტუტებინათ.

გული რო ეჯერებინათ სისხლის მსმელებს, გაღმა სოფლებს გაჰკიდებოდნენ.

მამაჩემი რაღაც ალალბედზე გადარჩენილიყო, თუმცა დიდხანს აღარც იმას უხეირია, ოცდაორი წლის გამოესალმა წუთისოფელს.

ორი თუ სამი დღე გასულიყო და მარანში ძაღლს წკავწკავი აეტეხა, მოეხადათ ქვევრი და შიგ პაპაჩემის საცოდავად გაგუდული და ენახათ.

თურმე ასე გვაწიოკებდნენ და ასე დაპარპაშებდნენ ჩვენ დედულ-მამულზედ ის კაცობადაკარგულები. მას აქეთია, ამ ქვევრის ამოგდება ჯერ მამაჩემს უნდოდა, ვერა და ვერ მოახერხა. ე, ჩემი ბიჭის ავადმყოფობაზედ მითხრეს: ეგ ქვევრი ოჯახში არ ვარგაო და აჰაანდე, მეც მოულე ბოლო.

ნასყიდას ამ ამბავის გახსენება გულს უჩუყებდა, ხელები აუკანკალდებოდა ხოლმე, წარსულის ვარამიდან თავის დახწევას კარგა ხანს უნდებოდა.

თენგო, მოულოდნელმა მოთხრობამ, ერთხელ კიდევ დაანაღვლიანა, ძალაუნებურად მიახედა კაცობრიობის უნიათო და უჟმური წარმავალობის გზებზედ.

— ნუთუ ქვეყნიერება შენდებოდა დახოცილი ადამიანების სასოწარკვეთილი ღმუილით, წამებით და ცრემლების შეერთებული დუღაბით, — ფიქრობდა თენგო.

ხუთშაბათ დილა თენდებოდა.

მთების რკალი ჩრდილოეთის ვიწრო ხეობიდან ორ ტოტათ იწყობოდა, მთაგრეხილები მოსდევდნენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს, ღარებთან განიერდებოდნენ და სოფლის ბოლოში სამხრეთისაკენ ვიწროვდებოდნენ, შანდას ნაპირებამდე ეშვებოდნენ და აკეთებდნენ უზარმაზარ ღია კარებს, გეგონებოდათ აქ ოდესღაც ალაყაფის კარები ბმია, მდევებს ჩამოუხსნიათ და გადანგრეულ გალავანივით დაუტოვებიათ პიტალო კლდეების უჭერო თაღი. ღარების გამოღმით მომავალი გზა ამ თაღში გამოდიოდა.

ასამდე მოჩარდახებული ურმები მწკრივათ მოყვებოდნენ ღარებიდან მომავალ შარას. ქალები ძუძუმწოვარა ბალღებით ურმებში ლოგინებით ჩაფუთვნილიყვნენ, კაცები ქარავანს ზოგი ფეხით, ზოგი ცხენებით მოუძღვებოდნენ, ვისაც ხატთან ფეხშიშველი მისვლა ჰქონდა შეთქმული ურმის ბოლოებს და ბილიკებს მიყვებოდნენ და იგრუხტიც ყავარჯნით ხელში წელმოკაკული საცოდავათ მილასლასებდა.

თენგო კი, ნასყიდას მოყვებოდა ხმაგაკმენდილი.

ქარავანს თან მოყავდა: ცხვრები ქინჟღლიანი ზარებით, გათქვირებული მოზვრები, მამლები. ხალხის უმეტესობას, ნამეტნავად ბავშვებს, წითელი ნაჭრის და თეთრი მიტკლის თახახიანი ხალათები ეცვათ, ვის რა ფერიც ჰქონდა შეთქმული. კარგად მოშუადღევდა, რომ ურმების ქარავანმა, ერთი დიდი მდინარის ველი გადაიარა, იმ მდინარის, რომელსაც შანდა კარგა ხანია შეერია და თვალიდან გადაიკარგა.

ურმები შეაჩერეს, ცოტას შენაყრდნენ, პირუტყვს ბალახი მოაძოვეს, ურმის ღერძები დასაპნეს და გზას გაუდგნენ.

ახლა კი იწყობოდა აღმართები და ვიწრო საურმე გზაც მაღალ მთებში მიიწევდა. იყო ერთი ალიაქოთი: ურმის თვლების ჭრიალი, სახრეების ქნევა, შოლტების ტყლაშუნი, ხარ-კამეჩის ლანძღვა, ხან შექებება, რომ ურმები მთის ვაკეზედ როგორმე აეტანათ.

ბარიდან რო გეყურებინათ, რაღაც ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა: მთის თეძოზედ, ზევით მიმავალი მოჩარდახებული ურმების გაბმული ნაკადი. ადამიანების სულელურ მოქმედებაში, ხანდისხან რაოდენი სილამაზეა!!!

როგორც იყო ქარავანმა მთის ზეგანს მიაღწია და გზაც გასწორდა.

ბინდდებოდა. ქარავანის მესვეურები ცდილობდნენ ღამის სათევლად, მახლობელი ციხის ნანგრევებამდე მიეღწიათ. ეს ციხე გამოღმა ხეობების იმ გზაჯვარედინზედ იდგა, სადაც ყველა სოფლებიდან ხატში მიმავალი ურმები ერთად შეერთდებოდნენ ხოლმე და განთიადისას ექვსასამდე ურემი იძვრებოდა ლომისისაკენ.

ბინდი ილეოდა. დიადი ღამის სიჩუმეში ქარავანი ტაატით მიიზლაზნებოდა სადღაც, ღუღრუტანა ფერდობებთან და ძველ გამოქვაბულებისაკენ ჭრიჭინების ჭიჭინი ისმოდა, მთვარე თხელ ღრუბლებში დატორღიალობდა, მიმავალი ქარავნის მხრიდან სევდიანი ღიღინი ისმოდა, ნასყიდაც ნაღვლიან ურმულს მღეროდა და, ყოველივე ეს, რაღაც იდუმალ უვერტიურას ჰქმნიდა ამ მაღალ მთების ამფითეატრებ შორის.

უკანასკნელი ქედი გადაიარეს და შეთქმულთა ქარავანი თვალს მოეფარა, როგორც სიზმარში თვალდაკრული ქვეყნიერება.

ციხესთან ღამის მთევლები ყველა მხრიდან მოგროვილიყვნენ. ზეცა მოჭახჭახებულიყო. ურმები ზოგს კონკილებზედ და ზოგს მიწებზედ დაეშვათ. მლოცველები ერთმანეთს ჭირ-ვარამს ეკითხებოდნენ, ახალ-ახალ მგზავრების შემომატებაში ერთობოდნენ, ციხის ძირში, გარეთა კედლებთან და ფუღურო ხეების ძირში ცეცხლი დაენთოთ, გარშემო შემოსხდომოდნენ, ვახშმობდნენ, ნახულს და გაგონილს ყაყანებდნენ და ზვიადობდნენ...

თენგოს ნასყიდას სუფრა მიეტოვებინა, რადგან მიხა ჯაბაურს მი-

ეპატიჟებინა, როგორც ხანდარის სიყმაწვილის მეგობარს.

— აბა ტუმარო, შენი ჭირიმე, ერთი ჯამი ზედაშეთი დაგვლოცე, — და მიხას მძახალმა ღვთისომ, თენგოს ტიკჭორიდან ჩამოსხმული უებარი ღვინო გაუწოდა.

მადლობა გადაუხადა თენგომ უხვ მასპინძლებს და ჯამში გალიცლიცებული ღვინო ძირამდე გამოწაფა.

— აი, აგაშენოს მაცხოვარმა, — ყველამ ერთხმად მიაძახა.

— ნაჰტავლი ბიჭი ხარ და, ი საწყალი მამაშენის სულის მოსახსენებლად გამყოფოს ღმერთმა, — დალოცა მიხამ.

— აი, და... და... და... განა ხანდა უნდა მომკვდარიყო და ქიშმერას ეცოცხლა, დაგელოცოს ღმერთო სამართალი, — ამოიოხრა მიხას მეუღლე გაიანემ.

— ეჰ, ხანდახან უფალიც ტყუის, — საიდანღაც გადმოიძახა ღვთისოს ვაჟმა სანდალამ.

— ხმა გაიკმინდე, რას მიჰქარავ! გინდა რო ხატმა აგვიცილოს? ან არ მიგვიღოს?! — მიხამ ჩააჩუმა თამამი სანდალა.

ნასყიდას ჯალაბი ორიოდე მეზობელს შეერთებოდა, ღვინო მორეოდათ. ნასყიდა რიგიანად შეგარხოშებულიყო, დავიწყებულ ხუმრობის გუნებაზედ მოსულიყო და იგრუხტისთან კვიმატობდა.

— არა, ახლა მითამ რამდენი წელიწადი გინდა იცოცხლო, ფეხები რო დაგიკარწახებია და ლომისაში მიეხეტები.

— იშ, ქა ი, ხატის მადლი გაგიწყრეს შენა, რამდენჯერ უნდა გითხრა შეთქმული მაქვს-მეთქი.

— შეთქმული შენცა, ხუთი ჭედილა და სამი მოზვერი მიგყავს, ე, რაღაც ხელის გულივით ნაზუქები გამოგიცხვია და თავშლის ყურში ორი უზალთუნი გამოგინასკვია. რა, მაგითი გინდა სულის ცხონებაი?!

— იშ.., იშ.., იშ. ხმა ჩაიგდე. აგრემცა არა ხარ, — ბრაზობდა იგრუხტი და წირპლიან თვალებს კაბის ქობოთი იწმენდავდა.

ღვინით შეჟიჟინებული თანამოსუფრენი კი სიცილით იხოცებოდნენ და ნასყიდას ყასიდათ ტუქსავდნენ:

„კარგი, შე რჯულძაღლო...“

რა კარგია, ზოგჯერ ადამიანის წოწიალი, კაცშეუჩვეველ მთის ზღუდეებსა და ღრეებში. რა კარგია, ადამიანები როცა გულიანად ხარხარებენ, მხოლოდ მაშინ არიან ისინი სიცოცხლეზედ შეყვარებულნი.

შუაღამემ მოაღწია, ურმის ზეწრებზედ შემხტარმა მამლებმა მეორეთ იყივლეს. ბავშვებს ჭრელ საბნებში სანეტაროდ ჩასძინებოდათ. ძალა დაკარგული ცეცხლები აქა-იქ ოდნავღა კიაფობდნენ თხელ ნაცარში, ზედადგრების ქვეშ. მბჟუტავ ნაღვერდლებით ატყობინებდნენ შორეულ ქედებს,

მწვერვალებზედ აზიდულ ტყეებს, ბარს და შუაღამეს, რომ ხალხი იყო დაბანაკებული ციხის ძირში.

მიწაზედ წაყრილი პირუტყვი საქონელი ცოხნით ერთობოდა, ფუჩეჩს ზანტად ღოღნიდა და უმიზნოთ გაიყურებოდა. არ ეძინა ნასყიდას ლეგას, ფხიზლობდა, ყურები აცქვეტილი ეჭირა და უკვირდა ასეთ სიჩუმეში ყოფნა. სოფელში ამ დროს, ხომ ერთი ალიაქოთი ჰქონდა გამართული: უბნის ძაღლებს ბანს აძლევდა, ფეხის ხმაზედ იღრინებოდა, დღეს მხოლოდ ერთხელ შეყეფა უცხო ურმებს, ბოლოს ყველა თავისიანებათ იცნო, უქნარობამ და მალ-მალმა მთქნარებამ დააღონა.

მესამე დღეს სალოცავში მიმავალი ქარავანი ხატის მთის ძირს მიუახლოვდა. მზე თავის ამალით ლაქვარდებს შესეოდა და ლურჯად ალაპლაპებდა ცის თვალუწვდენ კაბადონებს.

ქარავანმა მთის ვიწრო გზა, რომელიც ჩაბნელებულ ხევს გადასცქეროდა, თრთოლვით და ვაი-ვაგლახით აიარა. საკმარისი იყო კაცის, ან ხარ-კამეჩის ფეხის პატარა წაბორძიკება,რომ პირქუშ,კლდემოლიპულ და ძირდაუნახავ ხევის ნაპრალებს საუკუნოთ ამოეფარებინა სინათლისათვის. მართლაც და, რა ვეშაპივით პირდაღებული შესცქეროდა ტიალი ხევი მთის წვერზედ მიმავალ ქარავანს, ჩასაფრებული ნადირივით მსხვერპლს მოელოდა. ადამიანების გლეჯით გამსუნაგებულ ხევს ბევრჯერ უნახავს ადამიანების წიოკობა და ცრემლმორეული თვალები ჭირისუფლების ზარდამცემ ღრიალისათვის მშვიდათ უყურებია, კლდეების გამოძახილიც კი გულთან არ მიუკარებია. გადაჩეხილ ადამიანის ლოდებზედ შესხმული სისხლი და ტვინი ხევის ქარს ულოკნია და ბედშავი ხევი ჯალათივით უხარებია.

საზარელი ხევი ჩაუდის ლომისის ხატს, მეტად საზარელი...

ურმებმა სალოცავს მიაღწიეს, ზეცა მაღლა აიწია და წინ გადაეშალათ სამიოდე დღიურის ტოლა მწვანედ აბიბინებული ველი.

გაგიკვირდება და ძალუმად იფიქრებ, ბარის წალკოტს ამ მიუვალ მთების წვერზედ რა უნდა? ნუთუ წინათ მთებმაც იცოდნენ მინდვრების მოტაცება? იქნებ, ტყუილად არ ჰქვია ლომისის მთას მიმინოს ქედი...

დიადი და უმანკოა ლომისის წალკოტი, ჩრდილო დასავლეთისკენ რო გადაჰფენია და დედოფალივით რო შეფარებულა წერწეტა მთების კოშკებში.

ამ ველის ნაპირზედ, ამ მთების ნოტიო ბანზედ დაბრმავებული ვერძივით იდგა ლომისის კარებ ჩამოვარდნილი საყდარი, – სამრეკლოს ოდენა, ტანმორჩილი და გუმბათგარღვეული, ხავსმოკიდებული კედლების ქვითკირს ბალახი წვერივით წამოზრდოდა, რაც ამტკიცებდა ლომისის ხნიერებას და წელგატეხილობას.

შიგნით საყდარში სახე აქერცლილი ღვთისმშობლის ხატი ეკიდა, ეს იყო და ეს, სალოცავის სამკაული.

ნეტა ლომისას მაღლობიდან ბარში გადმოგეხედათ: ტრიალი მინდვრები თითბრისფერ მდინარის ტოტებით რო იყო შეჭრილი, კაცებს თითქოს ნისლები დაუწინდიათ, ხშირი ვენახები და ბაღები კვრინჩხის ბუჩქებივით რო იყო გორაკების ძირში შეფოთლილი, შორი სოფლები ფერდაკარგულ სურათებივით რო ეკიდა შემოდგომის მდუმარებას, მთიულების ფარეხები და გომები მაღალ მთების ქოჩორზედ ჯირკებივით რო წაყრილიყვნენ, ლომისას ახლო-მახლო ძროხ-ხბოს ნახირი, ცხენების ჯოგი და ცხვრის ფარა რო შეფენილიყო.

მწყემსებს ერთმანეთს შორის ნაცვალგარდობა შემოეღოთ და ხატობაში ამოსულიყვნენ, გაქონილ ტყაპუჭებზედ უბალთო წვრილი ქამრები შემოეჭირათ და ზედ ქარქაშგადატყავებული ხანჯლები ეკიდათ, სალამურები წელში გაერჭოთ, ეტყობოდათ ახალი ქალამნები სადღეობოთ ამოესხათ და შავი თასმებით ჭრელ წინდებზედ ლამაზად ჰქონდათ ამოკრული. ცხვრის გრძელბეწვიანი ფაფახების ქვეშ აქეცილი და გაღრეჭილი ხაოიანი სახეები, სავალალო შთაბეჭდილებას სტოვებდა, კომბლები ხო ტურტლიან ხელებით ისე ეჭირათ, გეგონებოდა საჩხუბრად ამოსულანო. და მართლაც, ამპარტავნობა შეჰფეროდათ. მთა ხომ მათი კარ-მიდამო იყო, ისინი ხომ ლომისის ქედის შინაურები იყვნენ...

მეორე დღეს საგანგებო ამინდი წამომზეურებულიყო. ზღვა ხალხი დასეოდა ლომისას, მინდორს ერთი მხრიდან სახელდახელო დუქნები შემოვლებოდა მუხის და თელას ტოტებით გადაბურული, მეწვრილმანეების ყვირილი ყურებს აყრუებდა, საპატარძლო გოგოები ცალი თვალით სერავდნენ ბიჭებს, ქეიფი და ღრიანცელი ჰაერში შუშხუნებივით ადიოდა და ლომისის ქედს ფერდებამდე ეღვრებოდა. მაჭანკლები გასათხოვარ ქალებს შინჯავდნენ, ყასიდათ მოგონილ სიფრთხილეს იჩენდნენ, ყბედობით ტუჩები უქაფდებოდათ, საქორწილო ბიჭებს ხმელ ხილზედ, ფოჩიან კამფეტებზედ, ბურახსა და ლიმონათზედ გოგოებს აპატიჟებინებდნენ.

ვიღასაც ღმერთი გასწყრომოდა, ქადაგათ დავარდნილიყო, რაღასაც ბოდავდა, იჭაჭებოდა და „ლომისის მოციქული ვარო“ – ყველას არწმუნებდა. ხალხი გუგუნებდა და გუგუნებდა. შემოდგომის მზეც ღონედაკარგულ სხივებს უხვათ უგზავნიდა შეყრილ ხალხის საღმრთო დიდებას. ნაირნაირი ტანისამოსი, ყვითელი და თეთრი ხშირი ქოლგები, თავდახურული ქალების ფერადი ბაღდადები და პრტყელ არშია შემოკრული ლეჩაქები აბილპეპელებდა ყველგან და ყველაფერს.

ლხინი ლხინზედ გაემართათ, ზოგან ზურნით, ზოგან დოლით და დაირით, ზოგან გარმონით ან, როგორც გაიანემ იცოდა „ბუზიკით“ და

ტაშის გრიალში თავმომწონე ყმაწვილები ერთმანეთს ეკვანწებოდნენ.

მინდვრის შუაგულში ქართული ჭიდაობა გაეხურებინათ, ფალავნები ვეფხვებივით იწევდნენ ერთიმეორეზედ და ყველას უნდოდა თავის სოფლისთვის გამარჯვება გამოეტანა. წაქცეულ მოჭიდავის მომხრეები ერთ ალიაქოთს აყენებდნენ „არ არი, არ არიიიი, არიიი...“ გამარჯვებულის ავანჩავანები კი „არიიი, არი... არიიი“ და დამარცხებულთა მხარეს დამცინავი ღიმილით გასცქეროდნენ... თან „უი, შენი შუა სარმის ჭირიმე... ქატოთი გატენილ ტომარასავით არ მოიკიდე! შე სახეძაღლო...“ შეხაროდნენ ოფლში გაწურულ და კბილებში სისხლმორეულ გმირს.

– მაგასა, ღოჯურში შემოსვლა უნდოდა და ის კი არ იცის, რა ბიჭთან ჰქონდა საქმეი, – ბაქიბუქობდა ფალავანი.

გუგუნებდა მთელი არემარე, ზრიალებდა. ხვალის ჭირ-ვარამზედ, ხვალის ტვირთზედ აღარავინ ფიქრობდა.

ხალხის უმეტესობას კარგად რო დაჰკვირვებოდი შეატყობდი, რომ „სულის საცხონებლად“ არ იყო ამოსული, უფრო სალხინოდ, უფრო საღრეოდ...

ლომისის ხატსაც ყავდა თავის მრევლი, ვისაც ჩოქვით ჰქონდა შეთქმული, საყდარის გარშემო შემოევლო და მუხლის კვირისტავები საცოდავათ ჰქონდა დათეთქვილი, ზოგი ანთებული კელაპტრებით, ზოგი სანთლებით საყდარს სამგზის უვლიდა გარშემო და კედლის ქვებს სასოებით ტყლოშნიდნენ, ზოგი ზვარაკს ჰკლავდა, ზოგი ზედაშეს რუმბებიდან ხელადებში ასხავდა.

საყდრის წინ შეთქმულ ალისფერ ხალათების და თეთრი თავშალების ზვინი იდგა. დეკანოზი ექვთიმე შესაწირავით დაზურგულ ხურჯინებს სახედრებს ჰკიდებდა და დიაკვანს რაღასაც ებუზღუნებოდა.

კარგად მობინდდა, რომ იგრუხტის ლოცვა ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა, ვედრებას თავის სიცოცხლის შენარჩუნებაზედ დიდხანს მოუნდა. ეხლა კი, ლომისას თენგოს გონების დაბრუნებასა და გაჯანსაღებას ეხვეწებოდა.

– მოგვხედე წყალობის თვალით ლომისის ხატო, – ჩიფჩიფებდა იგრუხტი.

ამ დროს, რაღაც სათნო და დამშვიდებული იყო საცოდავი ბებერი.

ხატობა ორი დღე გაგრძელდა.

ჩხუბები, აყალმაყალი, დავიდარაბა, ქალების დაბევება, ავადმყოფების სასოწარკვეთილი კრუსუნი, მლოცველების გულის მოჯერება და ხალხი... დაღლილი გაძვალტყავებული და საკინძჩამოღლეტილი ბარისკენ ნელ-ნელა დაეშვა.

ლომისა კი, ისევ მერმისამდე მარტოკა დარჩა უღრან სიჩუმეში,

როგორც მერცხლებისაგან მიტოვებული ბუდე, როგორც გატაცებული უწმინდურება...

მთის ნიავქარი ადამიანებისაგან გათელილ ბალახს სულს უბრუნებდა და მკვდარ მურყანის, რცხილას და წიფელას ტოტებს ისევ ტყის შრიალში და ბანჯგვლიან ჯაგვნარში ასაფლავებდა.

## ყრმობა თავდებოდა

ზამთრის ცივი ღამე ყინავდა არემარეს. ქრისტეშობისთვის თოვლი ქვენა ქარის სუსხით დამზრალიყო და თეთრად ქათქათებდა. ღარების ქვატალახა ბუხრები ნათელ შუაღამეში უწესრიგოთ ხრჩოლავდნენ. ცის კიდეებთან თუჯისფერი კუტი ღრუბლები საცოდავათ დაფოფხავდნენ მოლიპულ ზეცაზედ, ფეხი უსხლტებოდათ, ცურდებოდნენ, იშლებოდნენ და კრიალა მთვარეს გზას უთმობდნენ, რომელიც თეთრ სუდარაში გარინდებულ მიწას ჩაშტერებოდა.

მშვენიერებაა შუაღამის მაღალ სიჩუმეში მთვარის და ღრუბლების ლაზღანდარობა.

ღარების დიდ შარაგზაზედ, რომ გაგეხედა, მთვარის შუქზედ შეამჩნევდი: მიმავალ ადამიანს, რომელიც სადღაც ქურდივით იკარგებოდა და სოფლის სამიჯნოებს უკან იტოვებდა.

მიდიოდა გაოგნებული, უმიზნოთ, შავფიქრებში და მწარე ნაღველით გათანგული.

უკან არ იხედებოდა, თითქოს თავის ნაფეხურების ეშინოდა, დაწყევლილ სიცოცხლესთან შერიგება აღარ უნდოდა... მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით. მთვარის შუქი მის ჩრდილს, ხან მახლობელ ხეებს ახვევდა, ხან გზებზედ სწელავდა, ხან წინ გადაუსროდა, ხან უკან გადაუსროდა და სამი მგზავრის დატყვევებას ლამობდა.

ეს მიმავალი კაცი თენგიზ ვეზირიშვილი იყო! ლტოლვილობის მძიმე და უნიათო დღეებს რო იწყობდა მისი ახირებული, კერპი და კეთილშობილი გული.

ქიშმერას კარ-მიდამოს სამუდამოთ მოშორება სულგამწარებულ თენგოს ამშვიდებდა და რატომღაც უხაროდა!

სად მიდიოდა? მის გაჭრას ჰქონდა ნათელი აზრი ან ხვალისთვის თავშესაფარი? საკუთარი თავის იმედი იყო? ან ვინმე მახლობელს აშურებდა? ან გასახარელ ცხოვრებას მოელოდა?

**არა, არაფრის.**

არავითარი ნუგეში, არავითარი ბედნიერება. სახლიდან გაქცევა, რაც შეიძლება ჩქარა მოშორება იმ სოფლიდან, სადაც ბავშვობას და ყრმობას მოწამლული დღეები სპილენძის ჟანგივით მოჰკიდებოდა... მერე თუ გინდა წყალსაც წაუღია, როგორც ნაფოტი, როგორც ტალღების ქაფი. ოღონდ ღარები თვალებს სიკვდილამდე მოფარებოდა და სხვის წადილს არ დაგიდევდა.

თენგო მახლობელი რკინისგზის სადგურს მიუახლოვდა, ეს ის ქალაქი იყო, სადაც თენგომ სასულიერო სასწავლებელში ფეხი შესდგა, სადაც აუარებელ სიბრძნეს და სისულელეს ჩახედა და ბოლოს კინწისკვრით რო გამოაძევეს, როგორც ზარმაცი, როგორც უნიჭო.

მესამე ზარი ჩამოჰკრეს, მატარებლის უფროსმა გამყოლმა სასტვენით ამცნო მემანქანეს წასვლის დრო. ორთქლმავალმა საზარლათ დაიკივლა, ერთი მძლავრად ამოიქშინა, თითქოს ადამიანებს შებრალება სთხოვა და მგზავრებით გაჭედილი ვაგონები კატის კნუტებივით გაიტაცა. გაიტაცა თენგოც სატანჯველ ადგილებიდან.

სიბნელეში მატარებლის წითლად ანთებული კუდი მთის მოსახვევში და ღამის წყვდიადში სწრაფად გადაიკარგა.

თენგო მესამე კლასის ვაგონის კუნჭულში მიმჯდარიყო. მგზავრების ხვრინვა, ჭედვა და ფეხების ყრალი სუნი სულს უხუთავდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო და სატიალო ბედს უნდა დამორჩილებოდა.

მატარებელი ხრიგინებდა, რახრახებდა და გზადაგზა შეჩვენებულივით ყვიროდა, ხან ვაგონები დაქსელილ ლიანდაგზედ უცფად მეტ რახარუხს ასტეხავდნენ, აქეთ-იქეთ ირწეოდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მორიგ სადგურს მიუახლოვდა და მალე გაჩერდება.

აგერ წამოთენდა, მატარებელმა მეათე სადგური გაირა და თენგო კი ჩამოსვლას მახლობელ სადგურებზეც არ აპირობდა!

ასე იცის უშინაარსო ცხოვრებამ.

ღარებში კარგად გათენებულიყო.

ქიშმერას ოჯახში წიოკობა იდგა.

ალთა ღუდუშაური ცრემლმორეული კითხულობდა ზანდუკის თავზედ დატოვებულ ბარათს: „მაპატიეთ, ეხლა მაინც ნუღარ იქნებით უმადურნი. წავედი, ნუღარ მომძებნით, არასოდეს აღარ დავბრუნდები.

ვერ ავიტანე გაცისმარებული კრულვა. მოისვენეთ, აღარ ვიქნები, რომ ნამცეცები დამაყვედროთ... აღარ ვიქნები, რომ მკილოთ, მლანძღოთ და მიტატანოთ. ო, როგორ მიხარია, რო სულს დავლევ, სადღაც შორს მარტოთ-მარტო, სიცოცხლე მოშხამული და თქვენ მძიმე სახეებს ვეღარ

დავინახავ.

რა საჭიროა მოსძებნოთ ის ადამიანი, ვინც თქვენ დასანახავათ გძულ-დათ და იოტის ოდენათ არ გებრალებოდათ, რათ გინდათ გაჰყვეთ იმ კაცის ნაფეხურებს, რომელსაც თქვენ სულელს ეძახდით და, რო დამიწ-ყოთ ძებნა, ეს ხომ იქნება უნამუსო გულშემატკივრობა მხოლოდ ხალხის თვალის ასახვევათ.

გრცხვენოდეთ, მეტს ვეღარაფერს გეტყვით.

შენ კი ჩემო ალთა, საყვარელო ნენე, ჩემში, ჩემი სულის სიღრმეში, ჩემ დაულეველ ფიქრებში იცხოვრებთ, როგორც დიდი მოამაგენი, დიდი მეგობრები და თუ სადმე ილაჯგაწყვეტილი დავეცი, სიარულის თავი რო აღარ მექნება შიმშილით დაოსებულს, ტირილით გულამოსკნილს, ო, მაშინაც კი ჩემთან იქნებით ტკბილო ალთა და კეთილო ნენე, ჩემს უკა-ნასკნელ გულის ფეთქვასთან ანთებული სანთლებივით და თან ჩამყვება ოხერ მიწაში თქვენი დიდი და დაუშრეტელი სიყვარული.

ნუღარ იდარდებთ, ყველაფერი გათავდა...“

უნდა გენახათ: ქიშმერა და მისი გაიძვერა დები როგორ მოსთქვამ-დნენ, თმებს როგორ იგლიჯავდნენ, მუხლებს და ფერდებს ხელებით როგორ ითქვლიფავდნენ! თითქოს თენგოს ცხედარი წინ ედოთ.

მეზობლები გონს ვერ მოსულიყვნენ, გაკვირვებული უყურებდნენ იგრუხტის ცრემლებს და ქიშმერას ამშვიდებდნენ: „ნუ გეშინიათ, დაბრუნ-დება...“

მატარებელი კი შორეულ ლიანდაგზედ შურდულივით მიჰქროდა, გორაკებსა და მინდვრებს შორის ტურასავით კიოდა, თენგო ვაგონის ფანჯრებიდან ხედავდა მახლობელი ხეები, ჩირგვნარები, ტელეგრაფის ბოძები  თრითინებივით რო გარბოდნენ ორთქლმავალის ყვირილსა და ხვნეშაზედ.

თენგო დიდ ქალაქს უახლოვდებოდა და ყრმობა მომძვრალ სახეზედ სიჭაბუკე ეტანებოდა.

ქიშმერას საგარეო კაბა გადაეცვა, კავიანი ჯოხი ხელში დაებღაუჭები-ნა, სახედაკაწრული გოდებით და ვიშით რკინისგზის სადგურისკენ მიდი-ოდა და ამოვარდნილ ნამქერში მალი-მალ ჩერდებოდა, სულს ითქვამდა და ისევ გზას აგრძელებდა.

ივდითი პირდაუბანელი სოფლის გზაზედ გამოსულიყო და გამვლელ-გამომვლელს შესჩიოდა: „ხომ არ გინახავთ?“

„როგორ დაგვღუპა და დაგვანელა ი, ბიჭმა“. ბუღრიაც გაწუწკებული-ყო და კარიდან კარზედ მშიერ-მწყურვალი დაძუნძულებდა.

# მდევრები

მახლობელი მთის მობინადრე ოსებს ნამქერში დაღუპული ქიშმერა ენახათ. გაშეშებულ და გაყინულ სხეულზედ სამოსი ისე გახევებოდა, რომ საცოდავის ცხედარი გახურებულ ღუმელთან შორიახლო დაესვენებინათ სანამ არ გამხვალიყო და არ გამოეცვალათ კაბა და საცვლები, ისე არ ჩაესვენებინათ უბრალო ფიცრით შეკრულ კუბოში.

ეხლა კი ყველას თენგოზედ ძლიერ ქიშმერა ებრალებოდათ.

– ის კაცია, გზას გაიკვლევს, ამ უბედურს ეს რა დაემართა! – მოსთქვამდნენ სოფლელები.

ნასყიდამ და ნენეს ძმისწულმა ჯანგირამ ბევრი ეძებეს თენგოს ბილიკი, სად არ იყვნენ, სად არ მიაკითხეს, მაგრამ კვალის ნასახიც ვერსად იპოვნეს,გულდაწყვეტილები და ხელცარიელნი შინ დაბრუნდნენ.

მიდიოდნენ დღეები, თვეები და თენგოს შესახებ არაფერი ისმოდა. საიდუმლოებით იყო დაფარული თენგოს არსებობა.

თუმცა ხანგამოშვებით ჭორები ვრცელდებოდა: ერთნი თენგოს დაკარგვას თვალისცემას აბრალებდნენ, მეორენი მის ბერათ აღკვეცაში ეჭვობდნენ, მესამენი თენგოს სიზმარში ხედავდნენ და დაბეჯითებით ამტკიცებდნენ: არსადაც არ წასულა, აქ ახლომახლო იმალებაო...

თენგო ხეტიალს შესჩვეოდა ქალაქიდან-ქალაქში. რა საშინელია, როცა ყმაწვილი კაცი წოწიალს გადაჰყვება, არ იცის სად დაათენდება, არ იცის ხვალინდელი დღე რას მოუტანს!

განა მარტო ცრემლშეუმშრალი თვალის გუგები უშველის ადამიანს?..

რა უფლება გაქვს მზემ იკაშკაშოს და შენ ჩაბნელებულმა იარო.

დაბადება თუ შენი ნება არ იყო, არც სიკვდილის მოთხოვნის უფლება გაქვს.

უნდა იცოცხლო, იცოცხლო... სიცოცხლეზედ კარგი არაფერია ამ ქვეყანაზედ. მაგრამ თენგოს რატომღაც სიცოცხლე არ უყვარდა. იქნებ იმიტომ, რომ ქვეყნიერებას აბუჩად აეგდო?

არ ასვენებდა, არ აწყნარებდა და მზის სხივებიც კი ლურსმნებივით ხვდებოდა! დაძონძილი და კონკებში გამოხვეული, მაწანწალათ გადაქცეული თენგო ამას ცხადყოფდა.

# ქალაქის ჭუჭყი

ქალაქი ხერთვისი მოზრდილი ნავსადგური იყო შავი ზღვის სანაპიროზედ.

ისე როგორც ხნიერმა ქალაქებმა, აქაც ერთიმეორეს ეჭიდებოდა აზიური სიძველე და ევროპიული სიახლე. ვიწრო მიხვეულ-მოხვეული და უხეიროთ დაკლაკნილი ქუჩები, ორ და სამ სართულიან ახორხლილ სახლებს გველის ხვრელივით მიყვებოდნენ გახუნებული და ფუტურო აივნები, დიდი შუშაბანდით გადახურული ქარვასლები უსინათლო ყავახანებს და სავაჭროებს კიდევ უფრო აბნელებდნენ. მაგრამ გასცდებოდი თუ არა ჩვენი წელთაღრიცხვის დროინდელ უბნებს და დაეშვებოდი ჩრდილო დასავლეთით, შენ წინ აღიმართებოდნენ ლამაზი სასახლეები, ევროპიული განიერი ქუჩები სუფთათ მოკირწყლული, სკვერები, შეკრეჭილი ბაღები ნაირ-ნაირი ყვავილებით შემკული და აზიდული.

როგორც ეს სჩვევია ზღვის სანაპირო ქალაქებს, აქაც რა ჯურის და მილეთის ხალხი არ გინდა არ ირეოდა! აქ ნახავდი: ჩარჩ ბერძენს, ვაჭარ ებრაელს, ჯამბაზ ჩინელს, დარდიმანდ, მოქეიფე და ხანჯლის წვერებზედ მოცეკვავე ქართველ თავადიშვილს, გალოთებულ რუს „ბროდიაგას“, მოგზაურ ინგლისელს, რომელსაც თავაზიანობა ბრიტანეთში დაეტოვებინა, ოსმალოს ბეგს ჩადრებში დახროვილ ცოლებით, აუარებელ გაძვალტყავებულ მტვირთავებს, ხალისიან მეზღვაურებს, მეძავთა მოურიდებელ ღრეჭას და უაზრო სახეებს, ყავარჯნებზედ დაყრდნობილ ფეხმოტეხილ მათხოვრებს, უსახლკარო ბავშვებს სანოვაგის სავაჭროებთან ატუზულებს, მკითხავ ბოშის ქალებს, მოხეტიალე მუსიკოსებს, ლაზღანდარა ბიჭბუჭებს, თვალთმაქც შუამავლებს და, ვინ იცის კიდევ... ვინ მოსთვლის...

ახალი გემის მოსვლა ნავსაყუდელთან მთელ ქალაქს აცოცხლებდა. იწყებოდა აღებ-მიცემობა, რიგი ხალხის გამგზავრება, რიგის ჩამოსვლა, მტვირთავები მძიმე ბარგის წევით წელს იწყვეტამდნენ, ჯიბეგაფხეკილებიც რაღაც საქმეს შოულობდნენ და, ასე მთელი დღე იდგა ქალაქის ბუყბუყი და ხრიალი.

ზღვა კი განუწყვეტლივ ბობოქრობდა, ღელავდა, ფაფარ აყრილი ტალღები მოჰქონდა ნაპირთან, ახეთქებდა შეუდრეკელ ბურჯებს, რიყეს მიურ-მოურევდა და, ისევ უკან იტაცებდა რაღაც ღვთაებრივი გუგუნით... შორს, შორს... ცის ღობის ძირამდე მიდიოდა ტალღა ტალღაზედ, და დიდხანს, დიდხანს რო გეცქირათ, სადაც ზღვა სივრცეებს ერეოდა, გეგონებოდათ ქვეყანა იქ თავდებოდა.

თიბათვის საღამო ხანი ჩამომდგარიყო.

ქალაქი ხერთვისი ჩირაღდნებით კიაფობდა. ზღვის ყურე ხელის გულივით გაშლილიყო, სთვლემდა და ელნათურების შუქში საგანგებოდ ციმციმებდა. მომცრო გემებს ღუზები ჩაეშვათ, აფრები აეკეცათ და ქარში დაღლილი ანძებიც მახლობელ შუქურას თვალმომჭრელ ელვარებას მოკრძალებით შეხაროდნენ.

მოსვენებას უსულდგმულო ქვეყანაც შენატროდა. ორიოდე სამხედრო ახმახი გემი პირდაღებული უყურებდა მიყუჩებულ ქალაქს. ბაქნებზედ შაშხანათი შეიარაღებული მეზღვაურები ფხიზლობდნენ, რომ მავნე ადამიანის ხელი არ შეხებოდათ, ისე კი ნადირების თავდასხმისაგან დაზღვეულები იყვნენ.

ქალაქის განაპირა ჭუჭყიან უბანში ძველ, გადახრენწილ, ჭერდაბალ სარდაფში მოთავსებული იყო გრძელი ლუდხანა, რომელიც ძირ შეჭყლეტილი ჭრაქებით გაენათებინათ.

მეზღვაურების და ხრინწიანი ქალების ტყლოშნა, წივილ-კივილი იდგა. პაპიროსების და სიგარების კვამლი მაყალზედ აშიშინებულ სუკების ოშხივარს ერეოდა და ადამიანები ნისლში გათანგულ ხეებივით მოსჩანდნენ.

ყოფილი მეზღვაური რობერტი გარმონს საუკეთესოდ უკრავდა და წურბელასავით ეჭიდებოდა თავის გაცვეთილ ხმას, რომ ბოშური სატრფიალო სიმღერები გადმოეფრქვია.

მეძავი ქალები კარგად შემთვრალიყვნენ და ნამარხულევ მეზღვაურებს უსარვაზივით ეხვეოდნენ, ზოგი კალთაში ჩასჯდომოდა ვნება ალეწილ ლოცმანს, ზოგ კახპას კაბა ისე გადაეწია, რომ არაყით გალეშილ გემის კაპიტანს ბარძაყებს ასრესინებდა, ზოგი ბოზი იმდენად დამთვრალიყო ლუდის და კონიაკების სმით, რომ თავი ვეღარ შეემაგრებინა: სამფეხა სკამზედ საძაგლად გადათხლარშულიყო, გული გაღეღოდა და კედელს კისერ გადაღრეცილი მიჰყუდებოდა.

ერთ-ერთ კუთხეში ავაზაკებს კარტის აზარტული თამაში წამოეწყოთ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, ალმური ასდიოდათ, თითებს სიბრაზით იკვნეტავდნენ, წამოჭარხლებულები ერთიმეორეს უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებოდნენ.

ხარხარი, გინება და სვინდის გარეცხილი ალერსი მაგიდიდან — მაგიდაზედ მეხივით ეცემოდა.

ლუდხანას კედლებზედ უნიჭო მხატვრების ფუნჯით დახატული შიშველი ქალების და ყანწიანი კინტოების გაქონილი და სიცხისაგან დაორთქლილი სურათები ეკიდა.

წოწიალით დაღლილი თენგო ამ ლუდხანას ორომტრიალში მოხვედრილიყო! კუნჭულში პატარა მაგიდას მისჯდომოდა.

რამ შემოახეტა ამ გარყვნილების ბუნაგში?! ნუთუ გათახსირებულ ადამიანების ცქერით უნდოდა დაევიწყებინა უხალისო სიყმაწვილე, ბოღმა მორეული სიცოცხლე? თუ, უნდოდა ასცდენოდა იმ შორეული იმედის ცქერას, რომელიც შავი ღრუბლების სანათურებიდან, სადღაც ცისარტყელასავით ელვარებდა?! ძნელი სათქმელი იყო. მოწყენილი სახე, დაღლილი თვალები, რაღაც არა სასიკეთო დღის განჩინებას მეტყველებდნენ.

თენგო თავის გარშემო ვერავის ამჩნევდა, თითქოს ლუდხანას ჟრიამული მისთვის განიერი საფარი იყო ნაწვიმარი და ნაქარევი ფიქრებისათვის.

ადამიანმა იცის ხანდისხან ხალხის ხმაურში უფრო დიდი ოცნება, ვიდრე სადმე განმარტოებით.

თენგომ ნამსი გატეხა! ერთი წაფურა ლუდი მოითხოვა და ხარბად გადაჰკრა, მოატანინა მეორეთ, მესამეთ, მეოთხეთ და ყავისფერმა მაგარმა ლუდმა შეუჩვეველ თენგოზე იმოქმედა და სიმთვრალე მოერია.

რა მწარეა, როცა სიმთვრალესთან ერთად მთვრალი დარდებიც გულის ფიცარზედ გაფრინდებიან, სხეულიდან გამოსვლას ვეღარ ახერხებენ, ხან შუბლის ძვალზედ გეჯახებიან, ხან საფეთქლებს გიხურებენ, ხან ნეკნებს გიწიწკნიან, ტვინს გიცხელებენ, თვალებს მდუღარე წყალივით გიფუფქამენ, მუხლებს გიდუნებენ და იტანჯები, იტანჯები განუსაზღვრელად.

ხომ გინახავთ ცეცხლმოკიდებული ფიქრებით დაკორტნილი ახალგაზრდა ადამიანის სახე... ასეთი იყო თენგოც ამჟამად.

ლუდხანას პატრონს მოწყენილი მუშტრები არ უყვარდა, თენგო თვალში ამოიღო, ჯერ კარგახანს შორიდან ზვერავდა, ბოლოს, უშნო ზრდილობით და მოხათრებული მოკრძალებით მიუახლოვდა.

– ყმაწვილო, რამ დაგაღონა, გეტყობათ მოგზაური ხართ, ალბათ დაიქანცეთ, ლუდზე შესატანებელს ხომ არაფერს ინებებთ... – ასეთი პრტყელ-პრტყელი მზრუნველობით მიმართა და ოფლის ხვითქში აზელილი მელოტი თავი ჭრელი ბაღდათით მოიწმინდა.

– არა ვარ დაღონებული! – სხარტად უპასუხა თენგომ არამკითხე მოსარჩლეს და თვალები მაგიდას დააშტერა, რომ ამით ეგრძნობინებინა, თუ გული როგორ ერევა გასუქებულ ყარაჩოღელის მოფერებით.

– შენ იცი ძმაო, – ესღა მოახერხა გაიძვერა მიკიტანმა. კაკლის ძირივით სქელი ტანი და კამეჩის ფაშვის ტოლა ღიპი, რომელზედაც ვერცხლის უშველებელი ქამარი ეკრა, ზანტად დახლისაკენ შეატრიალა.

შუაღამე გადავიდა. ქალაქი ძილში კრუსუნებდა. თენგო ენის ბორძიკით, ლუდხანას გადასწვრივ მიმავალ ქუჩის შუაწელზედ პროფესორ კრაევსკის თავის თავგადასავალს უყვებოდა. ბევრს ცდილობდა თავი

შეეკავებინა, რომ სიმთვრალე არ შესტყობოდა, მაგრამ პროფესორი ალექსანდრე კრაევსკი სათნო და გულისხმიერი ადამიანი იყო, მისი გონიერი თვალები, თენგოს საუბარში, სახეზედ, კარგად კითხულობდა ვერაგი ცხოვრების დუხჭირ მოთხრობას.

განა კრაევსკიმ არ გააჩერა სარდაფიდან ამოსული თენგო ქუჩაში რო არეული ნაბიჯით მიბარბაცებდა? განა კრაევსკიმ არ დაატანა ძალა მოჰყოლოდა ვინ იყო? და სად მიდიოდა?

კრაევსკი ჩრდილოეთის ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ქალაქის განთქმულ უნივერსიტეტში მსოფლიო ლიტერატურას კითხულობდა, ცოლად ქართველი ქალი ყავდა და ზაფხულის არდადეგებს სამხრეთში ატარებდა. ხერთვისი მისი საყვარელი აგარაკი იყო. ბედზედ, ამ შუაღამემდე კრაევსკი თავის მეგობართან ყოფილიყო სტუმრათ და რადგან ძალზედ მოჰგვიანებოდა, სასტუმროსაკენ მიიჩქაროდა, რო ამ დროს გზათ თენგო შემოეყარა.

დღე რო ყოფილიყო, იქნებ თენგოსთვის ყურადღებაც არ მიექცია, მაგრამ ღამე რატომღაც უფრო გრძნობიერია ყველა ჩვენგანი.

თენგო თავის ცხოვრებას ამთავრებდა, თაკილობდა, დარეული სიმთვრალე და თავმოყვარეობა ჰქენჯნიდა.

– დამშვიდდი ყმაწვილო, შენი ცხოვრების გზები ჯერ კიდევ წინ არის... რასაც ტანჯულხარ შეიძლება ერთით კარგიც იყვეს მომავალი კეთილდღეობისათვის, შენ საუბარში მშვენიერი სული ტრიალებს, უანგარო ზრახვებს შესისხლხორცებიხარ და, დარწმუნებული იყავი, გულით და სულით დაგეხმარები, როგორც მამა, როგორც ღვიძლი მშობელი.

უთვისტომო თენგო სიხარულით ძაგძაგებდა. პროფესორ კრაევსკის მორცხვათ მიჰყვებოდა სასტუმროსაკენ, როგორც მხევალი და სიმთვრალისაგან ნახევრად გამოფხიზლებული.

კრაევსკის ცოლ-შვილს ეძინა. კრაევსკი და თენგო სასტუმროს აივანზედ გამოვიდნენ, რბილ სავარძელებში ჩასხდნენ და კიდევ დიდხანს ისაუბრეს. აივანი ზღვას გადასცქეროდა და ეს აცისკროვნებდა მათ საგულისხმო მუსაიფს.

რიჟრაჟმა მოატანა. თენგომ აივანზედ გაშლილ თივთიკის სარეცელში ღრმად ჩაიძინა. კრაევსკიმ კი ოთახის კარი წყნარად შეიხურა.

თენდებოდა და იღვიძებდა მოუსვენარი ქალაქი, ძილში გამოშუშული ქვეყნიერება განგაშს ტეხავდა. მზე სხვილ ნაპერწკლებს ისროდა ქედნისფერ სივრცეებში, აღმოსავლეთით აწითლებდა ცის კაბადონებს, გეგონებოდათ სადღაც მეორე წუთისოფელი იწვისო.

# უმანკოება

კვირა დღეს ქალაქი უქმობდა. ლეილო როიალს უკრავდა. ბეთხოვენის ჰანგების სიდიადენი სწუხდნენ წუთისოფლის წარმავალობას და ჭერმაღალ ოთახის სისუფთავეში ყვავილებივით ლიელივებდნენ.

კრაევსკი იაპონური ყაიდის დაბალ ტახტრევანზედ მხართეძოზედ წამოწოლილიყო. შვილის ხელოვნებით აღტაცებაში მოდიოდა, მუსიკის შრიალით სტკბებოდა და კეთილშობილ ფიქრებს სურნელოვან პაპიროსის თხელი კვამლით აზვიადებდა.

თენგო ბანანის სავარძელზედ იჯდა, მუხლებზედ ნიდაყვები დაეყრდნო, სახე ხელის გულებში დაეჭირა და გაშტერებით მისჩერებოდა: მშვენიერ ლეილოს წელამდე ჩაშლილ ქერა თმებს, შავი წამწამებით დაბურულ ცისფერ თვალებს, უმანკო ხელებს, ხელებს ღვთიური კოცნით თლილი თითები რო ესხა. ლამაზი თითები ანკარა თეთრ კლავიშებს თვალშეუსწრებლად რო ამოძრავებდნენ და ყრუ გენიოსის სიმღერას შადრევანივით რო ეზიდებოდნენ ზღაპრულ სირინოზების დაუშრეტელ და ფერადოვან ტბებიდან.

რა კარგია ადამიანი მუსიკის და სიმღერის ნიაღვრების დროს, ის მაშინ ამოდის თავის ქერქიდან, სულს არტახებივით რო აქვს შემოკრული, ქერქს, რომელსაც თან დააქვს ჭინჭყლი და ბოროტება.

ლეილოს დედა, ქეთევანი, ნამყენ ვარდებს – ჩინურ ქილებში – წყალს უცვლიდა და ფეხაკრეფით დადიოდა კრიალა იატაკზედ.

კრაევსკიმ თენგოს მიაპყრო ყურადღება და წუხანდელ ნაამბობზედ ჩაფიქრდა.

თენგო ისევ ლეილოს მისჩერებოდა, თითქოს თენგოც თავის სულის სიმებზედ გაუხარელი დღეების ჰანგებს მღეროდა.

კრაევსკიმ და ქეთევანმა სასტუმროს ბაღში ჩაისეირნეს.

ლეილო კი, ახლად გაცნობილ თენგოს ართობდა.

– ეს იცით რა კარგი რომანსი არის, ამაშია სიცივეც და პაპანაქებაც.

– მადლობთ ლეილო, ალბად ვეღირსები მოსმენას, თუ...

– როგორ?! განა ჩვენგან წასვლას აპირობთ?..

– უსათუოთ, სტუმარობა დიდხან არ შეიძლება.

– თქვენ ჩვენთან დარჩებით, მამა დილაადრიან მე და დედას გვიყვებოდა, რომ ჩვენთან უნდა იცხოვროთ და უმაღლეს სასწავლებელში მოეწყობით.

– კარგია მაგრამ... – თენგომ უხერულობა იგრძნო.

– რათ ეჭვობთ?!

– ბინა რომ არა მაქვს და კიდევ...

– ბინა ჩვენთან გექნებათ, მამა ცალკე ოთახს გითმობთ.

გადაშლილი ალბომები და რომანსები სდუმდნენ, თითქოს რვეულებიც გაყუჩებულიყვნენ, მხოლოდ აბეზარი კედლის საათი ძიგძაგობდა...

უიმედობამ სიცოცხლის საშინელი თავმობეზრება იცის...

– რა ლამაზი ყმაწვილი სჩანს! – ასე უთხრა ქეთევანმა თავის მეუღლეს და თან პალმის ფოთლებს ხელი შეახო.

– მარტო სილამაზე რის მაქნისია, ნიჭიერი ახალგაზრდა უნდა იყვეს, წუხელის ისე მიყვებოდა თავის ცხოვრებას, ისე მხატვრულად, რომ შევარცხვინე ჩვენი ზოგიერთი მწერალი.

– ნაბიჭვარი ვიშოვეთ, – ჩაიცინა ქეთევანმა.

– აბა, ეგ სიტყვა რა მოსატანია, შეძლება გვაოხრია, ერთი შვილის მეტი არა გვყავს და ასეთ უპატრონოს რო დავეხმაროთ, განა ღმერთი გვიწყენს? – ოღნავ მოღუშვით უპასუხა კრაევსკიმ თავადიშვილ ქეთევანს.

– პირიქით, ჩემო ალექსანდრე სერგეის ძევ, თანაგიგრძნობ და მიხარია.

– ვინძლო ლეილოში არ გამოარჩიო, თორემ ხომ იცი თენგოზედ სასიკვდილოთ იმოქმედებს, ისედაც ბევრს გატანჯულა უბედური.

– რა თქმა უნდა, მაგრამ... ლეილო ჩემი პირმშოა და ის კი...

– ჩემო ქეთევან დამიჯერე, რასაც გესაუბრები, ბოლოს შენც მადლიერი იქნები.

– ალბად, სიბერის ჟამს მაცხოვრებს?! – თავაწეულმა ქეთევანმა დამცინავი კილოთი ჩაიკისკისა და ქმარს სასტუმროს აივნისკენ კლავგაყრილი გაჰყვა.

ლეილომ თენგო ბაღში გაიპატიჟა. დაძონძილ თენგოს ერიდებოდა კოხტათ გამოწყობილ ლეილოს გვერდით სიარული და ისიც სასტუმროს ბაღში, სადაც გაპრანჭული წოდების ხალხი ირეოდა.

მაგრამ გულთბილმა ლეილომ თენგოს დაავიწყა სიღარიბე და უპატრონობა.

ღერომაღალი ყვავილების და კიპაროსების დაბურულ ხეივანში მისეირნობდა ორი ახალგაზრდა: ერთი სვებედნიერი, უბრუნველი, ყარყარა, ტანაყრილი და არსებობაზედ შეყვარებული, მეორე კი – ცხოვრებისაგან გახელებული, სევდაჩაკრული, დაქანცული, დაღლილი და სიცოცხლესთან გერივით შეანჩხლებული.

ლეილო ბილიკებიდან ბილიკებზედ ბზის ბუჩქებს თითო-თითო ფოთოლს აწყვეტავდა, ხან ხრიზანტემებს ყნოსავდა, ფურცლებს თხელ ტუჩებით აცლიდა... თენგო გვერდით მიყვებოდა, ვერხვის გამხმარ წკნელს ხელში აწვალებდა, თითქოს ამით უნდოდა გადაეყოლებინა ჩამოვარდნილი სიჩუმე.

ლეილოს ცნობისმოყვარეობას სწყუროდა თენგოს წარსულის ამოცნობა, მაგრამ გამოხმაურებას ერიდებოდა, ეთაკილებოდა კიდეც. ლეილო თენგოს მოელოდა... თენგო კი იგვიანებდა და შეკითხვებს ქეშად პასუხობდა.

მისეირნობდნენ წყნარად, დინჯად და, ამ მდუმარებაში საღამოვდებოდა. ხეები შრიალს აპირობდნენ. ბეღურები ფიჭვის და მაგნოლიის კენწეროებს დასეოდნენ და რაღასაც ჟღურტულებდნენ.

ქალაქი ბინდში ბრჭყვიალებდა და იჭმუჭნებოდა.

ზღვა მედიდური, მარად მკვეხარა და შეუპოვარი ისევ ბობოქრობდა და საღღაც, შორს შუქ ანთებული გემი ზღვის თავდაღმართზედ ჩადიოდა.

ბაღში ლანდები ჩურჩულებდნენ. თენგო კი, სასტუმროს მარმარილოს კიბის განიერ მუაჯირზე დაყრდნობილი, თავის მწარე ბავშვობას უყვებოდა გაფითრებულ ლეილოს.

## ზღვა და განდობა

### *(აღსარება)*

კრაევსკის ოჯახი სამშობლოში ბრუნდებოდა. უზარმაზარი სახალხო გემი მზის სხივებით აელვარებულ ზღვის ჭავლს ჩრდილო დასავლეთისკენ მიარღვევდა. ანძები ცის კიდურებს ეხახუნებოდნენ, ბზინავდნენ და წყლის უდაბნოს დახაროდნენ.

გემის კუდს ზღვის გველეშაპი გუთნის დედასავით ასდევნებიაო, ტალღების ქაფმორეულ აღრიალებულ ხნულში ყურყუმელაობდა, იყვინთებოდა და ფაშვებს ითქვიფავდა. გემის ბაქანზედ, ბანანის სავარძელში ჩაშვებული ლეილო თენგოს შემოქმედების კითხვით განცვიფრებაში მოსულიყო.

— თქვენ პოეტი ყოფილხართ!

— ჯერ უბრალო მოშაირე, — თავმდაბლობით უპასუხა ფრთხილმა თენგომ.

— არა, თქვენ კარგი პოეტი სჩანხართ, აქ ყველაფერი ჭარბად არის განცდილი.

— ლეილო, — მდუმარებით მიმართა თენგომ გახარებულ ლეილოს, — ჩემი პოეზია საიდუმლოთ შეინახეთ.

— პოეზიის მზეთუნახავობა მგონი საძრახისია.

— ეგ იმ დროს, როცა წელგამართულია.

— მამამ რო გაიგოს, ხომ არ იუკადრისებთ?

და ლეილოს ჟუჟუნა თვალებიდან ღიმილი მოსწყდა.

— ეგებ დამცინოს? ლეილო, ჯერ ჩვენ შორის დარჩეს ჩემი ნაჯღაბნები.

ლეილომ თენგოს კიდევ სიყვარულით შეხედა და კაიუტისაკენ გაცქრიალდა.

გემი ზღვის მოუსვენარ ტრამალებში მისცურავდა ზათქით და ბურტყუნით. ცის გამოყრუებული კაბადონები მზეს სამხარზედ აწვალებდნენ.

თენგო ზღვას გასცქეროდა. ზღვაზედ ყოფნა კარგიც არის და მოსაბეზრებელიც, ზღვის უდაბურებაში ადამიანი მალე იღლება და ნაპირის გამოჩენა რატომღაც ახარებს და ანუგეშებს.

ზღვაზედ ადამიანი სხვანაირია, სულ სხვანაირი, მკრთალი და კეთილშობილია, მხდალი და დამთმობი.

ზღვა, ზღვა მაინც კარგია და მიმზიდველი, ზღვამ იცის ადამიანის აფორიაქება, შეყვარება სიზმრებ ჩაწნულ ფიქრებზედ და ჭმუნვა მარადისობის არსებობაზედ, მოგონებების აფრენა დედაზედ, მიჯნურზედ, მეგობრებზედ.

ადამიანი ზღვაზედ ხან შეუდრეკელია, ხან ლაჩარი; ხან სიფაქიზე, ხან უწმინდურება.

მიწას ისე არასოდეს არ ეტრფის ადამიანი, როგორც ზღვის უდაბნოში.

უნდა ნახოთ ადამიანი, როდესაც ის მარტოა ზღვასთან, ჭექით და გრგვინვით ამოვარდნილი ტალღები როგორ აფრთხობენ, როგორ უბღვერიან, როგორ აშინებენ, და რა საცოდავია მაშინ ეს ორფეხა სულდგმული, როგორ ეკრობა მიწას და როგორ ეევედრება ზღვას სიცოცხლის ხელუხლებლობას.

ტყუილათ ხომ არ იყო, რომ ოდესღაც ზღვა უძირო ეგონათ...

ასე ოცნებობდა თენგო.

გემი ბინდს ერეოდა.

ღრიანცელით ბრაზმორეული ტალღები, გემის შუაწელს ებღაუჭებოდნენ, თითქოს მათაც უნდოდათ გემბანზედ ამოსევა და ამოჟლეტა დაუდგრომელი ადამიანების.

ლეილო ეჭვდარეულ მამას თენგოს პოეზიის შინაარსს უყვებოდა. თუმცა კრაევსკი კარგა ხანია ზეჰანით გრძნობდა თენგოს პოეტურ განწყობილებას.

— ეხლა კი საჭიროა, ამ ყმაწვილთან მეტი მშობლიური მზრუნველობის გამოჩენა, მეტი ყურადღება და მისი ზრახვების სავსებით ამოცნობა. დაყოვნება დანაშაული იქნება, — ფიქრობდა კეთილი პროფესორი და თენგოს კაიუტაში შემოსვლას ელოდებოდა. თენგო კიდევ სასოებით ზღვას მისჩერებოდა, ალბად რაღაც ნაწარმოებს სთხზავდა, აზრები რითმებს ედავებოდნენ, განათებულ ტვინს ფიქრები ჯანყივით ეხვეოდნენ და გული კი, გული ღუმელივით ხურდებოდა, რომ ნედლი სტრიქონები, სველი ლექსები გამომშრალიყო და თეთრ ქაღალდზედ დაფნის ფოთლებივით

დაყრილიყო. გემის კაპიტანმა ჩამოიარა და თენგოს ძილის დრო მოაგონა, ბაქანზედ ვახშმობის შემდეგ აღარავის აჩერებდნენ.

წესრიგი ადამიანებისათვის ყველგან საჭიროა, ასე ფიქრობს კაცობრიობა; რომ წესრიგი არა, არ იქნებოდა არც ოჯახი, არც თემი, არც სახელმწიფო.

ყველაზედ კეთლშობილ ადამიანს, მიეცი უფლება, რომ იცხოვროს თავის ნებით, წესრიგიანობის იქით და ის გახდება ქვეწარმავალზედ უარესი შესახედავი. უსათუოთ გაცოფდება, ისე როგორც მზის დაბნელების დროს ზოგჯერ ნადირებს ემართებათ.

— თენგიზ თუ არ გეძინებათ, ვისაუბროთ, — შეეხმაურა ედსლი.

— არ მეძინება, ძილი გამიფრთხა...

— მიზეზი? ჩემო თენგო.

— მომავალი მაფიქრებს.

— სანამ ვცოცხლობ, მუდამ კარგად იქნები, თუ შენი ბედი შენვე არ მოიშხამე.

— მოწამლული სიცოცხლეც კმარა, ბატონო ალექსანდრე სერგეის ძევ.

— ეგ არაფერია, ყმაწვილო. გულს ნუღარ გაიტეხავ, ჯერ ახალგაზრდა ხარ და გგონია ქვეყანა მხრებზედ გაწევს...

და პროფესორმა ნაძალადევად გადიხარხარა, რომ თენგო დაემშვიდებინა და ამღვრეული თვალები დასწმენდოდა.

თენგოს შერცხვა და გაიღიმა.

— თენგო, შენ რაღასაც სწერ, ალბად ღღიურია რო მიმალავ.

— ლეილომ დამაბეზღა?!

— არა, მე შეგამჩნიე, როგორც მწიგნობარმა.

თენგოს გული აუფრიალდა და უბიდან ამოღებული ლექსების რვეული პროფესორს მიაწოდა.

კრაევსკიმ უხმოდ დაიწყო თენგოს მხატვრული შემოქმედების კითხვა და მისი წარბის ან შუბლის ნაოჭის შერხევა გაფაციცებით შემყურე თენგოზედ მწვავედ მოქმედობდა.

თენგომ კარგად იცოდა, რომ მის ნოველებს და შაირებს კითხულობდა დიდი გემოვნების და მაღალი განათლების ოსტატი.

პროფესორმა გადაფურცლა მეორე, მესამე გვერდი და სიხარულის ნათელი მოედო, კმაყოფილებით თენგოს შეხედა... თენგო ვეღარ ისვენებდა და თავჩაღუნულ მზრუნველს სულგანაბული მიშტერებოდა.

— დიღებულია! — უცფად წამოიძახა პროფესორმა, გადაეხვია გულაჩუყებულ თენგოს როგორც ღვიძლი მამა, როგორც ნუგეში და დაუკოცნა ცხელი შუბლი და ცრემლმორეული თვალები...

# სხვადასხვა

# პირადი მიმოწერა

ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲝᲕᲓᲘᲓᲐᲠ,
ᲛᲝᲒᲒᲘᲠᲘᲡ, ᲨᲣᲠᲘᲗ ᲰᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.
ᲨᲔᲜ ᲰᲝᲜ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ, ᲛᲘᲜ ᲒᲘᲜᲓᲐ,
ᲛᲔᲠᲘᲡᲘ ᲢᲘᲚᲘᲡᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲗ.

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ, ᲨᲔᲜ ᲰᲝᲜ ᲛᲘᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲠᲩᲔᲜᲓᲐ,
ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲕᲘᲞᲝᲕᲝᲗ ᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲕᲘᲡᲬᲠᲘᲡ
ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲗ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲘᲐᲚᲔᲑᲘᲗ,
ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ.

## ე

ღია დატოვა სასახლის კარი,
ცა სველი იყო და დაიბურა,
თებერვლის ქარებს გაჰყვა და უკან
გზებიდან აღარ დაბრუნებულა.

გზებიდან აღარ დაბრუნებულა, – გაიმეორა გულდათუთქულმა მეოცნებემ და სახეზე მოწოლილი მდუღარება ღრმად დააშტერდა შეყვითლებულ წიგნში ჩაწყობილ ლექსებს და ფერდაკარგული სტრიქონების ხმადაბალ ტირილს.

იქვე, ბაღის გადასწვრივ, იაპონური პალმები აღმოსავლური მოკრძალებით იდგნენ მიწყნარებულ აივანთან და მორცხვი ქალწულებივით უცქეროდნენ მარმარილოს მოაჯირებზე დაყრილ ხეების უმანკო ჩრდილებს.

გარინდებული იდგა ბაღი მარიამობისთვის ბინდზე. ახალგაზრდა მეოცნებე მიყვებოდა ბილიკს დაკარგული მეგობრის პანაშვიდზე ნამტირალევი და დათუთქული:

რათ გაჰყე ქარებს,
თუ კი ზეცა
არ გასვენებდა.

ეს საყვედური ესმოდა ხნიერი მუხის ტოტებში შეფარებულ ქარს და ბურტყუნებდა „ხმა ჩაიწყვიტე“. შიში უვლიდათ ჩრდილებს და ხის კენწეროებზე არჩვებივით ძვრებოდნენ. იქ კი, ღია ფანჯრებთან, ელვარებდა ლამაზი საყვედური:

ის დაიკარგა
და ნისლეთო
დამნაშავე ხარ.

ხავსმოდებული სიჩუმე ადამიანის შეშინებაში შუაღამეს ეჯიბრებოდა და სადღაც,მოკრიალებულ ცის ნაპირებთან,ვარსკვლავთა რიყეზე,სიპი ქვასავით ეგდო ნაწვიმარი მთვარე.

დაღუპულ მეგობარზე გული ცემას უმატებდა, გული ტიროდა...

ბინდი ყველას აჩუმებდა. მთვარეულების ფრთხილი ფეხის ხმა სასახლის მაღალ კიბეებთან იკარგებოდა.

ბაღში იდგა სასუფევლის ჩრდილი და შემზარავი სიცარიელე.

და ორი მეგობრის, ორი ადამიანის ტანჯულ ცხოვრებას ამთავრებდა ბაღის კარებზე მიტოვებული ჩქარი წარწერა:

„ჩვენ დაღუპვას ნუღარავის ნუ დააბრალებთ“.

შუაღამის სამრეკლოებიდან გადმოვარდნილი ქვენა ქარი უბერავდა, იქით, შორს... ოდნავ მბჟუტავ ქვეყნიერებას და, სადღაც ხნიერი გამოქვაბულები მიკიოტებივით უსტვენდნენ იმ უგარმაგარ სივრცეებში.

სასუფეველივით იდგა – კაკლის ხეებით დაბურულ ეკლესიის გალავანთან ფეხშიშველი მლოცველების – ყრუ მწუხარება!

გზა, რომელიც მიდიოდა – თეთრი ბალდახინისფრათ – კოშკის მინებისავით ანთებულ კამარებისაკენ, ქარის ზუზუნში ეცემოდა პირქვე და ღმუოდა შერისხულივით.

გუმბათებს ზევით, აცდენილი ვერხვის ტოტები, ინძრეოდნენ... იქნევდნენ ტოტებს და მონასტრის იატაკივით ჰგვიდნენ ცის კაშკაშა ეზოებს.

ის! შორეული მიწებიდან და წარმავალობიდან იცქირებოდა გამოღმა სივრცეებამდე...

ის სიმშვიდეში იდგა მუდამ ხმაგაკმენდილი: ქვეყნიერებისაკენ დარჩენილ ღია ფანჯარას, არასოდეს არა ხურავდა. ბევრჯელ მოჰკრა თვალი შუაღამისკენ მიმავალ დედამიწას, ბევრჯელ უკივლა, მაგრამ ამაოდ, ერთხელ ატირდა კიდეც, როცა მისი ძახილი და ხელგაშვერა გადაეშვა დაუსაბამობის ნისლიან უღელტეხილებში.

იმან! იცოდა დაბინდებისას, თუ როგორ ანთებდნენ ჭრაქებს ადამიანები და როგორ აქრობდნენ შუაღამისას. იცოდა ისიც, თუ როგორ იპარებოდა დედამიწა სიბნელიდან მარადისობისაკენ და,როგორ ლოცულობდა განთიადამდე.

იცოდა! გზებშეშლილი პლანეტები, როგორ მეკობრეებივით ეცემოდნენ მიწებს, როგორ უქრობდნენ ქვის ძირში ანთებულ სანთლებს, როგორ გარბოდნენ და, მთელი ღამე, რო ხარხარებდნენ უსაზღვროების კიდეებთან.

ხშირად გაუგონია ადამიანების ყვირილი, აუნთია შუქი, გადმოუხედია, მაგრამ ვარსკვლავების მიწყნარებულ სოფლების გარდა, ვერაფერი ვერ დაუნახავს.

ასე დაჰყო, ასე სცხოვრობს, იქ ეხლაც!!! ის, მისანია მარადისობასა და ქვეყნიერებას შორის დასახლებული. ის მოკვდება მაშინ, როცა ქარების გუგუნივით მისწყდება პლანეტების შფოთვა და ყვირილი წარმავალობის ღია სამანებთან.

იმის კუბოს ჩამოასვენებენ ბუდა და ქრისტე. დაასვენებენ გავერანებულ და სივრცეებ ჩამოლეწილ წუთისოფელში.

გრიგალები გაშარავებულ შუაღამეს მთელ ცის ფანჯრებს გააფარებენ და, დაბნელდება კიდევ საზარლათ!

და ასე ჩუმად ჩაივლის ღია ფანჯრებთან დაფიქრებული მისანის ბედი.

შორეული უსაზღვროებისაკენ საცოდავათ იყმუვლებს ამ ქვეყნიური უდაბურება.

ჩაიწევა, ჩაქრება მარადისობის ელვა და, მისნის კუბოსთან კი შეშლილი პანაშვიდი.

შემოცვივდებიან! ისევ საუკუნენი! და კიდევ წარმავალობამდე! სამრეკლოების ძირში და, მინარეთებთან იყბედებენ:

ქრისტე თუ ბუდა?

ბუდა თუ ქრისტე!

## ე ძ

შემოდგომის გრილი საღამო მახლობელი ტყის პანაშვიდიდან ბრუნდებოდა. ღრიალა ქარები უცნობი ზღვის ჭავლზე ნაძოვარ ღრუბლებს შემზარავი სტვენით და ბრიალით მოერეკებოდნენ გაცრეცილ წუთისოფლისკენ. დასავლეთ კამარების გაშარავებულ გზებზე ფერადი მტვერი იდგა და ბინდს ერეოდა.

ხეები ბავშვებივით დაღონებულიყვნენ. ნონებ ჩაყვითლებული ფოთლები ჰაერში ირეოდნენ, ეცემოდნენ დაბლა, იგონებდნენ დაკარგულ ბედნიერებას, სულის ამოხდომამდე არ ისვენებდნენ და სჩიოდნენ დროთა უსამართლობას.

ღამდებოდა და შეშინებული მოსახლეობა სადგომებში ჭრაქებს ანთებდა.

მძიმე და გზამოკლე ბუხრის კვამლი ნოემბრის ტოტებდაშვებულ ღამეს მისტიურ ბოძებს უდგავდა, რომ ხნიერ ნაძვის ძირებში პატარა აგარაკის ფიცრულ სახლებს მეტისმეტათ არ დასწოლოდა.

ბქუტავდა მიტოვებული აგარაკი, აქა-იქ დაფანტული შუქით, შორიდან რაღაც შთაგონების ძალას იძლეოდა, თითქოს ვიღაც შეთქმულს დაუნთია სანთლები ფუღურო ხეების ძირში და ამ შუაღამისას უსაზღვროებას და ღმერთს შველას ევედრებაო.

ერთ-ერთ ღარიბი ოთახის ნესტიან კედელზე დაფიქრებული ადამიანის ლანდი შეზრდილიყო. ქვატალახა ბუხარი მტრედივით ღუღუნებდა, ბოდავდა რაღაც გაურკვეველს და რცხილას მუგუზლები ბუნდოვან შუქში მზის ნატეხებივით კრიალებდნენ.

ლანდის გადასწვრივ ხანგამოშვებით წიგნის ფურცლების ნერვიული გადაშლა ისმოდა, ეტყობოდა უკანასკნელ სტრიქონებს კითხულობდა გაწამებული პოეტის ბედშავ ნეკროლოგიდან.

კედლიდან ლანდი გაფარებულ შალივით ჩამოვარდა და ვიწრო ფანჯრიდან ნაძვებმა გაიტაცეს, ხან ერთი იხვევდა ძირზე, ხან ტოტზე, ხან დაბლა უვარდებოდათ. რა ჰქონდათ სამასხარაო ჩუმად მიმავალ ადამიანის ჩრდილზე, ეს იქვე, ახლო, ძილდაკარგულ ბილიკებსაც უკვირდათ.

სახემოღუშული, ტუჩებშეკრული, სიცოცხლესთან შეანჩხლებული და შეუწყვეტელი ფიქრების მეგობარი ნელი ნაბიჯით მიყვებოდა მთის თეძოზე ირიბათ გადაგდებულ იდუმალებას.

დაწმენდილი მთვარე დაბურული ფიჭვნარის ტოტებზე დაფრინავდა, რაღასაც ბურტყუნებდა, უნდა გენახა, ხეებს როგორ სცხვენოდათ მთვარის სინათლეზე და ჩრდილის ძონძებით როგორ იფარავდნენ ფოთლების და წიწვების გარდა სუყველაფერს.

ის კი, გალავნის მიმტკნარებულ და ჟამთა სიავედან ჩამოლეწილი, კედლებს უახლოვდებოდა. ეს გალავანი კიდევ რაღაც სინაზით ინახავდა ჭირისუფალ დაკარგულ ლოდებს. ძველი და ხნიერი წარწერები, ვიწრო და მაღალ ძეგლებზე მდუღარე ცრემლებს ისე წაელეკათ, რომ ძლივსღა ემჩნეოდათ გამვლელთა უშენდობლობა. ეკალნარევი ბალახი ნეკნებამდე მორეოდათ სამარის ქვებს. მხოლოდ ერთადერთი წარწერა ჯერ კიდევ ელვარებდა, ჯერ კიდევ არ ჩაეტანა შეხავსებულ ლოდს მიწის ქერქში ადამიანობის უკანასკნელი თხოვნა და მუდარება.

კვირაძლის საღამო იყო, ვლოცულობდი, არ მწამდა არაფერი, მაგრამ მაინც ვრეკავდი ზარებს. ამოვარდა ქარიშხალი, ზარებს უცფათ ხმა წაუვიდათ და მე შიშით გარდავიცვალე...

ვეღარ დაამთავრა კითხვა, რადგან კვდრებმა ერთმანეთს დაუძახეს. იგრძნეს ფეხის ხმაზე, რომ ზევით, ვიღაც დადიოდა და ხმადაბალი ტირილით, წუთისოფლის უზრუნველობა მასაც შესჩივლეს.

გალავნის კედელზე რომელიღაც მგზავრი გადმოყუდებულიყო და შეშლილივით უცქეროდა მწუხარებით შეპყრობილ მეოცნებეს. ბებერ მუხას დაენახა და ისე იყო შემკრთალი, რომ ფოთლის განძრევასაც ვერა ბედავდა.

– ვინა ხარ?

– ქრისტე ვარ, ქრისტე! საუკუნენი რო მაღმერთებდნენ...

– ქრისტე, ქრისტე... ხეებმა ხეებს გადასძახეს და მთელმა ტყემ, ისე მძლავრად გადაიხარხარა, რომ ფერმკრთალი ბილიკები ფუღურო ხეებში და გამოქვაბულებში ბავშვებივით აწიოკდნენ და მიიმალნენ.

– ხომ გილოცნია ჩემ ჯვარცმასთან?

– არა, არასდროს. მე ვუყურებდი ჯვარცმულ ქრისტეს, როგორც ჯვარცმულ კაცობრიობას.

– მერე რა შუაშია ზეკაცი და კაცობრიობა?

– ზეკაცი ორ სამყაროს შუა დამავალი ნისლეთია, რომელიც დასაბამის საკვამლურებიდან ამოდის, რომ ამცნოს უსაზღვროებას მარადისობის წარმავალობაც.

– წარმავალობა გეთსიმანიის ბაღში ვიგრძენი.

– და დღეს მაინც გენიოსათ გინდა მომეჩვენო?

– იმიტომ რომ ყველა გენიოსი ჯიუტია.

– უფრო კი ყბედი, და ამიტომ არის, რომ არავიზე არ უცინიათ იმდენი სუკუნეებს, როგორც შენზე. არავინ არ ყოფილა ჯვარზე გაკრული იმდენი ხანი, როგორც შენ.

– იუდა მომაგონდა, და თან სივრცეებს გახედა ქრისტემ.

– იუდას ალერსი, ეს მთელი კაცობრიობის კოცნა იყო და თუ მკვდრეთით წამოგაყენეს, ეს იმიტომ რო, საოცრება უყვართ ადამიანებს.

– უყვართ, უყვართ! – ღიმმორეული ქრისტე ეთანხმებოდა.

– და მერე, ისეთი საოცრება, როგორც შენ იყავი ხეზე დალურსმული, კიდევ სათნოებით უცქეროდი ადამიანებს. და რამდენი საუკუნე იდგა მუხლმოყრილი, რომ შენს მიმართ ჩადენილი დანაშაული გამოესყიდა, მაგრამ მუხლის კვირისტავები ეტკინათ და ყველანი წამოიშალნენ.

– უყვართ საკუთარი თავი ადამიანებს.

უყვართ... უყვართ! აშლილი კვდრები კიოდნენ, სამარეში აენთოთ სანთლები და ლოდებიდან სინათლე შესამჩნევად ქვანავდა.

„ქრისტე შეირყა!“ – უყვიროდა ხევი – ტყეს, ტყე – მთას და მთის კვარცხლბეკი კი – უსაზღვროებას.

❖

უცბად ქალის კივილი შემოგვესმა, ხალხმა იხუვლა და ზღვის სანაპიროსკენ გაექანა. „უშველეთ, იხრჩობა!“ – ისმოდა ყველა მხრიდან. ბედზე, ვიღაც მეზღვაური გადაეშვა ტალღებში და რის ვაი-ვაგლახით გამოიყვანა სამშვიდობოზე თავგანწირული მომაკვდავი – ყმაწვილი კაცი. ის თავდაყირა ეჭირათ დიდხანს, სანამ ზღვის მლაშე წყალი არ გადმოაღებინა და ცარიელი რუმბივით არ დაიწრიტა. საცოდავმა თვალები გამოახილა და გულდაწყვეტილმა შეხედა ატირებულ ახალგაზრდა ქალს, ხელში დაჭმუჭნული ბარათი რომ ეჭირა. „მშვიდობით, შენი ღალატი ვეღარ ავიტანე, გრცხვენოდეს!..“ ასე ეწერა.

ზღვის ტალღები კი ხმაურობდნენ და ხმაურობდნენ და ქარიშხალი კი სადღაც შორს, შორს ადამიანის სისულელეზე მძვინვარებდა, ხარხარებდა და ხარხარებდა.

❖

1918 თუ 1919 წელს გორში გამოჩნდა ევროპიულად ჩაცმული, საშუალოზედ ახოვანი, ოქროს ახალგაზრდა, ლამაზი მამაკაცი. რა თქმა უნდა გორელებს მანამდე უამრავი თანამემამულე ენახათ ევროპიდან დაბრუნებულნი, ევროპიული ქუდით და ჰალსტუკით, მაგრამ ასე არავისთვის არ მიუქცევიათ ყურადღება, როგორც ამ ყმაწვილისათვის – ეს გახლდათ ერეკლე ტატიშვილი. კაცს, რომელსაც დასერილი ჰქონდა მთელი ევროპა სტამბოლიდან ლონდონამდე, ბერლინიდან ნეაპოლამდე. კაცი, რომელიც მოწიწებით ისმენდა ფილოსოფოს ვუნდტის, სოციალისტ ჟორესის, ანარქისტ ბაკუნინის და პირქუშ ოსვალ შპენგლერის მეტყველებას. კაცი, რომელიც ღამეებს ათენებდა ვეებერთელა ქალაქების დანსინგებში, საეჭვო ადგილებში და თან ეწაფებოდა ფრიდრიხ ნიცშეს თავაწყვეტილ თხზულებას, პრუდონის გახელებულ წინასწარმეტყველებას, შელის ფაქიზ პოეზიას, ბოდლერის – ბოროტ ყვავილებს.

❖

...მსაჯული და ბრალდებული ერთნაირად სწყვეტენ ადამიანის ტრაგიკულ კითხვას – და რა არის ჭეშმარიტება ჩემ გარეშე?

– არაფერი.

❖

**უსაზღვროება... და სალამური**[1]

ეს რვეული იწერებოდა ათი წლის საშინელი ზარმაცობით, რადგან... დროზედ ვერ ვიკრიფებოდით: მე, მყუდროება და პოეტური განწყობილება.

იმას, ვინც შუაღამეს მოფარებულ მიწებიდან უძახოდა ტიალ გრიგალებს, რომ გზებზედ როგორმე მიშველებოდნენ... და... იმას, ვისაც ჭკუაზედ შეშლა მიაჩნდა ამქვეყნიურ ბედნიერებათ!!!

*ნიკო სამადაშვილი*

## ცნობა

1957 წელს ცენტრალურმა კომიტეტმა ჩემი „შეხვედრები და სინანული“ გადაუგზავნა მწერალთა კავშირს,ამ უკანასკნელმა ძლივს იპოვნა, სადღაც განჯინაში მიგდებული და, დამიბრუნა 1959 წლის 9 თებერვალს.

*ნიკო სამადაშვილი*
*10. VIII. 1959*

## წყევლა

1. შენ მოუკვდი დედაშენს; 2. მიწამ გიყოს პირი; 3. გასკდეს მიწა და თან ჩაგიტანოს; 4. შე არ დასარჩენო; 5. ამოგიწყდეს გვარი და ჯილაგი; 6. შენ კი ამოწყდი; 7. ამოიბუგოს შენი სახლ-კარი; 8. მეხი კი დაგეცეს აჰანდე; 9. უი, შე ამოსავარდნელო; 10. თვალი კი დაგიდგეს ბარეღამა; 11. არ ჰქენი ტანი აჰანდე; 12. გადაშენდი აქედან – (რისხვა); 13. ამოგიწყდეთ გასაგისი.

## ქირდვა ადამიანის

1. ზვიადი, ბრექია; 2. კუსპარა; 3. ტიღა, ლაჩარი; 4. ნოღა; 5. პაჭუა; 6. ხელიკი; 7. კოჭდაბალი; 8. ჩერჩეტი; 9. ბრიყვი; 10. რეგვენი; 11. ჭკუათხელი; 12. გამოტვინებული; 13. გამოთაყვანებული; 14. ღოღროლა; 15. ღოყლაპია; 16. თავკანტარა; 17. კუდაბზიკა; 18. თავხედი; 19. ვერაგი; 20. ბოროტი; 21. სისხლისმსმელი; 22. ყბედი; 23. ლაჩარი; 24. გველაძუა; 25. მელია; 26. ნაცარქექია; 27. ენაჭარტალა; 28. მატრაკვეცა.

---

[1] *მინაწერი ლექსების რვეულზე.*

## დადებითი ტიპები

1. კოხტა; 2. კარგი; 3. სათნო; 4. მშვენიერი; 5. ძვირფასი; 6. ნაზი; 7. კეთილი; 8. გონიერი; 9. ჭკვიანი; 10. დარბაისელი; 11. ცქრიალა; 12. ახოვანი; 13. შეუპოვარი; 14. მხნე; 15. მალხაზი.

ეხლახან გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე პ. კოხრეიძის წერილი „პირველი წიგნები“. ავტორი იხილავს ახალგაზრდა პოეტების ვასო გვეტაძის, სანდრო ბეგიაშვილის, შოთა ნიშნიანიძის და ოთარ მამფორიას ლექსებს. პირდაპირ გამაოცეს, პ. კოხრეიძის მეტყველებით რომ მოგახსენოთ, რეცენზენტის „ტრაფარეტულმა სტრიქონებმა“. ეს დალოცვილიშვილი პოეზიაზე ისე მსჯელობს, თითქოს გამომწვარ აგურებს ალაგებდეს თავის ეზოში, ანდა მდუღარე წყალში გაფუფქულ ქათამს პუტავდეს. ჯერ კრიტიკოსის კილოს დაუგდეთ ყური: „ახალგაზრდობის გამო შეღავათი არავის არ მიეცემა“ – სწერს მედიდურად, თითქოს საგადასახადო უწყების ინსპექტორი იყვეს. რატომ პატივცემულო? განა ვაჟა-ფშაველას, ილიას, აკაკის, გალაკტიონ ტაბიძის სიყმაწვილის ხანზე შექმნილი თხზულებანი შეედრება იმ მდიდარ ნაწარმოებებს, რაც სიმწიფის დროს გამოძერწეს? სად, როდის ყოფილა, რომ პირველი ნაწერებიდანვე შემოქმედი მოვლენილიყო სრულფასოვან ოსტატად? (აქ, უნიჭო და დოყლაპია მჩხაპნელებს როდი ვგულისხმობ, რომელთაც ნაწერები სიბერემდე უმწეონი არიან და მათი საცოდაობით თაობები იწვიან).

შეხედეთ, როგორ ებუზღუნება, რა უღმერთოდ უტევს შ. ნიშნიანიძის გულთბილ ლექსს „გათენებას“: „თანამედროვე სოფელი ასე ყალბად არის მოცემული“:

„დაჟანგულია მწუხრისფრად ყორე,
მოჰკიდებია ხავსი ობივით,
გადაფერდილა ჯმუხი საღორე,
ბეხრეკა ხეზე ზურგმიყრდნობილი.
ჩანს აფრასავით თეთრი ატამი,
ნისლში მყვინთავი ბაღჩა მდიდრული.
მთვარე კი, როგორც თეთრი ქათამი,
თვლემს ღობის სარზე თავჩაქინდრული“.

„ჯერ ერთი, რა გამოთქმაა ბეხრეკა ხეს ზურგმიყრდნობილი საღორე, – ანჩხლობს კრიტიკოსი, – ანდა ღობის სარზე თავჩაქინდრული მთვარე“

– ამაზე იტყოდა ალექსანდრე პუშკინი: „**Vs nfr ghbdsrkb xbnfnm ht,zxtcrbt rhbnbrb= xnj jyb lf;t yfc yt cvtifn**“. არა მგონია კრიტიკოსი ჩვენს სოფლებს იცნობდეს. მას ვერ წარმოუდგენია ბეხრეკ ხეზე ზურგმიყრდნობილი საღორე, ამიტომ ვურჩევთ, თბილისიდან შეჰყვეს ქართლის სოფლებს, თუ გნებავთ გარე კახეთს და ხევს, კარმიდამოში შეეჩეხება პოეტის მიერ აღწერილ საღორეს. რატომ ჰგონია რეცენზენტს, რომ ღორი ათინურ ესკორიალში უნდა ცხოვრობდეს და არა საღორეში.

განა კარგი პოეტური სახე არ არის „მთვარე კი, როგორც თეთრი ქათამი, თვლემს ღობის სარზე თავჩაქინდრული“. რა თქმა უნდა, პოეტი ოღნავ სცოდავს, როცა აფრასავით თეთრ ატამს იხსენიებს, ატამი თეთრად როდი ჰყვავის, ღობეს სარი კი არ უდგია, არამედ მარგილი. მაგრამ, თუ ლექსი მთლიან სიამოვნებას მოგგვრის, განა ორიოდე შავ წინწკლებზე უნდა აიქოჩრო, ახალგაზრდა მწერლის ყანყრატოში ასე და უპასუხისმგებლოდ დაუტატანო: არა, ეს თანამედროვე სოფელი არ არის! როგორ, თანამედროვე სოფელში მდიდრული ხალიჩები არ არის? მთვარე არ ადგება იქაურობას?.. ჰ. კოხრეიძის გულცივობა იქამდე მიდის, რომ ო. მამფორიას გულწრფელ სტრიქონებს ასე თათხავს: ვის რა ესთეტიკურ სიამოვნებას მოჰგვრის ასეთი სტრიქონები:

„ბაბუს ჩოხა-ახალუხი ვის არ გადაუცვია,
ჯოხის ცხენზე არსენობა ვის არ გამოუცდია,
მერე შოთას დიდი წიგნი ვის არ გადუფურცლია“.

რა სადად არის მოცემული და რა გულიანად ბავშვობის დღენი. რეცენზენტი კი გესლიანად დასცინის. ნუთუ შიო მღვიმელის ლექსები მაინც არ გადაუშლია! თუმცა ღმერთმა დაგვიფაროს! თორემ „ძია შიოს“ მთელ პოეზიას გამოაცხადებდა: „ნეიტრალურ თემად“, „უსაგნო ლირიკად“, „ყალბ სიტუაციებად“, „აბსტრაქტიულობად“ და ვინ უწყის კიდევ რად...

შ. ნიშნიანიძეს უსათაურო ლექსში მოცემულია სურათი, თუ შემოდგომის მიწურულზე როგორ გაიძარცვა თეთრი თუთა:

„ცივ ღამეებს ტანშიშველა ათენებდა,
ცრემლად შერჩა გაზაფხულის ოცნება,
ხე მგირალი შეეცოდათ ბეღურებს და
სულ ტოტებზე ჩამოასხდნენ ფოთლებად“.

თურმე ამ სტრიქონებში (რეცენზენტის სიბრძნეს საზღვარი აღარ აქვს!) „მომწყვდეულია უიმედობა“, „ბედზე ჩივილი“, „სიმბოლისტური მოთქმა-გოდება“. არ არის კარგი, არა! პოეტს დააბრალო ის, რაც გულში

არ გაუვლია, არ უფიქრია. სად არის აქ ტირილი, ვაი-ვაგლახი, ან სიმბოლიზმის მოთქმა (რა დაავიწყებს იმ ამბავს, როცა ერთმა ლიტერატურულმა ბედოვლათმა ვაჟა-ფშაველა სიმბოლისტად მონათლა და ბოდლერი კი იმპრესიონისტად).

ჩვენში იციან „ვაზი ტირისო“ – სანამ კვირტი გაიფურჩქნება, ნუთუ ეს თქმაც სიმბოლიზმია.

ერთიც უნდა მოვახსენოთ ჩვენს რეცენზენტს, რომ ლიტერატურისათვის არ არსებობს მეორე და მესამე ხარისხოვანი საკითხები, არსებობენ მხოლოდ მეორე და მესამე ხარისხოვანი ნაწერები, რომელნიც ავტორზე ადრე კვდებიან. ნიჭიერი შემოქმედი ცხოვრების „მესამე ხარისხოვან საკითხს“ ისე აბდღვრიალებს, რომ ის პოეზიაში პირველ „ხარისხოვნად“ დარჩება. დროა ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ყურადღება მიაქციოს მარტო იმას კი არა, თუ რა თემაზე წერენ მგოსნები, არამედ იმასაც, თუ როგორ წერენ, რამდენად ახალია სახეები, თვალთახედვა, განწყობილება, ენერა – მთელი ლექსის ორკესტრი. რაც არ უნდა აქტუალურ მოვლენებს ეხებოდეს პოეტის ლექსი, გულს ვერ დაუდებ, თუ იქ გაცვეთილი რითმებია, ღარიბი სცენები, ქართული ენის ჯლოყინი. პიროვნების კულტის დროინდელ პოეზიაში ერთ-ერთი უბედურება ის გახლდათ, რომ ზოგიერთი მწერალი, უფრო გატაცებული იყო მლიქვნელობით, ფარისევლობით, უადგილო ადგილას „გაუმარჯოს!“ ყვირილით, ვიდრე გულწრფელი გულშემატკივრობით საბჭოთა ხელოვნების, ლიტერატურის გრანდიოზული მშენებლობით. იმ უბადრუკ მჯღაბნელებს აღარ ახსოვდათ ხალხის შთამაგონებელი ძალა, ცხოვრების სიდუხჭირე და ბედნიერება. რამდენ ახალგაზრდა მწერალს და საყვარელ შემოქმედს მოუღეს ბოლო სწორედ იმ ლიტერატურულმა გაიძვერებმა.

ეხლა კი საბჭოთა მწერლობის ზეცა კარგად მოწმენდილია, ამიტომ ახალგაზრდა მწერლებს, როცა ისინი თავის სახლის ზღურბლს მოსცილდებიან და ლიტერატურის შარაზე ჟრიამულით, ქღურტულით, ზოგჯერ დაფიქრებულებიც მოდიან, ლიტერატურული ტრაფარეტებით, მოსაწყენი ქათინაურით, ანდა ბღვერით როდი უნდა შევხვდეთ, არამედ სათუთად, მეგობრული სალამით, ჯანსაღი კრიტიკით. თორემ, თუ ულვაშებამწვანებულ პოეტს ერთ ლირიკულ ლექსზე სიმბოლისტური გოდორი ჩამოვაცვით თავზე, ამან შეიძლება დაამახინჯოს მისი მომავალი და გზა ვეღარ გაიგნოს. ახალგაზრდა პოეტის ნიჭი ურთხელის კუნძი როდია, ის მინანქარივით ნაზია, ფაქიზი, ის ქნარის სიმებს მიაგავს, იქ უხეშობა არ შეიძლება. – ეს სანტიმენტალიზმი ან დეკადენტების გემოვნება არ გეგონოთ, თქვენი ჭირიმეთ! ვაჟა-ფშაველა თავის ლექსებს ფანდურს დაამღერებდა და არა

არღანს.

მართალია... ცამდე მართალია პ. კოხრეიძე, როცა ამბობს: „ჩვენი სამშობლო მაღალი პოეტური კულტურის ქვეყანაა“. დიახ, საქართველო შოთა რუსთაველის სამშობლოა, ამიტომ მიუტევებელია ჩვენში უსუსური და მდარე პოეტური ნაწარმოები იწერებოდეს, ეს ეპატიებათ გრენლანდიელ ესკიმოსებს, მაგრამ ქართველებს არასოდეს... ეს ითქმის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაზეც.

ლიტერატურულმა კრიტიკამ ათასჯერ ნათქვამი წინადადებების, დრომოჭმული ფრაზების ბუღი და კორიანტელი კი არ უნდა დააყენოს. ის უნდა სჭვრეტდეს ალალმართალი პოეტის კეთილ ზრახვებს, თრთოლვას, განცდებს, სიხარულს, ცრემლებსაც კი. შემოქმედმა კრიტიკოსმა თავის ცხოველმყოფელი შუქი უნდა მოჰფინოს პოეტის კორდებს, წალკოტებს, ხევს, და თუ გნებავთ კაკლის რტოებში ჩაბნელებულ ორღობეებსაც, ისე როგორც იღვწოდა გენიალური ბელინსკი.

ჩვენ წარმტაც და დიდ ეპოქას ლიტერატურული ინვენტარიზატორები კი არ სჭირდება, პირიქით ხელოვნების ცეცხლით გაჩირაღდნებული რაინდები. როცა დედამიწის ზურგზე თავისუფლება მოყვარე ხალხის და მჩაგვრელთა ჭიდილია, როცა კომუნიზმის ნათელ მწვერვალებზე მილიონთა ლაშქარი მიიწევს და სადღაც ჯურღმულებიდან ურჩხულთა განწირული სისინი ისმის, პოეზიამ უნდა აღაფრთოვანოს თავისი სიმფონიით კაცობრიობის უდიდესი მოსახლეობა და ხმა ჩააკმენდინოს დამპყრობელ მტარვალებს. და მე მინდა, ამ უძლეველი სიმფონიის შემსრულებლები იყვნენ – პოეტური კვარტეტი: შ. ნიშნიანიძე, ო. მამფორია, ს. ბეგიაშვილი, ვ. გვეტაძე. ამას სამშობლო მოგიწოდებთ ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო.

*ნიკო სამადაშვილი*
*25. XI. 1956*

***ევა!*** [1]

დავბრუნდი ჩვენი მუსაიფიდან, გადავფურცლე ძველი რვეული და კიდევ მწარედ ჩამაფიქრა მოწამლულმა ახალგაზრდობამ, კიდევ მიყრუებული მონასტერივით გამოჩნდა ჩემი უშინაარსო ცხოვრება.

ვიცი გიკვირს ჩემი შეხვედრაც, და ზოგჯერ თუ გინდა მოულოდნელობაც. მაგრამ! არ გამამტყუნებ თუ დაფიქრდები დასისხლიანებულ ბედის მქონე ადამიანზე.

„ჯერ არ გიცნობო“, – იმეორებდი, როცა „ხო“-ს გეხვეწებოდი. ვინ იცის იქნებ გაიმეორო სარკაზმით სავსე ცივი ღიმილიც, რადგან მე ყველა ადამიანისაგან გულგრილობის მეტი არაფერი არ მღირსებია.

ალბათ ამას დაინახავ ჩემ ლექსებში და ო, როგორ გამეხარდება, ძვირფასო ევა, თუ ცოტათი მაინც თანაუგრძნობ, ჯერ კიდევ საიდუმლოებით შთანთქმულ მწუხარებას.

მე გენდე, გენდე ისე, რომ შენზე იქნება დამყარებული აწმყოც და მომავალიც. როგორც გენებოს, როგორც გინდოდეს, ოღონდ მე შენთან დავისვენო ხოლმე. შეიძლება სხვა არჩიო, სხვას დაუმეგობრდე, მაგრამ გეფიცები, ისე ვერსად ვერ მოისვენებს შენი გული, როგორც ჩემთან.

არ ვკადნიერობ – მომავალი კი დაგაჯერებს. ჯერ კიდევ დაუცდი შენი სულის ყრუ მდუმარებას, სანამ ჩემ პოეზიას გადაფურცლავ „ღიმშეშლილ ვერხვების წირვას“ და გულამოსკვნილ სიმღერებში ჩაქცეულ ახალგაზრდობას.

ჯერ კიდევ დაგიცდი გავერანებულ სიცოცხლის ბნელ სამანებთან, რომ მოხვიდე ჩემთან და ერთად ვიაროთ დედამიწიდან სივრცეებამდე, ისე როგორც გაგეხარდება. მე ვიქნები ჩუმად და ყოველგვარი საიდუმლოების გროვას სამარეში თან ჩავიყოლებ.

*ნიკო*

***ძვირფასო ევა!***

ამ წერილს რო გწერ მაგონდება იტალიის უდიდესი პოეტის ალიგიერ დანტეს გულამოსკვნილი სიტყვები: „დე ჩემმა სულმა იცხოვროს შენ ღვთაებრივ ღიმილთან. მაშინაც კი, როცა წამებული სხეული სიკვდილის ცივი და უიმედო ფოთლებით დაიფარება“. ამ იმედით მინდა მეც მოგენდო, მოგენდო კი არა (ეს ხომ უკვე მოხდა) შეგეწირო კიდეც. ის ვინც წლობით

---

[1] *ევა ჩაკალიდი (1912–1996) – ნიკო სამადაშვილის პირველი მეუღლე. რამდენიმე მოთხრობისა და ზღაპრის ავტორი.*

*ეს ხუთი წერილი პირველად როსტომ ჩხეიძემ გამოაქვეყნა გაზეთ „ქართველ ერში“, № 12, 1991.*

ცდილობს ადამიანი გაიცნოს, ჩემთვის საკმარისია ორიოდე წუთი, რომ დავინახო მთელი მისი სულიერი სასახლე. იმიტომ იყო, ასე მოულოდნელი და უცაბედი გადაწყვეტილება, რამაც ალბათ გაგაკვირვა.

მე არ გამტყუნებ, როცა კრთები, ეს ასეც უნდა იყვეს, მით უმეტეს იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც უნდა ჯვარცმული ახალგაზრდობა შენით განიკურნოს. და რო შემეკითხო „რა მოგეწონა ჩემი“ ვერ გიპასუხებ, რადგან ისეთი დიდი ელვარება და სიხარული ვიგრძენი შენში, ძვირფასო ევა, რომ ვერასდროს ვეღარ გამომნელდება. შეიძლება ეს იყო შეცდომაც, დაუდევრობაც, მაგრამ რაც გინდა დაარქვი. მე მაინც მინდა, ამ ირონიით სავსე ბედნიერებამ შენთან ერთათ გამატაროს მომავალი ცხოვრების მოშხამული გზები.

და თუ კი არსებობს ადამიანური სითბო, თუ კიდევ მჯერა, რომ ვიღაც შემინდობს, ეს უსათუოთ შენ უნდა იყვე. თუმცა გითხარი, რომ მე ნაძალადევი არაფერი არ მომწონს, მე მუდამ მიყვარდა ბავშობიდანვე უნაზესი ქალის ქცევა და სისადავე. და თუ შენი გული სავსეა უანგარო გრძნობებით (ეს ხომ ასეც არის) ჩაუფიქრდები ჩემ გადადგმულ ნაბიჯებს და, მეტყვი იმ „ხო“-ს, რომელიც იქნება სათავე ჩვენი დიდი და წრფელი შეკავშირების. თუმცა ერთგვარი თანხმობის ნიშანი მომეცი, მაგრამ ის „ხო“ იმ ათრთოლებულ ხმას კი არ ჰგავდა, რომელიც მე შენგან მწყურია. ძვირფასო ევა, თუ რამემ შეგაბრკოლოს მითხარი, მე დავბრუნდები (და ვინ იცის როგორი წამებით) და კიდევ მარტო, ისე როგორც აქამდე წავალ ჩაწიხლული, სიცოცხლეც კი სიკვდილზე უარესი იქნება ჩემთვის. ალბათ ისეთი უბედურებით დამთავრდება ჩემი ცხოვრება, რომ მომიგონებ, როგორ გაღმერთებდი და ერთხელ მაინც ატირდები. თუ ჩემი მომავალი არ დაგენანება, ახალგაზრდობას ხომ შეიბრალებ.

გითხარი – არ დამღუპო-მეთქი და გიმეორებ ეხლაც. მე არ შემიძლია ძვირფასო ევა, სხვანაირათ მოგაჩვენო თავი. ჩემი პოეზია ხომ წაიკითხე, ხომ გამიცანი, ისე როგორც არავინ. და თუ ხედავ ჩემ სულთან სიახლოვეს, უნდა სიტყვა „ჩემი“ გერქვას. და სხვას არც სულიერად, არც „ისე“ არ უნდა ეკუთვნოდე (გიოტეს სიტყვები მოიგონე). არ უნდა შეგაშინოს საკითხის გამწვავებამ (შენი სიტყვებია) იქ სადაც მწვავეთ არა გრძნობ ყველაფერს, ის ყოფა ყველაზე ულაზათო, დღემოკლე და უკმარია.

რა საჭიროა კადნიერება იმასთან, ვინც პოეზიაზე უფრო გიყვარს, მე არაფერს არ გიმალავ. გეუბნები იმას, რასაც განვიცდი და დავიღალე ამდენ მარტოობით (თუმცა მეგობრები საკმაოდ არიან, როგორი ეს ღმერთმა იცის). ეხლა მინდა შენთან დავისვენო სამარემდე, შენ განდობდე

ყველაფერს, რასაც სხვებს ვუმალავ. შენ ერთხელ სთქვი „მეგობრობა ორნაირია“. მე გიპასუხე,რომ ორთავეს უნდა შეიცავდეს-მეთქი,რომელიც ქალს უცქერის უბრალო საგანს და მასთან მხოლოდ ერთი ნაკადით არის დაკავშირებული და ამავე დროს ის მეგობრათ არა სთვლის, ის მეზიზღება. ეს ქუჩის ბოგანო ხალხის და ხელოვნური ჯენტელემენების გონიერება არის.

მე მწყურია არა მარტო ჩემთან იცხოვრო, არამედ ამავე დროს მეგობარიც იყვე და ჩემ სიხარულს ან მწუხარებას ინაწილებდე.

ეხლა კი დაფიქრდი ევა და შთაინერგე ყველა ჩემი სიტყვა და მიპასუხე, ისე როგორც გსურდეს. და თუ შენი გული, გული რომელიც ასე შემიყვარდა, „არა“-ს გაიძახის, მე ხომ მაშინ ნადირი არა ვარ. იქნებ სხვაგან გეგულება ვინმე, სადაც მეტ ბედნიერებას მოელი. ვინ იცის ჯერ კი მოველოდები შენ პასუხს, წრფელათ ნათქვამს და კეთილშობილებით ათრთოლებულს.

შეიგრძნობ თუ არა იმაზე მეტს რაც გითხარი! მომენდობი თუ არა! უკვე დროა, ძვირფასო ევა, რადგან სხვა გზა მე აღარ მაბადია.

*ნიკო*
*თიბათვის შუაღამე*

***ძვირფასო ევა!***

უკანასკნელ საღამოს დავბრუნდი შენგან, ისე როგორც არასდროს, რაღას უნდა მოელოდე ჩემო კარგო ამ ოხერ ცხოვრებიდან, როცა ყოველივე დაგეხშობა და ის ვინც დიდ იმედათ მიგაჩნდა, მზათა ხარ შენი მომავალი მის კეთილდღეობას ანაცვალო, გამოდგება ცივი და უგრძნობელი. რა იყო ის სიტყვები: „მე არ მინდა, რომ უსიამოვნება შეგემთხვეს,“ შენ თუ მე გებრალები იქ კი არ უნდა დამიხსნა, სადაც ყოველგვარი დაბრკოლება გადასატანია, არამედ იქ, სადაც უარესობა მომელის.

ხო ჩამოთვალე თითებზე „ხუთი“. ხუთი კი არა, ხუთიათასი რომ იყვეს ხუთიათასი ტყვიით გავანადგურებ, თუ შენგან იქნება ერთხელ და სამუდამოთ წრფელი და უმანკო გადაწყვეტილება. როგორ ფიქრობ, ძვირფასო ევა, რომ დაგშორდე, თუ სიცოცხლე არაფერს არ მიზავს, სინანული მაინც არ დამასნეულებს? ვიცოცხლო, ვიყვე, რას ეგვანება ჩემი აწმყო და მომავალი. და თუ ზოგჯერ თავს შევიკავებ გაუბედურების გზაზე, მხოლოდ დედის საცოდაობის გამო, რომელიც ალბათ მივა და დააკვდება გატანჯული შვილის ჯვარცმულ სამარეს. – შენ კი, ისე, როგორც სხვებმა იციან, იძახე მერე ირონიით სავსე სიტყვები: „მე რა შუაში ვარ(!)“

„რა ჩემი ბრალია...“

თუ შენი აღთქმა გულწრფელი იყო, რო შენ „არასდროს არავის არ დაახლოვებიხარ“ – არ დაგენანება ოდნავ მაინც ერთიმეორის სულთან ასე ახლო მისვლა, რომ უჟმური ხელისჩაქნევით შეწყდეს! მე ვფიქრობ, ძვირფასო ევა, კიდევ დაფიქრდები, კიდევ შეხედავ იმ ადამიანის სახეს, როგორ მოელის შენგან თავის სიცოცხლის ბედნიერებას. და თუ შეგიძლია დიდი სიყვარული არ შეგაშინებს ათიათასი ხუთეულების ბოროტი ლანდი. მე კი ველარ წარმომიდგენია, როგორ წამოვიდე შენგან გინდ შემაფურთხო და ეხლა ჩაიდინე ის, რასაც გული და გონიერება გეუბნება.

გიგზავნი შენ წიგნაკს, სადაც ჩავწერე ორი სიტყვა, რომ თუ დაგავიწყდე, მოგონება მაინც გტანჯავდეს, გტანჯავდეს იმ ადამიანის აჩრდილი მუდამ, რომელიც კერპივით გაღმერთებდა, ჩემო კარგო მეგობარო.

ჯერ კიდევ უკანასკნელი იმედის ალი არ ჩამქრალა, შენი უკანასკნელი გადაწყვეტილება იქნება სიხარულის ცრემლი ან ახალგაზრდობის უჩვეულო და შემზარავი დასასრული.

უკანასკნელათ კიდევ გეევდრები ხუთეულების გულისთვის არ დამკარგო, თუ საკუთარი თავის კეთილდღეობაც გინდა, რადგან არასოდეს არ შეგინდობს ისე არავინ, როგორც ის ადამიანი, ვისაც შენ მიაჩნიხარ პოეზიაზე მაღალ ბედნიერებათ.

მე კიდევ გიცდი. რას იტყვი ენახოთ...

*ნიკო*
*თიბათვე*

***ძვ. ევა!***

გასულ შაბათს გიცადე, არ ვიცი, რამ დაგაბრკოლა, წვიმამ თუ სხვა შემთხვევამ. მე მოვკარი ერთ რამეს თვალი და ამან კიდევ უფრო ძლიერათ შემაყვარა შენი გული. კოლას[1] ჩამოსვლას მოუცადე, რომ როგორმე მენახე. როგორც გითხარი ევა, უნდა მოხდეს უკანასკნელი შეხვედრა. ბავშვი ხომ არა ვარ, რომ ასე ღირსება დაცემულმა ქუჩა-ქუჩა გდიო. ხო მივიღე შენგან საჩუქრად უკანასკნელი ირონია „რა პასუხი, რის პასუხი“, ასე მითხარი. მითხარი ის, რასაც ქუჩის ბოგანოსაც არ ეტყვიან. მე გთხოვე გადაწყვეტილი პასუხი და შენც დამპირდი წერილის საშუალებით და ეს სიტყვა საკუთარი გულცივობით გადაისროლე. და იცი რასა ვდარდობ და რა მენანება ევა, რომ შენ ჩემი პატივისცემაც არასასურველად გამოიყენე. დე ასე იყვეს, ასეთია მუდამ იმ ადამიანის ბედი, ვინც ანკარა ხელით, გრძნობიერებით და ზნეობით ცდილობს მეგობარი ყავდეს.

[1] *ნიკოლოზ (კოლა) ჯებისაშვილი – ნიკო სამადაშვილის მეგობარი.*

წუხელის კოლას ვუკითხავდი პეტრარკას ცხოვრებას, რომელიც გენიალურ შემოქმედებასთან ერთად იწოდა ლაურას ბედნიერი ხილვით. და მოკვდა ისე ეს დიდი ადამიანი, რომ ამ ქალმა სიკვდილის წინაც კი ვერ შეიგრძნო უნაზესი სულის მშვენიერება. ასეა ყველა და მით უმეტეს დღეს.

მაშ ასე, ხვალ, ევა (პირველ აგვისტოს), საღამოს შვიდ საათზე უსათუოდ უნდა მნახო, რათ გინდა ძვირფასო ევა კიდევ გადაჭარბება. ხომ მერგო შენგან საკმაო მწუხარება და თუ კიდევ რაღაცას მოინდომებ, მაშინ გაუწიე ყურადღება იმას, რომ ვინც შენთან დღეს არის ადამიანია და არა ქუჩის ლტოლვილი.

მნახე უკანასკნელად, თან წამოიღე ყველა შენი გადაწყვეტილება და მე ყველაფერს მშვიდათ მივიღებ. თუ დარჩები ჩემთან, იქნები ბედნიერი, ისე ძვირფასო ევა, როგორც არავისთან.

თუ არა და მე მაინც შენი ბედნიერებით მუდამ გახარებული ვიქნები. ვეცდები მერე, რომ ცუდი „ნიკო“ წინ აღარ შეგხვდეს, რადგან ცუდი ხალხი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ.

არ ვიცი ასე იქნება! თუ არა?!

შევხვდეთ და გადავწყვიტოთ. ყველა ხანგრძლივი მოფიქრება, რომელიც შენში შეინასკვა, თან წამოიღე. ადგილს კოლა გეტყვის.

ხვალ ერთი მხრით საქართველოს ვანდალების – მოსკოვის მოციქულების ზეიმი იქნება და მეორე მხრით კი ჩვენი საბოლოვო დასკვნა.

ეხლა დროა. მე ვფიქრობ სადმე მომიხდება ამ ცოტა ხანში წასვლა, ისიც საბედისწერო გზაზე. და რა კარგია, როცა იღუპები, როგორ მშვიდად მიდიხარ, როცა იცი, რომ ამ ქვეყნად ვიღასაც უყვარდი.

*ნიკო*
*31. VII*

**P. S.** ევა: მე ღრმათა მწამს,რომ ჩემ უკანასკნელ თხოვნას მიიღებ ისე, როგორც საყვარელ ნობათს შენი სულით აღფრთოვანებულ ადამიანისას.

*ნიკო*

***ძვირფასო ევა!***

გაიარა წელიწადზე მეტმა, რაც შენ დიდ სიყვარულს დავატარებ. გაიარა ერთმა წელმა და ამ მოკლე დრომ მომიწამლა მთელი ჩემი სიყმაწვილე.

რაღაც მოულოდნელად შეგხვდი და ამ შეხვედრამ ჩემი აწმყო და მომავალი დაიმორჩილა.

გეფიცები ევა, რომ მე არავისთან არ ვფიქრობდი დაახლოვებას. მოწამლული ბავშვობა და იმედდაკარგული ახალგაზრდობა შერისხული ჭანდრებივით შრიალებდნენ ჩემი ცხოვრების გაუბედურებულ გზაზე. ყველგან ვხედავდი არარაობას და სიცალიერეს. მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში ყოფილა შემთხვევითი ბედნიერებაც.

პირველმა საუბარმა შენთან, მე დამატანა ის უკვდავი სიხარული, რომელიც არასდროს აღარ გამომნელდება. ვგრძნობდი, რომ შენ შეგეძლო დიდი ნდობა და სიყვარული. მხოლოდ ჩემთვის ასე ადვილი არ გამოდგა ბედნიერება. ათი ათას „არა“-ს შემდეგ მე მაინც მოვდიოდი შენთან!!! რადგან მჯეროდა, რომ გაქვავებული სიტყვების იქით იმალებოდა ის ნაზი და კარგი გული, რომელიც ოდესღაც მაინც იგრძნობდა ჩემ ჯვარცმულ და გატანჯულ სიყვარულს. ეს ასრულდა. შენ უკვე მენდე და თან დაატანე „არავის არ ათქმევინო“. არ ვიცი მტრები რას იტყვიან, მაგრამ ბედნიერ სიცოცხლეს ხომ ვერავინ წამართმევს. ეს უნდა გწამდეს იმ ადამიანისაგან, რომელმაც ახალგაზრდობის დასამხრული დღეები შენ შემოგწირა.

მართლაც, ძნელია მომავლის ნათლად წარმოდგენა. შეიძლება მიღალატო! ცხოვრების შუაგზაზე დამშორდე კიდეც! და, არასასურველი მდგომარეობა შექმნა, მაგრამ მაინც მაფორიაქებს ის აზრი, რომ შენ ასეთი არასოდეს არ იქნები. შენი კეთილი და სათნო გული მუდამ მეტყველებს ხანგრძლივ ერთგულებას და დაუშრეტელ სიყვარულს.

„გული მიძგერდა, მხოლოდ იმიტომ, რომ განეცადა ერთადერთი ამ ქვეყნიური და ღამაზი სიყვარული“ – ასე სწერდა ფრანგი პოეტესა მარსელინ დებორდ-ვალმორი და როგორ დაპატარავდება ყველა უბედურება, როცა სიკვდილის წინ გაიელვებენ ცრემლდალეული სიტყვები: ვცხოვრობდი ჩუმად, და მეც ვატარებდი და განვიცდიდი ერთადერთ და ღამაზ სიყვარულს. ეს იქნება ძვირფასო ევა ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შინაარსი და შენ კი მთავარი გმირი.

ეხლა კი გკოცნი, რომ შენ შემინდე და ბედნიერებასთან ერთად მაჩუქე: შენთვის ძნელი, მაგრამ ჩემთვის საბედისწერო გადაწყვეტილება. ის ღამე თავდები იქნება მომავალი ჩვენი უანგარო ცხოვრების.

ასე ჩემო კარგო და მეგობარო ევა.

*ნიკო*
*31. 1. 1930*

***ჩემო მარიამ!***

აღარ შემიძლიან ამდენი მარტოობა. დედაჩემი, ხო იცი, დილით მიდის და თუ მე არ გავაკეთე სადილი, მშივრები ვრჩებით ხოლმე.

რაც არის, არის.

პეტრეს[1] ვგზავნი და გიგზავნი 200 მანეთს. წამოდით კვირას ახალციხის მატარებელზე, მე გორში დაგიხვდებით.

აკოცე ბავშვებს. მოკითხვა დედას და კოლას[2].

*შენი ნიკო*
*19.VIII. 1949*

***ჩემო კოკროჭინა მეუღლევ!***

მე რამდენიმე დღე დამაგვიანდება. ამიტომ სახარჯოთ გიგზავნი 300 მანეთს.

ბავშვებს კარგად მოუარე.

დამიკოცნე ნუგზარი.

*შენი ნიკო*
*6. I. 1950*

***გამარჯობა ჩემო მარიამ!***

როგორა ხარ. რას იზავ, შენი ნიკო ნეტარხსენებულ გალიაშია, ისეთი წვიმები იყო, რომ ნამდვილი კოკისპირული გეგონებოდა.

ვმუშაობთ ბევრს, დღე და ღამე. რაც დავისვენე აქ ამომშხამდა.

ჩემო მარიამ, მაშ 4–5 მიდი ცეკავშირში.

სხვა, ჩემი ნუგზარი როგორ არის. ბევრი, ბევრი აკოცე, სულ ბევრი.

თამაზის გამოცდები მაინტერესებს, მოიწერე წერილი.

*აკოცე მზიას*
*შენი ნიკო*
*28. V. 1951*

წერილი ასე მოიწერე:
ქ. გალი. სასტუმრო
და მე.

---

[1] *პეტრე ამანათაშვილი – ნიკო სამადაშვილის ცოლისძმა.*

[2] *ნიკოლოზ (კოლა) ამანათაშვილი – ნიკო სამადაშვილის სიმამრი.*

***გამარჯობა ჩემო მარიამ!***

როგორც იცი, ჩამოვედი ახალქალაქში, მადიანათ თოვს, მე კარგად მოვეწყე. რაიკავშირში მომცეს თბილი ოთახი, სამუშაო ბევრია, ყელამდე.

ძალიან დავიღალე რაიონებში ხეტიალით, ეხლა რო ჩამოვალ უნდა ვთხოვო, რომ თბილისში გადამიყვანონ. აღარ შემიძლიან, ეს დაუსრულებელი „კამანდიროვკები“.

აბა შენ იცი, ბავშვებს კარგად მოუარე, პატარა გაჭირვება გვაქვს, მაგრამ რას იზამ, პატიოსანი შრომა ყველაფერს სჯობიან, იყვეს ცოტა – თუ გინდა შავი პური და გემრიელი.

თამაზის უთხარი, თუ უნდა გამახაროს, კარგად ისწავლოს. მზიამაც წასწიოს სწავლის საქმე წინ.

ჩემი ნუგზარი – მაგას ვენაცვალე, ხომ კარგად არის. აკოცე ბევრი, სულ ბევრი.

ვეღარა ვსძლებ უმაგისოთ, სულ ვეღარ. ალბათ, ნუგზარიც ეგრეა, „ჩემი მამიკო მოვიდა...“ მგონი ყოველ დილით იძახის.

ნინასთვის[1] აქ კარგი აღგილია, თუ ინებებს ამოვიდეს.

მოკითხვა ოლღა სიმონოვნას[2].

იყავით კარგად და სულ კარგად.

*შენი ნიკო*
*7. III. 1952*

***გამარჯობა ჩემო მარიამ!***

შენ წახვედი და ცოტა ხნის მერე, ნინას წერილიც მოვიდა.

„ჩამოდი ჩემო მანოვო, კაკლის მურაბისათვის მასალა შეგინახეო, მარწყვი მოგიხარშეო“.

ხედავ რა კარგი დაიკო ყყოლია. სხვა, როგორ იმგზავრეთ? მოიწერე, გამაგებინეთ.

აბა შენ იცი, ბავშვებს მოუარე და ყველაფერს გამოგიგზავნი.

წუხელის მე თითონ ამოვჭეჭყე შარვალი, მაგრამ არ გამომივიდა, მოსარეცხე მაინც საჭიროა.

მოკითხვა დედას, კოლას, ლოლას[3], პეტრეს. ნუგზარი დამიკოცნე. მზია და თამაზი კარგად მოიქცნენ.

*იყავი კარგათ და ყოჩაღათ*
*შენი ნიკო*
*28. VI. 1953*

---

[1] *ნინა ამანათაშვილი-რაზმაძისა – ნიკო სამადაშვილის ცოლისდა.*
[2] *ოლღა კობერიძე – ნიკო სამადაშვილის დედა.*
[3] *ლოლა ტაბიძე-ამანათაშვილისა – პეტრე ამანათაშვილის მეუღლე.*

***გამარჯობა მარიამ!***

მე წერილებს გწერ და შენ კი გაყუჩებულხარ, არაფერს არ იწერები, ალბათ გაერთე და ნიკო დაგავიწყდა.

გუშინწინ ჩემთან ჩამოვიდა ნინას მამამთილი კოლა[1], წავიყვანე საავადმყოფოში და ვერაფერი ვერ უშველეს, თვალები მეტისმეტად გაფუჭებული ჰქონია. დირექტორმა მითხრა, მაგის მუშაობა არ შეიძლებაო. ან მატარებელი გაჭყლიტამს და ან მატარებელს გადააბრუნებსო. აბა რა ვქნა, ვერაფერი ვერ ვუშველე.

ეგ კი არა, ტრამვაიდან ვიღაცას ჩაყვა და მე ვეგონე, კინაღამ გზაში დამეკარგა.

ნინა ბურკაძე[2] როგორც იქნა სამკერვალო ფაბრიკაში მოვაწყე და ერთი ჭირი მოვიშორე.

კიდევ, როცა კოლა აქ იყო, ვანო კოპტონაშვილი ჩამოვიდა ჩემთან, გინდა თუ არა, ჩემი შვილი უცხო ენების ფაკულტეტზე მოაწყეო.

ერთი სიტყვით, დიდი სტუმრიანობა მქონდა, ძალა წაიღეს პირდაპირ. ეს შობელძაღლები ერთი არ მოვა ჩვენთან, რომ გვითხრას, რა გიჭირთ? ყველა თავის საქმეზე მოდის და მე დავიღალე სხვების კუდში წრიალით.

დედაჩემი ერთხელაც არ მოსულა ჩემთან, რომ ეთქვა – აბა რა გაქვს გასარეცხი, ან დასალაგებელი, მით უმეტეს რომ იცის, თქვენ წახვედით. და ძალიან გამიჭირდა, დამრეცხავიც კი ვერ ვიშოვნე. მაგრამ არაუშავ-რა თქვენ კარგად იყავით.

ფულს ვიშოვნი თუ არა, თქვენსკენ წამოვალ. ძალიან მედარდება, რომ შენ უფულოთ გაგიშვი, რას იზავ, ეგ საქმეც გამოსწორდება ჩემო მარიამ.

სხვა, ბავშვები როგორ არიან, გიჯერებს თუ არა თამაზი, მზია.

ჩემი ნუგზარი როგორ არის, ყველაფერი მოიწერე.

ერთი სანარდო სამუშაო ავიღე. ვნახოთ, რა გამოვა.

აქ, თბილისში კარგად დაცხა. ისე რომ სულ ოფლში ვიწურებით, სიცხე თანდათან მატულობს.

მანია, მოიწერე მალე ყველაფერი. ნუ დაიზარებ.

მოკითხვა თქვენებს. დამიკოცნე ბავშვები.

*შენი ნიკო*
*4. VII. 1957*

---

[1] *ნიკოლოზ (კოლა) რაზმაძე – ნიკო სამადაშვილის ცოლისდის (ნინას) მამამთილი.*

[2] *ნინა ოქუაშვილი-ბურკაძისა – ნიკო სამადაშვილის ნათესავი.*

***ჩემო ნუგზარ!***

გზაზე ძალიან ვიდარდე, რომ დეიდაშენი კორტანეთის ბაქანზედ არ დაგხვდა. რატომ წერილი არ მომწერე, ხომ იცი ჩემი ხასიათი. ნეტა როგორ მიათრიე ის ჩანთა?

აი, ხომ ხედავ, ძია ლევანს[1] რა უბედურება შეემთხვა. ამიტომ გაფრთხილდი, თუ მამა გიყვარს მტკვარზე არ ჩახვიდე, არ გაეკარო წყალს.

იყავი კარგად.

მე ჩამოვალ 25–26-ში და წამოგიყვან.

გკოცნი ბევრს.

*შენი მამა*
*17. VIII. 1961*

(ეს წერილი მიერთვას ნუგზარ ნიკოლოზის ძე სამადაშვილს).

***გამარჯობა ჩემო ნუგზარ!***

რაც შენ წახვედი, მე ვეღარ ვისვენებ. აღარ ვიცი რა ვქნა. შენ კი არც კი მიგონებ.

ეხლა რასა გთხოვ ჩემო ბიჭო, არ იცელქო, ფეხბურთი არ ითამაშო, პატარა ხომ არა ხარ, ნუთუ არ იცი: რა გარგებს და რა გავნებს.

ეცადე მანდ კარგად ისწავლო და არ შემარცხვინო. თამაშს მოეს-წრები და სწავლას კი ვეღარა.

დეიდა არ შეაწუხო შენი ცელქობით. თავი შეიკავე და ჯანმრთელ-ობას გაუფრთხილდი. გამოჰყე საათები, როდის უნდა იმეცადინო. შენ არ გეგონოს, მანდ ყველაფერი ადვილია. ზოგიერთი სოფლის სკოლა ქალაქის სკოლებს სჯობიან: სიბეჯითით, სწავლით, ცოდნით და სვინდისით. კარგს იზამ, თუ ჭადრაკის თამაშს განაახლებ. ეს კარგი იქნება. 1 მაისს გელოდები.

მოკითხვა ძია მიშას[2] და დეიდას.

*შენი მამა*
*21. IV. 1963*

***P. S. ნუგზარ***

იცოდე: მე მოვრჩები და კარგად ვიქნები, თუ შენ კარგად ისწავლი და წესიერად მოიქცევი.

ჩემი წამალი ეს არის, იცოდე.

*მამა*

---

[1] *ლეო (ლევან) რაზმაძე – ნიკო სამადაშვილის ნათესავი, რომელსაც ორი ქალიშვილი მტკვარში დაეხრჩო.*

[2] *მიხეილ (მიშა) რაზმაძე – ნიკო სამადაშვილის ქვისლი.*

***ჩემო გიორგი***[1]

რამდენიმე ლექსს გიტოვებ სახსოვრად, როგორც შტატს გარეშე დარჩენილი მგოსანი.

ვიცი, თბილისი გიყვარს და ვეცადე ჩვენ დედაქალაქზე დაწერილი ლექსები მომეტანა (ამის მეტი რა მაქვავია).

დღეს ახალი წელია. გილოცავ ჩემო გიორგი! იცოცხლე შენი სანუკვარი ცოლშვილით დიდხანს. კამილ ფლამარიონისა არ იყვეს, იდღეგრძელე იქამდე, სანამ მზე მბჟუტავი ლიფლიფასავით ცივილიზაციით დაღლილ სამყაროს შეეჭიდება.

*შენი ნიკო სამადაშვილი*
*1 იანვარი, 1961*
*თბილისი*

***ჩემო გიორგი***[2]

როგორც იყო და არ იყო, 15 თიბათვეს ვიხილე თქვენი თეატრის დრამა „ფიროსმანი“. კარგად იცი, არავითარ პრეტენზიებს არ ვაცხადებ თეატრმცოდნეობაზე და არც თავი მომაქვს ხელოვნების ქურუმად.

მაგრამ, შენ მაძალებდი: ნახეო და ამიტომ მინდა, როგორც მეგობარს გაგიზიარო ჩემი შთაბეჭდილება. არიან გენიოსები, რომლებიც ისე მიდიან და იკარგებიან წარმავალობის წარღვნაში, რომ სრულებით ვერ გრძნობენ (უფრო არ ჰყოფნით „განათლება“) საკუთარი ნიჭის ღვთაებრიობას. ასე დაემართა ჩვენში ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ევროპაში – ტორკვატო ტასოს, მარსელინ დებორდ-ვალმორს და ვინ იცის, კიდევ რამდენს.

ვინ მოსთვლის, რამდენი ბრწყინვალე შთაგონების ადამიანები წვანან მიწაში. კაცობრიობამ კი ამის შესახებ არაფერი არ იცის.

ჩვენი ფიროსმანიც ოქროს ზოდი იყო ხალხური შემოქმედების, დიდი ფრიალო კლდეების საგანძურიდან მოტეხილი და ჩამოვარდნილი, ნიაღვრებისგან ოდნავ გათხუპნული, გამორიყული ცოდვილი ქვეყნის რიყეზე.

ის არ თამაშობდა ცხოვრების თეატრის სცენაზე, არა, ის დადიოდა, იწოდა, მდუმარებდა და გულის ალმური ეხმიანებოდა გასაოცარ სურათების შექმნაში.

მე მგონია, ეს ვერ გაიგო თქვენმა თეატრმა.

ის მსახიობი უფროა, ვიდრე მხატვარი.

---

[1] *გიორგი ჭოღოშვილი (1914–1998) – მათემატიკოსი, აკადემიკოსი; ტოპოლოგიური სკოლის ფუძემდებელი საქართველოში.*

[2] *გიორგი (ქორა) ქურული (1899–1964) – რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.*

ის აბუზული იცქირება (თუ მიწას ჩასცქერის).

სცენიდან, ის ლაღი ირემივით რქებგაყრილი დადიოდა, აქ კი ჯიუტი, კერპი, გახტაგანი და ბოლოს რევოლუციონერიც – ეს არის უხეირო წარმოსახვა დიდი ხელოვანის.

ის რევოლუციონერი იყო ხალხურ შემოქმედებაში, ისე როგორც ბარათაშვილი ქართული ლექსის „გადატრიალებაში". ეს უნდა ეჩვენებინა დრამატურგს და არა აუცილებლად მიეჩეჩებინა პროკლამაციები და დროშები.

რატომღაც ჰგონიათ ზოგიერთ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს,რომ ბოჰემა ეს არის როსკიპები,არაყი,დუქნები – ეს ელემენტებია და ამ „ელემენტებში" უნდა ჩანდეს ხელოვანის ბობოქარი ხელი.

სერგო ზაქარიაძე მიყვარს, მაგრამ მეცოდებოდა, როცა ეს დიდი მსახიობი „იაფფასიან ეპიტეტების" ხლართებიდან ძლივს ძვრება, მარტო გარყვნილ ვარინკასთან შეხვედრა რად ღირს, აქ ფიროსმანი უცოდველია, რაღაც თავაზიანი, აქ ისე იქცევა როგორც „ბებერი კნეინა" – ნუთუ მთვრალი ხელოვანი უსათუოდ წესიერი და მორალურად ამაღლებული უნდა იყვეს?

ეს ფოჩიანი კამფეტის ფასია.

ანდა, ავიღოთ სამიკიტნოში (ეტყობა რეჟისორს სამიკიტნო არ უნახავს, მრევლიშვილის ნახატებს, ან გუდიაშვილის სამიკიტნოებს მაინც გასცნობოდა) თუ რესტორანში, პოლკოვნიკი აბუჩად იგდებს ფიროსმანს და ის კი, მაინც განაგრძობს ხატვას. რა არის ეს? ხელოვანის ცხოვრების, ხასიათის, თვისების და რაც მთავარია, „ქართული სულის" არცოდნა.

თუ გინდა ძველი თბილისის ბაზარი, რა საშინელი სიცალიერეა ამ ბაზარში, ვირთხებივით გამოძვრებიან ყასაბი, მეთევზე და ისევ იმალებიან (სად არის აქ მასიურობა, რომელიც ასე დამახასიათებელია ბაზრისათვის). მარტო დიმიტრის ღრიალი საქმეს ვერ შველის.

კირილთან[1] და მიშელთან[2] შეხვედრის სცენა ფსიქოლოგიურად ღარიბია. ფიროსმანი რესტორანში კი არ უნდა მოეყვანათ, თვითონ უნდა ენახათ „სადმე", ასე იციან თაყვანისმცემლებმა.

ნატურალიზმმა კინაღან არ დალეწა თეატრი, კინაღამ არ დაანგრია (განა მარტო თეატრი). აქაც, ავიღოთ უკანასკნელი სცენა, კიბის ქვეშ. რა ზარდამცემი ნატურალიზმია. გეგონება ფიროსმანი კი არ კვდება, არამედ

---

[1] *კირილ ზდანევიჩი (1892–1967) – ფერმწერი და ხელოვნების მკვლევარი (წარმოშობით პოლონელი).*

[2] *მიშელ ლე დანტიუ (1891–1917) – მხატვარი გარუსებული ფრანგული ოჯახიდან; 1912 წელს კირილ ზდანევიჩთან ერთად ჩამოვიდა თბილისში.*

ვიღაც მაწანწალა. აქ გამოშიგნულია ფიროსმანის შინაგანი აგონია, არ ჯობდა ჯერ ზეზე გვენახა, (თუ გინდა დავრდომილი, რომელიც თავის სურათებს ესაუბრება, კოცნის...) და მერე „ეგორავა“ საწოლზე?! ლადო გუდიაშვილის საუბარი, შეიძლება სინამდვილეში ასეც იყო, მაგრამ თეატრმა ეს „წვეულება“ მგონი, ვერ აიტანა. არა მგონია, ლადოს ფიროსმანის ნახვა მარტო ფულის მიტანით გამოეხატა. ეს ორი დიდი ხელოვანი ისე ხვდებიან ერთმანეთს, აქ კიბის ქვეშ, როგორც „პაჟი და მათხოვარი“. არა, ეს გულმოსაკლავია.

ერთი სიტყვით, ჩემო გიორგი, ეს სპექტაკლი გაკეთებულია ყურმოკრული ამბებით. რესტორნებმა, სამიკიტნოებმა, გულმაწყალებელმა ცეკვებმა (განსაკუთრებით სხირტლაძის რესტორანში) ყარაჩოღელებმა, როსკიპებმა ვერ უშველეს, რომ გრანდიოზულად ამართულიყო გენიალური ფიროსმანის ცხოვრება (სწორედ ბოჰემური).

ვერ უშველა ფიროსმანს ვერც ფრაკმა, ვერც დაძონძილმა ტანისამოსმა.

ქართველები იტყვიან ხოლმე „მღვდელს ჭილოფში იცნობენო“. აი, ამ ჭილოფში ვერ ვიცანი ბედისგან დახრილი, თავის უკვდავ სურათებზე აგლესილი, გზადაბნეული მხატვარი.

*შენი ნიკო სამადაშვილი*
*16 თიბათვე*[1]

### *ძვირფასო ვახტანგ*[2]

„შემოქმედებითი ჰანგები შენში ჯერ კიდევ არ ადულებულან“, ასე მითხარით ერთხელ და ეს მჯერა. მჯერა და დიდი ეჭვიც შემეპარა იმ ლიტერატურულ მუშაობაში, რომელსაც მე ვეწევი. ვუკვირდები გენიოსებს და ვგრძნობ, რომ მათი ცხოვრება შემოქმედებაზე უფრო მძაფრ სიმფონიას წარმოადგენს. ჩემი არსებობა კი ყოველდღიური ადამიანის უხეშ ბოდვას არ სცილდება და რომ მეც შევქმნა პოეზია, ხომ საჭიროა უცნაური ცხოვრება. მე კი, ეს არ მინდა და მეშინია, მეშინია ისე, როგორც სასიკვდილოდ გამზადებულ ადამიანს. საშუალო ყველაფერი მეჯავრება (თვით ადამიანიც) და ამან საკუთარი თავიც შემაძულა.

არც პოეტია, არც ნორმალური ადამიანი, რა საძაგელი ყოფილა ასეთი გზაჯვარედინი. არც დედამიწა გინდა და სივრცეებისაც გეშინია!

---

[1] *წერილი დაცულია ერეკლე (ირაკლი) ტატიშვილის არქივში, № 027272.*

[2] *ვახტანგ კოტეტიშვილი (1893–1937) – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე.*

სამშობლო მეჯავრება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რო მოვშორდე ავტირდები და ამის პატრონი უსაზღვროებას რაღაცას ვეხვეწები. აქ არის ჩემი უძლურება, რადგან მე და ჩემ ლექსებს ჩხუბი მოგვდის, ისინი სადღაც მიიწევენ, მე კი არ მივდევ, იმიტომ კი არა, რომ წამებას ვერიდები? არა, რაღაც მაშინებს და ამ შიშმა ასე ახალგაზრდა დამასნეულა, რომ ვიცოდე მეორეთ განვმეორდები და ვიცხოვრებ, ისე როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ჯანდაბას, ამ სტრიქონებს გავყვებოდი. მაგრამ რომ მჯერა, მეორეთ აღარ გავჩნდები, აქ ვკრთები და სიცოცხლე ღვინოსავით მეკიდება – მარტო დარჩენილს ხშირად რაღაც გუგუნი მესმის და ზოგჯერ სად გავრბივარ მეც არ ვიცი, თითქოს უსაზღვროებისკენ ვიყვე თვალნაცემი.

ამას წინათ ერთი ძველი ლექსის ფურცელი ვიპოვე და ქვეშ ეწერა „ჭკუაზედ შეშლა, არის ჩემთვის ერთადერთი ბედნიერება“. ნუთუ ეს წინათგრძნობა მართალი გამოდგება და კიდევ ერთხელ და უკანასკნელად დამატყდება ჩემი ბედის დიდი ბოროტება. რა ვქნა, ჩემო კარგო მეგობარო, რა ვქნა.

„შეიძინეთ დიდი კულტურა“ „მირჩევდა“ პავლე ინგოროყვა. ვიძენ კულტურას და ვგრძნობ, კარგი არ მეყრება. იმედი ჩავიგდო გულში და რის იმედით ვთქვა ის: რომ ქვეყანა ათასი წლის მერე ბედნიერი იქნება, თუ ნიცშესავით დავიტრაბახო „ორმოცდაათი წლის მერე გაიგებენ ჩემ გულის თქმას“, თუ ბარათაშვილივით წამოვიძახო ჩემ ნავალზე შთამომავლობას სიარული გაუადვილდება-მეთქი. მე ვფიქრობ პოეტმა თავის „გზა“ არავის არ უნდა ურჩიოს.

არა და დავიღუპები: უხეიროდ, უშნოდ და ტლანქად არაფერი არა მწამს, მაგრამ ზარების გლოვა რათა მხდის ცუდათ დღესაც ვერ ავხსენი, ხან მგონია მიწაზე დაოსებული ადამიანი იქით მხრიდან ვიღაცას უძახის და ასეთ ფიქრში ჟრუანტელის ცეცხლი გულზე მეკიდება.

რა ცუდი აუდიტორია ყოფილა ეს ოხერი საქართველო (იქნებ მთელი კაცობრიობაც) ფეხადგმულ პოეტისათვის, რომელსაც ყველაფერი ენანება, იმიტომ არის, რომ მე უფრო ნაძვებთან და ფოთლებთან მიყვარს სიარული, რაც ამათ მასწავლეს, იმას ხუთი უნივერსიტეტი ვერ შთამინერგავდა. არ გაგიკვირდეთ და დამიჯერეთ.

მახსოვს ერთხელ რო მითხარით „მე მინდა გადაგარჩინო სარკოფაგისაგან“. ეს სიტყვები თან წამოვიღე და აღელვებულ დროს გეკითხებით: არის თუ არა ჩემთვის გზა – გადარჩენისკენ? დამეთანხმებით, თუ არა იმაში, რომ პოეზია მე გამაუბედურებს, თუ პოეტს არა, ადამიანს ხომ მაინცა.

თქვენ იტყვით, ძვირფასო ვახტანგ, რადგან თქვენი გული ყველაზედ კარგად გრძნობდა და გრძნობს ყველაფერს.

და თუ დავიღუპები, თქვენ ერთს, მაინც დაგრჩებათ – თუ გინდ ცოტა ხნით – ჩემი გულამოსკვნილი ტირილი რომელიც თქვენს გარშემო ნისლივით გუბდებოდა.

ძვირფასო მეგობარო, ალბათ იტყვით: იყო ახალგაზრდა ადამიანი, შემოქმედების სამანებთან მივიდა, შეეშინდა არარაობის და უკან გამობრუნდა, თუმცა იმას „დიდი კულტურაც“ ვერ უშველიდა.

და მე, ო, როგორ მიხარია, რომ ეს ჩემი უძლურება თქვენ ერთს გეცოდინებათ და სხვას არავის.

*თქვენი ნიკო სამადაშვილი*
*იანვრის ღამე*

**P. S.** ძვირფასო ვახტანგ, ეს წერილი იმიტომ მოგწერეთ, რომ მე მოსვლა ვერ მოვახერხე. ეს ერთი კვირაა ლოგინში ვწევარ, მაქვს სიცხე და მტეხავს მთელი ძვლები.

უნივერსიტეტისთვის ერთი საგანი, როგორც იყო მოვამზადე „ენათმეცნიერება“, მხოლოდ აღდგენის საქმე როგორ წავა არ ვიცი.

ამ წერილის მომტანს თუ დააბარებთ რამეს, მადლობელი ვიქნები.

*ნიკო*

***ბატონო ვახტანგ!***[1]

თქვენ ინახულეთ ჩემი შემოქმედება. შეიძლება ეს ჩემი მხრიდან სითავხედეც იყო, რომ ასე მოურიდებლად მოგიტანეთ ლექსების რვეული, რადგან თქვენ ისედაც საკმაოდ ხართ დატვირთული ლიტერატურული მუშაობით. და ეს ყველაფერი გავბედე იმიტომ, რომ მე მინდოდა გამეგო იმ ადამიანის აზრი, რომელიც შემოქმედებაზე ღვთაებრივი ჟინით არის შეყვარებული და რომელსაც სტრიქონების იქით შეუძლია დაინახოს პოეტის სახე, იდუმალი ქარით გადამწვარი. აი მიზეზი ჩემი თქვენთან მოსვლისა.

სტრიქონები ხომ ფანჯრებია პოეტის სამყაროს დასანახავად. არ ვიცი, ჩემმა ფანჯრებმა დაგანახეს თუ არა ჩემი ნამდვილი გოლგოთა. იქნებ ელამი გამოდგა ის ჩემი შუშაბანდი, რომელსაც უნდა დაენახვებინა ის ადგილები, სადაც შეშინებული ადამიანივით დავიარები... რაც მე ასე მაწვალებს და ღრღნის ჩემს სატიალო სულს. ღრღნის ისე, ბატონო ვახტანგ, რომ ძვლები დამიფუტუროვდა. საჭიროა ერთი ღონიერი გრიგალი, რომ მიწის მტვერივით უფსკრულებში გადამიტანოს.

---

[1] *ეს და მომდევნო წერილი გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“, №2, 1986 (ვახუშტი კოტეტიშვილის პუბლიკაცია).*

თქვენ უმთავრესად მესაუბრეთ ლექსის ფორმაზე (სტრიქონის გამართვა, რითმა და სხვა...), რაც ჩემთვის თუ არა, ლექსისათვის უმთავრესია. თქვენი დარიგება ჩემთვის დარჩება ერთ-ერთ უმშვენიერეს მოგონებად. თქვენი საუბრიდან დავინახე ის სიმახინჯე, რაც არ ეგუება პოეზიის უნაზეს ბუნებას... არა ვარ დიდი ჰასაკისა, მაგრამ ისე ვიტანჯები უსაზღვროების საშინელებით, და დედამიწის უნუგეშო ხეტიალით, რომ ასე მგონია, თითქოს მე ვარ წერტილი, სადაც თავდება სამყაროს უიმედობა.

მე ვიცი, ჩემი ვულგარული ლექსებით ვერავის მოვწყვეტ ყოველდღიური ყოფიდან, ვერ წავიყვან იქ, სადაც შიშია და იდუმალება. საქართველოს თუმცა პოეზიის ქვეყნად თვლიან, მაგრამ, ჩემი აზრით, თითებზეა ჩამოსათვლელი ის ხალხი, რომელთაც მხოლოდ შემოქმედება ესმით...

პლანეტების გაუვალი ნახირი ხომ მაგიჟებს და შიშით ტანში მაკანკალებს. ვიკარგები, ხანდისხან სადღაც, თითქოს სხვა მსოფლიოში დავდივარ და სანამ არ შევკრთები სადმე, ვეღარ ვბრუნდები...

ხან თითქოს დედამიწა ფეხებიდან მეცლება... ძნელია იმღერო და ილაპარაკო კიდეც... არ ვიცი, სად დავისვენებ, თუნდაც ზეზეურად.

მხოლოდ გემუდარებით, ბატონო ვახტანგ, ჩემი დაახლოება თქვენ სხვანაირად არ მიიღოთ, და თუ გაწუხებთ, მაპატიეთ.

*ნიკო სამადაშვილი*
*26. IX. 1927*

**P. S.** ამ რამდენიმე ხნის წინ,მანამ თქვენთან მოვიდოდი,მიწიშვილს[1] გადავეცი ლექსი დასაბეჭდად. არ ვიცი, დამიბეჭდავს თუ არა, მხოლოდ ეს კი მითხრა: „ყოველი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებას ეწინააღმდეგებიან, რადგან ეს ჟურნალი მწერალთა კავშირის წევრებისაა“.

*ნ. ს.*

***ბატონო ვახტანგ***

დღეს ღამე დავბრუნდი სახლში ჩინოვნიკური „კარიერით“ დაღლილი და გაწვალებული. გზაზე ვფიქრობდი რაღაც სისულელეზე. ვიყიდე საღამოს გაზეთი და დავინახე წერილი „**Fntycrjt eotkmt**“, დავინახე თქვენი გვარიც და წავიკითხე.

---

[1] *ნიკოლო მიწიშვილი (ნიკოლოზ სირბილაძე) (1896–1937) – მწერალი.*

გამეხარდა, ბატონო ვახტანგ. გამეხარდა რომ ჯერ კიდევ ყოფილა ხალხი, რომელსაც შესძლებია იმ მშვენიერი მუშაობის დაფასება, რაც თქვენ ატენის ხეობაში ჩაატარეთ. როგორ მიხაროდა, როცა თქვენ იქ საუკუნეების გათხრებს აწარმოებდით და ეძებდით გაქვავებული ფანტასტიკის ჩონჩხებს. და რა გული მიკვდებოდა, როცა ვფიქრობდი, რომ ამ შემოქმედებით არქეოლოგიას არავინ დაგიფასებდა ისე, როგორც ეს საჭიროა ყოველი ცოცხალი ადამიანისათვის.

არა, თურმე შემოქმედების გიპნოზი სულ სხვა ყოფილა. ამიტომ მინდა, მოგილოცო, ჩემო ვახტანგ, ეს გამარჯვება. გაგიკვირდება ალბათ ჩემი სიხარული. რა ვქნა, მე არასოდეს არაფერი გამხარებია ისე, როგორც ეს პატარა წერილი. იქნებ იმიტომ, რომ ამ სტრიქონებმა – ატენის ხეობაზე – მე მომაგონეს შენი ვაჟა, შენი ყაზბეგი და დიდი ხნის დაკარგული პოეზიის მეგობარი მომატრიალეს ნაცნობ სახეებთან, ჟრუანტელის მომგვრელ ადგილებთან. ვიგრძენი სიხარული, ის, რაც კარგა ხანია, ძვირფასო ვახტანგ, არ განმიცდია. მინდა, რომ დიდხანს იცოცხლო, საყვარელო ვახტანგ, მინდა, რომ დიდხანს უკრავდე და დამღეროდე გრძნეულ ჩონგურზე იმ ლამაზ ზღაპრებს, ლექსებს, ლეგენდებს, რაც ქამთა სიავეს ზოგი ხნიერი ეკლესიის კედლებზე და ზოგიც უბან-უბან ნაკუწებად მიუნამქრია.

მიიღე ჩემი სიხარული ისე, როგორც მოძღვნილი ლექსი. თუ მალე მოვრჩი ჩემი გავერანებული ცხოვრების დავიდარაბას, მხოლოდ მაშინ გნახავ.

მოკითხვა მეუღლეს, ბავშვებს.

*თქვენი ნიკო სამადაშვილი*
*5. XI. 1933*

***გამარჯობა ბატონო ირაკლი[1]!***

ეს, ეს არის ბორჯომიდან ჩამოვედი და შენი წერილი დამხვდა.

მადლობა ღმერთს! რახან ნეძურამ[2] მაინც შესძლო შენი დამშვიდება, დაშოშმინება და ზღაპრული ნეტარება.

ეგ მდინარე შენს ბუნებას ძლიერ ჰგავს და ამიტომ არის, როცა ერთად შეიყრებით ხოლმე, ბავშვებივით ლაღობთ და გიხარიათ; ცმუკავთ და ნავარდობთ, ბოდავთ და ხითხითებთ, შენ აივანზე და ის კი რიყეზე.

მადლობა გამჩენს, რომ ნეძურას მაინც შესძლებია შენი „გამოთრე-

---

[1] *წერილი დაცულია ერეკლე (ირაკლი) ტატიშვილის არქივში, № 027272.*

[2] *ნეძვისხევი, ნეძურა – მდინარე თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ბორჯომის რაიონში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი.*

ვა“ წუთისოფლის ვარამმოდებული საკანიდან.

საოცარი ხარ, საოცარი, ჩემო ფასკუნჯო, ხან მომთმენი, ხან ბუტია; ხან გზნების დიდი სამრეკლო, ხან კვერნაკი; ხან სიცოცხლისა და სიკვდილის დახშულ ქედებს შორის ჯანყივით იცი ჩამოწოლა, ხან ცხოვრების მრისხანე ტალღები ისე შეგაძრწუნებენ ხოლმე, რო გემბანზე ვეღარ ჩერდები და „კაიუტაში“ იკეტები.

ამიტომ არის, ზოგჯერ მამალი მგლისაც არ გეშინიან და ზოგჯერ „ხოლმე“ პირკატასავით გეცემა ხოლმე.

ამიტომ, მე რო მხატვარი ვიყვე – ფერწერის ოსტატი, შენ პორტრეტებს სულ სხვანაირად დავხატავდი, სადაც დაოსდებოდი ჯერ სიცილით, მერე ტირილით და შეშლილივით დიდხანს, დიდხანს იბუზღუნებდი.

ეს იქნებოდა ორნახადი ადამიანი, ესე იგი ორჯერ გამოხდილი იმ საარაყე ქვაბში, ჩვენ რომ გაჩენას, თუ მოსვლას ვუწოდებთ.

შენ ორეულთან მე ხშირად ვსაუბრობ და ის ძალიან ბევრს, ძალზე ბევრს მიყვება ხოლმე შენი უცნაური ბუნების, იმ გამოქვაბულის ამბებს, სადაც შენს მარტოობას აღავლენ და სადაც დღემდე მარსს თვალები არ შეუნათებია.

ამიტომ არის, რო ასე კარგად გიცნობ, მე შემიძლია მთელი დღე შენთან ვიდგე, შენ კრინტიც არ დასძრა და შუაღამისას დავწერ, უსათუოდ დავწერ, რას ფიქრობდა შენი გული, გული ელდანაცემი და ტვინი უსაფარობით დაღლილი და დაქანცული.

რა თქმა უნდა, შენს ნეძურას ეს ეწყინება, მაგრამ შეეხმაურე, რომ არის ადამიანი ამ ქვეყანაზე, რომელიც ისიც ისე გრძნობს, როგორც შენ ჩემო ნეძურავ.

შენ ერთით თუ გიხარია, რომ ასე ღრმად გიცნობ, მეორეთი გწყინს, რადგან შენი ყაიდის ადამიანებს, რომელნიც ქვესკნელშიც კი ჩავლენ, ოღონდ თვალი არავის მოჰკრან, ხვაშიადის ამობალთვა არც მაინცდამაინც ეპიტნავებათ.

ო, რამდენი ფარდები, რამდენი საფარები, რამდენი ღუღრუტანები, რამდენი ბექობები გააჩნია ამ ცარიელ და უფერულ სიცოცხლეს.

ჯერ რამდენი ადამიანები – ეკალ შეხუნძლული მომაკვდავები – უნდა მისწი-მოსწიო, რომ ერთ ხეირიან ადამიანს, ადამიანს – არაჟანმოუხდელს მიუახლოვდე.

რამდენი უნდა იბღავლო და იქვითინო და თუ ფეხი დაგისხლტება, შენს მტერს, ისე გაგსრისავენ, რომ ყორნებსაც კი შეეზარები სავახშმოდ.

და როგორ გეტკინება გული, როგორ ჩაგეთუთქება მთელი სხეული, ვისთანაც ასეთი წვითა და დაგვით მიხვედი, მიხვედი იმიტომ, რომ ილოცო,

იელვარო, ცოდვები მოინანიო, შენთვის იბუტბუტო, ივალალო, იხარო...

როცა ასეთი ადამიანი, უცბად რაღაც უმიზეზოდ დაგემდურება და პირჯვრის წერის დროს ცხელ წყალს გადმოგასხავს.

და, დაეცემი ძირს. ტირილიც კი ვეღარ გიწამებია.

სიცოცხლე, ბატონო ირაკლი, ძალიან მოკლეა, მოკლე. ადამიანის გასაცნობათ, სულ ცოტა, საუკუნე-ნახევარია საჭირო, ისიც სულ ამ ორ-ფეხა ეშმაკის დაკვირვებაზე უნდა იყვე გადამდგარი.

ამიტომ არის ჩვენ, ინსტიქტია, თუ რა ჯანდაბა, ვგრძნობთ სიცოცხ-ლის სიმოკლეს და ერთიმეორეს გაცნობაში, თუ „ათვისებაში", „აღქმა-ში" **ვჩქარობთ**.

სიჩქარე კი ყველგან მიუტევებელია (ეს „სიჩქარე" პამპულა ცივილი-ზაციამ შემოიღო) და ამ სიჩქარეში ვცდებით.

სიჩქარის ბრალია, მე მგონი, რომ ქრისტეც შესცდა.

სიჩქარის ბრალია, რომ შენ ჩემი „ხოლმე", თურმე კრაზანასავით მოგაჯდა!

შენ რომ იმ ღამეს დამკვირვებოდი, პაპაჩემის კომბალივით არ მიმაყუდებდი ტრამვაის გაჩერებასთან და არ წახვიდოდი მარტო.

მე კი, შენთან ყოფნა დედაზე მეტად მინდოდა. იმ ღამეს, მე ვიგრძენი რაღაც დიდი, დიდი უმეგობრობა, როგორც ჭვალმა, ისე დამიარა მთელ ტანში.

ვის შევჩივლებდი ჩემ ნაღველს, არავის. და ისევ ჩემ პოეზიას შევკვ-ნესე, შევტირე.

აი, ეს სტრიქონები:

ის, გასცქეროდა მომავალ შარას,
ელოდა: მზრუნველს, მეგობარს, ალერსს...
შეხიზნებოდა კარზე ორშაბათს
და დაღლილობა მოესხათ თვალებს.
ემდურებოდა გამჩენს, ხან დედას.
ბრბომ შეუბღალა მაღალი გრძნობა.
დილით მიდამოს რო გახედავდა,
ნისლივით იდგა უმეგობრობა!
დაოსდა გზაზე უძილო ცქერით,
იფიქრა: იქნებ ციდან მოვიდეს
და თუ იკივლებს საღმე ნამქერი,
ალბათ, ქარებმა საღმე მომიკლეს.
და მარტომ, დიდხანს უმზირა ზეცას,
იდგა: სიჩუმე, ქაოსთა გროვა.
აკანკალებულ მუხლებს დაეცა,
დამფრთხალი, როგორც უმეგობრობა!

წინ ფერწაშლილი სიცალიერე,
ზედ გადებული ქვესკნელის ხიდი.
ნუგეშ ნაწოლი მსხვილი ცრემლები,
უკან შავბნელი დღეების რიგი.
ყვითელ სინათლეს ძლივსღა ხედავდა
და მაინც კიდევ გახედა შარას.
ზევით კი ქარი ახმაურებდა,
ცის ნანგრევებში, ღრუბლების ჩალას.

ამ ლექსში შეიძლება „ლეიტმოტივი“ არ არის, მაგრამ გულისტკივილი, ჩემი გულისტკივილი – ხომ არის?

კიდევ მოგწერდი, მაგრამ ხომ ხედავ, ადგილი აღარ არის, შემდეგისათვის. იცოცხლე და იდღეგრძელე ჩემო ფასკუნჯო.

*შენი ნიკო სამადაშვილი*
*31. VII. 1940*

**P. S.** კაკოს[1],დღეს ვნახავ და ვეტყვი,წერილი გამოგიგზავნოს.

***გამარჯობა ჯიგარო[2]***

ამ ბოლო დროს ვაბჩე ვეღარა გხედავ, სად შეძვერი ჩემმა მზემ ვერ გამიგია. გალავინსკზე მთელი დღე ჯორცხენასავით ვზივარ, ჩემთან ერთად სტენკაზე მიყუღებული დგანან ბიჭები, მიშინკა, ნოდარა, სანდრიკა, ტულუკა, კურკა – ...ინტერესნი რამეებს ყვებიან.

შენ კი არ სჩანხარ! ტო, სად დაიკარგე!?

იმ დღეს „დარიალაში“ ჩავასხით და მერედა აფიციანტს ავეთესეთ, ვა, რამდენი ვიცინეთ ალექსანდროვის ბაღთან. ტულუკა რა შანძრეულია, რა მარიფათის ვინმეა: „ოთხი მწვადი, ათი რვა ნომერი, თავის დის ტ...ით“, ისე ყვიროდა რესტორანში, თითქოს ჯიბეში ათასი მაყუთი ჰქონდა. ძალიან ხოშიანათ ვიქეიფეთ.

გინატრეთ იუზგარ, ჩერეშჩურ გინატრეთ.

სად აორთქლდი? ლოთიანათ ხმა ამოიღე!

პრაზნიკებზედ კოჭდაბალ კატუშასთან ვიყავით, ჩვენი ნოდარა მოსწონს. ნოდარაც კიდენა ისე იბერებოდა, თითქოსა ზოოპარკის ბეჰემოტი გადაეყლაპოს. კატუშას იმდენი კრასკა წაეცხო ტუჩებზე, ლოყებზე, წამწა-

---

[1] *აკაკი (კაკო) ანდრიაშვილი (1904–1992) – კომპოზიტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.*

[2] *ამ და მომდევნო წერილის აღრესატია თამაზ ჩხენკელი.*

მებზე, ფრჩხილებზე, გეგონებოდა თბილისის მალარები დასევიანო.

ვიმღერეთ „ბებია მყავდა პოვარი...“ მიშკას რა ბარიტონი აქვს! ვგიჟდებით. მე პირველს ვამბობდი. მოკლედ იზვოზჩიკებივით გამოვტყვერით. მამაჩემმა სახლში შუქური ამიტეხა, დედაჩემი გადამეფაფრა, „კაცო მოეშვი, რა ქნას ჯეელია, დრო უნდა ატაროსო“.

ვენაცვალე დედაჩემს მარიფათებში. დილით ხუთი თუმანიც ჩამიდო და მე და სანდრიკა კინოში წავედით. ზაგრანიჩნი სურათი ვნახეთ. ინტერესნი რამე იყო, მაკლერი ჟორჟი კლარასთან ბუღრაობდა, ისე ჯმუჯნიდა, როგორც ბებიაჩემის მუთაქას. ვა, რა ხურუშიანი კინო იყო. ხო იცი, სანდრიკა რა აჩაინი ყმაწვილია, მთელ სეანსზე დათვივით ღრიალებდა: გორკა! კიდევ გორკა!

მახლას, კარგ დროს ვატარებთ.

შენ კი სადა ხარ, სადა? ჯიგარო!?.

მამაჩემს მინდა ფული დავაძრო, მაკინტოჟი უნდა შავაკერინო. დედაჩემი სვოია, კასტუმს დავათრევინებ და მერე გამოგივლი თამაზ მამათქვენოვიჩ (ქართულიდან თარგმანი ჩიქორთულ ენაზე).

არა, როგორ არ გითხრას კაცმა. შე სახემახე, განდი რატომ აღარ მოგაქვს. ვინ იცის ფიქრობ: ნიკოს დაავიწყდება და შევიტყაპუნებო. ვფიქრობდი, თამაზი შეიძლება ინდოეთში „ბაგაქათ“ გაგზავნონ და განდის ცხოვრება რომ არ იცოდეს თავი მოეჭრება-მეთქი.

მომავალ კვირას 13 თებერვალს გელოდები შინ.

*იყავი მხნედ და კარგად*
*შენი ნიკო*
*6. II. 1961*

***ჰაუ დუ იუ დუ დია ფრენდზ!***

მომიტევეთ შეწუხებისთვის, თქვენ აკადემიკოსი ბრძანდებით და ვიცი მოუცლელობისაგან ხამურაშაპის დროინდელი ფარაონების სიცოცხლეც არ გყოფნით.

ხუმრობა ხომ არ არის ნიადაგ, დღედაღამე კირკიტი და თვალების ჩაწყალება განსვენებულთა ხელნაწერებზე, გუჯარებზე, ჩაფიქრებულ ფრესკებზე, ჩიფჩიფა მატიანებზე და ვინ უწყის კიდევ რა...

აი, ეხლა მე მესმის თქვენი დეზების ქექვა ბულულივით ამართულ წყაროების, თუ „საკვლევი მასალის“ ნაკელში. თქვენი სენაკიდან თქვენივე ოფლის ხვითქის ოშხივარი როგორ მიემართება უსასრულობისაკენ.

ხუმრობა ხომ არ არის დაადასტუროთ, „დაადგინოთ“, დაამტკიცოთ, „სრულყოფილი“ ნობათი მისცეთ, ისეთ აზროვნების მოძღვრებს როგორც ბესარიონ ჟღენტია, ანდა სერგი ჭილაია, რომ ფირდოუსი „რეალისტური საწყისებით“ უახლოვდება ნონეშვილის კოშკებს; რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი გატაცებით კითხულობდა 20 თუ 25 წლის მარქსის ნაწერებს; რომ გიორგი მთაწმინდელი თავის მღვიმეში, კანდელის შუქზე სწერდა „ათეისტურ ტრაქტატს“; რომ დობროლუბოვმა, პისარევმა და ჩერნიშევსკიმ წარმართეს ჩვენი აზროვნების გზაკვალი.

ვიცი, ვიცი, სერ! რაოდენი დავიდარაბა და ჯაფა გაწევთ, ჯერ კიდევ ნიშა ხარივით მაგარ კისერზე...

მაგრამ, იგებ მოიცალოთ და კვირას 12 მარტს დღის 2 საათზე გამოუაროთ სულაკაურაანთ არჩილსა და მოხვიდეთ კავშირ-გაბმულობის სახლთან (**Ljv cdzpb**).

მოიცალეთ გეთაყვათ.

ამას წინათ კუდი რო ამოიძუეთ ჩემი სახლიდან, ეხლაც დარდად ჩამყვა. თქვენ, თურმე პანაშვიდზე (ღამის 10 საათზე!!!) მიიჩქაროდით. ხახმებივით წამოიშალენით და თქვენ სიჯიუტეს და ფენომენალურ სიცრუეს ვეღარ აუმხედრდი.

ასე და ასე. გელოდებით

*ნიკო სამადაშვილი*
*8. III. 1961*

***თამარჯან[1]!***

ჯერ კიდევ ეს საუკუნე თოთო ბავშვი იყო, როცა შენ გათხოვე ბლოკის წიგნი, მაგრამ დაბრუნების მაგივრად დაისაკუთრე. ამიტომ დღეს გადავწყვიტე (ლადოსთან[2] მოთათბირების შემდეგ), რომ სახსოვრად დაგიტოვო ეს წიგნი. მე მიყვარს განსვენებული ბლოკის ბოდვა, როგორც მარადისობის ზარების ძახილი. და მინდა, ეს ჩემი საყვარელი წიგნი ჩემგან გქონდეს სახსოვრად.

*შენი ძმა ნიკო სამადაშვილი*
*29. IV*

---

[1] *თამარ იოსების ასული ჩარექიშვილი (1912–1996) – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი.*

[2] *ლადო გრიგოლის ძე დონაძე (1905–1986) – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი. ქართული საისტორიო მუსიკათმცოდნეობის ფუძემდებელი (თამარ ჩარექიშვილის მეუღლე).*

***ბრძანება***

დედილო ოლღა სიმონის ასულო, სულზე უტკბესო მეუღლევ მარიამ ნიკოლოზის ასულო; შვილებო, თამაზ, მზია, ნუგზარო, მოგესალმებით და მოგილოცავთ ახალ წელს, დაესწარით მრავალ ახალ წელიწადს, ილხინეთ და იდღეგრძელეთ. გიყვარდეთ თავდავიწყებამდე ნიკოლოზ მიხეილის ძე სამადაშვილი, რომელიც არის თქვენი იმედი და ნუგეში.

ცისმარე დღე ავედრებდეთ ღმერთს და განგებას მის კარგად ყოფნას, მის სიცოცხლეს. გახსოვდეთ, რომ თქვენი ნიკუშას ნეტარება ეს არის თქვენი ბედნიერების საწინდარი.

აღარ მოისმინოს დღეიდან ჩემმა ყურებმა: ჭიჭყინი, ბუტიაობა, წყევლა და უგვანო ჩიფჩიფი.

იყავით ნათელნი და დიადნი.

იყავით სპეტაკნი და უზადონი.

იყავით გრძნობიერნი და გულისხმიერნი.

გახსოვდეთ, რომ თქვენი ნიკოლოზი, თქვენი გულისთვის არაჩვეულებრივ და სასიკეთო ნომრებს ასრულებს ცხოვრების ტრაპეციაზე.

ამიტომ 1951 წლის 1-ლი იანვრის დღესასწაულის გამო ვბრძანებ:

დედაჩემს ოლღა სიმონის ასულს მიენიჭოს სამადაანთ ოჯახის დამსახურებული მანდილოსნის სახელწოდება.

ჩემს ცოლს მარიამ ნიკოლოზის ასულს ქმარ-შვილზე თავდადებული მზრუნველის სახელწოდება.

თამაზი და მზია 10 დღის განმავლობაში მომაგრებულნი იყვნენ კინო და თეატრით.

დიდათ პატივცემულ ნუგზარს ყველაფერი აუსრულდეს, რასაც მოითხოვს.

*სადაანთ ჯალაბის მმართველი ნ. სამადაშვილი*
*ქ. თბილისი*
*ნიკოს ქოხი*

***სალამი ნიკოს!***

„ო, რამდენი ფარდები, რამდენი საფარები, რამდენი ღუღრუტანები, რამდენი ბექობები გააჩნია ამ ცარიელ და უფერო ცხოვრებას“. – ეს შენი სიტყვებია. და რა იქნებოდა უამისოდ ეს ცარიელი სიცოცხლე? ვინც გაბედა და სიცოცხლეს თვალებში ჩახედა ვითღა იცოცხლებდა თავს თუ უტიფარ

თვალებს იქით ათას ჭურღმულს, ათას მწვერვალს, ათას ლაბირინტს არ დაინახავდა. მხოლოდ ოედიპუსები სცნობენ სფინქსის საიდუმლოებას, სცნობენ და სფინქსი თავს მოიკლავს: ძე-კაცისა განსჭვრეტს, რომ მისი საიდუმლოება არარაობა იყო და ოედიპუსი გაჰყვება თავის გზას,არარაობის გზას, უსაწყისოს, დაუსრულებელს და რას არ ნახავს, და რომ არ ნახოს თვალებს დაითხრის. ესე მდიდარია სიცარიელე ოედიპუსებისათვის. რას სჩივი თუ შენც ბედის ადამიანი ხარ, უსახლკარო, ეული, თუ შენც გემხილა სიცოცხლის სიცარიელე, თუ შენ თვალწინ მარად ახალი სანახაობა იშლება. უჩივი ბედს რომ შენც სფინქსის თვალებში ჩაგახედა და მათ გაღმით ქაოსები დაინახე? ხედავ საფარებს, ხედავ ფარდებს ბნელი ჭიატებით, კვლავ იკვლევ, კვლავ ფარდები, კვლავ საფარები, კვლავ აღმართები და ეს მოგწყინდა და ჰგოდებ, მოგწყინდა არარაობის უდაბნოში ხეტიალი, ცარიელების მირაჟები, ეძებ ადამიანს და მოჩვენებას ჰპოვებ. და სხვა რა არის ადამიანი თუ არა მოჩვენება, ან რას უნდა ხედავდე უდაბნოში გარდა მოჩვენების? ამაოდ ეძებ შენ ადამიანს – სიმართლეს და გგონია კიდეც ზოგჯერ ჰპოვებ. რასაც ჰპოვებ – მხოლოდ ბინდების კონტურებია და თუ კვლავ კონტურებს შორის ეძებ კვლავ კონტურებს აღმოაჩენ და ესე დაუსრულებლად სანამ წახვიდოდე „სით“ და ვერ გაიგო „საიდან“. შენ ეძებ ადამიანს – ჭეშმარიტებას: ვინ ჰპოვა, ან ვის შეეძლო. ვერ ხედავ თვალუწვდენელ ციცაბ კლდესთან ხარ და არ გინდა უკან მოიხედო – ის რაც ადამიანს დასაბამიდანვე აწუხებდა, ის პილატეს სამსჯავროში გადაწყდა და გადაწყდა ერთი კითხვა-პასუხით წარმართ რომაელის და ქრისტიან ქრისტეს გამოხმაურებით. – საწუთროს კიდეთა კიდით გაჰკივის: „და რა არის ჭეშმარიტება“ და საწუთროს ჭურღმულიდან უპასუხებს: „მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება“. მსაჯული და ბრალდებული მაწანწალაც ერთნაირად სწყვეტენ ადამიანის ტრაღიკულ კითხვას – და რა არის ჭეშმარიტება ჩემ გარეშე? – არაფერი, უპასუხებს ქვესკნელი, შენ ხარ ჭეშმარიტება. არა, ნიკო, ქრისტე არ აჩქარებულა და აქ არც შემცდარა, მან ერთი გრძნეული გახედვით განჭვრიტა მარადიული საკითხი და სთქვა ის რის თქმასაც ასე აშკარად ვერავინ ბედავდა: მე ვარ ჭეშმარიტება და ამის იქით გზა-კვალი არ მოსჩანს, ქაოსია და მოჩვენება, შენც მოჩვენებათა შორის მხოლოდ მოჩვენება, უკუნეთ ქაოსში უკუნეთ ფერადებით ალანდული ყოფის მიერ შემოტყუებული: გაგინებენ, გაამებენ, განეტარებენ, დაგწიხლავენ, გაგაწბილებენ, გატირებენ, გალოცებენ, ამღერდები სიამით, დასტკბები ნეტარებით;

იგალობებ მწუხარებით, აბუტბუტდები ლოცვებით... და არა იმიტომ, რომ აჩქარდი შენ, ქრისტე თუ სხვა, არამედ: სიცარიელე კუზიანი არარაობაა, მოჩვენებათა სამყარო... და თვალებს დაითხრის საბრალო ოედიპუსი და მშვიდად გაჰყვება კითერონის ნაპირებს კოლონისაკენ რათა მარტოდ-მარტო, ადამიანთა უხილავად მიჰბარდეს საითს. შენც, მეც, სხვებიც მოჩვენებათა გაუვალ წრეში ვართ, თვალთ დავითხრით, შენი არ იყოს, ყურთ რა უყოთ? არც შემბრალე ანტიგონა გვინდა, ჩვენი თავი ჩვენ ვზიდოთ, დაგვხრუკოს მზემ, [დაგვტანჯოს] ღამემ, გაგვთიშოს ყინვამ, გავყვეთ ჩვენი კითერონის ნაპირებს, ჩვენი საითისკენ და თუ გზად ათასი მოჩვენება შეგვეყაროს, ფეხით ხეტიალს ჩვეულთ რაშები შემოგვთავაზონ ჭეშმარიტებისაკენ, დაგვეღრიჯონ, დაგვეპრანჭონ, გაგვაწბილონ – ნუ შევჩერდებით, ფეხს ნუ აურევთ – ვიხარებდეთ, ვბუტბუტებდეთ, ვსტიროდეთ რომ ჩვენს უდაბნოში ბედმა ამდენი სანახაობა გვიწყალობა, ვეძიებდეთ მცირეოდენთა ნაცნობ, საყვარელ კონტურებს, ვლაღობდეთ, ვსევდიანობდეთ, თავს ვივიწყებდეთ და მუდამ ფეხით – ჩვენი კოლონისაკენ, ჩვენ ჩრდილიან ჭალებისაკენ. და თუ ბედმა ესეც წაგვართვას, საყვარელ ჩრდილებს გზა აურიოს, უდაბნოს ნისლში ერთმანეთს ხმა ვეღარ მივაწიოთ – ვლიდეს ძე-კაცისა, დაბინდული, გატანჯული, გზააბნეული სულ მარტოდ და მისი მეგზური მოჩვენებათა კორიანტელში იყოს მოგონებათა მღიმარე ცისარტყელა. ვით გავიკითხოთ გზა აბნეულნი, რომ მაცდურმა ჭეშმარიტებამ შეიტყუა, მზიანი შარა გზებით მოხიბლა, დააჯერა [...], ჯოგთა სიმართლეს დაუხშო სმენა და აღარ ესმით ხმა ქამთა და სივრცეთა სიცარიელეში რომ წიოკობს: „და რა არის ჭეშმარიტება?“ და არც მისი პასუხი; იარონ შარებით, სულ ერთია ისიც საითით მიეშურება და თუ ცისარტყელაც, წარმტაც მოგონებათა [...] ბნელეთში შეიტყუებს, გაჰყვეს ეული თავის ბილიკს უსაყვედუროდ, სულ უმეგზუროდ, უსინანულოდ, თვით გაითხაროს თავის სამარე – შვებისა თუ რის? ამას ვინ ეტყვის.

*ირაკლი*
*7. VII. 1940*

***სალამი ნიკოს,***

არა მეგონა მოგწერდი შენი უქმური პასუხის შემდეგ: „კარგი ერთი თუ ღმერთი გწამს, შენც ქაშანურასავით ნუ დამიწყებ ხოლმე“. ამ კრაზანათა ბუდისაგან ტრამვაის გაჩერებასთან რომ მითხარი, „ხოლმე“, ყველაზე უაზრო უტიფრობით შემოიჭრა ჩემი ყურის ღრუში და ისე მოიკა-

ლათა, რომ გამოსვლას აღარ აპირებს. მართლაც, საბრალო ქაშანურა შენს ხელში! შენმა ტკბილმა ენამ მოუსწრაფა მას დღენი, თორემ განა საიქაოსი რა სჭირდა, ყურთ არ აკლდა და თვალთ და ხიდისთაურის მადაც კარგი ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ თავისი ზვარ-ვენახ-ხოდაბუნები შენ დაგიმტკიცა. მაგრამ ერთი კრაზანა რა ნობათია, მაინცდამაინც კმაყოფილებით ნუ გასივდები, ისედაც თანდათანობით კოპწია ჩანხარ, სამარშინიან ვერცხლის ქამრის გარდამავალი პრიზის ღირსეულ კანდიდატად სრულდები. შენი კრაზანა აქ ერთი ათასად იმრავლებს, პატარა სოროში ვეღარ დაეტევა და გუნდ-გუნდად ისევ შენსკენ იზამს პირს; მაშინ ნუღარ დაიწყებ ცქმუტვას და მზარეულიაანთ მურასავით უშნო ღრენას, შე ქოფაკო, შენა... ჰოდა, სანამ კრაზანა აქ იყრის და იმატებს, მოგახსენებთ... გაგშორდი და წავედი აღთქმული პაპიროსების საძიებლად. რასაკვირველია, ნათესავი კაცი სახლში არ დამხვდა და რაც უფრო სამწუხარო იყო, არც პაპიროსები დაეტოვებინა, ასეთია „შენ გენაცვალოს ჩემი თავების“ დაპირება. ვიმგზავრეთ დიდი შეწუხებით, მატარებელში ნამდვილი ზედახორა იყო და ხორხოცი. ვიღაც ბავშვიანმა ქალმა, უსინდისო ჩიბუხა ცხვირით, ისარგებლა ნუკრის გასვლით სადგურში, დაეუფლა მის ადგილს, ბავშვი ფანერის კოლოფზე მოათავსა და ის იყო გავცდით თბილისს, ბავშვმა გასაოცარი სიუხვით ჩაისვარა... აბა, რაღა გითხრა – უჟას, დედა კი ბავშვის ავადმყოფობით გვანუგეშებდა. შენ, რასაკვირველია, გაგეცინება, ამგვარი სცენები შენთვის სანუკვარია – ენაცვალოს მამა თამაზს. ყველაფერი ეს შენი ბრალია, ნუკრისათვის გირჩევია რბილის ბილეთებს ნუ იყიდი, სიცხით დაიხოცებითო. ახალდაბაში კი, ღმერთმა მოგვხედა. ჩამოვედით თუ არა, ავტომობილი დაბარებულივით მოადგა სადგურს; ჩემ დანახვაზე შოფრის თანაშემწე გადმოხტა, ადგილი დამითმო, სულელი, ნეტავ რისთვის შეიწუხა თავი, ჩავჯექი და იალა გრილ სავანისაკენ. მანქანას ვიღაცის ძაღლი აედევნა და ისეთი თავგამეტებით გარბოდა წინ, გეგონებოდა ჩაფარია და სოფლელებს უნდა პრისტავის მოვლენა აცნობოსო. ოცდახუთი წუთის შემდეგ უკვე ჩემი სასახლის აივანზე ვიდექი. ნეძვი ისევ ნეძვია. აქ რომ მოვდივარ,ისე ვგრძნობ თავს,როგორც კიპლინგის მოთხრობების ავაზა მას შემდეგ,რაც ოდიპურის მეფის გალიას თავი დააღწია და თავის ჯუნგლებს მიაშურა და განა ჩემი გალია ყველაზე უარესი საკანი არ არის, ყველა გალიაზე უარესი გალია. ორი ოთახი, მდუმარე ტყე – რა სახსენებელია ფილიპე მეორე თავის ორ ათას ოთახიან ესკორიალით, ან რომის პაპი თავის ვატიკანით. საუკუნეებით შეიძლება იყოს ადამიანი

ნეძურას პირას, უსმინოს მის მარად დაუმთავრებელ ზღაპარს, გაჰყვეს მის მდინარებას, სულ ერთია წრეში ბრუნვისაკენ, წრის უსასრულობისა, თუ წრის ტეხილებისაკენ და თავბრუდასხმული ხედავდეს სიზმრებს, ყოფის სიზმრებს უჟამო ყოფის ყოფას. ავაზა ბაგირა სადღაც [...] კლდეებზეფილიპე თავის ესკორიალში, რომის პაპი ვატიკანში, ეს ნეძურა, ტყე, ეს კვამლი, იქ ჩემი ბაღლინჯოები – ყველაფერი ყოფნის ზმანებაა, მარადიულ კორიანტელში ჩაბმული არარაობის ფერხული, ქროლვა ყველა მხრით და არსით. სტრადფორდში გამოცემული შექსპირი, ფარვანა იმ ლამფის შუქს რომ ეხეთქება, ცხრა ძმა ხერხეულიძე სამშობლოსათვის თავდადებული, ორი ვარია დღეს რომ წუთისოფელს გამოასალმეს ჩვენი მადის დასაკმაყოფილებლად, პლატონი, კანტი თავიანთი აზროვნებით, ეს კალამი მე რომ ვწერ, ალექსანდრე მაკედონელი, მეეზოვე ისაკა, მამალი საქმეს რომ მიჭირებს თავისი ხშირი ყივილით – ერთნაირად როკავს, გინდაარგინდა როკავს. ხარისხისათვის, დიდებისათვის, კმაყოფისათვის, სახელისათვის, სიყვარულისა და მძულვარებისათვის, ადგილისათვის ბრძოლა ამ დიდი [ფერხულის], ამ დიდი ქროლვის, ამ დიდი როკვის სვლებია – საიდან დაგიბერს, საით გაქროლებს, სად სოლოდ გაცეკვებს, ან სულ რაღაც ქაოსში შეგითრევს და აღარ სჩანხარ და ისე ცეკვავ გინდაარგინდას... ასე ზღაპარს მიამბობს ამ შუაღამისას ჩემი ნეძურა და ხელს არ მიშლის წერას ყბედი მოჩვენებასავით, რომლის ნაცნობობით შენ გამაბედნიერე. და ვუსმენ და ვერა ვძღები მასთან საუბრით. ჭეშმარიტად უყურო უნდა იყოს ადამიანი, ყური მოჰკრას მის არაკებს და არ დასტკბეს; უგულო, რომ ის გულით არ შეიყვაროს; უოცნებო, რომ მის მდინარებას არ გაჰყვეს სიზმრების სამყაროსაკენ გალობით დიდი ფერხულებისაკენ. მაგრამ შენი კრაზანა „ხოლმე“ მაინც იბარტყებს, თემურ ლენგის ურდოებისავით შემოგესევა და მაშინ შენ, ნეძურაც ვერ გიხსნის მათ მწვავე საწერტელისაგან. ეხლა სათვალეები მოიხსენი და სთქვი შეღავათისათვის და, ჩორტ ეგო ვოზმი.

*ირაკლი*
*მისამართი: სადგური ახალდაბა, სოფ. ნეძვი*
*23. VII. 1940*

**P. S.** მომწერე აკაკის მისამართი,არც ქუჩა ვიცი,არც ნომერი.

***ძმაო ნიკო,***

მე ყურადღებით წავიკითხე თქვენი ნაწერები; არ ვიცი, რა ვუწოდო მათ: ფილოსოფიური მოთხრობები, ესკიზები, პატარა პოემები პროზაში თუ სხვა რამე. თქვენ მთავარს ღირსებას ის წარმოადგენს, რომ თქვენ არ დადიხართ გატკეპნილი გზებით და არავის არ ბაძავთ. მთავარი შთაბეჭდილება, რომელსაც თქვენი ნაწერები იძლევა, ჩემის აზრით, არის სამყაროს დაშლის შეგრძნება, რაღაც კოსმიური ტრაგედია, რომელსაც ზოგიერთი სხვა თანამედროვე მწერალიც გრძნობს, მაგრამ სულ სხვანაირად გადმოსცემს.

რაც შეეხება ფორმას, მე ის სუსტი, დაუმუშავებელი ან ნაკლულოვანი მეჩვენა. უბრალო ყოფაცხოვრებითი ამბები არეულია ფილოსოფიურ აბსტრაქციებში, ბევრი რამ ძალიან ბუნდოვნადაა გამოთქმული და ძნელი გასაგებია თვით მაღალკვალიფიციური მკითხველისთვის, სიუჟეტი ნაკლებ საინტერესოა ან საწინააღმდეგოდ სწყდება, ზოგიერთი მხატვრული სახე მეტისმეტად ნაძიები და ძალდატანებული სჩანს. ასეთია, მაგალითად, „საზღვრების შემზარავი ორწოხები“, და „აყლაყუდა წყვდიადი“, „ზვირთების უკან გადაყრილი თილისმის ბინდი“ და მრავალი სხვა. მაგრამ მათ გვერდით გვხვდება მოსწრებული და გონებამახვილი შედარებები და გამოთქმები.

რასაკვირველია, თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, რომ შინაგანი იძულების ზეგავლენით სწერთ და არ გაინტერესებთ, გაგიგებთ თუ არა ფართო აუდიტორია, მაგრამ თუ თქვენ გსურთ კონტაქტი დაამყაროთ, თუნდ მეგობრების ვიწრო წრესთან, უფრო ნათელი და გამჭვირვალე ფორმას და უფრო გასაგებ ენას უნდა მიმართოთ.

*პატივისცემით*
*გერონტი ქიქოძე*[1]
*3. VIII. 1953*

---

[1] *გერონტი ქიქოძე (1885–1960) – მწერალი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე.*

***ამხ. სამადაშვილს***

გადავიკითხე თქვენი ნაშრომი – საინტერესო უნდა იყოს. მისი დაბეჭდვა შეიძლება, მხოლოდ აქა-იქ მაინც საჭიროა გადამუშავება ჩვენი დროის სამწერლო მოთხოვნილებათა შესაბამისად.

*პატივისცემით*
*შალვა ნუცუბიძე*[1]
*თბილისი, 24. IX. 1957*

***ამხანაგო ნიკო!***

წავიკითხე შენი მხატვრული ნარკვევი – „შეხვედრები და სინანული". უნდა გითხრათ გულწრფელად, რომ ამ ნაწარმოების დამწერს უთუოდ აქვს დიდი ნიჭი და ცოდნა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ნიჭი და ცოდნა წარმართულია არარეალისტურად. სიმბოლიზმის არასწორი კონცეფცია ხელს უშლის უთუოდ ნიჭიერ ავტორს პოპულარულად, უფრო ხალხურად, რეალისტურად გადმოსცეს ყველაფერი, პირადათ ნახული და განცდილი. ზოგჯერ ფრაზის მაღალფარდოვანება აზრს ხდის ბუნდოვნად, რაც დამახასიათებელი იყო ჩვენი ქართული ლიტერატურის სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენლებისათვის ჯერ კიდევ 1916–21 წლებში. მე ვფიქრობ ამხ. ნიკო! რომ თქვენ უფრო ახლოს ყოფილიყავით ჩვენი საბჭოთა მწერლების საუკეთესო წარმომადგენლებთან, დღემდე დაძლევდით სიმბოლიზმის და დეკადენტიზმის ამ ტვირთის სიმძიმეს და სრულიად თავისუფალი გამოხვიდოდით რეალიზმის ნათელ გზაზე. მე თქვენ გედავებით არა იმაში, რომ თქვენ თითქოს წერა არ შეგიძლიათ, პირიქით, გედავებით კონცეპციაში სიმბოლიზმის თვალსაზრისით, კი ყველაფერი რიგზეა და რომ ის სკოლა ახლაც ცოცხალი იყოს, ვფიქრობ რომ მათი წარმომადგენლები დაფნის გვირგვინს დაგადგამდნენ.

*სალამით: კ. ბობოხიძე*[2]
*18. IV. 1960*

---

[1] *შალვა ნუცუბიძე (1888–1969) – მეცნიერი, ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი.*

[2] *კალე (კალისტრატე) ბობოხიძე (1904–1982) – პოეტი.*

ნიკო სამადაშვილის ცხოვრებასა
და შემოქმედებაზე გვესაუბრებიან:

არჩილ სულაკაური
თამაზ ჩხენკელი
ზურაბ კიკნაძე
იზა ორჯონიკიძე
ზაზა აბზიანიძე
თემო ჯაფარიძე

# შეხვედრა.

თაბაგარ ჩხეიძეს.

შენ ლამაზლიდ გამოგეხულიხარ,
სანამ შესულხარ ტბაში ნიავი,
ირეკავ წყალში შენ ამოლაპარაკ,
ლაპარაკი, სიხარ გაუჭირდავ.

სანამ ხასხასა ფოთლია თაიგულს
გვერდ სვლა ფანტაში ჩაეფარება.
მიდიხარ ლა შეხვალ, წამიდა ოკეანი
ინტერესიალურ მოლოდინში.

ლა ეს ზვიადობა სულ კაბალ მოსჩანს
ინტერესიალურ ზანტობა,
ზაფხულ ლოფეზია ვინც გალანტაზე
მოსეფანეზია ინ ლეთარგიაზე.

მოტეხს ბალეთ ალალი ბერანი,
ბვანიეზან ეფეკი მოსნეფეზა ბულოს,
ე წიგნიოს კანტეზს, ზენანელს,
შენ კი მიდლიხარ ულ გიფრინულოს.

# არჩილ სულაკაური

## ძ [1]

## ჟამი შეხვედრისა და ჟამი განშორებისა

ნიკო სამადაშვილი – ეს სახელი და გვარი პირველად უნივერსიტეტში გავიგონე.

უკვე ასპირანტი ვიყავი, ლექსების პირველი წიგნი გამოცემული მქონდა და ლიტერატურული წრის სხდომებს მაინც ერთგულად ვესწრებოდი. ერთხელ სხდომის დამთავრების შემდეგ, ჩემთან მოვიდა და გამეცნო ქალიშვილი, რომელიც ყურადღებას იმით იქცევდა, რომ წრეზე იშვიათად, დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე, დაუდევრად თუ უცნაურად ეცვა, აუდიტორიაში განმარტოებით იჯდა და ხმას არ იღებდა. საკმაოდ მომხიბვლელი სახე ჰქონდა, ოდნავ დამცინავად იღიმებოდა, თითქოს უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ამჟღავნებდა.

უნივერსიტეტის სტუდენტი აღმოჩნდა – ციალა მგალობლიშვილი, დაუსწრებლად სწავლობდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე და რამდენადაც მახსოვს, თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში კარგად ერკვეოდა. როგორც ვთქვი, წრის სხდომებზე ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე და ერთ-ერთ ასეთი ვიზიტის შემდეგ თითქოს სხვათა შორის მკითხა, ნიკო სამადაშვილი თუ გაგიგონიაო.

იმ დღეს პირველად გავიგონე ეს სახელი და გვარი – ნიკო სამადაშვილი.

მერმე განზე გამიყვანა და დერეფანში, ფანჯრის წინ ზეპირად მითხრა ნიკო სამადაშვილის სხვადასხვა ლექსის რამდენიმე სტროფი. მომეწონა, უფრო მეტიც: ძალიან მომეწონა. ასევე ვუთხარი. ციალა მგალობლიშვილი კმაყოფილი დარჩა და შემპირდა, შემდეგ სხდომაზე ლექსებს მოგიტანო. მართლა მომიტანა მანქანით გადაბეჭდილი ექვსი თუ შვიდი ლექსი. წაკითხულმა ჩემზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. ამ შვიდიოდე ლექსის მიხედვით ნიკო სამადაშვილი ჩამოყალიბებულ პოეტად მომეჩვენა, ისეთ პოეტად, რომელსაც თავისი სამყარო უკვე აღმოჩენილი ჰქონდა. ცხადია, იმასაც მიეხვდი, იგი ჩვენი თაობისა არ უნდა ყოფილიყო.

ალღომ არ მიმტყუნა, ნიკო სამადაშვილი სხვა თაობის კაცი აღმოჩნდა.

---

[1] *არჩილ სულაკაური, თხზულებანი სამ ტომად, ტომი II-III. თბილისი, „მერანი“, 2002.*

ჩემზე ოცდაორი-ოცდასამი წლით უფროსი, დაოჯახებული, სამი შვილის მამა. სადღაც მუშაობდა რევიზორ-ბუღალტრად. სად? დღემდე არ ვიცი.

ციალა მგალობლიშვილმა მითხრა, ლექსები ხომ წაგაკითხე, ახლა თავად ნიკოს გაგაცნობო და ერთ საღამოს შინ მიმიპატიჟა. თუ არ ვცდები, მერკვილაძის ქუჩის ბოლოში ცხოვრობდა. ნიკო სამადაშვილი ციალას უფროსი დის, ანიკოს მეგობარი და მათი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. იმ საღამოს მე კი ვეწვიე მგალობლიშვილებს, სამი დის საზოგადოებაში მურაბიანი ჩაიც მივირთვი, მაგრამ ნიკო სამადაშვილი არ გამოცხადებულა. დიდხანს ველოდე, გვიანობამდე, მერმე გაწბილებული და გულდაწყვეტილი დავბრუნდი შინ. ეს კი იყო, მაჩვენეს კარგა ხნის წინ გადაღებული ჯგუფური პორტრეტი, რომელზეც სხვებთან ერთად ნიკო სამადაშვილი და ანიკო იყვნენ აღბეჭდილები.

ამასობაში ლექსები თამაზ ჩხენკელს მივუტანე. თამაზმა გულისყურით წაიკითხა და თქვა: ეს კაცი უსათუოდ უნდა გავიცნოთო. მე რაც ვიცოდი, ყველაფერი წვრილად მოვუყევი, მაგრამ ეს ცოდნა არც მე მაკმაყოფილებდა და არც – თამაზ ჩხენკელს. დრო გადიოდა, ნიკო სამადაშვილის გაცნობა ვერ მოვახერხე. ციალა მგალობლიშვილი, ვისი იმედიც მქონდა, ლიტერატურული წრის სხდომებზე კარგა ხანს არ გამოჩენილა, არადა, ამ კაცის შესახებ უფრო მეტი გვინდოდა გვცოდნოდა, გვინდოდა სხვა ლექსებიც წაგვეკითხა, რომ სრული წარმოდგენა გვქონოდა მასზეც და მის სამყაროზეც.

ერთ საღამოს მე და თამაზ ჩხენკელი რუსთაველზე „ბორიას სახინკლეში“ შევედით. უამრავი ხალხი ირეოდა. ლუდის მოყვარულთა ბოდიალსა და ჟრიამულში, თამბაქოს ბოლსა და ხინკლის ოხშივარში ნიაზ დიასამიძის ხმა გავიგონე. ყველას გასაგონად სალუდეს აუწყა ჩვენი შემოსვლა, გარკვევით წარმოთქვა ჩვენი გვარები, თამაზ ჩხენკელს და არჩილ სულაკაურს მივესალმებიო. მისალმებას შთაბეჭდილება არ მოუხდენია, არავითარი, სალუდემ ცხოვრება ჩვეულებრივად გააგრძელა, ჩვენ კი, ცხადია, ცოტათი შევცბით და უხერხულად შევიშმუშნეთ. მერმე ჩვენს მაგიდასთან თავის ჭიქიანად ნიაზი მოვიდა და თამაზ ჩხენკელმა უსაყვედურა, რა საჭირო იყო ჩვენი გვარების ასე საჯაროდ გამოჭენებაო. ფართო საზოგადოება თქვენს გვარებს ნელ-ნელა უნდა შევაჩვიოო, უპასუხა მისთვის დამახასიათებელი ინტონაციით ნიაზ დიასამიძემ.

ისინი ლაპარაკს შეყვნენ. ჩემი ყურადღება კი მიიპყრო ვიღაც მელოტმა კაცმა, რომელიც ნახევრად ბნელ სალუდეში დაყინებით მიმზერდა. დავაკვირდი. გაიღიმა და მე ერთი წამით გონება გამინათდა, მგალობლიშვილების ოჯახში ნანახი ჯგუფური პორტრეტი გამახსენდა. მივხვდი,

უფრო ზუსტად – იერით ვიცანი ნიკო სამადაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ სურათზე გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ნიკო სამადაშვილიც მიხვდა, მე რომ ის ვიცანი და ჩვენ სიტყვის უთქმელად მივუახლოვდით ერთმანეთს, ხელი ჩამოვართვით.

– შენი გვარი რომ გავიგონე, რაღაცნაირად გამიხარდა, – მომმართა შინაურულად, – მაპატიე, ჩემო არჩილ, იმ საღამოს ვერ მოვედი... ვერ მოვედი კი არა, არ მოვედი. ეტყობა, მე სხვა ყაიდაზე ვარ მოჭრილი, არ შემიძლია, კაცის გასაცნობად მურაბიან ჩაიზე რომ დაგპატიჟებენ და მიხვალ. ასეთი ცერემონიების თავი არა მაქვს. მოულოდნელად მირჩევნია კაცის გაცნობა, წინასწარ შეუმზადებლად.

გამახსენდა ის უხერხული დაძაბულობა, რომელიც მგალობლიშვილების სახლში დამეუფლა. სამ დასთან ერთად ჩაის სმით გატარებული დრო საუკუნედ რომ მომეჩვენა. ნიკო სამადაშვილის მოლოდინში აღარ ვიცოდით, რაზე გველაპარაკა.

მერმე ესეც მითხრა: თუ რამე გიჭირთ, ნუ მოგერიდებათ. მე ხომ ვიცი თქვენი ამბავი, ბორიას თქვენი საათების მთელი კოლექცია აქვსო. ამჯერად ყველაფერი რიგზეა-მეთქი, მორცხვად გავიღიმე, თან მის ნათქვამში ვიგრძენი მზრუნველი კილო, თბილი, მამაშვილური. გაივლის დრო და მე მივხვდები, რომ ნიკო სამადაშვილმა გაცნობის პირველი წუთებიდანვე დაიწყო ჩემზე ზრუნვა და არა მარტო ჩემზე, მას ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა ჩემი მეგობრების მიმართაც, რომლებიც შემდეგ გავაცანი. ეს მისი მრავალმხრივი შინაგანი ბუნების ერთერთი გამოვლინება იყო. იმ საღამოს დავთქვით: სამი დღის შემდეგ ზემელზე შევხვდებოდით ერთმანეთს.

ჩემს მაგიდას რომ დავუბრუნდი ნიაზ დიასამიძე უკვე წასული დამხვდა. თამაზ ჩხენკელმა მკითხა, ეგ კაცი ვინ იყო, ვის ელაპარაკებოდიო, ნიკო სამადაშვილს-მეთქი, ისე, ვითომც არაფერი, უმნიშვნელოდ ვუპასუხე. რატომ არ გამაცანიო, გაუკვირდა. გაგაცნობ, რა გეჩქარება, აქ არ არის-მეთქი, იმავე ტონით ვეუბნები. მერმე გაცნობა დავაპირე, მივდექ-მოვდექი, ძებნა დავუწყე, გარეთაც გავედი. როგორც ჩანს, ვიღრე თამაზ ჩხენკელი და მე ვსაუბრობდით ნიკო სამადაშვილი თავის მეგობრებიანად ისე წავიდა, რომ ვერ შევნიშნე. ცხადია, გული დაგვწყდა.

ასე შემთხვევით, ნიაზ დიასამიძის თითქოსდა უადგილო წამოძახილის წყალობით, გავიცანი ნიკო სამადაშვილი.

სამი დღის შემდეგ დათქმულ ადგილას შევხვდით. ნიკო სამადაშვილი იქვე, რუსთაველის მოედანთან, მოსკოვის ქუჩის ერთ-ერთ ასახვევში ცხოვრობდა თურმე, შევხვდით – როგორც დიდი ხნის ნაცნობები. ისე კი,

კაცმა რომ თქვას, ჩვენ ნაცნობები არასოდეს ვყოფილვართ, ჩვენ გაცნობის დღიდანვე დავუმეგობრდით ერთმანეთს. თუმცა, მე ყოველთვის ბატონობით მივმართავდი და, თუ არა ვცდები, ასე მიმართავდნენ ჩემი მეგობრებიც: თამაზ ჩხენკელი, რევაზ თვარაძე და რამაზ პატარიძე, რომლებიც სულ მალე გავაცანი ბატონ ნიკოს.

უცნაური რამ ხდებოდა, იმ დროს ჩემთვის გაუგებარი: ნიკო სამადაშვილის ლექსები უბით დამქონდა, ზოგი უკვე ზეპირად ვიცოდი, ვუკითხავდი ნაცნობ პოეტებს, ვუკითხავდი არაპოეტებსაც, უბრალოდ – პოეზიის მოყვარულებს და ყველანი შეთქმულებივით გულგრილად მომჩერებოდნენ, უკეთეს შემთხვევაში, დაეჭვებულნი იღიმებოდნენ, არც ისეთი ლექსებია, შენ რომ გგონიაო. ზოგი რითმას უწუნებდა, – ვერსიფიკაციას, ზოგი – რას და ზოგი – რას. ზოგჯერ ეჭვიც კი შემპარვია ჩემს თავსა და ჩემი მეგობრების ცოდნასა და გემოვნებაში. მერმე შევხვდებოდი ჩემს მეგობრებს, ვისაუბრებდით და ყოველგვარი ეჭვი უკვალოდ ქრებოდა.

თანდათან დავუახლოვდი ლიტერატურულ გარემოს, რედაქციებს, მერმე თვითონ დავიწყე მუშაობა ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში და მეგონა, გულგრილობის ბარიერს როგორღაც გავარღვევდი, ამაოდ, ერთმა რედაქტორმა ნიკო სამადაშვილის „ბეთანია“ რომ წაიკითხა, ყურადღება ამ სტრიქონზე შეაჩერა: „ახლაც კი ვამჩნევ ლაშას სახეზე ჯალალედინის შემოკრულ სილას“. ეს ორი სტრიქონი ხმამაღლა წაიკითხა, გაკვირვებულმა შემომხედა და მითხრა: შენს მეგობარს საქართველოს ისტორია წესიერად არ წაუკითხავს, ლაშა-გიორგი და ჯალალედინი ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიანო. ლექსში ლაშა კი არა, ეპოქა იგულისხმება-მეთქი, ვცადე განმარტება, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

ნიკო სამადაშვილი სამჯერ თუ ოთხჯერ მოვიდა „მნათობის“ რედაქციაში. მე უკვე მრცხვენოდა მასთან შეხვედრა, ლექსების დაბეჭდვა რომ ვერ მოვახერხე. ის გრძნობდა ჩემს უხერხულ მდგომარეობას და აქეთ მამშვიდებდა, შენ ნუ წუხხარ. მე შეჩვეული ვარ ეგეთ ცხოვრებასო. მერმე წავიდოდით რომელიმე სასადილოში, იშვიათად – სალუდეში. დიდი რესტორნები მაინცდამაინც არ იზიდავდა. უყვარდა კედელთან ჯდომა და მყუდრო საუბარი, ლექსების კითხვა. ხშირად იგონებდა ერეკლე ტატიშვილს, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ პატივს სცემდა, ჩემი მასწავლებელიაო, სიამაყით ამბობდა. იხსენებდა მეგობრებს – ფიზიოლოგიის პროფესორს, ქუჯი ძიძიშვილსა და ალექსანდრე გამყრელიძეს, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს, მთარგმნელს, რომლებიც მის გვერდით არასოდეს მინახავს.

მაინტერესებდა მეგობრების დამოკიდებულება ნიკო სამადაშვილი-

სადმი, მაგრამ ისინი ჩემზე უფროსები იყვნენ, თან არ ვიცნობდი და ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემდი, მივსულიყავი მათთან და მეკითხა, თქვენს მეგობარზე რა აზრისა ხართ-მეთქი. გარკვეული ხნის შემდეგ, როცა ნიკო სამადაშვილი უკვე ამქვეყნად აღარ იყო, ორივე გავიცანი და მათი აზრიც შევიტყვე: ნიკო სამადაშვილი ძველი, მეგობრული სიყვარულით უყვარდათ. ოღონდ გზასაცდენილ კაცად, ხელმოცარულ პოეტად თვლიდნენ. გულწრფელად წუხდნენ იმის გამო, რომ ასეთმა ნიჭიერმა კაცმა ცხოვრებაში თავისი ადგილი ვერ მონახა. ცხადია, მე მათ აზრს არ ვიზიარებდი, მაგრამ ჩემთვის სასიამოვნო აღმოჩნდა ის, რომ ბოლომდე იმეგობრეს, ბოლომდე შეინარჩუნეს სიჭაბუკის დროინდელი სიყვარული. ეს კი იყო, როცა ცნობილი ფიზიოლოგის ლექსების კრებული წავიკითხე, მივხვდი, რატომ თვლიდა იგი თავის მეგობარს, ხელმოცარულ პოეტად. ამ წიგნის ავტორს, რა თქმა უნდა, ნიკო სამადაშვილის ლექსები არ უნდა მოსწონებოდა.

ნიკო სამადაშვილი შინ თუ არ გამომივლიდა, კვირაში ერთხელ მაინც მირეკავდა, შენცა და შენი მეგობრებიც უგულოები ხართო, მისაყვედურებდა ხოლმე. ის შენი ძმაკაცი მაინც სად დაიკარგა, თამაზ ჩხენკელს გულისხმობდა, დორანში ხომ არ ჩავარდაო, ე. ი. ხომ არ გამდიდრდაო, იცინოდა. დაწვრილებით გამომკითხავდა, როგორ ვცხოვრობდით, რამე ხომ არ გვიჭირდა. მოკითხვის შემდეგ სულ ამას მეუბნებოდა, მანდ რას უზიხარ, ბიჭო, გავიდეთ, ამ ქაოსს თავი დავაღწიოთ, გავიდეთ, გავიდეთო... მე ვერ ვხედავდი იმ გზას, რომელიც ქაოსს იქით გაგვიყვანდა, არც ვიცოდი, რა გზა იყო ეს გზა. მე მგონი, ვერც ნიკო სამადაშვილი ხედავდა თავის დასაღწევ გზებს.

ნიკო სამადაშვილს უკანასკნელად 1963 წლის 30 აპრილს შევხვდი. ბინდდებოდა. შინ ვბრუნდებოდი. რუსთაველის მოედანზე შევეფეთე. ორივეს ძალიან გაგვიხარდა მოულოდნელი შეხვედრა, მივესალმეთ, გადავეხვიეთ, ერთმანეთი მოვიკითხეთ, მერმე მითხრა, ამხანაგებთან ერთად „გემოში“ ვზივარ, ვეღარ გავძელი, სული დამეხუთა და გარეთ გამოვედიო. მხარზე ხელი მომხვია და „გემოსკენ“ წამიყვანა. გავუძალიანდი, ნამდვილად არ მინდოდა იქ ჩასვლა და უცხო ხალხთან ჯდომა, მაგრამ ბატონმა ნიკომ ხელი არ გამიშვა, მეც ხათრი ვეღარ გავუტეხე.

მაშინ „გემო“ ჩვეულებრივი სასადილო იყო. მერმე გადააკეთეს რესტორნად და რამდენიმე კედელი ლადო გუდიაშვილს მოახატვინეს, სასადილო თითქმის ცარიელი დამხვდა. მეორე დღეს მაისი დგებოდა და ხალხი, ეტყობა, საპირველმაისოდ ემზადებოდა. მივედით მაგიდასთან, რომელსაც სამი კაცი უჯდა – ნიკო სამადაშვილის თანამშრომლები, შინაური ხალხი აღმოჩნდა, სუფრისკაცები, სმაც რომ იციან და პირის

გემოცა აქვთ, საღღეგრძელოებიც ემარჯვებათ, თავისებურად ხუმრობენ კიდეც და დროს ატარებენ. შინაურულად მიმიღეს და მეც მალე გავუშინაურდი.

ნიკო სამადაშვილი თავის თავს არ ჰგავდა, ბორგავდა, შფოთავდა, თითქოს სუფრიდან გაქცევას ლამობდა. თანამშრომლები ეხუმრებოდნენ, დაბერდი, შე ოხერო, სუფრაზე ჯდომა აღარ შეგიძლიაო. უცებ ლექსის წაკითხვა ვთხოვე. ჯერ თანამშრომლებს გადახედა, მერმე მე მომაპყრო გაოცებული მზერა, ვითომ რა დროს ეგ არისო. მე ჩემსაზე დავდექი, შევეხვეწე. თანამშრომლები გამომცდელად გაყუჩდნენ, ალბათ, არ მოელოდნენ, ანდა არ ეგონათ, შუა პურის ჭამაში თუ ვინმეს ლექსის მოსმენა მოუნდებოდა. ერთი ლექსი რომ წაიკითხა, ახლა მეორე-მეთქი, არ მოვეშვი. სულ ოთხი ლექსი წაიკითხა, მეტი აღარ შემიძლიაო, ღრმად ამოისუნთქა.

მერმე ფეხზე ავდექი და ნიკო სამადაშვილი ვადღეგრძელე. დიდი მჭერმეტყველი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ იმ საღამოს სიტყვის ძებნა არ დამიწყია. გულწრფელად ვთქვი, გავუმხილე ის სიყვარული და პატივისცემა, რასაც აქამდე რატომღაც ვერ ვეუბნებოდი. ყველამ აღღეგრძელა. მხოლოდ ერთმა, თითქოს სხვათა შორის იჭვნეულად ჩაილაპარაკა, თუ ეგეთი პოეტია, ლექსებს რატომ არ უბეჭდავენო. დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ დაუბეჭდავენ-მეთქი, „დავამშვიდე“. მერმე სუფრას ბოდიში მოვუხადე და წამოვედი. ნიკო სამადაშვილს დარჩენა არ დაუძალებია, გამომაცილა, ნახევარსარდაფიდან ქუჩაში ამოვედით, რუსთაველის მოედნამდე ერთად ვიარეთ. ჩემთან შეხვედრით კმაყოფილი ჩანდა, ეს გამოხატა კიდეც.

— კიდევ კარგი, შეგხვდი. ხანდახან, ალბათ, ეგეც საჭიროა, ერთმანეთს მხარი უნდა გავუმაგროთ. — შეჩერდა, დიდხანს იდგა ჩაფიქრებული. — სულ მინდოდა კაცურად მეცხოვრა, თითქოს ვიცხოვრე, კაცურად გავიარე ცხოვრების გზა, მაგრამ... რა არის, იცი, ერთი დღე არ მახსოვს ისეთი, თავი რომ ადამიანად მეგრძნო. ეს სულ სხვა რამეა, ჩემო არჩილ, სულ სხვა... მითხარი, შეიძლება, კაცმა სამოცი წელი იცხოვროს ქვეყანაზე და ერთხელ მაინც ვერ იგრძნოს, რომ ის ადამიანია?! ამ ქაოსიდან ვერ გავედი, ვერა და ვერ გავედი...

ჩვენ გადავეხვიეთ ერთმანეთს და დავემშვიდობეთ. ნიკო სამადაშვილი თანამშრომლებთან დაბრუნდა, სირცხვილია, მივატოვეო, მითხრა დამშვიდობებისას.

მეორე დღეს შინიდან დილით გამოსულა. საპირველმაისო დემონსტრაცია უკვე დაწყებული ყოფილა. რუსთაველის მოედნამდე ჩაულწევია

და წაქცეულა. ნიკო სამადაშვილის გარდაცვალება რომ შევიტყვე, თავზარი დამეცა...

„ჰო, რა ნუგეშით შემოცქეროდით
ქაოსის იქით გაშვერილ ხელებს“.

დროდადრო მეხსიერებიდან ამოტივტივდება ეს სტრიქონები და რომელიღაც ფრესკის დეტალს მაგონებს, რომელიც ვერაფრით გამიხსენებია.

**P. S.** გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ გამოქვეყნდა მისი ლექსები. 1967 წელს რევაზ თვარაძე დაინიშნა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორად. მან დაბეჭდა პირველად ნიკო სამადაშვილის ხუთი ლექსი. 1973 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ნიკო სამადაშვილის ლექსების პირველი კრებული „ბეთანია“, რომელიც შეადგინა თამაზ ჩხენკელმა. თამაზ ჩხენკელმა უპატრონა პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და დაწერა პირველი წერილი მის პიროვნებასა და შემოქმედებაზე. შემდეგ მე განვახორციელე ჩემი ძველი ჩანაფიქრი: „ნაკადულში“ მუშაობისას გამოვეცი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ჩვიდმეტტომეული. მეთხუთმეტე ტომში ნიკო სამადაშვილი წარმოჩენილია სამოცდაერთი ლექსით, რითაც დამკვიდრებული აქვს თავისი ადგილი ქართული პოეზიის განვითარების დიდ გზაზე. მეთხუთმეტე ტომი შეადგინეს: გივი გეგეჭკორმა, ემზარ კვიტაიშვილმა და ტარიელ ჭანტურიამ. ამავე დროს მოვლენები ბუნებრივად ვითარდებოდა. ნიკო სამადაშვილმა შეიძინა ბევრი თაყვანისმცემელიცა

და... ჭირისუფალიც.

# თამაზ ჩხენკელი

## 1

*„იმას სიკვდილიც არ ჩააცეცხლეს,*
*კუბოში კიდევ ნატრობდა სიკვდილს...“*

*ნიკო სამადაშვილი*

*ნ ი კ ო  ს ა მ ა დ ა შ ვ ი ლ ი ს* სახელი პირველად არჩილ სულაკაურისაგან გავიგე ამ ჩვიდმეტი წლის წინათ. მაშინ ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით და მოგვწონდა მისი ცხოვრების ბოჰემური მხარე, რასაც სხვათა მეშვეობით ვიგებდით. ამავე ხანებში მითხრა არჩილმა ნიკო სამადაშვილის ერთი სტროფი, რომელიც სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში:

„მათხოვარი ზის როგორც ობობა,
მყრალ ჯოჯოხეთის მოხდილი პკეა,
არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა,
ის თითქოს ჩიტებს აუკენკიათ...“

ჩვენ მაშინვე გაგვაოცა ამ სახეების ბრწყინვალებამ და ორიგინალობამ, თუმცა არ ვიცოდით და არ გვესმოდა მისი ავტორის ტალანტის მთელი სიღრმე და სერიოზულობა.

მარტო პირველი სტრიქონი იკმარებდა მათხოვრის ნიშანდობლივი სურათის დასახატავად, მათხოვრისა, რომელიც გატვრინული და უსახურია და ნაწყალობევს ხარბად აცხრება. მეორე სტრიქონი პირველის ფსიქოვიზუალურ სურათს ყნოსვისმიერ შეგრძნებასაც უმატებს, ამავე დროს ფსიქოლოგიურად კიდევ უფრო აღრმავებს ამ სურათს. ჯოჯოხეთი თავისთავად საშინელი და შიშის მომგვრელია. სიმყრალე ამძაფრებს და ზიზღის ნიუანსს უმატებს ამ ნიშანს. მოხდილი პკე დაღვლარჭნილობის, საძაგელი სისველის განცდას იწვევს, პკე – ღვინის ობი – ავადმყოფობაა და იგი, როგორც უვარგისი, არასასურველი რამ, მოსაშორებელი და გადასაგდებია. მესამე სტრიქონში მათხოვარი საკვირველად არის წარმოსახული. იგი არ არის მკვეთრად გარკვეული რამ, არც ცხადლივია, არც სიზმარეული, არც ნამდვილი, არც მოჩვენებითი. იგი თითქოს წაშლილი და ბოლომდე შეუცნობელია. მეოთხე სტრიქონი ფანტასტიკურია. ეს

[1] *დაიწერა 1964 წ. ნიკო სამადაშვილის გარდაცვალების წლისთავზე.*

ადამიანთათვის უვარგისი, საზიზღარი არსება გადაგდებულია და მას ჩიტები კენკავენ, როგორც დამპალ ნაყოფს ან ცხოველთა სკორეს. ეს ასოციაცია აუცილებლობით იბადება, თუმცა ეს არ არის თქმული. მეოთხე სტრიქონი ფაქტიურად მესამეს ხსნის. მათხოვარი იმდენად უსახო, გაურკვეველი რამ არის, რომ ჩიტების აკენკილ რასმე ჰგავს. ეს სტროფი ამომწურავად, უჩვეულოდ თვალსაჩინო და ხელშესახებ, ფსიქოლოგიურად ღრმა და მართალ სურათს იძლევა. მაგრამ მთავარი ეს არ არის. იგი ჩვენში იწვევს რაღაც საშიშროების თუ საზარლობის განცდას და მკითხველში ავტორის ჩანაფიქრისათვის სასურველ განწყობილებას ჰქმნის...

უფრო გვიან ნიკოს ამბებს იმ წრიდან ვგებულობდი, რომელიც ნიკო სამადაშვილთან, ჩვენი ცნობილი სწავლულის, *ერეკლე ტატიშვილს* მეშვეობით იყო დაკავშირებული. ერეკლე ტატიშვილი იყო დიდი ერუდიციის კაცი, ევროპული კულტურისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, მეტად საინტერესო პიროვნება, რომლისთვისაც, მე ვიტყოდი, უცხო არ იყო ერთგვარი დემონიზმი (ნიკოს ლექსებში იგი მოხსენებულია როგორც „კაცი ფასკუნჯი“). ეს მოაზროვნე კაცი თავისი ბრწყინვალე განათლებისა და პიროვნული მომხიბვლელობის წყალობით დიდ გავლენას ახდენდა შედარებით ახალგაზრდა, ზოგჯერ სავსებით ყმაწვილ მეგობრებზე. ნიკო სამადაშვილი მოწაფე და მეგობარი იყო ერეკლე ტატიშვილისა, რომელიც მას რაღაც უცნაური ძალით უყვარდა თავისი სიცოცხლის ბოლომდე. ჩვენი მეგობრობის მანძილზე მე არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა ღვინისმიერი თუ უღვინო, რომ მას გულისშემძვრელი სიყვარულითა და თაყვანისცემით არ მოეგონებინოს ამ კაცის სახელი. ეს მართლაც საოცარი იყო და ჩემზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მე მინდა ვთქვა, რომ რამდენადმე ამ ძლიერ პიროვნებასთან ურთიერთობამ განაპირობა ნიკო სამადაშვილის პოეტური ბიოგრაფიის თავისებური გეზი.

ნიკო სამადაშვილმა იცოდა ეს. მეგობრისა და მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ იგი ცდილობდა გამოენახა გზები (როგორც შინაგანად, ისე გარეთ) იმ მარტოობის დასაძლევად, რაც ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებასთან მისმა უკონტაქტობამ გამოიწვია. უკანასკნელ ხანს იგი თითქოს ძალიან ახლოს იყო სანუკვარ მიზანთან. რუდუნებით მუშაობდა, დაიმედებული იმით, რომ გადალახავდა თავის თავში და თავის გარეთ იმ დაბრკოლებებს, რომლებიც მას ხალხის დიდ აუდიტორიას აშორებდა. მე მინდა მწამდეს, რომ ეს ასეც მოხდებოდა, სიკვდილს რომ არ მოესწრო მისთვის...

არასოდეს დამავიწყდება ამ ბავშვურად გულწრფელი კაცის მამობრივად მზრუნველი გული, ამ უცნაურად მოსიყვარულე, წერით ატანილი, დატანჯული მარტოკაცის ცხოვრება. არასოდეს დამავიწყდება მასთან გატარებული საღამოები, ღვინის სმა და ჩემდამი სიყვარული, თუმცა მისი სიყვარული მარტო ჩემზე არ გადმოღვრილა, ის იძლეოდა ბევრს და იმკიდა ცოტას – ასეთი ხვედრი ჰქონდა. მეხსომება მისი უცნაურად თქმული: მიკვირს, რა უჯიგრო ხარ, – და ერთხელ ჩემთან ვითომ შეშფოთებით მოსვლა, – კარდიოლოგიურში წამომყევიო. – რა მოხდა, ბატონო ნიკო! – წამომყევი, უნდა გავასინჯინო, გული გაქვს თუ არაო... სულის მობრუნება უნდოდა და პოეზიაზე საუბარი. სწყუროდა ეს, გიჟდებოდა. ეს ფაქიზი სულის კაცი ბულალტერი იყო და ყოველდღიურ ცხოვრებაში პოეზიისადმი გულგრილ ხალხში ტრიალებდა.

ჩემთან საუბარში ხშირად მოიკითხავდა ხოლმე ვახუშტი კოტეტიშვილს, რომელზედაც ამაგი ჰქონდა და რომლის მამასაც სიყვარულით ახსენებდა: დიდებული ვაჟკაცი იყოო. სიამოვნებით იგონებდა მასთან პურმარილით დატვირთული ეტლით ასვლას ატენში; ვახტანგ კოტეტიშვილს შეეთვალა თურმე – ხალხი მყავს სამუშაოდ ატენში და შიმშილით სული გვძვრებაო. მისი დავალებით შეუკრებია ქართლის ფალიკური სიმღერები. ეს ნაშრომი დაიკარგა. სიამოვნებით იგონებდა აგრეთვე იმას, თუ როგორ წაიყვანა ერეკლე ტატიშვილი დუქანში და არღანზე აქეიფა. მიყვებოდა თავისი ჭაბუკური დროს ტარების ამბებს, ტაბახმელაზე ბოშა ქალებთან ნადიმს და სხვა პიკანტურ შემთხვევებს. ამ ამბებს თითქმის ყოველ სერობაზე იმეორებდა რაღაცნაირი სინანულითა და ნაღვლით. მისტიროდა თავის ახალგაზრდობას, ენანებოდა, ნაღვლობდა გზა რომ გაუმრუდდა, მერე თავის საყვარელ ლექსებს იტყოდა. ამ ლექსებს დიდის გრძნობით და თავდავიწყებით კითხულობდა. კი არ კითხულობდა – გიყვებოდა, რაღაც სხვას გეუბნებოდა, თითქოს მწარედ ტიროდა, გულს იოხებდა:

„შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი,
შენა ხარ ჩემი ნუგეშის დარი.
სულ კარგად მახსოვს, შენ რომ გამიჩნდი
გარეთ ძაღლივით ყმუოდა ქარი.

ვერ გიპატრონე მე,ლაზღანდარამ,
შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა.
ზეცა სივრცეებს აზანზარებდა
და მზე ყვიროდა ქვეყნის ბოლოდან.

შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს,
თუმცა სულ მუდამ ტოტს გცემდა ქარი,
ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები ტანზე გამონაყარი.

ჩემი ძაგძაგი, თრთოლვა და სუსხი,
ტანის მერქანში თითქოს ძვლებსა ხრავს,
ღვინომორეულს, ოშხივარასხმულს
ბინაში ბევრჯერ დამიკოცნიხარ.

იქამდე, სანამ დათეთქვილ ტუჩებს
არ გალხობიათ ბუერა სევდა.
შენ ძუძუს წოვდი გაშლილ ალუჩებს
და ღვთისმშობელი აკვანს გირწევდა.

ლექსების ჯღაბნა წამებად გექცა,
ჯობდა ვენახის კვალი გებარა,
ვის რად უნდოდა ეს თვალთმაქცობა,
ნეტავი ქარში გადაგეყარა.

ქარები უფრო წაიკითხავდნენ,
ჩაბჟირდებოდნენ სადმე სიცილით,
ჩემი ცრემლებით ღამეს ხატავდი
და ბეთანიას მაისის დილით.

ვერ გაოკებდი, დაგდევდი კეტით,
ხან მელეოდა მუხლებში ძალა,
ზარივით გასკდა ამდენი რეკით
ზედ რომ მამხია, ეს თავის ქალა.

ვერ მოგიარე, რა გიყო ძმაო,
ორივე შემკრთალ ბუჩქის ჩრდილს ვგავდით,
შენ კიდევ მაინც ფიქრში მძუნაობ,
მე კი ბუწუწიც გამცვივდა დარდით...“

უცნაურად ამბობდა, ბიჭური ხმით და მიმიკით, გაოცების ინტონაციით. თითქოს უკვირდა, ასე უგზო, ასე უბედო კაცი რომ არსებობდა და თვითონ რომ იყო ეს კაცი. მართლაც, საკვირველი იყო.

ნიკო სამადაშვილის უბედურება ის იყო, რომ მისი პოეტური მოწიფულობისა და დადგინების ხანა შესაფერის ლიტერატურულ ატმოსფეროს არ დაემთხვა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ იგი არ გაჰყვა პროფესიული ლიტერატურული ცხოვრების გზას. ამ გზას

მან ჩრდილში დარჩენა ამჯობინა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის, როგორც პოეტისათვის... იგი სიკვდილამდე რევიზორ-ბუღალტრად მუშაობდა, რათა შეენახა თავისი დიდი ოჯახი და – ვიყოთ პირდაპირნი, – ამ პროფესიასთან დაკავშირებული ბევრი უსიამოვნება იწვნია. იყო მის ცხოვრებასა თუ ბედში რაღაც ფრანსუა ვიიონისებური; რაღაცნაირი, თითქოს ერთმანეთის გამომრიცხველი საწყისების ფანტასტიკური თავმოყრა, რომელთა მწვავე დაპირისპირება და შეჯახება უცნაურად მტკივნეულ ექოს გამოსცემდა მის ლექსებში. მე ვერ ვიტყვი, რომ მისი ცხოვრების ეს ყოფითი მხარე ყოველთვის უმწიკვლო ან შეუსვრელი ყოფილიყო („მე ჩემს ცხოვრებაში, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიძლება ბევრი ცუდი საქციელი ჩამიდენია, მაგრამ ჩემს პოეტურ შემოქმედებაში არასოდეს მითქვამს უმართლო სიტყვა. იგი წმინდათა წმინდაა, სადაც ივანებენ უღრმესი ჭეშმარიტებანი ჩემი სულისა“; რ. თაგორი), მაგრამ იმ ამარტის მსგავსად, რომელსაც, ერთი ძველი პოეტის თქმით, ტალახში ჰქელავენ გამვლელები, ნიკო სამადაშვილს, როგორც ადამიანსა და პოეტს, შენარჩუნებული ჰქონდა გულის შეუბღალავი სიწმინდე და წრფელი უშუალობა, რომელსაც იგი პოეზიაში და თავის უახლოეს მეგობრებთან ავლენდა. ბედისაგან მიგებულმა ამ უკუღმართობამ დიდად განაპირობა ნიკო სამადაშვილის პოეზიის როგორც საერთო გეზი, ისე ზოგიერთი სპეციფიკური მხარე, მით უმეტეს, რომ მისი ბიოგრაფიის ადრინდელი პერიოდის მრუმე, მაგრამ ძლიერი შთაბეჭდილება ხელსაყრელ ნიადაგს იძლეოდა ამისათვის. ამ ინტიმურ შთაბეჭდილებათა ქვეცნობიერი დინება ძალუმად იგრძნობა მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი სახეების რთულ კომპლექსში. ყველაფერი ეს უცნაურად დრამატულ იერს აძლევს მის პოეზიას. თამამად ვიტყვი, ქართულ პოეზიაში სხვას არავის ჰქონია ესოდენ გამახვილებული, წინათგრძნობის საზღვრამდე მისული მტკივნეული განცდა ცხოვრების სიცარიელისა, მიუსაფრობისა და განწირულობისა. მის მიმართ *დ ე - კ უ ი ნ - ს ი ს* სიტყვები იქნებოდა ზედგამოჭრილი: „ამრიგად, მან იხილა საგნები, რომელთა ხილვა არა ხამს. მან იხილა გულისამრევი, ამაზრზენი სანახაობა და ენით უთქმელი საიდუმლოება. მან წაიკითხა უძველესი ჭეშმარიტებები, დამაღონებელი ჭეშმარიტებები, დიადი და შემზარავი ჭეშმარიტებები“.

ნიკო სამადაშვილის პოეზიას უცვლელად გასდევს ერთი ძირეული განცდისაგან მოგვრილი ხილვა, რომელიც სახეების მრავალფეროვანი ვარიაციით მეორდება. თავდაპირველად ეს განცდა ემბრიონალურად ვლინდება და მეტნაკლები სიმწვავის დრამატულ სახეებს მოიცავს, მაგრამ ყველგან ჩანს ან იგულისხმება სიცარიელე და სიფუღუროვე: „ტაძ-

რის ფუტურო ქერქში ჭრიჭინებს ვიღაც უძეგლო ხუროთმოძღვარი“. საოცარია, როგორა ჰგავს ეს სტრიქონები შუასაუკუნეების ერთ იაპონურ ხაიკუს:

„ჰოი განგებავ, უმოწყალო,
ამ დიდებული მუზარადის ქვეშ
ახლა პატარა მწერი ჭრიჭინებს“.

თუმცა აქ გარეგნული მსგავსების ფონზე არსებითი განსხვავებაა. ნიკო სამადაშვილთან ეს მწერი თავად ადამიანის სულია, რომელიც თავის ქმნილებაში ისე ხმიანებს, როგორც უსაზღვრო ღამეში ჭრიჭინას გალობა. ეს საოცარი ჭრიჭინა და სტვენა პოეტისათვის დამახასიათებელი მსოფლშეგრძნების გამოხატულებაა:

„და ჭრიჭინები ორღობეებთან
უძახდნენ ხნიერ გამოქვაბულებს“.

„გამოღმა განგებ მძლავრად დამისტვენ,
მე კი ამ სტვენას ქარს დავაბრალებ“.

ეს სიტყვები უსასრულობისა და უდაბურობის შემცველ სივრცობრივ განზომილებას გულისხმობენ და ამდენად ესადაგებიან სამყაროს უგულო ფუტუროების თავისებურ კონცეფციას. სამყაროს ბნელი და უდაბური *ი ნ ტ ე რ ი ე რ ი* კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს შემდეგ სტრიქონებში: „და კიაფობენ შორს ვარსკვლავები, მარადისობის ჭუჭრუტანები“. ეს ინტერიერი – შიგნითა სივრცე – ყველგან იგრძნობა. ქვეყანა ვრცელი და ფუტუროა და მას კოდალასავით უკაკუნებენ ადამიანები, რომლებიც თავის მხრივ გამოქვაბულებს ჰგვანან. ფიქრებს სკადა აქვს თავის ქალა, რომელშიც ხან მინდვრის ბალახი ამოჰყოფს თავს, ხან კი გველი შედის სისინით. თავის ქალა ზარივით ამხია ადამიანს და იგი გამუდმებული რეკვისაგან სკდება. და აქ შეუძლებელია არ გაგვახსენდეს *თ ო მ ა ს ე ლ ი ო ტ ი ს* „ფუტურო ადამიანები“:

„ჩვენ ვართ ფუტურო ადამიანები,
ჩალით დატენილი ადამიანები
და ერთმანეთს ჩუმად ვეტმასნებით.
ჩვენს თავის ქალაში თივა ხრაშუნობს
და ფუყე მკერდით ვეჩურჩულებით ერთიმეორეს,
და ამ ჩურჩულის უაზრო ფაჩუნი
ბალახებში ქარის შრიალივით იკარგება,

როგორც გატეხილი შუშის შარიშური,
როცა სარდაფში თაგვები შლიგინობენ.
უსახო ტანი, უფერო ლანდი,
შებორკილი ძალა, უმოძრაო მიმოხვრა.
თქვენ, – თვალის გაშტერებით
სიკვდილის საუფლოში გადასულნო,
მოგვიხსენეთ ჩვენ, არა როგორც სულნი,
რომელთაც დაღუპვა თავისი ნებით დაიმკვიდრეს,
არამედ უბრალოდ, როგორც ფუტურო ადამიანები,
ჩალით დატენილი ადამიანები“.

ეს შედარება მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს – ნიკო სამადაშვილის ინტუიციის ფართო დიაპაზონზე, მის ღრმა პერცეფციაზე. ამ ასპექტში მათი თანხვდომა მით უფრო საოცარია, რომ ნიკო სამადაშვილი არსად არ გადის კონკრეტულად მოხაზული ქართული ველტბილდის საზღვრებიდან; ამავე დროს, ნიკო სამადაშვილის ფუტურო ადამიანი ჩალითა და თივით არ არის დატენილი:

„ფუტურო სხეულს გულის სიზმარი
შერჩება როგორც გოლგოთის თხრილი...“

აქ ტანჯვითა და წამებით სიცოცხლეამომშრალი ადამიანი დგას. „გულის სიზმარი“ ხორცშეუსხმელის სიცოცხლეა, რომელიც გოლგოთის თხრილად იქცევა (არამეულად: *გ უ ლ გ უ თ ა* – თავის ქალა). ეს ნიუანსი აქ ჩანს და თავის ქალაც ამიტომ გვხვდება ასე ხშირად მის ლექსებში. ამ თავის ქალაში გონების შემარყეველი რეკვა, იღუმალი სტვენა და ჭრიჭინი გაისმის.

*ნ ი კ ო  ს ა მ ა დ ა შ ვ ი ლ ი ს* ლექსებში ხშირად გვხვდება ღვთისმშობელი და დედა. ისინი ზოგჯერ გაიგივებულნი არიან. ქრისტეს, რომელსაც აგრეთვე ახსენებს პოეტი, კოსმიური ღმერთის მნიშვნელობა არსად არ ახლავს, ასეთი ღმერთი, უფრო სწორედ, „ვიღაცა“, მხოლოდ ერთი-ორჯერ ჩნდება როგორც „ჩაფიქრებული მისანი“, ისიც როგორც ისეთი ვინმე, *ვ ი ნ ც  ს ა მ ყ ა რ ო ს* გარეთ „ჩაივლის“.

უღმერთობის ასეთნაირი განცდიდან მოდის თვითშემუსვრის, სიცოცხლის ზვარაკად გამეტების პირქუში მოტივი, რაც ნიკო სამადაშვილის პოეზიას *მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ რ ი ვ* განზომილებას აძლევს. „უკანასკნელ ქრისტიანებში“ უკვე გვხვდება სტრიქონები, რომლებიც საზარელი მსხვერპლშეწირვის ჩვენებას აღძრავს:

„ხევში მდინარე შემოგვეფეთა –
შეწირულ ბავშვთა ცრემლები იყო.
ჩვენ მივდიოდით აღმართზე ერთად,
რატომღაც ჩუმად, რაღაც უიღბლოდ“.

ანდა:

„აკლდამის ჭოჭში დახოცილთ ძვლები
ეყარა როგორც მოჭრილი ფიჩხი...“

ბეთანიის აღმართი მათთვის გოლგოთაა და პოეტის წარმოსახვაში, ეს ქრისტიანული ტაძარი – სათნოების, დიდებისა და მორჩილების სახლი – აცტეკურ თეოკალის ემსგავსება, სადაც ადამიანთა სიცოცხლე მსხვერპლად ეწირება მძვინვარე, გამოუცნობ და უჩინარ ღვთაებას:

„ნეტავი, ღედა აქ შეგეწირე,
თავი დამეღო და დაგეკალი...“

ან:

„ასე მგონია, თითქოს ღედაც გადამემტერა,
გორიჯვრის ნიშთან
ღღეს თუ არა, ხვალ მაინც დამკლავს“.

ნიკო სამადაშვილის ეს პირქუში განწყობილება გულის შემაღონებელი დეტალიზაციით აღბეჭდილ სახეებს ბადებს: „ძვლებს უკეთებდი ქვაბის ზედადგარს, შიგ ჩემი სისხლის ზედაშე დუღდა“ (ზედაშე – შეწირული ღვინო), „თითქოს მე ვიყო გამოქვაბული და ჩემს ქვეშ სისხლის მდინარე ქუხდეს“, „ვინც თვალის ჩინი ამოგიძოვა, შეგასხა კედელს როგორც ზედაშე“ და სხვ. და ამ ხაზით ვაჟასეული „დევების ქორწილის“ ხილვებს ენათესავება (ვაჟადან უნდა იღბდეს სათავეს ფსიქოლოგიური შინაარსით დატვირთული „ნისლი“ ნიკო სამადაშვილთან: „და მოგონება ნისლივით გრილი“, „ნისლივით იდგა უმეგობრობა“, „ნისლი დაფარავს აპყრობილ ხელებს“).

ამ განწყობილებებს სიცოცხლის მომნიჭებელი საწყისის უჩინარობის, დაკარგულობის განცდა უდევს საფუძვლად. ღმერთი არა ჩანს თავის ქმნილებაში და ეს იწვევს სამყაროს ფუტუროობის, სიცოცხლის უაზროებისა და ამიტომ უფასურობის, ზედმეტობის გრძნობას. ნიკო სამადაშვილი გროტესკულად ზუსტ სახეებს ძებნის ამ *ს ი კ ვ დ ი ლ ი ს მ ა გ ვ ა რ ი*

*ს ი ც ო ც ხ ლ ი ს* გამოსახატავად. „ისე დავდივარ ამ ქვეყანაზე, თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები“. უცნაური ის არის, რომ თავად სიკვდილშიც არ თავდება სიცოცხლე, სიკვდილშიც არ არის საშველი და მოსვენება. არის რაღაც საშინელების მომგვრელი გრძნობა იმ ხილვაში, რომელიც ეპიგრაფად არის წამძღვარებული, ან ასეთ სტრიქონებში:

„ღრუბლის ნაწოლი სივრცე უყვარდა
და დაქექილი ბაღების თმები,
გული ტირილით ამოუვარდა,
როცა მიწაში ჩაფლეს ნიჩბებით“.

ეს გული, რომელიც კუბოშიაც კი სიკვდილს ნატრობს, საფლავში „სიმსივნით იბერება“. თვითონ საფლავები ჰკივიან, სიბნელე იღრინება, ხოლო „სანთლების შუქზე აჭრილი მკვდრები“ თვალებს ახელენ და სამძიმარს ავრცელებენ.

ყველა ეს შთაბეჭდილება თავს იყრის ვაჟასებური ვიზიონერობით დაწერილ ლექსში („დამშვიდობება და სინანული“), სადაც წაშლილია ზღვარი სიცოცხლესა და იმქვეყნიურ არსებობას შორის. აქ, უცნაურ ჰადესში, პოეტს ვირგილიუსივით ხვდება თავისი საყვარელი მასწავლებელი და ინსპირატორი...

„შენ დაგმარხავენ ბინდების ლხინით,
სამრეკლო აშლის მთვლემარე მტრედებს.
დაუშენს წვიმა, შორს ბალდახინი
დიდხანს იკვნესებს და იჩერჩეტებს.

ფუტურო სხეულს გულის სიმძარი,
შერჩება, როგორც გოლგოთის თხრილი,
სისხლზე შემხმარი ძვლების ჩინჩხვარი
და მოგონება ნისლივით გრილი.

სოფლის წისქვილთან რუ ადიდდება,
ქუხილი მთებში ჩაისვრის აჩრდილს.
შენ კი მიწის ქვეშ შემოგაგდებენ
ხელიღლიაში კუბოამოჩრილს.

მოიღრუბლები, მკერდში ჩაიტვრენ,
ფრთხილად ჩაყვები უღრან ნაპრალებს,
გამოღმა განგებ მძლავრად დამისტვენ,
მე კი ამ სტვენას ქარს დავაბრალებ.

წყვდიადი მძიმედ დაუშვებს ფარდებს,
შეწყდება ფერად ჭინკების ბრძოლა.
სულს შეგიხუთავს ძეძვივით დარდი
და ჯოჯოხეთის პირქარი ხრჩოლა.

დაუხვევ ბილიკს ზურგაგრუსული,
თვალს შეგავლებენ ქვესკნელის წყლები.
წინ ჩაგივლიან მკვდრები კრუსუნით,
როცა ქვებს შორის წამოგაწყდები.

გვირგვინს დამადებ, რთვილს მიმამსგავსებ,
ბედმომკილ დღეებს დიდხანს იჯავრებ.
პირქვე დამხობილ საყვარელ გვამზე
ქარები ტანჯვით აგაგლიჯავენ.

„გარეთ გადაყრილ ნაცარსა ვგავდით“,
თან იტყვი: „იქნებ ღმერთმა ინება“.
ჩაიქნევ მკლავებს და იქვე გვერდით
ცრემლებთან ერთად ჩაგეძინება“.

*„გარეთ გადაყრილ ნაცარსა ვგავდით“* – აქ არის ნიკო სამადაშვილის პოეზიის სუბსტრატი. სხვა ლექსში ამ ზუსტ ფორმულას სხვა მოდუსს უძებნის: *„ვინც ჰგავდა თოვლზე გადაღვრილ ღვინოს“* – და მით ქართული სულის ფეროვნებით გამოხატავს თავისი პოეზიის ეგზისტენციურ ხასიათს.

❖

*ნიკო სამადაშვილის* პოეზია უსათუოდ საპატიო ადგილს დაიჭერს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. მისი პოეზიის ფორმისმიერი მასალა ან გარეხედი ფესვეულად ეროვნულია (ეთნიკურიც კი) უმცირეს დეტალებამდე, და იგი სათავეს ხალხური აზროვნების წიაღიდან იღებს, რომელშიც ორგანულად იყო შერწყმული წარმართული კოსმიზმის წარმოდგენები და ქრისტიანული ღღესასწაულებისა და ზნე-ჩვეულებების პათეტიკური სილამაზე, ხოლო შინაარსი უნივერსალური, ამავე დროს, უაღრესად თანადროულია და ზოგად ხაზებში დასავლეთის ახალ პოეზიას ენათესავება. მთლიანობაში იგი განუმეორებელ შთაბეჭდილებას ჰგვრის მკითხველს, მით უმეტეს, რომ დიდი პოეზიისათვის დამახასიათებელი ორივე ეს ასპექტი უჩვეულოდ ორიგინალური მსოფლშეგრძნებით არის აღბეჭდილი. ეს მსოფლშეგრძნება *ტრაგიკულ-გრო-*

*ტ ე ს კ უ ლ ი ა* და თვალისმომჭრელი სახეებით ცნაურდება.

ნიკო სამადაშვილი თავანკარა ქართულს ფლობდა. მისი ენის მოდულაციები შეუმღვრეველია, როგორც ინტონაციურად, ისე სინტაქსურად, ლექსიკა – მდიდარი და სურნელებით დაყურსული. იგი იშვიათად ხმარებული სიტყვებისა და ქართლურიდან შემოტანილი არაერთი მნიშვნელოვანი სიტყვის მეშვეობით განუმეორებელი, თავისებური ელვარების პოეტურ ფრაზებს ქმნიდა თავისი უჩვეულო ხილვების გასამყღავნებლად. მისი სიტყვა პირველქმნილების პოხიერებით სუნთქავს. იგი ხაოიანია, ხვიფლიანი და ფეროვანი, მაგრამ მოკლებული კლასიკურ დაკრისტალებასა და რაფინირებას. ეს ყველაზე კარგად მის რაღაცნაირად შეშფოთებულ, დისონანსურად ალუფხულ რითმებში ხდება საცნაური. არის რაღაც ხასიათისმიერი ანგრეულობა, რაღაც შინაგანი მოუწესრიგებლობა მის ლექსებში, რაც უცნაურ სიცოცხლისუნარიანობად თუ იმპულსურ ძალმოსილებად განიცდება.

მისი ბევრი ლექსი მე მაგონებს გაუცრელი თიხისაგან გამომწვარ ასიმეტრიულ დოქებს, რომელთაც ამჩნევიათ კოჟრები და ზოგჯერ მომტვრეული აქვთ ტუჩი ან ყური, მაგრამ რომელშიაც შეურყვნელი, მაგარი, ძელგი ღვინოა ჩასხმული.

1963 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ნიკო სამადაშვილი დაქირავებულ ბინაში მეწვია. კარის გაღებისთანავე თავისებური უხეში დაყვავებით (რომ ოდნავ მაინც დაეფარა შეხვედრის სიხარული) შემძახა: კარგი რა, რამდენი ხანია გიყვირი, საღ ხარო. მარცხენა ხელში ჩანთა ეჭირა და ორი მშვენიერი იორდასალამი[1], მაგრამ ჩემი გაოცებული ყურადღება მისმა სიარულმა მიიპყრო იმ წუთში. იგი მოკლე ნაბიჯებით მიჩოჩავდა თითქოს. კარგა ხანია, არ მენახა და შემაძრწუნა ამან. ნიკომ ჩანთიდან ყველი, მწვანილი, კონსერვები და არყის ბოთლი ამოალაგა. მე თუ არ გნახე, მოსელა არ იკადროთ (ოთარაანთ ქვრივისებურად), ბაზარში გავი-

---

[1] *ყვავილები და სანოვაგე ჩემთვის საავადმყოფოშიც მოუტანია. ჩემში ყოველთვის განსაკუთრებულ სინაზეს, ჯ ე ნ ტ ლ მ ე ნ უ რ ი არტისტიზმისა და კეთილშობილების გრძნობას აღძრავდა ამ ხნიერი, ტანმორჩილი, არაელეგანტური გარეგნობისა და მანერების მქონე კაცის ეს დახვეწილი ჟესტი, რომელსაც იგი ამაოდ ნიღბავდა განგებისად უხეში, ძმაკაცურ-ფამილარული მისალმებითა და მოკითხვით, უცნაური შეხამება იყო: არყის ბოთლი და ი ო რ დ ა ს ა ლ ა მ ი , სანოვაგე და შ რ ო მ ა ნ ე ბ ი . მაგრამ ესეც კარგად გამოხატავდა მისი ბუნების ორმაგობას.*

არე, – მშვენიერი ყველიაო, – ვითომ ეს იყო მთავარი. ჩემთან ორი ახალგაზრდა იჯდა, არ ეპრიანა, მაგრამ თავაზიანად მიმართა: – აბა, ყმაწვილებო, მიირთვით, მე ვერ დავლევ, თქვენ სვითო. ასეთი სიარულით როგორ წავიდა ბაზარში, ან ჩემთან როგორ ამოვიდა-მეთქი, ვფიქრობდი. სულ მისი ჩოჩვით სიარული მელანდებოდა. მერე ქუჩაში გავედით, ყმაწვილები გამოგვემშვიდობნენ. იმათ ხომ არ გაყვებიო, – ტაქტიანად შემეკითხა. ასე ჩოჩვით მოდიოდა. ბელინსკის ქუჩის კუთხეში გასვენებაში მიმავალი პიერ კობახიძე შეგვხვდა. მოიკითხეს ერთმანეთი. რაღაც წნევის განმკურნავ იაპონურ სამაჯურზე ილაპარაკეს (ორივეს სიკვდილი ეწერა იმ ზაფხულს). შემდეგ დაბლა დავეშვით, – რუსთაველის მოედანთან მთხოვა: წამო, რესტორანში ჩავიდეთო, „გემოში“ ჩავედით. პაპიროსის მოწევა მოუნდა, არ მივეცი. ბალღივით შემეხვეწა – ერთს მოვწევო, – არა-მეთქი! ასე ვისხედით. მითხრა: ჩემი სახლი ხომ აქვეა, ღვინოცა მაქვს, მაგრამ რესტორანში ჯდომა მიყვარსო. რომ გამოვედით, თქვა: აღდგომამდე თუ არ მოვრჩი, მაინც დავლევ ღვინოსო, ექიმებს ყური რომ ვუგდო, მომკლავენ ეგ შეჩვენებულებიო. იქვე, მოედანზე დავშორდით, ასე ჩოჩვით მიდიოდა, საწყალობლად.

ღმერთს ვუმადლი, რომ მაისამდე ნიკოსთან შევიარე, ხმელ ხილზე მიმიპატიჟა – ჩემი საკუჭნაო მაქვსო,ოთახი თვითონ გავდა საკუჭნაოს, ისეთი პატარა იყო. თავისი ლექსები მომცა და ხმამაღლა მაკითხა. ასეთი რამ უყვარდა, როცა შევიელიდი, ასე მაკითხებდა ხოლმე. ნიკოს სიკვდილი მისი გარდაცვალების მეორე ღამეს გავიგე, ნაშუაღამევს მივედი, მაგრამ კარი ჩაკეტილი დამხვდა. ნიკო სამადაშვილს სამი შვილი დარჩა და ეს კარი ჩემთვის არასოდეს იქნება დაკეტილი... სხვა კარი მიიხურა, სამუდამოდ ჩაიკეტა...

ასე მოკვდა ეს კაცი, ბრწყინვალე, მძაფრი და უჩვეულო ლექსების ავტორი. კაცი და პოეტი. დიდი გულის კაცი, ნამდვილი პოეტი. ჩემი მეგობარი.

*1964*

## ზურაბ კიკნაძე

# ე ჯ [1]

პოეტის სიკვდილის მერე გამოქვეყნდა მისი ლექსების უკვე მეორე კრებული. ახლა ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ როგორ შეხვდებოდა ქართული ლიტერატურის ამ მნიშვნელოვან ფაქტს განსვენებული პოეტი, – წიგნში დაბეჭდილი ბევრი ლექსი ხომ მისი სულის აღსარებაა, უკიდურესად გულახდილი და დაუნდობელი. აქ ვერ ვნახავთ ვერც ერთ უფერულ ლექსს, უბრალო საბაბით დაწერილს, უღიმღამოს და არაფრისმთქმელს.

პოეზია არ უნდა ყოფილიყო მისთვის მარტოოდენ „ტკბილ ხმათა“ სიმღერა; ნაღვერდალში, მუდმივ ცხელებაში აქტივობდა მისი სული და შემდეგ მწველ, აფორიაქებულ, ზოგჯერ მოუწესრიგებელ სტრიქონებში რეალიზდებოდა. თუმცა ამ საქმიანობას სინანულის ჟამს „ჯღაბნას“ არქმევდა: „ლექსების ჯღაბნა წამებად გექცა, სჯობდა ვენახის კვალი გებარა, ვის რად უნდოდა ეს თვალთმაქცობა, ნეტავი ქარში გადაგეყარა“. მაგრამ ტრაგიკული სწორედ იმის შეგნება უნდა ყოფილიყო, რომ იგი ვერასოდეს დააღწევდა თავს ამ „თვალთმაქცობას“, რადგან შემოქმედება – თქმის ქინი – სისხლხორცეული იყო მისთვის, ძვლამდე გამჯდარი („რა ექნა იმას, მგზავრო, მითხარი, ვინც ძვლების ცეცხლი ვერ დაიყოვნა“), იგი თითქოს სხეულის ფორებიდან დენიდა გარეთ სათქმელს, აუცილებელს და ეს იყო მისი ერთადერთი ნუგეში, სულის დაამება, გულზე მომშვები კათარსისი... ამ ეზოტერულ საიდუმლოებას შემოქმედებისას თავად ამხელს იგი საკუთარი თავისადმი მიმართულ ლექსში („ნიკო სამადაშვილს“): „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები ტანზე გამონაყარი“.

ნიკო სამადაშვილი განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ პოეზიაში. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი ლექსების გარეგანი მხარე, კერძოდ, პროსოდიული სახე. მისი ლექსის გამო მოხდენილად თქვა თ. ჩხენკელმა: „მისი ბევრი ლექსი მოგვაგონებს გაუცრელი თიხისაგან გამომწვარ ასიმეტრიულ დოქებს, რომელთაც თუმცა კი ამჩნევიათ კოჟრები და ზოგჯერ მომტვრეული აქვთ ტუჩი ან ყური, მაგრამ რომელშიც პოეზიის შეურყვნელი, მაგარი, ძელგი ღვინოა ჩასხმული“.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ სამადაშვილი უპირველესად პოეტი-

---

[1] *წინათქმა ნიკო სამადაშვილის წიგნიდან „წუთისოფლიდან უკვდავებამდე“, გამომცემლობა „ნაკადული“, 1989.*

მხატვარია, მის პოეზიაში სრულიად გამოუვლენელია ყველა დროის ქართული პოეზიისათვის ეგზომ დამახასიათებელი ჰიმნური, ანუ ხოტბური ელემენტები.

პოეტის თვალით დანახული და მისი გეშით განცდილი სოფელი მისი სამშობლოა, ერთი კუთხე ქვეყნიერებისა, დაუვიწყარი ქართლი, უფრო ხშირად ერთი კონკრეტული ლოკალი – ტანას ხეობის ერთი სოფელი, რაიც დიდი სოფლის, წუთისოფლის ხატად არის წარმოსახული.

მაგრამ მანამდე უნდა ვახსენოთ ლექსი „ჩემი სოფელი“, სადაც ერთმანეთს მისდევს საკვირველი პლასტიკურობითა და ლაკონიზმით დახატული ყოფითი კადრები, აქ უჩვეულო არაფერი არ მომხდარა (ლექსი მოგონებაა) და არც რამეა უცნაური სანახავი. სურათები სტატიკურია (ზმნა არსად არის ნახმარი), თითქოს ელის მათ გამხსენებელს („უძრავი ტახტი, წალო, ზანდუკი, ფერიცვალობა, საფლავზე ხილი“, „კერძით გასვრილი ჯამი თაროზე და ძველი სახლი წისქვილის წინა“, „მთებზე ზოზინი სოფლის ნახირის, მდინარის გაღმა ვეება ქორი“). მთელი ლექსი გამსჭვალულია შინაგანი „ფათფათით“, ნაღვლიანი სიყვარულით, თუმცა ეს სიტყვა ერთადერთხელ არის ნახმარი ლექსის ბოლოს: „როგორ მიყვარდა ჩემი სოფელი, როგორ მინდოდა იქ მოვმკვდარიყავ“.

„უკანასკნელი ქრისტიანები“, „ბეთანია“ მთლიანად გასენილია ტრაგიკული განცდით და ასოციაციებით, რასაც თავად ბეთანიის მიწა ინახავს. იქ მიმავალ პილიგრიმთა ხედვაში იღვიძებს ლეგენდა თუ ისტორია, ტაძრის სანახებს შენივთებული: „ხევში მდინარე შემოგვეფეთა – შეწირულ ბავშვთა ცრემლები იყო“, ამიტომაც „ჩვენ მივდიოდით აღმართზე ერთად, რატომღაც ჩუმად, რაღაც უიღბლოდ“, ისტორია: „აქ დანდობილა გლეხი სახრეზე, აქ შესწრებია ორშაბათ დილას“. ***ორშაბათში*** განსაკუთრებული სიმბოლო მარხია, რაღაც ხალხურ-ტრადიციული: „კვირაძლის მწუხრზე ჰგავდა ორშაბათს და გულის კვამლი უწვავდა თვალებს“ (ლექსიდან „დაითენთა“), ის ორი სტრიქონი ასე გრძელდება: „ახლაც კი ვამჩნევ ლაშას სახეზე – ჯალალედინის შემოკრულ სილას“. ლაშა – საქართველოს პერსონიფიკაცია, ჯალალედინი – „საქართველოს უკვდავი მტერი“. და ეს ფრაგმენტი გულისმომკვლელი ლეგენდისა თუ მითისა: „აქ თავის თათით ითხრიდა საფლავს მწყემსდაღუპული სოფლის ნახირი“, რასაც არაორაზროვნად ეხმიანება პილიგრიმთა ბედი. „ძლივს ვამშვიდებდით შემკრთალ მაცხოვარს რჯულდაწყვეტილი ექვსი ქართველი“, ამავე დროს, აქ ცხადად გამოსჭვივის სიმბოლიკა კეთილი მწყემსისა და მისი სამწყსოსი.

ყველა ამ სასოწარკვეთილ სურათს აბოლოებს შემზარავი სანახაობა, ერთ სტროფში გადმოცემული, რაც საესებით ავლენს სამადაშვილისეულ

თვალს და მანერას წერისას: „მათხოვარი ზის როგორც ობობა – მყრალ ჯოჯოხეთის მოხდილი პკეა, არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა, ის თითქოს ჩიტებს აუკენკიათ“.

მაგრამ არის სხვა ხილვაც, იმედიანი ასოციაციებით შენივთული. ხილვა მკაცრი და დიდებული დღესასწაულისა ატენის სიონში, რომლის არემარე არაამქვეყნიური შუქით არის განათებული („უფლის ნათელი დაბარბაცებდა გაუთენარი გზების ბოლომდე“) ამ მისტერიულ ღამეს, როდესაც ეს კონკრეტული ლოკალი რაღაც ყოველდროულ ადგილად წარმოუდგება პოეტის თვალს. ეს ადგილი თითქმის ქვეყნიერების ჭიპია,არც მდინარე ტანაა მცირე წყალი, არამედ „სოფლისა წყალნი“ (რუსთაველი) ან იორდანე, ყოველთა მდინარეთა ხატი. ეს ოთხი სტრიქონი, რომელიც მნიშვნელოვანი სიმბოლოებით არის შეძერწილი, მისტიურ შუქში ახვევს დახატულ პეიზაჟს და ამბავს, რეალობას გვერდზე გადაანაცვლებს, თითქოს გადასწევს ფარდას, ჭეშმარიტი სურათის დამფარავს, რაც მას მოჰყვება, იმედისა და წყნარი სიხარულის შუქით არის მოქსოვილი: „დრო იყო, როცა ბნელ სასუფეველს მდინარე ტანა ჩაუდიოდა, საიქიოდან წუთისოფელი როგორც მამალი ისე ყიოდა“. ამ ზერეალური სურათის მხილველი პირისპირ დგას უაღრესი საიდუმლოების წინაშე – ქვეყნიერების ახალი დღის გათენების, ანუ (რაც იგივეა) ქვესკნელს ჩასული წუთისოფლის მკვდრეთით აღდგომისა. მამალი – მზის სიმბოლო, გათენების მაუწყებელი ფრთოსანი დღევანდლამდე. ძველ ქრისტიანთა თქმულებით მამლის პირველ ყივილზე აღმდგარა ქრისტე, ამიტომაც მამალს ახატავდნენ პირველი ქრისტიანები საფლავის ქვებზე, ჩვეულება გამძლეა და შესაძლოა ჩვენშიც შემორჩენილიყოს იგი.

იმის გამო, რომ კონკრეტული ლოკალი განზოგადებულია – კერძოში ზოგადის კონტურები იხილვება, – ატენის სიონიც, მე-7 საუკუნეში აგებული შენობა, ტანას მყუდრო ხეობაში მიყუჟული, ქრისტიანობის პირველტაძრად, ანუ აკვნად განიცდება. ამას გვაუწყებს საკვირველი სტრიქონები: „ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს“, ტაძრის საკრალური არეა, ღვთისმშობლის მიერ დაგვილ-გაწმენდილი, წმინდა ოჯახის ადგილსამყოფელი (ატენის საყდარი, ისევე როგორც ყველა სიონი, ღვთისმშობლის სახელობისაა, „სიონეველი ასულისა“, როგორც გურამიშვილი იტყოდა). ეს ხილვა ტაძრის ეზოში შემთხვევითი არაა, იგი ღრმად უკავშირდება ბავშვობის წიაღს: ღვთისმშობელი, ვითარცა ხატი ყოველდროული დედისა, სხვა ლექსში გამოჩნდება, თავის ალტერ ეგოსადმი მიმართულ ლექსში („ნიკო სამადაშვილს“), როგორც გახსენება სამუდამოდ დაკარგული უბიწოებისა: „შენ ძუძუს სწოვდი გაშლილ ალუჩებს

და ღვთისმშობელი აკვანს გირწევდა“.

მაგრამ პოეტის მსოფლხედვა არ არის ასე მარტივი და პირდაპირხა-ზოვანი; განსაკუთრებული რამ ხედვა არ არის საჭირო იმისათვის, რომ კაცმა ამქვეყნად ნათელის და ბნელის დაპირისპირება შენიშნოს, ყველა დროის პოეზია მეტ-ნაკლებად ამით არის გართული. სამადაშვილი არ არის მხოლოდ გარემხედველი, იგი საკუთარი გულის მხილავია და ამავე დროს მამხილებელიც, დაუნდობლობა საკუთარი თავისადმი ზღვარდა-უდებელია, იმდენად, რომ ზოგჯერ თვალით სახილველი უხეშ-ნატურა-ლისტური სცენა დაგვიდგება თვალწინ: „ვერ გაოკებდი, დაგდევდი კეტით“, – ასე მიმართავს იგი თავის ალტერ ეგოს („ნიკო სამადაშვილს“); რაღაც მეტაფიზიკური უკმაყოფილება საკუთარი თავით ამგვარ საკრამენტალურ სიტყვებს ბადებს: „ძილი წამებად გადმექცა, ღედავ! ველი იმ დღეებს, რომ გავტიალდე, ქვესკნელს შემასხი მარადისობავ, რომ კიდევ შენსკენ გამოვტრიალდე. ჩემი გაჩენა მიეზღოს ცეცხლად, ვისაც ეს ჩემი იღბალი მართებს. თითქოს ეს გული ამოურეცხავთ ღვიით და სარცხით შიშველ წარმართებს“. რაღაც არაადამიანური სულიერი ტკივილისა, ანუ შეურიგე-ბელი სინდისის განცდა უნდა ჰქონოდა კაცს, რომ ამგვარად დაეწყევლა თავი.

სამადაშვილის ყოველი ლექსი მისი სულიერი აპოკალიფსია, – საკუ-თარ თავთან ჭიდილისა და მის მიერვე უარყოფილი ქვეყნიერების წი-ნაშე პირისპირ დგომის დოკუმენტი. პირქუშ ხილვებთან ერთად მასში აღნუსხულია მისი შინაგანი ცხოვრების ბევრი ნათელი წამი.

მრავალფეროვანი ქართული პოეზიის ხომლს ნიკო სამადაშვილის ხმაც უერთდება, – ტრაგიკული, მაგრამ მუდამ სინათლისკენ გამყივარი ძახილი.

## იზა ორჯონიკიძე

### ე 1987 ჟ 13 ე
### ძ კ

ნიკო სამადაშვილის წაკითხვა არ არის ადვილი.

გალაკტიონს ეკუთვნის ერთი ასეთი სტრიქონი: „არც კაცთმოყვარე ხალხში გარევა, არც გაჩუმება შეგეფერება“, შეიძლება დაიბნეთ კიდეც. კაცთმოყვარე ხალხში გარევა თითქოს ყველას უნდა სურდეს, რას ამბობს, რაზე მიგვანიშნებს გალაკტიონი? სიტყვა „კაცთმოყვარე“, თუ სტრიქონის ლოგიკას მოვყვებით, ამ კონტექსტში უთუოდ ირონიულად ჟღერს. გალაკტიონი ყოველთვის ახერხებს ძირითადის შენიღბვას, უნატიფეს სტრიქონებში მიჩქმალავს ხოლმე მთავარს და მკითხველის დიდი იმედი აქვს. არცთუ ტყუილად – ქვეტექსტი ყოველთვის ამოიკითხება, თუ ტექსტი მხატვრულად ღირებულია. ამ სტრიქონითაც პოეტი თავსაც და მკითხველსაც აფხიზლებს – არ გაერიონ „კაცთმოყვარე“ ხალხში, მაგრამ ნურც გაჩუმდებიან, დუმილი ხომ თანხმობის ნიშანია.

უსასტიკესი იყო ის დრო, როცა ნიკო სამადაშვილს მოუხდა ცხოვრება – „არც გაჩუმება შეგეფერება“, იცოდა, მაგრამ რა უნდა ეღონა ლიტერატურული წრეებისათვის უცნობ ბუღალტერს, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა მოურჩენელი ჭირი – ლექსები ტანზე გამონაყარი? ეს კაცი საუკუნეს ხმითაც არ ჰგავდა, ვერ გაეჯიბრებოდა გაქნილ კალმოსანთა მოწინავე კოჰორტას, ვერც ლიტერატურულ საქმოსანთა იმ არმიებს, რომლებსაც კონსტანტინე გამსახურდია გამომცემლობათა საჯინიბოების ფეხმარდ ულაყებსა და ფსევდოლიტერატურის ჩემპიონებს უწოდებს. როგორც ჩანს, ვერც კომპრომისების გზას დაადგებოდა. ნამდვილ შემოქმედს არც როდის უთქვამს უარი საკუთარ მრწამსზე, საკუთარ ღირსებაზე, რადგან შეუძლებელია არ გაგაჩნდეს მრწამსი, იყო უღირსებო პიროვნება და შექმნა რაიმე ღირებული.

ნიკო სამადაშვილმა, დაოსებულმა შემოქმედებით, უდრტვინველად აირჩია საკუთარი ღირსების საკადრისი გზა, უძნელესი, მაგრამ ერთადერთი, რომელმაც დღეს იგი სამარადისოდ პირნათელი და შეურცხვენელი, მშობლიურ მწერლობასთან დააბრუნა, ამ არჩევანმა განაპირობა კიდეც უმეტესწილად მისი სხვათაგან მკვეთრად გამიჯნული, რთული და უაღრესად სახიერი პოეტური სამყაროს არსებობა და გამორჩეული სხივით

გააბრწყინა  დიდი ნიჭის ტრაგიკული შარავანდედი.

ყველაზე უკეთ თავად ნიკო სამადაშვილმა იცოდა, რომ ლექსებს არ გამოუქვეყნებდნენ. შეუძლებელია არ სცოდნოდა, მაგრამ გულის წადილი დროდადრო მაინც გაახედებდა ხოლმე რედაქციებისაკენ. მაშინ, და კიდევ დიდხანს, არ არსებობდა ბეჭდვითი ორგანო, რომლის მესვეურნიც ამ პოეზიას დააფასებდნენ და გამოექომაგებოდნენ.

ქართული ლიტერატურის მუზეუმში ჩემი მუშაობის პირველ პერიოდში (1976–1981) ოჯახისაგან შევიძინეთ ნიკო სამადაშვილის პირადი არქივის ერთი ნაწილი, გვინდოდა 30 წლის შემდეგ აღდგენილ „ლიტერატურის მატიანეში“ მისი ლექსები და პროზაც გამოქვეყნებულიყო. ამ ხელნაწერის გაცნობამ დამარწმუნა, რომ ნიკო სამადაშვილი ბევრჯერ ცდილა დახშული სივრცის გარღვევასა და მკითხველთან ძალზე აუცილებელი კონტაქტის დამყარებას, სწორედ ამგვარი ცდების შედეგად მიმაჩნია მე ლექსებით უხვად გაჯერებული მისი პოეტური პროზა – ცრემლის მომგვრელია კეთილშობილი კაცის გულუბრყვილობა და უბოროტო ეშმაკობა, იქნებ პროზაულ ტექსტში ჩართვამ ლექსების მკითხველამდე მიტანა გააადვილოსო. შეიძლება ჩემი ეს მოსაზრება არ გაიზიარონ, მაგრამ ტექსტზე, განსაკუთრებით კი მის ბოლო გამოუქვეყნებელ ნაწილზე დაკვირვებამ ღრმად დამარწმუნა, რომ „მთვლემარე ცისკრის“ ავტორს სწორედ ასეთი  ჩანაფიქრი უნდა ჰქონოდა.

დღესდღეობით, კრიტიკა (და კრიტიკისაგან თავგზააბნეული მკითხველი საზოგადოებაც) ვეღარ ახერხებს თავისი ადგილი მიაკუთვნოს პოეტს ისე, რომ არც გააზვიადოს მისი შემოქმედების მნიშვნელობა და არც დააკნინოს იგი. კარგა ხანია ისეა აღრეული შეფასების კრიტერიუმები, იმდენად არაკვალიფიციურად და ტენდენციურად ითხზვება ახალი და უახლესი ისტორიაც ჩვენი ლიტერატურისა, რომ მომავალშიაც კარგა ხანს გაუჭირდებათ ჭეშმარიტებასთან მიახლოება და იმაზე შეთანხმება, თუ რა განსაზღვრავს პოეტის ადგილს ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში, ან როგორც ამბობენ, რას ნიშნავს პოეტური სიდიდე.

მე შევეცდები ნიკო სამადაშვილის პოეზიის მაგალითზე ზოგადად ვუპასუხო ამ  კითხვას. მანამდე კი ნება მომეცით შეგახსენოთ, ჩვენს ცნობიერებაში უკვე კარგად დამკვიდრებული იერარქია პოეტური სიმაღლეებისა, რომელიც ყოველთვის არსებობდა არა მარტო სპეციალისტების, არამედ  მასობრივი მკითხველის წარმოდგენებშიც. გახსოვთ ალბათ გალაკტიონის მწკრივიც: „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და...“ სამი წერტილი ერთგვარი ეთიკური მოსაზრებით არის დასმული, თორემ საიდუმლო არ არის ვინ იგულისხმება. ამ მწკრივს დავით გურამიშვილი და ნიკოლოზ

ბარათაშვილი მხოლოდ იმიტომ არ ამშვენებენ, რომ ლექსის საზომში არ ჩაეტევნენ. გალაკტიონი ამჯერადაც მკითხველის იმედზეა. იცის რომ მწკრივს შევავსებთ, სხვანაირად ფიქრის უფლებაც კი არა გვაქვს.

მე-20 საუკუნის დიდ პოეტთა მწკრივი ჩემთვის სამი სახელით იწყება: გალაკტიონი, გ. ლეონიძე, ნიკო სამადაშვილი... სამი წერტილი ჩემს მწკრივსაც უზის. თქვენც უფლებამოსილნი ხართ თქვენი გემოვნებისა და სულიერი მოთხოვნილების კვალობაზე შეადგინოთ ახალი მწკრივი... ან გააგრძელოთ ჩემი. მაგრამ ჯერ მოდით ერთად შევებრძოლოთ ერთ უმართებულო ჩვეულებას, რომელიც კარგა ხანია ბოგინებს ჩვენში. ალბათ ხშირად გაგიგონიათ როგორ აჯიბრებენ ერთმანეთს პოეტებს: ცისფერყანწელებს გალაკტიონთან, ლადო ასათიანს მის თანამედროვეებთან და, განსაკუთრებით, გალაკტიონსა და გიორგი ლეონიძეს. დიდი უაზრო საქმეა ასეთი ტურნირების მოწყობა, ეს დიდი პროვინციალიზმი და გონებაშეზღუდულობაც გახლავთ!

პოეტები დოღის ცხენები არ არიან, რომ რომელი პირველი მივა ფინიშთან, იმისდა მიხედვით განისაზღვროს რომელიმეს ადგილი ეროვნული მწერლობის ისტორიაში. ნიკო სამადაშვილის დაბრუნებაც ხომ საუკეთესო მაგალითია ამ აზრის სასარგებლოდ! აბა დავფიქრდეთ, რამდენი, წარსულში ძალზედ პოპულარული პოეტი აღარ იკითხება დღეს, რამდენი გაჰყვა დროის კორიანტელსა და რამდენი კიდევ გაჰყვება, ვინ იცის... განძი განძია – არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის აღმოაჩენენ მას. განძის ეროვნულ განძთსაცავში დროულად დაბინავება გახლავთ მთავარი და აუცილებელი საქმე.

მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში ნიკო სამადაშვილის სახელის დასამკვიდრებლად ბევრი იზრუნეს ქართველმა მწერლებმა: თამაზ ჩხენკელმა, არჩილ სულაკაურმა, რევაზ თვარაძემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა, ზურაბ კიკნაძემ, ემზარ კვიტაიშვილმა, ტარიელ ჭანტურიამ, გივი გეგეჭკორმა და ამ სტრიქონების ავტორმაც. უპრიანია, რომ დღეს გულითადი მადლობა ვუთხრათ ყოველ მათგანს ამ კეთილი საქმის წარმატებულად დაგვირგვინებისათვის.

დაბოლოს, მინდა დავუბრუნდე კითხვას: რა არის პოეტური სიდიდე ნიკო სამადაშვილის შემოქმედების მაგალითზე? მოგეხსენებათ ამ სოფლად ყველაფერი ძველია და თავად სოფელიც არ არის ახალი. მაშ რაღაა ახალი?

ნიკო სამადაშვილის პოეტური ქვეყნიერება – უეცრად, იდუმალის წიაღიდან ამოზრდილი, აქამდე უსახელო ავტონომიური სახელმწიფო, რომელიც სრულიად გამორჩეულია სხვათა მიწა-წყლისაგან თავისი

მოსახლეობით, პეიზაჟით, ტაროსით, დღე-ღამის შეფერილობით, ქარწვიმით, კანონითა და სამართლით, სიზმრითა და ცხადით, სიყვარულითა და ჰორიზონტს მიღმა გადავარდნილი მზეებით... და ყველა ეს საოცრება, რაც ჩამოვთვალე, გამოითქმის და გამოიხატება სიტყვით – მხოლოდ ამ პოეტის ენაზე, სწორედ ამიტომ ხდება, რომ რამდენი დიდი პოეტიც დაბადებულა, იმდენივე ენა უშობია დედაენის უშრეტ წიაღს.

თავისთავადობა გახლავთ უპირველესი ნიშანი პოეტური სიდიდისა, დროის გამოცდასაც ამ ნიშნის მიხედვით უძლებს ჭეშმარიტი შემოქმედება. განა უდიდესი საოცრება არ არის, რომ სტრიქონი იტევს და უდანაკარგოდ ინახავს უმაღლესი ძაბვის შემცველ მუხტს, შემოქმედის პოტენციურ ენერგიას, რომელიც ზოგი გუშინ და ზოგიც საუკუნეების წინათ დაიძრა ჩვენი გულებისაკენ.

დღეს, როცა ქართული პოეზიის ნამდვილი დიდება სულაც არ აღელვებთ მედროვეთა და ლიტერატურას ამგზავრებულებს, ნიკო სამადაშვილის ჯეროვნად დაფასება სწორედ რომ პრინციპული საქმეა და ეს მის დამფასებელთა სიცოცხლეშივე უნდა მოხდეს. ისედაც ბევრ გაუკეთებელ და აბურდულ საქმეს ვუტოვებთ მომავალ თაობებს. ნიკო სამადაშვილის საკადრისად დაფასება პრინციპული და გადაუდებელი საქმე იმიტომაც არის, რომ ე. წ. „პოეზიის“ მღვრიე და გულცივმა ნიაღვრებმა ღამის დაახრჩოს ჩვენი მკითხველი. დროა, ბოდიში მოვუხადოთ მას და ხელთ მივცეთ ნამდვილი ფასეულობანი, თორემ იგი ისე დაიბნა, რომ ზოგიერთის ორთვალაში შებმული გალაკტიონის „ლურჯა ცხენებიც“ კი ვეღარ შეუცვნია. დროა, ორთვალებიდან ის ცხენებიც გამოვხსნათ და პატრონის საჯინიბოს დავუბრუნოთ!

რას ნიშნავს პოეტური სიდიდე?

ჩვენს გაოცებას, ჩვენი გულების შეძვრას და ჩვენი გონების აღტყინებას, ჩვენს სულიერებაში სამუდამოდ დამკვიდრებას. საკუთარ, ავტონომიურ პოეტურ სამფლობელოში ჩვენთვის ადგილის მიჩენასა და იქ ჩვენს დასახლებას.

# ზაზა აბზიანიძე

## ძ [1]

1963 წლის 1 მაისი იყო. ბელინსკის ქუჩის მტვერში ვიღაც უცნობი კაცი ეგდო. თავდაპირველად მთვრალი ეგონათ. კი ჰქონდა მსმელის გარეგნობა: ღაჟღაჟა, მელოტი, კეფიდან სასოებით წამოვარცხნილი თმის ორი ღერით, ჩამრგვალებული მუცლით... უცნობი ვერ ლაპარაკობდა, მხოლოდ დროდადრო უმწეოდ ახელდა ცისფერ თვალებს... ვიღაც გამ-ვლელმა, დემონსტრაციიდან წამოყოლილი დროშა კედელს მიაყუდა, უცნობის გულის ჯიბიდან პირადობის მოწმობა ამოიღო და წაიკითხა: „ნიკოლოზ მიხეილის ძე სამადაშვილი, ბუღალტერ-რევიზორი“; მერე ჩაილაპარაკა, – ამას კაი ფული ექნება ნაშოვნიო, – და გზა განაგრძო.

ნიკო სამადაშვილი იმავე დღეს გარდაიცვალა საავადმყოფოში. სახლში რომ მოასვენეს, ოჯახში სულ ოთხი მანეთი აღმოაჩნდათ.

ერთი შეხედვით, თითქოს სწორედ ასე პროზაულად უნდა დამთავრე-ბულიყო ცხოვრება ბუღალტერ-რევიზორისა, ღვინოში რომ ახრჩობდა თავის დარდსა და ვარამს, თავის ობოლ ბავშვობას, თავის პირველ სიყვარულს, თავის მუხთალ ბედს, თავის ვერნაპატრონებ ნიჭსა და გაცრუ-ებულ იმედებს რომ დასტიროდა. და მხოლოდ რამდენიმე ადამიანი გარშე-მოთაგან ხედავდა მწარე უსამართლობას მის სიკვდილშიც და მის ცხოვრე-ბაშიც, სასჯელის სახეობად რომ აღექვა თვით ნიკო სამადაშვილს და უკანასკნელ წუთამდე ვერ მოეძებნა ამ სასჯელის პირველმიზეზი...

ეს ადამიანები მისი ლექსების რვეულის პირველი მკითხველები იყვნენ. იმ რვეულისა, ოთხ მანეთთან ერთად რომ დაუტოვა ოჯახს უკანასკნელ, მაგრამ უკვე მარადიულ გზაზე მიმავალმა ნიკო სამადაშვილმა. გადავშა-ლოთ ეს რვეული, დღეს უკვე ჩვენი საკუთრებაც რომ გახდა და თუ მოვინდომებთ ნიკო სამადაშვილის „ქერქგადაგლეჯილი“ გულის სიღრმე-ში ჩახედვას, პოეტი თვითონვე დაგვეხმარება თავისი ლირიკული ავტო-პორტრეტით:

„შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი,
შენა ხარ ჩემი ნუგეშის დარი,
სულ კარგად მახსოვს, შენ რომ გამიჩნდი,
გარეთ ძაღლივით ყმუოდა ქარი.
ვერ გიპატრონე მე ლაზღანდარამ,

[1] *პირველად გამოქვეყნდა ალმანახ „კრიტერიუმში“, № 1, 2000.*

შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა,
ზეცა სივრცეებს აბანზარებდა
და მზე ყვიროდა ქვეყნის ბოლოდან.
შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს,
თუმცა სულ მუდამ ტოტს გცემდა ქარი,
ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები ტანზე გამონაყარი“.

ამ სასოწარკვეთილი გაბედულებით თავისი თავისადმი მიძღვნილ ლექსს ასეც ჰქვია – „ნიკო სამადაშვილს“. და მაინც, ასე მგონია, რომ ნიკო სამადაშვილის მთავარი სატკივარი მის გაორებულ ცხოვრებაში კი არ იყო, მის გაუმზეურებელ ტალანტში, არამედ უფრო შორიდან, მისი ბავშვობიდან მოდიოდა და მთელ მის შემდგომ უიღბლობაში მოისმის ობლის ბალიშში ჩაგუდული ბღავილის გამოძახილი...

ნიკო სამადაშვილი 1905 წლის 19 ივლისს დაიბადა სოფელ ხიდისთავში, გორის მახლობლად. სამი წლისა არც იყო, მამა რომ გარდაეცვალა. დედამ ხელი დაავლო უმცროს ქალიშვილს და ბაქოში გადასახლდა, სადაც ხელმეორედ გათხოვდა კიდეც. პატარა ნიკო კი ბებიის, „ძალო ეკატერინეს“ ამარა დარჩა.

მიტოვებული შვილის გაუნელებელი ტკივილი შეუხორცებელ იარად დაემჩნა ნიკო სამადაშვილის მთელ ცხოვრებას:

„...ბავშვი ობოლი, თოთო, საწყალი,
გუშინ კარდაკარ ეძებდა დედას“.

თავის არსებობას ნიკო სამადაშვილი რაღაც ერთიან მსხვერპლშეწირვად აღიქვამდა, სადაც განგებას მისთვის სწორედ ზვარაკის როლი განემზადებინა:

„აქ შეგეწირე ნეტავი, დედავ,
თავი დამედო და დაგეკალი,
ალბათ, ოდესმე წესს ამიგებდა,
შავი ღრუბლების ცივი წინწკალი“.

ბავშვობიდან გამოყოლილი ცხოვრების შიში, სურვილი ვისმე კალთას ამოფარებისა, „ქვეყნიერების დაგებულ კაკანათს“ რომ გადაურჩეს; ეს შიში, ჭოტის კივილით რომ იწყება და კივილითვე რომ მთავრდება, კაცს თუ დასჩემდა, მას ვეღარაფერი იხსნის. ცოტა ხნით შველა ღვინოსაც შეუძლია, ქალსაც, ლექსსაც, ალბათ, ვარსკვლავიანი ცის ცქერასაც, თუკი ვარსკვლავებს „მარადისობის ჭუჭრუტანებად“ აღიქვამ, ცხადია. მაგრამ,

მხოლოდ ცოტა ხნით...

ობლობის სუსხმა ბავშვის გულის გახევება თუ ვერ მოასწრო, მისთვის მომადლებული შვილობრივი სითბო ვისმე ღვთისნიერს ერგება: ასეთი შვილობრივი გრძნობით უყვარდა ნიკოს თავისი აღმზრდელი „ძალო ეკატერინე“ და შემდგომში კი – მისი მფარველი, უფროსი მეგობარი და მასწავლებელი ერეკლე ტატიშვილი.

ნიკო სამადაშვილის ცხოვრება პარადოქსებითაა აღსავსე: ხომ ყველაფერში უკუღმა ტრიალებდა მისი ბედის ჩარხი, მაგრამ, გორის 1920 წლის საშინელი მიწისძვრა მაინცდამაინც მისთვის აღმოჩნდა იღბლიანი. სასწავლებელი, რომელშიც ნიკო გორში სწავლობდა, მიწისძვრამ დაანგრია და მოწაფეები სწავლის გასაგრძელებლად თბილისის გიმნაზიაში გადმოიყვანეს. სწორედ აქ შენიშნა იგი ერეკლე ტატიშვილმა.

„სამადაშვილი, როგორც პოეტი, ერეკლე ტატიშვილის აღმოჩენაა – იგონებდა აწ განსვენებული პროფესორი გაიოზ იმედაშვილი, – ...ჩვენი მასწავლებელი, მოძღვარი და მეგობარი ერეკლე ტატიშვილი დაბეჯითებით გვიმტკიცებდა, რომ სამადაშვილი არის დიდი პოეტი და საყურადღებოა არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით. ამის გაზიარება მაშინ მიახლოებითაც კი შეუძლებლად მიგვაჩნდა. დრომ გვაჩვენა, რომ ეს დიდი აღიარება უსაფუძვლო არ ყოფილა“.

ნუ დავივიწყებთ, რომ აქ ოციანი წლების დასასრულზეა ლაპარაკი: ამ დროისთვის ნიკო სამადაშვილი ავტორია სულ რამდენიმე ლირიკული ლექსისა, რომლებსაც განდობილთა ვიწრო წრეში კითხულობს: გამოქვეყნებული კი ორადორი ლექსი აქვს გორის რაიონულ გაზეთში „წითელი ქართლი“ – ერთი ლენინზე და მეორე წითელ არმიაზე.

რა იყო აქ მეტი? ოცი წლის ყმაწვილის რევოლუციური ილუზიების ანარეკლი, თუ ფარული პატივმოყვარეობით ნაკარნახევი სურვილი თავისი გვარისა და სახელის გაზეთში ხილვისა? თუ ერთიცა და მეორეც? ასეა თუ ისე, მიამიტური სტრიქონები „წითელი ქართლიდან“ კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ, რაოდენ საფრთხილოა ერთი, ზედაპირული შთაბეჭდილებით პოეტის ნიჭისა და მომავლის განსჯა. მით უფრო დასაფასებელია ერეკლე ტატიშვილის ინტუიცია და ის დაბეჯითება, რომლითაც იგი თავის უმცროს მეგობარს ლექსების გამოქვეყნებისაგან თავის შეკავებას ურჩევდა. როგორც არჩილ სულაკაურმა გაიხსენა, ერეკლე ტატიშვილის სიკვდილის შემდეგ, ნიკოს მაინც უცდია გამოექვეყნებინა თავისი ლექსები, მაგრამ უშედეგოდ...

ის ლექსები, რომელთა დაბეჭდვაც ნიკო სამადაშვილს ასე ეწადა, მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა – გაზეთ „ლიტერა-

ტურულ საქართველოში“ 1967 წლის 28 ივლისს. წინათქმა ეკუთვნოდა თამაზ ჩხენკელს, რომელმაც, საზოგადოდ ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ქართველ მკითხველს გაეცნო და გაეთავისებინა ეს უჩვეულო პოეტი.

ერეკლე ტატიშვილის სიფრთხილე დღეს სავსებით გასაგები ხდება: იგი ხომ სხვაზე უკეთ ხედავდა, რომ სამადაშვილის პოეზიის მაგნიტიზმი პარადოქსულად უკავშირდებოდა მისივე მინუსებს – ლიტერატურული ტრადიციიდან განგდომას, პოეტიკის კანონების არცოდნას თუ არგათვალისწინებას, რაღაც იშვიათ სიჯიუტეს, რომლის გამოც ნიკო ერთხელ უკვე დაწერილ ტექსტს აღარ უბრუნდებოდა...

როგორც ეტყობა, ერეკლე ტატიშვილს ეშინოდა, რომ სამადაშვილის თვითმყოფადობა, ველური წარმოსახვა და განცდის სიმძაფრე უთუოდ დაოკდებოდა და ქვეცნობიერად მაინც აღიარებული ლიტერატურული კალაპოტისაკენ წარიმართებოდა, ნიკოს თავისი ლექსებისათვის მომავალი რედაქტორების თვალით რომ დაეწყო ცქერა. სხვათაშორის, ამის დასტურია სწორედ ამგვარად „გაშალაშინებული“ორიოდე მისი „საიუბილეო ოდა“, რომლის „სიგლუვეც“ დღეს გაცილებით უფრო გეუცხოვებათ, ვიდრე ის გაუმართავი სტრიქონები, კოჟრად რომ ემჩნევა სამადაშვილის არაერთ ლექსს.

ახლა, კვლავ, ნიკო სამადაშვილის სულისშემძვრელ პოეტურ ავტობიოგრაფიას დავუბრუნდეთ:

„მზე გადიოდა ცას ბორანივით.
ტყეში შიშველი ქარი კიოდა.
ლექსს იძახოდა ხიდან ყორანი
ქრისტე მოჩანდა საიქიოდან.
ძლივს ვამშვიდებდი მოქანცულ ჩიტებს.
თვალს მიშტერებდა წარმართის ლოცვა.
ლოდებზე იჯდა გიჟი პოეტი,
კვნესოდა მთების ყრუ გარემოცვა.
დაფლეთილ სხეულს, დაღალულ ფიქრებს,
ახსოვდათ მხოლოდ სიცოცხლე მკვდარი.
საღღაც ეშოვნათ კუბო ჯიბგირებს
და მოეწერათ ზედ ჩემი გვარი!“

ნიკო სამადაშვილის ლექსებში შევხვდებით საუკუნის დასაწყისის დეკადენტური რეკვიზიტისათვის დამახასიათებელ „მკვნესარე ბალდახინებს“, „ქაოსებს“ და „მკრთალ პანაშვიდებს“, მაგრამ თავისი სულის შეშფოთება მან ირეალური სურათების ისეთი წყებით გამოხატა, რომელთაც ფერწერულ ტრადიციასთან მეტი ჰქონდათ საერთო, ვინემ ლიტერატუ-

რულთან.

სამადაშვილი რაღაც უცნაურად უნაცვლებს ერთმანეთს სიკვდილ-სიცოცხლეს: სიცოცხლის სურათში როგორც წესი, სიკვდილის კლანჭია ჩახატული, თვით სიკვდილი კი, ასევე მოულოდნელად, ამეტყველებული და ამოძრავებულია. არის რაღაც სიურეალისტური, როდესაც ცხედარი „სარეცელზე ხვნეშის“, „საკინძის ღილებს იბნევს“ ან „მოთქმით ტირის“. მაგრამ თუკი არსებობს ეგზისტენციალური შიში, შიში არსებობისა, უფრო მაშინ გიჩნდებათ, როდესაც „მსოფლიოს გარეთ პირქვედაგდებულ“ პოეტში ბელინსკის ქუჩაზე დაცემულ უცნობს ამოიცნობთ. როდესაც სამადაშვილის თვალით დაინახავთ დედამიწას – „ბარით გადმოყრილ ქვიშასა და ნაგავს“, „დიდ სასაფლაოს“, „ჯვარცმის შავ დედანს“ კოსმიურ სიბნელეში და სიცივეში გატყორცნილს. გარკეულ მომენტამდე ამ სივრცობრივ მასშტაბს მაინც პოეტურ პირობითობად აღიქვამთ, მაგრამ დგება წუთი, როდესაც თავის მომავალ სამარესთან მდგომი ადამიანის შიში გადმოგედებათ და შეგაჟრჟოლებთ კოსმიური თუ სიკვდილის სუსხისაგან. თვით ნიკო სამადაშვილისათვის, როგორც ეტყობა, ეს შეგრძნება ჩვეული რამ იყო: თავისი დაობლებაც, უმცროსი დის ნაგვიანევი გაცნობის ნაცვლად, მისი უეცარი სიკვდილის ამბავიც, დაპატიმრების მოლოდინიც – ყოველივე ესაა, რომ ათქმევინებს: „ჩემი გაჩენა მიეზღოს ცეცხლად, ვისაც ეს ჩემი იღბალი მართებს“, სიკვდილს რომ ანატრებინებს და თავისსავე შესანდობარს შეასმევს:

„ხე ეკლესიის მათხოვარს ჰგავდა,
თითქოს გულს ქრისტემ ხელი დარია,
შენი ფიქრების ჩრდილთა ტორტმანი
მტრედის სიზმრებში მომიპარია.
რომ ფოთლებიდან მეცქირა დიდხანს,
როგორ მალავდა ცრემლს მეგობარი,
და დამელია ბნელ ღუდხანაში
ჩემი ცხოვრების შესანდობარი“.

ნიკო სამადაშვილის ცხოვრების დრამას თუ დავუბრუნდებით, მისი უიღბლო სტუდენტობაც უნდა გავიხსენოთ: ვერ ჩააბარა საგნები და მეორე კურსიდან გაირიცხა. „ოჯახური უსახსრობის გამო უნივერსიტეტს თავი გავანებე – წერდა თვითონ ნიკო ავტობიოგრაფიაში, – და მოვეწყვე მოანგარიშეთ (გორში მქონდა დამთავრებული საბუღალტრო კურსები). მას აქეთ ვმუშაობ ბუღალტერ-რევიზორის თანამდებობაზე“.

სამადაშვილის რევიზორული მოღვაწეობა ორჯერ შეწყდა იძულებით:

პირველად ომის დროს დააპატიმრეს, – თხუთმეტი წლის წინ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ არალეგალურ წრეს ხელმძღვანელობდიო; მეორედ – უკვე ომის შემდეგ, ამჯერად, მის რევიზორულ საქმიანობასთან დაკავშირებით. ბედად, (თუკი შეიძლება ამას ბედი დაერქვას), ორივე დაპატიმრება, წელიწადზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა.

ნიკო, როგორც ეტყობა, სუფრის კაცი უფრო იყო, ვინემ ოჯახისა და თუკი ჰქონდა კიდეც რაღაც გამორჩენა თავისი რევიზორობიდან, ისევ და ისევ მეგობრულ სუფრას ახარჯავდა: აქ იყო მისი სტიქია, აქ მოეძალებოდა ხოლმე ლექსის თქმის სურვილი, აქ ისმენდა დაფასებისა და აღიარების იმ სიტყვებს, რომლებიც, დროდადრო, ყველაზე თავმდაბალ შემოქმედსაც კი სჭირდება...

ოჯახი ვახსენე: პირველი ცოლი ნიკოს ადრე შეურთავს და ადრევე გასცილებია – ეს ყოფილა ძალზედ ლამაზი ბერძენი ქალი ევა ჩაკალიდი (მათი რომანტიკული მიმოწერაა შემონახული); შემდეგ სადგერში (ბორჯომის მახლობლად) ხანმოკლე მასწავლებლობისას, ოცდათერთმეტი წლის ნიკო მოიხიბლა თავისი თხუთმეტი წლის მოწაფით – მარიამ ამანათაშვილით და ჩამოიყვანა კიდეც იგი თბილისში. მარიამს, ნიკოს სამი შვილის დედას, არასოდეს არ დასცდენია საყვედური, რომ მისი პოეტი მეუღლე მთელი ცხოვრება უბით ატარებდა თავისი პირველი სიყვარულის – მათიკო ამბრიაშვილის სურათს, იმ მათიკო ამბრიაშვილის, ხიდისთავში მშობლებმა არასგზით რომ არ გაატანეს ღარიბ და ობოლ თანასოფლელ ბიჭს.

გულის სიღრმეში მიყუჩებული პირველი სასიყვარულო მარცხის ტკივილი გამოკრთებოდა ხოლმე ნიკო სამადაშვილის ლექსებში, მაგრამ, საზოგადოდ, სასიყვარულო ლირიკა მასთან არ იქცა იმ გამორჩეულ ჟანრად, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება და პირველობა სხვა თემებსა და განწყობილებებს დაუთმო.

ნიკო სამადაშვილმა საკუთარი მითოლოგია შექმნა: წარმართის სითამამით დასეირნობს იგი ბიბლიურ პანთეონში, სადაც, ხან „გოლგოთის მთიდან მორეკილ ღმერთების ჯოგს“ გადააწყდება, ხან „შეშინებულ მოხუც მაცხოვარს“, ხან „გზად მომღერალ წმინდანებს“, ხან „გაბუტულ ღვთისმშობელს“, ხან კი, გაკვირვებულ თვალს გააყოლებს „შეშლილი ღმერთის ცეკვას...“ ის გაშინაურება და ფამილარობა, რაც სხვასთან მკრეხელობად მოგეჩვენებოდათ, სამადაშვილთან რაღაც იშვიათ სითბოს იძენს, ხოლო ბიბლიური და ქართული რეალიების, დროისა და სივრცის ნაზავი, სრულიად მოულოდნელ დამაჯერებლობას:

„წარმართთა ძელებზე იდგა ტაძარი,
ზევით ლეგენდა მიჰქონდათ მთიებს,
ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები
ჰგავდნენ სისხამზე მოკრეფილ იებს.
ვით უკვდავება, წყარო ანკარა
აცისკროვნებდა ირმების ფერდობს.
ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა
და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს“.

და ისევ, ცხადლივ, როგორც ეს ატენის სიონის ეზო, დაინახა ნიკო სამადაშვილმა თავისი საფლავის ბორცვი და თავისი სიკვდილის შემგდომი სიცოცხლე:

„ჩამობნელდება...
მტირალ წნორებს წაუვათ გული.
უკვდავებაა, სიცოცხლეზე რომ ისეირებს.
და მესაფლავე მახინჯ მხარზე ბარგაღებული,
სასაფლაოზე, პურის ჭამით გაისეირნებს“.

ცოცხალ, ბედის უსამართლობით მიწაზე გართხმულ ნიკო სამადაშვილს თავისმა დრომ გულგრილად გვერდზე ჩაუარა. და მხოლოდ მისი სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ, როცა ობოლმა საფლავმა რაღაც უჩვეულო ფერისცვალება იწყო, მოტრიალდა, საფლავის ქვასთან შეჩერდა, თავი დახარა და, როგორც იქნა, ამოიკითხა ნიკო სამადაშვილის სახელი...[1]

## თემო ჯაფარიძე

# კ ე

## *(ტრაღიკული განცდა ნიკო სამადაშვილის პოეზიაში)*

ნიკო სამადაშვილი ტრაღიკული განცდის პოეტია. ეს მისი ლექსების ზერელე გადაკითხვის შემთხვევაშიც იგრძნობა. მაგრამ, გააჩნია ტრაღიკული განცდის ხასიათს. არიან დრამატული მუხტით გამსჭვალული პოეტები, რომელთაც საბოლოო ლიტერატურული შეფასების დროს, მაინც, ლირიკოსს უფრო ვუწოდებთ, ვიდრე ტრაღიკოსს. ნიკო სამადაშვილის პოეზიას არ აკლია ლირიზმი, მაგრამ იგი იმდენად გაჟღენთილია ტრაღიკული მსოფლშეგრძნებით, რომ ალბათ, უფრო ტრაღიკოსად უნდა ჩავთვალოთ, ვიდრე უბრალოდ ლირიკოსად. ყოველ შემთხვევაში, მისი ლირიკა მოითხოვს მუქი ტონალობის ეპითეტს. უმიზეზოდ არ უწოდებს თავად სამადაშვილი თავის თავს ხან „განწირულ პოეტს“, ხან კი „შეშლილ პოეტს“. შეშლილი ამ შემთხვევაში ჩვეულებრივობის წრიდან გადასულობას ნიშნავს და არა ავადმყოფობას. მისი შემოქმედების მკვლევარებიც იძულებულნი ხდებიან ამგვარი ეპითეტით განსაზღვრონ იგი. ხან „დაწყევლილ პოეტად“ მოიხსენიებენ, ხან „ღამის პოეტად“. მართლაც საკმარისია მისი რამდენიმე მეტაფორის გახსენება და ჩვენ ვრწმუნდებით, რომ განსაკუთრებული დრამატული შეგრძნებების პოეტთან გვაქვს საქმე. გავიხსენოთ, თუნდაც თავის ქალის პორტრეტი ლექსიდან „გამხმარი კაცი“ ან მათხოვრის ფიგურა ლექსიდან „უკანასკნელი ქრისტიანები“, ან შედარებით რბილი მეტაფორა ლექსიდან „გადმორბენა სამყაროსკენ“:

„თვალებში იდგა განმარტოებით
სქელი სიბნელე, როგორც ბორანი“.

ან:

„მიწიდან მთები იმას უსტვენდნენ
პირქვე რომ ეგდო მსოფლიოს გარეთ“.

მსგავსი განწყობები ცალკეულ შემთხვევებს არ წარმოადგენენ. ასეთი მრუმე შეგრძნებებით არის გამსჭვალული მთელი მისი პოეზია.

ამ ასპექტით თუ შევხედავთ XX ს-ის ქართულ პოეზიას, ნიკო

სამადაშვილი ყველაზე უფრო ტრაღიკოსად მოგვეჩვენება.

უდავოა, ღრმა დრამატულობა არ აკლია ჩვენი საუკუნის დიდი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პოეტური ესთეტიკის დამახასიათებელ იმ ლიტერატურულ-არტისტულ ინტონაციას, რომლითაც გალაკტიონის შემატყობინებელი „მე“ მეტყველებს, დავასკვნით, რომ მასთან ყველაზე ველური სატკივარიც კი ესთეტიზირებულია. ამის გამო გალაკტიონი უფრო ლირიკოსად (გენიალურ ლირიკოსად) გვევლინება, ვიდრე ტრაღიკოსად. ყოველ შემთხვევაში, მისი დრამატული აქცენტი გარბილებულია დეკორატიულ-ორნამენტული ტიპის ოდებით, სახოტბო ლექსებით, საგრფიალო რომანსებით, რომლებიც უხვად აქვს. შეიძლება ასეთი შთაბეჭდილება იმის გამო იქმნება, რომ გალაკტიონის პოეზია საოცრად მოცულობითია თემატიკის და განწყობის მხრივ. დრამატულობა მის პოეზიაში ერთ-ერთი მოტივია და არა ერთადერთი.

გალკტიონის გენია მხოლოდ იმისთვის მოვიშველიეთ, რომ უფრო კარგად გავუგოთ სამადაშვილს, რომლის ლექსებშიც დრამატული განცდა ერთადერთი მოტივია.

სადაც პოეტური ესთეტიზირება არ ხდება, იქ პოეზია არც არის. არავის არასოდეს არ ჩაუთვლია პოეზიად ადამიანის ტკივილისგან გამოწვეული ღმუილი, ან კვნესა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტანჯვის ინფორმაციას ჭარბად შეიცავენ. პოეზია ესთეტიკის სფეროა. ამ უბრალო ფორმულის გახსენების შემდეგ თუ შევეცდებით გავარკვიოთ, აქვს თუ არა ნიკო სამადაშვილს ლიტერატურულ-არტისტული პოზა, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ნატურალურ და ველურ განცდას მსმენელისთვის ასატანობა და მიმზიდველობა შესძინოს დეკორატივიზმის, ანუ გამხატვრულობის საშუალებით, რა თქმა უნდა დავასკვნით, რომ მას ლიტერატურული პოზიცია საჭირო დოზით გააჩნია. მაგრამ მის მხატვრულ მეთოდს ზედმიწევნით განსაკუთრებული ხასიათი აქვს. უმახვილესი ექსპრესიულობის გამო მისი მეტაფორული სისტემა და საერთოდ მისი ლექსი განუმეორებელი ხდება. თითქოს მხატვრული სიტყვის გამომსახველი ბუნება პოეტის მეთოდის წყალობით ნატურალურ განცდას აორმაგებს. ესთეტიზირება მისთვის ნიშნავს ნატურალური მოვლენის, ან განცდის ისეთ გამახვილებას, როცა პოეტის დრამატული ნერვი დომინანტური ხდება და ჩრდილში მოაქცევს სიტყვაკაზმულობის ესთეტიკურ ხერხებს. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულობა და დრამატიზმი განუყოფლად თანხვდებიან ერთმანეთს, მისი ლექსების მსმენელს ეჩვენება, რომ უწრფელეს და თავზარდამცემ აღსარებას აღიქვამს. ამ მხრივ სამადაშვილის პოეზია პოეტური სმენის ელდის დამცემია. ეს სავსებით არ ნიშნავს, რომ

მის შემოქმედებას აკლია მხატვრულობის ზეიმი, ანუ ის დეკორატიული სიმშვენიერე, რომლის გამოც ყველაზე ძნელად გადასახარში მძიმე განცდაც კი მიმზიდველი და მომხიბვლელი ხდება.

ნიკო სამადაშვილის ლექსის ორიგინალური სიტყვათაწყობა თავისი ძალით გვიპყრობს და არა ჩვენი პოეზიისმოყვარულობის პასიური ძალით. მისდამი ცნობისმოყვარულობის გამახვილება არ არის დამოკიდებული სიტყვის ჩრჩილად ქცეული წიგნისმოყვარე კაცის იმ პროფესიულ ინტერესზე, რომლისთვისაც უმნიშვნელო პოეტის შემოქმედებასთან კავშირი გურმანულია. სამადაშვილის ლექსი იმდენად იზიდავს ჩვენს ყურადღებას, იმდენად გვავსებს, რომ ყველაფერს გვავიწყებს. მხატვრული განზოგადოება რომ აკლდეთ მის ლექსებს, ასე არ მოხდებოდა. არამხატვრულად გამოთქმული ტკივილი მომაბეზრებელ წუწუნს წარმოადგენს და მსმენელს უკუუბიძგებს.

საჭიროა კი ყოველივე ამის აღნიშვნა? ბოლოს და ბოლოს სამადაშვილის თვითმხილებაზე კი არ ვლაპარაკობთ, არამედ მის გარითმულ სიტყვებზე, ეპითეტებზე, მეტაფორებზე და ყოველივე იმაზე, რაც ლექსს ახასიათებს. რაღა საჭიროა კიდევ იმის მტკიცება, რომ ნამდვილად ლექსზე ვსაუბრობთ და არა რაიმე ***ნატურალურზე***. მაგრამ საკითხის ასე დასმის შემთხვევაში ვუახლოვდებით ჩვენ იმ საიდუმლოს, რომელიც პოეტის ესთეტიკას ზედმიწევნით პირადული ტიპის აღსარებად მოგვაჩვენებს. ეს შეიძლება პოეტური ხერხით არც არის მიღწეული. დასაშვებია, რომ აღმსარებლობითი გულახდილობის ინტონაცია ბუნებრივად გამომდინარეობს პოეტის ხასიათიდან. მაგრამ რადგან გულწრფელი გახსნილობის ტონი მხატვრული განზოგადოების კანონებს ექვემდებარება, უფრო პოეზიასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ***ნამდვილ*** აღსარებასთან. ისე რომ, შეუძლებელია სამადაშვილი სიტყვის ოსტატად არ მივიჩნიოთ და მისი ლექსების მთელი სიმდიდრე ***მისი პიროვნების მარტივ გულახდილობას*** მივაწეროთ. მისი მეტაფორების ელასტიური, შეიძლება ითქვას, – ვირტუოზული სირთულე სწორედ სიმარტივის საპირისპიროს გვიმტკიცებს. იგი აზრის და განცდის ისეთ სისავსეს ქმნის არაეფექტურ, რამდენადმე განუსაზღვრელ სტროფშიც კი, რომ შეუძლებელია შემთხვევითი ინტუიტური იმპროვიზაციის შედეგად მივიჩნიოთ. მის პოეტურ იერსახეებს ლიტერატურული მუშაობა ეტყობა, იმ თვალსაზრისით, რომ ჩანს პოეტის ნება: არ იგრძნობოდეს უბრალოდ ტკბილხმოვანება, ან ეფექტური გამოთქმის აბსტრაქტულობა, ან თუნდაც თვით ძლიერი განცდის მომაჩლუნგებელი დახვეწილობა, ანუ სიტყვის არისტოკრატული ნატიფობა. პოეტისთვის, თითქოს ყველაზე ჭეშმარიტი სიტყვაკაზმულობა სიტყვების ისეთი შეყრილობაა, როცა ისინი ყველაზე მთავარს – ადამიანის სულიერ

ღრამას გვამცნობენ, რაც შეიძლება ღრმად და დამაჯერებლად. შეიძლება ამას იგი პროფესიონალურად გამომუშავებული ნებით კი არ აკეთებს, არამედ მისი ხასიათიდან გამომდინარე გემოვნებით და ალღოთი. თავისი მახვილი სახოვანი აზროვნებით ადამიანის სულის ისეთ სიღრმეებში შთავიდა, რომ როგორც ჩანს, არაფრით არ უნდოდა ამ სიღრმეების ლექსთწარმოების სხვა მშვენებების გამოკიდებით მოჩლუნგება. ღრმა განცდის ფორმაში შენარჩუნება არის მისი პოეტური ამოცანა და იგრძნობა, რომ ამაზე განუწყვეტლივ მუშაობს. ეს იმითაც დასტურდება, რომ მის შემოქმედებაში ვერ ვპოულობთ არაფრის გამო, ან მსუბუქი გრძნობით დაწერილ ლექსს.

ე. ი. სამადაშვილის პოეზიის ელდადამცემი ზემოქმედების საიდუმლო, გარდა მისი პიროვნების ღრმა მნიშვნელოვანებისა, პროფესიონალურ ალღოზე და ოსტატობაზეც არის დაფუძნებული. პოეტს თავისი განცდებისადმი სმენის დიდი უნარი გააჩნია და პოეზიისადმი დიდ ტრფიალს არ აძლევს უფლებას, ეცდუნოს ლექსის თხზვის ლამაზი პოტენციებით. ის მხოლოდ იმაზე მუშაობს, რომ თავის ღრმა განცდას შესატყვისი არაკოკეტური ფორმა უპოვნოს.

სიტყვა პოეტიზირება გამშვენიერების, ან გრძნობათა სენტიმენტალური უტრირების სინონიმად იქცა თანამედროვე ყოფაში. მაგრამ გააჩნია პოეზიას ასპექტი, რომელიც არ თავსდება პოეტიზირების ცნებაში. ამ ასპექტით პოეზია აბსტრაქტული აზროვნების ისეთ სფეროდ იქცევა, რომელშიც სახეების საშუალებით ისეთი არსებითი სინამდვილე გამოიხატება, რაც პირდაპირმნიშვნელოვნად არ გამოითქმება. ასეთ შემთხვევაში პოეტური სახეების ურთიერთმონაცვლეობა უსიტყვო ფილოსოფიური ან რელიგიური მსჯელობის ქვეტექსტს გადმოსცემს. შემთხვევით არ არის წარსულის საღვთო წერილები ლექსის სტრუქტურით შექმნილი. საღვთო წერილების კითხვა გალობასთან უფროა ახლოს (ყველაზე მშრალ რეჩიტატივულ შემთხვევაშიც), ვიდრე პროზაულ ლაპარაკთან, რომელიც ყოველდღიური ყოფიერების ჩვეულებრივობას მიესადაგება. ამაში მჟღავნდება პოეზიის ის თვისება, რომლითაც იგი სინამდვილის უკან დაფარულ, სხვა სინამდვილის განზომილების ენას აწარმოებს. პოეზიის გალობის კუთხით დანახვა ჩვენ დაგვეხმარება მივხვდეთ, რას წარმოადგენს პოეტიზირება ნიკო სამადაშვილისთვის. ნიკო სამადაშვილი სინამდვილის ან შეგრძნების პოეტიზირებას კი არ ეწევა, არამედ თავისი სულიერი დრამის, ფიგურალური მნიშვნელობით, გალობას თხზავს. პოეტური ფორმალიზმის ასეთი მკაცრი საზღვრების დაცვა იმდენად რთული და ძნელია, რომ სამადაშვილის ლექსის ფორმის შეფასების დროს ინტუიტურ უნარს და მოუხეშავ პოეტიკას უფრო ხედავენ, ვიდრე ლექსის ოსტატს. როცა ნიკო სამადა-

შვილის ლექსს კლასიკური ლექსის ნორმებს სთხოვენ, მხედველობიდან გამორჩებათ ხოლმე თანამედროვე ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ფორმის ინდივიდუალისტური პრინციპი,რომლის მეშვეობითაც პოეტი თავის ავტონომიურ შემოქმედების სახეს აგებს. კლასიკურ გამართულობამდე რომ მიეყვანა სამადაშვილს თავისი ლექსის სტრუქტურა, დაკარგავდა ქართულ აქცენტს, რომელიც განსაკუთრებულ ინტიმის ტონს აძლევს მის ბობოქარ და სახოვან ხილვებს. გარდა ამისა მისი ლექსიდან გაქრებოდა ერთ-ერთი ინდივიდუალისტური ელემენტი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოეტი პროფესიონალური ნების გარეშე, ანუ უნებლიედ ***აკეთებდა*** ისეთ ფორმას, როგორიც გამოსდიოდა, სწორედ და მხოლოდ და მხოლოდ ამ ფორმის საშუალებით ვეცნობით მდიდარ და ღრმა პოეზიას.

სწორი არ ვიქნებით თუ ძლიერი ინდივიდუალობის გამომხატველ ასიმეტრიულ სახეს ძვ. ბერძნული ქანდაკების კლასიკურ სიმეტრიებს მოვთხოვთ, ისინი ხომ ინდივიდუალობის ნიშანსაც კი არ შეიცავენ.

ხელოვნების ისტორიაში არსებობს ასეთი ფაქტი: 1950 წ. დაწერილ წიგნში „მანედან ლოტრეკამდე“ ცნობილი ხელოვნებათმეცნიერი ლიონელო ვენტური ვინსენტ ვან გოგისადმი მიძღვნილ ესსეში ეხება ხელოვნებაში მხატვრული განცდის ობიექტივაციის რთულ საკითხს. იგი რამდენადმე კრიტიკულად აფასებს ვან გოგის მხატვრულ მეთოდს, რომელშიც ფოვიზმის ჩასახვა უფრო დაინახებოდა, ვიდრე იმპრესიონისტული ოპტიკური ვირტუოზობა. ედუარდ მანესადმი თაყვანისცემით გამსჭვალული ვენტური „ფრანგული ფერწერის ნატიფობას“ სთხოვს ვან გოგის თავშეუკავებელ სიველურეს ფერთან დამოკიდებულებაში. ჭეშმარიტ ხელოვნებას იგი ხედავს იმ შემთხვევაში, როცა მხატვრული განცდის სრული ობიექტივაცია ხდება, ე. ი. ფერწერულ ნაწარმოებში მისი შეხედულებით არ უნდა ჩანდეს მხატვრის ჭარბი ემოციურობის ნიშნები, სუბიექტური თვითგამოხატვის ფორმალური ელემენტები. იგი აპირისპირებს ერთმანეთთან სინამდვილის ობიექტური ასახვის ***პრინციპს*** და თვითგამოხატვის ინდივიდუალისტურ ***პრინციპს***. ასეთ ობიექტივაციას, ანუ მხატვრული განცდის აუცილებელ გასაგნებას, იგი ხედავს ვან გოგის „მზესუმზირებში“. ვენტური თვლის, რომ „მზესუმზირებში“ვან გოგი მაყურებელს არ აწუხებს თვითგამომხატველი ემოციებით. ვენტური ბრწყინვალედ განმარტავს „მზესუმზირების“ მხატვრულ რაობას, მაგრამ აკრიტიკებს მხატვრის ისეთ ტილოებს, რომლებშიც ვან გოგი უფრო თავის ემოციებს გამოსახავს, ვიდრე ობიექტურ სინამდვილეს.

დრომ დაამტკიცა,რომ თვითგამოხატვის პრინციპი თანამედროვე ფსიქიკის ადამიანისთვის უფრო მეტყველი და აქტუალურია, ვიდრე

სინამდვილის ასახვის პრინციპი. ფოვიზმი (ფოვ – ველური) ისეთივე და არანაკლები მხატვრული ინფორმაციულობის ენაა, როგორც იმპრესიონიზმი. თვითგამოხატვის პრინციპი თანამედროვე ხელოვნებაში წამყვანიც კი გახდა. მან უკიდურესი და აბსტრაქტული ფორმებიც კი მიიღო. დღეს ვან გოგის პლანეტებიანი ცის ველური და თავზარდამცემი დინამიზმი სავსებით მიესადაგება ობიექტივაციის ექსპრესიონისტულ და ფოვისტურ კანონებს. „მზესუმზირებზე“ არანაკლები სიყვარულით სარგებლობენ ვან გოგის უხეში „ფეხსაცმელები“„სკამი ჩიბუხით“„კიპარისები“, „ოქროსფერი მღელვარე ყანები“ და სხვ.

თუ სამადაშვილის ლექსებში ადამიანებივით მფშვინავ დიდ სივრცეებს, კლდეებს და პლანეტებს გავიხსენებთ, გაგვაკვირვებს ვან გოგის კოსმიურ შეგრძნებებთან ნათესაობა.

ეჭვს არ იწვევს, რომ სამადაშვილის პოეზია თვითგამოხატვის პრინციპით უფრო იხსნება, ვიდრე სინამდვილის ასახვის ნორმებით. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნული სტრუქტურით მისი ლექსი ტრადიციული ლექსის ქარგას იმეორებს, საბოლოო შეფასებით იგი უფრო ექსპრესიონიზმის, სიურრეალიზმის და ინტელექტუალური ნაივობის კანონზომიერებათა სინთეზის პოეტია.

სხვა სამადაშვილი არ არსებობს და რადგან მისი ლექსებიდან დიდი პოეტური ძალა მოდის, ფრთხილად უნდა შევაფასოთ ფორმა, რომელიც ამ დიდ ძალას გვამცნობს. ეს ფორმა ერთადერთი პოეტური ფენომენია (და სხვა არაფერი), რომელსაც ნამდვილი პოეზიის წიაღში შევყავართ. თუკი ასეა, პატივი უნდა ვცეთ მას. ალბათ შეუძლებელია სუსტმა, გაუმართავმა ფორმამ ძლიერი პოეტური სული გამოამჟღავნოს.

წავიკითხოთ ლექსი „შუქზე“:

„შენ კითხულობდი უიღბლო ლექსებს
თხელი მკერდის ქვეშ გტკიოდა გული,
ხან გასცქეროდი მთვარიან ქედებს
როგორც ფრინველი გზადაკარგული.

შუქი ბაღს რწყავდა. ცის მყუდროება
თითქოს მოჰქონდათ ღამურებს, ბუებს
და ჭრიჭინები ორღობეებთან
უძახდნენ ხნიერ გამოქვაბულებს“.

ამ ლექსს არ აკლია ნატიფობა. „თხელი მკერდი“ მართლაც ანატიფებს ტკივილს. „უიღბლო ლექსებში“ კი მხატვრული განზოგადოების ეთიკურობით მთელი ეპოქის უკუღმართობა, ტოტალიტარული რეჟიმისაგან

გამოთაყვანებული მასების მხრიდან ძლიერი შემოქმედებითი ინდივიდის ვერგაგება არის გამოხატული. და მაინც, ამ ლექსის მთავარი ხიბლი ნატიფობაში და ეთიკურობაში არ მდგომარეობს.

ის რომ ჭრიჭინები ხნიერ გამოქვაბულებს უხმობენ, ლექსის ძირითად აქცენტს ქმნის. ეს მეტაფორა განცდის და აზრის ისეთ სიმსუყეს ქმნის ლექსში, რომ ნაკლებად გვაინტერესებს ლექსის სხვა მშვენებები. აღარ არის საინტერესო ოსტატურად გამართულია თუ არა რითმები, ნატიფია თუ არა სტრიქონთა წყობა და სიტყვების განლაგება. ბოლო ორი სტრიქონი „თხელ მკერდთან“ და „გზადაკარგულ ფრინველთან“ შეთანხმებაში ორღანის უნისონივით გუგუნებს ჭრიჭინათა ვიოლინოების ფონზე. „ხნიერი გამოქვაბულები“ უძველესი ჭეშმარიტებების ნაღვლიანი გარინდებით წარსულის დიად სივრცეს უქმნიან პოეტის სიმარტოვეს და ჭრიჭინებიან პეიზაჟს. ოდესღაც ამ გამოქვაბულებში წმინდა ბერები თვითგვემის ფასად აშენებდენ ღმერთზე თავიანთ წარმოდგენას. სწორედ ამ ტანჯვებს და წარმოდგენებს ენათესავება „გზადაკარგული ფრინველი“, იმიტომაც არის გზადაკარგული.

ლექსი ფორმალურად კოჭლიც რომ იყოს, სწორედ ამგვარი კოჭლობა აღმოჩნდებოდა პოეზიის უპირატესობა ამ ლექსის შემთხვევაში. მაგრამ ლექსი კოჭლი არ არის. ოდნავ მეტი ტკბილხმოვანება და დახვეწილობა კი ყურადღებას განფანტავდა და გააზერელებდა აზრის და განცდის სიმდიდრეს. სწორედ ამ აუცილებელი, შინაგანი სიმდიდრის შემომნარჩუნებელი ფორმის ოსტატია ნიკო სამადაშვილი.

არის კიდევ ერთი ასპექტი, რომლის გაგებაც ჩვენ კიდევ უფრო დაგვარწმუნებს იმაში, რომ სამადაშვილის პოეზიას სწორედ ისეთი ფორმა აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს. ლექსში „შეხვედრები დღის ბოლოს“ ასეთი სტროფია:

„საუკუნეთა გამხმარი ტევრი
ძვლების ნამქერზედ მოყვება ზუზუნს,
დაქვავებული იქნება მტვერში
ბავშვის თითებში გამშრალი ძუძუ“.

შესაზარი წინასწარმეტყველების ასოციაციას იწვევს ამ სტროფის სახოვანება, ასეთი მძაფრი სახოვანი აზროვნება დამახასიათებელია სამადაშვილისთვის. იგი მართლაც ჰგავს წარსულს წინასწარმეტყველთა პირგამეხებით გამოთქმულ სისხლიან სიმბოლოებს. უმართებლოა ასეთი ტიპის პოეზიას მოვთხოვოთ ფორმის ზედმიწევნითი გამართულობა, რადგან მასში სახეების მისტერიები ქმნიან პოეზიას და არა აკუსტიკური

რიტმიკა. ნატიფობა ასეთ შემთხვევაში ან ზედმეტია, ან მეტაფორების მძვინვარე ძალაში უნდა დავინახოთ. ჭარბი ექსპრესიულობის გამო ამ ტიპის სახეები ექსპრესიონიზმის ჩარჩოებში აღარ თავსდება,რადგან სიურრეალისტური კოშმარის ნიშნებს იძენენ.

ადამიანის შინაგან სამყაროში არის სიღრმეები, რომელთა პროფესიონალური მჭერმეტყველებით და შეუწყვეტ რატრატით გამოთქმა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში ადამიანი მიმართავს სახოვან აზროვნებას, იგავს, სიმბოლოებს. ასეა რელიგიაში, მხატვრობაში, მუსიკაში, პოეზიაში. სახოვანი აზროვნების სანიმუშოდ გავიხსენოთ „გამოცხადება იოანესი“, თავი XII: „დედაკაცი შემოსილი მზით; ბავშვი; წითელი დრაკონი“: „დრაკონი კი დადგა დედაკაცის წინ, რომელსაც უნდა ემშობიარა, რათა, როცა შობდა, გადაეყლაპა მისი ბავშვი“. იოანე სახე-სიმბოლოს საშუალებით გამოთქვამს მისტერიას, რომელიც მომავალში უნდა მოხდეს. ამ სახე-სიმბოლოში ნაგულისხმევი სინამდვილის პირდაპირმნიშვნელოვნად გამოთქმა შეუძლებლად მიაჩნია. გამოსათქმელია ეზოთერული საიდუმლო, რომელიც ისტორიულ სინამდვილედ როცა იქცევა, შეიცვლება მიწის ბედი. მაგრამ სამადაშვილის ზემოთ მოყვანილი სტროფი და მსგავსი ხილვები მის პოეზიაში პოეზიაა და არა წინასწარმეტყველება. ამიტომ სტროფის სახოვანების წინასწარმეტყველურ მანერას წმინდა მხატვრული საზომებით ვაფასებთ, რის შედეგადაც სიურრეალისტურ მეთოდს ვაფიქსირებთ.

პოეტური წარმოსახვის ძალა, ალბათ, იმაში მდგომარეობს, რომ გამონაგონი სახე ხატ-სიმბოლოდ გვევლინება და მათი განცდით ისეთ სინამდვილეს განვიცდით, რომელიც სხვაგვარად ვერ გამოითქმება. ეს დაფარული სინამდვილე „ტყუილ“, გამონაგონ სახეებს ახლავს განუსაზღვრელად, ევფორიულად. მისი კონკრეტულაზრიანობაზე მინიშნება გამონაგონის ხატოვან ხდომილებაშია ჩაქსოვილი. იგი მკითხველის შეგრძნებაში გამოძახილს პოულობს. მაგრამ მკითხველი ანგარიშს აძლევს თავის თავს. ილუსტრაციისთვის მოვიყვანთ ორ სტროფს ლექსიდან „ღია ბარათი“:

„რა გენაღვლება, შენს კარმიდამოს
თრთვილივით ედოს პოეტის ნიჭი.
თუ უკვდავებამ საღმე მიკითხოს:
„ნეტა სად არის ეხლა ის ბიჭი?“

მოუყევ, ქარებს გადაჰყვა ღამე.
რაღაც საოცრად წაიმხედრულა,
ორჯერ იკივლა სამყაროს გაღმა
და უკან აღარ დაბრუნებულა“.

მკითხველისთვის გასაგებია, რომ პოეტის ნიჭის დრამატულობა თავისებურ ელფერს მისცემს, მოსუსხავს კარ-მიდამოს, მაგრამ უკვდავება არ იკითხავს გადაკარგულ „ბიჭს“, რომელმაც სხვაგვარი მღელვარებით იბობოქრა, ანუ „საოცრად წაიმხედრულა“. უკვდავების ხასიათი განუსაზღვრელია: სულის უკვდავებაა თუ პოეტური სიტყვის საუკუნო მნიშვნელოვანება? სამყაროს გაღმიდან არ დაუკივლია გადაკარგულ პოეტს არც ორჯერ, არც ერთხელ. იქიდან უკან დაბრუნება კი მართლაც შეუძლებელია. მაგრამ მკითხველმა ისიც იცის, რომ ის აბსტრაქტული სინამდვილე, რომელიც გამონაგონს ახლავს უსიტყვოდ, საგანივით არ ძევს სადმე და არც დაინახება. ის (სინამდვილე) მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ამ სტროფების სიტყვები სწორედ ისეთი თანამიმდევრობით შეიყრებიან ერთად, როგორც მოცემულია. პოეზიის საიდუმლო ძალა იმაშია, რომ შემოთავაზებულ გამონაგონში ტყუილი განცდებით განიცდება რაღაც ზედმიწევნით ნამდვილი. ეს არის გალობად ქცეული ღრმა ჩაფიქრება სიკვდილის შეუვალობაზე, მასში შეხედვის ნატანჯ ძალისხმევაზე, მიწიურის წარმავალობაზე, მიღმური და სააქაო სივრცეების გაერთიანების მტკივნეულ ცდაზე, პოეტის ნიჭის დრამატულობაზე, უკვდავების გარინდებაზე. ამ უკანასკნელს განსაკუთრებით გვაგრძნობინებს ის, რომ ლექსში მამასავით იკითხავს: – სად არის ის ბიჭი?

სიტყვების აკუსტიკური რიტმიკის პრინციპზე აგებული პოეზიისგან განსხვავებით სამადაშვილის სახოვანი აზროვნების პრინციპზე აგებული პოეზიის ნატიფობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სახეების საშუალებით ისეთ პოეტურ განსაცდელს ქმნის, რომელშიც მისი სულის ფსკერზე მთვლემარე ენით გამოუთქმელ სინამდვილეს განვიცდით განუსაზღვრელად. რა კრიტერიუმით ვაფასებთ ხოლმე ხელოვანის მხრიდან ადამიანის რაობის საიდუმლოებებში ღრმა წვდომას? ალბათ, უპირველეს ყოვლისა ხელოვანის მიერ თავისი შინაგანი სამყაროს სიღრმეებში ჩაწვდომის უნარის შეფასებით. ამ ასპექტით სამადაშვილი გვევლინება თავის სულიერი ხდომილების გამოხატვის ოსტატად. რა პოეტური ნიშნით ვგრძნობთ ამას? სამადაშვილის წარმოსახვებში გამონაგონი სახეების მძაფრ მისტერიებს უსიტყვოდ ახლავს ის სინამდვილე, რომლებშიც პოეტმა თვითჩხრეკვისა და ტანჯვის ფასად ჩაიხედა. აქ საუბარი არ არის მისი პოეზიის ისეთ თემებზე და მოტივებზე, რომლებიც თვიანთი კონკრეტულობის გამო, ობიექტურად საცნაურია, ვთქვათ: ქრისტიანული მრწამსის თემა, წარმავალობით დაუკმაყოფილებლობის თემა, ბავშვობის მოგონების მოტივი და სხვ. საუბარია ისეთ სახოვან მეტაფორა-გამონაგონებზე, რომელთა უკანაც პირდაპირმნიშვნელოვნად ვერგამოსათქმელი ღრმა სულიერი სინამდვილე

იგულისხმება. დაფარული სინამდვილე რომ ახლდეს გამონაგონ სახეებს, მაშინ მათი სერიოზულად განცდა ფუჭი თამაში აღმოჩნდებოდა. სწორედ შინაგანი, განუსაზღვრელი სინამდვილის თანდასწრება განგვაცდევინებს ხატოვან „ტყუილს“, გაორმაგებული სინამდვილის შთამბეჭდავობის ძალით. ლექსში „სინანული“ პოეტი ამბობს: „ქვესკნელს შემასხი მარადისობავ, რომ კიდევ შენსკენ გამოვტრიალდე“. აქ სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრის ისეთი ღრმა მნიშვნელობებია ელასტიურად და რთულად შეკუმშული, რომ მათი გაშიფრვის შემთხვევაში ჩავახშობდით იმ დაფარულ სინამდვილეს, რომელიც მხოლოდ ინტონაციაში იგრძნობა, მაგრამ პოეტი განაგრძობს:

„ჩემი გაჩენა მიეზღოს ცეცხლად,
ვისაც ეს ჩემი იღბალი მართებს,
თითქოს ეს გული ამოურეცხავთ
ღვიით და სარცხით შიშველ წარმართებს“.

როგორი თამამი, თითქმის უტიფარი სიყვარულია განგების მიმართ. ალბათ, პირდაპირმნიშვნელოვნად არ უნდა გავიგოთ წყევლა. მისი საშუალებით პოეტი თავის აუტანელი ცხოვრების სიმძიმეს ხატავს. წარმართების მიერ პოეტის გულის პრიმიტიული და უხეში საშუალებით „ღვიით და სარცხით“ რეცხვა შეიცავს დაფარულ მნიშვნელობას, რომელშიც ან გულის სიწმინდის და შინაგანი ცხოველის ჭიდილი უნდა ვიგულისხმოთ, ან ქრისტიანი ადამიანის კომუნისტურ წარმართობაში მტკივნეული ყოფა, მაგრამ დაკონკრეტება ამცირებს დაფარული სინამდვილის მასშტაბს, რადგან იგი მრავალმნიშვნელადია. რთულ შეგრძნებათა პოეტური ფორმების მისტერია გრძელდება:

„წავალ, ჩამყვება უსინდისობა.
სამყარო ჩემ ქვეშ ნიადაგ მიჰქრის,
მიწიდან ხალხი ამოცვინდება,
შემოღამებულ სივრცეებს იქით.

ეკლესიის წინ ილოცებს გველი,
საკმევლის სუნი გამოვა გარეთ,
რამდენი შფოთვა ვასხურეთ ნაღველს,
ღმერთო! რამდენი ვიმგლოვიარეთ“.

შეუძლებელია მეტაფორების და გამონაგონების ამ ნაკადში, მხოლოდ ეფექტური ექსპრესიულობის დანახვა. აქ იმდენი დაფარული მნიშვნელობაა, თითქოს ადამიანისთვის ყველაზე არსებითი სინამდვილის უსხეულო ბუნებას ვეხებით. ამ სტროფების ღრმააზროვნების დასადასტურებლად

ისიც კმარა, რომ პოეტი სინდისიერად „უსინდისოდ“ მოიხსენიებს თავის თავს. ანდა წარმავალობის გამომხატველი სტრიქონიც კმარა: „სამყარო ჩემ ქვეშ ნიადაგ მიჰქრის“. მაგრამ ლექსში ამ მნიშვნელობებზე გაცილებით მეტია გამოხატული. პოეზია ისეთი განსაცდელია, რომლის აზროვნებაც უნდა ვიგრძნოთ. დაფარული მნიშვნელობების გაშიფვრა იგივეა რაც ლექსის „ღვიით და სარცხით“ რეცხვა.

ისე, რომ ნიკო სამადაშვილი არავითარ შემთხვევაში არ არის ლიტონი ეფექტების პოეტი. მისი მეტაფორული სისტემა და ფორმალური ლოგიკა მრავალმნიშვნელადია. თავად სამადაშვილისებურად რომ ვთქვათ, მეტაფორები ის „ჭუჭრუტანებია“, რომლებიც ღრმა მნიშვნელობების სინამდვილეს აგვიხელს (ერთ-ერთ ლექსში იგი ვარსკვლავებს „მარადისობის ჭუჭრუტანებს“ უწოდებს). ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ პოეტის მეტყველების მანერას გააჩნია მხატვრული დაინტრიგების უნარი. მხატვრული დაინტრიგების ელემენტში თუ თვისებაში ვგულისხმობთ ძალას, რომელიც მკითხველს პოეტის მიერ გამოთქმული მეტაფორისადმი ისეთი დაინტერესების ჟინს წარმოუქმნის, რომელიც აუცილებელია მეტაფორის მიღმა დაფარული სინამდვილის შესაგრძნობად თუ გასაშიფრად. სააზროვნო და განსაცდელ საკითხთა და მნიშვნელობათა საინტერესოების ასპექტით გამოხატვა შეუძლებელია, თუ პოეტს პიროვნულად არ გააჩნია არსებობის ყველაზე არსებითად განმსაზღვრელი თავისთავში ყოფა. აქედან გამომდინარეობს მხატვრული დაინტრიგების ძალა. მაგალითად ლექსში „ატენის სიონი“ პოეტი ასეთ მეტაფორას გვთავაზობს:

„საიქიოდან წუთისოფელი
როგორც მამალი ისე ყიოდა“.

შეუძლებელია ამ რთული სახით არ დავინტრიგდეთ. რაღაც ზედმიწევნით რთულს განვიცდით და გვაინტერესებს რა ხდება. გვინდა გავიგოთ სააქაო მამალივით რატომ ყივის საიქიოდან. უთუოდ გამონაგონთან გვაქვს საქმე, რომელიც ან აბსტრაქტულ სინამდვილეს გულისხმობს განუსაზღვრელად, ან რაღაც სიმბოლოზე მიგვანიშნებს. როგორც არ უნდა იყოს, ამ წარმოსახვას მხოლოდ პოეტურ ექსპრესიად ვერ მივიჩნევთ. ჩვენ დაინტრიგებული ვართ მარადისობის საუფლოდან წუთისოფლის ყივილით და გვსურს ჩავწვდეთ რომელ სულიერ რეალობას გვიხატავს პოეტი ამ „ტყუილით“. შეიძლება ვერ გავშიფროთ ეს რეალობა, მაგრამ ჩვენი მკითხველური განცვიფრება განუსაზღვრელად განიცდის მის სიღრმეს და მნიშვნელობას. მეორეს მხრივ – მეტაფორა ისეთ კონტექსტში იმყოფება, რომ უეჭველად ქრისტიანულ საიდუმლოებებს

გულისხმობს. კერძოდ, ქრისტეს აღდგომით წუთისოფლის აღდგომას მარადისობის სასუფეველში.

გარდა განუსაზღვრელი ღრმააზროვანი შინაარსისა, სამადაშვილის პოეზია აზრმიცემულია უნივერსალურ მნიშვნელობამდე აყვანილი კონკრეტული თემებით, საკითხებით და მოტივებით: ქრისტიანული ტრადიციის მდგომარეობა ქართული წყობიდან გამოსული ტაძრების ფონზე. ქრისტიანული მრწამსის კრიზისი თანამედროვე რთული ფსიქიკის მქონე ადამიანში. რწმენადაკარგულობის დაბნეულობა, უგზოობა და სინანული, თავისუფლად აზროვნების საფუძველზე მარადისობის ფორმის ამაო ძიება. ყოველივეში წარმავალობის ხედვის ტკივილი, ყოფიერების კრიტიკა თვითკრიტიკის მეშვეობით. ეპოქის ყალბი სულისკვეთების და საყოველთაო დინების წინააღმდეგ წასვლა. ასეთია თავისუფლების დრამატულობა. სიმარტოვე. თანამედროვეთაგან ვერდანახული შემოქმედის ობლობა და განწირულობა. სიკვდილზე განუწყვეტელი ფიქრი. ყალბი ორიენტაციით გაწარმართებული სამშობლოსგან გაუცხოვება. ჭეშმარიტი მშობლიური კულტურის სატკივარების შემოქმედის მეობაში განპიროვნებება:

„წმინდანებს ღვიძავთ... ანთებული ლოცვები დამაქვს,
ვით ნაწვიმარი მთების ზვავი – გულის ნაქარი.
მარტოდ მივარდნილს პოეზიის გერი დამარქვეს,
თითქოს ჩემს მრწამსში არ ღვიოდა გუდამაყარი.
მეც მათრთოლებდა წინაპართა ძეგლების სუნთქვა,
მუდამ მინდოდა, რომ იმათი ხვედრი მეწვნია,
რომ ეს სიცოცხლე ოშკის ხატში მზვარათ შემეთქვა,
და ჩემი სისხლი სვეტიცხოველს ამოერწყია“.

*(„სიმღერები გამოქვაბულიდან“)*

პოეტს თითქოს გაცნობიერებული აქვს თავისი შემოქმედებითი მისია, როცა მიგვითითებს რომ სურს თავისთავში განაპიროვნოს საქართველოს ბედი. მისი პოეზიის იდეური მიზანდასახულობა თანამედროვე ადამიანის რაობის ულმობელი განხილვა და მისი სამყაროში ადგილის მოძიებაა. თუ ჩავთვლით, რომ მის ეპოქაში ჭეშმარიტი ქართული კულტურის საკაცობრიო დონის ამოცანა ამაში მდგომარეობდა, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეტმა მართლა განაპიროვნა თავის შემოქმედებით „მე“-ში საქართველოს სატკივარები. ქართული კულტურის წიაღში სამადაშვილის პოეზია მართლაც არის ღია ჭრილობა, „სისხლის ამორწყევა“ – როგორც თვითონ პოეტი ამბობს ყველა ეს თემები და მოტივები ჩამონათვალში მშრალი კლინიკურობით, უმოქმედო პლასტიკურობით გამოიყურებიან. სამადაშვილთან მათ ცხოვრებისეული ფშვინვა აქვთ შეძენილი. ისინი პოეტის სულიერი ხდომილებებია და როცა პოეტი

მათ მძაფრად განსაცდელი სახოვანებით გამოხატავს, ისინი ყველაზე არსებითი ყოფიერების მოდუსებად გვევლინებიან. ამაშია, ალბათ, პოეზიის ძალა, იგი ცხოვრებასავით ფაქტიურ არედ გარდაქმნის თავისთავში მყოფ უმოქმედო იდეებს. ეს თემები სასიცოცხლო ნერვს სამადაშვილის ქართლთან და თბილისთან ურთიერთობაში იძენენ. ქართლის პეიზაჟები, ტაძრები, ადამიანები, მეგობრები: ერეკლე ტატიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, თამაზ ჩხენკელი, ახლობლები: დედა, ძალო ეკატერინე, ანონიმი მეძავი და მესაფლავე, მათხოვარი, შვილი თამაზი, საქართველო ხან დედასავით სათნო, ხან დედინაცვალივით უცხო, ქრისტე, ღვთისმშობელი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი პოეტის სახოვანი აზროვნების ის ძირითადი ელემენტები არიან, რომელთა საშუალებითაც განყენებული იდეები და სააზროვნო მოტივები ყოფიერების ფაქტებად გარდაიქმნებიან.

საოცრად გამოიყურება ქართლი თავისი „ჩვენებური“ პეიზაჟებით, ეკლესიებით, სახლებით, კარ-მიდამოებით, ადამიანებით და სიტყვით კოსმიური პლანეტების გრიალის ცენტრში. იგი შეკუმშული მიკროკაცობრიობასავით აღიქმება. სამყაროს უზარმაზარი სივრცეები ქართლური განწყობილებების შესაბამისად რომ ფშვინავენ და ამ სივრცეებიდან ვიღაც „მისანი“ რომ ჩამოირბენს ხოლმე დედამიწისკენ, ქართლი ღვთაებრივი მისტერიების ცენტრს ემსგავსება. თითქოს აქ წყდება კაცობრიობისთვის დასაბამიდან დღემდე მისასწრაფი მოვლენა: გასცემს თუ არა ღმერთი ადამიანს ხმას. სიკვდილის და წარმავალობის საზომები ძვლები და თავის ქალები უარის უიმედობას ქმნიან ადამიანის მარადისობაში გახედვის პასუხად. მოჩვენებები, მკვდრები „ხელს იშვერენ“ ქართლ – კაცობრიობისკენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს არსებითი ყოფიერება აქ ხდება, თითქოს ქართლია ის ქვეყანა, რომელიც კოსმოსმა მილიარდი წლების ღვაწლის შედეგად შექმნა. თითქოს ადამიანური ყველაზე რთული და ყველაზე მარტივი გამოვლინებები შეყრილია აქ პარადოქსულად და აუხსნელად. აქ არის ღმერთის დასანახი „მოდარაჯე თვალი“ და აქ არის სამყაროს დაწყევლის სიანჩხლე. ასეთი გრძნობა, ალბათ, იმიტომ რჩება რომ პოეტს დიდი უნარი აქვს მისცეს ჩვეულ საგნებს არსებობის უნივერსალური სისავსე. სამყაროს ძალთა თავის გარშემო ცენტრალიზების საშუალებით, სამადაშვილის ქართლი პირველადამიანიდან ბოლოადამიანამდე ისტორიული დროის ასპარეზია. ქართლის სამყაროში ეს იშვიათი განვრცობილება ისეთ ღრმა აზრებს ეფუძნება, რომ შეუძლებელია პოეტის შემოქმედებაში მხოლოდ მახვილი ექსპრესიული გამოთქმების ეფექტები დავინახოთ.

ყველა თბილისელისთვის ქართლი ალბათ, სამადაშვილისებურად

ჩვენიანია. აქ ქართლის თბილისთან გეოგრაფიული სიახლოვე არ არის გადამწყვეტი. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ქართლი ქართული კულტურის მაგარი ბირთვია. არმაზი, სვეტიცხოველი, ჯვარი, ზედაზენი, უფლისციხე, სამთავისი, წრომი, ატენის სიონი, შიო მღვიმელის კომპლექსის თავზე წამომართული კლდის გამოქვაბულები, ყინწვისი და სხვა მრავალი ძეგლი, თვითონ თბილისი თავისი ანჩისხატით და მთაწმინდით იმის მოწმობაა, რომ აქ იყრის თავს ქართული კულტურა. აქ აგებს გზებს კაცობრიობის სხვადასხვა კულტურებთან, აქ წყდება საქართველოს არსებობის მიზეზთა საკითხები. რა თქმა უნდა, ქართლის ასეთმა ხასიათმა ხელი შეუწყო სამადაშვილს სამყაროს ძალთა ცენტრალიზებაში. მაგრამ იმ ეპოქაში როცა პოეტი ლექსებს თხზავდა, ქართლი ნანგრევს უფრო ჰგავდა (როგორც დღეს), ვიდრე წარმატებული კულტურის ზეიმურ ნაგებობას. ნანგრევები თავისი ღირებულებათა წარმავალობის სევდით ასევე ჩვენიანურად შეიჭრა სამადაშვილის პოეტურ განცდაში. ე. წ. ქართული სევდა, რომელიც ქართველი კაცის თვითეულ საქციელში და გამოხედვაში, სიმღერაში და შემოქმედებაში იგრძნობა, განუკურნელი სენივით ჭირს ყველა იმ ადამიანს, ვინაც ქართულ კულტურას გაიხდის თავის სამშობლოდ, თავისი პიროვნების ჩამოყალიბების საფუძვლად. სად უნდა შეეფარებინათ თავი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს, ქართლს, ქართულ კულტურას თავი იმ ხანებში, როცა სამადაშვილი წერდა. პოეზიაში ყველა დანარჩენმა და კულტურის სხვა დარგებში მაქსიმალურმა უმეტესობამ ქართული კულტურის მთავარი გეზიდან გადაუხვია, თვითგაუცხოვდა, უცხო ილუზიებს სცა თაყვანი, გადაგვარდა. მხოლოდ რამდენიმე პიროვნება ბედავდა დარჩენილიყო ქართული კულტურის წარმომადგენელი. ჩვენი საუბრის კონტექსტში,პრინციპით და არა მასშტაბით, ქართული კულტურა საკაცობრიო კულტურის იდენტურია, რადგან იგი ადამიანის შინაგანი რაობის ჭეშმარიტ გამოვლინების ხარისხს გულისხმობს. სად უნდა ეგლოვა ქართულ ჩვენიანობას თავისი (კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმისგან) უარყოფა, დევნა, უმოსარჩლოდ მიგდება მსოფლიოს ისტორიისთვის უცნობ სივრცეში – დავიწყების სანაგვეში. სად უნდა ამოეღმუვლა სასოწარკვეთილი ძალისხმევით ქართულ კულტურას თუ არა ისეთი შემომქმედის ხმაში, რომელიც თავის პიროვნებას ვერაფრით ვერ ჩამოტეხავდა ქართული სულისგან და აზრისგან, ქრისტიანობისგან, ქართული სიტყვის უბიწო ჭეშმარიტებათა გამოთქმის პოტენციისგან. 30-იან წლებიდან 60-იან წლებამდე პოეზიის დარგში ასეთი მხოლოდ სამადაშვილი აღმოჩნდა. შეიძლება პოეტს არც ჰქონია მიზნად ასეთი დიდი მისსია თავის თავზე აეღო ამბიციური პასუხისმგებლობის

სახით. მაგრამ რადგან მისი ტალანტის მნიშვნელოვანება თავისთავად იმსჭვალებოდა ქართული სატკივარით, სწორედ მასში განპიროვნდა ქართული კულტურის ტრაღედია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი შემომქმედი ქართული ისტორიის თემატიკით აგებდა თავისი მხატვრული თვითგამოვლინების სისტემას, მაგრამ მათ ნაწარმოებებში ქართული კულტურა კარგავდა თავის მნიშვნელოვანებას და მხოლოდ ეროვნულობის სამოსელს ინარჩუნებდა. რადგან ასეთმა მწერლებმა ვერ შეძლეს ქართული კულტურის სატკივარის განხორციელება, ისინი ქართული კულტურის გამომყენებელნი აღმოჩნდნენ თავიანთი პიროვნების მნიშვნელოვანების ასაგებად. შესაბამისად თვითონ ქართული თემატიკაც ვიწრო გაგების ეროვნულობის ჩარჩოებში მოთავსდა. სამადაშვილმა ქართული კულტურისგან ეთნიკურ-ისტორიული სამოსელი კი არ აიღო, არამედ ყველაზე მთავარი – სატკივარი. იგი ქართული კულტურის გამომყენებელი კი არ იყო, არამედ სისხლხორცეულად გამომხატველი. სამადაშვილის შემოქმედებითი მასშტაბი საკაცობრიო ზოგადი ადამიანის სრულყოფის ენერგიას აფრქვევს. ზოგადი ადამიანის სრულყოფაა საერთოდ კულტურის და კერძოდ ქართული კულტურის მიზანდასახულობა. მაგრამ ამ მიზანს ის აღწევს, ვინც თავს სწირავს მას. სამადაშვილი ქართული კულტურის საკაცობრიო გაგებით სრულყოფისთვის თავდადებულ შემომქმედად აღიქმება, რადგან პოეზიაში იგი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ჭეშმარიტ მხატვრულ ღირებულებებს ემსახურებოდა, როგორც შემოქმედების გულმოდგინე „მღვდელი“. სამადაშვილი მოწოდებით პოეტი იყო. მას პოეზიით თვითგამოვლინების გზა არ აურჩევია არც პიროვნული ნებით, არც ლექსისადმი ტრფიალისა და სიტყვების გარითმვის შემთხვევითი უნარის გამო. მითუმეტეს არ აურჩევია ეს გზა კარიერის აგების მიზნით. ხალასი ტალანტი აიძულებდა დაენახა ყოფიერების საგნები თავ-თავის ადგილას, განესხვავებინა ჭეშმარიტი ღირებულებები ყალბი „ფასეულობებისგან“ და ილუზიებისგან. შემოქმედებითი მუხტი ეხმარებოდა ჩამდგარიყო ქრონიკული ძალისხმევის პოზიციაში და უკომპრომისო ყოფილიყო ქართული კულტურის მოთხოვნების მიხედვით, ძლიერი პიროვნება აღმოჩნდა, შეეძლო აეტანა თანამედროვეთაგან ვერ გაგება, პროფესიონალური მიჩქმალვა, უგულვებელყოფა, დევნა. დროებითი კომფორტისთვის და ლექსის გამოქვეყნების ელემენტარული, მაგრამ ძლიერი სიხარულისთვის არ გაყიდა მრწამსი და ქართული კულტურის მოთხოვნები. ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულებისთვის ტანჯვა, ეულობა, „დაწყევლილ პოეტად“ ყოფნა არჩია ზედაპირულ და ილუზიურ მოწყობას და სიამტკბილობას. საბჭოთა ლიტერატუ-

რული ცენზურა ყველაზე ძვირფას ხარკს ითხოვდა შემომქმედისგან. კერძოდ, სუბიექტური მრწამსის და მსოფლხედვის „გაყიდვას“, საბჭოთა ილუზიების ხოტბას. ამ ხარკის გადახდის გარეშე ხელოვანი ვერ გავიდოდა ოფიციალურ ასპარეზზე. ე. ი. უცნობ ანონიმად დარჩებოდა იზოლირებულ იატაკქვეშეთში, სადაც უმრეველო მღვდლის მსგავსად ჩაატარებდა წირვის რიტუალს. მაგრამ სამადაშვილი შინაგან კარნახს მისდევდა. მართალია, მკითხველთ-მრევლი არ ჰყავდა, მაგრამ მოწოდების გამო მაინც წერდა და ისე თამაშობდა წერაში, როგორც ჭეშმარიტ პოეზიას შეეფერება. სად უნდა აქვითინებულიყო ქართული კულტურა და აზრი, თუ არა, ისეთი პოეტის ტალანტში, რომელიც აბსოლუტურად უთვალთმაქცო პოეტურ სინაღდეს ჰქმნიდა შემოქმედებითი ტანჯვებით. შეიძლება პოეტმა ვერ შეამჩნია, ისე შეიფარა ქართული კულტურის სატკივარმა თავი მის პოეტურ გზნებაში.

ასეთი გააზრების შემდეგ, სხვა მნიშვნელობით ქლერს თავის თავისადმი მიძღვნილ ლექსში ჩასმული მეტაფორა:

„ავადმყოფობა ეგონათ ბიჭო
ლექსები ტანზე გამონაყარი“.

თითქოს ჭეშმარიტი ღირებულებების სატკივარმა გამოაყარა უნებლიედ ტანზე პოეტს.

შეიძლება გადამეტებული შეფასების შთაბეჭდილება დატოვოს სამადაშვილის პოეზიის ზემოთ მიწოდებულმა ინტერპრეტაციამ. შეიძლება გაჩნდეს გაუბრალოების სურვილი და წარმოიშვას მოთხოვნილება უფრო კონკრეტულად და მარტივად ექსპრესიონიზმით მოინათლოს მისი პოეზიის ხასიათი. მაგრამ ასეთი შეზღუდული განსაზღვრა დიდი უკმარობის განცდას იწვევს პოეტის ლექსების პატივისმცემელში.

ექსპრესიული მეტაფორა, საერთოდ ექსპრესია უთუოდ არის მისი ლექსის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი. თითქოს შეცდომა არ იქნება, თუ პოეტის წერის მეთოდს ექსპრესიონიზმს ვუწოდებთ. მაგრამ ხშირ შემთხვევაში მეტაფორების მძაფრი გამომხატველობა სცილდება ექსპრესიონიზმის კანონზომიერებებს და სიურრეალისტური კოშმარის სახით გვეჩვენება. თანაც ექსპრესიონისტული თვისებები და სიურრეალისტური ელემენტები თანაარსებობენ ტრადიციონალიზმთან. ლექსის ფორმაში ნოვაცია არ გეხვდება. იგი ტრადიციულ პრინციპზეა აგებული და ამდენად ინდივიდუალისტური რეალიზმის სისტემაში თავსდება. ასევე მნიშვნელოვნად საგრძნობია ინტელექტუალური ნაივობის ნიშნები. ამ

უკანასკნელის მოცემულობას ახორცილებს პოეტის სამეტყველო ენის ქართლური აქცენტი. იგი ფოლკლორული პრიმატის შთაბეჭდილებას ტოვებს ხანდახან. ყოველ შემთხვევაში ქართლური კილოკავი აქტიურ რეგისტრს ქმნის პოეტის ინტელექტუალური ქვეტექსტის ინტონაციაში. გარდა ამისა, ხანდახან მისი იერსახეები წინასწარმეტყველთა ენის ასოციაციას იწვევენ. ფრაგმენტები, რომლებშიც მსგავსი ასოციაცია წარმოიშვება, ალბათ სპირიტუალურ სიმბოლოებად შეიძლება გააზრებულ იქნას.

ცალკე აღებული რომელიმე მხატვრული დინების კალაპოტში იგი ვერ თავსდება, რადგან გაცილებით ფართო მასშტაბის და რთული პოეტია, ვიდრე ცალკეული მიმდინარეობა გულისხმობს. უბრალოდ, პრიმიტივისტი რომ დავარქვათ, უთუოდ უმეცრება იქნებოდა, რადგან მის უდავო განსწავლულობას და ძლიერ ინტელექტს ვერ შევამჩნევდით. რეალისტ-ექსპრესიონისტი რომ შევარქვათ, მხედველობიდან გამოგვრჩებოდა სიურრეალისტური ხაზი, ინტელექტუალური ნაივობის მონაცემები და სპირიტუალური სიმბოლოები. თავი რომ დავანებოთ ამ ფორმალური მიმართებების აღნიშვნას და სადად აზრის პოეტი ვუწოდოთ, ვერ დავადგენდით მისი შემოქმედების ანალიზისთვის ერთ აუცილებელ ფაქტორს, კერძოდ იმას, რომ იგი კლასიკოსი არ არის და არის უაღრესად თანამედროვე პოეტი. ამ გაგებით აქვს მნიშვნელობა იმის აღნიშვნას, რომ მისი ლექსები აგებულია ექსპრესიონისტული სიურრეალისტური ნაივობის სინთეზის პრინციპით. თანამედროვე ესთეტიკური განცდის ხაზგასმით დაფიქსირება გვიმოწმებს პოეტის თვითმყოფადობას და განუმეორებლობას. ინდივიდუალისტური ავტონომიურობა ძირითადი ამოცანა გახდა XX ს-ის შემომქმედისთვის. ამას თავისი მიზეზი აქვს. თანამედროვე ხელოვანი ვერავისგან, ვერც კლასიკოსისგან და ვერც წინამორბედი პოეტებისგან ვერ ისწავლის თვითგამოხატვის ფორმას, რადგან ცხოვრება, რომლითაც იგი ცხოვრობს, ჯერ არ არის ესთეტიკური ფორმებით გამოხატული. ამიტომ მიელტვიან თანამედროვე შემომქმედები ნოვატორობას, ორიგინალობას, რომ საკუთარ ესთეტიკურ კონცეფციას და ფორმას ეძებენ. სამადაშვილს იმდენად მკვეთრად აქვს მოცემული საკუთარი ესთეტიკური ხმა, რომ მისი ავტონომიურობა შემოქმედებითი შრომის გარეშე მიღწეულ, თვითნაშობ ორიგინალურობად მოგვეჩვენება. მაგრამ ასე არ არის, მის ლექსებს ეტყობათ ლიტერატურული მუშაობა. მისი ლექსების ქვეტექსტში აზრგაფანტულობის და უპრინციპო პოეტური ევფორიის საპირისპიროდ განუწყვეტლივ იგრძნობა თანამიმდევრული მოაზროვნის ტრაღიკული და მოუსვენარი მსჯელობა. შეიძლება სწორედ სამადაშვილია XX ს-ის პოეზიაში ყველაზე პრინციპული და თანამიმდევრული მოაზროვნე.

ჩვენი საუკუნის პოეზიაში იშვიათია, თითქმის არ არის ისეთი პოეზია, რომელშიც ესთეტიკური ფორმა ინტელექტუალურ საფუძველზეა დაფუძნებული. უმეტესად პოეტები უპრინციპო ევფორიული განწყობილებების შემომქმედებად  გვევლინებიან. ან ვიწრო გაგების ეროვნულობის აზრით იფარგლებიან, ან სატრფიალო ვნებების და რამდენადმე განუსაზღვრელი სევდის ჩაფიქრების დონეს ვერ ცილდებიან. ყოველ შემთხვევაში ვერცერთ ლირიკოსზე ვერ ვიტყვით, რომ იგი აზრის პოეტია. სამადაშვილის პოეზია კი მოითხოვს, რომ მასში აზროვნება შევამჩნიოთ. ამას ბევრი მონაცემი ადასტურებს: ყველაზე თვალში საცემი თემის მარადისობის და წარმავალობის მძაფრი დაპირისპირებაა. ეს თემა იმდენად წამყვანია, რომ პოეტს შეიძლება მარადისობის მაძიებელი შევარქვათ. ქვეყნიერების წუთისოფლობის, როგორც უიდეო ყოფიერების მძაფრი კრიტიკა საფუძველია ააგოს მარადისობაზე მყარი წარმოდგენა. მაგრამ ეს უკანასკნელი მიზანი თავისუფალ აზროვნებაზე დაყრდნობით მიუღწეველია. როცა თავისუფლად მოაზროვნეა იგი ეგზისტენციალისტურ მსოფლმხედველობის წარმომადგენელივით გამოიყურება, მაგრამ არასდროს არ ხდება ნიჰილისტი ან აბსურდისტი. მისი განუწყვეტელი ფორიაქი ადამიანის სრულყოფისთვის პასუხისმგებელი პიროვნების ტანჯვის სახით გამოიყურება. მარადისობის ძიებაში ეგზინსტენციალისტური თავისუფალი აზროვნების უმწეობის გამო ხსნას ქრისტიანულ იდეალში ხედავს. მაგრამ ქრისტიანობასთან დინამიური მაძიებელი დამოკიდებულება აქვს. ფანატიკოსი მორწმუნე მისგან არ გამოდის. რადგან თანამედროვე რთული ფსიქიკის მქონე ადამიანის კრიტიკული აზროვნება გააჩნია. როცა „რჯულდაწყვეტილობაში“ ამხილებს თავის თავს, ქრისტიანია იმ გაგებით, რომ თავს იდანაშაულებს. როცა ქრისტიანობის ტრადიციულ ფორმებს ეხება, უნებლიედ ქართულ კულტურასთან აქვს საქმე, ამიტომ სათუთად ექცევა ტრადიციულ რწმენას, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ ტრადიცია ნანგრევსღა წარმოადგენს. არასრულყოფილების გამო თავის თავის დადანაშაულების მხრივ იგი აღმსარებელი პიროვნებაა და იმის აღმსარებლად გვევლინება, რომ ვერშემდგარი ქრისტიანია. ეს რეალურად გამოხატავს თანამედროვე ქრისტიანული კაცობრიობის მდგომარეობას. ვერშემდგარი ქრისტიანი პირობითი გამოთქმაა და ფაქტიურად ქრისტიანულ მოძღვრებაში ყოველი ადამიანის ცოდვილად განსაზღვრას ნიშნავს. მიუხედავად ამისა უდიდესი გულმოდგინებით იცავს ქრისტიანულ იდეალს. ნიცშეს ლექსის სამკაულის სახით არ ახსენებს. მას გაცნობიერებული აქვს მისი „აგრესიული ინდივიდუალიზმი“. თავის სათაყვანებელ პიროვნებას ერეკლე ტატიშვილს ეპაექრება როგორც წარმართს. ნიუანსურად ანსხვავებს ადამიანის წარმართულ

გამოვლინებებს თავისუფალი აზროვნების დაბნეულობისგან და ამ ორივე ორიენტაციის ქრისტიანობისგან განდგომილების ნიშნებს. ბუდიზმი – ბუდიზმს, ქრისტიანობა – ქრისტიანობას, ასე მკვეთრად ყოფს მრწამსებს შორის განსხვავებას. ყოფიერების კრიტიკაში თავის თავის არასრულყოფილ ქრისტიანად მხილებაში და მარადისობის ფორმის მყარი წარმოდგენის აგების ცდაში „ახალი“ ქრისტეს მაძიებლად გვევლინება. მხოლოდ განახლებულ ქრისტეს მოძიებაში ხედავს კაცობრიობის ხსნას. ამას მითუმეტეს წონა ჰქონდა კომუნისტური ათეიზმის ეპოქაში.

ამ საზრისული ქვეტექსტის არ შეგრძნობა ალბათ იმას ნიშნავს, რომ სამადაშვილი ვერ წაუკითხავთ.

ყოველივე ამის შემდეგ, მისი პოეზიის რომელიმე ფორმალური ნიშნით განსაზღვრა უთუოდ იწვევს უკმარობის განცდას. ვერც აზრის პოეტი, ვერც მეტაფორული აზროვნების პოეტი თუ ტრაღიკოსი პოეტი ცალცალკე ვერ გამოთქვამს პოეტის ხასიათს. ერთად რომ შევრწყათ ექსპრესიონიზმი, სიურრეალიზმი, ინტელექტუალური პრიმატი, სპირიტუალიზმი, ტრადიციონალიზმი, აზრის პოეტი, ტრაღიკოსი, სახოვანი მეტაფორით მოაზროვნე, შეიძლება საჭირო განსაზღვრისთვის მიგვეგნო, მაგრამ ასეთი გამაერთიანებელი ზოგადი სიტყვა არ მოიპოვება.

ქართული პოეზია არ იყო ჩვეული პოეტთა მხრიდან აღმსარებლურ თვითკრიტიკას. ეს ფენომენი საერთოდ ყოფიერების წუთისოფლობის კრიტიკის და უარყოფის აზრით ჭარბად იგრძნობა სამადაშვილის პოეზიაში. ეს არის ახალი დროის რთული ფსიქიკის მქონე ხელოვანის ძლიერ კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული პატიოსანი მისწრაფება ყოველივე მჭერმეტყველურ ფსევდომშვენებას, მის ფარისევლობას და თვალთმაქცობას ნიღაბი ჩამოხადოს და ადამიანის შინაგანი რაობის ნამდვილი სახე გამოაჩინოს. ჭეშმარიტებაზე და ღმერთზე ლამაზი და პათეტიკური ლაპარაკი არ ნიშნავს, რომ მოლაპარაკე ჭეშმარიტი ან ღვთაებრივია. ასეთი ლაპარაკი უნდობლობას იწვევს თანამედროვე ადამიანში. იგი ხედავს, რომ ყოფიერების რთული ძვრები ერთნაირად ამოსვრიან მიწიურობის ლაფში წმინდანებსაც, რჩეულებსაც, ჩვეულებრივებსაც და დაცემულებსაც. იგი, თანამედროვე ადამიანი, კრიტიკულად აღუდგა კლასიკურ და რენესანსულ იდეალიზირების პრინციპს. შელამაზებულ მშვენირებას მას ადამიანის ჭეშმარიტი სიმახინჯის ნაკლოვანი სინაღდე უფრო წარმოუქმნის უტყუარი მშვენიერების განცდას.

ჯერ კიდევ ფრანგულ სიმბოლიზმში წარმოიშვა ახალი არარენესანსული მხატვრული იდეალი. კლასიკური მშვენიერების კრიტიკის ფონზე ახალი თვალით იქნა დანახული სიმახინჯე, ბოროტება, ცოდვა, ნაკლი.

სიწმინდისკენ სწრაფვამ და რეალურმა ნაკლოვანებამ ადამიანი მწარედ ჩააფიქრა. ტრადიციულ ფასეულობათა კრიტიკულ გადაფასებაში ფრიდრიხ ნიცშეს ღმერთი შემოაკლდა. ტექნოკრატიულმა პროგრესმა, მარქსიზმმა, პრაგმატიზმმა, ფროიდიზმმა იმდენად გააუფასურეს ტრადიციული მსოფლმხედველობები და რელიგიები, რომ ადამიანი „ახალი“ ქრისტეს ძიების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. ამ ახალი იდეალის ძიების გარეშე ადამიანი უიდეო აბსურდად გადაიქცა და თავის არარაობაში დარწმუნებული ცხოველის ცუდ სახეობად გარდაქმნილი უგზოდ მიაბოტებს ქაოსში. ოდესღაც ღვთის ხატად წოდებული ადამიანი დიდ კრიზისშია.

ამ უდიდესი დრამის ინტონაციებით არის გამსჭვალული ნიკო სამადაშვილის პოეზია. ლექსში „ადევნება“ მის „გულში მღვრიე სიცოცხლე ღმუის“ და „და მონასტრის ხმა რაღასაც სტყუის“. მორწმუნე ფილოსოფოსის საირონ კირკეგორის ეკლესიის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გაგახსენდებათ. ფილოსოფოსი ეკლესიას ბრალს დებდა, რომ იგი ქრისტეს რევოლუციური მოძღვრებისგან განსხვავებით ყოველგვარ ბოროტ მმართველობას ეგუებოდა პრაქტიკული თვითშენახვის თვალსაზრისით. მაგრამ მიუხედავად კრიტიცისტული განწყობილებებისა, სამადაშვილის ტაძრებთან დამოკიდებულება სათუთია. ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. თავად მაცხოვართან კი პოეტს უკრიტიკო მიმართება გააჩნია. ერთ-ერთ ლექსში იგი დაუეჭვებლად ამბობს: „საუკუნეებს – მაცხოვარი გაჰყვება მეხრედ, საუკუნეებს – დასაბამი რომ მოაძოვა“. ხოლო ლექსში „ადევნება“, რომელშიც „მონასტრის ხმა რაღასაც სტყუის“, ბოლო სტროფი საკუთარი ცოდვილი ყოფის შეფასების მსგავსად იკითხება: „ქუჩებს ვაწყდები... რაღასაც ვდარდობ. მეძავი დამდევს, ვით ძუკნა ძაღლი, ორივე გზიდან გადავარდნილვართ: სარდაფი, ღამე აყალმაყალი...“

აქ თანამედროვე ადამიანის გზასაცდენილობა თვითგაკიცხვის ხერხით არის გაკრიტიკებული. „მონასტერი ტყუის“, თვითონ „გზიდან გადავარდნილთა“, მარადიულობის ნაცვლად მასთან მეძავია. ძალიან ჰგავს ეს ნაღვლიანი სურათი დღევანდელი კაცობრიობის თვითეულთაგანის მახასიათებელ მდგომარეობას. მეძავის სქესობრივი ადამიანურობა არაფრით არ წარმოშობს საშველის პერსპექტივას.

ეს კიდევ მცირედი ნიმუშია სამადაშვილის კრიტიკული აზროვნების და აღმსარებლური ინტონაციის დასამოწმებლად. ლექსში „უკანასკნელი ქრისტიანები“ იგი ბეთანიაში ექვსი თანამედროვე რწმენაშერყეული ქართველის გამგზავრების ფონზე ბეთანიას და ქრისტიანობასთან დამოკიდებულებას გვიხატავს. აქ ჩანს, როგორი განუკურნელი ტკივილით და ახლობლური განცდით ეპყრობა პოეტი საქართველოში უპატრონოდ

მიგდებულ ტაძრებს, რომელთა მორყეულობას, თუ ნანგრევისეულ ხავსიან ჟანგს, თითქოს, უნაცნობესი გემოც კი აქვს. თითქოს, პოეტმა ოდესღაც, ბავშვობაში საქართველო პურივით ჩაკბიჩა და აწ ვეღარასდროს, იქნებ მარადისობაშიც კი, ვერ განთავისუფლდება საქართველოს ტკივილების გემოსგან. თითქოს ეს გემო პოეტის პირად თვითშეგრძნებად იქცა. ასეა, როცა უსაშველოდ უყვარს ადამიანს ის, რაც ჭეშმარიტად უსაშველოდ შესაყვარებელია.

ლექსის მე-2 ქვეთავში „ხილვა“ იგი ამბობს: „ჟამს ტაძრის კანი ისე დაუხრავს, რომ გარეთ ჟონავს ჭრაქის ნათელი. ძლივს ვამშვიდებდით შემკრთალ მაცხოვარს რჯულდაწყვეტილი ექვსი ქართველი“. ბეთანიის ტაძრის გაცვეთილობის ოსტატური გამოსახვის პარალელურად საკუთარი რჯულდაწყვეტილობის თამამი ხსენება ტაძრის სიძველეს, რაღაცნაირად, შესაბრალისსაც ქმნის და თავის საბრალო მიგდებულობაში ჭეშმარიტების ძალის მქონე სიწმინდესაც ანიჭებს. მაგრამ „რჯულდაწყვეტილობას“ ამ სტროფში სხვა პოეტური ძალაც გააჩნია. იგი აღმსარებლური ხასიათისაა და ტაძართან ყოფნის გამო გულახდილი თვითმხილების მშვენიერ სიჩვილეს ამჟღავნებს. მეორეს მხრივ, იგივე „რჯულდაწყვეტილობის“ „შეშლილი მაცხოვრის“ იერსახის გვერდით ხსენება ექსპრესიული თვითკრიტიკის მუხტსაც გადმოსცემს. გარდა ამისა ხსენებული „რჯულდაწყვეტილობა“, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს „რჯულდაუწყვეტილობასაც“, ანუ, რწმენის სიცოცხლისუნარიანობასაც ნიშნავს. ეს ასეა, რადგან საკუთარი თავის მკაცრი მხილება, პირდაპირი გაგებით, ურჯულობას კი არ ნიშნავს, არამედ შერყეული რწმენის სინანულს თავისი არასრულფასოვნების გამო. თან ეს თვითგაკიცხვა სპეციფიურად პირადული არ არის. ექვს ქართველში ხომ მთელი დღევანდელი საქართველო და კაცობრიობაც დაინახება ღმერთთან მიმართებაში. უნდა რომ სწამდეს დღევანდელ ადამიანს ტრადიციული ღმერთი, მაგრამ ვერ სწამს და ამიტომ აღარც ტრადიციული ღმერთის ეკლესიური ძველი ფორმები არ მფარველობენ მას. დღევანდელ ზედმიწევნით ჩახლართული ფსიქიკის მქონე ადამიანსა და ტრადიციულ ფორმებს შორის კავშირი შეწყვეტილია.

ლექსის მე-4 ქვეთავში „ლოცვის ანეული“ პოეტი წერს: „კედელზე სანთლის შუქი იჭრება, ჩანს წმინდანებმა როდი მიგვიღეს, რა გვეშველება წყეულ ნაბიჭვრებს, თუ გზაც ავდრებმა გადაგვიტიხრეს“. და აკი „გადაუტიხრეს გზები“ მსოფლიოს ხალხებს და ერთეულებს შინაგანმა „ავდრებმა“.

როცა წრფელი გულით ლოცვა აღარ ძალგვიძს, საკუთარი შინაგანი წინააღმდეგობრივი დანაწევრების თუ განფანტულობის გულახდილი

ჩვენება და მკაცრი შეფასებაა ლოცვის სანაცვლო. ამ პრინციპს ადგას სამადაშვილი.

ლექსის მე-3 ქვეთავში უდიდესი სინანულის გამომხატველი ვედრება-განწყობილება აქვს გამოთქმული პოეტს: „აქ შეგეწირე ნეტავი, დედავ, თავი დამედო და დაგეკალი“. ოღონდ ის მწარე საკუთარი თავი არ ჰქონოდა, რადგან როგორც სასურველი იყო, ისეთი წმინდა ვეღარ იყო. ნეტა ამ წმინდა ადგილას დაეკლა დედას მსხვერპლის სახით. ეს პოეტური გამონაგონი ისეთ წუხილს შეიცავს, ისე რეალურად მტკივნეულია, რომ წმინდა ლოცვის დონეზე ადის. რა თქმა უნდა, მექანიკური რიტუალური ლოცვის ფარისევლობას არ ვგულისხმობთ. არ ვგულისხმობთ ღმერთისგან კარგად ყოფნის მოთხოვნასაც. მხედველობაში გვაქვს ლოცვის ისეთი სახეობა როცა მლოცველი ღმერთთან თანხმობას განიცდის. ამ სტრიქონებში ჩანს სამადაშვილის უაღრესი პატიოსნება: წმინდა გულით ვეღარ ეახლება ღმერთს. მაგრამ თავის ბედუკუღმართ თავს იმდენად შეინანებს, რომ სიწმინდის დამაჯერებელ მოთხოვნილებას არათვალთმაქცურ ლოცვად აღვიქვამთ. შორი ასოციაციით „ვედრების“ განწყობილება ფაუსტის შენანებას მოგვაგონებს.

ალბათ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტორზე, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში არ გვხვდება ან ნაკლებად გვხვდება საკუთარი ვინაობის და რაობის ფილოსოფიურად გარკვევის ლირიკული ინტონაცია. სამადაშვილის პოეზიაში კი სწორედ ეს ძვირად შესაქმნელი ინტონაცია აძლევს ძირითად პოეტურ აქცენტს ლირიკულ მე-ს.

მეორე სტორფში ასეთი იერსახეა: „თან ღმერთს შესჭროდა საყდრების გლახა“... შეიძლება „საყდრების გლახაში“ თავის თავსაც კი ხედავს. ქრისტიანული თვითგაკილვა და თვითდამცირება პოეტის თვითგანქიქებაში ფილოსოფიური კრიტიკის პარალელურად შემავალი კომპონენტია. უთუოდ დიდ შეცდომას დაუშვებს ის ადამიანი, ვინაც სამადაშვილის აღმსარებლობით თვითჩხრეკვას პოეტის რაიმე კაცებრივ უკეთურობას მიაწერს. ეს უცოდველი კაცი ასე იმიტომ აბიაბრუებს თავის თავს, რომ მის შემოქმედებითად განზოგადოებულ მეტყველებაში XX-ე საუკუნის ავადმყოფი მიწა ლაპარაკობს. მის ხმაში მეტყველებს მისი დროის ყველა გზასაცდენილი ქართველის შესაძლებელი სინანული, თუ ეს უკანასკნელი გონს მოეგებოდა და შეინანებდა:

„აქ შეგეწირე ნეტავი, დედავ,
თავი დამედო და დაგეკალი“.

„საყდრის გლახა“ განუსაზღვრელად და ბუნდოვნად უკავშირდება

მათხოვრის იერსახეს, რომელიც ერთი შეხედვით შემთხვევითი პერსონაჟია, მეტაფორებით ყოველმხრივ დახატული ტაძრის თანმხლები ატრიბუტი. ძნელია იმის თქმა, რომ პოეტს მათხოვრის იერსახეში უფრო დიდი მნიშვნელობის აზრის ჩადება უნდოდა, ვიდრე გლახაკის ბეჩავი სახისა, მაგრამ სტროფი რომელიც მათხოვარს გვიხატავს იმდენად აქტიურ ყურადღებას იპყრობს თავისი უმაღლესი დონის მხატვრულობით,რომ მკითხველისთვის უზარმაზარ სიმბოლურ დატვირთვას იძენს: „მათხოვარი ზის როგორც ობობა, მყრალ ჯოჯოხეთის მოხდილი პკეა, არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა, ის, თითქოს ჩიტებს აუკენკიათ“. ეს სტროფი უნებლიედ, თავისი ინტენსიური ენერგიის ხარჯზე, იქცევა იმ ხატოვანებით მდიდარ ლექსში მთავარ აქცენტად. იგი, თითქოს, იკრებს თავის თავში „რჯულდაწყვეტილობის“ დრამას, პოეტის ვედრებას „აქ შეგეწირე, ნეტავი, დედავ...“ ...მოკლედ, ამ ლექსის ქვეტექსტის მთელ დრამას. ამიტომ, სტროფის ძლიერი მხატვრულობით აღფრთოვანებული მკითხველი თავის თავს უფლებას აძლევს თვითნებური ინტერპრეტაცია გაუკეთოს მას. ჩვენც თუ გამოვიყენებთ ამ უფლებას, შეიძლება, გლახაკის იერსახეში საზოგადოდ მიწის პლანეტა წარმოვიდგინოთ, რომელიც მათხოვარივით მისდევს მზეს და საერთოდ, ზოდიაქოებს და სინათლეს და მარადისობას იხვეწება. მითუმეტეს, რომ ერთ-ერთ ტრაღიკულ ლექსში („გული და ჯანღები“) პოეტი აშკარად აღნიშნავს დედამიწის მათხოვრობას:

„ბინდი სამყაროს შიშით რაღას მიეკარება,
დასაბამს იქით მთვარე დაჰყრის სინათლის მორებს.
ბურუსის იქით ჩიტებივით დავიკარგებით!
და ბრუციანი დედამიწა შუქს იმათხოვრებს“.

რაც უნდა გადამეტებული იყოს ასეთი ინტერპრირება მათხოვრის იერსახის ტარაღედია ბევრად სცილდება სოციალურად ბედკრულის გასაჭირს, ზოგადდება და იმდენად საყოველთაო შინაარსს იძენს, რომ მასში მარადისობის მთხოვნელი ზოგადადამიანი დაინახება. მასში ამაოების ყველა საშინელებათა მხილველი სასოწარკვეთილი ეკლესიასტეც შეიძლება განვჭვრიტოთ. არა მხოლოდ ეკლესიასტე, არამედ წარმავალობასთან გონით და განცდით შებრძოლებული ყველა ნატანჯი მაძიებელი მიუღწეველი მარადისობისა. იქნებ უკვდავების ძიებაში გაწამებული გილგამეშიც კი გაგვახსენდეს, პლატონიც, რომელიც ნათელმხილველური ყაიდის აზროვნებით აგებდა უხრწნელი იდეების საუფლოს და სარკასტულად იწუნებდა იდეების ცუდ ჩრდილს – მატერიას. მრავალი შეწირულის ხსნება შეიძლება, მაგრამ მათი ხსნების გარეშეც ბევრს მიანიშნებს მათხოვრის

იერსახე. ავტორი დაუნდობელი პოეტური სისასტიკით ხატავს მათხოვარს პირველ ორ სტრიქონში: „მყრალ ჯოჯოხეთის მოხდილი პკეა“, კმარა პოეტური ხატვა-თამაშის დაუნდობელი ჟინის დასამოწმებლად. ამაში ფსიქოანალიტიკოსებმა შეიძლება აგრესიაც კი განჭვრიტონ. მესამე სტრიქონში ინტონაცია პროზაულად დამცხრალია. მეოთხე სტრიქონში, როცა მათხოვარს ჩიტებით კენკავს, პოეტი, თითქოს თან ბოლოს უღებს, თან კი სასტიკად ეფერება ჩიტების საშუალებით.

იქნებ არც არის საჭირო, რომ მათხოვარში მარადისობის მხვეწარი სიმბოლო ვიგულისხმოთ. თავის თავად, ლექსში ამ სტროფის ენერგიული აქტივობით სახეზე ყოფნა, ერთგვარ აბსტრაქტულად ზოგად ყოვლადდაღუპულობის განცდას იწვევს. თითქოს ამ გულჩაგლეჯილი და გარეგნობის სიმრთელეაკორტნილ ფიგურაში ადამიანის ყველა იმედგაცრუება და ტკივილი შეკრებილა ერთად. ამიტომაც არის, რომ ლექსის უკანასკნელი სტრიქონები: „უსინანულოდ ვტოვებდით ტაძარს უკანასკნელი ქრისტიანები“ მწუხარებისგან გონგათიშული კაცობრიობის გულაყრილობას, თუ გულგრილობას მოგვაგონებს და არა ადამიანის თანდაყოლილ ქარაფშუტობას.

როგორც ვხედავთ, პოეტი ნაძალადევად არ წმინდანობს, სიმულაციურად არ ბნიდავს თვალებს, არ ნათელმხილველობს, არ იოგობს. ის ტანჯული კაცობრიობის წარმომადგენელია და ფხიზლად გაიაზრებს, რას ნიშნავს რწმენა და რას ნიშნავს რწმენადაკარგულობა. რა ფასი ექნებოდა ან პოეტის განცდას, ან ლექსს მასში რომ მოვეტყუებინეთ და აეწერა, თუ რა რულუნებით ლოცულობდა იქ, ბეთანიაში და როგორი გაცისკროვნება მიაგეს სამაგიეროდ ტაძარმა და ლოცვამ. პოეტი ისე აზროვნებს, როგორიც მოვლენათა მდგომარეობა არის და ამით მართლმხილველია. მაგრამ როდესაც ელდადამცემი ვნებით გამოსახავს მოვლენათა მდგომარეობას, ისეთი დონის ტკივილს ამჟღავნებს სულის სიწმინდის დაკარგვის გამო, რომ ამ ტკივილის წინაშე წესიერმა კაცმა თავი უნდა დაიდრიკოს. ეს ტკივილი კათარზისული ხასიათისაა. რადგან სიწმინდის და სულის სიმრთელის გლოვაა, თავისებური განმწმენდავი ესტეტიკური ხატიც არის.

აღსანიშნავია პოეტის ლექსთთხზვის მანერის დამახასიათებელი რამდენიმე მომენტი: ზოგ შემთხვევაში პოეტი უშუალოდ თავის სატკივარზე, თუ სიმარტოვეზე ლაპარაკობს. ხან ცხადყოფს ტკივილის მიზეზს, ხან კი მიზეზი განუსაზღვრელია. მაგრამ არის მის პოეზიაში მათხოვრის იერსახის ამსახველი სტროფის მსგავსად არაპირადული მისამართის მეტაფორები, რომლებშიც განსაკუთრებული ვნებით და სახიერებით გამოიხატება

ადამიანური დრამა. ასეთ სტრიქონებში პოეტი თავად გამომხატველობის ხარისხში და სიმახვილეში შეაფარებს თავის პირადულს. ამაში, შეიძლება, დავინახოთ პოეტური განცდის ობიექტივაციის წმინდად ესთეტიკური ხასიათი. ე. ი. პირადულს მთლიანად მხატვრულობის ძალა ცვლის და განსაკუთრებულ განუსაზღვრელ სუბიექტივიზმთან ერთად ობიექტურ, ან ინფინიტივურ დამაჯერებლობას ქმნის. კიდევ ერთ სტროფს მოვიყვანთ ასეთი ობიექტივაციის ნიმუშად: „მეც მარტო ყოფნა ათასწლობით მომეწყინება, თავის ქალაში მწვანე ხვლიკი შეძვრება ღამე, ძვლებზე შემხმარი დაფიქრება მოეწონება და მატლებდახრულ თვალებიდან გახედავს ბაღებს“. ასეთი მხატვრული ძალით აღფრთოვანებულებს მოგვეჩვენება, რომ „მათხოვრის“ და „თავის ქალის“ სტროფებს თვითონ უილიამ შექსპირიც მოაწერდა ხელს. ყოველ შემთხვევაში ეს სტროფები ბოდლერის საუკეთესო ლექსების დონეს მაინც უახლოვდება (შექსპირის და ბოდლერის ლიტერატურულ ავტორიტეტებს, ალბათ, არაფერი არ დააკლდებათ, თუ მათი საშუალებით ნიკო სამადაშვილის ზოგიერთ პოეტურ მიღწევაზე განსაკუთრებულ მახვილს დავსვამთ. ამ ხერხის არამართებულობა მხოლოდ ჩვენ მოგვიტანს ზიანს და არაკომპეტენტური გემოვნების პირად ჩავითვლებით). როგორც ვხედავთ სტროფში მშვიდი, თითქმის პრობაული ინტონაციით იხატება ჩვეულებრივი ნივთის დარი თავის ქალა. მაგრამ როდესაც ადამიანის სიცოცხლისმოყვარეობა ისმენს ამ „აღწერას“, ქრება ჩვეულებრივი ნივთის აღწერა და შეძრწუნებით განიცდის წარმავალობას, ამაოების და სიკვდილის სტიქიებს. გონება კი ურიგდება ასეთ სანახაობას, მაგრამ სიცოცხლის მოყვარეობა თავზარდაცემულია. აქ წარმოიშვება განსაკუთრებული ძალით ყოფიერების აბსურდულობის შეგრძნება და მარადიული მოძიების ვნება. თუ სიცოცხლისმოყვარეობა წუხილით მაჯადოებული გააგრძელებს წარმავალობის საშინელებებზე ფანტაზიორობას, წარმოიდგენს, რომ თავის ქალისთვის „უცხო პირის“ მისტიკურად თვითგაუცნობიერებელი მწვანე ხვლიკის თავის ქალაში ერთხელაც რომელიმე მწერი შეძვრება, რომელსაც, თავის მხრივ, წვიმის წვეთი მოახრჩობს და ა. შ. ასეთია სხეულებრივი არსებობის მეტამორფოზები. ხვლიკს ადამიანის თვითგამაუცხოვებელი დინამიკა და ენერგია შეაქვს „ნივთ“ თავის ქალის დახატვაში. ეს შეუგნებლობის და ჩვენთვის უცხო ინსტიქტების ნიმუში ქვეწარმავალი საძაგლობის იერით ავსებს თავის ქალის შინაგან ხვრელებს. ის არ დაგიდევთ, რომ ოდესღაც ამ ხვრელებიდან გონიერი თვალები იყურებოდნენ მარადისობაზე ჩაფიქრების დარდით. მისთვის ეს ჩვეულებრივი ლაბირინთია, რომელშიც იქნებ რაიმე შესასანსლავი აღმოჩნდეს. ხვლიკი თავის მწვანე შეუვალობით

და ენასავით რბილი მუცლით, თითქოს, ალქიმიური სანტიმეტრია იმ მანძილის გასაზომად, რომელიც თავის ქალაში თვალების ღრმულებსა და მასში ოდესღაც მყოფ და სამუდამოდ გამქრალ მარადისობაზე ფიქრსა და ჭეშმარიტ, მაგრამ უცნობ მარადისობას შორის ძევს. ხვლიკი რომ ზედმიწევნით შეუგნებელი და ინსტიქტური რამ არის, ეს კიდევ უფრო ხაზს უსვამს ადამიანის მოკვდავობაზე და უკვდავებაზე ჩაფიქრების უმეცრების დრამას.

ძველი ეპოქების წინასწარმეტყველები თავიანთ ხილვებს ადამიანის შეგრძნებათა სიჩვილეებისადმი დაუნდობელი პირგამეხებით გამოთქვამ-დნენ. ასეთ დონემდე ადის შიგადაშიგ სამადაშვილის მხატვრული ძალა.

ისე რომ სამადაშვილი არაფრით არ არის ლიტონი ეფექტების მქონე ექსპრესიული მეტაფორების პოეტი. იგი ღრმა აზროვნების პოეტია. სიმყუდროვე ნაპოვნ ჩვეულებრივ მოკვდავს რომ შეაზანზარებს, ისეთი კოსმიური ენერგიით ზემოქმედებენ მისი აზრობრივი მნიშვნელობები ძლიერ სახოვან ფორმებში. აზრ-განცდების მისტერიები – ასე შეიძლება მისი მეტაფორების სახელდება. რა თქმა უნდა, ჰედონისტური ესთეტიკის მიმდევრისათვის, მეშჩანურად მოწყობილი თბილი შეგრძნებების მქონე კულტურის მოყვარესათვის, სიამოვნებათა დამანგრეველი გრიგალია პოეტის თვითმამხილებელი აზროვნება.

რწმენის კრიზისი კერძოდ სამადაშვილისეული მოვლენა არ არის. იგი ახასიათებს XIX ს-ის მეორე ნახევრის და XX ს-ის კაცობრიობას. თავის დროზე უდიდესი ინტენსივობით ყურადღება მიაპყრო ამ საკითხებს ფ. მ. დოსტოევსკიმ. იგი დიდი გულმოდგინებით ეძებდა სრულყოფილი რწმენის რეალურ შესაძლებლობას. გრძნობდა რა ღმერთის არსებობის აუცილებლობას, რწმენის მრავალი კერძო შემთხვევა მიმოიხილა მხატ-ვრულად თავის რომანებში. სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობა გამო-უვიდა. აღმოჩნდა, რომ ტექნოკრატიული პროგრესის წყალობით თავი-სუფალ კრიტიკულ აზროვნებას, კერძოდ, ნატურფილოსოფიას მძლავრად მოეკიდებინა ფეხი ადამიანებში. მკვეთრად განიყო ინდივიდუალური რწმენა ხალხური რწმენისგან. ეს უკანასკნელი ტრადიციის უკრიტიკო ინერცია უფრო აღმოჩნდა, ვიდრე ღმერთისადმი ცოცხალი მიმართება. ინდივიდუმები კი დაეჭვებული მორწმუნეები აღმოჩნდნენ. ერთ-ერთ რომანში პერსონაჟი ასე ახასიათებს მეორეს: „თუ სწამს, არა სწამს, რომ სწამს, ხოლო თუკი არა სწამს, არა სწამს, რომ არა სწამს“. ამგვარი მრწამსდაკარგულობის, დაეჭვების, ასე ვთქვათ, ურწმენოდ რწმენის მოთხოვნილების განწყობებით და იდეებით აღსავსენი არიან მწერლის რომანების ის გმირები რომელთაც ინდივიდუალობა გააჩნიათ. ღმერთის

არსებობაში დაეჭვება საერთო სენი აღმოჩნდა ახალი, ტექნოკრატიული ეპოქის კაცობრიობისთვის. ძველ ეპოქებში ღმერთის შეუცნობლობა მორწმუნესათვის არ წარმოადგენდა მისი უარყოფის ან კრიტიკის საბაბს. პირიქით, ადამიანი თავის ნაკლად და უმეცრებად მიიჩნევდა იმას, რომ ღმერთს ვერ შეიცნობდა. ამიტომ დაუფიქრებლად ენდობოდა შეუცნობელ გონიერ და კეთილ არსს. ახალი ეპოქის ადამიანი კი რადგან ვერ შეიცნობს, უარყოფს ან ეჭვობს. ტექნოკრატიულმა პროგრესმა მას თავისუფალ აზროვნებასთან ერთად ქედმაღლობაც განუვითარა.

ღვთისმაძიებლობით, ღმერთის ადამიანთან რეალური კავშირის აღმოჩენის ამოცანით არის მიმართული ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი წინამორბედის საირონ კირკეგორის ფილოსოფია. ეკლესიურ რელიგიაში იგი რწმენის ურწმენო რიტუალს, ფარისევლობას ხედავს.

მიწაზე კაცობრიობის ყველაზე დიდი მტერის ნიჰილიზმის სწრაფი გავრცელების მიზეზს ქრისტიანობის აღსასრულში ხედავს ფრიდრიხ ნიცშე. იგი ცდილობს ახალი იდეალის ჩამოყალიბებას, მაგრამ სულ სხვა რამ გამოსდის, კერძოდ „აგრესიული ინდივიდუალიზმი“. ახალი იდეალის ძიებას, ახლებურ ღვთისმაძიებლობას, ალბათ, ახალი ქრისტეს ძიებაც შეიძლება ეწოდოს, იმ გაგებით, რომ ახალი ეპოქის ადამიანი გრძნობს ახალი ხსნის აუცილებლობას. რა თქმა უნდა, ახალი ხსნა პირობითი გაგებაა, რადგან ხსნა, ანუ, ღვთის შვილის ადამიანის ცოდვის გამოსასყიდად ჯვარცმა და ჯვარცმულის აღდგომა მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოხდეს საზოგადოდ ხსნის ღვთაებრივი მისტერიის ისტორიაში.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ადამიანი მოწყურებულია ხსნის რომელიღაც ზედმიწევნით დამაჯერებელ ფორმას, ისეთ ფორმას, რომელშიც ეჭვს ვერაფრით ვერ შეიტანს. ასეთი მოთხოვნილების ფაქტორი თავისთავად ნიშნავს ღმერთის ტრადიციული ფორმების კრიტიკას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რწმენის ტრადიციული ფორმა თავის დროზე სწორ იდეალს არ გულისხმობდა. გამოცდილებამ კაცობრიობას დაანახა, რომ მარადღირებული, თუ მარადმოქმედი იდეალი არ არსებობს. უძველეს ეპოქებში სიცოცხლის გეზად ჩამოყალიბებული იდეალი დროებითვადური აღმოჩნდა, რადგან შემდგომმა ეპოქებმა სულ სხვა იდეალები დაისახეს, რომლებიც თავისთავად დროებითვადობით დახასიათდნენ. ადამიანი ცვალებადი მსოფლხედვისა და განწყობების არსება აღმოჩნდა. მის ცვალებადობას სწორედ იდეალების ეპოქათა განმავლობაში სიურპრიზული მონაცვლეობა ადასტურებს. ე. ი. ადამიანი ერთი გარკვეული (ოდესღაც ჩამოყალიბებული) სამუდამოდ ღირებული იდეალის მიმდევარი კი არ არის, არამედ მარადჟამ ახალი იდეალის მაძიებელი არსებაა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა ცხადად შეიმჩნევა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: სიცოცხლის სხვადასხვა ფილოსოფიურ ორიენტაციებში იმედგაცრუებული ადამიანები კვლავ და კვლავ უბრუნდებიან ქრისტიანულ იდეალს. მართალია ეს დაბრუნება რამდენადმე ფორმალურია, რადგან ნამდვილ რწმენას არ ემყარება, მაგრამ აქედან მაინც შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ქრისტიანობა ყველაზე მყარი და მარადღირებული იდეალი აღმოჩნდა იმ გაგებით, რომ ქრისტეს მარად ეძებს ადამიანი.

ნიკო სამადაშვილი XX ს-ის უიდეალო ეპოქის ღვთისმაძიებელი ინდივიდუმია. იგი ქრისტიანია, მაგრამ ისეთი ქრისტიანია, რომელიც ქრისტიანობის ტრადიცულ ფორმას სინანულით ემშვიდობება და ახალ ქრისტეს ეძებს. ძველი იდეალის მსხვრევა და ახალი იდეალის ჩამოუყალიბებლობა მისი პოეზიის ტრაღიკული განცდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. პოეტი ცხოვრობდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ხანაში, როდესაც ქრისტიანობა სასტიკ დევნას და უარყოფას განიცდიდა. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი კიდევ უფრო ამძაფრებს პოეტის ტრაღიკულ მსოფლშეგრძნებას. მითუმეტეს, რომ ქრისტიანობა მისთვის მხოლოდ ინდივიდუალურ რელიგიას კი არ წარმოადგენდა, არამედ საქართველოს კულტურის სჯულისეულად განმსაზღვრელ მოძღვრებას.

არიან „მორწმუნენი“, რომლებიც თავიანთ შინაგან სამყაროში სულიერი ხდომილების გარეშე, რამდენადმე გარეგნულად და ფორმალურად მიიღებენ ხოლმე ქრისტიანულ ეკლესიურ დოგმატს და სამუდამოდ „სწამთ“ ურწმენოდ. ასეთ ახალ ფარისევლებს აქვთ საშიშროება, რომ თავისი პირადი სულიერი აქტივობის გარეშე ნაპოვნი პროგრამის ყალბ დემაგოგებად იქცნენ. არსებობს გონიერი აფორიზმი (ავტორი არ ვიცით): „გაჰყევი მას, ვინც სიმართლეს ეძებს, მაგრამ გაექეცი იმას, ვინაც სიმართლე უკვე იპოვნა“. მართლაც,რამდენად ძალუძს ადამიანს ერთხელ და სამუდამოდ ყოველნაირად გადაჭრილი სიმართლე ან იდეალი მოიძიოს, აღმოაჩინოს, ჩამოაყალიბოს. ასეთ რაიმეს თუ დაიჩემებს, ყალბი და ამდენად შემცდარი გამოდგება. არსებობს მეორე ტიპის მორწმუნე, რომელიც მხოლოდ თავისი სულიერი ხდომილებების საფუძველზე მარად ეძებს ღმერთს. ხან გარეთ, ხან თავის თავში, შინაგანი გაუცნობიერებელი ძვრების და ცვლილებების შესაბამისად. ხან დაეცემა, ხან აღდგება, ხან ეჭვშია, ხან დარწმუნებულია და ა. შ. ასეთი მაძიებლური, მუდამ თვითსრულყოფის პროცესში მყოფი რწმენა უფრო იმსახურებს ნდობას თანამედროვე ადამიანში. მისთვის რწმენა ისეთი რამეა, რაც ყოფიერების ყველა ახლებურ და მოულოდნელ სიტუაციაში ახლიდან უნდა მოიპოვო და

განამტკიცო. სხვაგვარად იგი ფუყე, სიცოცხლის უნარ მოკლებულ უტოპიად ეჩვენება. სამადაშვილი,როგორც ზემოთაც ითქვა,მაძიებელი ტიპის მორწმუნეა, ერთ შემთხვევაში თუ კრიზისულ მდგომარეობას გამოავლენს, სხვა შემთხვევაში ქრისტეს, ღვთისმშობელს, ტაძრებს რეალური ახლობლებივით მოიხსენიებს. ქრისტეს ცხოვრების მისტერია, რომელიც „საუკუნეებს გაყვება მეხრედ“, ლექსებში, თითქოს, ჯერ კიდევ ხდება. „მოდარაჯე კაცის თვალი“ ახლაც იხილავს, როგორ აწოდებს ღვთისმშობელი სეფისკვერს თავის ვაჟს: „...ღვთისმშობელი კი სარკმელიდან, ფაშარ სეფისკვერს ქრისტეს ჩუმად გადმოაწოდებს“. უცნაურ შინაარსობრივ დატვირთვას იღებს აქ სიტყვა „ჩუმად“, რომელიც ასაიდუმლოებს ღვთისმშობლის და ქრისტეს აქ, ქართულ ტაძართან, ცხადად ყოფნას და პოეტის ხილვად გადააქცევს, თუ – „ჩუმად“ – უბრალოდ უხმობას ნიშნავს, პოეტი ანონიმ ქალს და კაცს ისე წმინდად ხედავს, რომ მათში ღვთისმშობელს და ქრისტეს სცნობს ლექსში „სიმღერები გამოქვაბულიდან“. ბედისადმი საყვედურის, თვითგანკიცხვის, დიდი მწუხარების არეში მყოფ საგანთან კავშირებში, ისტორიული და აწინდელი მძაფრი მისტერიების ფონზე „ღვთისმშობლის ქოხში აკვნის რწევა ისმის და ისმის“. აკვნის ეს რიტმიული ხმა დღევანდელი, ღმერთისგან განმდგარი კაცობრიობის ნიჰილისტური ყოფის აკომპანიმენტად გამოდგებოდა. სხვა ლექსში კი, როცა „მკვდრები სივრცეს მიჰყვებოდნენ და გზად ხანდახან ქვეყნიერების კოშკებისკენ იშვერდნენ ხელებს“, – „მიწა რჩებოდა, როგორც ჯვარცმის შავი დედანი“. უდაოა, სამადაშვილი, განუწყვეტლივ ფიქრობდა ქრისტიანული მისტერიით ინტერპრირებულ მარადისობაზე. მუდამ თავისი რელიგიური განცდის გადასინჯვაში და წრთობაში იმყოფებოდა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში ცალკეული უკომპრომისო თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებისთვის ქრისტიანული რელიგია უდიდეს საყრდენს და ძალას წარმოადგენდა. ვერცერთი ფილოსოფიური მოძღვრება ვერ აძლევდა იზოლირებულ ეულობაში მყოფ თავისუფალ მოაზროვნეს, დევნილს ისეთ იმედს და ამტანობის ნებისყოფას, როგორც ამას ქრისტიანული მრწამსი აკეთებდა. ნიკო სამადაშვილის ლექსებში პირდაპირი მისამართით არსად არ არის ნახსენები არც კომუნისტები, არც სუკის რეაქციული სისასტიკე, არც დევნა და საერთოდ არაფერი პოლიტიკური. მაგრამ უეჭველია, რომ პოეტის პირქუში მწუხარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ კომუნისტების მიერ საქართველოს კულტურის ჭეშმარიტი ღირებულებების, მათ შორის ქართული ქრისტიანობის უგულვებელყოფა და დევნა იყო. პოეტი იმდენად აზოგადოებს საქართველოს და ქრისტიანობის ბეჩავ

მდგომარეობას, რომ დაუკვირვებლად ვერც გავუგებთ რა ტანჯავს ასე უსაზღვროდ. რა თქმა უნდა, მის ტანჯვებში მხოლოდ კომუნისტური კოლონიალური საქართველოს დატირება არ იყო, მასში თავს იყრიდა ადამიანური ყველა კრიზისი და სატკივარი, მაგრამ როცა მის ლექსებში რამდენიმეჯერ წავაწყდებით გამოთქმას – „დედინაცვალი საქართველო“, უნებლიედ ვფიქრობთ, რომ თვითგაუცხოებულ კომუნისტურ საქართველოს გულისხმობს. უფრო ზოგადი და ფართე გაგებით „დედინაცვალი საქართველოში“, შეიძლება, საერთოდ წარმავალი წუთისოფელი უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, მიწიურ უსამართლობებს განსაკუთრებულ ბოროტ ელფერს ხომ კომუნისტურად გადაგვარებული საქართველო აძლევდა. თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ იმ დროში „შინაგან ემიგრაციაში“ იმყოფებოდა, ეს სამადაშვილია. კომუნისტების მხრიდან ქრისტიანული კულტურის დევნა ასეთ „ემიგრანტებში“ დიდ პროტესტს იწვევდა. პოეტის ლექსებში ტაძრებთან განსაკუთრებულად ფაქიზ დამოკიდებულებას ვგრძნობთ. სწორედ მათ წიაღში იშლება ხშირად პოეტის შინაგანი, მეტაფორული მისტერიები. ზემოთ უკვე ითქვა, თუ როგორი სინდისიერი პასუხისმგებლობით და დრამატულობით აღსავსე სინაზით ეფერება პოეტი ბეთანიის სიძველეს და გარიყულობას. ლექსში „ატენის სიონი“ ტაძარი დახატულია, როგორც ქართული ქრისტიანობის საწყისების საუფლო. პოეტის თქმით აქ „უფლის ნათელი დაბარბაცებდა გაუთენარი გზების ბოლომდე“. და კიდევ: „ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს“. პოეტი ალბათ მიგვანიშნებს, რომ ქართულმა ქრისტიანულმა მრწამსმა წმინდად ქართულად აქ – ღვთისმშობლის წილნაყარ ქვეყანაში – ღვთისმშობლის ზრუნვით გაიმაგრა ქედი.

როცა ტაძრებზე ლაპარაკობს, რჩება შთაბეჭდილება, რომ სამადაშვილი ხალხური რელიგიის წარმომადგენელია. ეს ნაწილობრივ შეიძლება ასეც არის. იგი ვერაფრით ვერ ელევა ხალხური ადათის კეთილშობილებას, მაგრამ ტაძართა ექსპრესიული დახატვის ფონზე იგი ისეთი სიმძაფრის შინაგან დრამებს გამოავლენს, რომ შეუძლებელია უფრო ტრაღიკულ ინდივიდუუმად არ აღიქვათ, ვიდრე ხალხური რწმენის რიგით წარმომადგენლად. ტრადიციული რწმენა მისთვის საქართველოს ყოფიერების იდენტურია, ამიტომ ვერ თმობს მას, მაგრამ თავად ტრადიციულად მორწმუნე ვეღარ არის. სწორედ იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ ელეოდა ქართულ ადათს, აყლერდა მის პოეტურ ხმაში იმ ხანებში ხმაგაკმენდილი ქართული კულტურა. ამ მხრივ, იგი მართლაც გარიყული იყო დროისგან და გაყალბებული სამშობლოსგან. ლექსში „გათხრები“ პოეტი ზოგადად, მაგრამ პირდაპირმნიშვნელოვნად ეხება „შინაგანი ემიგრაციის“ საკითხს:

„გინახავთ კაცი, საუკუნეს ხმითაც არ ჰგავდეს
და ყოველ დილით სისხლის ჭოჭი ღვაროს სახლიდან“.

ხოლო ამავე ლექსში როცა ვკითხულობთ:

„მარადისობავ, საუკუნოდ გაგიხმეს ქედი,
რომ ასე უღვთოდ დამაბნიე ტიალი მგზავრი“.

ჩვენ ვიჯერებთ მის მარადისობაზე და ქრისტიანობაზე ყველა ჩაფიქრებას, ყველა დაეჭვებას, ყველა შენანებას, განწმენდის სურვილს. ვიჯერებთ, რადგან პოეტი ამ რთული, ძნელად მისაღწევი და მოუხელთებელი ღირებულებების გამო რომ იტანჯება, ისე არაფრის გამო არ იტანჯება. სწორედ ამ ტანჯვებს ენდო ბედშეწყვეტილი ქართული კულტურა და არაკაცებრივი, კოსმიური ხმით აქვითინდა პოეტის შემოქმედებით წვაში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ალბათ, გაუგებარი იქნება საკითხს ასე თუ დავსვამთ: ნათელია, თუ პირქუშია ნიკო სამადაშვილის პოეზია. რა თქმა უნდა ნათელია, რადგან ყველა სიბნელე, ფიზიკურიც და განცდისმიერიც, გასათევად არის მასში მომართული, ყველა ტკივილი ჭეშმარიტი სიხარულის მოსაპოვებლად არის. ეს არის ღვთით კურთხეული წმინდა გათენებისთვის ტანჯული ღამისთევის პოეზია.

სამადაშვილის აზროვნების და შემოქმედების წრთობისა და ჩამოყალიბების საფუძველი ქრისტიანობაა. ზოგ შემთხვევაში, როცა იგი დაეჭვებულია ქრისტიანული იდეალის მიმართ, ეგზისტენციალისტი ხდება. რადგან ღვთისმაძიებელ ვნებას ყოველთვის ავლენს და რადგან რწმენაში დაეჭვების შემთხვევაში თავს დამნაშავედ გრძნობს, მაინც ქრისტიანული ეგზისტენციალიზმის წარმომადგენელია. ამ მხრივ, იგი კირკეგორის მსოფლხედვის მონათესავე უფროა, ვიდრე ჰაიდეგერის, სარტრის ან კამიუს აბსურდისტული ეგზისტენციალიზმისა.

XX ს-ის ქართულ ლიტერატურაში, ალბათ, სამადაშვილივით ღიად და ფილოსოფიურად არავის არ გამოუხატია ქრისტიანული იდეალის კრიზისი. იდეალების მსხვრევა, უიდეალო ყოფა, ნიჰილიზმის საშიშროება, წარმავალობის უღმერთოდ ჭვრეტა ტრაღიკული რეგისტრებია მის პოეზიაში. სამადაშვილის მხატვრული განზოგადოების დიდი უნარის წყალობით ამ რეგისტრებში მთელი კაცობრიობის დრამაა განხორციელებული. ღმერთდაკარგული ადამიანის ძალისხმევა გაიხედოს მარადისობაში და კვლავ იპოვოს ღმერთი,დიდი სიმძაფრით არის გამოხატული პოეტის ლექსებში. ამ მხრივ, იგი ნამდვილი ღვთისმაძიებელი შემომქმედია და აქედან გამომდინარე, არა მარტო ასახავს თანამედროვე ადამიანის შინაგან დაფლეთილობას, არამედ სახავს კიდეც მარადისობის ახალი

ფორმის აღმოჩენის პერსპექტივას. ამის საწინდარი ის განუზომელი ენერგიაა, რომელსაც ტრადიციული ღმერთის დაკარგვის გამო წარმოქმნილი ტკივილი შეიცავს მისი პოეზიის ესთეტიკურ ველში.

ნიკო სამადაშვილი ქართული გამართული ლიტერატურული ენით მოაზროვნე შემომქმედია. მაგრამ მისი ნებით, თუ უნებლიეთ, პოეტურ ენაში ქართლურ დიალექტს შეურევს. ქართლური აქცენტი მის ლიტერატურულ ენას ორიგინალური ჟღერადობის გარდა ფორმალურ უპირატესობასაც სძენს. მისი საშუალებით პოეტი ქმნის თვითმყოფად პრიმატს. პრიმატი მეტად მნიშვნელოვანი ფენომენია თანამედროვე ხელოვნებაში. ჩვენი ეპოქის (სიმბოლისტებიდან და იმპრესიონისტებიდან დღემდე) მხატვრული იდეალი სწორედ ფორმის ავტონომიური პრიმატის შექმნას გულისხმობს. ეს აქცევს ხელოვანს შემოქმედებით ინდივიდად. სკოლისგან, ანუ კლასიკური ტრადიციისგან განთავისუფლება და საკუთარი ინდივიდუალისტური ფორმის და შინაარსის შექმნა, საკუთარ ინტუიციაზე დაყრდნობა და პირველადი ინსტიქტებით ფორმადქმნადობა, დამოუკიდებელი მხატვრული სტილის თუ მეთოდის, სისტემის თუ მანერის ჩამოყალიბება – აი, რა იგულისხმება პრიმატში. დღევანდელი ჭეშმარიტად ინდივიდუალობის მქონე ხელოვანი ვერავისგან ვერ ისწავლის თავისი სათქმელის გამოსახვის საშუალებას. მან თვითონ უნდა განახორციელოს ეს საშუალება. ამით განსხვავდება დღევანდელი ხელოვანის ამოცანა ძვ. ბერძნული ხანიდან იმპრესიონიზმამდელი პერიოდის ხელოვანების მიზნისგან. საკუთარი ძალისხმევის, შრომის, შეცდომების, ტანჯვის და უკომპრომისობის ფასად უნდა მოიპოვოს დღევანდელმა პოეტმა, თუ მხატვარმა თავისი შემოქმედებითი ენა, თავისი ფორმალური სისტემა და სტრუქტურა, თავისი მხატვრული სახე. ფორმის პირველადი ინსტიქტებით შექმნის ასპექტით, არსებობს ინტუიტური პრიმატი და ინტელექტუალური პრიმატი. ინტუიტურ პრიმატთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა შემომქმედი მხოლოდ საკუთარი ალღოს კარნახით აგებს გამომხატველობით ენას და ფორმათქმნადობის ისტორიული ცვლილებები არ იცის. ინტელექტუალური პრიმატი იქმნება იმ შემთხვევაში, როცა ისტორიულ ფორმებს დაუფლებული, განსწავლული ხელოვანი შეგნებულად და მიზანდასახულად ამბობს უარს თავის კლასიკურ ცოდნაზე (ფორმის წარმოების გაგებით) და ქმნის ისეთ პრიმატს, რომელიც მას ფორმით მეტყველების არცოდნის მდგომარეობაში აღმოაჩენს. ფორმის გაკეთების ხერხებს, ასეთ შემთხვევაში, ვერავისგან ვერ ისწავლის, მაგრამ ფორმის შექმნის ხასიათში ირიბად მაინც იჩენს თავს მისი კლასიკური სკოლისმიერი გამოცდილება.

ახალი დროის ხელოვნებამ იმიტომ დაისახა ასეთი გეზი, რომ პრიმატ-

ში ესთეტიკური სათქმელის ყველაზე უტყუარი გამომხატველობის შექმნის შესაძლებლობა იქნა დანახული. პრიმატის ამ თვისებას ეფუძნება სწორედ ველურად აღმსარებლური თვითგამოხატვა.

თუ გავიხსენებთ, თუ რამდენად ყოვლადმეტყველი ესთეტიკური პრიმატი შექმნა ვაჟა-ფშაველამ ფშავ-ხევსურულ ფოლკლორზე დაყრდნობით, გავიგებთ რა როლს თამაშობს სიტყვის ქართლურად მოქცევა სამადაშვილთან. სამადაშვილის ენის ქართლური აქცენტი და ველურად ხატოვანი მეტაფორა, თითქოს, ინტუიტივიზმზე, პირველადი ინსტიქტების ღიაობაზე მიუთითებენ, მაგრამ ვინაიდან იშვიათად წავაწყდებით მის ლექსებში უაზრო სილამაზეებს და უაზრო სიმძაფრეებს, ვინაიდან გამუდმებით ვგრძნობთ ინტელექტუალურ ქვეტექსტს, ვრწმუნდებით, რომ მისი პოეზია ინტელექტუალური ინტუიტივიზმის პრინციპით არის აგებული.

პოეზიის რომელი თვისებიდან გამომდინარეობს სამადაშვილის მეტყველების დამაჯერებლობა? უბრალოდ გულახდილობიდან? რა თქმა უნდა, ეს დიდ როლს თამაშობს. თვითგანქიქება უთუოდ წარმოშობს გულახდილ ინტონაციას, აღსარების წრფელხმოვანებას. მაგრამ დიდი მხატვრული ძალის მქონე უშუალობა, განცდათა მომხიბვლელი ღიაობა მარტივი ადამიანური სიწრფელით ვერ მიიღწევა. პოეტის შემოქმედებითი გენია და ოსტატობა სწორედ იმისთვის არიან ლექსთთხზვის აუცილებელი ატრიბუტები, რომ ესთეტიკას დამაჯერებელი უშუალობის სიჩვილე შეექმნას. სამადაშვილის გულახდილობას, თვითჩხრეკვას, აღსარებას ნამდვილობის იერს ყველაზე მეტად, ალბათ, მისი პოეზიასთან დამოკიდებულების ხასიათი აძლევს. „შინაგან ემიგრაციაში“ მყოფ პოეტისთვის, პოეზია ერთადერთი თავშესაფარი იყო, ერთადერთი ფენომენი, რომელიც მას საშუალებას აძლევდა მართალი ყოფილიყო. აქედან გამომდინარე სწორედ პოეზიის წიაღში უჩნდებოდა შეგრძნება, რომელიც ამცნობდა, რომ ჭეშმარიტად თანესწრებოდა იმწამიერ სამყაროს არსებობას. ეს რეალობის განცდა უძვირფასესი რამ იყო მაშინდელ ილუზიურ და ყალბ გარემოში და ყოფიერებაში.

სამადაშვილისთვის პოეზია თავისი ამაღლებული ბუნებით ადამიანურობის საზომიც კია: პოეზია იმდენად არ ღალატობს, რამდენადაც მას არ ღალატობენ. პოეზია სამადაშვილისთვის მარადიული ღირებულებების, ღმერთის, სულის, გულის სიწმინდის ძიების „რელიგიაა“. როგორც პოეზიას მოექცევი, ისეთი იქნები და ისეთი სამსჯავროც გექნება. თითქოს, ამ დევიზით ქმნის თავის პოეტურ ხმას სამადაშვილი. იგი არ თვალთმაქცობს, არ კოკეტობს და კეკლუცობს, პოეზიის წინაშე. იცის, რომ პოეზიის უფაქიზესი ბუნება ვერ იტანს ასეთ სიტლანქეებს, რომლებსაც თავს

მოახვევენ თუ არა, იმ წამშივე სხლტება ხელიდან და მის ნაცვლად პოეტს თავისი სიყალბე, ან ოინბაზობა შერჩება. ლაპარაკი აღარ არის იმაზე, როცა პოეტი პოეზიას აიძულებს იმეტყველოს თავად პოეტისთვის უცხო თემებზე, მოტივებზე და სხვ. სამადაშვილს ერთხელაც არ მიუკარებია პოეზიისთვის ისეთი რამ, რაც მისი რწმენისთვის, მსოფლხედვისთვის, განწყობილებებისთვის უცხო იყო. არც სიმულაციური გმირობის და სპეკულატური შეგრძნებების შექმნა უცდია პოეზიის საშუალებით. ვთქვათ ტანთ არ შემოუგლეჯია სამშობლოსთვის ლექსებში პატრიოტის სახელის შესაქმნელად. მაშინდელ საქართველოს დედინაცვალიც კი უწოდა. სამშობლოს იმით გამოუსახა სიყვარული, რომ უსპეტაკესი და უღრმესი პასუხისმგებლობით მიუდგა პოეზიას და ამდენად, ქართულ ენას. და ქართულმა ენამ და პოეზიამ სამაგიერო მიაგეს პოეტს, საოცარი ძალით ამეტყველდნენ მის ლექსებში. პოეზიასთან პატიოსანი და მზრუნველი დამოკიდებულება აპატიოსნებდა მის პიროვნებას, წმენდდა მის შეგრძნებებს, მის ამღვრევას, დაბნევას და დაღლას. რაც მთავარია, უდიდეს დამაჯერებლობას და გულახდილობის ინტონაციას ანიჭებდა მის მეტყველებას. პოეზიასთან ასეთ დამოკიდებულებას კი დიდი ტალანტი სჭირდება.

იოლი სათქმელია: ისე წავიდა, რომ არცერთი ლექსი არ გამოუქვეყნებია. რა სიმარტოვე, რა მიგდებულობა და გადაკარგულობა იმალება ამ ფრაზაში. ტალანტისთვის დიდ საფრთხეებს წარმოქმნის საზოგადოების მხრიდან მისი უგულვებელყოფა, არდანახვა. ეს საფრთხეებია: პოეტის თავის შესაძლებლობებში ზედმეტი დაეჭვება, გულგატეხილობა, შემოქმედებითი პასუხისმგებლობის მოდუნება და აქედან გამომდინარე პროფესიონალური შემართულობის ზედმეტად შინაურულ, კუსტარულ მოშვებულობაში გადაზრდა და სხვა. მაგრამ სამადაშვილს ეყო თავისი პოეტური მოწოდების სიმტკიცე და პიროვნული გაუტეხავობა. მან გაუძლო უკულმართი დროის ყოველგვარ გამოცდას. საბჭოთა ცხოვრებამ პოეზიის ჭეშმარიტ მოყვარულებსაც და დამფასებლებსაც დაუხშო სმენა ნამდვილი პოეზიისადმი. ამბობენ, ერეკლე ტატიშვილმა, ვინც მისი ტალანტის პირველი ამღიარებელი იყო, ურჩია ლექსები არ დაებეჭდა, მაგრამ იმას ვერ ამბობენ, რამ აიძულა ერეკლე ტატიშვილი ასეთ რჩევა მიეცა პოეტისთვის. მიზეზი კი უბრალოა: საბჭოთა ცენზურა უდიდეს ხარკს ითხოვდა შემომქმედისგან იმისთვის, რომ საზოგადოებრივ ასპარეზს აძლევდა. პოეტს სული უნდა მიეყიდა საბჭოთა იდეოლოგიისთვის, ასეთი უფლება რომ მოეპოვებინა. გაყიდული სულით ყალბი ლექსები კი იწერება, მაგრამ ჭეშმარიტი პოეზია არ იქმნება. პოეზიის ბუნება ვერ იტანს მასთან ოდნავ უპატიოსნო დამოკიდებულებას. როცა პოეტი გულახდილობის ტონით არაგულახდილად

უმღერის მისთვის უცხო და საძულველ საგნებს და მოვლენებს, აღარც პოეზიასთან გვაქვს საქმე და აღარც ქართული კულტურის იმპულსთან. საერთოდ, ნამდვილი პოეზიისთვის უცხოა რომელიმე პოლიტიკური წყობის ხოტბა, რადგან ვერც ერთი პოლიტიკური წყობილება ვერ წარმართავს ადამიანთა არსებობას დამაკმაყოფილებლად. შეუძლებელია ქართული კულტურის ხმა მოგვესმას ისეთ ლექსებში, რომლებიც ქართული ყოფის ენის და კულტურის ავტონომიურობის მდევნელი პოლიტიკური წყობის და ბელადების ქებას შეიცავენ.

30-იან წლებიდან 50-იან წლებამდე ერთადერთი სამადაშვილია, ვის ლექსებშიც განვითარებაშეწყვეტილი ქართული კულტურა და აზრი მთელი თავიანთი ფორებით იძლევიან ინფორმაციას თავიანთი ტრაღიკული მდგომარეობის შესახებ. ამიტომ განხორციელდა მის ლექსებში ჭეშმარიტი პოეზია, რომელიც ბევრმა ვერ დაინახა და ზოგმა დაინახა, მაგრამ არ შეიმჩნია.

„მარტოდ მივარდნილს, პოეზიის გერი დამარქვეს“ („სიმღერები გამოქვაბულიდან“) – ამბობს პოეტი და გასაგებია, რასაც გულისხმობს. კომუნისტური ორიენტაციის გამო არაჭეშმარიტ საქართველოში ჭეშმარიტი ხმის მქონე ხელოვანი სწორედაც უცხოდ შეიგრძნობდა თავს. ე. იუნესკოს პიესაში „მარტორქა“ ყველა ილუზიების გავლენაში ექცევა და მარტორქად გარდაიქმნება. მთავარი გმირი დიდი შინაგანი ძალისხმევით ცდილობს არ აყვეს სხვებს და ადამიანობა შეინარჩუნოს. საზოგადოების საყოველთაო დინების წინააღმდეგ წასვლა ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიაში თავისუფლების და ამდენად, პიროვნული ნების  დამოუკიდებლობის საზომად მიიჩნევა. მხოლოდ ძლიერ პიროვნებებს ძალუძთ იქონიონ თავისუფალი ნება და წინ აღუდგნენ საყოველთაო ტყუილს, ილუზიებს, გაოგნებას. სწორედ ასეთ მარტომყოფ ძლიერ და თავისუფალ პიროვნებად გვევლინება ნიკო სამადაშვილი.

არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც სულ სხვა განზომილებით ახსნის ხელოვანის საზოგადოებაში მარტო ყოფნას. ეს ასპექტი თანამედროვე ხელოვნების ხასიათიდან გამომდინარეობს. კერძოდ, იგი გულისხმობს იმ სიმარტოვეს, რომელსაც მხატვრული დამოუკიდებელი პრიმატის შექმნის სიძნელე წარმოშობს. რადგან ჩვენი ეპოქის შემომქმედი ვერავისგან ვერ ისწავლის თავისი სათქმელის განუმეორებელი ავტონომიურობის მქონე ფორმის ჩამოყალიბებას, იგი ინდივიდუალისტური პრინციპის ნოვატორი ხდება. იგი უნდა ელოდეს, რომ მას ვერ გაუგებენ. ვინაიდან საზოგადოებისთვის უკვე ნაცნობ ენაზე არ მეტყველებს, უჩვეულოა და ვერგაგებული ღირებულების უიღბლობის განწყო-

ბილებით იმსჭვალება. უიღბლობის განწყობა ღრმავდება იმით, რომ საკუთარი მხატვრული პრიმატის განხორციელება ხელოვანში ჭეშმარიტების ძიების ტოლფასოვან მოვლენად არის ქცეული. საზოგადოების მხრიდან ვერგაგება, სიმარტოვე, ტანჯვა თავისი მხატვრული ინდივიდუალობის შექმნისთვის და დამკვიდრებისთვის განწირულობის ელფერს აძლევს თანამედროვე ხელოვანს. მაგრამ არის კი ავტონომიური შემოქმედებითი პრიმატი ისეთი ფასეულობა, რომ მისთვის შეწირვა ღირდეს; ხელოვანი დარწმუნებულია, რომ – არის. შემოქმედებით პრიმატს იგი განიხილავს როგორც მნიშვნელოვან ცნება-იდეას კაცობრიობის თავის რაობაზე ჩაფიქრების პროცესში, თავისი ადამიანური რაობის აგების დიად საქმეში. მართლაც, როცა ვამბობთ: ლეონარდო და ვინჩი, დანტე ალიგიერი, შოთა რუსთაველი, იოჰან სებასტიან ბახი, უილიამ შექსპირი, – ეს უღრმესი შინაარსების შემცველი ცნებებია კაცობრიობის თვითგამოვლინების კულტურაში. კულტურის გარეშე კი ადამიანი იმდენად აღარ არის ადამიანი, რომ მისი არსებობის მისია უაზრო და აბსურდული ხდება.

ასეა თუ ისეა, ხელოვანს არ შეუძლია არ უსმინოს თავისი გენიის კარნახს და არ შექმნას. ეს მიზეზი კმარა მისი შემოქმედებითი შრომისთვის მნიშვნელოვანების მისანიჭებლად.

ნორმალურად წოდებული ჩვეულებრივი ცხოვრების წრიდან გადასულობა, ერთგვარი არაკლინიკური შეშლილობა დამახასიათებელი გახდა ჩვენი ეპოქის ხელოვანებისთვის. რემბო, ვერლენი მეშჩანური თვალსაზრისით ავანტიურისტებად აღიქმებოდნენ. ამადეო მოდილიანს „დაწყევლილი მხატვარი“, „დაცემული ანგელოსი“ შეარქვეს, ვინსენტ ვან გოგს შეშლილად მოიხსენიებდნენ. სერვანტესის ცხოვრებას თუ გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, თუ რა უცნაურ ფორმებს იღებს ცხოვრებაში ხელოვანის ყოფიერებით დაუკმაყოფილებლობა, რის ნიადაგზეც მძაფრი კრიტიკული აზროვნება უვითარდებოდათ ხოლმე. სწორედ კრიტიკული აზროვნებისთვის სჯიდა, თითქოს, ყოფიერება სერვანტესს, უცნაურ ცხოვრებისეულ სიტუაციებს უქმნიდა.

ნიკო სამადაშვილი „განწირულ პოეტს“, „გიჟ პოეტს“ უწოდებდა თავის თავს. ყოფიერებით დაუკმაყოფილებლობა მუდმივი ფორიაქის, ბორგვის, მიუსაფრობის მიზეზი გახდა მისთვის. ავტონომიური შემოქმედებითი პრიმატის შექმნისთვის ტანჯვა, საზოგადოების მხრიდან ვერ გაგება და უგულვებელყოფა უიღბლობისა და განწირულობის თვითშეგრძნებად გადაიქცა მისთვის. მაგრამ პოეტი ერთი წამით არ წასულა კომპრომისზე. განწირულების თვითგანცდამ ვერ მოტეხა იგი, პირიქით, გააღვივა მისი წარმავალობის ყოველგვარ ამაო ფორმებთან კრიტიკული აზროვნებით

ბრძოლის ენერგია. ალბათ ამ ენერგიიდან გამომდინარეობს მისი ელდა-მცემი ექსპრესიულობა პოეზიაში, რომელიც ერთი შეხედვით პირველადი ინსტიქტების ველურ გამოხატულებად გვეჩვენება. მაგრამ დაკვირვებული აღქმის შემდეგ, მისი ლექსები მძლავრ კრიტიკულ აზროვნებაზე აგებულ განცდებით გამოხატულ ფილოსოფიად გაიაზრება.

ნიკო სამადაშვილმა შექმნა ავტონომიური მხატვრული პრიმატი. ქართული პოეზიის წიაღში მას განუმეორებელი ორიგინალობის მქონე ხმა აქვს. მისი ლექსები ქართული პოეზიის ღირებულების სიღრმის უნარიანობის საზომ ერთეულად გამოდგება.

ნიკო სამადაშვილის ლექსებში ხშირად გვხვდება ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის პერსონაჟი, რომელიც თავისი უსაზღვროდ ვრცელი სამოქმედო ადგილსამყოფელით პოეტის საცხოვრისის, ქართლის საზღვრებს სამყაროს მიღმამდე აფართოვებს. ამ პერსონაჟის არსებობის მიზეზი ხან მიწიურის და არამიწიურის საზღვრების გადალახვა და დანგრევაა, ხან მიწიურზე ზეციური სიღრმეებიდან ჩაფიქრებაა. ხან რაღაცის შენანება, ხან სიმღერა:

„საღღაც ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამქერი,
ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამოირბინა...“
*(„საღღაც ბინდებთან შეაჩერებს...“)*

„ვინც ლაქვარდებში მუხლის ჩოქით გადაიპარა,
ფრთხილად წამოდგა და გასწია, ვინ იცის საით...“
*(„ბინდი“)*

„ხან მთის კონცხიდან ოდნავ ხედავდი
სამყაროს იქით მიმავალ მგზავრებს“.
*(„ფერისცვალება“)*

„შორეულ გზაზე დასველდება ის მოგზაური,
მსოფლიოს უკან შეთქმულივით რომ ჩაიარა.
წაიღო ძვლები თოვლისაგან მთლად დაბზარული
და მზის წერტილებს გრიგალივით გადაეფარა“.
*(„ხელის გაშვერა მტკვართან“)*

„სამყაროს გაღმა ჩაივლის ვიღაც
ჩაფიქრებული, როგორც მისანი“.
*(„დარდი ბუხართან“)*

„პლანეტის გაღმა ვიღაც ნანობდა
ვინ იცის, ბარში ველარ დაბრუნდეს“.
*(„გადმორბენა სამყაროსკენ“)*

ამ პერსონაჟისთვის ფიზიკური დაბრკოლებები არ არსებობს. მისი კონკრეტულ ლექსში სახეზე ყოფნა მასშტაბურ, კოსმიურ განწყობილებას სძენს ლექსის ზოგად მოტივს, მის მეტაფორულ მისტერიებს. ერთგან თუ იგი მღერის და ლექსში მოცემული ხდომილების გამო ატირდება, მეორეგან იგი კაცობრიობის ჩაფიქრებათა პერსონიფიცირებულ სიმბოლო მოაზროვნეს ასახიერებს. იგი არაფრით არ იწვევს როდენის „მოაზროვნის“ ასოციაციას, რადგან უფრო კოსმიური მასშტაბის არის და უფრო მისტიურია. მომენტალურად ეს ზოგადი პერსონაჟი შეიძლება ქრისტე გვეგონოს, მაგრამ გავურბივართ მისი ვინაობის დაკონკრეტებას და ვარჩევთ თავისი განუსაზღვრელი ზოგადობა შევუნარჩუნოთ. ერთ ლექსში იგი შეთქმულია, მეორე ლექსში იმას ნანობს, რომ მიწაზე შეიძლება ვეღარ დაბრუნდეს.

ეს იერსახე წმინდად სამადაშვილისეულია. პოეტის მხატვრული პრიმატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი – იგი დიდი სივრცეების გარდა, ღრმა სიდიადეს სძენს იმ მეტაფორულ მისტერიებს, რომლებიც ლექსებში პირველმნიშვნელოვანი ამბებივით ხდება. ამ პერსონაჟით პოეტმა თავისი პოეტური მითი შექმნა. ეს არის კოსმიური ჩაფიქრება იმ განხეთქილების შესახებ, რომელიც ადამიანში მოხდა უხილავის შეუცნობ ბუნებასთან დაკავშირებით. მისი საშუალებით პოეტი სამყაროს გაღმიდან უყურებს თავის თავს და ზოგადად წუთისოფელს. ეს მითიური პერსონაჟი ჭეშმარიტი ავტონომიურობის ხარისხს და განუმეორებელი დამოუკიდებლობის დონეს ანიჭებს სამადაშვილის პოეზიას.

მახვილი გამომხატველობა, რომელიც პოეტური სმენის ელდას იწვევს პოეტის ზოგიერთ ლექსში მძვინვარედ აქტიური სევდის ენერგიად გარდაიქმნება ხოლმე. ეს პირქუში განწყობილება სევდა და მწუხარება აღარც კია, იმდენად წააგავს შლეგ სიანჩხლეს, ბობოქარ წყევლას. ქვეყნის გმობის ინტონაციებმა ასეთ ლექსებში, შეიძლება, შექსპირული გაავებული პერსონაჟების ხმაბნელი მონოლოგები მოგვაგონოს. განსაკუთრებით გადმოსცემს ასეთ ვნებას ორი ლექსი: „დარდი ბუხართან“ და „ხელის გაშვერა მტკვართან“. მათში ლედი მაკბეტის ყოვლისმომსპობ ენერგიას დავლანდავთ. ჩვენ ყურადღებას არ გავამახვილებდით ამ ლექსებზე, მათ რომ შესამჩნევი პოეტური ელფერი და ძალა არ შეჰქონდეთ პოეტის ინდივიდუალისტურ შემოქმედებით პრიმატში. მათი აღნიშვნის საჭიროებას ისიც იწვევს, რომ პარადოქსული და ძნელად ასახსნელი ინტონაცია შეაქვთ ლექსების აზრობრივ ქვეტექსტში. ლექსში „ხელის გაშვერა მტკვართან“ პოეტი მტკვარს მიმართავს: „მტკვარო გავარდი და ცა ისე გაატიალე, რომ დედამიწა მსოფლიოში ვერ მიდიოდეს“. მთელი ლექსი საწუთროს დაღუპვის ვნებით არის დაწერილი. სიცოცხლის წინააღმდეგ შეთქმულის წყევლას გავს ეს ლექსი. შემთხვევით არ ახსენებს პოეტი შეთქმულს:

„შორეულ გზაზე დასველდება ის მოგზაური,
მსოფლიოს უკან შეთქმულივით რომ ჩაიარა.
წაიღო ძვლები თოვლისაგან მთლად გაბზარული
და მზის წერტილებს გრიგალივით გადაეფარა...“

სამწუხაროდ, უცნობია ამ ორი ლექსის დაწერის თარიღი. თუ ისინი ოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში შეთხზული აღმოჩნდებოდა, შეიძლება მკვლევარს უფლება მიეცა თავის თავისთვის და წინადგრძნობის გამომხატველი უნარი დაეფიქსირებინა. ამ დროისთვის ხომ დიდი განსაცდელი ელოდა ხალხებს. კომუნისტური 37 წლის სისხლიანი რეაქცია მილიონების მიმართ. შემდეგ კიდევ მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, რომელთაც მთლიანად შეცვალეს ომის შემდგომი პერიოდის ადამიანის ფსიქიკა. მასში საფუძველი გაიდგა ურწმუნობის სასოწარკვეთამ. ასეთ შემთხვევაში ვიფიქრებდით, რომ ნახსენებ ლექსებში პოეტმა დროის ყოვლისმსახვრელი სტიქია იწინასწარმეტყველა. მაგრამ თუ ასეთი მიმართებით წარმართავდა მკვლევარი ანალიზს, რამდენადმე გვერდით მოიტოვებდა პოეტურ საწყისს და მისტიკის სფეროში გადაიჭრებოდა. ეს კი საფრთხილოა, რადგან  სპეკულატური ვარაუდების განუკითხავ და განუსაზღვრელ ილუზიებში აღმოჩნდებოდა. მაგრამ ამ ლექსებში გამოხატული გამანადგურებელი ჟინი მაინც ითხოვს მისი გააზრებისთვის ისეთ ანალიტიკურ ასპექტს, რომელიც ოდნავ გადაუხვევს ესთეტიკის ჩვეული კანონზომიერებიდან. რაღაც ეფექტური აზრია საჭირო, თითქოს, რომ გაშიფრულ იქნას ლექსებში გამოხატული ნგრევის ბორგვა. მაინცდამაინც მისტიკის წიაღში არ აღმოვჩნდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ნიჭიერი შემომქმედი პირადულის ღონეზე განიცდის დროის სულისკვეთებას. ამ მხრივ ბუნებრივი იქნება მივიჩნიოთ, რომ სამადაშვილმა პირველ პირში განახორციელა მეოცე საუკუნის შესაზარ ამბავთა სტიქიები. ამ საშინელებათა განზოგადოებულ კოშმარს კი, ალბათ, ყველაზე მეტად სიურრეალისტური ესთეტიკის პრინციპი გამოხატავდა, რაც პოეტმა უნებლიედ განახორციელა კიდეც. მართლაც, ამ ლექსების აღმატებული ექსპრესიულობა ვერ თავსდება ექსპრესიონიზმის ფარგლებში. მათში სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელი კოშმარული განწყობილება უფრო იკითხება. როგორც ვიცით,სიურრეალიზმის ესთეტიკური პრინციპი უარყოფს ცნობიერების ლოგიკას, მის მორალურ მოდუსებს და ქვეცნობიერის განუსაზღვრელ წარმოსახვებს იდეური მოწესრიგების გარეშე ასახიერებს. ამას თუ გავითვალისწინებთ, არ გაგვიკვირდება, რომ პოეტი ლექსებში არ მიმართავს კეთილშობილ კომპრომისს და ლირიკული მორბილებით არ აოკებს ნგრევის მოთხოვნილებას. მაგრამ ლექსების კითხვის დროს იმის

ცოდნა, რომ სიურრეალიზმთან გვაქვს საქმე, არ მოალბობს ჩვენს შეძრწუნებას.

ლექსის თხზვის პროცესში გამოსახატი თემის, აზრის თუ საგნის მიმართ გამმეტებელი მხატვრული ჟინი საერთოდ დამახასიათებელი რომ არ იყოს სამადაშვილის პოეზიისთვის, ზემოთ ნახსენებ ლექსებში შენიშნული ნგრევის ვნება შემთხვევითობას ან ლექსის მოტივის არაპროფესიონალურ დასრულებას მიეწერებოდა. მაგრამ გამოსახატი ობიექტის ექსპრესიული გამეტება, გაწირვაც კი, პოეტის ესთეტიკური მეთოდის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამის დასამოწმებლად შეგვიძლია გავიხსენოთ მათხოვრის იერსახე ლექსში „უკანასკნელი ქრისტიანები“. მათხოვრის უბადრუკობისადმი თანაგრძნობა რომ გამოხატოს, პოეტი მახვილი მხატვრული საშუალებით წირავს მას, იგი: „მყრალ ჯოჯოხეთის მოხდილი პკეა“ და „თითქოს, ჩიტებს აუკენკიათ“. თანაგრძნობა უკურეაქციულია, იგი მათხოვრის მდგომარეობის გამმეტებელი აღწერის ხატოვანებაშია ნევროზულად შეფარული. ლექსში „უთავო მხედარი“ პოეტი თავის ქალაში ხვლიკს რომ შეაძვრენს, ამ გამწირავი უკურეაქციით გამოთქვამს თანაგრძნობას ადამიანის სიცოცხლის მოყვარეობისადმი. თანაგრძნობა უშუალოდ არ ჩანს, იგი ნევროზულად ინტონაციურია. ამ უკურეაქციული საშუალებით თანაგრძნობის გამოხატვის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ჰამლეტის ოფელიასთან გაავებული გამმეტებლური ლაპარაკი. იგი მონასტერში ერეკება ოფელიას, მაგრამ მის ანჩხლობაში ოფელიასადმი სიყვარულიც ამოიცნობა.

მსგავსი გამმეტებელი მხატვრული უკურეაქცია განსაკუთრებული სიშიშვლით არის გამოსახული ერეკლე ტატიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში. ნიკო სამადაშვილი უდიდეს პატივს სცემდა ერეკლე ტატიშვილს, მისი ლექსების პირველ ამღიარებელს. აქედან გამომდინარე მიძღვნაში, თითქოს, დიდი თაყვანისცემა და სითბო უნდა გამოეხატა სათაყვანებელი პიროვნებისადმი. მაგრამ ამის სანაცვლოდ პოეტი ეპაექრება მისი საყვარელი პიროვნების მრწამსს. საოცარი გამწირავი ექსპრესიით ხატავს ერეკლე ტატიშვილის წარმართად აღქმულ პიროვნებას: „წარმართ თვალებზე ქრისტეს წყევლა გქონდა აკრული...“ ასე მიმართავს პოეტი კაცს, რომელსაც თავის მოძღვრად მიიჩნევდა. გამმეტებელი ტონი შემდეგ სტროფებშიც გრძელდება: „დასწყევლოს ჭირმა, რაღა ნისლებს დაუმეგობრდი, თუ არ იცოდი, სად ინათლა, სად ბნელდებოდა?“ ლექსის დასასრულს პოეტის გამწირავი ექსპრესიულობა სასტიკიც ხდება: „...ცოტა ხანს კიდევ... იმის მერე, რომ დაბერდები, ეგ თავის ქალა კლდეს ექნება პირში გაჩრილი“. არ შეიძლება მეორე სტრიქონმა მკითხველში თავზარდამცემი

ელდა არ გამოიწვიოს მაღალხატოვანებითაც და იმითაც, რომ ეს სისასტიკე უსაყვარლესი სუბიექტისადმი არის მიმართული. ესთეტიკური სიშლეგე კიდევ უფრო რეაქციული ხდება ლექსის ბოლო სტროფში: „და შენს ხერხემალს სალამურად გამოიყენებს არმაზის კერპი ან ქარების ტიალი დოღი, სანამ გრიგალებს შენს ძვლებს კვერთხით დააყრევინებს გოლგოთის მთიდან მორეკილი ღმერთების ჯოგი“.

როგორც ცნობილია, ერეკლე ტატიშვილი ფრიდრიხ ნიცშეს შემოქმედების და ფილოსოფიის არა მხოლოდ მოყვარული არამედ მიმდევარიც იყო. სამადაშვილი ეპაექრება მისი საყვარელი პიროვნების იდეურ პოზიციას. იგი ქრისტიანული მსოფლხედვის ასპექტიდან განიხილავს ნიცშეანურ ნეოწარმართობას რასაც ფილოსოფიაში „აგრესიული ინდივიდუალიზმი“ ეწოდა. მაგრამ ლექსში სწორედ აგრესიული ექსპრესიულობით გვიხატავს „ნეოწარმართული“ მრწამსის დრამატულ ბედს დროისა და სივრცის ასპექტით კოსმიურ მთლიანობაში. თუ არ ვიფიქრებთ, რომ ლექსის მთელი ესთეტიკური სისასტიკეები მომართულია იმისთვის, რომ ტრაღიკული მსოფლხედვის პიროვნებას უკურეაქციის მეთოდით თანაგრძნობა გამოეხატოს, მოგვეჩვენება, რომ პოეტი რომელიღაც ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო შურს ძიობს მოძღვარზე. ეს კი ლექსის მცდარად წაკითხვას მოასწავებდა. ფსიქოანალიტიკოსები, ალბათ, სწორედ ნიცშეანურ აგრესიას განჭვრიტავდნენ ამ ლექსის მეტაფორულ სისტემაში. იქნებ სამადაშვილმა შეგნებულადაც მიმართა აგრესიულ ხატოვანებას. ეს ვარაუდი უსაფუძვლო არ აღმოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ ერეკლე ტატიშვილს სწორედ ეს რეაქციული ექსპრესია მოწონდა სამადაშვილის ლექსებში. რეაქციული ხატოვანება, აგრესიული ექსპრესიულობა, სასტიკი ესთეტიკური ვნება სრულ დონეს აღწევს ლექსებში „დარდი ბუხართან“, „ხელის გაშვერა მტკვართან“. ამ ლექსებში კი ფსიქოანალიტიკოსები არა მხოლოდ აგრესიას არამედ სუბლიმირებულ სექსუალურ სიშმაგესაც ამოიკითხავდნენ. თუ სხვა ლექსებში უკურეაქციის მეთოდით გამოხატულ ნევროზულ თანაგრძნობას ამოვიცნობთ, ამ ლექსებში დასაღუპად განწირული სამყაროსადმი თანაგრძნობის შეგრძნობა მეტად ჭირს. მათში განუკითხავად ბატონობს სიურრეალისტური კოშმარი. ამ კოშმარში განხორციელებული მხატვრული ქინის ასახსნელად სუბლიმაციის თეორიის გამოყენება საეჭვო უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ სულ სხვა ასპექტით გვინდება ხსენებული ქინის განხილვა. ლექსებში აგრესიული ტონი უთუოდ არის. პოეტის აბობოქრებული მწუხარება ნგრევის, ყოველივეს განადგურების იმპულსად გარდაიქმნება. ლექსში „დარდი ბუხართან“ ბუხართან მჯდომარე პოეტს დარდი აუზვავდება და ასე მიმართავს კვამლს:

„კვამლო, არ შეწყდე, გასწიე ზევით,
გაჭვარტლე ზეცა, ღმერთმაც ვერ გვძლიოს,
უსაზღვროება ისე შესუდრე,
რომ ჩემს პლანეტას გზა აერიოს“.

„წარმავალობა მიზიდავს უღრანს, იქ არც შუქია არც ვარსკვლავები“. აგრძელებს პოეტი და შემდეგ სტროფში გვიხატავს სამყაროს დაღუპვის სურათებს. ასეთი განწყობილების აღქმის შემდეგ მკითხველის ცნობიერებაში შეიძლება უნებლიედ, გაუფრთხილებლად ამოტივტივდეს სიტყვები – დანაშაულებრივი ვნება, თუ ეცდუნება მკითხველი ამ დანაშაულებრივი ვნებით ახსნას, ხსენებული ორი ლექსის რეაქციული ხატოვანება უცნაურ დასკვნამდე მივა. მან შეიძლება მიიჩნიოს, რომ პოეტის თვითდადანაშაულების განწყობათა უკუღმა მხარესთან აქვს საქმე. მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს,რომ პოეტის ველური გაანჩხლება ისეთი ტიპის ვნებაა, რომელსაც ცოდვის ჩადენა ძალუძს. თითქოს გასაგები ხდება პოეტი ხშირად რატომ კილავს თავის თავს: დანაშაულებრივი ესთეტიკური ვნება პოეტში საკუთარი ტალანტის სიველურის შიშს იწვევს რაც შენანებაში, თვითკრიტიკაში მჟღავნდება. ამ პროცესზე მაინცდამაინც ქრისტიანული თვითშეგნების მისადაგება არ არის აუცილებელი. ადამიანი ისედაც ბუნებრივად შეძრწუნდება ხოლმე, როცა ველურ ვნებას გამოავლენს ბრმად. მაგრამ ასე ერთხაზოვნად არ გამოიყურება პოეტის ესთეტიკის იდეური წყობა. მკითხველი ანგარიშს აძლევს თავის თავს და მეორეს მხრივ პოეტის ასეთ გაშლეგებას იმით ახსნის, რომ მას უშავეს ეპოქაში მოუწია ცხოვრება, კომუნისტური რეჟიმის ეპოქაში, როცა ყოველივე ადამიანური აბუჩად აგდებული იყო და ყველა ჭეშმარიტ ღირებულებას დაკარგული ჰქონდა ფასი. აბსოლუტურ ეულობაში მყოფ პოეტს, მართლაც შეიძლებოდა, დაუფლებოდა ამ აბსურდული უსამართლო საწუთროს განადგურების ჟინი. მაგრამ, იკითხავს მკითხველი, რამდენად დასაშვებია, რომ კომუნისტურ შავ რეაქციაზე იმდენად განაწყენდეს კაცი, რომ მთელი ქვეყნიერების განადგურება მოუნდეს? შეიძლება მკითხველს ნ. ბარათაშვილის „ყორანი“ გაახსენდეს, სადაც საწუთროდან „განწირული სულისკვეთებით“ გაქცევა ქვეყნიერებაზე უარის თქმის იდენტურია. იქნებ მსგავსი სულისკვეთება უნდა დაინახოს მკითხველმა ხსენებულ ლექსებში. ხელოვნებაში მახინჯ სინამდვილეზე უარის თქმა ან მისი გამანადგურებელი კრიტიკა იშვიათობას არ წარმოადგენს. თანამედროვე ხელოვნებაში და ლიტერატურაში განსაკუთრებით საგრძნობია მახინჯი სინამდვილის, ან გარდაქმნის, ან უარყოფის გამომხატველი დრამატული განწყობები. თავად სიურრეალიზმი ხომ ბუნებრივი სინამდვილიდან არაცნობიერ და ულოგიკო სიზმრისეულ წარმოსახვებში გაქცევაა. მკითხველი ასე თუ არ იფიქრებს,

გაუგებარი გახდება, რომ ღრმად მოაზროვნე ქრისტიანი პოეტი ასეთ ველურ ფაზაში ამთავრებს ლექსებს. განადგურების ინსტიქტები დინოზავრთა შმაგი ბღავილის მსგავსად ვლინდება ამ ლექსებში. ეს ძალა თავზარდამცემია, მაგრამ მომხიბვლელიც არის. რა ესთეტიკური ჯადო უნდა გააჩნდეს წარღვნის ველურ მოთხოვნილებას, რომ აღმაფრთოვანებელიც იყოს, თუ მასში რაიმე სწორი არ არის. მკითხველი შეეცდება ამ სწორი საზრისის ამოცნობას, თუ აღმოჩენას. იქნებ თვით ნიკო სამადაშვილის იმიტაცია გააკეთოს და ამ ლექსების შეფასების პროცესში ისევე ითამამოს, როგორც თვით პოეტმა ითამამა ერეკლე ტატიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში. ამიტომ თავის გაუფრთხილებელ ფიქრებს, გამოთქმას „დანაშაულებრივი ვნება“ და ყოველივე დანარჩენს, უფრო უკანდაუხევლად გადაიფიქრებს და გააგრძელებს. დინოზავრის ბღავილი, წარღვნის გუგუნი... იქნებ ნგრევის ანტიმშვენიერ სილამაზეს გვიჩვენებს პოეტი. სამყაროს დიადი ნგრევა, ღმერთის ჩანაფიქრის კატასტროფული ჩაფუშვა, ანდა პოეტი, იქნებ, იმას გვეუბნება, რომ დანაშაულებრივი მხეცი თვითეულ ადამიანში ბუდობს და მისი გაკეთილშობილების ცდა ამაოა და შეუძლო. ასეთი გზნების პოეტს უთუოდ უნებლიედ გამოაყარა ტანზე ლექსებმა.

და როცა სულ სხვა ლექსში პოეტი ამბობს:

„დანგრეულ სხეულს გულის სიწმინდე
როგორღა შერჩა, ვით მერცხლის ბუდე?“

დინოზავრული მშიერი ბღავილი ისეთ გაადამიანურებულ ქვითინად მოეჩვენება მკითხველს, რომელზეც მერცხლის ბუდესავით გულის სიწმინდის მიშენება შეიძლება.

რთული არსებაა ადამიანი. სამადაშვილი კი ისეთი ტიპის გენიაა, რომელიც შეულამაზებლად გვიხატავს ადამიანის შინაგან ლევიაფანურ მხეცსაც და გულის სიწმინდის მარადიულ მოთხოვნილებასაც, საჩვენებელ საცდელ კურდღლად კი თავისი თავი ყავს გამოყენებული. დიდი სითამამის პოეტია.

მკითხველს პოეტის პირქუში განწყობილებების, კერძოდ წარღვნის მოთხოვნილების აგრესიულობით ახსნა თუ ზედმიწევნით აცდუნებს, შეიძლება მოეჩვენოს, რომ ლექსებში საკუთარი სიკვდილის ხშირი წარმოდგენაც ამ ყაიდის იმპულსიდან გამომდინარეობს. მაგრამ თავის თავის მიმართ გამოხატული განადგურების ჟინი უფრო ყოფიერების მრავალრიცხოვან ნაკლოვანებათა კრიტიკიდან მოდის, ვიდრე აგრესიიდან. აგრესია, ალბათ, სხვისადმი გამოხატულ უარყოფით რეაქციას გულისხმობს.

რა თქმა უნდა, წარმავალობის, სიკვდილის გამუდმებული ჭვრეტა მუქი ტონებით ავსებს პოეტის შემოქმედებას. სიცოცხლის დამამკვიდრებელი ესთეტიკის საკითხი რომ დაისვას სამადაშვილის პოეზიასთან დაკავშირებით, ვინმემ შეიძლება ჩათვალოს, რომ იგი სიცოცხლის უარმყოფელი პოეტია. მაგრამ ასეთი მიდგომა მეტად ზედაპირული და არასერიოზული იქნებოდა, რადგან მასში გათვალისწინებული არ არის ტრაღიკული განცდის კათარზისული ხასიათი. გარდა ამისა თანამედროვე ხელოვნებისთვის სიმპტომატურია საგნის თუ მოვლენის შეულამაზებლობა. პირიქით,თანამედროვე ხელოვნების პრინციპი კრიტიკული აზროვნების საფუძველზე აშიშვლებს საგანთა და მოვლენათა ჭეშმარიტ რაობას, რის შედეგადაც უარყოფს რენესანსულ იდეალიზირების, შელამაზების პრინციპს. რენესანსული ასპექტით თანამედროვე ესთეტიკა სიმახინჯის ესთეტიკად აღიქმება. ეს ასე იმიტომ არ არის, რომ თანამედროვე თვალთახედვით შელამაზება უფრო სიმახინჯეა, ვიდრე ნაკლოვანი ყოფიერების კრიტიკის შედეგად მიღებული „მშვენიერება“. სიტყვა მშვენიერება იმდენად შეესისხლხორცა კლასიკური და რენესანსული იდეალიზების პრინციპს, რომ თანამედროვე ესთეტიკისთვის გამოუსადეგარიც არის. სიცოცხლისდამამკვიდრებლობის თვისება თუ შელამაზებაზეა დამოკიდებული, იგი ილუზიური ხასიათის რამ გამოდის. აქედან გამომდინარე თანამედროვე ხელოვნების კრიტიკული პრინციპი სიცოცხლის დამამკვიდრებელია იმით, რომ მხოლოდ ჭეშმარიტ შეულამაზებელ მშვენიერებას აღიარებს.

პოეტს რომ ეთქვა: აი, რა წმინდა გული მაქვს, ჩვენ გულგრილი დავრჩებოდით,რადგან არ ვენდობით თვითშელამაზების პრინციპს. ასეთია თანამედროვე რთული ფსიქიკის მქონე ადამიანი. მან კარგად იცის გულის სიწმინდის ფასი, იცის, რომ ნამდვილი არსებობის, სამყაროში მოწყობილად ყოფნის, ჭეშმარიტი სიხარულის უტყუარ გარანტიას სწორედ შინაგანი სიწმინდე იძლევა. მაგრამ ისიც იცის, რა ძნელი გადასარჩენი რამეა გულის სიწმინდე. ყოფიერების უსამართლობები, საკუთარი ვნებები, აგრესიული თუ სექსუალური ვნებები მიუღწეველ მოვლენად აქცევენ გულის სიწმინდის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა მან ისიც იცის, რომ ადამიანი მყარ დასაყრდენად მარადიულს და ჭეშმარიტებას რომ ეძებს, ფაქტიურად გულის სიწმინდეს ესწრაფვის, რადგან მხოლოდ ამ ფენომენში არსებობს მარადიულთან  და ჭეშმარიტთან მიახლების შესაძლებლობა. ამიტომაც არის თანამედროვე ადამიანი მთლიანობადაგლეჯილი არაჰარმონიული არსება. და როცა პოეტი განცვიფრებით ამბობს:

„დანგრეულ სხეულს გულის სიწმინდე
როგორღა შერჩა ვით მერცხლის ბუდე?“

ეს ნდობას იწვევს. მერცხლის ბუდე შიგ გულში კი არ არის, არამედ გულზე მიშენებულია. ზუსტად გამოხატავს თანამედროვე ადამიანის მდგომარეობას. გულში ნგრევაა, ავხორცობაა, ვნებები, აზარტები, სიხარბე, ჟინი, შური, ეგოიზმი. სიწმინდე კი მხოლოდ მიშენებული ბუდეა. რადგან იდეალიზება არ არის, ჭეშმარიტად მშვენიერიც არის ეს მხატვრული სახე. ალბათ ასეთი ასპექტით უნდა დავინახოთ პოეტის სიცოცხლის დამამკვიდრებელი იმპულსი.

რაც შეეხება ესთეტიკის ფსიქოანალიტიკური რკვევის მეთოდს, სამადაშვილის პოეზიის ხასიათის ანალიზისთვის გამოუსადეგარი უნდა იყოს. თუ მაინცდამაინც სექსუალური ლტოლვის სუბლიმაციის თეორიას მიმართავს მკვლევარი, შეუძლია მიუყენოს იგი ისეთ ხელოვნებას, რომელიც სასიამოვნოების ესთეტიკის პრინციპზეა აგებული. ჰედონისტური ხელოვნება თავის სიტკბოთმოყვარეობაში, ალბათ, მართლაც შეიცავს სექსუალურ იმპულს. სამადაშვილთან კი ყოფიერების ისეთ მწვავე კრიტიკასთან გვაქვს საქმე, რომ წარმავალობის და სიკვდილის ჭვრეტის უარყოფით ხასიათს შეუძლებელია რამენაირად განეხორციელებინა პოეტის სექსუალური ლტოლვა. გარდა ამისა, სექსუალურ ინსტიქტს არავითარი არც მოთხოვნილება და არც უნარი აქვს დაიტანჯოს მარადისობის და ჭეშმარიტების იდეების გამო. თუ სექსუალურ ლტოლვას შეუძლია გამოიხატოს შმაგად, რატომ არ შეიძლება უფრო ვნებიანი ფორმა ჰქონდეს სექსზე უფრო მეტის, „გულის სიწმინდის“ და საკუთარი პიროვნების მთლიანობის ძიებას, ისე, რომ სამადაშვილის პოეტური ესთეტიკა არასუბლიმაციური ხასიათისაა. მახვილი ექსპრესია, რომელიც მის პოეზიას გააჩნია სექსუალური სიშმაგიდან, ან რაიმე მსგავსი კომპლექსიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ადამიანის კოსმიური დანიშნულების ძიებიდან გამომდინარე სინამდვილის კრიტიკიდან.

სიამტკბილობაში ცხოვრების შესახებ თავის შეხედულებას ერთ-ერთ ლექსში აშკარად ამბობს: „ჩვენ ვცლიდით ჭიქებს და ვახსენებდით ვისაც განცხრომა მიაჩნდა ძაღლად“ („მოგონება“). თითქოს გამომწვევადაც მიმართავს წამიერი სიამოვნებებით დაკმაყოფილებულებს: „რამდენი დაგრჩათ, მომაკვდავნო, გასაცინარი!“ უკვე ამ პატარა სტრიქონებშიც ჩანს მისი პიროვნების საარსებო პროგრამა. მაგრამ ვერავის ვერ აიძულებ დაიტანჯოს „გულის სიწმინდის“ გამო. ამიტომ პოეტი იმ საყოველთაო გამოთაყვანებაში ძალიან მარტო გრძნობს თავს. ხან ამბობს: „მხოლოდ ჩიტები მეგუებიან“, როცა „მთვარე ქვასავით ადევს საწუთროს“. ხან კი „ციცინათელას შუქის წვეთების“ გასწვრივ „ხავსივით ედო ცრემლი სახეზე“ და ფიქრობდა: „ბუხრის კვამლს აჰყვა ეგ სიყმაწვილე, თავქვეშ დაეგო დიდ მარტოობას“. „აქ არის რაღაც მწველი სიამე, გულს

რომ ჩასტირი და იმალები, შენი საკანი თეთრი ღამეა ან დაღუპული კაცის თვალები“. დაღუპვის სიმბოლო მოეზმანება: „მეც ათას წლობით მარტოობა მომეწყინება... თავის ქალაში მწვანე ხვლიკი შეძვრება ღამე, ძვლებზე შემხმარი დაფიქრება მოეწონება და მატლებდახრულ თვალებიდან გახედავს ბაღებს“.

შვილისადმი მიძღვნილ ლექსში („თამაზი“) თავისი ცხოვრებისადმი და პოეზიისადმი რთულ დამოკიდებულებას გამოხატავს. „ბედთან, იქნება, შენ გამაშველო, ბედი რომ ხერხავს ვით ბირდაბირი“, მიმართავს იგი შვილს. როცა ასეთი დრამატული თვითშეგრძნების შესახებ დავფიქრდებით, შეიძლება მოვნახოთ პასუხი და დავასკვნათ, რომ ასე ხდება, როცა ბედკრული ქართული კულტურის პრობლემებს ასახიერებ შენს თავში, როცა ყველა ყალბი კომუნიზმისკენ მიდის გამოგონილი ოპტიმიზმით, შენ კი ადამიანის შინაგან სინამდვილეს ქექავ ჭეშმარიტი შუქის აღმოჩენის მიზნით და თან ძველ ჭეშმარიტებათა ნანგრევებს ელოლიავები. „ვინც ჰგავდა თოვლზე გადაღვრილ ღვინოს“ – ამბობს პოეტი თავის თავზე. ამ რთულ მეტაფორაში აქცენტი ალბათ გადაღვრილობაზე მოდის, მაგრამ თოვლი ართულებს გადაღვრილობაში ნაგულისხმებ ამაო ცხოვრების აზრს. ლექსის დასასრულს პოეტი ახსენებს თავისი თოვლზე გადაღვრილობის მიზეზს. იგი მძინარე შვილ-ბიჭუნას ეუბნება:

„შენ რას დაეძებ წარმავალობას“.

სხვა ლექსში იგი აფორიზმივით ამბობს „ვის შეუძლია გადაწეროს წარმავალობა“ („ზღვის სიმფონია“). წარმავალობა რომ მისი მწუხარების მიზეზია, მთელი მისი შემოქმედებიდან ჩანს: თითქოს თანამედროვე გილგამეში იყოს. ლექსში „ფერისცვალება“ დაუნდობლად ხატავს წარმავალობით შერყეული ადამიანის შინაგან ღირებულებათა არამყარობას:

„გატეხილ სარკეს, დამსხვრეულ საათს
დრო არ დაგიდევს, დრო მაინც მიდის.
რა ეშველება დაღუპულ ადათს
ან ასე მწარედ გარეცხილ სინდისს“.

აქ „დაღუპულ ადათში“ თითქოს კეთილშობილი ქრისტიანული იდეალია ნაგულისხმევი, „მწარედ გარეცხილ სინდისში“ კი თანამედროვე ადამიანის ინტელექტუალურ-მეცნიერული გაწარმართება და გაუშჯულოება. ამიტომაც ამბობს პოეტი: „ღრძო უკვდავება მეც შემაგინებს“ („წინათგრძნობა“). წარმავალობის ყოვლისმსახვრელობის მწვავე შეცნობის ნიადაგზე პოეტი ასე მიმართავს მძინარე შვილს: „ვინძლო, მოყვარედ არ გაიხადო ჩემი ხმაბნელი შემოქმედება“. ლექსში თავისი ცხოვრე-

ბის და შემოქმედების ამაო არსებობის გამომხატველ სტრიქონებში პოეტი შეფარულად, მხოლოდ ინტონაციურად თან გლოვობს თავისი ლექსების ბედს და თან იცავს მათ.

როგორც ვხედავთ პოეტი თვითონვე აფასებს  თავის პოეზიას, როგორც ხმაბნელს. მაგრამ როცა გავაცნობიერებთ, თუ როგორი ძალისხმევით ეწინააღმდეგებოდა პოეტი წარმავალობას და როგორ ცდილობდა „გარეცხილი სინდისის“ განწმენდას, როგორ ელტვოდა „გულის სიწმინდეს“ არ შეიძლება არ ვიფიქროთ, რომ მისი ხმაბნელობის მიზეზი ნათელია. ხმაბნელი, მაგრამ მიზეზნათელი პოეტი.

არიან წუთები, როცა გვეჩვენება, რომ ამაოა შეგრძნებების ლექსებით გამოხატვა. ისეთი დიდი კულტურები შთანთქა არარაობის მდორე ბუნებამ, რომელიც სამადაშვილის „მარადისობის ყრუ მესაფლავესავით“ „წირპლების რულით“ გაჰყურებს ყოველივეს. „კაცი, რომელიც უცქეროდა ქვეყნის სეირებს, როგორც ჭინჭარი, როგორც ძეძვი, როგორც ველური“. წარმავალობის, არარაობის, ეკლესიასტეს ამაოების – ამ დიადი მოწმის, წირპლიანი მესაფლავის თანდასწრებაში, ჩვენ გვეუფლება უსასოების განცდა და ვერაფერს ვერ ვაკეთებთ წუთისოფლის უსამართლობების, ჩვენთვის ძვირფას ღირებულებათა მსხვრევის წინააღმდეგ. როგორც ცირცეამ თავისი ჯადოთი ღორებად აქცია ოდისევსის თანამეგზურები, ხოლო თვით ოდისევსი გონგათიშულ უმეცრად – ისე ვგრძნობთ თავს ამაოებისგან მოჯადოებულნი. ვერაფერში ვერ ვპოულობთ მყარ აზრიანობას, ან შემოქმედისგან დაფარული პატრონობის ხელს. უამრავი შეკითხვები წარმოგვეშვება ამაოების გამარჯვების გამო. პასუხები ან არ არის, ან ისევ წარმავალობის დიადი მოწმე „და მესაფლავე მახინჯ მხარზე ბარგადებული სასაფლაოზე პურის ჭამით გაისეირნებს“. ასეთ ყოფაში თუ გამოჩნდა კაცი, რომელიც ამაოების სიდიადეზე არანაკლებ ტკივილს გამოავლენს ადამიანის მიკარგულობის და დაღუპულობის გამო, ისეთი შეგრძნება გვეუფლება, რომ ჩვენს ურიცხვ შეკითხვას სასურველი პასუხები გაეცა. პასუხები განუსაზღვრელია, მაგრამ დიდი ტკივილი თავის განმწმენდავი ბუნებით რაღაცით ჯაბნის წარმავალობის ამაოებას. ჯაბნის თუნდაც იმით, რომ მანამ არარაობას შთანთქავს, მტკივნეულად იკივლებს: – არსებობას გაუმარჯოს, სინდისს გაუმარჯოს, გულის სიწმინდეს  გაუმარჯოს. ასეთი განმწმენდავი ტკივილის პოეტია სამადაშვილი. იგი განაახლებს ჩვენს მოშვებულ ძალებს და გვაიძულებს ვიფიქროთ: – ნათელი მიზნისთვის ტანჯვა ღირს და ამ ტანჯვის ლექსებით გამოხატვა არა მხოლოდ ღირს, არამედ აუცილებელიც არის. სამადაშვილი აუცილებელი განცდის პოეტია.

ლექსში „განკითხვა“ „ჩემი ცხოვრება ძანძახი იყოო“ – ამბობს პოეტი.

მერე დასძენს „გავჩნდი განგებ, რომ დავღუპულიყავ ჩემს დედინაცვალ საქართველოში“. მართლაც დედინაცვალივით მოექცა პოეტს მაშინდელი კომუნისტური ოპიუმით გათიშული საქართველო. სამადაშვილის გენია ვერ შეამჩნიეს. უღირსივით მიაგდეს სიმარტოვის საკანში, რომელშიც „გაღებულ ფანჯრებს წამლად ერთი მგზავრი უნდოდათ“ („გათხრები“). შემდეგ პოეტი ამბობს, რომ არ იცის სად მოეღება ბოლო და ასეთ უმეგობრო ყოფაში „ქარიშხლებს სადღაც ჩაეცინებათ, უდაბნოს ხვითქში გაბრდილ მასხარებს“. მაგრამ აი „ჟამთა სიავეს მგზავრი აცდება, მოვა, დახედავს მკერდის ნიჟარებს. მიცნობს, შეკრთება, შევეცოდები და ტანში ცივად შეაჟრიალებს“. პოეტი გრძნობდა თავისი ტალანტის ძალას და სჯეროდა, რომ ერთხელაც მოვლენ მისი ნამდვილი შემსმენლები. სამწუხაროდ პოეტი ვერ მოესწრო ამ დღეს, რადგან იგი მისი სიკვდილის შემდეგ მოვიდა. კიდევ ბევრი დრო დაჭირდა მისი ლექსების გამოქვეყნებას. მანამ ბოლომდე არ მოირყა საბჭოთა ცენზურა, მისი ლექსები ისევ არარსებული ღირებულება იყო საქართველოს საზოგადოებისთვის. ახლა უკვე ბევრნი საუბრობენ მის შესანიშნავ უნიკალურ პოეზიაზე. მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს მისი შემოქმედების შესაფერისი შეფასება. ალბათ ესეც გაკეთდება დროთა განმავლობაში. დღეს მხოლოდ რამდენიმე პიროვნება ხედავს მას იმ შესაბამისობით, როგორც პოეტი იმსახურებს. რთული მეტაფორული სისტემა და არაჰედონისტური ესთეტიკა, მძაფრი ტრაღიკული განცდა რამდენადმე ელიტარული გემოვნების პოეტად აქცევს მას. მაგრამ ისინი, ვინც მისი შემოქმედების ძალას სწორად აღიქვამენ, საბედნიეროდ კომპეტენტურნი არიან პოეზიის გაგების ასპექტით. ისინი ცდილობენ მყარი და მნიშვნელოვანი ადგილი დაუმკვიდრონ პოეტს ქართული პოეზიის წიაღში. თითქოს სრულდება პოეტის წინათგრძნობა: „მგზავრი“ რომელსაც მისდამი თანაგრძნობისგან „ტანში ცივად შეაჟრიალებს“ „წავა და საყდრის წინ დაეცემა, ყველა გამვლელის ნაფიც ჯავარად და საცოდავი ჩემ ცხოვრებაზე მოჰყვება ტიტინს როგორც ჯაფარა“.

„სტანჯავდა მიწა წელში მოხრილი“ („უკუღმართობა“) განსაცდელისაგან ილაჯმოხრილი მიწის იერსახე თავისი კუზიანი სილუეტით თუ ჩაკეცილობით, რაღაცით ენათესავება „უკანასკნელი ქრისტიანების“ მათხოვრის პორტრეტს.

ამ მეტაფორაში მიწა წელში მოხრილია, ერთ-ერთ მეტაფორაში, როგორც გვახსოვს მიწა ბრუციანია:

„და ბრუციანი დედამიწა შუქს იმათხოვრებს“.

ჯვარცმამ ჯერჯერობით ვერ განკურნა ეს ავადმყოფი პლანეტა. რა სასყიდელია საჭირო, რომ იგი განიკურნოს. თუ მართლაც შემთხვევითი

არსებები არიან ადამიანები, როგორც მეცნიერება ამტკიცებს, და იმის მადლობლებიც უნდა იყვნენ, რომ ცოტა ხნით მაინც არსებობენ. პოეტს იმდენად ტანჯავს ეს საკითხები, რომ ერთ-ერთ ლექსში შეუბღვერს კიდეც მარადისობას:

„მარადისობავ, საუკუნოდ გაგიხმეს ქედი,
რომ ასე უღვთოდ დამაბნიე ტიალი მგზავრი“.

სხვა ლექსში იგი ამბობს:

„იმასთან სისხლიც ვერ შეგარიგებს,
მიწისკენ კვალი ვინც მოგასწავლა“.

ამ შემთხვევაში მას ბოლომდე შეცნობილი აქვს მიწიური ამაოება. ასეთი განწყობის შემდეგ გამართლებულია პოეტის გამოთქმა:

„გარეთ გადაყრილ ნაცარსა ვგავდით“.
*(„დამშვიდობება და სინანული“)*

მაგრამ პოეტი არ ეკუთვნის იმ ადამიანების რიცხვს, ვინც საკითხს კატეგორიული ცალმხრივობით გადაჭრიან ხოლმე. იგი არ დაასკვნის ერთხელ და სამუდამოდ: არა, ღმერთი არ არის, ან ღმერთი არსებობს და ვისაც ამის არ სჯერა, ბნელში იმყოფება. კუზიან მიწას იგი მაინც უტოვებს შანსს. ყოველ შემთხვევაში თავად პოეტს არ შეუძლია სამუდამოდ შერჩეს ამაოების ჭვრეტას. *არის* და *არ არის* მის აზროვნებაში რთულ თანადროულობაშია მოცემული. როცა მხოლოდ მიწიური ადამიანია, მაშინ – *არ არის* და როცა სამყაროსეული, კოსმიური ადამიანია – მაშინ *არის*, მაგრამ მიწიური და კოსმიური განუყოფლად თანადროულობენ მასში. სიკეთეზე და ბოროტზე ფიქრში, სადაც წმინდას ახსენებს იქვეა ჩრდილიც:

„შორს... წმინდანების სიმღერა გზაზე
და ბოროტების ჩუმი ნავალი“.

ამ სადა, პროზაულ სტრიქონებში „ბოროტების ჩუმი ნავალი“ იმდენად შემაშფოთებელია, რომ „წმინდანების სიმღერა“ არაფარისევლურ ფაქტად აღიქმება. სიკეთეზე და ბოროტებაზე რომ ვფიქრობთ, უნებლიედ მივდივართ მარადისობისა და წარმავალობის განხეთქილების პრობლემასთან. მაგრამ ეს ხომ გადაუჭრელი საკითხია. მარადისობა და წარმავალობა ჩვენთვის აუხსნელი სირთულით თანესწრებიან და იქნებ თანხვდებიან კიდეც ერთმანეთს. ადამიანი არსებობის წარმომადგენელია,

მას თითქოს სამყაროსაგან აქვს ნაბრძანები იცოცხლოს. არსებობის სხვა ფორმები არ იცის, ამიტომ ებღაუჭება სიცოცხლეს:

„ათასი წიგნი, ტომი ტომზედ დაიჯღაბნება,
შუბლის კანს გასხლავს ფიქრის ბული და ნაოჭები,
მაგრამ ვერავინ ვერ მიხვდება, რათ გვეჯავრება
წარმავალობა და სიცოცხლეს ვებღაუჭებით“.
*(„ზღვის სიმფონია“)*

ამ ჰამლეტური ჩაფიქრებისგან და ქრონიკული ბორგვისგან განთავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ადამიანი ირწმუნებს, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ნივთიერებათა ცვლის ორგანიზმია და წარუვალობაზე ფიქრი თავისი აუსრულებელი სექსუალური ლტოლვის სუბლიმაციაა. თავის თავის ასეთ ერთგანზომილებიან ცხოველად აღქმა შეუძლებელია გააჩნდეს ადამიანს, რომელსაც შემოქმედებითი შთაგონება წარმართავს. სამადაშვილისთვის მეორე განზომილება, ანუ სულიერება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ქრონიკული ფორიაქით არის შეპყრობილი. სულისა და სხეულის განხეთქილება მისთვის პირველმნიშვნელოვანი დრამაა და ვერაფრით ვერ ცილდება ამ საკითხს.

სამადაშვილის ლექსების ძირითადი ნაწილი დაწერილია თანამედროვე ადამიანის მრწამსის, სიკვდილზე და მარადისობაზე ფიქრის, სიმარტოვის და „გარეცხილი სინდისის“ თემებზე. ვერ ვიტყვით, რომ ასეთი ლექსები სითბოთი, ან საამური შეგრძნებებით აღავსებს მკითხველს. პირიქით, ლექსების უმრავლესობა მძაფრი ტრაღიკული განცდით ელდას იწვევს მკითხველში. მკითხველი იხიბლება გამომხატველობის ძალით, რომლითაც პოეტი აშიშვლებს თანამედროვე ადამიანის შინაგან მდგომარეობას და სინამდვილის შელამაზების ნაცვლად, მის კრიტიკულ შეფასებას იძლევა. პოეტს ნაკლებად აქვს სასიყვარულო ლექსები. ისე, რომ მკითხველი ვერ დატკბება სიყვარულის სენტიმენტალობის სითბოებით. ასევე ნაკლებად აქვს სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები. მხოლოდ რამდენიმე ლექსია ამ თემაზე დაწერილი. როგორც ჩანს პოეტს სამშობლოს მიმართ სიყვარულის ფიცი-მტკიცის ნაკლებად სწამდა. სამშობლოს სიყვარულს იგი უფრო ძლიერ სულიერ პიროვნებად ყოფნის ფაქტორში, ღრმა აზროვნებაში, მართალის თამამ თქმაში ხედავდა. საკუთარი ხმის სამშობლოს კულტურის ხმასთან შეწყობა უფრო იყო მისთვის პატრიოტიზმი, ვიდრე ლექსებში სუპერმენად ქცევა და ილუზიური ხმლის ქნევა მტრების წინააღმდეგ. ანდა რა პატრიოტიზმზე შეიძლება ლაპარაკი, თუ კონკრეტულად წარმოვიდგენთ რა ეპოქაზე ვსაუბრობთ. საბჭოთა საქართველო რომ არ იყო ჭეშმარიტი ქართული სამშობლო, ამაში ეჭვის

შეტანა შეუძლებელია. პოეტი სხვა მაშინდელი მწერლებისგან განსხვავებით, რომლებიც საბჭოთა საქართველოს უმღერდნენ, ქართული კულტურის სავალალო მდგომარეობით იყო შეძრული. ეს ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მისი სიმარტოვის და ტრაღიკული განცდის.

მაგრამ დიდი სითბოთია გამსჭვალული ლექსები, რომლებშიც პოეტი ბავშვობას, თავის სოფელს, დედას, გამზრდელს იგონებს. ამ ლექსებში იგი სენტიმენტალურიც არის და დაუფარავად ეფერება ყველა იმ საგნებს, რომლებითაც მისი ბავშვობა იყო გარშემორტყმული.

მოგონებებით პოეტი თავის შინაგან რაობას ჭვრეტს და ზომავს. ბავშვობის სუფთა ხედვა ასაკოვან პოეტში თავისი მოწიფული მეობის გასასინჯი მოვლენაც არის და ამასთანავე ამ სუფთა ხედვის აღდგინების, თუ გაგრძელების წადილიც. მას სინანული იპყრობს იმის გამო, რომ ბავშვობის მომავლისაკენ უბრალო გზებს არ გაყვა და გენიის შემოქმედებითი ცეცხლით შეპყრობილობაში მოექცა. თითქოს ამ ცეცხლმა თვალები აუხილა და საწუთროს ყოველგვარი უკეთურობის დანახვა გველის შხამივით შეაჭამა, როგორც გველის მჭამელს. და აი, შხამების ტრანსფორმირებით დატანჯული პოეტი შენატრის ბავშვობის სისუფთავეს და გულუბრყვილობას:

„დილის თივის ქვეშ სველი ბარათი:
რად მწერდი ლექსებს, რად დაიღუპე!“
*(„ჩემი სოფელი“)*

ცვრიანი თივით დასველებული ბარათი, მხოლოდ ყრმობის წლებში რომ შეიძლება მოგწერონ, საოცრად აცოცხლებს მთელ იმ გულუბრყვილო გარემოს, რომელშიც ჭაბუკს პოეზიით „დაღუპვის“ გზა აურჩევია უკვე.

*1995–96*

# ძ

ნიკო სამადაშვილის მშობლებს (დედას – ოლღა კობერიძეს, მამას – მიხეილ სამადაშვილს) აზერბაიჯანის ქალაქ აგდამაში უცხოვრიათ.

1905 წლის 19 ივლისს (ძვ. სტილით 1 აგვისტოს) თბილისში სტუმრად ჩამოსულმა ოლღამ პირველი შვილი – ნიკო გააჩინა. 1907 წელს სამადაშვილების ოჯახს ქალიშვილი – ელენე შეემატა. იმავე წელს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა პოეტის მამა – მიხეილ სამადაშვილი. ნიკოს დიდედამ – ეფემიამ – შვილი ხიდისთავში გადმოასვენა და პატარა ნიკოც თან წამოიყვანა, რადგან ოჯახის ერთადერთ მემკვიდრედ და გვარის გამგრძელებლად ის ეგულებოდა.

ნიკო სამადაშვილი იგონებს: „სოფელ ხიდისთავს სამხრეთის მხრიდან თრიალეთის ხრიოკი და მოტიტვლებული ქედი მიბჯენია – როგორც ბაბილონის გოდოლი. ამ ქედის ბეჭზე გაჭიმულია მწირი, ურწყავი მიწები – ზედაველა მიერეკება ველებს, ხრიოკებს და ზედ რუს დაჰყურყუტებს. ერთერთ ქედის მხარზე, ფხვიერი კლდის ნაშალზე და თიხა ნარევ მიწაზე ხიდისთაველებს სასაფლაო გაუშენებიათ.

უწესრიგოთ მიყრილ სამარის ლოდებს და ჭირისუფალ დაკარგულ საფლავებს რომ აჰყვე მიაწყდები რკინის ნამუაჯირალ ხიწვიან ბალახით შესუდრულ სამარეს, საფლავის ქვა ნეკნებამდე რო ჩაფლულა მიწაში, სადაც განუწყვეტლივ ზენა ქარი სისინებს.

აი, იქ მარხია მამაჩემი.

საცოდავი მამა ოცდათორმეტი წლის კაცი გამოესალმა წუთისოფელს. რა ცოტა ხანი ჰქონდა დარბაზობა ამ წყალწაღებულ ქვეყნიერებასთან.

საოცარია, რომ არასოდეს არც დედას, არც დიდედას, არც რომელიმე ახლობელს არავის უამბნია ჩემთვის მამის ხასიათი, შნო, ლაზათი, თუგინდ სიმახინჯე. და როცა მის სურათს ვუცქერი ვხედამ: შავგვრემან, შავთვალწარბა ადამიანს, მაგრამ ნერვიულად შეკრულ ტუჩებს, ახალ ბრაზ გადაყრილ სახის კუნთებს.

ჰო, ვხედამ კი არა ვგრძნობ კიდევაც.

მარცხენა ხელი ჩემ თოთო წელზედ შემოუხვევია, თითქოს იმის სახეზედ გამოკრთის კმაყოფილება და სიამაყე მემკვიდრე ვაჟისადმი. მე ორი წლის ბალღი არცკი ვიქნები, რო ვზივარ მშობლების შუაში მაღალ სკამზე.

და ორი წლის და ექვსი თვის არ ვიქნებოდი, რომ მამიდან ობოლი დავრჩი.

ის წავიდა, მე დავრჩი: წამებისთვის, ტანჯვისთვის, არამზადობისთვის,

სივალალისთვის.

მამა გარდაიცვალა ქ. ალექსანდროპოლში; მგონი სააქციო სამმართველოს ჩინოვნიკი იყო, თუ „აკალოდნიჩი“ კარგად არ ვიცი.

დედას და დიდედაჩემს მამის გაუცივებელ გვამთან კინკლაობა მოსვლიათ – რძალდედამთილის ონავრობა.

დიდედაჩემს მამის ცხედარი ხიდისთავში წამოუსვენებია...“

ნიკომ შინაურებს იმედები გაუცრუა. არ გამოვიდა მისგან კარგი მეურნე და მიწის ყადრის მცოდნე მუშაკაცი, ვენახში, ვაზის საფურჩქნად რომ გააგზავნიდნენ, გზიდან გადაუხვევდა და სადმე ჩრდილს შეფარებული წიგნს ჩაჰკირკიტებდა.

ყმაწვილის აღზრდა დიდედა ეფემიას დამ, უშვილო, ადრე დაქვრივებულმა – ეკატერინემ იკისრა (ელენე – დედასთან – ბაქოში იზრდებოდა!).

ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „შვიდი წლის ბავშვი შემიყვანეს ქალაქ გორის სასულიერო სასწავლებელში, 1917 წელს კი სასულიერო სასწავლებლის დამთავრების გამო გადამიყვანეს გორის ვაჟთა გიმნაზიაში, გიმნაზია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაკეთდა ჰუმანიტარულ ტექნიკუმად, რომელიც დავამთავრე 1924 წელს. ოჯახური ხელმოკლეობის გამო უმაღლეს სასწავლებელში იმავე წელს ვერ შევედი. ვმუშაობდი გორის ფინგანში მოანგარიშედ“.

გიმნაზიაში ყმაწვილი ნიკო ერეკლე ტატიშვილს შეხვდა. „კაცი-ფასკუნჯი“ მომავალი პოეტის კლასის დამრიგებელიც იყო, გერმანული ენის მასწავლებელიც და ის პირველი მოძღვარიც, რომელთანაც აღსარების თქმას არ გაურბიან გულჩათხრობილი მოწაფეები. მათი ურთიერთობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული ნიკო სამადაშვილის წარმოსახვას მთელი სიცოცხლის მანძილზე ასაზრდოვებდა.

გორში, დიდი მიწისძვრის შემდეგ, ყმაწვილი ნიკო და ბაქოდან ჩამოსული მისი დაი ელენე, ბიძამ – მიხეილ კობერიძემ თბილისში ჩამოიყვანა, ელენე თავისთან დააბინავა, ნიკო კი უპატრონო ბავშვთა სახლს მიაბარა. ერეკლე ტატიშვილმა ნიკო ბავშვთა სახლისათვის ვერ გაიმეტა, ინგლისურენოვან კერძო პანსიონში (რომლის დირექტორიც ინგლისელი ქალბატონი გახლდათ!) მოაწყო და სწავლის საფასურსაც, რა თქმა უნდა, თავად უხდიდა.

ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ, პანსიონის მეპატრონემ, ინგლისელმა ქალბატონმა სთხოვა ნიკოს – ინგლისს გამომყევი, გიშვილებ, გასწავლი და ბრუნვას არ მოგაკლებო, მაგრამ მოწაფემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა!

1925 წელს თბილისის უნივერსიტეტში დააპირა სწავლის გაგრძელება, მაგრამ საცხოვრებელი ადგილიდან ცნობა ვერ წარადგინა – სოფელ

ხიდისთავის კომლთა სიიდან ამოწერილი აღმოჩნდა. გამზრდელმა ქვრივმა, ქ-ნმა ეკატერინემ კი განაცხადა – აქ ნიკუშას არაფერი ეკუთვნისო! უდედოდ გაზრდილს მამის ქონებაზეც უარი უთხრეს, მშობლის სახსოვრად მხოლოდ ერთი ვერცხლის კოვზი ერგო, ეს რელიკვია დღესაც სამადაშვილების ოჯახში ინახება! სასამართლომ ობოლს ერთი ოთახი მიაკუთვნა. ნიკომ იქ ცხოვრება არ ისურვა და ოთახი ნათლულს აჩუქა. ნათლული ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა და საჩუქრით გახარება ვერც მოასწრო ისე გარდაიცვალა.

ნიკო სამუდამოდ გამოეთხოვა ხიდისთავს.

1925 წელს იგი მაინც გახდა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. ძალიან უჭირდა, თან სწავლობდა, თანაც მოანგარიშედ მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში.

ნიკო წამოზრდილ შვილებს უამბობდა: შალვა ნუცუბიძესათვის გამოცდა უნდა ჩამებარებინა, ერთი კვირა დავდიოდი სასაფლაოზე (ყოფილი კიროვის ბაღის ადგილას ადრე სასაფლაო იყო), ერთ ამოჩემებული საფლავის ლოდზე ჩამომჯდარი ვმეცადინეობდი. საგანი ფრიადზე ჩავაბარე ბატონ შალვას, გამოცდიდან გამოვედი თუ არა, შიმშილისაგან გული წამივიდაო.

სტუდენტი იყო ნიკო სამადაშვილი ვახტანგ კოტეტიშვილს რომ შეხვდა და დაუმეგობრდა. მასთან ერთად ფოლკლორულ ექსპედიციებშიც იარა და ზეპირსიტყვიერების მრავალი ნიმუშიც (სამასამდე შაირი) შეაგროვა...

ვახტანგ კოტეტიშვილის ოჯახს მთელი სიცოცხლე უერთგულა და უშიშრად, ყველას დასანახად აკითხავდა ხოლმე ობლებს, მიჰქონდა სანოვაგე და იმედი იმისა, რომ სიკეთე არ გადაშენდება საქართველოში.

1928 წელს ხელმოკლე სტუდენტი უნივერსიტეტიდან გარიცხეს. საგნების ჩაბარება დაუგვიანდა, რექტორიც შეაწუხა, მაგრამ აღარ აღადგინეს. ნიკო მთელი სიცოცხლე სწუხდა და განიცდიდა, რომ უნივერსიტეტის დამთავრება არ ეღირსა.

ლექსების წერა თორმეტი წლისამ დაიწყო. თბილისში რომ წამოიყვანეს, თავისი ნაწერები გორელ ნათესავ ქალს მიაბარა, იმან კი ცეცხლში შეუკეთა მიბარებული ქაღალდები, ამასაც მთელი ცხოვრება ნაღვლობდა.

1928 წელს ნიკო სამადაშვილი თბილისიდან ბორჯომის რაიონის სოფელ სადგერში გადადის საცხოვრებლად და იქ სოფლის დაწყებით, ოთხკლასიან სკოლაში მასწავლებლობს, იქვე მოზრდილთა და ხანშიშესულთათვის უსასყიდლოდ ღამის სკოლასაც აარსებს. მისი ყოფილი მოსწავლე სოლომონ (სოლო) სტეფნაძე იგონებს: „ნიკო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სოფელში. მან განათლება შემოიტანა. მაშინ ჩვენი გლეხობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ნიკო მოხუცებთან ოჯახებშიც

დადიოდა...“

სოფლის დრამწრეც ნიკომ ჩამოაყალიბა. იქაურები მსახიობობდნენ, სპექტაკლების მხატვარი და დეკორაციების ავტორიც დურგალი ნიკალა ხაჩიძე იყო. თეატრისა და სცენის მაგივრობას ეკლესიის გალავანი უწევდათ, ნიკოს ხშირად ჩამოჰქონდა წიგნები და ხმამაღლა უკითხავდა თანასოფლელებს, მერე წაკითხულის განხილვა იწყებოდა. ნიკო სიამოვნებით იგონებდა როგორ გაარჩიეს გლეხებმა ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელი“. ამბობდა, ზოგი ცნობილი კრიტიკოსის ნააზრევი ახლოსაც ვერ მივა სოფლის უხუცესთა სიბრძნესთანო.

1929 წელს პოეტი თბილისში დაბრუნდა. ბერძნული წარმოშობის მშვენიერი ახალგაზრდა ქალი – ევა ჩაკალიდი გაიცნო და შეუყვარდა.

1930 წელს იქორწინეს, მაგრამ ნიკომ ჩაკალიდების ოჯახში ჩასიძება არ ისურვა; ევამ მამის სახლიდან ფეხი არ მოიცვალა და ფეხმძიმობაც ხელოვნურად შეიწყვიტა. ნიკო უსიტყვოდ დაცილდა ქალს, რომელიც „პოეზიაზე უმეტეს ბედნიერებად“ მიაჩნდა. ევა აღარ გათხოვილა, ნიკოს დაბრუნებას სულ ელოდა, მის წერილებსაც დიდხანს ინახავდა, ბოლოს როსტომ ჩხეიძეს გადასცა რამდენიმე ბარათი. მან 1991 წელს გამოაქვეყნა (გაზეთი „ქართველი ერი“) კიდეც. როგორც ევა ჩაკალიდის ახლობლები ამბობენ, სიკვდილამდე ქ-ნმა ევამ ნიკო სამადაშვილისადმი მიწერილი მრავალი ბარათი და საკუთარი ფოტოსურათებიც გაანადგურა. ევა ჩაკალიდის დამ, ქ-ნმა თინამ, ნიკოსაგან ევასათვის ნაჩუქარი ფაიფურის რამდენიმე თეფში სამადაშვილების ოჯახს დაუბრუნა, რაც შეეხება ნიკოს, მას თავის მოგონებებში საყვარელ სიძედ და რაინდად მოიხსენიებდა.

ნიკო სამადაშვილი სტუდენტობიდან მეგობრობდა ქ-ნ თამარ ლომიძესთან. მათი ფაქიზი ურთიერთობის გამოძახილი იყო 2000 წელს დაწერილი მღელვარე სიტყვა ქალბატონი თამარისა (დაიბადა 1907 წ.): „როგორ ვნანობ, რომ შენი მარგალიტები, მძივებად შემოთავაზებული ლექსები, ყველა ვერ ჩავიწერე... შენ დიდი იყავი. ძნელი იყო შენამდე მოღწევა. ვნანობ, რომ არ შემარჩინეს შენი წერილები, რომლებიც ბინის ჩხრეკისას, 1937 წ. წაიღეს“. ეს ის თამარ ლომიძე გახლავთ, რომელსაც ახლაგაზრდა გალაკტიონიც ეტრფოდა, „ჯეირანს“ ეძახდა თურმე! (თამარ ლომიძის დედა – სოფიო ანდრონიკაშვილი ელენე ბატონიშვილის შთამომავალი ყოფილა).

1932 წელს ნიკო სამადაშვილმა ბაქოდან თბილისში ჩამოიყვანა დედა (ოლღა სიმონის ასული კობერიძე) და გვერდიდან აღარც მოუშორებია. ქ-ნი ოლღა წლების მანძილზე მუშაობდა საბავშვო ბაღის აღმზრდელად.

1936 წლის 11 ნოემბერს ნიკო სამადაშვილმა ცოლად შეირთო 15 წლის მარიამ ამანათაშვილი. ეს ქორწინება იღბლიანი აღმოჩნდა. ოჯახში

სამი ბავშვი გაჩნდა: თამაზი, მზია და ნუგზარი.

1943 წლის თორმეტ იანვარს სოფელ სადგერში (ბორჯომის რ-ნი) ნიკო სამადაშვილი მოულოდნელად, ცოლ-შვილის თვალწინ, დააპატიმრეს.

საოჯახო არქივში დღესაც ინახება უშიშროების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც წერია, რომ „მოქ. ნიკოლოზ მიხეილის ძე სამადაშვილი, დაბადებული 1905 წ., რომელსაც 1943 წლის 28 აგვისტოს სსრკ შინსახკომის განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (აგიტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას) მუხლის საფუძველზე მიესაჯა 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, ამაჟამად, სსრკ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების I მუხლის თანახმად, რეაბილიტირებულია“.

1947 წელს ნიკო სამადაშვილი ისევ დააპატიმრეს, ამჯერად უკვე ბუღალტერი გაამტყუნეს და ერთი წელი მიუსაჯეს.

1958 წელს ჰიპერტონიით დაავადებულს დამბლა დაეცა. მარჯვენა მხარე წაერთვა და დიდხანს იავადმყოფა.

1963 წლის 1 მაისს ნიკო თავისი სიჭაბუკის მეგობარს გიორგი (ჟორა) ოქრუაშვილს ესტუმრა. იქ ყოფნისას შეუძლოდ შეიქნა, შინ წასასვლელად აჩქარებულმა მასპინძლებს თავი არ გააცილებინა, ბელინსკის ქუჩას რომ მიატანა უგრძნობლად დაეცა. ქალაქის მეორე კლინიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ გონს მოუსვლელად გარდაიცვალა.

*მზია სამადაშვილი*

❖

მის შემოქმედებას თამაზ ჩხენკელმა უპატრონა, შემდეგ და შემდეგ სხვებმაც გამოიღეს ხელი. დღეს ნიკო სამადაშვილი მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის სრულუფლებიანი და გამორჩეული წევრია.

# სარჩევი

## ლექსები

ნიკო სამადაშვილს ..... 7
საქართველოდან პარიზისაკენ! ..... 8
* * * (როცა ჭალაში ვუდექი ხარებს...) ..... 9
სტრიქონების ქარაფი ..... 10
გულთამხილავი ..... 12
* * * (ნეტავი ერთი წამოგახედა ჩემო მეუფევ...) ..... 12
ნუგეშს და იმედს ..... 13
სახლი ნარიყალაზე ..... 13
სამიკიტნოში ..... 14
* * * (იცი რა იყო ჩემი სიზმარი?..) ..... 15
მანიას! ..... 16
ბუტიაობა ..... 17
აღსარება ..... 18
ჩემი დღე ..... 18
* * * (ჩემი მზია ლექსში კოჭლობს...) ..... 19
* * * (ქარია გზებზე, მივდივარ, მიჭირს...) ..... 20
თელა და ჩიტი ..... 20
დასასრული ..... 22
* * * (წავლენ დღეები და გადაღმა ძველი ჭანდარი...) ..... 22
კაცო, სადა ხარ? ..... 23
წვიმა ..... 24
ნუთუ ის აღარ განმეორდება ..... 24
* * * (წუხელის შეგხვდი, სადაც ბნელ წნორებს...) ..... 25
ის კიდევ სწერდა ლექსებს... ..... 26
ერთი კიდევ, თუ ღმერთი გწამს ..... 26
შიმშილი ..... 27
* * * (რას დაეძებდი, შე უბედურო...) ..... 28
* * * (ქართა სიჩუმე, ბუჩქების ჩრდილი...) ..... 29
ქურდი ..... 30
კამარების შეჭმუხვნა ..... 30
აი, დედასა... ..... 32
სამხარზე ..... 33
უკანასკნელი ზარების რეკა ..... 34
* * * (მივდივარ, ჩუმად გავცქერი ველებს...) ..... 36
გახსენება ..... 36
* * * (ის ღამეებმა დიდხანს არწიეს...) ..... 38
* * * (მივალ, კარებზე უღევთ ურდული...) ..... 38
* * * (რა საოცარი ყოფილა ყოფა...) ..... 39
* * * (გადაიღლება გული დარდებით...) ..... 40
* * * (იმ ხეხილებზე ჰყვაოდა ბედი...) ..... 41
* * * (შენი ნუკრია მხედება ხოლმე ხანგამოშვებით...) ..... 42
დაუსაბამობის ხილვა ..... 43
გიშერი ..... 45

ბეთანია ..... 46
შენ რო მოკვდები, მაშინ შეირყევი ..... 49
ფრესკები ჩონგურზე ..... 50
მილულვა ..... 51
დარდი ბუხართან ..... 52
სად არის, სადა? ..... 53
ნაფოტები ..... 53
ვზათ-ვალალობა ..... 54
მამადავითის პანთეონი ..... 56
წინათგრძნობა ..... 56
ფიქრი ..... 57
ადევნება ..... 57
დაითენთა ..... 58
გაჭვავება ..... 59
გარყვნილება ..... 60
გიის პორტრეტი ..... 61
ფერისცვალება ..... 62
ზღვის სიმფონია ..... 63
ფილტვების სიყვითლე ..... 64
ბალახი როცა ამოვა ..... 64
სონატა ..... 65
გათხრები ..... 66
ვენია და სამრეკლო ..... 66
აღსარება ..... 67
ასეა მარად ..... 68
თამარის მღვიმე ..... 68
მონოლოგი ..... 69
გული და ჯანღები ..... 70
ნახული ..... 71
ფერფლი ..... 72
აქერცლილი მინიატურები ..... 72
იცოდე ..... 73
ღია ბარათი ..... 74
ცაცხვის ხე ..... 75
გამახსენდა ..... 76
შეხვედრები სამხარზე ..... 76
აგარაკი ..... 77
ყველიერის შაირი ..... 78
წაშლილი კვალი ..... 79
მანანა ქართველიშვილს ..... 80
თავის მინებება ..... 81
იალაღიდან ..... 81
სძინამთ ჩიორებს ..... 82
ორნი ..... 82
ჩაეფლათ მაინც ..... 83
სურათის გადაღება ..... 84

სმენა ..... 85
უმანკოება ..... 85
საღამოხანი ..... 86
იქით ..... 86
სტუმარი ..... 87
ბაასი ბერთან ..... 88
დიდება ..... 89
ალიონამდე ..... 90
გამხმარი კაცი ..... 90
გაყრა ..... 91
* * * (გარეთ ძლიერ ციოდა, ზეცას ფიფქი სცვიოდა...) ..... 91
ჩემი თბილისი ..... 92
* * * (სახე ემდუღვრის, სიღარიბით უკვდება გული...) ..... 93
ხელის გაშვერა მტკვართან ..... 94
წუთისოფლიდან უკვდავებამდე ..... 95
ლეოს წერილი ..... 96
მარადისობის უარყოფა ..... 97
სალახანას პორტრეტი ..... 98
უკულმართობა ..... 99
* * * (ეკალი ირწევა...) ..... 100
* * * (გადამხათ დღეებს უტევს ქარბუქი...) ..... 101
თვალს არ აშორებდა... ..... 101
* * * (გზათ დაგასვენეს სამრეკლოს ჩრდილში...) ..... 102
წადილი ზამთარში ..... 103
შენი სოფელი ..... 104
* * * (სასუფეველში რეკდნენ ბნელ ზარებს...) ..... 104
* * * (ხე  შრიალებდა, ხე მოსთქვამდა, ხე ქვითინებდა...) ..... 105
* * * (ჩემო ბეღურავ მოდი, დაფრინდი...) ..... 105
გამიშვით ..... 106
* * * (იტყვიან, კაცი რაზე ლოთობდა...) ..... 107
* * * (ათასი ღამე დაიწყებს კვნესას...) ..... 108
ფიქრებს იქით ..... 108
გარეჯი ..... 109
ისევ ვილოცებ, იქნებ ღმერთმა მაინც მიშველოს ..... 110
* * * (ისევ მარტო ვარ და შენზე ვნაღვლობ...) ..... 112
მოჯამაგირე ფურნეში ..... 113
გალაკტიონ ტაბიძეს ..... 114
* * * (მაისის დილა ჩამოივლის სანაპიროზედ...) ..... 114
* * * (გარეთ თოვლია და თეთრ კლავიშებს...) ..... 115
* * * (მომენატრება სიცოცხლე ძვირი...) ..... 115
* * * (ის ყურს უგდებდა გუგულის ძახილს...) ..... 116
* * * (ასე ტიროდა უბედური ქარბუქი გუშინ...) ..... 116
* * * (ამოვალ, როცა დაბინდდება თბილისის ზეცა...) ..... 117
* * * (რა საყვარელი სიცოცხლე მორჩა...) ..... 118
* * * (ტყე აშრიალდა, აშრიალდნენ ჩემი ფიქრებიც...) ..... 119
საღამოხანი ..... 120

* * * (მიყრუებული ქუჩებით მიხვალ...) ... 120
ლიახვის ნაპირები ... 121
* * * (პირქვედამხობილ ღამეებს უმზერ...) ... 122
* * * (მოვკვდები, წავალ, ვინ მომიგონებს...) ... 123
გადმორბენა სამყაროსკენ ... 124
* * * (მე წაგასვენებ, სხვა პატრონი არ გეყოლება...) ... 125
* * * (ის კამკამებდა ვით ქრისტეს ლოცვა...) ... 126
უცხოეთში იყო... ... 127
შემოდგომა ... 127
* * * (მუხლდაქანცული მივყვებოდი ყაყანა ქუჩებს...) ... 128
ნაცარი ... 129
სამანი ... 130
შუქზე ... 130
წაქცეული კერა ... 131
ჭანდრებთან ... 131
თვალნაცემი ქანდაკება ... 132
განზე სიარული ... 132
ნუთუ სიკვდილსაც აღარ ჩამაცეცხლებენ ... 133
განკითხვა ... 134
ნაწყვეტი ... 135
მარად ... 135
დაბრუნება ... 135
შეხვედრა ... 136
* * * (როგორ გიხდება ხშირი მთები...) ... 136
გეჯა ... 137
* * * (გადამეყრები, ერთად წამოვალთ...) ... 138
* * * (თებერვლის ამინდს ჩუმად ეღვიძა...) ... 139
* * * (ვერ იშორებდი სევდის კრაზანებს...) ... 139
* * * (მონასტერი სჩანს მთაზე ნისლივით...) ... 140
* * * (დაშვებულ ფარდებს გააშტერებს შენი ალვის ხე...) ... 141
* * * (ქარმა შეხეთქა ჩემი ცხოვრება...) ... 141
წიწამური ... 142
კუტი ... 142
ჩემი ფეხის ხმა მთვარისაკენ ... 143
ორი გზა ... 144
ჩემი ეზო ... 145
* * * (გუშინ ვენახში შემომხვდა ბიძა...) ... 145
საღამო თბილისში ... 146
ბოლო ... 146
* * * (საუკუნენი წავლენ ბღავილით...) ... 147
* * * (მე ვიცი დიდი დარდების თოში...) ... 147
* * * (დიდო პოეტო, ივერიის ღვიძლო გენიავ!..) ... 148
* * * (მე ვიცი ფიქრი და გარინდება...) ... 148
სიზმრების ნაღვერდალი ... 149
* * * (მოსაღამოვდა, მზემ ჩაახველა...) ... 150
ქარბუქი ... 151

სვეტიცხოველი ..... 151
მათხოვარი ეკლესიის კიბესთან ..... 152
საღამო და განწყობილება ..... 153
* * * (შენ წამოდგები, განთიადი ზარეს ჩამოკრავს...) ..... 154
* * * (თეთრი ვარდები ამოგიტანე, გადაშლილიყვნენ ორღობის გასწვრივ...) ..... 155
* * * (ძველი სამყარო დაუძლურდა, გამოჩერჩეტდა...) ..... 156
* * * (დამასაფლავეს მეგობრებმა და მიმატოვეს...) ..... 156
* * * (გადამეყვლიფა გული დარდებით...) ..... 157
მოსწყდა ..... 158
აღარც ნუგეში ..... 158
ერთი იმათთაგანი ..... 158
* * * (საღამო. სწვიმდა. ფანჯრის გარეთ ხე შრიალებდა...) ..... 159
* * * (რა შეშლილების კუნტრუში მეფობს...) ..... 159
ილია ჭავჭავაძეს ..... 160
* * * (მე შენ ლერწკალას ჩემო კარგო...) ..... 161
სტვენა თბილისამდე ..... 161
წარმართობის ბალადა ..... 162
მეფე ერეკლეს ფიქრები ..... 162
* * * (მეც გამოვყვები შენს გვირგვინებს ბინდების ფითრი...) ..... 163
* * * (საღაც ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამქერი...) ..... 164
* * * (საოცარია, რომ გიყურებ, როდიღა მჯერა...) ..... 164
* * * (მზე ჩადიოდა მაღალ მთების იქით...) ..... 164
თებერვალი და მოგონება ..... 165
უცნაური ხელობა ..... 166
შუქი ..... 166
კიღევ ..... 167
ეხლა კი... ..... 167
ხვალ ..... 167
უპატრონობა ..... 168
წარწერა ..... 168
* * * (ხე ეკლესიის მათხოვარს ჰგავდა...) ..... 168
თამაზი ..... 169
პოეტესა ..... 170
* * * (შენი სურათი მინდა მუდამ უბით ვატარო...) ..... 171
კაცის ბუნება ..... 172
* * * (რაც იყო, იყო, პოეზიის ლხინია ეხლა...) ..... 172
ზეკაცი და ნისლოვანება ..... 173
* * * (გულო, რა გინდა, მიამბე დღესვე...) ..... 173
* * * (დაუკარ ჩემო მემუსიკევ...) ..... 174
* * * (ნისლები სდუმდნენ, და ზევით...) ..... 174
მარადისობა და მესაფლავე ..... 175
მაინც ..... 175
* * * (არმაზის კერპი დაღმართს დაჰყვა პიტიახშებით...) ..... 176
შემობრძანება ..... 176
* * * (მე ვიცი მხოლოდ შენი ნუგეში...) ..... 177
შეხვედრებიდან... ..... 178

სიმართლე ... 179
* * * (დღეს შენს საფლავზე აღარ მოდიან...) ... 179
გეყურება?.. ... 179
მე და თვალები ... 180
* * * (ქარს მთვარის შუქი წუთისოფლიდან...) ... 180
ის დაიბადა მხოლოდ იმიტომ, რომ არასოდეს არ მომკვდარიყო ... 181
მოუსვენრობა ... 182
შენი ქარაგმა ... 182
ხანდისხან გხედავ ... 183
* * * (ის, განთიადის წინ დაბინდდება!..) ... 183
დაუსაბამობის ხილვა ... 184
დამშვიდობება ... 184
პოეტის ლოცვა ... 186
ბაგინეთი ... 186
შადრევანის სიმღერა ... 187
გახსენება ... 188
შესანდობარი ... 189
განდობა ... 189
ელდა ... 190
რწმენა ... 190
ნაწყვეტები სინანულიდან ... 191
კრულვა ... 191
პალმებთან ... 192
მმრუნველი თვალი ... 192
წოწიალი ... 193
შფოთი ... 193
* * * (მამაჩემს დავრჩი ბიჭი ობოლი...) ... 193
წარწერა ... 194
ტერფი და ჟრუანტელი ... 194
ლიახვს ... 194
არავის ერჩის ... 195
* * * (შენი თელა ხომ აღარ შრიალებს...) ... 195
ნაყარ-ნუყარი ... 196
* * * (შმაგი სიცოცხლე ღვინოსავით გამომნელდება...) ... 196
* * * (უდაბურ ტყეში მოვხედი, ღამეა...) ... 197
* * * (კარის ვენახში პაპა ბარავდა...) ... 198
ბაღი ... 199
* * * (ვისაც სიცოცხლე ღვინოსავით ერეოდა...) ... 199
* * * (კოდმანის კლდესთან წარმართები ისროდნენ ისრებს...) ... 200
* * * (ღვინის სარდაფში, ანთებულ კვარზე...) ... 200
* * * (ის ხომ ღვთისმშობლის სიზმარსა ჰგავდა...) ... 201
უსურათო ... 201
* * * (ის როდი ჰკრეფდა იებს სიცილით...) ... 201
* * * (გაგეღვიძება დატანჯულ პოეტს...) ... 202
ბინდი ... 202
* * * (ხეობა მოსჩანს, მიდიხარ, კრთები...) ... 202

ოდესღაც ახლობელს ..... 203
* * * (ორი ხელადა ჩამოგვისხეს ხიდისთაური...) ..... 203
სინანული ..... 204
ატენის სიონი ..... 205
ლე... და სიმ... ..... 206
ჩემი სოფელი ..... 207
ბინდი ..... 208
მოკრძალებით ..... 209
კარების გაჯახუნება ..... 209
* * * (იყო, იცხოვრა, დაბერდა, მოკვდა...) ..... 210
ნიკო იაშვილს ..... 210
დამშვიდობება და სინანული ..... 211
პასუხი ..... 212
მთვრალის შეკითხვა ..... 212
გარეთ ..... 213
ჯანდაბას იქით ..... 213
* * * (გაივლის დრო და დიდი ხნის მერე...) ..... 213
დაუმთავრებელი ბარათი ..... 214
მარად... ..... 214
* * * (გათენდა ისევ, გამომეღვიძა...) ..... 214
* * * (დაჯდება მარტო, აიმღვრევა და მოსწევს თუთუნს...) ..... 215
* * * (ისიც ჩვენია, ის ჩუქურთმები...) ..... 215
მოგონება ..... 216
უსინათლობა ..... 216
საით, ვინ იცის?! ..... 217
* * * (როცა შევხვდებით, მეგობარო, ასე მგონია...) ..... 219
* * * ( დავიღუპები ამოსული მიწის ქერქიდან) ..... 219
მოდი ..... 220
* * * (ხანდისხან ვფიქრობ...) ..... 220
* * * (წამოვა წვიმა...) ..... 220
შეხვედრები დღის ბოლოს ..... 221
ჩემი პორტრეტი ..... 223
* * * (მე შევიჯავრე ჩემი სამშობლო...) ..... 223
ჩემს ვახტანგს ..... 224
ნაწყვეტი ..... 225
* * * (ჩამოუარა ტლუ გლეხკაცმა სიონის ტაძარს...) ..... 225
* * * (ნეტავი რაზე დარდობდა კაცი...) ..... 226
* * * (ის ჩამოვიდა ჩემთან ტირილით...) ..... 226
ჩემს მარიამს ..... 227
* * * (თითქოს ლაქვარდებს ხნავდნენ ქარები...) ..... 227
* * * (თვალებში ჩადგა უღრანი სევდა...) ..... 228
სესხი ..... 229
* * * (მენატრებოდი ბავშვობიდან ისე მენახე...) ..... 229
* * * (ტყე აშრიალდა, ტყე უღრანი და უდაბური...) ..... 230
* * * (ლამაზ ქოჩორზე ფაფარივით ეყარა თმები...) ..... 230
* * * (მე ვიცი როგორ უნდა თრთოლვა შუაღამისას...) ..... 231

* * * (აქ არის ღამის მაჯის ცემა...) ... 231
* * * (შენ გიგროვებდი მთვარის ბულულებს...) ... 232
* * * (საყვედურებით ნუ ამავსე, ჩემო კეთილო...) ... 232
ძალო ეკატერინეს ... 233
გრძნობა ... 234
ტკაცუნი ... 234
* * * (ლოცულობს ყველა, ვისაც ჯერ კიდევ...) ... 235
* * * (ვიღაცა მგზავრი ხეზე დამსხდარ ლექსებს აუქშევს...) ... 236
* * * (შენ შორს მიდიხარ...) ... 236
* * * (მამადავითის მთაზე გაუხვევ...) ... 237
* * * (შენი არ ვიცი, მე დავითენთე...) ... 238
მოგონება და სინანული ... 239
უმანკოება ... 239
ეგო ... 240
* * * (საღამო ხანი ეხვევა ხეებს...) ... 240
სინათლის მიმოქცევა ... 241
* * * (ძლივს ახურებენ...) ... 242

## ვარიანტები

ჩემი გულთამხილავი! ... 243
სახლი ნარიყალაზე ... 244
ჩიტი-ჩიორა ... 245
მეგობრის ნათქვამი ... 246
* * * (შენი ნუკრია მხვდება ხოლმე, ხანგამოშვებით...) ... 246
შემოდგომა და ფილტვების სიყვითლე ... 247
* * * (განცდების ჭირხლი და გაოგნება...) ... 247
ჩემი თბილისი ... 248
* * * (დაღლილს ფიქრები აღარ მექნება...) ... 249
ცაცხვის ხე ... 250
ნისლოვანება ... 250
წყალთან განდობა ... 251
ქედი სივრცეში ... 252
გადახვეწილი შადრევანი ... 252
თვალს არ აშორებდა ... 253
მარადისობის უარყოფა ... 254
* * * (ის ყოველ ღამე დაეძებდა ტიალ სარდაფებს...) ... 254
მწუხრი ... 255
* * * (როცა ვიგონებ ღამე დაღვრილ გარეჯის ცრემლებს...) ... 255
უკულმართობა ... 256
ზმანება ზამთარში ... 257
სიმღერები გამოქვაბულიდან ... 258
* * * (მთების გადასწვრივ ყვირიან გზები...) ... 259
მარგილები ... 260
გასეირნება ... 261
* * * (დამასაფლავეს მეგობრებმა და მიმატოვეს...) ... 261

ბალადა დუდას ... 262
მთაწმინდა ... 262
ვერცხლისფერი ოცნება ... 263
ქაოსებს შორის ... 263
დაუსაბამობის ხილვა ... 264
ხელახლა ... 265
* * * (საღამო ბჟუტავს, ტაძრის კარი ისევ ღიაა...) ... 266
* * * (ის, გასცქეროდა მომავალ შარას...) ... 267
ბაგინეთი ... 268
მოდი ... 268
* * * (საუკუნის ნახევარზე მეტი გავიდა...) ... 269
ერეკლეს ... 269
* * * (შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი...) ... 270

## პროზა

მთვლემარე ცისკარი ... 273
განდობა ... 276
ზამთრის სიმფონია ... 279
ძველი სარდაფი ... 281
ბეთანია ... 286
შადრევანთან ... 292
დაბურული ადგილები ... 300
მანანას გიშერი ... 301
ქარაგმა ... 304
ესკიზი ... 306
ღრუბლიანი ტაროსი ... 309
პაექრობა ... 312
მეწისქვილე ... 314
თბილისის მხურვალება ... 327
პოეზიის მწვერვალები ... 331
პოეტური გათხრები ... 333
ორი ყორღანი ... 338
ლიახვის ნაპირები ... 342
გარეჯის მონასტერი ... 344
თხუნელას ქანდაკება ... 349
კუდიანი ხატი ... 354
ნენეს ზღაპრები ... 369
ალიონის მორევი ... 384
უცნაური ხელობა ... 391
ეკლესიის მტრედები ... 396
დედამიწა ბღაოდა ... 405
ფასკუნჯის ფრთები ... 414
სინათლის მიმოქცევა ... 422

**სხვადასხვა** ... 452

## პირადი მიმოწერა

ნიკო სამადაშვილი – ევა ჩაკალიდს ... 464
ნიკო სამადაშვილი – ევა ჩაკალიდს ... 464
ნიკო სამადაშვილი – ევა ჩაკალიდს ... 466
ნიკო სამადაშვილი – ევა ჩაკალიდს ... 467
ნიკო სამადაშვილი – ევა ჩაკალიდს ... 468
ნიკო სამადაშვილი – მარიამ ამანათაშვილს ... 470
ნიკო სამადაშვილი – მარიამ ამანათაშვილს ... 470
ნიკო სამადაშვილი – მარიამ ამანათაშვილს ... 470
ნიკო სამადაშვილი – მარიამ ამანათაშვილს ... 471
ნიკო სამადაშვილი – მარიამ ამანათაშვილს ... 471
ნიკო სამადაშვილი – მარიამ ამანათაშვილს ... 472
ნიკო სამადაშვილი – ნუგზარ სამადაშვილს ... 473
ნიკო სამადაშვილი – ნუგზარ სამადაშვილს ... 473
ნიკო სამადაშვილი – გიორგი ჭოღოშვილს ... 474
ნიკო სამადაშვილი – გიორგი ჟურულს ... 474
ნიკო სამადაშვილი – ვახტანგ კოტეტიშვილს ... 476
ნიკო სამადაშვილი – ვახტანგ კოტეტიშვილს ... 478
ნიკო სამადაშვილი – ვახტანგ კოტეტიშვილს ... 479
ნიკო სამადაშვილი – ერეკლე (ირაკლი) ტატიშვილს ... 480
ნიკო სამადაშვილი – თამაზ ჩხენკელს ... 483
ნიკო სამადაშვილი – თამაზ ჩხენკელს ... 484
ნიკო სამადაშვილი – თამარ ჩარექიშვილს ... 485
ბრძანება ... 486
ერეკლე (ირაკლი) ტატიშვილი – ნიკო სამადაშვილს ... 486
ერეკლე (ირაკლი) ტატიშვილი – ნიკო სამადაშვილს ... 488
გერონტი ქიქოძე – ნიკო სამადაშვილს ... 491
შალვა ნუცუბიძე – ნიკო სამადაშვილს ... 492
კალე ბობოხიძე – ნიკო სამადაშვილს ... 492

## ნიკო სამადაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ბეჭდურებიან:

არჩილ სულაკური ... 495
თამაზ ჩხენკელი ... 502
ზურაბ კიკნაძე ... 514
იზა ორჯონიკიძე ... 518
ზაზა აბზიანიძე ... 522
თემო ჯაფარიძე ... 529

მზია სამადაშვილი –
„რამდენიმე ფრაგმენტი ნიკო სამადაშვილის ცხოვრებისა“ ... 580